

114 /
1963/5

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმსრებელი
აპარატი

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმსრებელი
აპარატი

აგათონი



12

1 9 6 3

მნათობი

სოციალ-დემოკრატიული ლიბერალ-სოციალისტური
და სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური შუაგული

წელიწადი მე-40

№ 12

დეკემბერი, 1963 წ.

საქართველოს საბჭოთა მხარელების კავშირის ორგანო

შინაარსი

ბუბა ბერუღაია — სამი ლექსი	3
იკინთე ლისაშვილი — ნანგრევებზე, რომანი, დასასრული	5
ოთარ ჭილაძე — რკინის საწოლი, პოემა	46
ოთარ კუპრაძე — ლურჯი იების ზღაპარი, მოთხრობა	49
კუბელი პოეტები — ლექსები, თარგმანი რ. შარვაშიანი	65
ფრიდონ ხალვაში — საყვედური, რომანი, დასასრული	69

კრიტიკა და ხელოვნებისმცოდნეობა

გურამ გვარდნილი — საბჭოთა ლიტერატურის საფუძველთა საფუძველი, დასასრული	88
ვლ. მაჭავარიანი — რომანი და ცხოვრება	101
შალვა ნუცუბიძე — ქართული ნაზრევი ლათინურ კულტურაში	114
გიორგი მასხარაშვილი — ქართული ხელოვნების ძეგლები ვეგენი ლანსერეს სურათებსა და ეტიუდებში	127
მარკ ტრასკუნოვი — დიმიტრი ფურმანოვი საქართველოში	134
ვასტონ შუაჩიძე — ვან კოკტო	140

სხვადასხვა

დემნა შენგელაია — უმანგი...	151
გივი გაჩეჩილაძე — შთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის მეოთხე კონგრესზე	155
ნინო გუნია — ზოგი რამ ვალერიან გუნის ცხოვრებიდან	161
გიორგი ზღანოვიჩის სიტყვა „50-ის პრაქტისზე“	167

(ბ. მეორე გვ.)

2546



ლადო სულაბერიძე — დრო, დრო აღნიშნე	171
შალვა ამისულაშვილი — ახალგაზრდა პოეტის ახალი წიგნი	173
ბ. ჩიტაური — ერთი სოფლის სურათები	175
ვ. გავაშელაშვილი — პეტრე შალიკაშვილი	177
ბაბო მჭედლიძე — საბავშვო ლექსების კრებული	179
ალ. კალანდაძე — საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები	181
ნიკოლოზ კანდელაკი — წიგნი ქართველ ორატორზე	193
შალვა შაველაშვილი — მაყურებლის შენიშვნები	184
კონსტანტინე ფაღავა — სპარსული ქრესტომათია	185
ევრნალ „მნათობის“ 1963 წლის ნომრების შინაარსი	188

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მალრაძე, ბ. ულენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
 ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-68.

ბელოწერილია დისაბეჭდად 10/XII—63 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა
 7 1/4×12 1/2 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
 უე 05665, ტირაჟი 6.200, შეკვეთა № 2479.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, სტამბა № 1.
 Издательство ЦК КП Грузии. Тип. № 1

ხუთა ბეჟარაძე სამი ღმერთი

სიჩქარე

დეკემბერია თუ ხვდები აპრილს,
ღამე დგება თუ ელ.ეს ცისკარი,
ვით სუნთქვა დროის, ჩუმი და მძაფრი
ჩრდილივით დაგსდევს შენი სიჩქარე!

შენ გეჩვენება თითქოს გვიანობ,
თითქოს დაჰკარგე სინათლის წილი,
ეს მაშინ, როცა, ადამიანო,
ცოტ-ცოტა მუდამ გაკლია ძილი.

მისხლობით ზომავ გაფრენილ წაშებს,
მალიმალ ახელ სიზმრიან თვალებს,
და გენატრება, რომ დადგეს ღამე,
და გენატრება გათენდეს შალე...

გუშინდელ ჰაბუკს არ გინდობს ჟამი
და გეუბნება: ჰალარა ხარო.
რადგან სიცოცხლე არ იცდის წაშით,
რადგან სიცოცხლე ჰარივით ჩქარობს,

გარჯაც, გალობაც, ალერსიც ჰალთა,
უნდა მოასწრო ერთად ყოველი,
რომ დაგრჩეს ქვეყნად, ნეკროლოგს გარდა,
შენი პატარა სვეტიცხოველი!

ხიდი როშკის ჩანჩქერთან

ხიდი კი არა, ორი მორია,
როშკის ჩანჩქერთან დაკიდებული,
დაბლა ბუბუნებს მძაფრი მორევი,
დევის ქალივით აკივლებული.

მალლა ლოდია მარად სოველი,
ლოდზე ხავსია ცივი, მაკდური...
არ მაგონდება ახლა ყოველი —
როგორ აფერინდი, როგორ დაეცურდი!

ჩემგან გაგებას ტყუილად ღამობ,
ჩანჩქერი გეტყვის ტალღების მსხვრევით,



ტიალი ხავსის ღალატის გამო,
როგორ მივტოვდი უფსკრულში, ქვევით...

აი, ამ ხიდზე მარჯვენა ხელით
ვეკიდე, როგორც არაგვის ტალღა,
აქ ავიცდინე საკვდილის ცელი
და გადავტყორცნე მდინარის გაღმა.

მაშინ წამოდგა ქაბუკი მწყემსი
და ასე მითხრა უცნაურ რწმენით:
— ამიერიდან ხევსურულ წესით,
ამ ხიდს ერქმევა სახელი შენი!

და განა კაი კაცობის ნიშნად,
და განა მთაში გაცნობის ნიშნად,—
გარდასულ საფრთხის გასახსენებლად,
გარდავიღო ქირთა გასანელებლად...

მე გამელიმა, ბერიკაცებმაც
როცა იმ ქაბუკს დაუკრეს კვერი.
ვიდექ იმებში და ფიქრებს ეტაცებდა
მთებს შელეწილი მდინარის ჩქერი.

მიქლვანა «ნაკადულს»

ზოგჯერ ნამდვილი მგონიხარ წყარო,
მთიდან რომ მოაქვს სიღბო და ნამი.
ემიყვამ შენთან საუბრით ვზარობ,—
ცოცხალ არსებად გიწამო ღანის.

მე მინდა გქონდეს სიცოცხლე მძლავრი,
სიმშვიდე გძულდეს, როგორც ქაობი.
იყო ამ ქვეყნად მარადი მგზავრი
და თანამგზავრი ყველა თაობის.

იყო პატარა და არა მცირე,
წკრილი შენი მარად გეწყუროდეს,
მამულს უზრდიდე მომ ვლის გმირებს
და წინაპარიც არ გემდუროდეს.

სახელი ძველი, ასე რომ გშენის,
ატარო მუდამ, როგორც თილისმა,
ვით ჯილდო ყველა მეგობრის შენის,
შენთვის დამაშვრალ-დაფერფლილისა.

მე მინდა... იყავ წმინდა, გულუხვი,
ნამად ესხურე მთებსა და მინდვრებს.
ჰე, ნაკადულო, შენი ჩუხჩუხი
არ მომწყენოდეს, ცოცხალ ვარ ვიდრე!

იაკინთა ღისაგვილი

ნ ა ნ გ რ ე ვ ე ბ ზ ე *

V.

გრიგოლის ეზოში ჩოჩქოლი ისმობდა. თოკი გაეჭიმათ და მთელი ნაკვეთის ხიგრძე-განს ზომავდნენ.

დამღლიავეებული გრიგოლი კოლექტივის კომისიას ხმის ამოუღებლად უკან დაჰყვებოდა.

ანეტა შორიდან უთვალთვალვებდა.

— შენ როგორ გირჩევენია, გრიგოლ, მარჯვნივ ჩამოვჭრათ, თუ მარცხნივ?— შეეკითხა სოფლის აგრონომი, ვახტანგ ქორძე, დაბალი, საშუალო ხნის კაცი და კეთილი თვალები მიაპყრო გრიგოლს.

— მარჯვნივ მოჭერით.

— ჰო, კარგი და კეთილი: კედელიც მარჯვნივ გაგინგრევი, თუმცა გადაგიჭარბებია და მოგიკლავს თავი.

— თავი მაშინ მოვიკალი, როცა ვაშენებდი, მარა ხელში არ შეკით და არ გამაკავეთ გაგიყვებულნი.

— გრიგოლ, მაგ არაფერია, შენ კარგად იყავი, რაც იყო იყო,—უთხრა უშანგიმ და დაკრეჭილი კბილები ზედ მიანათა სახეში,— ჰო, მარა ახლა ეს კედელი აქეთ რომ გადმოიტანო, ახალ საზღვარზე, რა იქნებოდა, ა, რას იტყვი, შენ?

ყველას გაეცინა.

გრიგოლი მოიღუშა, დაიგუგუნა:

— ყველაფერი წაიღეთ, მარა დაცინვა არ გამაგონოთ!... არა და, წალდი გალესილი მაქვს.

— რაო, რათ გინდა, გრიგოლ? შე კაცო, გვემუქრები თუ?—ჰკითხა უშანგიმ.

ჩემთვის მაქვს გალესილი; ამ დილით დობილოში მიწოდდა წასვლა, ვენახისათვის სარს მოვჭრი-თქვეა, მარა თქვენ მომისწართ; ჰო და, თუ გამაჯავრებთ, გზას გაუღდებთ.

— ჰოო,—გააგრძელა უშანგიმ და პაპიროსის კვამლით გახუნებულ უღვაშზე ხელი გადაისვა, — ეს სხვა საქმეა.

— გრიგოლ, აი აქ მოდის საზღვარი და შენ როგორ გინდა, რითი აღენიშნოთ? — შეეკითხა ვახტანგი.

— ერთი წვრილი თოკი გააბით და მეტი არ უნდა.

— მაი ომიდან გაბრუნებული დაგვიბრუნდა,—აზრზე არ იყო. მერე გონს მოვიდა და მგონი ჰკუჟაც ისწავლა,— შორიდან მოაძახა ანეტამ.

— ასე ხომ, ანეტა; აი მოსათმენი არაა მარა მართალი ხარ და პირწყლიანი, ვერაფერს ვეტყვი.

— არაფერია და ახლა კარგად იყავით!—დაიძახა ბოლოს უშანგიმ და გზას გაუღდგნენ.

მაინცდამაინც გრიგოლის მიერ წინა დღით განგრეული კედლის ნამსხვრეეებზე ზტომით გავიდნენ დიდ გზაზე და მიუღარნენ.

გრიგოლი ახლად აბიზინებულ მოლზე დაეშვა. პაპიროსი ამოიღო, გააბოლათანაც მიხერებოდა, როგორ იფანტებოდა პაპიროსის ბოლი მოწმენდილ ცაში და ქრებოდა, დნებოდა.

ანეტა შეუმჩნევლად მიუახლოვდა, გვერდით მიუჯდა და შეაპარა:

— ასე არ გობდა?

— კი, როგორ არა, კაია: აქამდე ჩვენ ვიყავით ამ ეზობალის პატრონი და ვიკ-

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 9, 10, 11.

ლაედით თავს. ახლა ესენი არიან და ვნახოთ, სად მივალთ.

— ჩვენთვის ნახევარიც მეტია, მარა ესეც რომ წაიღონ, სად გავგვექცევა, თავს კოლექტივში ამოყოფს და ჩვენც აქ დავხვდებით.

— პო, დავხვდებით და კაია... მგელი რომ ძროხას დაეტაკება და გვერდს გამოვლევს, ისეა ახლა გამოვლევადი ჩვენი ეზოს კედელი, მარა გზა მაინც გამოჩნდა და ესაა კაი. ახლა ყველამ ერთად ვუკრათ ტაში და ხელისხელჩაქიდებულმა ვიციქვით.

— შენი აშენებული თვითონვე გავლიჯე და გზაც დავინახეთ, მარა ფეხშეწყობილ ცეკვა-თამაშს რაღა სჯობს, გრიგოლ, უთხრა ანეტამ, წამოდგა და სამხარეულოსაკენ გასწია.

გრიგოლი გაზაფხულის დამტკბარ მზეში თბებოდა, გულში რაღაც მაინც სტკიოდა: ისევე გოგი აგონდებოდა, — მზად იყო, თუ ამ სატკივარს მოიშორებდა, ყველაფერი დაეთმო, რაც მას გააჩნდა, მის თვალში გაუფასურებელიყო, ან ის ძველი ფასი დაეკარგა უკვე აქ ყველაფერს. ბაღსა თუ სახლს, მთელ კარმიდამოს, თვითონ მიწასაც, რომელსაც წინა დღით რაღაც შეუგნებლად, მაგრამ ნამდვილად ჭვარი დაუსვა და ამით სამუდამოდ დაამთავრა ბრძოლა თვით თავისთავთან.

ანეტამ პირდაპირ არა, თუმცა მაინც მგელი გამომიყვანა, მარა უკვე ცხვარი ვარ და თუ წინ არ წამიძღვებინა, ფეხს ვერ მოვიცვლი... ახლა თავისუფალი ვარ, დიდი სიმძიმე ჩამოვიშორე, მარა, გული მაინც არ მაქვს თავისუფალი. ყველაზე ერთგულ მეგობარს ხელი ვკარი, ჩამოვიშორე და მერე სულ ამერია გზაკვალი“.

წამოდგა, მზის სხივებით მორწყულ, ახალი ბალახით შემოსილ ეზოში სიარული დაიწყო, თვალშეპარვით გოგის კარმიდამოსაკენ იხედებოდა:

„თუ შინაა და გამოვიდა, მეც უნდა გავიდე. მპატიოს და თავის დამცირებას არ მოვერიდები, — მით უმეტეს, მე თვითონ დავამცირე ერთგულებისათვის“.

ზოგჯერ ახალ ბალახს რომ დახედავდა, გულს თითქოს ამ სიახლის ნიხვი ურხებდა.

„ნეტაი ამ ბალახს ხომ არ მოსპობენ“? — გაიფიქრა, თუმცა იქვე თვით უპასუხა: „არა, მე და ანეტას ხარის ტყავის ოდენა ეზო გვეყოფა და ამას ვინ წაგვართმევს“.

დიდხანს იარა. გოგი არ ჩანდა. სახლში მაინც არ შედიოდა.

ანეტა ეძახდა:

— შემოდი, გრიგოლ, სახლში; შექამე რამე, რავე შიმშილობა გამოაცხადე?

— ციხე დანგრეულია და შიმშილობის გამოცხადება არ დამჭირდება, მარა, ცოტა მაინც მადროვე, ქალო; საქმე მაქვს.

— მაი თუ საქმეა, იარე წინდაუკან, ყლაპე ჰაერი და გეყოფა!

ანეტამ თოხი აიღო, კაბის კალთები აიკაპიწა, აქეთ-იქიდან წელში ჩაიკეცა და ბოსტანში შევიდა.

გრიგოლი დაიღალა, ახალე პაპიროსი გააბოლა და როცა ისევე მოლზე ჯდებოდა, უეცრად შეირბა. „გამოვიდა და ესაა“ — წამოიძახა, ჭიშკრისკენ გასწია. თითქმის გარბოდა. ჭიშკარი გაალო, გავიდა, უხმოდ მოხურა და გზაზე წინასულ გოგის გამოედევნა. ჩქარობდა, თუმცა რაღაც ფეხაკრეფით და უხმოუროდ მიიწევედა წინ. უახლოვდებოდა თავის ძველ მეგობარს.

როცა მათ შორის ათიოდე ნახიჯი დარჩა, ჩაახველა, მაგრამ ენა ვერ დასძრა. მერე ერთი სიტყვა უენოდაც აღმოხდა:

— გოგი!

გოგი შეჩერდა. შემობრუნდა. გრიგოლი რომ დაინახა, თავი დახარა, მერე მიახლოებულ მეგობარს თვალი გაუსწორა და სახე გაეხსნა.

— უნდა მპატიო და სხვა რაღა ვითხრა.

გოგიმ რაღაც მტკივნეულად გაუღიმა და ხელი გაუწოდა:

— გამარჯობა, გრიგოლ!

— გამარჯვებული შენ ხარ, გოგი და მე რაღა მეთქმის, სიკეთე ბოროტად გადა-

გზად, ხალხშიაც თავი მოვიჭერი და სასაცილო გავხდი უშენოდ.

— დაივიწყე, გრიგოლ, რაც იყო, მართალია, ამით დიდი ზიანი მივაყენეთ ერთმანეთს, მგონი, ჩვენს შვილებსაც და ამ მხრივ ბევრი რამ, ალბათ, ვერასოდეს გამოსწორდება, დავიგვიანეთ, მაგრამ დროა შევიგნოთ ჩვენი შეცდომა და მომავალში უფრო სწორი გზით ვიაროთ ერთად.

გრიგოლი აჩუყდა, გოგის ხელი მოხვია:

— შენ ჩემზე მეტი გცოდნია, გოგი, და ვიცი ბევრ რამეს ვერასოდეს გამოსწორებ, მარა შენთან მინც მამყოფე, ძმოდ, ეს დიდი იმედი იქნება ჩემთვის.

— ერთად ყოფნას ახლა ვინ მოგვიშლის, გრიგოლ. განდგომით მოყენებულნი ზიანიც გვეყოფა.

— თუ ასეა, გაფიცებ, თუ ოდესმე ისევ გაგვიყდ, გამოთოკეთ, ცოვი წყალი დამასხით, მანამდე მცემთ, სანამ გონს მოვალ და მადლობას გეტყვით.

— დამშვიდდი, გოგი, ვინც თავისთავს გიყად აცხადებს, ის არასოდეს არ გაგიყდება.

ამგვარ ბაასით გაიარეს კარგა მანძილი. ურთიერთისადმი თქმული ყოველი სიტყვა მალამოსავით ეღებოდათ. ორავე იბრუნებდა მათთვის ყველაფერზე უჭირფასეს საგანძურს, — მეგობარს, და ამ საგანძურის ხელახალი მოპოვებით ხარობდნენ.

ზიდთან რომ მიალწიეს, გრიგოლი გამობრუნდა, შინისაკენ გაუდგა გზას. გულში რაღაც შეტქის ნაპერწკლები მის თვალწინ ჰაერშიაც ცურავდნენ. არასოდეს თავი აგრე მსუბუქად მას არ უგრძენია. რკინის ჭიშკარი ფრთხილად გააღო და უხმაუროდ მიხურა. იმოდენა ვაჟკაცი ჩიტოვით ფრთავაშლილი, თითქოს მიფრინავდა ეზოში.

ანეტამ დაინახა და მიეგება:

— სად დაიკარგე ასე ხელდახელშუა, ნეტაი რამ ჩაგყლაპა... რაღაც მიხარია და რა მოხდა ნეტაი?

— მიხარია და მეტი არა?

— ვითომ რა შეიძინე ასეთი?

— რა შევიძინე და დაკარგული სიმდიდრე.

— რას ამბობ, კაცო, ზომ-არ გავიყდით?

— ახლა კი არა, მაშინ გავგიყდი, როცა დავკარგე. ჰო, ეს ხომ ასეა, მარა ჯერ მაქამე, მასეი, ჩამაცვი, დამახურე და მადლეგრძელე; ახლა ყველაფერი მჭირდება.

ანეტას შეეშინდა, მართლა ხომ არ გაგიყდაო და ხმა ჩაუვარდა. მერე გაუბედა:

— შემოდი სახლში რაღაც არეულად ლაპარაკობ, მარა აფერია; დაისვენებ და მალე გაგივლის.

— როცა მართლა არეული ვიყავი, ასე მაშინ გეთქვა, შე ქალო. ახლა კი დამახემსე და ყველაფერს გეტყვი.

— ჰო, კაი, კაი!—და აჩქარდა ანეტა: საშხარეულოს წინ დაბალი გრძელი სუფრა გაშალა, საქმელი გამოიტანა და სუფრის ერთ თავში შემკრთალი დაჭდა.

— ცოტა კი გაგიცივდა, მარა...

— ახლა გაქვავებულსაც გავათბობ და მოვინელებ, ანეტა, ნუ გენალღეუბა, — და გრიგოლი სადილობას მადიანად შეუდგა.

— ჰოდა, მითხარი, — ისევ შეაპარა ანეტამ.

— ერთი ბოთლი ღვინოც გამოიტანე, მადლეგრძელე და ყველაფერს გაიგებ.

ანეტა უხმოდ წამოდგა, მარანში შეაღო კარი. დაფაცურდა, ღვინო გადმოასხა, ჭიქებიც იქვე გარეცხა და როცა დაბრუნდა, ღვინო თვითონ დაასხა ჭიქებში:

— დალრე და...

— მე კი არა — შენ, ჩემი და გოგის სადლეგრძელო უნდა შესვა, ანეტა.

ანეტას თვალები გაუბრწყინდა, ხელი გაშალა:

— გოგის?

— შევერიგდით.

ანეტასათვის უკვე ყველაფერი აშკარა იყო.

— ღმერთო, შენ მიშველე! იცოცხლეთ, იდლეგრძელეთ, გაიხარეთ!—დაიძახა და ღვინის პატარა ჭიქა დასცალა,

მერე უცბად მოიწყინა, ცრემლები დაედინა გამხდარ სახეზე.

— ტირი, ანეტა. — კი არ ჰკითხა რაღაც თავის თავად აღმოხდა გრიგოლს და პირთან მიტანილი ლუკმა ხელში გაუშეშდა.

— მერე იმ გოგოს რაღას ვერჩოდით, გუშინ იყო შინ და ფერი არ ედო, — ქმარს ამით ამცნო, თუ რატომ ტირიდა, — მიზეზი არ თქვა, სახლში შევიდა, სარკმელშია ცა გაჰხედა. ეზობალიც მიმოიარა. მერე გადამოცნა და უხმოდ წავიდა.

გრიგოლი გაფითრდა.

— ჰოო, აი კი სათქმელია, მარა... ახლა რა გაეწყობა, ანეტა: გამრუდებულს ცრემლით ვერ გავასწორებთ.

— ვიცი, გრიგოლ, და ამიტომ უფრო სატირელია, მარა, რადგან თქვენ შერიგდით, ახალ ბოროტებას იქნებ მოვერიდოთ. ჰო, კაი, რაღას ელოდები, დალიე და ლუკმაც შეირგე, გვეყოფა.

— გვეყოფა. მამატიე და შენც იცოცხლე, ანეტა! — და გრიგოლმა ყელში ღვინის რამდენიმე ყლუბი ძლივს გადაიტანა.

სალამოს ანეტამ წყალი გაათბო და გრიგოლს დაუძახა:

— მოდი ახლა იმ შენი მოწყობილი შხეფით ტანსაც დაგბან და მთლად სუფთა იქნები. ასეთი რამ შეგესწავლა, შეკაცო, იმ ევროპაში და ჩამოგეტანა.

— ჰო, ჰო, ეს კაი მითხარი, ქალო, თუ გულის ეანგი ამოვირეცხე, ახლა ტანას გარეცხვაც მჭირდება და მომასხურე, გამნათლე შენი დალოცვილი მირონ-შხეფებით.

ფრონტიდან შინ დაბრუნების შემდეგ, საშხარეულოს ფარდულში გრიგოლს შხეფი მოეწყო და ბოლო დროს ტანს იქ იბანდნენ. ახლაც ანეტა საქმეს შეუდგა; გრიგოლს ერთი ხელით თავზე და მთელ ტანზე უსვამდა საპონს, მეორეთი თბილი წყლის შხეფს ასხურებდა აქეთ იქიდან, ზანდა გულდაგულ.

— მობრუნდი ჰო, დახარე თავი! იმ დასაქცივი კედლის კირტალახი ძვალ-რბილში ვაქვს გამჯდარი.

— მოვიშორე და ესაა, ქალო, — დიდი

მორჩილებით, მოთმინებით და კმაყოფილებით უთხრა გრიგოლმა.

კარგად რომ დაბანა, თვეთრეცხვაც გამოუცვალა. მერე ოდასახლში მალა აიყვანა, ახლად პირგამოცვლილი ქვეშაგები გაუშალა, ჩააწვინა და თავი თეთრი ნაჭრით წაუკრა.

— ქოჩორიც დაგიდგება და არც გაცივდება; — უთხრა და საბანიც დაახურა, — გარეთ ხელფეხი აღარ გამოყო, კარგად ჩათბი და მეტი წუწუნიც არ გამაგონო.

— ჰო, კაი, კაი, ასე იყოს ანეტა.

თავი მეექვსე

შინ დაბრუნებული გოგი დიდხანს დადიოდა ეზოში.

მის სულში ბოლო დროს ჩამდგარი ჩრდილი გამქრალიყო, თუმცა კვალი მთლიანად როდი წაშლილიყო და, ალბათ, არც არასოდეს წაიშლებოდა. მაინც დიდ სიმსუბუქეს და შვებას გრძნობდა; ყველაფერი რაღაც ახლებურად გამოიყურებოდა; გრიგოლის კარ-მიდამოს დანახვაც გულს აღარ უკლავდა, პირიქით, — იქ ბოლო დროს გაჩენილი ბურუსით მიმქრალი შუქი კვლავ ანთებულიყო და იმედის სვეტად აღმართულიყო ახლა მის თვალწინ. ამგვარი გრძნობით გამსჭვალული დადიოდა ეზოში და თითქოს სულში ჩარჩენილი წყლული რომ მთლიანად ამოეწვა, ზედიზედ წევდა პაპიროსს და ამდგარ ბოლს ხელით ფანტავდა.

— გოგი, ასე ჩაფიქრებული რომ დიდხარ მოხდა რამე? — შემოესმა.

— აა, შენ ხარ, მარო? მომილოცე, მეგობარი დამიბრუნდა.

— მართლა? გილოცავ, გოგი! როდის მოხდა ეს ამბავი?

— დღეს.

— ახლა ყველაფერი გასაგებია. თენგიზ, შეილო; მოდი აქ, — შენც მიულოცე მამაშენს, — გასძახა ეზოში გამოსულ შვილს.

— რა მივეულოცო, ნენა?



II

— გრიგოლი და მამაშენი შერიგდნენ.

— როგორ? — იკითხა თენგიზმა და თითქოს შეკრთა. მერე ფეხი ძლივს მოიკვალა და მამის მკერდს თავით მიეყრდნო, — მომილოცავს მამა, — ხმადაბლა უთხრა.

— იცოცხლე, შვილო. ვიცი, ჩვენს დაშორებას შენთვისაც უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მარა რა მექნა. განიარაღებული ვიყავი ისევ ჩემი განუყრელი მეგობრის ხელით.

— ვიცი, ყველაფერი ვიცი, მამაჩემო, მარა, მგონი, გადავიტანეთ.

ქიშკარი გაიღო და ეზოში შემოქრძილი მაკას ხმა გაისმა:

— თენგიზ, მოდი აქ, იცი რა გითხრა?

— რა იყო, მაკა?

— ამაღამ კლუბში საზღვარგარეთული ფილმი გადაისო, და უნდა ვიჩქაროთ! თენგიზი შეყოყმანდა:

— თავი მტკივა და მოღლილიც ვარ. კარგი იქნებოდა, გადაგვედო.

— არა, თენგიზ, ჩვენ რომ გადავდოთ, ფილმი არ მოგვიცდის, მალე, მალე, ჩაიცივი!

თენგიზი უხმოდ, უხალისოდ გაბრუნდა, ოდა-სახლში შევიდა, ტანთ გამოიკვალა.

მაკამ მკლავში ხელი გამოსდო, კიბეზე ჩამოარბენინა და მერე თვითონ გავარდა წინ.

თენგიზი მიჰყვა.

გოგი სამზარეულოს წინ დაბალ, სამფეხა სკამზე მჯდარ ღედას მიუახლოვდა.

— რას ფიქრობ, ნენა?

ღედამ ახალგაზრდა ცოლთან ერთად ქიშკარში გასულ შვილიშვილს მიაპყრო თვალი და თავი აქეთ-იქით გადააქნია.

— ასე არ ვცხოვრობდით.

— სხვა დროა, ნენა, — უთხრა გოგიმ და ღედას გვერდით მიუჯდა.

მაროც ღედა-შვილის პირდაპირ დაჭდა და ნათქვამი გაიმეორა:

— ნეტაი გაიხარონ და... — აღარ დაასრულა.

გაზაფხულის უკანასკნელი დღე მიაწურა. თემშარაზე მინდვრის სამუშაოებიდან დაბრუნებული ახალგაზრდების ქრიაშული ისმოდა, პატარა ჯგუფებად დაყოფილნი იფანტებოდნენ სოფლის შარაშუქებში და, ჩიტებივით თანდათან ანელებდნენ ქრიაშულს, სანამ თავიანთ თავშესაფარში არ აღმოჩნდებოდნენ. მერე მიყუჩდებოდნენ და მათი ბაიბურცი აღარ ისმოდა.

მაკა და თენგიზი დღეს რაღაც მიზეზით უკან-უკან რჩებოდნენ, დაწინაურებულ ამხანაგებს შორიახლო მიჰყვებოდნენ ხმაგაკმედილნი.

მაკა რეტდასხმული შეჩერდა.

— რა მოხდა, მაკა?

— ცუდად ვარ, ცოტა მომსვენე. თენგიზმა პიჯაკი გაიხადა, გზის მიღმა, მოღზე დააფინა. მაკა ზედ დაეშვა.

— ბოლო დროს ჭამას უკელი, ალბათ, იმის ბრალია, მაკა. მოისვენე, ნუ აფიქრდებით.

— გული მერევა და საჭმელს რა მაჭმევს, — გაამხილა და ქმარს თვალთ ანიშნა, „განა ვერ ხედედი?“

თენგიზის თვალეზში შუქმა იელვა:

„რას ამბობ მაკა, — ჩაიჩურჩულა, გვერდით მიუჯდა, — შუბლზე ხელი რბილად გადაუსვა, — ჩვენ კი გვეშინოდა, — რა არ ვიფიქრეთ.“

— ახლა უკეთ ვარ. წავიდეთ, თენგიზ.

— წავიდეთ, მაკა.

წამოდგნენ.

თენგიზმა ხელი მკლავში ფრთხილად გამოსდო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ერთს კი არა, უკვე ორს, მეტად სათუთსა და სანუკვარ არსებას მიაცილებდა. მაკას ფეხის ყოველ მოცვლაზე უთვალთვალეზდა, მის სუნთქვას უსმენდა. მისთვის ჯერ არასოდეს აგრე სათნო, უხენაესი მადლით მოსილი და მიშხიდველი მაკა არ ყოფილა. მაკაში რაღაც მათი სულისა და ზორცის საერთო სიცოცხლე ჩასახულიყო და ამ მომავალი სიცოცხლის სითბოს უკვე გრძნობდა თენ-

გიზი. მხოლოდ ის აოცებდა, მაკა რად ღუმდა, არაფერს ამბობდა მათ ცხოვრებაში ასეთი განუსაზღვრელად მნიშვნელოვანი მოვლენის გამო. თვალში ხშირ-ხშირად აცქერდებოდა, რომ იქ წაეკითხა მაკას ფიქრები. ეს კი თენგიზისათვის ცოტას როდი ნიშნავდა. ამიტომ თვითონ ჭერ არაფერს ამბობდა: „რამდენი რამ მოსდევს დედისათვის შვილის გაჩენას: ტყვივლები, ზრუნვა, პატარაზე მუდმივი ფიქრი, ამასთან „უსაზღვრო სიხარულიც რაც ყოველგვარ სატყვივარსა და განსაცდელს ფარავს“.

— თენგიზ, გიხარია? — ძლივს ხმა ამოიღო მაკამ, როცა ეზოში შევიდნენ.

— განა საკითხავია? — მაკამ რალაც იშვეწულად გაიღიმა და ასეთივე თვალებით შეხედა.

— მოდით, შვილებო, — უთხრა ეზოში გამოსულმა დედამ და მიეგება. ფერმიხილი მაკას გამომეტყველება არ მოეწონა და შეეკითხა:

— ცუდი ხომ არაფერი მომხდარა, შვილო?

— პირიქით, დედა... მაკა რალაც ისეა..

— ისე კი არა... — შეესიტყვა მაკა, გაწითლდა, დახარა თავი და ოდა-სახლისაკენ გასწია.

— ჰოო, — რალაც დიდმნიშვნელოვნად წარმოსთქვა დედამ, — იმრავლეთ, გაიხარეთ, შვილებო, — დაუმატა და რატომღაც მიწას დახედა, „არ წავიშლებით“, გაიფიქრა.

გოგიც მოვიდა. ცოლმა ახარა ახალი ამბავი.

— ოოო, — გოგის თვალები გაუნათლდა, დაიხარა, მოლზე დაჭდა, — მაშ, კერა არ გაცივდება, არც შუქი ჩაქრება მამა-პაპის კარმიდამოში.

— სიცოცხლეს რა ჩააქრობს, გოგი. ჩვენს თბილ მიწაზე.

მაროც, გოგის პირდაპირ, მოლზე დაეშვა.

რალაც, ჭერ განუცდელი გრძნობით ათვალეერებდნენ ყველაფერს. მათ თვალში სახლკარსა თუ ეზო-ბაღს, თითქოს უკვე ერთი თაობის სიცოცხლე შეჰმატებოდა.

ქალებმა ვახშამი მოამზადეს და სუფრა აიგანზე გაშალეს.

ისხდნენ, ვახშობდნენ, ^{ეროვნული} რალაც ^{სახლი} გრძნობით ათვალეერებდნენ ერთმანეთს, თუმცა არაფერს ამბობდა.

თვითონ მაკას გამოკლებით, ყველასათვის რალაც საზეიმო ღუმილი იდგა. მაკა კი სახეშიც არ უტყუროდა არავის; თვალები დაეხარა და პურის ნაჭერს ციკნიდა, „ეთამაშებოდა“, ირთობდა თავს.

— ჰამე, შვილო, ასე როგორ იქნება, — ბოლოს მარომ დაარღვია სიჩუმე.

— კი, კი, როგორ არა, აი, ხომ ვკვამ, — უთხრა მაკამ, პურის მცირე ნამცეცი დასდო ლამბაჯზე და თითქოს ცოშს ზელსო, ქათმის წვენში ჩანგლით ატრიალა, აწვალა კარგახანს. მერე კატის კნავილი შემოესმა და უცბად წამოდგა:

— მართლა, ახლა მომავლანდა; ეს კატა, მგონი, მოვკალით შიმშილით, — თქვა და ჩანგლით ნაწვალეები, მოზელილი პურის ნამცეცი კატას მიუგდო.

გოგის ეს ამბავი არ მოეწონა, თუმცა არაფერი თქვა, წამოდგა და აივნიდან გაბჰედა ლამეს.

— მგონი ხვალ უამიდობა შეგვაწუხებს, — ჩაილაპარაკა.

სხვები კვლავ ღუმდნენ, ამ ღუმილს უკვე დაჰკარგოდა ზეიმის ელფერი.

მაკა და თენგიზი ისე ჩაწენენ ლოჯინში, ერთმანეთისათვის სიტყვაც არ უთქვამთ; თითქოს რალაც სულიერი ძერების უსიტყვოდ მოსინჯვა გრძელდებოდა მათ შორის.

— თენგიზ, შენ როგორ ფიქრობ? — გაბედა მაკამ, როცა შუქიც ჩააქრეს.

— რას?

— ჩემს მდგომარეობაში განა შესაძლოა ბავშვის გაჩენა?

„ამას ველოდი“ — გაიფიქრა თენგიზმა და ლოჯინში დაჭდა.

— მაშ, რა ვქნათ? — ხმაში აღელვება დაეტყო თენგიზს.

— სხვა რომ არ იყოს, ხომ ხედავ, საჭმელს ვერ ვკვამ; ასე თუ გაგრძელდა, შიმშილით მოვეკვდები.

— მაშ, ყველა ფეხშიძე ქალი, თუ ბავშვი არ მოიწყვიტა, მოკვდება.

— ყველა არა, მარა...

— ჰო, ვიცი, ვიცი! ახლა ყველაფერი გასაგებია, — შეაწყვეტინა თენგიზმა და ზურგშექცევით, ლოგინში ჩაწვა. იმ საღამოს მაკას მიმართ წარმოშობილ ჯერ განუცდელ, სათნო გრძნობას ახლა ერთბაშად შეუღდა წყალი და ამ მღვრიე წყალს თითქოს თან მიჰქონდა მისი საწუკარი ოცნება.

თენგიზისათვის მარტო ის კი არ იყო მთავარი რომ დედა თავის არსებაში ჩასახულ სიცოცხლეს უკვე მოსპობით ემუქრებოდა, არამედ ისიც, რომ ამით მაკა საექვოდ ხდიდა, სობოდა მისი ნამდვილი, გულწრფელი გრძნობის ილუზიას თენგიზისადმი.

— თენგიზ, რა მოხდა ასეთი, არ მეტყვი?

თენგიზი ღუმდა.

— კაი, გადავდებ თავს, მარა თუ მე არ ვიქნები, შეილიც აღარ გაჩნდება და გული უფრო დაგწყდება.

თენგიზი ღუმდა.

— მე ხომ არ ვარ პირველი. მართალია, პირველი ბავშვის მოწყვეტა ძნელია, მარა რას ვიზამ, თუ სხვა გამოსავალს არ ვხედავ.

დიდხანს გრძელდებოდა მაკას ასეთი ცალმხრივი ბაასი ხმაჩამედოლ თენგიზთან. რადგან პასუხს ერთხელაც ვერ ეღირსა, მერე ხელებიც წაუპოტინა, მხარში ჩაეკიდა და შეარხია:

— რას გაჩუმებულხარ? შე კაცო, იქნებ არაფერიც არაა, ყველაფერი მოჩვენებაა და თავს რატომ ვიკლავთ. თბილისში მაინც ხომ მივემგზავრები, ექიმი გამსინჯავს და ყველაფერს მეტყვის.

— დაიძინე, — ძლივს გაიმეტა თენგიზმა.

— ჰო, კაი, კაი! — უთხრა და მოეშვა, მალე ჩაეძინა. თენგიზი თვლემდა. არაფერს ხედავდა, არაფერს გრძნობდა, მხოლოდ ოცნებით ნაშენი ყველა კოშკი, თითქოს ინგრეოდა და ნანგრევებიც მის თვალწინ მიჰქონდა ადიდებულ, მღვრიე მდინარეს.

ასე გრძელდებოდა გათენებადღე.

დილის ნათელს კოკისპირული წვეთმაც თან მოჰყვა და ოდასახლოს მასხურთავი ისე აახმოურა, თენგიზმა უცბად გაახილა თვალები. უმალ მაკას ხმაც შემოესმა:

— გამოიღვიძე? თენგიზ, ახლა მაინც მითხარი რამე. როცა გავემგზავრები, ხომ უნდა ვიცოდე, რა ვაკეთო.

— ვაკეთება აღრეა. ისე კი, ღღესვე გაემგზავრე და დაიმახსოვრე: ან ბავშვს დაიტოვებ, ან...

— ოჰო, რაღა, ულტიმატუმს მიყენებ თუ? კარგი. დავიტოვებ, მარა მერე იქნებ ინანო და გვიან იქნება, — ლოგინიდან ისკუბა, ტანზე აჩქარებით ჩაიკვა და ოთახში აქეთ-იქით სიარული დაიწყო.

გასამგზავრებლად ემზადებოდა.

...იმ ღღეს, საღამოს, თენგიზმა მაკა თვითონ გააცილა რკინიგზის სადგურზე. ვაგონშიც შეიყვანა და, როცა გამობრუნდა, გასძახა:

— ხუთ ღღეში ჩამოვალ თბილისში და პირდაპირ ბიძაშენთან მოვალ ბინაზე.

— ჰო, კარგი, კარგი! — მოისმა მაკას ხმა.

სადგურში მარტოდ დარჩენილი თენგიზი შინისაკენ ჩაფიქრებული გაუღდა გზას.

ცოტა ხნით შეჩერებულ წვიმას ძალა მოეკრიფა, უფრო ბრაზმორევით წამოსულიყო და ახლა მიწას ქართითა და ელქებითაც ემუქრებოდა.

ამ ქარაშოტში მოხვედრილ თენგიზს, თავზე კოხივით ურტყამდა წვიმის მსხვილი წვეთები, ქარი აქეთ-იქით არხევდა, აქანავებდა, ელვა თვალს ჭრიდა, მაგრამ ამ შემოტევას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, რადგან სულოერად უფრო ძლიერ შემოტევას ებრძოდა. მიდიოდა აუჩქარებლად და თითქოს მისთვის გარესამყარო არ არსებობდა.

შინ გაწუწული მივიდა. დედა მიეგება.

— შეილო, ცოტა შეგეცადა, გადაიღებდა.

— არაფერია, გავუძლებ, ნენა. მოსახლამში წვიმა არ ატანს, ტანი მშრალი

მაქვს, მერე ფიქრითაც უთხრა: „მგონი გულიც გამიშრა, ნენა“.

მოსასხამი დედამ ჩამოართვა, პირსახოცით შეუმშრალა თავპირი.

— მოერიდე, შვილო, არ გამიცვიდე. ეს ზაფხული ჰეჰეჰეხილთ და წვიმით დაიწყო.

— დაიწყო, ნენა.

როცა ივანეშემეს, თენგიზმა თავის ოთახში კარი შეაღო; მამის ხმაც მოესმა:

— თენგიზ, შენ როდის გაემგზავრები?

— ხელ დღეში. ინსტიტუტში ჯერ საქმე არა მაქვს.

— არა — ხვალვე, — ისეთი დაბეჯითებით უთხრა მამამ, რომ თენგიზი ჩაფიქრდა, — მიხვდა, ალბათ, აგრეთა საქირო.

— ჰო, კარგი, მამა, — გავიდა, ჩაწვა ლოგინში. ახლა იმასაც მიხვდა, თბილისში ხვალვე მისი გამგზავრება რატომ იყო საქირო და უკვე ნანობდა, დღესვე რომ არ გაემგზავრა მაკასთან ერთად. „განა მაკას შეუძლია მომატყუოს, ჩემი ნდობა ბოროტად გამოიყენოს? ეს ხომ ვერაგობა იქნებოდა და როგორ ვაბედავს? ჰო, მარა თუ ვაბედა, მერე გვიან იქნება“, — ეუბნებოდა მეორე ხმა.

გული არ უჩერდებოდა, „რადას ელოდები; აღეჭიო“, ეუბნებოდა, მაგრამ სად შეექძო წასულიყო ამ დამით, თბილისის მატარებელს ვერ დაეწყოდა, გვიანდა იყო...

„სხვა გზა არაა, ხვალ სადამომდეგალიაში ჩამწყვდეულ მიიმუნევიტ უნდა ვწერიალო აქვე, ჩემს სახლში“.

ოდნავ რომ ინათა, უძილობით ვაბრუებულმა დასტოვა ლოგინი და ჩაცმა დაიწყო. ფესაცმელ-ტანსაცმელი თითქოს გაურბოდა ხელიდან; წამდაუწუმ უვარდებოდა. ჩაიკვა. კარი ფრთხილად გააღო, ფეხაკრფით ეზოში ჩავიდა. ეზობალი აზრმიუცემლად შემოიარა. ხეხილის ფოთლებზე შერჩენილმა წვიმის წვეთებმა ჩამოხანა თავპირი, გამოაფხიზლა. ისევ თავის ოთახში დაბრუნდა, წიგნები სასთუმალთან სკამზე დააწყო, გაუხდელი წამოწვა. ფურცლავდა, ათვა-

ლიერებდა ხან ერთ, ხან მეორე წიგნს; კითხულობდა აქა-იქ; გასივებულ თავში ბევრი არაფერი რჩებოდა. საღამოს რკინიგზის სადგურისკენ გაუდგა გზას. მიდიოდა, ყურებში ჩასძახოდა მამის სიტყვები: „თენგიზ, ნუ აჩქარდები, სიღინჯეა საქირო.“

მეორე დღეს, დილით შეჩერდა თუ არა თბილისის რკინიგზის სადგურში მატარებელი, თენგიზი შეფიქრიანებული ჩამოვიდა ბაქანზე და ფეხს აუჩქარა.

„იქნებ დავიგვიანე, იქნებ უკვე ყველაფერი გათავდა“. მზად იყო გატყუულიყო, მაგრამ რაღაც სხვა გრძნობა აკრთობდა, აკეებდა; მაკას ბიძასთან სახლში მისვლა უძნელდებოდა, რას ვაიგებდა იქ, კარგსა თუ ცუდს, სასიხარულოსა თუ სამწუხაროს? ჩაჯდა ტაქსში და გაემგზავრა. რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს მით უფრო ღელავდა.

აი მიღწევა, მანქანა შეჩერდა, ჩამოვიდა, კიბე აირბინა და მეორე სართულში ღიღს თითი რომ დააჭირა, მოეჩვენა, თითქოს ზარმა საგანგაშოდ დარეკა.

გაიღო კარი და ქალის ხმაც მოისმა.

— აა, თენგიზ, შენც ჩამოხვედი? მობრძანდი, ჰო, რას ელოდები? ვამარჯობა! როგორ ხართ? — ჰკითხა მაკას ბიცოლამ, რადგან აღელვება შეატყო და თვითონაც შემკრთალმა ხელი ჩამოართვა.

— დეიდა მაშო, მაკა შინაა?

— მოდი, შვილო, დაჯექი, რად დგახარ. მაკა დღეს დილაადრიადა წავიდა.

„მაშ, საქმე ცუდად არ ყოფილა“ — გაიფიქრა თენგიზმა.

მაშომ განაგრძო:

— გუშინ სამშობიაროში იყო, ექიმს გაუსინჯავს და...

— მერე, მერე? — ჩქარობდა თენგიზი.

— მერე ისა, რომ არაფერი აღმოჩენილა.

— არაფერიო?! — და ის გაფითრდა.

— ჰო, შვილო, მაკას კი ეგონა, ფეხმძიმედ ვარო.

თენგიზმა წასვლა დააბირა, მაგრამ

უცხად რაღაც მოაგონდა, შეჩერდა:

— დეიდა, რა გითხრათ მაკამ, შინ როდის მოვალო?

ამ კითხვამ მამოც შეაქრთო და თენგიზის მავიერ საეარქელში თვითონ ჩაეშვა.

— მგონი, დღეს არ მოვა, შვილო.

— როგორ?!

— ღამით ამხანაგთან დავრჩები, ერთად ვიმაყადინებთო, მარა შენ რატომ დღეა, რა უქირს მერე?

თენგიზს დაუბნელდა თვალები და ახლა შეუბატყებლად დაჯდა დივანზე.

— თუ იცი, დეიდა, რომელ სამშობიაროში იქნება მაკა?

— რას ამბობ, სამშობიაროში რა უნდა, შვილო?

— გუშინ სად გასინჯეს?

— გუშინ? ჰო, სადღაც იქ, ვერის ბაზართან დამშორდა, აქ ახლოაო, მითხრა და წავიდა.

— კაი დეიდა, მადლობელი ვარ, — ძლივს გასაგონად უთხრა თენგიზმა და წამოდგა.

— მოიცა, შვილო, ბიძათქვენი ესაა ადგა და ახლავე გამოვა.

— არა, დეიდა, მეჩქარება. მერე გინახულებთ, ნახვამდის! — დაიძაბა და უცხად გაბრუნდა.

— ეს როგორ იქნება, რა მოხდა ასეთი, რაღაც ამბავია და არ ამბობ, შვილო... ჰო, კარგი, მაგრამ ჭკუით იყავით და მალე დაბრუნდით, — უთხრა გოგნებულმა მამომ და კარამდე მიაცილა.

როცა თენგიზი თვალს მიეფარა, ჩამოშვებულ ლოყებზე ხელები აქეთ-იქიდან შემოირტყა, წამოიძახა:

— ამას რას ვხედავ, რა გავიგონე! — და კარი ფრთხილად მიხურა.

ქუჩაში გასული თენგიზი პირველ თავისუფალ მანქანას ეცა:

— თქვენნი ჭირიმე, წამიყვანეთ, სასწრაფო საქმეა, თუ ვერ მივუსწარი, დაილუბება! — მიაძაბა მძღოლს და მანქანის კარი თვითონვე გააღო.

— ვინ დაილუბება, რას ამბობ, კაცო?

— შვილი!

— შვილიო? — უკვე შერბილებულა

ხმით გაიმეორა მძღოლმა და მანქანაც დასძრა, — საით?

— ვერაზე.

თენგიზმა ჯერ ერთ სამშობიაროში შეირბინა, გამოიკითხა, აქ ასეთი არასოდეს ყოფილაო, უთხრეს და წამსვე უკან გამობრუნდა.

— წავიდეთ, მეორეც აქვეა, ახლო!

როცა თენგიზი მეორე სამშობიაროში შევიდა, ფერი არ ედო. მორიგე ექიმის კაბინეტში შეაღო კარი. მაგიდასთან მჯდარი საშუალო ხნის შავგვრემანი ქალი წამოდგა, თენგიზის მკაცრმა გამომეტყველებამ შეაქრთო.

— რა მოხდა, ვინ გნებაეთ?

თენგიზმა მოახსენა, ვისაც ეძებდა და ისე მიაჩერდა, ოითქოს ექიმის თვალებში შეეძლო ამოეკითხა მართალი პასუხი.

ექიმი ჩაფიქრდა. მერე თვითონ ჰკითხა:

— თქვენ ვინ ხართ?

— ქმარი.

— აჰა, დიახ, დიახ, მერე აგრე რამ შეგამინათ? მალე გაიყვანენ და ერთ საათში ყველაფერს მოათავებენ.

— როგორ, რას ამბობთ? ვინ მოცათ ნება?!

— მოითმინეთ, დაწყნარდით, განა თქვენ წინააღმდეგი ხართ?

— გთხოვთ აქ მომიყვანოთ და მაშინ მიხედებით!

— კარგი, გეთაყვა მხოლოდ დაწყნარდით, აი, დაბრძანდით აქ, — ახლავე დავბრუნდები. დაბრძანდით, დაბრძანდით! — ხელი შეაშველა და დივანზე უჩვენა, — რას იზამთ, ჩვენმა პროფესორმაც დატოვება ურჩია, მაგრამ... — და ექიმი გავიდა.

თენგიზი დაჯდა, ქოშინებდა. ბრაზი ყელში უჭერდა, ცდილობდა როგორმე თავი დაეჭირა, არ გაეხმაურებია, რაც აქ ხდებოდა.

რაც ექიმი წავიდა, ხუთი წუთიც არ იყო გასული, მაგრამ დააგვიანესო ფიქრობდა და ახლა ლოღინიც უძნელდებოდა, დგებოდა, ჯდებოდა, ტუჩებს იკვნეტდა.

„რომ მოესწრო, ჩემს მოტყუებას შე-

ეცდებოდა; არაფერი აღმომჩინდაო, მეტყობა... ერთგული მეგობარიც ასეთი უნდა“, — ფიქრობდა.

კიდევ ათიოდე წუთი რომ გავიდა, ეჭვი აღეძრა, იქნებ ექიმებიც მატყუებენო და კართან მიიჭრა, გამოალო, უნდოდა გასულიყო, მაგრამ უცბად შეჩერდა: „ასე როგორ იქნება, ეს სიგიჟეა“, გაუელვა თავში და გამობრუნდა.

ღერეფანში ერთი ჩქარი, მეორე ფრთხილი და რაღაც შემკრთალი ფეხის ხმა მოესმა.

მიხვდა, მოდიანო და ადგილზევე გაშეშდა.

— აი, ჩაიბარეთ და წაიყვანეთ. ჩვენც დიდი მადლობელი ვართ, რომ მოუსწარით, გაგვაფრთხილეთ, გადაარჩინეთ, — უთხრა კაბინეტში წინ შემოსულმა მორიგე ექიმმა.

ამასობაში ფერწასული, თავჩაქინდარული და თითქოს ფეხშეკრული მაკა კართან შეჩერდა.

— თქვენთან ბოდიშს ვიხდი, რომ შევაწუხეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ექიმო! — უთხრა თენგიზმა.

— მხოლოდ ნახვამდის! მალე ისევ აქ გელოდებით, სიხარულით მიგიღებთ და ხელცარიელს არ გაგიშვებთ აქედან, — მიაღვენა ექიმმა.

თენგიზი წინ მიდიოდა, უკან ისევ მაკას შემკრთალი ფეხისხმა ესმოდა.

სამშობიაროდან ისე გავიდნენ, ერთმანეთისათვის სიტყვა არ უთქვამთ.

ახლა ორთავესათვის ყველაფერი აშკარა იყო.

ქუჩაშიაც ხმის ამოუღებლად უკან მიჰყვებოდა წინ წასულ თენგიზს სამშობიაროდან „ნაადრევად“ გამოყვანილი „ერთგული მეგობარი“ და არც თვითონ თენგიზი იღებდა ხმას.

იმ ქუჩის მოსახვევში რომ მიადწიეს, თენგიზმა, თითქოს ხმა ამოიღო, რაღაც დიდი შინაგანი სიმტკიცით უთხრა:

— თუ ისევ ჩემი ცოლი ხარ, სადამოს ცხრა საათზე გამოხვალ სადგურზე. ვაგზალში.

მაკა შეერთა, შეეყოყმანდა, ყრუდ უპასუხა:

— ჰო, კარგი... მირა ბიძაჩემთან არ მოხვალ?

— არა, — და იქვე დაშორდა.

მაკა წვიმით გაწუწული წიწილივით ფრთებჩამოვარდნილი, დაბნეული და გაოგნებული წინ და უკან კარგა ხანს დადიოდა ქუჩაში. გვიან მოისაზრა და ისევ ბიძის ბინისაკენ აიღო გეზი. შინ მისვლამდე ერთსა და იმავეს იმეორებდა: „როგორ მომატყუა, როგორ მიპოვა, ახლა რაღა ვქნა, რა წყალში ჩავარდე. ხაფანგი დაუგია და ვერ გამიგია“. შეფაკლებულ სახეზე წამდაუწუმ ისევამდა ხელსა და მართლაც ორივე ფეხებით ხაფანგში მოხვედრილ მელასავით აქეთ-იქით უმწეოდ აცეცებდა მოწყურულ თვალებს.

III

ზაფხულის პირველ დღეებში ატეხილი ელჰექტი და კოკისპირული წვიმები მიწელდა, დაცხრა.

ვარდისფერ ღრუბლებში მზემ გამოიხედა, მიწას გაუღიმა, ცხოველმყოფელი სხივებით უფრო ღრმად ჩაწვდა, გაუთბო გული.

გამოცოცხლებული ბალი და ყანა, ვენახი თუ ბალახი ხარბად დაეწაფა მიწის რძეს და ადამიანებიც, როგორც ყვავილებს ფუტკარი, ისე მიესივნენ, დააცხრნენ წვიმების შემდეგ გაფუებულ მიწას, რადგან ამქვეყნიური ყველა სიკეთე მიწიდან მოდის.

...იმ დღეს თბილისიდან დაბრუნებულ კოტეს შინ არავინ დახვდა. ოდასახლში ყველა ოთხი ოთახის კარები გააღო, მიმოიარა: „ნენა, ნენა! იძახდა. არავინ გამოეხმაურა და განჯინიდან საჰმელ-სასმელი თვით გამოალავა. მაგიდას მიუჯდა. ჰამდა, ღვინოს ასხამდა, სვამდა: „ეს გაუმარჯოს, ჩემს გამარჯვებას! ეს ჩემს დღემამას“. „ესეც ნანას და მანჭანას, რომელსაც გულმხურვალედ მოგვილი“, — იგონებდა სადღეგრძელოებს და ქიქაში ღვინის წვეთს არ ტოვებდა. კარგა რომ შეზარბოდა, სიმღერაც დაიწყო,

ტანთ ვაიხადა და სიმღერითვე ლოგინში ჩაწვა:

„ოდელია, დელია და...“ — მღეროდა თვალმოხუჭული, ბანსაც თვითონ ამბობდა, უყვილებდა კიდევ, მალე ჩაეძინა და სიმღერაც შეწყდა.

მთელი დღე ეძინა. მხოლოდ ზოგჯერ თუ გაახელდა უეცრად თვალს, თითქოს იმიტომ, რომ შეწყვეტილი სიმღერა გაეგრძობ. მერე ისევ ძილს ნებდებოდა, ხერინავდა.

სალამოს აივანზე შემოდგმულმა ფეხის ხმამ სახლი ისე შეარხია და ააგუგუნა, რომ კოტემ თვალები გაახილა.

— ვინაა აქ? — შემოესმა მამის ხმა და ყურები ცქციტა.

— მე ვახლავარ! — დაიძახა კოტემ და გაიციანა.

— იცინე, შვილო, სატირალი თუ არაფერია.

— სატირალი რად გვინდა, მამა, ჩვენ მაგიერ სხვებმა იტირონ. ჩვენ ლხინ-სიცილი და სიმღერაც გვეყოფა.

— კია, შვილო, თუ საქმე ასეა, მარა... შენ ის მითხარი, საქმე როგორაა, რა გზას ეწიე?

— მამაჩემო, პირდაპირ გეტყვი, გამოცდებს არა, მარა მანქანას კი წამოვეწიე და მალე სოფელშიაც მოვავრიალებ.

— მოავრიალებ, თუ მოახრიალებ ეს სულერთია; გამაგებინე, გამოცდებზე თუ ვადი, თუ ჩააბარე?

— ვასვლით ვაედი, მარა ვერაფერი ჩაებარე და წამოვედი.

აივანზე ფრთხილად შემოდგმული ფეხის ხმა გაისმა.

— კმარა, დაჩუმიდი, მგონი, ნანა მოვიდა. შენი წახდენის ამბავი არ გაიგონოს, — გააფრთხილა მამამ.

— ყველაფერი ვაგიგე, უკეთესი არც ველოდი, მამა, — უთხრა უკვე კარზე მომდგარმა ნანამ და შემოვიდა ოთახში, კუთხეში დაჯდა.

— ვითომ რაო, აგრონომიული ვახტანგ ქორიძემაც დაამთავრა, მარა ფეხით დაბლაცუნობს სოფლის შარაშუკებში. მე კი საცაა „ვოლგას“ გავაპენებ და ვნახოთ, ვინ გაასწრებს. მერე რამ-

დენიც უნდათ მომდიონ უკან ძაღლებმა და აგრონომებმა, — ფეხსაცმელი ჩაიკაშა.

— ესაა შენი ვაჟაკობა? — ჩაილაპარაკა ნანამ უკმაყოფილოდ.

— ცოფის ნემსებს რომ ვაუძელი, ვაჟაკობა არ იყო თუ? მერე რაღა საგნების და გამოცდების თავი შექნებოდა, შე ქალო.

მამამ ხელი ჩაიჭინა, წარბი შეკრა და მეორე ოთახში ბუზღუნით გავიდა.

ფერმიხდილი ნანა ნაჯაფარ ხელისგულს აცქერდებოდა, თითქოს იქ არკვევსო თავისი მომავალი ცხოვრების გზებს. კოტეს ამბავი კი არა, რაღაც სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რამ აწუხებდა ამჟამად.

— შენ რაღა მოგდის, თავი გიღელივით რომ ჩამოგიშვია, — შეეკითხა კოტე.

— დავიღალე.

— დაღლა მე მკითხე, დილის აქეთ მეძინა.

— შენ ვეძინა, მამაშენი კი მიწას დააკვდა, ცოდვია. შენსას და თავისას მარტო აკეთებს და გატყდა წელში.

— ჰო, მაგ კი სათქმელია, მარა მანქანა რომ ჩამოვა, გავიარ-გამოვიარ, ვინმეს ცხოვრებიდან ამოვარდნილს ვიპოვი, დაეკიჩრავებ და თეთრი ხელებით შავ სამუშაოს ვაკეთებინებ.

— შავია თუ თეთრია, საკუთარი ხელით ვაკეთებას მოგთხოვენ. ხალხი ბრმა როდია, ყველაფერს ხედავს.

— ო, ჰო! შენ ჩაის კრეფაში ლაპარაკიც შეგისწავლია და უკეთესი ინსტიტუტი არ დაგპირდება.

ინსტიტუტის ხსენებაზე ნანა შეკრთა, კოტეს გადაკრული სიტყვა ცუდად ენიშნა და ხმა ჩაიკმინა.

— რა ქენი, შვილო, სულ მთლად ავავაშენე და ისე ჩამოდი? — უთხრა ოთახში შემოსულმა დედამ და სასთუმალთან მიუჯდა.

— ნენა, აშენება ჩვენ აღარ გვაკლია; ვაპენება გვაკლდა, მალე ერთად ვაპენდებით მთელი ოჯახი.

— პენება და ხეტილი შენ არასოდეს გკლებია, შვილო, ჩვენ კი თავი არ

გეტყვიან... ახლა რაღა ვქნათ, რა გზას ადგებარ?

— ახლა მშვიდა და ვახშამზე ვფიქრობ. ჰო, დედა, ადე, ადე, ნუღარ აყოვნებ.

— მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, ესაა, ღმერთმა კი შეგარცხვინოს, შვილო. მამაშენმა ისე გაგზარდა, მე კი არა, სოფელმაც ვერ მოგტეხა, — უთხრა დედამ და ოთახი დატოვა.

კოტემ საწოლიდან ისკუბა, ჩაიცვა და აივანზე სიმღერით გავიდა. ეზოს გადახედა ზემოდან.

— სამოთხეში ვარ და ინსტიტუტს ვაკლავდი თავს, ესაა საქმე? — გრილი პაერი ხარბად ჩაისუნთქა და ხელი გაშალა, — სვი შემპანიურით შუშუნა პაერი, ზედ მიაყოლე დათაფლული ოდესა, ცოლიკოური, თვითონ ღმერთის ნაკურთხი ჩხავერი და, მკვდარიც რომ იყო, გამოცოცხლდები.

ნანა ადგილიდან აღარ იძროდა; გაბუტული ბავშვივით თვალეზი ევსებოდა ცრემლებით: სიხარულის მაგიერ კოტეს მუდამ რაიმე სამწუხარო მოჰქონდა და მისგან კარგს აღარც ელოდა, ამიტომ დუმდა და ამ დუმილში უნდოდა დაემარხა გულის ნალველი.

ივანშემს, ჩაწვენენ ლოგინში და მთელ სახლში მყუდროება დამყარდა.

— ისევ ფეხშიძემ რომ აღმოვჩნდე, შენ რას იტყვი? — ძლივს ხმა ამოიღო ნანამ და პასუხის მოლოდინში გაქავდა.

— რაო? ახლა ეს გვაკლია! რას გეტყვი ახალს, რაც მითქვამს განმეორება არ დაქირდება.

ნანაც ასეთ პასუხს ელოდა, მაგრამ მაინც იმედი ჰქონდა, კოტე დაუთმობდა, იმას არ მოთხოვდა, რაც ამ რამდენიმე თვის წინად მოთხოვა და კიდევაც გაიტანა თავისი. დაუთმობდა მით უფრო ახლა, როცა ინსტიტუტიდან გარიცხული უქნარა სამუდამოდ დაუბრუნდა თავის სახლკარს და სწავლაზე თავს აღარ იკლავდა. მაგრამ ნანა ისევ მოტყუვდა: ცხოვრებაში თავზე ხელადებული ქმარი, მომავალი თაობის მიმართაც ხელადებული, უსულგულო, დაუდევარი და უღარდელი რჩებოდა. ამას ველარ გაუძ-

ლო ნანამ, ძველი და ახალი ბოროტა გულზე ერთად მოაწვა და აქემდე უხმოდ გასუსული, ყუმბარასავით გაფეთქდა.

— ეს რა თქვი, კოტე! ვინა ხარ შენ, ქმარი თუ ჯალათი?! — იყვირა და ქვითინი მორთო.

— რა მოხდა, შვილო, ასე რამ გაგამწარა ამ შუალამეს? — მოაძახა ოთახში შემოსულმა დედამ და ნანას გვერდით მიუჯდა.

— ნენა, შენმა ვაჟიშვილმა დღევ დამიღამა და რაღა ვარ ახლა?

— დაწყნარდი, შვილო, ნუ გეშინია, ყველაფერს მოველეხა და ეშველება. ჩვენ ცოცხლები ვართ, რა მოხდა ასეთი.

— ჰო, მარა თუ მომიკლეს, ვინ გამიცოცხლებს, ვინ მოაბრუნებს იმ ქვეყნად წასულს!

— რას ამბობ, შვილო, ვერაფერი გავიგე, მითხარი რა მოხდა?

— ჰკითხეთ თქვენს ვაჟს და ყველაფერი ცხადი იქნება.

— ნიკოლოზის ბორკილები დავამხვრეთ და გადავყარეთ, ახლა კი ჩემს ცოლს უნდა დამადოს და შემეიკოს ხელ-ფეხი. ესაა საქმე? ამას ქვია თავისუფლება?

— როგორ, ისევ ბავშვის მოწყვეტა მოთხოვე თუ?

— აბა, რას ვიზამდი, ადამიანი რომ წყალში ვარდებოდეს, ხელში არ ვეცე? მერე და ინსტიტუტი იმიტომ დავტოვე, წიგნის მაგიერ ხელში ჩვილი ბავშვი დავიჭირო და ვულოლიავო? რა დროს შეილია, ცხოვრება ჯერ არ წამომიწყია და უმალ შვილს შევეწირო? არა, ამ ჰკუთით მე არ დაედევარ. ჯერ მე უნდა ვიცხოვრო, მერე შეილმა, როცა გული მოჭერებული მექნება.

— ეს კაი, მარა მე და მამაშენიც რომ ასე მოვქეუელიყავით, რა იქნებოდა?

— რა იქნებოდა და არ გავჩნდებოდი, მარა რადგან შეცდით და გამაჩინეთ, ახლა მეც მკითხეთ. ისე ჰო, ცოტა უფრო გვიან რომ გაგეჩინეთ, არ წავაგებდი; ყველაფერი მზამხარეული დამხვდებოდა ამ ქვეყნად და თავს არ ვიტკენდი.

— არა, არა! ამას ეშმაკებიც ვერ მო-

არჯულებს, მავასთან ლაპარაკი არ შემძლია, ისევ შენ მიხედვე, ნანა, იქნებ რამე გაუგო, ან შეასმინო, — წამოიძახა ბოლოს გამწარებულმა დედამ და შვილი ნანას დაუტოვა „მოსარჯულებლად“.

ნანა ტიროდა და არც ცდილობდა თავი ერთკა გაუტეხელ კედელზე. მან კარგად იცოდა, ან უნდა დაეთმო, ან მთლად გასკოდა. ამ ორი შესაძლებლობის სასწორზე შემდგარი ქანაობდა ამქამად და მთელი მისი გულსყური ამ საბედისწერო ქანაობას მიეპყრო.

კარგახნის შემდეგ კოტეს გაბმულმა ხერხემა მოაგონა, სად იყო. გამოერკვა, მიმოიხედა, ცრემლები პერანგის სახელოთი შეიშრო და კარგა ხანს იყუჩა. მერე მოლილი-მოქანცული თვითონაც გაიშალა საწოლზე და თვალი დახუჭა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისევ დათმო...

IV

თბილისიდან შინ დაბრუნებული მაკა და თენგიზი ურთიერთს ზოგჯერ თვალს უცხოებივით შეავლებდნენ და თითო-ოროლა სიტყვას უგემურ ლუკმასავით თუ ესროდნენ. „ქამე“, „დაწექი“, „წადი“, „გაიღვიძე“, „მოვიდნენ“, „დროა“, — მხოლოდ ამ მოკლე სიტყვებს იმეტებდნენ ერთმანეთისთვის.

მშობლები არაფერს ეკითხებოდნენ, თუმცა ისედაც ყველაფერს ხვდებოდნენ და ცდილობდნენ გაეტეხათ, გაეჭარწყლებინათ ახალგაზრდა ცოლქმარს შორის ჩამომდგარი ყინული.

— წადით ახლა კლუბში და ნახეთ რამე, ცოტა მაინც გაერთეთ, — ეტყოდა დედა სამუშაოდან დაბრუნებულ შვილსა და რძალს.

— არა, დღეს დაღლილი ვარ, შინ მირჩევნია. — თავს იმართლებდა თენგიზი.

...იმ დღით ქალიშვილების სიცილ-კისკისი და მანქანის გუგუნე ერთად მოისმა, მოახლოვდა. როცა გოგი გოგოძის ქიშკართან მიაღწია, მანქანა შედგა და გუგუნეც შეწყდა.

ქალიშვილები კი უფრო ახმაურდნენ და მალე ძახილიც მოისმა:

— მაკა, მაკა!

— მოვიდნენ! — გასძახა თენგიზმა მაკას.

მაკა დაფაცურდა, აივანზე გამოვიდა და თვითონაც გასძახა:

— ჰო, ჰო, მოვიდვარ! — კიბე ჩაირბინა, თემშარაზე გავიდა, — ქალიშვილების გამოწვდილ ხელებს ხელი მიაწვდინა და ფეხმძიმე ქალი, მანქანაზე მსუბუქად აცურდა.

მანქანაც დაიძრა.

მალე მამაშვილი — გოგი და თენგიზი — იქვე, ქიშკართან შეჩერებულ მანქანას გაპყვნენ.

ქალიშვილებით დატვირთული, წინწასული მანქანა ჩაის პლანტაციებს რომ მიუახლოვდა, მაკა შეტორტმანდა, შეირხა და ოდნავ სელაშენელებულ მანქანიდან ისკუპა; თავდაყირა გადატრიალდა და გზისპირას მიწაზე გაიშალა პირადმა.

ქალიშვილებმა ერთხმად შეჰკივიეს.

მანქანაც შედგა, ჩამოცვივდნენ და მაკას მიესვენენ.

— მაკა, რა მოხდა, რა მოგივიდა?!

— შე ქალო, აღქაჯი ხარ თუ ქალი, ვერ გამიგია.

— როგორ ხარ? — დააყარეს აქეთ-იქიდან.

— არაუშავს, ცოცხალი ვარ, წელი მეტკინა, — ძლივს ხმა ამოიღო, სახე შეეკუმუნა, დაიკვნესა, მუცელზე ხელი მოისვა.

ამასობაში ზედ მომდგარი მეორე მანქანაც შეჩერდა:

— რა ამბავია, რა დემართა, მაკა, როგორ ხარ?! — მიეპრა თენგიზი.

— რა მიჭირს, მარა... — აღარ დაასრულა.

— როგორ მოხდა, როგორ დაეცი?

— მანქანიდან გადმოვვარდი უეცრად.

— გადმოვარდი თუ... — გვერდზე მდგარ თმაქოჩრილ გოგონას უნდოდა ეთქვა, თვითონ გადმოხტიო, მაგრამ ფე-

ფინომ პირზე ხელი მიაფარა და დააჩუ-
მა.

— ხმა ჩაიკმდე! — წასჩურჩულა.
გოგოც მოვიდა.

თენგიზმა მაკა ხელში აიყვანა, იმავე
მანქანის კაბინაში გვერდით მოისვა და
მძღოლს გასძახა:

— მახარაძეში!

— მოიცა, შვილო, მეც თქვენთან მო-
ვდივარ! — მიაძახა მამამ. ისიც ჩაჯდა და
გაემგზავრნენ.

— ესაა საქმე? ამისთანა გავგივია? რა
აჩქარებდა?

— ასე რამ გადარია, ფეხშიძიმე ქალი!

— ნეტაი რა მოხდება, როგორ იქნე-
ბა?

— არაფერია, ალქაჯს რა მოკლავს,
შენ ის თქვი, ბავშვი თუ შერჩა.

— ჰოდა, ალბათ, ამიტომ ისკუბა მა-
კამ! — წამოიძახა ბოლოს ტიტკომ.

— დაჩუმდი, ტიტკო, არსად არაფე-
რი წამოგდეს! ახლა ისლა გვაკლია,
ცოლქმარი წაჩხუბო ერთმანეთს, —
უყვირა ფეფინომ.

— რავა, ვერ გაიგებს თენგიზი თუ?
ქვეყანა ჩალით კი არაა დახურული, რომ
მაკას ამბავი სადმე არ გამჟღავნდეს. მე
რომ დაეჩუმდე, ჩიტი დაიძახებს და
ქვეყანას მოსდებს.

— ჩიტი დაიძახებს, თუ ყვავი, ეს შე-
ნი საქმე არაა, შენ შენთვის დაეგდე და
დამუწე პირი.

— ჰო, კაი! დავმუწავ და დაეჯდები,
მარა ვოდორს ვინ მოგიტანს იმასაც ვნა-
ხავ, — ჩაიბუზღუნა ტიტკომ თავის-
თვის, გატრიალდა და გაეცალა.

საბარგო მანქანაში თენგიზის გულმ-
კერძზე მისვენებული, თვალმოხუჭული
და სუნთქვამილუული მაკა ხმას არ იღებ-
და, ხოლო გამწარებულ თენგიზს საკუ-
თარი გულისცემა მანქანის გუგუნშიც
ესმოდა: „დავიღუპე, ერთად მელუებვა
ცოლიც და შვილიც“, — ფიქრობდა
თენგიზი, ეგონა ვერც ერთს, ვერც
მეორეს ველარაფერი უშველიდა, ერთად
დაიღუპებოდა ორივე და აი, ამ მანქა-
ნითვე ახლა უფსკრულისკენ მიექანებო-
და თვითონაც.

— როგორ ხარ, მაკა, ახლა როგორ
ხარ?

— გული მერევა, თავი მტკივა, ხუ
გეშინია, — ძლივს გასაგონად ჩაიჩურ-
ჩულებდა ხოლმე მაკა და თვალებს მი-
ნაბავდა.

ავტომობილი სოფლის საბჭოსთან შე-
ჩერდა.

სოფლის ექიმმა სახელდახელოდ გა-
სინჯა ავადმყოფი და თენგიზის აზრი
დაადასტურა:

— დიახ, დიახ, მახარაძეში! საავად-
მყოფოში დააწვევენ და მოარჩენენ.

ამასობაში იქვე კოლმეურნეობის თავ-
მჯდომარის, კირილეს მანქანაც შეჩერ-
და.

კირილე ჩამოვიდა და ექიმს მიეჭრა:

— საქმე როგორაა, რაა საქირო?

— მახარაძეში, — გაიმეორა ექიმმა
და გამხდარ სახეზე ხელი ჩამოისვა.

— აი, ჩემს მანქანაში ვადმოიყვანეთ
და გაემგზავრეთ, ჰო, მიდი, მიდი!

ავადმყოფი კირილეს მანქანაში გადა-
იყვანეს, ექიმიც ჩაჯდა და გაემგზავრ-
ნენ.

— ასეა, სიფრთხილეა საქირო. ფეხ-
შიძიმე ქალი მანქანას კი არა, ლოკო-
კინასაც უნდა მოერიდოს, — თუ წინ
დაუხვდა, გვერდი უნდა აუქციოს და
მიიმალოს ბუჩქებში, — ამბობდა ხან-
შესული, წვერმოშეებული, თავგაბ-
რტყელებული სოფლის ექიმი, თანაც
კეხიან ცხვირზე კალიასავით დასკუპე-
ბულ სათვალეს იხსნიდა, წმენდდა,
კვლავ იკეთებდა და ჭრელ თვალებს
უცნაურად აციმციმებდა.

თენგიზი ცდილობდა რაღე საიმედო
ნაპერწყალი აღმოეჩინა ექიმის თვა-
ლებში, მაგრამ რამდენიც არ ეცადა,
საიმედო ვერაფერი იპოვა და ამჯობინა
შეკითხვებიც აღარ მიეცა. გატრუნუ-
ლი უსმენდა, გამალებით უცემდა გუ-
ლი.

— მე ასე მგონია, საშიში არაფერია,
ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლის,
თქვენ რას იტყვი, ექიმო? — უფრო
რძლისა და შვილის გასამხნეებლად
ჰკითხა გოგამ და ექიმს თვალი ჩაუკრა.

— ჰო, რასაკვირველია, ჩაივლის, — თითქოს რაღაც ორპროვინაღ დღემატა ექიმმა, — ხდება, ყველაფერი ხდება ამ ქვეყნად.

მახარაბეში შესული მანქანა ერთი მოზრდილი შენობის შესასვლელთან შეჩერდა.

— მივიდით! — დაიძახა ექიმმა და ჩამოვიდა.

მაკა საავადმყოფოში მოათავსეს და მამაშვილი სასტუმროში წავიდნენ.

— თენგიზ, ნუ გეშინია, მაკას არაფერი გაუჭირდება, — უთხრა მამამ.

თენგიზი გაოგნებული მიიბიჯებდა. ყელში რაღაც მარწუხივით უჭერდა.

მალე სასტუმროში ექიმიც მოვიდა. ჭრელი თვალები ააციმციმა, სათვალე ცხვირზე გაისწორა, ჩაახველა და უფრო დაწვრილებული ხმით გაამხნევა ჰირისუფალი:

— ჰო, ჰო, ვთქვი და აგრე: გაივლის, ქალს არაფერი გაუჭირდება, ჰო და, იქნებ ბავშვიც არ მოწყდეს. ახლა კი შეგიძლია წავიდეთ, ყველაფერი რიგზე იქნება...

— მე ვერსად წავალ, ექიმო, — ყრულ უპასუხა თენგიზმა.

— ჰო, ჰო, თქვენ შეგიძლიათ აქ დაელოდოთ, მერე მეუღლეს ხელი გამოსდოთ და ერთად ჩამობრძანდეთ სოფელში.

— მამა, შენ წადი. ყველაფერს გაცნობებ...

— კარგი, შვილო. ყოჩაღად იყავი. დაგირეკავთ, ნუ შეშინდები.

მარტოდ დარჩენილი თენგიზი ვერ თავსდებოდა სასტუმროს მომცრო ოთახში, წრილებდა, სუნთქვა ეკეროდა. საპრობილეში ჩაკეტილ პატიმარივით. ბოლოს ისევ კარს ეცა, გაალო, გაიჭრა ქუჩაში, საავადმყოფოსაკენ გაემართა.

„რატომ აქამდე არ მოვიფიქრე, იქნებ დავიგვიანე, იქნებ ყველაფერი გადავდა“, — იფიქრა და ფეხს აუჩქარა.

საავადმყოფოსთან რომ მიიღწია, უცბად შეჩერდა: „ასე როგორ გქნება, გაგივლო, იფიქრებს...“ გაუეღვა თავში და საავადმყოფოში შესასვლელი კარი ფრთხილად შეაღო, — მორიგესთან დარცხენილი შევიდა:

— უკაცრავად, ხომ მშვიდობაა თქვენთან... ხომ არაფერი მომხდარა...

სათვალბიანმა, ხანშესულმა მორიგე ქალმა კალამი დასდო და მიუბრუნდა.

— რას ამბობთ, რა უნდა მომხდარიყო?... თქვენ ვინ გინდოდათ?

— ახალგაზრდა ქალი, ფეხმძიმე, მაკა გოგოძე დღეს მოიყვანეს.

მორიგე წამოდგა გაიღიმა, დაბრძანდითო უთხრა და სკამზე უჩვენა.

— როგორ გეტყობათ გამოუტყდელია და გულჩვილობა. ნუ გეშინია, სარკმლიდან ვაღამსტარი კატა არ კვდება. ჩვენც ასეთი ვართ, ქალები. გამძლეობა კაცებზე მეტი გვაქვს, სიცოცხლეს კლანჭებით ვებლაუჭებით. თქვენ, ალბათ, ქმარი ხართ... დიახ, ასეთი რამ ახალგაზრდა ქმარს ემართება. ახლადშერთულ ცოლს ბუზმა ახლოს რომ ჩაუჭროლოს, ყაჩაღები მტაცებენო, იფიქრებს და ხანჯალს იშოშვლებს. ჰო, მარა თქვენს ცოლს რა უშავს. ყველა ზომა მივიღეთ და შესაძლოა შევეუნარჩუნოთ.

— გამდლობთ, — უთხრა თენგიზმა და გამობრუნდა. ცხადია, ბავშვის შენარჩუნებას გულისხმობსო მორიგე, გაიფიქრა, მაგრამ ქუჩაში რომ გამოვიდა, „შესაძლოა შევეუნარჩუნოთ“, გაიმეორა და ისევ დაეჭვდა: იქნებ მარტო ბავშვის კი არა, თვითონ მაკას სიცოცხლის შენარჩუნებაც აეჭვებსო, და მთლად აერია გზა-კვალი, აფორიაქდა. საავადმყოფოს პირდაპირ წინდაუკან სიარული დაიწყო.

„მე კი გაბუტული ვიყავი, ცივად ვეპყრობოდი და გული ვატკინე. ახლართი აფუნაზლაურო ეს უხეშობა, რითი დავსაჯო ჩემი თავი? მაგრამ განა ეს ყოველივე გვიან არაა? მაკას ცოლვა არ გამახარებს. იქნებ ყველაფერი გადაწყვეტილია და რაც მოხდა ვეღარა-

ფრით გამოვასწორებ“. კარგახნის შემდეგ ისევ საავადმყოფოს შესასვლელთან მივიდა, თითქოს მუქარით კარებს თვალები დაუბრიალა, თუმცა შიგ შესვლა ვეღარ გაბედა. დახარა თავი და გაღახულივით ისევ სასტუმროსაკენ იბრუნა პირი. მიდიოდა, გული უკან რჩებოდა. სვლა შეანელა, წყალდამშრალ წისქვილის ბორბალივით შემოტრიალდა. „სადღა მივდივარ? ყველაფერი უკან მრჩება და სასტუმროში რაღა საქმე მაქვს?“

ისევ უკან გაუდგა გზას.

სალამომდე ერთხელ კიდევ გაბედა შეეღო საავადმყოფოს მძიმე კარები, შესულიყო და გაეგო მაკას ავკარგი.

თავს უკეთ გრძნობსო, არწმუნებდნენ, მაგრამ არ ჯეროდა, ყველაფერს თავისებურად საგანგაშო ენაზე თარგმნიდა.

გვიან, ღამით, რაღაც იძულებით, თავისთავზე ძალდატანებით ნაბიჯშემკრთალი სასტუმროში დაბრუნდა. შუქის ანთება ზედმეტად ჩათვალა და გაუხსნელი ღებანზე მიეგდო. „ვინ იცის, რა მოხდება ამ ღამით...“ იფიქრა. მისი წამალი ძილი იყო, მაგრამ ზოგჯერ ძილისათვის სიმშვიდის მოპოება ციხესიმაგრის აღებაზე ძნელია. ცდილობდა, მაგრამ თვალსაც ვერ ხუჭავდა. რაღაც ძალას გაეშეშებია თვალები და გარედან ოდნავ განათებულ სარკმელს განაბული მიჩერებოდა. ცუდ მოლოდინს გული შეეკუმშა, თითქო დაეპატარავებინა.

ტელეფონის ზარი გაისმა. თენგიზმა ყურმილი აიღო:

— საიდანაა? თენგიზი ვარ!

„თენგიზ, სად იყავი ამდენხანს? რამდენჯერმე დაგირეკეთ, მაგრამ ვერ გიპოვეთ“, — გაისმა საპასუხო ხმა.

— საავადმყოფოში ვიყავი.

„შენ, ალბათ, ღელავ, მაგრამ საშიში არაფერია, ესაა საავადმყოფოშიც დაერეკეთ, უკეთ ყოფილა“.

— კარგი, შევეცდები, ნახვამდის მამა და ყურმილი დასდო:

„კარგია, ახლა თუ ცოცხალია, იქნებ

გადარჩეს“... გაიფიქრა იმედმოცემულმა.

ილიას ლიპაძე

ძილის ტალღამ თითქოს სასტუმროდან გაიტაცა თავისი გზით.

ღილა აღრიან თვალი რომ გაახილა, მოაგონდა, აქედანაც შეეძლო საავადმყოფოში დაერეკა და გაეგო მაკას ამბავი. მილი აიღო. ტელეფონის გაბმული ზუზუნი შემოესმა. „ვინ იცის, რა მოხდა წუხელ“ — გაიფიქრა და მილი ისევ დასდო. მეტი სულიერი ძალა რომ მოეპოებია, ოთახში სიარული დაიწყო. „ტელეფონით დარეკეცე ზოგჯერ ღილი გმირობა ყოფილა, მარა ჯობს წავიდე, ჯერ შორიდან მივაყურებ, მერე კი...“

ქუჩაში რომ გავიდა, აღამიანის ქაჩანება არსიდან ისმოდა; ოდნავ შენთებული ცის მკრთალი შუქი იღო მიწაზე და ქადრების ბაღში ფოთოლიც არ იძროდა. თითქოს რაღაც დიდმნიშვნელოვანი მოვლენის მოლოდინს ერთნაირად ჩაეფიქრებია და გაეშეშებია ქუჩები, სახლები, ბაღის შესასვლელთან აღმართული, მოჩუქურთმებული სვეტები. თენგიზის თვალში ახლა თითქოს სასწაულის წინაშე იდგა ყოველი და სუნთქვამეკრული მოელოდა თენგიზისათვის შეუცნობელს, მაგრამ რაღაც გარდუვალ, უშენაეს განაჩენს. საავადმყოფოსაკენ გაემართა, საკუთარი ფეხისხმა ისე კენტად და უცნაურად შემოესმა ამ პატარა ქალაქის დიდ მყუდროებაში, რომ სვლა შეანელა, შეჩერდა. ეგონა, ჩემი ფეხისხმა მთელ ქვეყანას ესმის და უკვირს, ვინაა ეს თავხედი, ასე უხეშად სიმშვიდეს რომ არღვევსო.

„აღრეკა, დამცინებენ. არ შეიძლება“ — იფიქრა. მოსახვევში ფეხის ხმა შემოესმა და გულზე მოეშვა, უფრო თამამად განაგრძო გზა. ქუჩაში კარგა ხანს წინ და უკან იარა. მერე საავადმყოფოში მორიგესთან შევიდა.

— აა, ისევ თქვენ ხართ? გათენებამდე მაინც მოგეთმინა შე კაცო! — შორიდან მიიძახა მორიგემ, — რადგან ვერ ითმენთ, ჩაიბარეთ და წაიყვანეთ!

— როგორ?!

— ჰო, ცოცხალია და შეგიძლიათ მინ ერთად წაბრძანდეთ.

— როგორ, ორივე?

— მეორე ვინლაა?... ჰო, ჰო, შესმის, გასაგებია... ორი კი არა, იქნებ სამიც ეყოლოს, მარა ამას მოლოგინების შემდეგ გაიგებთ.

— რას ამბობთ, ექიმო, ეს მართალია?

— მართალია, მაგრამ ერთი რამ მაინც საოცარია, როცა შენს ცოლს სატივარმა გაუარა, სწორედ მაშინ მორთო ტირილი: „რალა მეშველება, ახლა რალა ვქნაო“, — იძახდა.

— ახლა რალას ამბობს, ექიმო?

— გაბუსუნებულია და თითქოს ჯავრობს, ისეთი მკაცრი თვალთ გვიცქერის.

— გამადლობთ, ექიმო.

დაბრძანდით. აქ დაგველოდეთ. ახლავე მოვალთ. უთხრა ექიმმა და გავიდა.

თენგიზს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, სკამზე ვერ ჯდებოდა, ისე იყო ამსუბუქებული, სიმძიმე დავკარგე და შესაძლოა ბუმბულივით ავცურდეთ ჰაერში.

„რა ატირებდა? — შეეკითხა თავის თავს — სიკვდილი უკან რომ მოიტოვა, ალბათ, მერე იგრძნო მთელი მისი საშინელება“. დაადგინა.

კარებში მორიგის სიცილი მოისმა:

— აჰა, ჩაიბარეთ და აიბარგეთ აქედან! — მოაძახა თენგიზს. მაკა წინ შემოუშვა და თვითონაც შემოჰყვია. — ქალი კი არა, ვეფხვი ყოფილა.

თენგიზმა მაკას ხელში ხელი ჩაავლო:

— მადლობა ღმერთს, — ჩაიჩურჩულა და მერე ექიმს ღიმილით უთხრა.

— არასოდეს დავგიწყებთ, ექიმო!

— ჰო, ჰო, ნუ დამივიწყებთ, მაგრამ აქ აღარ გნახოთ, — მიაძახა და კარებში გააცილა ცოლქმარი.

გამხიარულებული თენგიზი ცაზე ხელს აელეხდა, მაკას თავის განსაცდელის ამბავს უყვებოდა.

მაკა ღუმდა, თავი დაეხარა და თითქოს ნაბიჯს ითვლისო, ყურდაცქვეტილი და წარბაწურული უხალისოდ მიჰყვებოდა გვერდიგვერდ.

მინდვრის სამუშაოებიდან წამოსული ვაჟები და გორაკებიდან დაშვებული ჩაის მკრეფავი ქალიშვილები გზაჯვარედინზე შეერთდნენ. ენამახვილობდნენ, როგორც ყოველთვის, პაექრობდნენ, იცინოდნენ, მღეროდნენ. ამ საერთო ქრიაშულში ისვენებდნენ სულით და ხორციით.

ცოტაოდენი მანძილი რომ გაიარეს, მანქანის მოსვლამდე ერთ პატარა მინდორზე დასხდნენ.

— დღეს ევკალიპტების ჩრდილში ღრმად ჩაძინებული ტიტეკო ქალიშვილებმა გოდორში ჩასვეს და დააგორეს დაღმართზე, მარა სანამ ტაფობში არ ჩაგორდა, ტიტეკოს არ გაუღვიძნია, — იცინოდა ფეფინო.

— ტიტეკო გოდორთან ერთად ხტებოდა ჰაერში, — დაუმატა მაკამ.

— მიფრთხილდი, მაკა, შენ თუ მანქანიდან ისკუბე, მე გოდორით რომ ვიხტუნო, რა დაშავდება.

— რას ამბობ, შე სულელო! — უყვირა მაკამ.

— სულელი ვარ თუ ბრძენთაბრძენი, იმდენი კი ვიცი, რატომ ისკუბე!

— დაჩუმდი, ხმა ჩაიკმდე, ტიტეკო, თუ არა... — დაემუქრა ფეფინო.

— ჩემი დაჩუმება ამას ვერ უშველის, ბავშვის მოწყვეტა უნდოდაო, ამბობენ და აი ყველამ იცის თენგიზის გარდა.

მაკას სისხლისფერი დაედო სახეზე.

გაფითრებული თენგიზი კი წამოდგა. — დაჩუმდი, შე ძილისგულდავ, რას რომავ თუ იცი! — ისევ დაუყვირა და მიეჭრა ფეფინო, მაგრამ თენგიზმა შეაჩერა, ტიტეკოსთან თვითონ მივიდა.

— ეს მართალია?

— მაკა გოგოებში თვითონვე ჩიოდა: რალა მეშველება, ვისკუბე, მარა მაინც შემრჩაო.

— კარგი, თუ ასეა, შენ რალას გერჩი, — უთხრა თენგიზმა და ქალებს გაჰხედა.

ხმას არავინ იღებდა.

ეს ყრუ დუმილიც ადასტურებდა ტიტიკოს ნათქვამს. ამიტომ თენგიზიც უხმოდ გაბრუნდა, შინისაკენ ფეხით გაუღდა გზას.

— მოიცა, თენგიზ, — მიამძახა დათამ.

— დათუნ, დაეწიე და შეაჩერე! — თხოვა ფეფინომ.

დათა გამოედევნა, დაეწია და მხარში ხელი ჩაავლო:

— შეჩერდი, თენგიზ, რაკი უმტიკვენულოდ გადარჩა, დაიფიწყე რაც მოხდა!

— ამის დაფიწყება არ შეიძლება, საკუთარი შვილი დედის ხელით უკვე მოკლულია, თუმცა რაღაც სასწაულით გადარჩა.

— ჰო და, რადგან გადარჩა, უნდა აბატო, ეს უკანასკნელი გაფრთხილება იქნება მაკასთვის.

— შენ დარჩი, დათუნ ისე ვარ, შინ არც კი მინდა მივიდე, გული არ მიმყვება, ფეხით გავივლი, იქნებ ბოლმა შევიმსუბუქო და მერე ვნახოთ.

— თენგიზ, იქნებ ჩემთან წამოხვიდე ამაღამ.

— თუ გამიპირდა, თვითონ მოგნახავ, ახლა კი წადი, — უთხრა და გაშორდა.

— ნახვამდის, თენგიზ! — მიადევნა დათამ და გამობრუნდა.

წინ წასული თენგიზი მიიჩქაროდა. არ უნდოდა ვინმესთან შეხვედრა, ყველას გაურბოდა, ერიდებოდა, რომ იქნებ თავისთავთან მარტო დარჩენით გაერკვია, ნათლად წარმოედგინა, რაც მას შეემთხვა: „დამცინა, მომატყუა, გამათამაშა, ქვეყნის თვალში სასაცილო გამხადა. მე კი სულელივით დავეხეტებოდი ქუჩაში და მეგონა, ქვეყანა თავს მენგრეოდა, ვიღუპებოდი. ჩემს თავს ვაბრალებდი რაც მას შეემთხვა. რა არის ეს? ასე რომ გაამწარა, რამ აიძულა?“ — ევითხებოდა თენგიზი თავისთავს, მაგრამ მაკას საქციელს ვერავითარი გამართლება ვერ უპოვა.

მანქანის გულში შემოესმა და ბუჩქს ამოეფარა. ავტო რომ გაშორდა, შქერის ბუჩქებში ბილიკი იხოვა და გა-

ედევნა. მისთვის ახლა მნიშვნელობა იმას არ ჰქონდა, სად მიეყვანდა ეს ევრო-წრო ბილიკი. მთავარი ის იყო, მხელი არავის შეეშალა და ასე განმარტობით ევლო, ესეტიანა ახლომახლო ბუჩქებში თუ ჩირგვებში, რომ იქნებ გაეფანტა მის თვალწინ გაჩენილი ბურუსი და თავისი მომავალი ცხოვრების უფრო ნათელი გზა დაენახა. იმ ბილიკით ქვევით დაეშვა. ნაცნობ მდინარეს მიადგა. პატარაობისას აქ რამდენჯერ უბანავია და დაუჭერია თევზები. მდინარეს გვერდით გადაუშვებდნენ, ამოაშრობდნენ და პირდაღებულ თევზებს ჰყრიდნენ რიყეზე. ახლა კი ისიც თევზივით აღებდა პირს, ჰაერი არ ჰყოფნიდა, იღრჩვებოდა უკვე ყელში მომდგარი ბოლმით.

მდინარის პირას ბეჭობზე დაჯდა, ტირიფის ხეებით გარშემორტყმულ მდინარეს გაჰხედა. ზევით მომტირალი ქალის თმებივით ჩამოშვებული ტირიფის რტოებს ახვევდა, აბორიალებდა პატარა ჩქერა და იმ რტოებიდანვე ცრემლებივით წვეთავდა გაანჩხლებული მდინარის პაწაწინა შეხეებში.

თენგიზი თვალს არ აშორებდა სევდის მომგვრელს, მაგარამ მაინც მიმზიდველ სურათს. ეგონა, მის გამრ სტირობდნენ ის ტირიფები, რადგან ბავშვობიდანვე იცნობდნენ მას. ერთად იზრდებოდნენ წლების მანძილზე. და ვინ იცის, იქნებ ახლა იმ ამბებსავე ჰყვებოდა სიბჭებზე აჩბრიალებული პატარა მდინარე; ჰყვებოდა ზღაპარავით და, ალბათ, არც არასოდეს დაასრულებდა. იქნებ იმიტომ, რომ დასაბამიდანვე დაუსრულებელი ზღაპარია კაცის ცხოვრებაც.

ღამე ეშვებოდა ფრთხილად, უხმაუროდ და ფეხაკრფით. სიბნელეში ბურუსში ეხვეოდნენ, ინთქმებოდნენ მდინარის პირას აქეთ-იქიდან გარაზმული ტირიფის ხეები, თვითონ მდინარეც, თუმცა სიბნელე ვერ ანელებდა და ვერც აჩერებდა მდინარის ჩხრიალს.

აი, უკვე სიბნელემ მოიცვა ყოველი, თენგიზი გამოერკვა, წასვლა დააპირა,

მეგრამ მთაზე ამოგორებულმა პირსაცხე მთვარემ თვალის დახამხამებაში განდევნა ბნელი და მდინარეზე უფრო წარმტაცი სურათი დახატა.

ტრიფის ჩრდილები ნელა ირხეოდნენ აციმციმებული მდინარის პირზე. აქა-იქ მდინარის გაშუქებულ სარკეში ქალწულებივით ტანაწურულები იხედებოდნენ, იღვინებოდნენ და თითქოს ცეკვავენო, ხელებს წამდაუწუმ აქეთ-იქით იქნევდნენ. „ვის აქვს უფლება შვილს მოუსპოს სიცოცხლე და არ ანახოს ეს სასწაული?“ ფიქრობდა თენგიზი. მერე იმ მდინარეს აპყვა ზევით და ფეხს რამდენჯერაც მოიცვლიდა, იმდენავე ახალი, უფრო წარმტაცი სურათი იშლებოდა მის თვალწინ. ასევე თვითონ მდინარეც იცვლიდა ხმას, ალბათ იმის მიხედვით, თუ რა ამბავს ჰყვებოდა. ყველა ეს ხმები, თენგიზს თითქოს სულში ეღვრებოდა და მიჰქონდა მისი ბოღმა-ვარამი.

სოფლის წისქვილთან რომ მიადწია, წყლის გადასაშვებ საგდულზე ჩამოვარდა. წისქვილის მონოტონურმა რაბრაბმა თითქოს საფქვავევით ჩამოათავა, ჩამოაფრქვია მის გულში ჩარჩენილი ნაღველის ნასახი და უფრო თავისუფლად წამოდგა: „დათა მართალია, რაკი გადარჩა, ერთხელ კიდევ შეიძლება დავეთმო“, — გადაწყვიტა, უფრო მსუბუქად გაედევნა შინისაკენ ისარივით ვატყორცნილ ბილიკს.

V

მოვიდა შემოდგომა ოქროს სამოსით, სოუხეთა და სიმსუყით კალთავავსილი, სიმწიფის გამაბრუებელი სურნელით ხელუხვად ნაკური. ზაფხულის პაპანაქება უკან იყო მოტოვებული და სოფელმა მსუბუქად მოითქვა სული.

სულისა და ხორცის დამამშვიდებელ მყუდროებას მოეცვა ყოველი და ფოთლების ოდნავ შერხევაშიაც იგრძნობოდა რაღაც ტკბილი მყუდროების უსასრულო განცხრომა ბუნებაში თუ ცხოვრებაში.

თითქოს ადამიანები ყურს უგდებდნენ ბუნების უსიტყვო ლაღად და პერიქით, ბუნებასაც ესმოდა ადამიანების ყველა ავკარგი, ფიქრები, სიტყვები, რადგან ერთ ტაფაში იწვთდნენ მისი. თუმცა თუ ადამიანები ბუნებას გასაღებს არ მოუნახავდნენ, მის საუნჯეთა წიაღში არ შეაღწევდნენ და საკუთარი ხელით სახეს არ შეუცვლიდნენ, მოსპობოდნენ. გამონაკლისი მაინც იყო ამ კურთხეულ მიწაზე:

კოტე სრულიადაც არ ფიქრობდა ხელი გაენძრია, დაერღვია მყუდროება და ბუნების საუნჯეში შეელო კარი, ხოლო დროს გატარებაში ყველას წინ უსწრებდა, მით უფრო ახლა, როცა ცისფერ „ვოლგას“ დააქროლებდა. ეს ბუნებრივად ეჩვენებოდა, რადგან მისი „ვოლგის“ ფერი ყველა ქვეყნის ცას ეხამებოდა.

ღიას, სიწყნარე იყო ბენო სიორიძის ეზოში და შემწიფებული ნაყოფით რტოებდახრილი ლიმონების, ფორთოხლებისა და მანდარინების გვერდით „ვოლგა“ ბრწყინავდა, თუმცა ოდასახლის აივანზე გამოსული ნანას გული ამ „ბრწყინვალებას“ უფრო ჩაეშავებია, მოეკლა.

აიენის კუთხეში მდგარ კოტეს თითი აებრია. თვალეები გადმოეკაცლა და რიხიანად გაიძახოდა:

— არა და არა! ვთქვი და გათავდა! მე თუ მივატოვე, შენ რაღად გინდა, საით მიძვრები, — შენი ინსტიტუტ გათავდა ცოლი ნასწავლი, ქმარი უსწავლელი, ვის გაუგონია! ეს რანაირი სურათი გამოვა; რაც ჩვენ სწავლა გვებრდება, მეტიც გვაქვს და გვეყოფა. ჩვენს სოფელში თორმეტი აგრონომია და მიკამეტე გოჭივით ვის რად სჭირდება!

— ყველაფერს ნუ მომისპობ. კოტე, შეილი აღარ შემარჩინე, ახლა სწავლასაც გინდა მომწყვებო, ბარემ სულიც ამომხადე და გაათავე. — ტიროდა ნანა.

— მე შენი სული რათ მინდა; ინსტიტუტებს და მატრიკულებს კი დაემშვიდობე; აა, იქნებ ინსტიტუტში იმატომ

მიგიწევს გული, იქ თენგიზს შეხვდები და ძველებურ ჰანგებს დააღლინებთ. ვერა, ვერ მოგართვი და გეყოფა!

— ეს რა თქვი, კოტე! — იყვარა ნანამ, ოთახში შეიკრა, ტახტზე პირქვე დაემხო და აქვითინდა.

კოტემ ხელი ჩაიჭნია, ეზოში ჩავიდა, „ვოლგას“ სული ჩაუდგა, აახრიალა და გააქროლა.

მთელი იმ დღის განმავლობაში ნანა გულამოსკვინით ტიროდა.

კოტეს მშობლებიც შეეცადნენ გავგოთ რა მოხდა, მაგრამ ნანა გარკვევით არაფერს ამბობდა; კარგად იცოდა, გაჩუქებულ კოტეზე მშობლებს არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო.

— არაფერი, კოტემ მაწყენია, სხვა არაფერი! — ამბობდა ნანა და გაურბოდა ყოველგვარ შეკითხვებს. ახლა სულ მარტო ყოფნას ამტობინებდა, რომ თვითონვე სხვების ჩაურევლად იქნებ მოენახა თავისი გზა-კვალი.

დადიოდა ეზოში, სახლში, როგორც ვინმე უცხო სტუმარი, ყველაფერს რაღაც სხვანაირი გრძნობით უთვალთვალებდა, მაგრამ აღარაფერი აქ აღარ უყვარდა; უკვე ყველაფერთან საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი და მისი სული აქ ვეღარ ეტეოდა, ვერც სახლში, ვერც იმოდენა ეზოში. რაღაც მაინც აჩერებდა და ვერ ახერხებდა გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი.

ასე დაღამდა.

ლოგინშიც ჩაწვა, გრძნობდა აქ სიმშვიდეს ველარასოდეს ეღირსებოდა. იწვა თითქოს როგორც მგლის ბუნაგში ჩამწყვდეული შვლის ნუკრივით განაბული, შეძრწუნებული. და „მგლის“ მოსვლის შიშით უთრთოდა გული.

„ახია, ჩემზე ყველაფერი. ახია... მოვიდეს ბარემ და მომისპოს სიცოცხლე; გათავდება, ბოლო მოეღება ყოველგვარ ტანჯვას... ნეტავი, სად და რისთვის გავრბოდი? მამაჩემი ცდებოდა, აღიარა და შეურჩიდა. მე კი ტყვემალზე შერჩენილ ჯოხივით ჰაერში გა-

მოვეკიდე და ახლა არც მიწის ვარ და აღარც ცის. ახია, ჩემზე ყველაფერი ახია, მარა ახლა რაღაც ვეზას დავადგე, რა წყალში ჩავვარდე? ჰო, მარა წყალში რომ ჩავვარდე, განა თავს მოიკლავს? მეორე დღეს „ვოლგას“ გააჭენებს, ნანას მაგიერ მაროს ან ვარდოს მონახავს, გააბრძოლებს, შოიყვანს და „გააბარებს“ ჩემსავით... მაშინ ნანას ხსენებაც კი მოისპობა ამ მიწის პირზე“.

ნაშუადამევეს კოტე მთვრალი დაბრუნდა შინ. აივანზე შემოდგა თუ არა ფეხი „პოვრერა, აბარერაც“ გაისმა. ტანთ გაინახა, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი მიყარ-მოყარა, ზოგი სკამზე, ზოგიც იატაკზე, იმღერა, იროხროხა, ჩაწვა ლოგინში და სიმღერა ხვრინვით შეცვალა.

ლოგინში შვლის ნუკრივით განაბულმა, ზიფათს თავსდაღწეულმა ნანამ, რაღაც იმედით დააცეცა თვალები.

სიწყნარე იყო. მარტო კოტეს გაბმული ხვრინვა და ქშენა ისმოდა. გარეთ კი მთვარეს გაეშუქებია, დაემშვიდებია და ჩაეძინებია ვნებადამცხრალი მზეთუნახავივით განაბული სოფელი.

„კი მარა, სად წავიდე, როგორ წავიდე? თუ მაგას მივყევი საფლაგში ჩამიყვანს და მერე გვიან იქნება. ჰო, უნდა გავასწრო, არადა, ვიღუპები... ხალხს როგორ შევხედო, ან შინ რას მეტყვიან?... ჩემს გათხოვებას ხუთსი კაცი დაესწრო, დაბრუნებას კი ერთიც ვერ ნახავს. და რას იფიქრებენ, როცა გაიგებენ? თავი მომეჭრება საქვეყნოდ. იტყვიან, ამოდენა ხალხი რათ შეგვაწუხა, თუ ისევ შინ დაბრუნებას აპირებდაო... თითქოს ქვეყანა ინგრევია ან შენდებოა ისეთი ალიაქოთი ატეხეს ქორწილის დღეს იქაც და აქაც! ახლა კი იმოდენა ხალხის გადაწყვეტილი, მარტო მე გავაუქმო, ყველაფერი შევატრილო და არავის არაფერი არ შევეკითხო? მარა საქმე ხომ მე შემეხება და არა იმ ხუთს კაცს, ისინი ჩემს მაგიერ ხომ არ იტირებენ, ან იყვირებენ, როცა კოტე სიორიძის სიველურე

თავს დამატყდება. ისინი შორს არიან, მე კი მარტო ვარ და ვინ რას მიშველის? ღმერთო მიშველე! გადამდგმევინე რამე გონიერული ნაბიჯი, არა და ასე ჩემი ცხოვრების გაგრძელება არ მოხერხდება“, — ფიქრობდა ნანა.

როცა სარკმელს განთიადის მკრთალი შუქი შეეხო, თვალები დააცეცა, საწოლიდან წამოიწია: „თუ ახლა არა, მერე გვიან იქნება, დავიღუბები, ვაბედე, ნანა! რამდენი ქალი ცხოვრობს უქმროდ და მეც ასე დავებერდები დამშვიდებული. არა და, მაგისათვის რა ვარ მე ახლა? ბაზარზე წაყიდი მონა? ჰო, მხოლოდ მონა. ასეთ ყოფნას სიკვდილი ჯობს“. — გადაწყვიტა, წამოდგა.

თითქოს კატის ფეხით დაცოცავდა ოთახში. თავის ჩემოდანში აწყობდა, ალაგებდა რაც პირველ რიგში თან უნდა წაეღო. ყველაფერი მოათავა და მიმოხედა. უეცრად ცრემლები მოერია, ქვითინი რომ არ დაეწყო, პირზე ხელი მოიჭირა, ჩაახშო ცრემლები, ოთახიდან უხმაუროდ გავიდა, დაეშვა კიბეზე და ფეხს აუჩქარა.

ეზოდან რომ გადიოდა, კიშკრის კრიალი ისე შემოესმა, თითქოს ადამიანით ეკითხებოდა: „რას ჩადიხარ, თუ იცი, სად მიდიხარ ამ დილა ადრინა?“ ნანამ შინისკენ თავდახრილმა გაქუსლა.

გზაზე ჭერ არავინ ჩანდა. დიდ მყუდროებაში საკუთარი ფეხის ხმა მიაცილებდა, მიიჩქაროდა, თანაც უკან იხედებოდა, კოტეხს „ვოლგა“ ხომ არ მომდევსო. ხიდზე რომ გავიდა უფრო თავისუფლად ამოისუნთქა; ეგონა კოტეხი ხიდს გამოღმა გამოსვლას ვერ გაბედავს, რადგან აქედან ჩემიანების სამფლობელო იწყებოდა, და ფეხი უფრო თამამად მოიკვალა, გულზე მოეშვა.

გზაზე აქეთკენ მომავალი ვიღაც ახალგაზრდა ვაჟის კრამანჭული შემოესმა და თავი დახარა, თავსახური სახეზე ისე ჩამოიწია, მარტო ცხვირი უჩანდა.

ახლა ყველაში ერიდებოდა, მტერსაც და მოყვარესაც რომ არ ეკითხათ, სად

და რისთვის მიდიოდა ამ დილაადრინა. ის ვაჟი შორიდანვე იცნო, მაგრამ სახე მოარიდა, გვერდი აუქცია, თითქოს ვერც შენიშნაო, ისე გაშორდა.

ვაჟმა თითქოს შეიცნო და გაუკვირდა:

— ნანა უნდა იყო, ამ ალიონზე საით მიდიხარ?

ნანამ წაიყრუა, თითქოს არაფერი გაუგონიაო და ფეხს აუჩქარა.

„თუ მართლა ნანაა, რაღაც მომხდარა“ — იფიქრა ვაჟმა და ისევ კრამანჭულით გაუდგა გზას.

„ნეტაი, სიკო სად მიდიოდა ამ ალიონზე?... ჰო, ალბათ, წისქვილზე, ის კრამანჭულით მიდის, მე კი — ცრემლებით“, — იფიქრა ნანამ.

რაც უფრო გაუძნელდა აღმართზე ასვლა, მით უფრო აჩქარდა: „საცა მივალწევ და ახლა შეჩერება სახიფათოა“ — ფიქრობდა. ქოშინებდა, აღმართს ეძალებოდა. „ჰო, კაი, მივალწევ, მარა შინ როგორ შევიდე, რა ვთქვა, როგორ გავებდო? ნეტაი მაშაჩემი მაინც რას მეტყვას? ჰო, მოხდეს, რაც მოხდება, აღარაფრის არ მეშინია, როგორც ენებოს, ისე მომეტყეს, რაც უნდა თქვას. მე კი შინიდან ფეხს არსად გავდგამ, თუნდაც ორკაპით დამითრიონ ცოფიანი ძაღლივით. ასე მირჩვენია, შინ მაინც მოვკვდები... აღმართი აათავა, ავიდა ზევით და გოგი გოგოძის სახლკარს ცალი თვალით გაჰხედა. „რა უჭირთ, კარგად არიან და იცხოვრებენ; აცოცხლოთ ღმერთმა, მე კი რაც მომივა, ახია“, და რკინის ჰიშკარს მაღდა, დააბრაზუნა. მერე მოაგონდა, ჰიშკარს აღარავინ კეტავდა, გააღო და შევიდა.

სამოოდ ნაბიჯი რომ მოიკვალა, მუხლები მოეკვეთა, ფეხი აერია, შეჩერდა. ჩემოდანი დადგა და ზედ ჩამოჯდა. თვალს აქეთ-იქით აცეცებდა ეზოში, მაგრამ ვარკვევით ველარაფერს ხედავდა. ძაღლის ყეფა მოასმა. რომ მოახლოვდა, ყეფა წამუტუნით შეცვალა და ნანას ფეხებთან მიწაზე დაგორდა.

— კარგი, კარგი, ხომ ხედავ, მოვედი

ახლა გეყოფა. შენ მაინც იცი მოფერება — ძაღლს თავზე ხელი დაადო.

— მობრძანდით! — შემოესმა ოდასახლის აივანზე გამოსული დედის ხმა.

გაუხარდა, რომ პირველად დედამ გაიგო მისი შინ მისვლა, ადგილიდან მაინც არ იძროდა.

— დედა, ღმერთო, აი ნანა უნდა იყოს, მარა ნეტაი სად იყო ამ უთენია? — გაიკვირვა დედამ და ოდის კიბეზე ფაცაფუციით დაეშვა, — შვილო, ნანა, სად იყავი, ან საითყენ გამგზავრებულხარ? მოდი, შვალო, რატომ ზიზარ ეზოში? ცუდად ხომ არა ხარ? შევიდეთ შინ, — და დედამ ხელი მოხვია.

— არა, ნენა, ამის იქით აღარსად მივემგზავრები, სამუდამოდ მოვედი...

— როგორ, ეს რა თქვი, შვილო?!

— ჰო, მოვედი და ახლა ჯოხითაც ველარსად გამაგდებთ. აი, ამ ძაღლს თუ აქვს უფლება თავისი სახლი არ მიატოვოს, მე რაღა დავაშავე ასეთი, — თითქოს რაღაც უღარდელად ამბობდა ნანა.

— რას ამბობ, შვილო? წამო წავიდეთ!

— არ ვებუმრობ, ნენა, სიორიძეებისას დარჩენა მეტი არ ძაღმიძს, გამოვიპარე, მარა რაც იყო, სატანჯველად მაინც მეყოფა, ახლა დასვენება მჭირდება.

— რაღა ვქნა ახლა, რაღა ვუთხრა მამაშენს, რითი ვიმართლო თავი?!

— გამოვიპარე. მარა მაინც მართალი მოვედი, ნენა, შინ, ხელახალი გამართლება არ დამჭირდება.

— რას ამბობ, შვალო, აი როგორ იქნება, შევიდეთ სახლში.

ოდასახლის კიბე აიარეს და გრიგოლის ხმაც მოისმა:

— რა მოხდა, ანეტა; ნანა გვესტუმრა?

— კი არ გვესტუმრა, დაგვიბრუნდა, სულ მთლად მოვიდა, აღარ წაევა.

— როგორ? — მხოლოდ ეს თქვა გრიგოლმა, გაფითრდა, იქვე სკამზე

დაეშვა. კარგახნის შემდეგ მის წინ თავდახრილ ნანას თვალი შეავლო ხმაც ამოიღო, — რა მოხდა, შვილო?

— აღარაფერი შემარჩინა, ახლა ინსტიტუტის დატოვებაც მომთხოვა და გამოვიპარე.

— ინსტიტუტო... — გაიმეორა გრიგოლმა და თავი დახარა, — შენთან დამნაშავე ვარ და ბოდიშს ვიხდი, მარა რაღა დროს... გვიანდაა. შენ რომ ხელი შეგახე, ის ხელი მე უნდა მომხვედროდა ორმაგად, იქნებ ჰკუა მესწავლა, მარა ამისთანა კაცი მაშინ სად იყო. გზაკვალი მე ავირიე. ვის დავაბრალე... ახლა, თუ ჩვენთან ყოფნა არ მოგწყინდება, იყავი შვილო, და სანთელს აგიწებთ.

ანეტას თვალები გაუნათდა, წელში აიშვა, ხელები გაშალა:

— ეს შენ ხარ, გრიგოლ? მაღლობა ღმერთს, მე კი მეშინოდა...

— რისი გეშინოდა, ანეტა, როცა საშინარი ვიყავი, მაშინ ხელფეხი ვერ შემიკარით, ჰკუაზე ვერ მომიყვანეთ, ვერ მომარჯულეთ და ახლა... ჩიუტობით აშენებული კედელი და ოჯახი ერთად დაინგრა.

— მამა! — დაიძახა ნანამ და გრიგოლს გულში ჩაეკრა.

იმ დღეს კომკავშირის კრებიდან წამოსული ახალგაზრდების ჯგუფს უკან ცინფერი „ვოლგა“ წამოეწია, რაღაც ბრაზიანად დაიგუგუნა, თითქოს ახალგაზრდებს შეუბღვირაო და უცბად გაშორდა.

— კოტეა, მანქანაც გაუგოყებია.

— რაც ნანა გაექცა, მერე კაცი თვალში არ უჩანს.

— ჰოდა, ახლა თავმოპირილმა აჭენოს მანქანა ზევით და ქვევით.

— ნანასთანა ქალი არც დაესიზმრება და უყაროს კაკალი.

— შე კაცო, კაკლით ქალს კი არა, ქათამსაც ვერ იტყუებენ ჩვენს დროში.

— გეყოფათ, ბიჭებო, ქალი და ქათამი რა შესადარია, — ჩაერია თენგიზი.

— იცით, ნანა წინ წავიდა და იქნებ

კოტე იმიტომ გარბოდა, — დაუმატა დათუნამ.

— ჰო, მართლა, ეს კია სათქმელი, მარა ვერაფერს გაბედავს, — ჩაუროთო გაბრიელმა.

თენგიზი დათუნას სიტყვებმა ჩააფიქრა და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ გაბრიელს მკლავში ჩაავლო ხელი:

— გაბრიელ, თუ შენც გეჩქარება, წავიდეთ წინ.

გაბრიელი უსიტყვოდ მიჰყვა, თავდაღმართზე სირბილით დაეშენენ.

მათ შორიასლო დათუნაც მიჰყვა:

— ვერა, ვერ გამასწრებთ, — მისძახოდა გზადაგზა.

ხიდა რომ მიუახლოვდნენ, წინ მიმავალი სამი ახალგაზრდა ქალი დაინახეს და თენგიზი დამშვიდდა, — მიხვდა იმ სამში ნანაც არისო და სვლა შეანელა. «კოტეს უკვე ჩაუვლია, გაშორებულა» — იფიქრა, გაბრიელს მიუბრუნდა.

— დავილაღე, ახლა შეგვიძლია ნელა ვიაროთ. საცაა დათუნაც მოგვეწევა და შევეუცადოთ, — ამის თქმა მოასწრო თენგიზმა, რომ იმავე გზით ახლა აქეთკენ გამოქანებული «ვოლგა» შენიშნა. მანქანა სწრაფად ახლოვდებოდა. თენგიზმა იფიქრა. აქ კაი ამბავი არ მოხდებაო და ფეხს აუჩქარა.

მანქანა გაუსწორდა თუ არა ქალებს, ერთხელ ქორივით მოუსიანთა, გზა გადაჰკრა და უეცრად შედგა. მანქანიდან გადმომხტარი კოტე ნანას აფთარივით მიეჭრა, ხელში აიყვანა, უნდოდა მანქანაში ჩაესვა, მაგრამ ნანა გაუძალდა, კივილი მორთო.

ქალები დაიბნენ, დაფრთხნენ, მიშველების მაგიერ კივილ-წივილით გაიქცნენ წინ.

ის იყო კოტემ მანქანის კარის გაღება სცადა, რომ თენგიზიც მივიარდა, ხელები გაუკავა და გააჩერა.

— რას ბედავ, თუ იცი, შეჩერდი, კოტე!

ნანამ იდროვა, კოტეს გაუსხლტა ხელიდან და წინ წასულ ქალებს გამოედევნა.

გაცეცხლებულმა, პირში ჩალაგამოვ-

ლებულმა და შერაცხვენილმა კოტემ თენგიზს ხელი გაართვა და ახრიდეს კენ უბიძგა.

თენგიზი შეტორტმანდა, დაეცა, მერე ბურთივით ავარდა, ელვის სისწრაფით კოტეს სილა გააწნა და მუხლებზე დასვა. ახლა ხელები მოუბრუნა უკან გაუკავა და ზურგზე მოექცა.

გაბრიელი და დათუნაც მივიდნენ.

— ბიჭებო, გააღეთ მანქანის კარი და ქამარიც მათხოვეთ აქ, — მიამძახა თენგიზმა.

დათუნამ ქამარი მოიხსნა და კოტეს გაკავებული ხელები შეუტკრა:

კარი გააღეს.

გაკავებული კოტე თენგიზმა მანქანაში შეაგდო და კარი მიუქცა.

— გაბრიელ, წაიყვანე და პატრონს მიულოცე «ვოლგასთან» ერთად.

გაბრიელი მიუჯდა საჭეს და მანქანა დასძრა.

ცემით გაბრუებული კოტე თავს ურტყამდა მანქანის კარს და ღრილებდა დაჭრილი მხეცივით:

— მე თქვენ გიჩვენებთ, სად წამიხვალთ, სად გამექცევით იმასაც ვნახავ!

— ნახე, მარა ახლა დაწყნარდი! — ამშვიდებდა გაბრიელი და მანქანას დიდი სისწრაფით მიაქროლებდა.

— მე თქვენ გიჩვენებთ, გიჩვენებთ კიდევ, აბა, რა გეგონათ! — ყვიროდა, იმუქრებოდა, არ ცხრებოდა გალახული კოტე, თუმცა თავის წამოწევის ძალა არ ჰქონდა.

თავი მეთხუთმე

1.

წამოვიდა პირველი თოვლი.

ისევ დაუბერა ზამთრის სუსხიანმა ქარმა და მოხშირებული ფიფქების კორიანტელში ერთი ამოსუნთქვით გაახვია მთაბარი.

ყველაფერი ერთბაშად გადაათეთრა. ცის მადლით მონათლა მიწა. თოვლით დაყურსული ოდა-სახლები სოკოებივით მოჩანდა აქა-იქ სუბტროპიკულ მცენარეთა ბალებში.

ბმა ისევ ჩაიწყვიტეს ნაკადულებმა,

დღე-ღამეებმა, ოღონდ თუ სუნთქავდნენ აქა-იქ.

ადამიანებსაც თითქოს ხმა დაეღებლებოდათ, შეუწელებოდათ სიცოცხლის მაჯისცემა და ქორისაგან დამფრთხალ წიწილებივით მიმოფანტულიყვენ, შეუწყულებიყვენ თავიანთ სახლებში.

სამაგიეროდ ქარი ხმაურობდა და აქა-იქ ავარდნილ ბოლს ბრახზორევიტ შორს მიაქროლებდა, აბორიალებდა, ფანტავდა ჰაერში, რომ სახლებშიაც დაეკინებოდა, ჩაეხშო სიცოცხლის სუნთქვა.

მიუხედავად ბუნების ამ მკაცრი შემოტევისა დღეს გოგი გოგომის კარმიდამოში ყველაფერი პირიქით ხდებოდა; დიდხანია ასე არ გამოცოცლებულა გოგის ოჯახი, თითქოს თვითონ ქარს, თოვლსა და სიცივეს აქ უფრო გაეძლიერებია სიცოცხლის ძალა.

ყველას გამოცოცხლება, ხალისი, რაღაც დიდი, გამოუთქმელი სიხარულის ბეჭედი აჩნდა სახეზე.

თვითონ გოგი ზოგჯერ ღიღინებდა, იღიმებოდა, ისწორებდა უღვაშებს.

ასუფთაებდნენ, რეცხავდნენ, ალაგებდნენ და ამით რაღაც საზეიმო ელფერს ანიჭებდნენ უსულო საოჯახო ნივთებსაც კი.

როცა სახლის კედლები ჩამოწმინდეს, იატაკიც მორეცხეს და სარკმლის მიწებზეც დააკრიალეს, გოგიმ თავის ხელით შეღებილი აკვანი შეიტანა თენგიზის ოთახში და მაკას საწოლთან დადგა, ხელიც გადაუსვა, მიუღერსა.

— მარო, თუ ამ აკვანში გავიზარდე, განა ცუდი ვაქცაო დავდექი? — იცინოდა გოგი.

— ცუდი რათ ხარ, მარა ცოტა ეშმაკობა გაკლია და ზოგიერთები ამით გჯობნიან, — ეუბნებოდა მარო და აკვანში აგებდა ბავშვის ახლად შეკერილ პაწაწინა ქვეშავებს. მერე აკვნის სახელურზე ბრჭყვიალა ძეწკვები მიაბნია აბრეშუმის ზონარით.

— თუ ეშმაკობა მაკლია, სიგლახე მკლებია და მით უკეთესი! — ზორხოცებდა გოგი და რაღაც სიამაყის გრძნობით გულავსებული დადიოდა ოთახიდან

ოთახში ბოლოს ყველა ბუხარში/ცეცხლი გაჩაღა.

ავარდნილი ალის გუბანიც საზეიმოდ მოისმა. თითქოს თვით ცეცხლიც საკუთარი ენით ამ ოჯახის გახარების რაღაც საამურ ამბავს ჰყვებოდა, და ამ დაუსრულებელი ამბავის სიტყვები ყველას ესმოდა.

გოგიმ საათს დახედა.

— საცაა მოვლენ.

— ყველაფერი მზადაა, გოგი, და შენც ჩაიცვი, ასე გულმოღედილი რომ დადიხარ ამ დილით.

— აბა, გულჩაქეტილი ხომ არ შეეხვდები ამ ქვეყნის სტუმარს.

— სტუმარს თუ მასპინძელს?

— ოო, ამაში კი მაჯობე, მარო, და ვალიარებ.

— გოგი, დედაშენმა ბავშვს პირველად შეავლოს ხელი და ისეთივე ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვოს, როგორც თვითონ იცოცხლა.

— არა, ეგ არ კმარა, მარა შენი აზრი მაინც კარგია. ნენა, როცა მოვლენ, შენ აიყვანე ხელში.

— ჰო, კარგი, ნუ გაგიყდებით! ამ გაძვალტყავებული ხელებით ბავშვს რამეს ვაქცენ, ავტირებ და ინანებთ.

— ტირილი და სიცილი, ნენა, ერთადაა დაბადებული და ვერ გაეჩქევით, — უთხრა გოგიმ.

შორიდან მანქანის გაგრძელებული ძახილი მოისმა.

— აბა, ნენა, ჩადი ეზოში და ჭიშკართან მიეგებე.

— ჰო, კარგი, კარგი, მივდივარ და ესაა, — უთხრა დედამ, თავშალი მოიხურა, სახე შიგ ჩამალა და ეზოში ჩავიდა.

გოგიც ჩაჰყვა.

— ნენა, ფიფქები ისე გეყრება, თოვლის ბაბუა თუ არა, თოვლის ბებია მაინც გახდები.

მერე ეზოში მაროც ჩავიდა.

— შენ კი რა გითხრა, შეილო, რას ამაკუნტრუშე ეს დედაბერი, — ვითომ შეილს უჯავრდებოდა თოვლით შებურვილი დედა, თუმცა თვითონაც ჩუმად იღიმებოდა თავშალიდან ცხვირგამოყოფილი.

გოგამი ქიშკარი ფართოდ გააღო და იქვე დათოვლილი მანქანაც გაჩერდა.

გაიღო კარი და თენგიზი საბანში გამოხვეული ჩვილით შემოვიდა ეზოში. მას მაკაც მოჰყვა.

— შეილო, თქვენი ნაშიერი პირველად ბებიას ჩააბარეთ, რომ ჩაუქრობელი კერის სითბო გადასცეს, შესძახა გოგამი.

ეზოში შესულმა თენგიზმა მისკენ გამოწვდილი, წელთა ვარამით გაცრეცილი ბებიას ხელები რომ შენიშნა, მიეგება, ჩვილი ჩააბარა და მოხუცს გულმხურვალედ დაუყოცნა დამქანარი ტუჩები.

ახალგაზრდა ცოლქმარს მშობლებიც შემოესივნენ და მიულოცეს მათი პირ-მშოთი შინ დაბრუნება.

ბოლოს შვილიშვილი გოგამაც აიყვანა ხელში, სახეში ჩააჩერდა და თვალე-ბი გაუნათლდა.

— იი ისე იღიმება, მგონი ყველას გაგვასწრებს და არც ბოდის მოგვიხდის.

— აბა, როგორ გეგონა, ასე ჰო, ყველას გაუსწარი ბებია და გავგახარე, — უთხრა მარომ და ოდასახლისკენ წავიდა.

მას სხვებიც მიჰყვნენ.

მარომ ზავში ბუხრის ცეცხლზე გამთბარ აკვანში ჩააწვინა, არტახები შეუქრა, დაარხია და დალიდინა:

— ნანა, ნანა, ნანინაო...

მაკა უხმოდ იჯდა თავისთვის და შინაურების სჯა-ბაასში არ ერეოდა. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ამბობდა: „მოინდომეთ, დაიჩემეთ და ესაა მიიღეთ...“ თანაც აკვანში ჩაწოლილ ჩვილს აცქერდებოდა.

თენგიზი პირიქით, ვერ ისვენებდა, გადიოდა, შემოდოდა, ასე ეგონა, რაღაც გვაქლია და ვერ გავვიგია რაა საჭირო, კიდევ რა უნდა გვაკეთოთ, რომ ზავშეს არაფერი დავაკლოთ. და წრიალებდა.

დედამ შეატყო:

— შეილო, დაისვენე, ნუ გეშინია, შენს ბიჭუნას არაფერს დავაკლებთ,

რაც საჭიროა თვითონ გავაკეთებთ ყველაფერს.

— ჰო, ნენა, მარა...
— მაგას „მარა“ რათ უნდა, გვენდე, მოისვენე, დაწყნარდი.

— ჰო, კარგი ნენა... — უთხრა თენგიზმა და მაკას გვერდით მიუჯდა.

მოზრდილ სასადილო ოთახში მარტო დამჯდარი ბებია ბუხარში გაღვივებულ ცეცხლს ხმაგამედილი ჩასჩერებოდა და ცეცხლის გუგუნში თითქოს მთელს წარსულსა და მომავლის შორის გაბმულ ბაასს უსმენდა: „ჰო, ჩვენ ვიყავით და წავედით. ვინც დარჩა ისინიც წამოვლენ ჩვენთან. აქ სამუდამოდ დარჩენა ადამიანის შვილს არ უწერია და ვერც ვერვინ დარჩება...“

„სამაგიეროდ ჩვენ ახლა უფრო ხალისიანი მოვედით აქ და დიდხანს ვაგუგუნებთ ამ ბუხრის ცეცხლივით გაღვივებულ ცხოვრებას, მერე ჩვენი შვილებიც მოვლენ, გააღვივებენ ცეცხლს ამ ბუხარში და გააგრძელებენ ოჯახის ჩაუქრობელ სიცოცხლეს“ — თითქოს უპასუხებდა მერე ხმა.

მოდოიდან მოყვარე-ნათესაეები, ახლო მეზობლები და შვილის გაჩენას ულოცავდნენ ოჯახს.

ბებია კი ისევ ცეცხლს უსმენდა.

აგერ გრიგოლი და ანეტაც ფეხების ბაკაბუკით ამოვიდნენ დათოვლილ კიბეზე და გრიგოლის ხმა მოისმა:

— ამისთანა გაგიგონიათ, თოვს, ცა ფეხად ჩამოდის და ყმაწვილ კაცსაც ახლა შემოუღდამს ფეხი ოჯახში... გიცოცხლოთ, გიმრავლოთ... — ყველას სათითაოდ ჩამოუარა, მიულოცა, ბოლოს ბუხართან მჯდარი დედაბერიც არ დაივიწყა:

— იცოცხლე, დედა, შეილოთა შვილი-შვილებს ღრუბელივით გაეფანტოს ყველა შენი დარდი.

ამ დროს შინ მარტოდ დარჩენილი ნანა, სარკმლის მინაზე შუბლშიყრდნობილი, გაყურებდა დათოვლილ ეზოს და იმ სახლს, რომელშიაც ახლადშობილით გახარებულთა ჩოჩქოლი ისმოდა.

თოვდა.

ციტ გადმოფრქვეული ფიფქების ფარდა ეფარებოდა და თითქოს აშორებდა თოვლის ბუმბულში ჩაძირულ სახლს. თოვლივით ცივი იყო თვითონ ნანას თვალებიც, თუმცა მის გულში რაღაც შორეული სითბოს ნატამალი ბუტბავდა.

„ნეტავი ეს თოვლი მეც დამფარავდეს და ჩამძირავდეს, მოვისვენებდი, სამუდამოდ მოვისვენებდი... მარა ექნებოდა თუ არა რაიმე აზრი ამგვარ მოსვენებას?—ცოტა ხნის შემდეგ შეეკითხა თავის თავს. არა, მაინც ვერ დავეწროდი საკუთარი ხელითვე წყალში გადაგდებულ ბედნიერებას“.

თოვლი ერთნაირი გულმოდგინებით, გულცივად ბარდნიდა ხეებს, რაღაც უცნაურ სურათებს ხატავდა ვარდყვავილთა გაცრეცილ ლეროებზე.

ხანდაყოლებით წამოუბერავდა სუსხიანი ქარი, სახლს შეარხევდა, თოვლს დაახვევდა, ააფორიაქებდა, მიმოფანტავდა ისედაც თეთრად დაბინდულ ცაში. ციოდა გარეთ, ცივი იყო თვით სარკმლის შინა, რომელზედაც ნანას შუბლი მიეყრდნო, მაგრამ ეს სიცივე ახლა მისი წამალი იყო, გულის ცეცხლს უნელეზდა, უცხრობდა.

„ნეტავი ადამიანი ისე შეუგნებლად მიდიოდეს ქვეყნიდან, როგორც მოვიდა... თუ გათენება ჰგავს დაღამებას, ისე ადამიანის მოსვლა წასვლას რომ დაემსგავსებოდეს, მაშინ რა მიჭირდა, ყველაფერი უმტკივნეულოდ გათავდაზოდა“.

რატომღაც ასეთი უცნაური აზრი დაებდა, სარკმელს გაშორდა და ისევ თავის მიმქრალ ბუხარს მიუჭდა.

უკვე ჩაფერფლილი ღადარის სითბოს ნანა ვერ გრძნობდა.

II

ბენო სიორიძის კარმიდამოში სიწყნარე იყო. აქ ყველაფერი მოწყენილი გამოიყურებოდა. თოვლით შებურვილი სასიმიინდე წინ ისე გადახრილიყო, თითქოს სადღაც გარბისო. ეს მით უფრო სარწმუნო იყო, რომ ამ ოჯახის პირშეო აქედან კარგახანია გაქცეულიყო და მი-

სი დაბრუნების მოლოდინს მარტო გულაწყლულებული მშობლები კი არა, თითქოს კარმიდამოც ვერაზრ უძლებდა. შესაძლოა, ალბათ ამიტომ სუნთქვა მიღებული ბუხრის შეთხელებული ბოლიც ზანტად, რაღაც წელმოთრევით ადიოდა ჰაერში და იქვე ციდან ჩამოფრქვეული თოვლის ფიფქთან ერთად დნებოდა; ზოგჯერაც, სულმობრუნებული ქარის შებერვაზე გარბოდა ისე უგზოუკვლოდ, როგორც ამ ოჯახის ახალგაზრდა პატრონი.

— რაღა ექნათ ახლა, სად ვეძებოთ უგზოუკვლოდ დაკარგულის გზაკვალი? — ამბობდა ბუხრის პირას მიმჭდარი სალომე.

— მე რა შემიძლია სალომე, სად აღმოვაჩინო.

— შენი ბრალია და როგორც გინდა ისე იპოვე; „ვოლგა“ რომ უყიდე, აბა, როგორ გეგონა ახლა როგორც ვოლგაწყალი არ გაჩერდებოდა, არც მაი გაჩერდებოდა, ხელში ვერ დაიჭერ და მისდიე უკან. ის არ ეყოფოდა ამ სოფლის შარაშუკებში ცხენით რომ კუნტრუმობდა ზევით და ქვევით?

— ეყოფოდა მარა, ნაკლები მოვინდომე და მეტი გამომივიდა.

— ახლა ავტო რომ გავუყიდო, თვითმფრინავს მომთხოვს და მთლად დავილუპებით.

— თვითმფრინავს არ მიჰყიდიან და მოვისვენებთ.

— თუ არ მიჰყიდიან აი საქმეს მაინც ვერ უშველის, ადამიანიც თვითმფრინავს ჰგავს, გაშლის ხელფეხს და გაფრინდებოდა.

ეზოში მანქანის ხმამიღებული ძახილი გაისმა.

ცოლქმარი ამ დაკნინებულმა ხმამ შეაკრთო, მერე რაღაც იმედმოცემით გადახედეს ერთმანეთს.

— ვითომ დაბრუნდა?... ჰო, მარა ჩვენი მანქანის ხმას რომ არა ჰგავს...

ეზოში სანახევროდ ფერშეცვლილი მანქანის წინ, ასევე ფერშეცვლილი და რაღაც სახეგადასახეაფერებელი კოტე გაურჩებულ ჯორივით გაჯგიმულიყო.

— ეს შენ ხარ, ნენა?! — შესძახა დედამ და კიბეზე დაეშვა.

— მაია, მარა ნეტა რა დაემართა ასეთი? — ჩაილაპარაკა ბენომ თავისთვის და ისიც დათოვლილ კიბეზე ბაჯბაჯით ჩავიდა.

კოტეს თითქოს სხვა, უფრო საჭირბოროტო საზრუნავი გასჩენიაო, სადღაც მიღმა იხედებოდა.

— სად იხედები, აქ მოდი, ნენა! — მიძახა დედამ და თვითონ მიეჭრა, მაგრამ უეცრად შედგა:

კოტეს უნაგირივით შუაზე ჩაზნექილი ცხვირი დინგევით უჩანდა, ხოლო შუბლზე შეხორცებული ჭრილობის ხაზი ვაჰკროდა.

— შვილო — დაიძახა დედამ და გულში ჩაიკრა, — რა მოხდა, ნენა, რა მოგივიდა, კინაღამ მთლად დაგიბნელებია შენი უბედური მშობლების თვალეზი!

ბენოც მივიდა, შვილს თავზე აკოცა და ჩააჩერდა სახეში:

— კიდევ კაი, შუბლი მაგარი გქონია და გადარჩენილხარ.

— კი მარა, რა მოხდა, ნენა, ასე რომ დასახიჩრებულხარ შენ და შენი მანქანა, არ გვეტყვი?

— გზად მოვედიოდი და ჩამძინებოდა. რომ გამოვიღვიძე საავადმყოფოში ვიყავი. მერე გავიგე რკინის ბოძს დაეტაკებოდი და მანქანაც ჩემსავით დამსხვრეულიყო.

— რას ამბობ, ნენა! — დაიძახა სალომემ და ლოყებზე შემოირტყა ხელეზი.

— მერე მეც მომარჩინეს, მანქანაც გამისწორეს, შემიღებეს და გამომიშვეს.

— მანქანის გასწორებას შენი გასწორება მერჩია, შვილო, მარა აი უფრო რთულია და მაგას ვერაფერი უშველის, — უთხრა მამამ, გამობრუნდა, მაგრამ ისევ მოჰხედა, — ახლა მაინც შემოდი სახლში და იატაკზე ვაიბრაბუნე, იმედი მომეცემა, — მეგონება, შინ კაცი მყავს-თქვა.

— ჰო, ჰო, შემოდი ნენა, აქ რაღას უღგებარ; მაი მანქანა უშენოდ ფეხს ვერ

მოიცვლის, — უთხრა დედამ, ხელში ხელი ჩაავლო და თან წაიყვანა, ასეა, ნენა, წინ მარბენალ კვიცს მგელს შექამსო.

— ჰო, კაი, კაი, მეყოფა გამოსწორებაზე ამდენი ღალადი, — ბუზღუნებდა კოტე.

გოგი გოგოდის მთელი ოჯახი ოდასახლში გაჩაღებულ ბუხართან შეკრებილყო, მხიარული ბაასი გაებათ და უკვე მოხონჩოლებული ბავშვი ხელიდან ხელში გადადიოდა.

თვითონ ბავშვი კი ყველას გაკვირვებით აცქერდებოდა. და მაყვალევით შავი თვალეზით თითქოს ამბობდა: „აქ სად მოვედიო“.

— გიკვირს, ბაბუა? — შეეკითხა გოგი ხელში აყვანილ ჩვილს, — მართლაც გასაკვირია, მარა რას იზამ, ამ ქვეყნად მოსვლა არც ჩემთვის უკითხავს ვინმეს, მარა, რადგან მოვედი, აღარ მინდა წავიდე.

უეცარავად, ბაბუა, გინდა თუ არა ამ ქვეყნად სამუდამოდ ვინ დარჩენილა, სამაგიეროდ ჩემი დრო მოდის და შეგიძლია ასი წლის შემდეგ ხურჭინში ჩაალაგო შენი საგზალი, — ბავშვის ნაცვლად ჩაურთო ბეზია მარომ და გოგის ჩვილი გამოსტაცა ხელიდან.

— ჰოდა, ასი წლის შემდეგ ერთი ხურჭინი შენც დაგჭირდება ბეზია, — ახლა გოგიმაც შვილიშვილის მაგიერ, ვითომ გააჯავრა ბეზია.

— ახლა თქვენ თბილისში სესიებზე რომ მიემგზავრებით, ბავშვს წაიყვანთ თუ დატოვებთ? — მიუბრუნდა გოგი შვილსა და რძალს.

— წაიყვანთ მამა, ექიმმა მითხრა, ბავშვისთვის დედის რძე ჯობსო, — უპასუხა თენგიზმა.

— ჰო, თბილისში ბიცოლასთან ვიქნებით და ხელს წამოგვიკრავს, — დაუმატა მამამ.

— ნენა, ჩვილი ბავშვით აღმა-დაღმა სიარული სახიფათოა, არ გავიცვიდეთ, — გააფრთხილა მარომ.

— არა, თბილ ბინაში რა გააციებს,

გზაშიც თბილ საბანში შეეფუთნავთ და არაფერი გაუქირდება, — დაამატა მამამ და ბავშვი აიყვანა.

ბავშვმა უეცარი ტირილი ატეხა.

მამამ გაუღიმა, მერე საძინებელ ოთახში გაიყვანა და დაუყვავა:

— შენ ახლა ძუძუ და ძილი გინდა, მივიხვდი ხომ? ჰო, ასეა და მიირთვი!

—

იმამე დღეს, სადილის შემდეგ, კრელი ნაჭრით თავწაქრული ნანა უკვე დარეცხილ ჭურჭელს ბუხრის პირას ამშრალეზდა ხმაჩაკმედილი, და ღაღარს დაჭინებთ ჩაჩერებოდა. ალბათ, რალაც საერთოს პოულობდა თავის გულსა და იმ ღაღარს შორის.

ანეტა დადიოდა ოთახიდან ოთახში, რალაც გაქონდა, ან შემოქონდა და შეიღს იშვიათად თუ ეტყოდა რამეს.

ტახტზე წამოწოლილი გრიგოლი ბუხრის პირას მჯდარ, თავჩაქინდრულ და ჩაფიქრებულ ნანას აცქერდებოდა, — გული მტკივნეულად ეკუმშებოდა: „იმის მაგიერ, რომ საკუთარი ბედნიერების გზას გაყოლოდა, აქ, ფრთებდაჭრილ მტრდევით მოკლულა ბუხართან და ისევ მე, დამნაშავე მამას, მემსახურება... ნეტავი შვილო, მე დამიბნელდებოდეს ცხოვრება, თუ შენი მზე ამოვა და გავიშუქებს მომავალს“.

— გეყოფა, ნენა, ახლა დაისვენე, ან გადახედე დათოვლილ ბაღს, გული გადაატანე და გაიხარე, — უთხრა დედამ ჩაფიქრებულ ნანას და თავზე ხელი გადაუსვა, მიუღერსა, მერე გულში გაიღო: „მოგიკვდეს დედაშენი, ამხანაგებშიაც ვეღარ დადიხარ, ისე შეგამინა იმ ნადირმა“.

— კი, ნენა, კი, ახლაც მოვათავებ და გავალ, გამოიხმეთრა ნანა და ტილოს ნაჭრით ვინ იცის მერამდენეჯერ ვაამშრალა ხელში ზედმეტ ბარგივით გამოჩრილი ლამბაქი.

— შენც, გრიგოლ, რას განუშებულხარ, ან დაიძინე, ან გვითხარი რამე. —

ბოლოს ჩაფიქრებულ ქმარსაც შემოუძახა გულგამაგრებულმა ანეტამ:

— ჰო, მართალი ხარ, ანეტა, ახლაც ავდგები, რადიო-მიმღებს ავაჭიქუნებ და გავერთობით, — და უკვე წამოდგარმა ვრიგოლმა მიმღები შეაერთა.

რომელიდაც ნაცნობი მუსიკის ხმა გაისმა.

ანეტამ შუქი აანთო და იქაურობა ერთბაშად გამოცოცხლდა. ნანას თენგიზთან გატარებული დღეები ავონდებოდა, თითქოს ღაღარაზე ხედვდა იმ დღეთა დაუვიწყარ სურათებს. თვალწინ ედგა თენგიზი და მისი სიტყვებიც გარკვევით ესმოდა. ბოლოს დაშორების უკანასკნელი წუთების სურათი წარმოიდგინა და გახურებულ შუბლზე ხელი გადაისვა: „ნეტავი მეც და თენგიზიც იგივე ვიყოთ, რაც მაშინ ვიყავით... მე ვავსულელდი, გამოვიქეცი, სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადავიჩხე, — რამ გამაგიჟა, რატომ გავრბოდი? ნეტავი უკან შემეძლოს გაქცევა, თუ თენგიზი იქვე დამხვდება... არა, გვიანდაა, — ეს არასოდეს მოხდება. ის დღეები არასოდეს დამიბრუნდება ეს რომ მოხდეს, ამისათვის ხელახლა დაბადება იქნებოდა საჭირო, მარა, თუ ერთხელ მოკლული მეორედ არ კვდება, არც ერთხელ დაბადებული, იბადება ხელმეორედ“. შეაერთო, თვალი დახუჭა, მერე ორივე ხელი მუხლებზე დაიწყო და დააჩერდა: „ახლა რალ ვარ? არაფერი. ჰო, არაფერი, მარა ისიც კარგია, მოგონება მაინც დამჩინია და თუ ჰქუა მთლად არ დაეკარგე, მთელ სიცოცხლეს მეყოფა“ — და ასკვნა, თვლები მოწყურა, წამოდგა. სარკმელთან მიდგა. გაიხედა. დათოვლილი ბაღის სივრილე თითქოს აქაც იგრძნო, მაღამოსავით დაედო მის გახურებულ გულს. „დედაჩემი მართალი ყოფილა“ — იფიქრა.

III

თბილისში ციოდა. გაზაფხულის მოახლოვება იგრძნობოდა ოდნავ შეშინებარ, შერბილებულ ჰაერში.

გარეუბნის ბაღებიდან დაძრული, ძლიერ საგრძნობი სურნელება გაზაფხულისა შემოდოდა ქალაქის გულში.

ინსტიტუტში სესიების დამთავრების შემდეგ, მაკა და თენგიზი სოფელში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. უკვე თენგიზი გასულიყო, რაც ბიძის ბინაში ცხოვრობდნენ და ბავშვიც აქ ჰყავდათ.

ახლა ცოლქმარი ბიძა-ბიცოლას პირდაპირ ისხდნენ სასადილო ოთახში და ბაასი გაეზათ.

თვალმოწერული და თავნამოვარდნილი მაკა კი საექვოდ დუმდა. ზედვე ეტყობოდა, გულში რაღაც სათქმელს ფარავდა.

— კარგია, სწავლას და შვილის გაზრდას ერთად რომ ახერხებთ... ჩვენ სწავლაც გვეჩირდება და გამრავლებაც ისე, როგორც არასდროს. ამაშია ახლა ჩვენი ერის მთელი ავკარგი. — ამბობდა სათვალეზიანი, თმაშეკლარავებული, შუახნის კაცი და თავისი ნათქვამის გასამაგრებლად მაგიდაზე ხელს ფრთხილად უთათუნებდა, თანაც ხან ერთს, ხან მეორეს ისე მიაშუქებდა დიდრონ. შავ თვალებს, თითქოს სიტყვა მსმენელთა გულში შეაქვს და ბეჭდავსო.

— შევეცდებით, ბიძია ლევან, შევასრულოთ თქვენი სურვილი.

— ჰო, შვილო ჰო, ბიძაშენი ცუდს როდი გირჩევთ, უნდა იმრავლოთ და გაიზარდოთ, რომ ჩვენი არსებობა იგრძნოს ქვეყანამ, — ჩაერია დეიდა მამო, — ეჰ, ახლა ვნანობ მხოლოდ ერთი ვაჟიშვილი რომ გავაჩინეთ და ისიც დავევლებო ამ ომში. ზოგჯერ ისევ ჩვენი ქალიშვილი, ნელი თუ მოგვინახულებს, მარა იმანაც რა ქნას, თავის ქმარშვილსა და ოჯახს ვერ აუღის... ჰოდა, სიბერეში მარტო ვრჩებით მე და ლევანი.

ასეთ სიმარტოვეს გავუძლებდით როგორმე უარესი რომ არ გველოდეს. ერთი ჩვენთაგანი რომ წავა, მეორეს ყრუ კედლები შერჩება ხელში, — და უმატა ლევანმა.

— გულს ნუ გაატეხთ, ჩვენ და ჩვე-

ნი შვილები არ დაგივიწყებთ, თქვენთან ვიქნებით, სიმარტოვეს არ გავგრძნობინებთ, — გაამხნევა თენგიზმა.

— ჰო, შვილო, ჰო, ამის იმედით რომ არ ეცოცხლობდეთ, ახლავე ერთად სიკვდილს ვამჯობინებდით, უთხრა, მამომ და ცისფერი თვალები ცრემლებით აუვსო.

თენგიზს გული შეერხა. ბიცოლა მამოს თვალი მოარიდა და გვერდით მჯდარ მაკას გადაჰკრა:

— შენ რატომ დუმხარ? არაფერს გვეტყვი?

მაკამ თავი ასწია და სიწითლე ალივით შეეპარა სახეზე.

— მე?, მე არაფერს, რასაც თქვენ ამბობთ, ყველაფერზე თანახმა ვარ, თუმცა მეც მქონდა რაღაც სათქმელი.

— რა? — შეეკითხა თენგიზი.

— აგერ, ბიძა-ბიცოლაც მომეხმარება და იმედი მაქვს...

— ჰო, შვილო, თქვი და ჩვენც აქავართ, — უთხრა ლევანმა.

— დღეს ხომ კვირაა, სამშაბათიდან ოლიმპიდა იწყება ოპერის თეატრში და მინდოდა მენახა.

— მერე?

— თენგიზი რას იტყვის?... თვითონ თუ ვერ დარჩება, ერთი ორი კვირით იქნებ მე დამტოვოს თბილისში... მე და ბიცოლა ბავშვსაც მოუვლით...

— ჰოო, აი თქვენ იცით... — უთხრა ლევანმა.

— როგორ არა, შვილო, დავეხმარები თუ თენგიზმა... ჰო, თვითონაც რომ დარჩებოდეს კარგი იქნება.

თენგიზი გაწითლდა. წამოდგა. უხერხულად ადგილზევე მიბრუნ-მობრუნდა, მერე იქვე დაჯდა და რაღაც ყრულ დაასკვნა:

— თუ ბიცოლაჩემიც თანახმაა, მე მარტო ვავემგზავრები... ჩემი დარჩენა კი არ შეიძლება, გაზაფხული კარზე მომდგარი, კოლექტივიც გვეძიებს...

— ჰო, შვილო, თუ აგრეა და მაკა დარჩება, რა უჭირს მერე, როცა გამოემგზავრება გაცნობებთ და სადგურში დახვდებით.

თენგიზი იმ საღამოსვე გაემგზავრა სოფელში.

თბილისში დარჩენილი მკაცრად დატრიალდა, ერთ მეგობარ ქალიშვილთან ერთად თეატრის ბილეთები შეიძინა, კაბები ახალი, ბრჭყვიალა დიღებით შეამკო, ტანზე უფრო მოხდენილად მოირგო, თეძოებში დაავიწროვა, და აუთოვა და როცა ყველაფერი მოათავა, ბიცოლას ეცა, დაუკონა ხელბირი:

— ჩემო ბიცოლა, თუ შენ არა, ახლა სოფელში ვიქნებოდი კარჩაკეტილი, ან კოლექტივის გზაზე გაკარული.

— ჰო, შვილო, მარა ბავშვს რატომ აღარ აწოვებ?... ეს კარგი როდია, ცოდვია, ჯერ ხელოვნურ კვებაზე გადაყვანა ნაადრევია, მით უფრო, უკვე გზაფხულია, ბავშვი დასუსტდება, და ავადდება და მერე თავის ტეხა გვიან იქნება.

— არა, ბიცოლა, ნუ გეშინია, ბავშვს არაფერი გაუტირდება, მე კი გულმკერდი ჩამომადნება, ფარგასავით გადაშექცევა, სახის ფერსაც დავკარგავ და ჩემი გზაფხულიც ნაადრევად წამივა ხელიდან.

— შენ იცი, შვილო, მარა...

— ჰო, ჩემო ბიცოლა და ნუ დამძრახავ! — და ბიცოლას სიტყვის გაგრძელება ტუნზე კოცნით ჩაუხშო.

ამსობაში ზარის ხმა გაისმა და მკა გაიქცა.

— აი, ლილიც მოვიდა! — დაიძახა და კარი გააღო.

უმალ მაღალი, ტანწერწეტი, თმაშეკრეპილი და წამწამებშედებილი ახალგაზრდა ქალი ხელების ფათურით შემოიჭრა, ლურჯად შეღებილი ტუჩები მოკემა, დაეგრძელა და მკაის ისე აკოცა ლოყაზე.

— ა, ლილი, ლილი! მობრძანდი, ლილი!

— ხომ მზად ხარ, მკა? არა, გეტყობა ჯერაც არ ჩაგიცვამს! შე ქალო, ასე როგორ იქნება, რაღას ელოდი! იჩქარე, თორემ თეატრი არ მოგვიცდის. ოლიმპიადის პირველი დღეა და ხომ იცი, რა ჰქვია იქნება.

სტუმარს მაშოც შემოეგება.

— დეიდა მაშო, ბიჭი როგორაა მგონი მკამ მთლად თქვენ ზაგაბარათი და თვითონ დაფრინავს.

— იფრინოს, შვილო, მარა... — აღარ დაასრულა, მივიდა, ჩაძინებულ ბავშვს ჩახედა სახეში.

— ნახეთ, რა კაცია, რა ვაქაცია! ამირანი იქნება!

— მართლა, დეიდა, რა შეარქვით ბატარა ბიჭს?

— ბევრი არჩიეს და ბოლოს მგონი შოთაზე თუ ტარიელზე შეჩერდნენ. მკა წასასვლელად მზად იყო, თითქოს ბავშვმა იგრძნო, გაიღვიძა და ტირილი მორთო.

მკა მიეჭრა, პირში საწოვარა ჩაუღო, აკვანი დაარხია და დაალიღინა:

— ნანა, ნანა, დაიძინე ბიჭუნო!

ბავშვი დაჩუმდა.

მკა ფრთხილად გაცეცა, კართან შეჩერდა:

— ასე, ბიცოლა, როცა ატრდება საწოვარა მიეცი, ძუძუ ეგონება და დაჩუმდება.

— ჰო, საწოვარათ ზოგჯერ დიდებსაც ვატყუებთ და ვაჩუმებთ, დეიდა ნახვამლის, — წასჩურჩულა ლილიმაც და ფეხბარეფით კარებში გაძვრნენ.

გაოგნებული, მაშო შუა ოთახში შეჩერდა: „ლილიმ მართალი თქვა, ბავშვს კი არა, მგონი, მე უფრო მატყუებენ ეს ახტაჯანები“. — იფიქრა, ბავშვთან მივიდა.

თვალდახუჭული ბავშვი წკლამწკლუბით წოვდა ცარიელ საწოვარას, თუმცა თითქოს გრძნობდა, რომ ატყუებდნენ და ზოგჯერ რაღაც უსიამოვნოდ შეიშმუშნებოდა, წითლდებოდა.

მაშო გულდამწვარი დაჩერებოდა.

— მოგიკვდეს ბებია, გეტყობა გშია. მარა ახლავე საკვებს მოგიშადებ, მოვართმევ ბიჭუნა! — უთხრა და სამზარეულოში გავიდა, — ასეთია, ბებია, ზოგიერთი ახლანდელი დედები და რას იზამ. შენ რომ დიდი გახდები, ჩემზე უკეთ მიხვდები, რომელია მართალი, დედა თუ ბებია, და შეგიძლია გაგვასამართ-

ლო, — თავისთვის ხმამაღლა ამბობდა მაშო და საკვებს ხელგაწაფვით უმზადებდა საწოვართ მოტყუებულ ბიჭუნას.

მაწონი და ბრინჯის ნახარში შეამზადა. ბავშვი გასუსული დაეწაფა ბებიას ხელით მირთმეულ საკვებს.

ბებია დაჭდა, გაუღიმა პატარას, გული გაეხსნა და უკვე შევებით ამოისუნთქა.

ათი დღე ისე გავიდა, მაკას ერთი საღამოც არ გაუცდენია; ლილისთან ერთად თეატრში დარბოდა, ხოლო მეთერთმეტე დღეს, ბიძა-ბიცოლას რჩევის მიუხედავად, ბავშვი წააყვანა და ლილის ესტუმრა. შინ მაშინ დაბრუნდა, როცა თეატრში წასვლის დრო იყო.

— მალე დაებრუნდები, ბიცოლა, თეატრიდან და შენ იცი, სამაგიეროს გადაგიხდი როგორმე! — მიაძახა და მოახეტქა კარები დროს გატარების აზარტში შესულმა მაკამ.

მესამე დღეს, საღამოს, აკვანში რომ აწვეწდა, მიხვდა, ბავშვს სიცხე ჰქონდა. მაგრამ თეატრში წასვლაზე ხელი რომ არ შემლოდა ბიძა-ბიცოლასთან არ გაამხილა, სწრაფად გამოეწყო და უხმოდ რაღაც შემცბარი გაძვრა კარებში.

შინ დარჩენილმა მაშომ საკვები მოუმზადა, მაგრამ ბავშვი აჭინკყლდა, ტირილი მორთო.

მაშო გვერდით მოუჯდა:

— რატომ არ ჰვამ, ბებია, ჰამე, შეგერგოს! — დაუყვავა, საკვები ისეე მიაწოდა, თუმცა ამაოდ, ბავშვმა პირი არც მიაკარა.

მაშომ უბღბზე ხელი დაადო:

— მოგიკვდეს ბებია! მარა ნუ გეშინია, სიცხე დიდი არ უნდა გქონდეს.

თეატრიდან დაბრუნებულ მაკას მაშო ფერმიხილილი დაუხვდა.

— ბავშვმა არ ჰვამა. მგონი სიცხე აქვს, გაუსინჯე, შვილო, სიფრთხილეს თავი არ ტყივო, იტყვიან.

— რას ამბობ, ბიცოლა! — თითქოს არაფერი იცისო, ისე მიაძახა, მაკამ ბავშვს სიცხე გაუსინჯა და ბიცოლას მიუჯდა გვერდით.

— დიდი სიცხე არა აქვს, ბიცოლა, მარა...

— ჰო, შვილო, სიცხე დიდი აქვს თუ ცოტა, მაინც საშიშია.

— ოცდახვიდმეტამდე არც კია ასული, — უთხრა მაკამ, თუმცა ოცდათვრამეტს ბებერი არ აკლდა. თავზე ხელი შემოიღო და ფიქრს მიეცა: „რაღა ვქნა ახლა? ორჯერ კიდევ შემეძლო თეატრში წასვლა. ახლა კა... მაინც და მაინც ახლა გამიხნდა ავად“.

— ბიცოლა, ხვალ დეპეშას გავაგზავნი სოფელში, ზეგ დილით სადგურში რომ დამიხვდნენ.

— ბავშვს თუ სიცხე ექნა, როგორ წაიყვან?

— არა, სიცხე თითქმის არა აქვს, მარა, აქ რომ ავად გამიხდეს, მეშინია და მინდა გავასწრო.

მეორე დღეს, საღამოს, მაკა გაემგზავრა სოფელში.

...თენდებოდა, როცა რკინიგზის სადგურზე გამოსული თენგიზი ცოლშვილის დაბრუნებას რაღაც შეუგნებელი მღელვარებით ელოდა. სადგურის წინ დადიოდა ბაქანზე და ფიქრობდა: „ჩემი ვაჟაკი თუ კარგად გვეყოლა, ჩვენს ბედნიერებას ბოლო არ ექნება.“

მატარებლის გუგუნი შემოესმა; თვალეზი დააცეცა და გულმა ძგერა დაუწყო.

მატარებელი მოახლოვდა, თვალეზი სადგურში შემოაბრიალა და უეცრად შედგა.

თენგიზმა ვაგონის კიბეზე მაკა დაინახა და სულმოუთქმელად მიეჭრა.

— მაკა, როგორ ხარ, ბავშვი როგორაა? — და ბავშვი იყვანა.

— არა უშავს... — სახეში არც შეუხედავს ისე, ყრულ უბასუხა მაკამ და კიბეზე დაეშვა.

— როგორ, ავად ხომ არ გავიხდა?

— არა, ბოლო დროს ჭინკყლობა დაიწყო და წამოვიყვანე. ჰო, მატარებელში მგონი ცოტა სიცხეც მისცა, მარა არა მგონია, იქნებ ვცდები.

— რაო?! — ბავშვი გულში ჩაიკრა თენგიზმა, ლოყაზე აკოცა და წამოიძა-

ხა: — სიცხე აქვს, წავიდე თქვამს — და წინ გაიქრა.

ჩაჯდნენ მანქანაში და გაემგზავრნენ.

— ალბათ, გაცივდა.

— რა ვიცი!

— გარეთ გაგყავდა?

— არა.

— ვინ იცის რითაა ავად. შინ მივიყვანო და ექიმთან წავალ.

— კარგი იქნება, — ყრულ უთხრა მაკამ და თვალი მოარიდა გულდამწვარ ქმარს.

შინ მისვლამდე სიტყვა არ დაუძრა.

რალაც მტკივნეული ღუმილი იდგა.

თენგიზი თვალდახუჭულ ბავშვს დასჩერებოდა და თავჩაქინდრული მაკა ხან ქმარს, ხან შვილს რალაც შემკრთალი აცქერდებოდა. მერე თავისივე ხელისგულს დაჩერებოდა და თითქოს ყოფნა არყოფნის საბედისწერო წიგნს კითხულობსო, ტუჩებს უცნაურად აცმაცუნებდა.

მანქანა შედგა. ჩამოვიდნენ.

თენგიზმა ბავშვი მაკას ჩააბარა და როცა ისევ მანქანაში ჯდებოდა, გასძახა:

— მალე მოვალ!

მაკა შემებარი შევიდა ეზოში.

— მაკა, თენგიზი სადღა წავიდა? — მოაძახა გოგამ.

— ექიმთან!

— ექიმთანო? — გაიმეორა მარომ და წინწასულ გოგის ფეხდაფეხ მიჰყვა.

— ღმერთო გვიშველე! — ძლივს გასაგონად თქვა დედაბერმა, ხელები აუთრთოლდა, მოაჭირს დაეყრდნო.

— რა მოხდა, მაკა? — შეეკითხა გოგი.

— გზაში ავად გამიხდა. მგონი სიცხე აქვს.

— მომეცი, შვილო! — უთხრა მარომ, ბავშვი აიყვანა, შუბლზე ხელი ოდნავ შეახო, — მოვიკვდეს ბებია! — წამოძახა და წაიყვანა.

მაკა თან გაჰყვა.

ადგილზევე გაშეშებული გოგი ჯერაც არ იმროდა: „ეს აღარ მომწონს...“

— ფიქრი არ დაასრულა. შემე დაჩეხა

და ბუხარში მიმქრალი ცეცხლი გამოაცოცხლა.

ბავშვი დააწვინეს, იქვე მოუხსდნენ. მაკამ გაანჩხლებულ ბავშვს დაუყვავა:

— დაწყინარდი, შვილო, ნუ გეშინია. სიცხე დიდი არა გაქვს. ექიმიც მოვა და კარგად იქნები.

ერთ საათში ექიმიც მოვიდა. სათვალე მოიხსნა. ბავშვი გასინჯა, ნაცხი აუღო და ხელს რომ იბანდა, თვალები მოწუწურა:

— ორ საათში ანალიზი გვექნება...

— ბატონო თომა, რა უნდა იყოს? — შეეკითხა გოგი ჩაფიქრებულ ექიმს და კართან გაშეშებულ თენგიზს თვალი შეაღწეო.

— აგერ, მე და თენგიზი ისევ გავიქცევით და, თუ საჭირო იქნება, მალე აქვე გავჩნდებით.

— სეროზულია?

— ბავშვს ყელი აქვს ამოწითლებული, ჭერჭერობით ვერაფერს გეტყვით. დიხს, რალაც ცოტაოდენი ეჭვი მაქვს. მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლის.

— ეჭვიო... — ჩილაპარაკა იქვე მდგარმა, წელში მოხრილმა დედაბერმა, ფედოსიმ, და სასადილოში მუხლების კანკალით გავიდა.

ამ ერთმა სიტყვამ სხვებიც შეაკრთო. მაგრამ უმალ ექიმმა თითი აიშვირა:

— ჰო, ყველაფერი კარგად იქნება და ნუ გეშინიათ. წავიდე, თენგიზ! — დიძახა ბოლოს და ოთახიდან გავიდა.

გულშემოყრილი თენგიზი უსიტყვოდ გაჰყვა. კიბეზე რომ ჩადიოდა, ფიქრობდა: „ახლა მამატიე, ჩემო ბიჭუნა, და მერე თავისთავსაც აღარ ვენდობი“.

ოთახში რალაც მკვდარი სიჩუმე დარჩა, ერთმანეთს უცქერდნენ, თუმცა აღაფერს ამბობდნენ.

იმათ უსასრულო სიხარულს ოჯახში ბავშვის გაჩენის გამო, თითქოს ახლა, მღვრია ნიაღვარი ემუქრებოდა.

მაკა თვალგაშეშებით იჯდა აკვანთან და პირველად გრძობდა ბავშვის გამო მწვავე ტკივილებს:

„შვილო, დამნაშავე ვარ და მამატიკე. უნურ დედას მეტს ნულარ დამსჯი, შემობრალე დედოკო. სულ უბრალო მეგონა, ახლა კი ვინ იცის რა მემართება. რა სასჯელს გამოუტან დედაშენს?“ ახლა ხედებოდა, რა მიუტევებელი დაუდევრობა გამოიჩინა, ავადმყოფი ბავშვი თბილისში ექიმსაც არ უჩვენა, ბიძა-ბიცილოსაც არ გაუმხილა, რომ სიციხე ჰქონდა და თბილისიდან გამოემგზავრა.

ექიმი და თენგიზი დაბრუნდნენ. ექიმი წინ გამოიბოძა. თენგიზიც ჩქარობდა, მაგრამ მუხლები ეკვეთებოდა. გაშეშებული თვალებით შიში მოჰქონდა, ფერიც არ ეღო.

ექიმის აჩქარებამ და თენგიზის თვალებმა ყველა შეაკრთო.

— რა მოხდა, შვილო? — შეეკითხა მამა.

— ბავშვს ხუნაგი აქვს.

— ხუნაგიო... — ეს საშიში სიტყვა ყველამ გაიმეორა და ექიმის ხმაც მოისმა:

— რაც საჭიროა ყველაფერს გავაკეთებთ. მხოლოდ დაწყნარდით... აგერ შრატს შევეშხაპუნებ და მერე ვნახოთ, — და დაფაცურდა.

როცა ყველაფერს მორჩა, სული მოიბრუნა და სკამზე მძიმედ დაეშვა.

— რას გვეტყვი, ექიმო? — შეეკითხა გოგი, თუმცა ამ კითხვის მიცემაც უმძიმდა.

პასუხის მოლოდინში ექიმს ყველა თვალდაცეცებით მიაჩერდა და ისე გაიტრუნა, ავადმყოფი ბავშვის აჩქარებული სუნთქვა ისმოდა.

ექიმმა სათვალე გაისწორა, თავი ასწია და ხმადაბლა თქვა:

— თუ არ დავიგვიანეთ, ყველაფერი უმტყენეულოდ ჩაივლას.

საბედისწერო სიტყვამ, „დავიგვიანეთ“, ტყვიასავით გაიზუზუნა და სანამ შეწყდებოდა, ექიმი ოთახიდან გავიდა. ამ ერთმა სიტყვამ მაკას გაფართოებულ თვალბუდეში შიში აღბეჭდა, აკვანს

ხელი ჩაავლო და ჩვილს ჩააჩერდა და ხუჭულ თვალბუდეში.

თენგიზს უნდოდა ეთქვა რამე ექიმისათვის, ყველაფერი დაწვრილებით გამოეკითხა, მაგრამ ენა დაება, თვალთ დაუბნელდა და იმის მაგიერ, რომ ექიმი გაეცილებინა, იქვე სკამზე დაეშვა.

— შვილო, თენგიზ, ნუ გეშინია. ღმერთი არ დაგვსჯის; — შემოესმა დედის ხმა და მუხლზე მისი თბილი ხელის შეხებაც იგრძნო.

— შეშინდით ხომ? — იკითხა უკვე მეორე ოთახში გასულმა ექიმმა და კართან შეჩერდა, — ჰო, თუ ასეა, ჭერჯერობით მეც აქ დავრჩები. ვიქონიოთ იმელი.

თენგიზი ექიმის სიტყვებმა ცოტათი გაამხნევა, წამოდგა, ოთახში თვალი მიმოაცეცა; ბავშვს დააჩერდა, კარგახანს უცქირა, მერე გავიდა და კარი ფრთხილად მოხურა.

— თენგიზ, შვილო, საქმე რომც წახდეს, ჩვენ წახდენის უფლება არა გვაქვს!

„განა, ექიმო, საქმე ავრეა?“ — ექიმისათვის უნდოდა ეკითხა თენგიზს, მაგრამ ვერ შეძლო, კუთხეში დაჯდა.

...იმ დამით ექიმი გვიან წავიდა.

გოგამ ჰიმნარში გააცილა და ექიმი მიუბრუნდა, ჩურჩულით უთხრა:

— თქვენ მანც გამაგრდით, მიხედეთ ოჯახს. მე ვფიქრობ... ჰო, უნდა ველოდოთ, სხვა არაფერი. აქ სხვა წამლობა უნაყოფოა, — თქვა და გაბრუნდა.

გოგი ფეხშიშველი ავიდა ოდასახლის კიბეზე. აივნაზე შეჩერდა, სული მოიბრუნა, თავს შემოუძახა: ოთახში უფრო მშვიდი გამომეტყველებით შევიდა; ყველას გასაგონად, თითქოს სხვისი სიტყვები გაიმეორა:

— ექიმი იმდღს გვაძლევს. ნუ წახედებით. თავს შემოვუძახოთ; დაიძინე, შვილო, მოისვენე.

— არა, მამა, რა დამაძინებს. თქვენ მოისვენეთ.

მამამ აღარაფერი უთხრა, მივიდა, ბავშვს დააჩერდა, მერე გავიდა თავის ოთახში, ტანტზე გაუხდელი წამოწვა. წველა პაპიროსს, აბოლებდა, თუმცა მთელი მისი გულასყური იქ იყო, სადაც ავადმყოფი ბავშვის ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა. თითქოს აბოლებსო, ჩურჩულებდა:

„არ დაგვიბნელო, ბაბუა ოჯახი; გაუძელ, გაათენე ეს ბნელი ღამე, მერე შენი ტირილიც, იადონის გალობასავით ტკბილი იქნება ჩვენთვის...“

აკვანთან უხმოდ მსხდარი ქალები თვალმოუწორებლივ ჩასცქეროდნენ ბავშვს და ყოველ მის ამოსუნთქვას შეშფოთებით უსმენდნენ.

თენგიზი სასადილოში ფეხაკრეფით მიმოდოდა, ღია კართან ჩერდებოდა, აკვანში ოდნავ სახეგაშუქებულ ბავშვს გახედავდა შორიდან, გული ისე ეკუმშებოდა, თითქოს ვინმე უხილავი ხელს უქერს და აპატარაებებსო. შიგ სისხლას წვეთსაც კი არა ტოვებდა, ამას ვერ უძლებდა, ხუჭავდა თვალს. მერე ისევ ფრთხილად დადიოდა, თავისივე ფეხის ხმა კარზე რაღაც საშიშ კაკუნად ესმოდა. სუნთქვაშეკრულ, დამუნჯებულ ოთახში.

დიღბანს იწრიალა, ეგონა თუ გათენდებოდა, ბავშვაც გადარჩებოდა და ხშირად სარკმელში იხედებოდა.

უეცრად მაკას ცივი კვილი შემოესმა და თოფნაკრავივით ადგილზევე გაშეშდა. მერე კართან მიიჭრა, ოთახში შეიჭრა და აკუნის პირას მუხლებზე დავარდა. მისი, ჯერ სიცოცხლეში ფეხშემოუდგმელი შვილის პაწაწა ხელებს აკოცა და დაიკვნესა.

— შვილო, თენგიზ! — თითქოს ძლიერ შორიდან შემოესმა მშობლების ხმა.

სამი დღის შემდეგ თენგიზი გაქვავებული იდგა პირდაღებულა საფლავის პირად. გამოთხოვების უკანასკნელი წუთი მიიწურა, მუხლებზე დაეშვა, შვილის პატარა, სამულდამო სახლს მოხვია ხელი და ზედ დაემხო.

— გაგიყდა, მოაშორეთ, გამოიყვანეთ!

— გაისმა ხალხში.

გააკავეს და იქაურობას გააშორეს სუნთქვადახშული.

შინ რომ დაბრუნდნენ, მაგიდაზე სამძიმრის ღებუშები და ბარათები დაუბედათ.

თენგიზმა ერთ-ერთი კონვერტი გახსნა და ბარათის კითხვა რაღაც მოდუნებით დაიწყო, მაგრამ უცბად სახე შეეცვალა, — გაფითრდა, ხელი აუთრთოლდა, — კითხვა მაინც განაგრძო.

ბარათში მაკას ბიძა-ბიცოლა წერდნენ:

„გამოუსწორებელი მარცხი თქვენთან ერთად ჩვენც განვიცადეთ, ასე გვგონია, ჩვენც მიგვიძღვის დანაშაული. შვილო, მაკა, ბავშვი ლილისთან რომ წაიყვანე, ალბათ, მაშინ გაცივდა, მაგრამ შენ რომ სიცხე გაუსინჯე და დაგვამშვიდე, ჩვენ ამით შეეცდით; მით უფრო, მეორე დღეს სიცხიანი ბავშვის სოფელში წაყვანა რომ დაგანებეთ, შენ გამოცდილება არ გქონდა და შეცდომა დაუშვე; მაგრამ ჩვენ საღლა ვიყავით, რატომ არ გაიძულეთ, არ დაგტოვეთ თბილისში. სანამ ტქიმი არ გასინჯავდა, სოფელში წაყვანის ნებას არ დაგრთავდა. ახლა კი სინანულსა და გლოვის მეტი რა დაგვრჩენია. თქვენთან ერთად ვტირით უღროოდ დაღუპულ პატარა ტარიელს.“

თენგიზს თითქოს სისხლი გაუშრა ძარღვებში. მაკა გაყინული თვალებით შეათვალიერა და ბარათი გადასცა.

— წაიკითხე, — უთხრა ყრულ, ცივად.

მაკამ იგრძნო, რაც ხდებოდა, ბარათს დააჩერდა, შეშფოთებით კითხვა დაიწყო, რამდენიმე სტრიქონი რომ ჩაიკითხა, გაფითრდა. ჩაულურჯდა ბავშვი. დაასრულა. ხელი აუთრთოლდა, ბარათი დაუვარდა და იქვე დაჭდა.

თენგიზი მიჩერებოდა, მაგრამ აღარაფერს ეუბნებოდა. მერე ცივად გაბრუნდა, მის გაშეშებულ თვალებს მშობლების მოსიყვარულე თვალები შემოეგება და თენგიზი შედგა:

— მამაკიეთ, თქვენი გარდუვალი არასოდეს ჩამიდენია. ამ ერთხელ მეც დამიჭერეთ, ნურაფერს მეტყვით. იმ ოთ-

ახში შესვლა არ შემიძლია და—თვალი იმ ოთახის კარს გაუსწორა, რომელშიც მისი პატარა ტარიელის სიცოცხლე შეუქცევით ჩაუქრა, — დათუნასთან მივიდვიარ, ნუ გამაჩერებთ. მაინც თქვენთან ვიქნები მუდამ, — და ოთახიდან გავიდა.

— შეილო!

— ბებია! — მშობლებმა და ბებიან ერთხმად მიამხეს და უკან გაჰყვენენ.

ახლა აივნიდან გაჰყურებდნენ ოჯახიდან გაქცეულ შვილს სუნთქვაშეკარულნი, გაშეშებულნი.

თენგიზმა ფრთხილად, რალაც ამძიმებული ნაბიჯით ჩაათავა აივნის კიბე, გავიდა ეზოში, ჰიშკარიც გაალო და უკან მოუხედავად გაუდგა გზას.

— ასე რამ გაამწარა; ნეტავ რა მოწერეს? — ძლივს ჩურჩულით აღმოხდა დედას.

— თენგიზი ჰკვიანია, ნურადერს ვეცხვით, — შეგვიანებით უთხრა გოგიმ და სვეტს მიეყრდნო.

გაშეშებულნი კარგა ხანს იდგნენ.

მაკას დედის, ქრისტინეს ხმა შემოესმათ და ოთახში შევიდნენ.

— შეილო, მაკა, შენც ჩემთან წამოდი ამუდამ; ასე მარტო რა გავაძლებინებს.

— მარტო არაა, ჩვენც ხომ აქა ვართ, — უთხრა გოგიმ.

— „ქი, მარა... — და ქრისტინეს სიტყვა შეუწყდა. ჰრელი თვალები შეილს ისე მიბაყრო, თითქოს უთხრა: „მე დამიჯერეო“.

მაკა კანკალებდა. ბაგეები ჩალურჯებოდა. სიტყვას ვერ ძრავდა. ისევ იმ საბედისწერო ბარათს დასჩერებოდა და ტუჩებს იკვებტდა. მერე წამოდგა, დედას ხელში ხელი ჩაავლო, საძინებელ ოთახში გაიყვანა.

ათ წუთში აივანზე გამოვიდნენ და როცა კიბეზე ჩამოდიოდნენ, მაკამ გველნაბენივით მოჰხედა აივანზე გამოსულ თენგიზის მშობლებს.

— მე ხვალვე მოვალ, — გადმოუგდო და თავჩაქინდრული გაჰყვა დედამისს.

— შეილებო, შემოდით შინ, ალბათ,

ასე იყო საჭირო, — ყრულ ჩაილანობიკა კარებში მღვარმა დედაბებრმა და გავიგებულ ცოლქმარს თითქოს დაპატარავებული, თუმცა რალაც იმედის მოქმეული თვალეები მიაშუქა სახეში.

IV

დღე-ღამეები შორეთში გაფრენილ წეროებივით მისდევდნენ ერთმანეთს, მაგრამ დათუნასთან „ჩასახლებული“ თენგიზა შინ დაბრუნებაზე სიტყვას არ ძრავდა.

მაკა მოდიოდა, ერთ-ორ ღამეს ათევედა, ელოდა თენგიზს; მერე ისევ ბრუნდებოდა დედასთან.

როცა მშობლები თენგიზს ჰკითხავდნენ შინ როდის დაბრუნდებიო, ისიც მოკლედ უპასუხებდა:

— ღამეს საღ გავათევე, მნიშვნელობა არა აქვს, მაინც თქვენთან ვარ.

იმ დღეს თენგიზმა თემშარაზე წინ მიმავალი ნანა დაინახა და იმ შავი დღის სურათი წარმოუდგა, როცა თავის პატარას სასაფლაოზე მიაცილებდა. მაშინ ნანას თუმცა მასთან მისვლა, მისამძიმებდა ვერ გაეხედნა, მაგრამ გულამოსკენით ტიროდა. ეს თენგიზს იმ წუთებში დიდად შეგლოდა და ამ მოგონებამ თითქოს იმავე ცრემლებით გულში ჩარჩენილი წყლული ახლაც დაუამა, დაუშოშმინა:

„რალაც ვრძნობამ შემოჰკა მაშინ, ახლო ვერ მივედი, მაღლობა ვერ ვუთხარი ნანას“ — იფიქრა. ფეხს აუჩქარა, მიუახლოვდა: „ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“, გადაწყვიტა.

— ნანა!

ნანა შედგა. მოიხედა, უეცრად შეკრთა, გაწითლდა.

— მაღლობელი ვარ გულწრფელი თანაგრძნობისათვის, ახლა მოვახერხებ ამის თქმა.

ნანა მიწას დაჩერებოდა და ისე ამბობდა:

— რაც ჩემმა სიგიყემ ტანჯვა მოგვიტანა, ისიც გვეყოფოდა... ვერა, პატივბას ვერა ვთხოვ, არ შემიძლია. ჩემ

თხოვნა, თავს შემოუქანხო, შენ და მაკას მომავალი ისევ წინ გაქვთ. მე ყველაფერი დავათავე. ჩემზე ახია და ვიქნები სამუდამოდ დასჯილი. — ამის თქმაზე თითქოს აფეთქდაო, ისე შეიბრა, თითქოს დაეშალა მთელი სხეული. აქვითინდა, გაიქცა.

თენგიზი გასცქეროდა გაშორებულ ნანას.

მან თავისი სათქმელი უთხრა.

მოსახვევეში თემური შეხვდა.

— თენგიზ, ნანა შემომხვდა, ტირილით გარბოდა. მიუძახე, ნანა, ნანა! არც შემომხვდა, უფრო გაიქცა.

— ვერაფერს გეტყვი.

— გეტყობა, ყველაფერი იცი და არ მეუბნები, არ გრცხვენია?

— რა ვიცი, თემური.

— თუ არ იცი, კარგად იყავი. ნანა შენზე დარდობდა, სულ მეკითხებოდა როგორააო, შენ კი... — აღარ დაასრულა, შინისაკენ სიმღერით გაიქცა.

გავადა ორი თვე.

თენგიზი მშობლებს ნახულობდა, მაგრამ ღამეს შინ არ ითევდა იმ სახლს გაუბრუნდა, რომელშიაც თვითონ დაიბადა. შორიდან რომ აცქერდებოდა, სიკვდილის საბუდრად ეჩვენებოდა. წარბს შეიკრავდა, სახე მოექცეოდა, გული აუძგერდებოდა და შორდებოდა.

იმ დღით მაკა მანქანით მოვიდა. ოღა-სახლის კიბე ისე აიარა და ოთახშიც ისე გალურსული შევიდა, ეტყობოდა აღარავის დანახვა აღარ უნდოდა. რაც აქ თავისა იყო, შეაგროვა, ორ ჩემოლანში ჩააწყო და აივანზე რომ გამოიტანა, მაროს ხმა მოესმა.

— სად მიხვალ, შვილო?

— საიდანაც მოვედი, სამუდამოდ. —

ცივად გადაუგდო მაკამ და კიბეზე დაეშვა, ეზოში ჩასულმა ჩემოდნები დასდო, სული მოიბრუნა, მიმოიხედა, ჩალურჯებულა ბავე ჩაკბიჩა და გაანჩხლებით ისევ ჩემოდნებს ეცა, ძლივს გაიტანა ქიშკარში. მამ მიეგება და მიეშველა.

— წავიდეთ, ჩქარა! — გამწარებით

წამოიძახა მაკამ და მანქანაში თავის ჩემოდნებს გვერდით მიუჯდებოდა. თითქოს მაკას მაგიერ ~~წავრომსოქ~~ მანქანა ახრიალდა, დაიღრინა, ადგილიდან დაიძრა, ერთი წუთი და მისი ხმაც მიწყდა.

— დედავ, ღმერთო, რა მოხდა ეს? — თქვა მარომ და ხელები გაშალა.

— მოხდა, რასაც ველოდი, — გამოეხმაურა ბაღში ბარით გასული ვოგი.

— შენი შენთავანი, შენი შემწირველიაო, იტყვიან, შვილო; არ იყო და წავიდა, — დაუმატა აივანზე მჭდარმა. ჯოხზე ნიკაბით დაყრდნობილმა დედაბერმა, პირჯვარი გადაისახა და ამით თითქოს ჯვარი დაუსვა ქვიშაზე ხუხულასავით აშენებულ ახალი ოჯახის მთელ ისტორიას.

შუალღისას თენგიზიც მოვიდა. შემოდო თუ არა ქიშკარი, დაიძახა:

— ნენა, საღამოს მივემგზავრები. ცოტა საგზალი დამჭირდება და მომიმზადე.

დედა ეზოშივე მიეგება, არაფერი უთხრა, ცრემლები დაედინა სახეზე და შვილს შუბლზე აკოცა.

— ნენა, ცული ხომ არაფერი მომხდარა?

— მაკა წავიდა.

— როგორ?! — იკითხა თენგიზმა.

— სამუდამოდ.

— ჰოო, — ისე გაავრძელა თენგიზმა, თითქოს ამას ელოდა. წარბიც არ შერჩევია, დედას ხელი მოხვია. ეზოში ძელსკამზე დასხდნენ; დუმილს მიეცნენ.

მერე თენგიზმა თითქოს შორიდან დაწყებული ამბავი დასკვნა:

— ადრე რომ წასულიყო ტარიელი გადაგვიჩიებოდა.

— რაო? ეს რა თქვი, შვილო?!

— ამაზე ნენა ნურაფერს მკითხავ. უბედურებას მაინც ველარაფრით გამოვასწორებთ, გვიანდაა..

— შვილო, წამო, შევიდეთ შინ, — და გაოგნებულმა დედამ ხელში ხელი ჩაავლო.

— შინ? ჰო, კარგი ნენა, — დედის

ხელს მიჰყვია. კიბეზე რომ აღიოდა, ერთ-ბაშად დაუმძიმდა გული და ფეხიც... აივანზე ბებიას დამტკბარი თვალებიც შემოეგება:

— მოდი, ბებია!

ბებიას გაძვალტყავებული ხელი გულში ჩაიკრა:

— ვიცი, შენც დაიტანჯე, ბებია.

— ჩემი რა სათქმელია, ათასი ქვა დამსხვრეულა ჩემს კერკეტ თავზე, მარა დედაბერი სულს მაინც მოვათრევი. აივანზე დასხდნენ.

დედაბერი იცრემლებოდა.

— ნუ ტირი, დედა ფედოსი, გვეყოფა, კმარა, — უთხრა მარომ და სიბერის ბრჭყალებით გაცრეცილ სახეზე ჩამოდვრილი ცრემლები თავის ცხვირსახოციით მოწმინდა.

თენგიზი წამოდგა.

— ჩენა, ახლა წავალ, დათუნასთან შევიტყობ და მალე აქ გავჩნდები.

— თბილისში რამდენხანს დარჩები, შვილო?

— თბილისიდან სხვა სტუდენტებთან ერთად პრაქტიკაზე გავემგზავრები და ვქვს თვეს იქ დავრჩებით.

— რას ამბობ, შვილო, ასე ღიღი ხნით?

— იქნებ მეტ ხანს დაგვტოვონ, მარა გაცნობებთ სად და როდის ვიქნები.

და სანამ დედა ახალ შეკითხვას მისცემდა კიბეზე დაეშვა.

დედაბერი რაღაც საეჭვოდ რძალს მიუბრუნდა, ჩურჩულით უთხრა:

— შვილო, მთი ბიჭი მგონი შორეულში მიემგზავრება და არ გვეუბნება.

— რას ამბობ, დედა, — წამოიძახა შეფიქრებულმა მარომ და გვერდით მიუჩქადა, ხელები ლოყაზე შემოაწყო და დედაბერს ჩააჩერდა დაწვრილებულ თვალებში, — როგორ მიხვდი, დედა, რაში შეატყვე?

— გაგრძელებულ სამზადისში და მიკიბულ-მოკიბულ სიტყვა-პასუხში. ეს ამბავი, ალბათ, მაკამაც იცოდა; მიხვდა, გამირბისო, და თვითონაც გაიქცა.

— დედა, გულთმისანი ყოფილხარ,

უსიტყვოდაც ყველაფერს ხედები; მაწაში რა დევს იმასაც ხედავ.

სალამოს მინდვრის სამუშაოდან დაბრუნებულ გოგის მარომ თენგიზის ამბავი უთხრა.

გოგიმ პაპიროსი გააბოლა და ეზოში ძელსკამზე მძიმედ დაეშვა.

— დედაჩემის აზრები საგულისხმოა და ჭკუასთან ახლო, მარა თენგიზი რატომ არ გვიმხელს?

— არ შეგვაშინა. მერე, ალბათ, თანდათან შემოგვაპარებს.

მალე თენგიზმაც შემოალო ეზოს კიშკარი.

— აქ მოდი, შვილო, — ხმაშერბილებით გასძახა მამამ.

თენგიზის გული შეარხნია მამის თბილმა სიტყვამ და მშობლების ახლოს მოლხე დაეშვა.

— შვილო, დღეს რომ დარჩე, არ მოხერხდება?

— არა, მამა, ამხანაგები მელოდებიან.

— ჰო და, კაი... — მხოლოდ ეს უთხრა მამამ და პაპიროსი შორს გადააგდო.

— მარო, ხომ ყველაფერი მზადა გაქვს?

— მზადაა, მარა...

— „მარა“ არაფერია, კაი ვახშამიც აღრე მოგვიმზადე, მეც გავაცილებ.

— ჰო, კაი, კაი, — ყრულ ჩაილაპარაკა გულდამწვარმა მარომ, კაბის კალთა აიკაპიწა და სამზარეულოსაკენ თავდახრილი წავიდა.

— ეტყობა, შორს მიემგზავრები და ქალებს არ უმხელ, მარა მე მაინც უნდა მითხრა სიმართლე. ხომ საჭიროა ვიცოდე... — ისეთი დაბეჭითებით უთხრა მამამ, რომ თენგიზის გულნადების დაფარვა უკვე არ შეეძლო.

— ჯერ პრაქტიკაზე, მერე ყამირზე.

— ასეა ხომ? ჰო კაი, მარა თავს გაუფრთხილდი. ყველაფერი გვაცნობე. ბებიაშენს უთქვამს „შორეულში“ მიემგზავრებაო და დედაშენიც ადგილს კედარ პოულობს.

— როგორ მიხვდა ბებია?

— მიხვდა, მარა ქალებს ჯერ ნურაფერს ვეტყვით. მერე კი...

— ჰო, კაი მამა!

— ახლა შენც მიხედ, შვილო, რამე არ დაგრჩეს.

— ახლავე, მამა.

ეზოში მარტოდ დარჩენილი გოგი ლიმონ-მანდარინის აყვავებულ ბაღს აცქერდებოდა და უკვე „შორეთის“ გზაზე დამდგარ თენგიზზე ფიქრობდა.

„ცოტა ჩვენც უნდა მოვითმინოთ, უნდა გავბედოთ. არადა, ასაფრენად ფრთა-ასხმული შევარდენი დაკნინდება თავის ძველ ბუდეში“ — დაასკვნა და ღრმად ჩაისუნთქა აყვავებული ბაღის გამაბრუნებელი სურნელით გაქლენილი ჰაერი.

იმავე საღამოს, როცა ივანეშემს, გრიგოლმა უღვაშები ხელის ველით დაათოვა და ჩაახველა:

— ერთ დღეში ამდენი ამბავი რომ მომხდარიყოს, არ გამოვივინია.

— რა მოხდა, გრიგოლ? — ჰკითხა ანეტამ.

— რა მოხდა კი არა, დილით რომ მკაცრი წინსაძვლამოდ წასულა, საღამოს თენგიზი საღდაც დიდხანით გამგზავრებულა.

— რას ამბობ, კაცო?!

— სიმართლეს ვამბობ, — ბეჭედით დაარტყა გრიგოლმა.

სუფრის თავში მკვდარი ნანა გაწითლდა, თავის ოთახში უხმოდ გავიდა, ტანტზე დაეშვა და გაფაციცებით უსმენდა მშობლების ბაასს.

— ჰო, მარა, ვინ ვითბრა, გრიგოლ?

— გოგამ თენგიზი გააკოლა და გზაში შემომხვდა. ყველაფერი მიაშბო.

— ეს რა მომხდარა! რალაც ცალცალკე რომ დადიოდნენ, ამას ყველა ხედავდა, მარა თუ საქმე აქამდე მივიდოდა, ვინ იფიქრებდა.

„ნეტაი საით გაემგზავრა თენგიზი? პრაქტიკაზე? ყამირზე? რატომ ადრე ვერაფერი გავიგე?.. მარა, რომ გამეგო, მერე რა? მისი წასვლა-მოსვლა მე ხომ არ მესხება... მაინც უნდა გამეგო“, იფიქრა ნანამ. ხელები აუთრთოლდა, ღრმა სატკივარი ტალღასავით შეიჩხა მის გულში, მაინც რალაც უჩინარი სხივი ანელებდა სატკივარს და ეს ორი გრძნობა

ბა ელვასავით ხან ანათებდა, ხან აბნელებდა მის დაჭრილ გულს.

„მაკაც წავიდა? რატომ წავიდა? იმიტომ რომ თენგიზი დამეს შინ არ ათევდა? ო, ღმერთო, ჩემო!“ — კინალამ ხმამალა წამოიძახა, ხელები თავზე შემოიკლდა, დაიხარა და გახურებული სახე კალთაში ჩამალა. კარგა ხანს უსმენდა საკუთარ გულს ხმას და ყურების ყრალს, მერე ფრთხილად ლოგინში შეწვა, საბანი თავზე წაიხურა, თითქოს დაემალა თავისთავს. ერთსა და იმავეს იმეორებდა:

„ორივენი წავიდნენ? რატომ წავიდნენ? ღმერთო, ჩემო!“

V.

გავიდა ხანი. ზაფხული იყო. გოგი გოგოძის კარმიდამოში სიწყნარე სუფევდა. ამ განთიადისას ადამიანის ხმა-ჰქანება არსაიდან ისმოდა, ნიავის მინელებული სუნთქვით შერხებული ფოთლები იდუმალად ჩურჩულებდნენ ურთიერთ შორის.

აღმოსავლეთით მთა წითლად მოჩანდა, დასავლეთით ზღვას ნისლი ვადაჰფენოდა. თითქოს უდამიანოდ დარჩენილი ეზო-ბაღი, სახლ-კარი, ქარტაში მოსვენებული პირუტყვიც ობლებივით გამოიყურებოდნენ, იქნებ იმიტომ, რომ ეს ყოველივე ადამიანის ხელით იყო შექმნილი, მოშენებული. ადამიანი კი არსად არ ჩანდა მაგრამ აი, მთაზე ამოწვერილი, პირველი სხივი შეეხო სარკმელს და ცოლქმარსაც გაუხილა თვალები. მაგრამ მარომ იქვე, პატარა მაგიდაზე თენგიზის ბარათი აიღო, სათვალე შორიგო და ერთი ადგილი ისევ გადაიკითხა:

„ახლა თბილისში ვარ, რაც ყამირიდან დავბრუნდი, სახელმწიფო გამოცდებისათვის ვემზადები, ალბათ, მალე ჩავაბარებ და დავბრუნდები. ბევრი გალოდინეთ, მაგრამ მშაპტიეთ, ჩემი ბრალი არაა“.

— მაი მართალია, მარა მაინც იგვიანებ... ნანამაც ჩააბარა, ხუთი დღეა დაბ-

რუნდა შინ და დასასვენებლად მთაში გამგზავრებულა; მაშინა ხომ საბავშვო ბაღის გამგეა და მას წაუყვანია. თენგიზი კი... — გოგი მიხვდა რას კითხულობდა ცოლი ამ დილაადრიან და უპასუხა ბარათში თქმულს.

— გოგი, თენგიზი შორს იყო და გვიან დაბრუნდა თბილისში. ისე კი დასვენება თენგიზსაც სჭირდება.

— ერთ წელზე მეტია აღარ გვინახეს და ლოდინი გვეყოფა.

— მოვა. გული მეუბნება.

— იქნებ ენამ გიყვილა, მარო!

სასადილო ოთახში სარკმლის მინაზე შუბლით მიყრდნობილი დედაბერი, ფედოსი, ამ დილაადრიან ჭიშკარს რაღაც განსაკუთრებული დაბეჭითებით აცქერდებოდა, თანაც ჩიფჩიფებდა თავისთვის:

«ექვს თვეში მოვაო და აი! ნეტა რა უღვეს გულში, რავე, შინ დაბრუნებას აღარ აპირობს?... როცა მიემგზავრებოდა ვერაფერი ვუთხარი, ვერ მოვაგონე, შენს დაბრუნებამდე იქნებ მე სამუდამოში გავემგზავრო თქვა. იქნებ შევცოდებოდი მალე დაბრუნებულყო, — ერთხელაც ხუჭუჭ თმაზე გადამესვა ბებერი ხელი. «მერე მისი ვაცილებაც დამამშვიდებდა ჰოდა, მოდი ბებია არა გრცხვენია? იქნებ ბებიაშენი უკვდავი გგონია, თუ არა ასე ცივად არ დამტოვებდი?» გამობრუნდა, წრე მოხაზა ოთახში, ისევ სარკმელს მიადგა.

მოულოდნელად ჭიშკარი გაიღო, ვიღაც შევეკრემანი, ახალგაზრდა კაცი, ჩემოდნებით ხელში ღინჯად შემოვიდა ეზოში და პირდაპირ ოდასახლისაკენ გამოემართა.

ძალმა შეჰყეფა. მიეჭრა უცბათ ფეხქვეშ გაეგო და აწკმუტუნდა.

— ღმერთო მიშველე! ვინაა, ნეტა, აი შეტუხა?! — წამოიძახა დედაბერმა და კარი გაღო, აივანზე გავიდა.

ამასობაში ძალი კუდის ქიტიანით მოვარდა, ფედოსის გაეგო ფეხქვეშ, პირი დააღო და სიხარულის გამოსათქმელად ღნავილი მორთო.

— ბებია, მოვედი, — უკვე აივანზე

გაისმა მზით სახელამწვარი, დაეჯეკა ცუბული თენგიზის ხმა და ბებრას მიეჭრა. ბებია ამ გაძვალტყავებულნიხლები მხრებზე მოხვია, შინ დაბრუნებულ შვილიშვილს და ლოცვასავით აღმოხვდა.

— შენ გმადლობ, ღმერთო!

თენგიზს მშობლებიც შემოესივნენ.

თენგიზის დაბრუნებით ამ ოჯახში თითქოს ჩამქრალი შუქი ისევ აინთო, განათლდა კედლებიც.

თენგიზი იმ ოთახის კარს მიჩერებოდა, რომელშიაც შესვლას ახლაც ვერ ბედავდა.

ბაასით გული იჭერეს; თენგიზმა შინაურებიც გაატარა იმ გზებზე შინიდან წასვლის შემდეგ რომ გაიარა, აუწყრა, აჩვენა ყველაფერი, რაც ნახა და განიცადა.

სალამოს, ვახშმის შემდეგაც ისევ გულისტკივილით შეათვალიერა მისთვის ძძიმე კარები, რომლის იქით, საძინებელ ოთახში, უბედურების შავი დღე თითქოს ახლაც ბუღობდა. გული შეეკუმშა, გაუშეშდა თვალები.

«გავექცე? არა. გაქცევა ვაქცობა როდია. შვილის გამო გული ხელისგულზე უნდა მქონდეს დასვენებული და სამსხვერპლოზე მისატანად გამზადებული».

— ჰო, შვილო, ჰო, გაბედე, მეც თან შეგყვები, — შემოესმა დედის გამამხნევებელი ხმა. ხელში მისი თბილი ხელის შეხებაც იგრძნო. გაჰყვა ამ ხელს.

წუთიც და ისინი ოთახში აღმოჩნდნენ.

დედამ შუქი აანთო.

თენგიზმა თვალი მიმოაცეცა; აკვანს ეძებდა, — ის აღარ იყო.

დედა მოუხვდა:

— ნუ გეშინია მალე ისევ დაირწყეა შენი ბედნიერების აკვანი, შვილო, და მისი ჭრიალი არასოდეს შეწყდება.

თენგიზი დაჯდა. ახლა დაყრუებულ საწოლსაც შეავლო თვალი. შეაყრყოლა.

ალმურით გარემოცული, ხალისიანად შემოდინოდა, ერთხელაც გაახვდა და თავისი გულოვით გაშუქებულ ოთხთვალა ფანჯრებს გრიგოლის სახლში. მერე რალაც სიტყვებით გულავსებულა გაბრუნდებოდა, ჩაწვებოდა ლოჯიანში და სანამ თვალი დაეხუჭებოდა, უკვე ეძინა. ახლა კი... „ჰო, თითქოს საფლაგში ვწევარ, მარა, განა ეს ცუდია? არა, ცოტახანი მაინც გვერდით მიუწვები ტარიელს და გავიზიარებ ამით მის ბედს; იქნებ იგრძნოს, თვალიც გაახილოს და გაიხაროს... ჰო, ასე, გულში ჩამეკარი, გათბი, ჩემო პატარავ“ — ამ ახალ აზრმა კი არ შეაშფოთა, პირიქით, — დაამშვიდა და გაამხნევა. „ჰო, შვილის ბედს განა შემძლია გავექცე?“ — გაიმეორა ისევ და ისევ... მერე მაინც სინამდვილის მკაცრი სურათები ჩნდებოდნენ მის თვალწინ და ზედმიყოლებით ცვლიდნენ ერთმანეთს. ასე გრძელდებოდა კინოსურათივით მოძრაობა, შემაშფოთებელი სანახაობა და სხვა აღარაფერი დარჩენოდა, დიდი მოთმინებით მარტო საკუთარ გულის მოძალებულ ძეგრასდა უსმენდა. „აღბათ არასოდეს ჩაქრება ეს ცეცხლი მარა. ჩაქრობას განა თვითონ ვინდომებ? არაოდეს! დაადგინა ამათაც სატიკივარი შეიძლება, გაიტრუნა და ჩაეძინა.

დილით ოდნავ დანისლული ბახმაროს მთა თითქოს რალაც დაუსრულებელ ზღაპარს ჰყვებოდა. ნისლის ზღვაში შეცურებულნი და თოვლით შეთეთრებული მწვერვალებით, ამწვანებული მთის ფერდობებით, კლდეკარებით, ტყეებით, შხის პირველ სხივებზე აკიაფებული ჩანჩქერებით, ნაკადულებით ღიახ, თუ ქვეყნად შეიძლება იყოს სიმღერათა სიმღერა, რატომ არ შეიძლება იყოს ზღაპართ ზღაპარი და მას თვითონ მთა ჰყვებოდეს უხმოდ, უსიტყვოდ... აღამიანის ცხოვრებაც ზღაპარს წააგავს, მაგრამ წუთიერია, — მთის ცხოვრება მუდმივიცაა და წუთიერიც, სინამდვილეცაა და სასწაულიც, წუთის წუთამდე ფერთა დაუსრულებელ ცვალებადობით. ვინ ჩაიხვდავს ამ მთების გულში,

ფსკერამდე ვინ ამოაბრუნებს რომ გაიგოს, შეიცნოს მათი გულწაღებულ არსებობის ნამდვილი აზრი? ვერაფერია!

ზოგჯერ ადამიანიც ასევე შეუცნობელია და ხშირად თვითონაც არ იცის თუ რა უღვევს გულში. ისედაც ხდება, ერთს ფიქრობს, მეორეს აკეთებს, ერთი უყვარს, მეორესთან ჭვარს იწერს. მდგომარეობა და ათასი გაუთვალისწინებელი მიზეზი ვინ იცის საღ გადაადგებს. ვის დუახლოვებს, ვის ჩამოაშორებს. ბურთივით ათამაშებს ცხოვრების გზაზე, თუმცა არიან ჭიუტებიც და ერთხელ დასახულ მიზანს, რაც არ უნდა მოხდეს ადრე თუ გვიან, მაინც აღწევენ.

წინა დღით ბახმაროზე ამოსული თენგიზი სახლის აივანზე მარტო იჯდა ჩაფიქრებული, ქვევით, ფერდობზე ფიქვნარს დაჰყურებდა ზემოდან და ეგონახებები, ციხესიმაგრეს შესეულ ჯარივით ზევით მოიწვედნენ, ფეხდაფეხ რომ დაეპყროთ ამ მთის მწვერვალი. „განა ნანას უნდოდა სხვას გაჰყოლოდა? ან მე თვითონ მინდოდა სხვა? — ფიქრობდა თენგიზი, — არა, არც მას, არც მე... მიზეზი დიდი იყო მარა, ჩვენ მაინც შეეცდით, მოთმინება არ გვეყო. ნანას სიფიცხე მოერიო, თავისთავზედაც, აღბათ, გული გაუტყდა, ყველაფერი დაღუპულად წარმოიდგინა თუ თავის ნათქვამს არ შეასრულებდა და ვინმეს მაშინვე არ გაყვებოდა. მერე მეც სამაგიეროს გადახდის ქინმა დამძალა, მაკას აყვები და მის დაგებულ მახეში გავები... ჰო, მარა ჩვენ, მე და ნანამ ამის შემდეგაც ერთმანეთი განა შევიძლე — სიყვარული საშუდამოდ დაემარხეთ? ვერა, მერე გამოირკვა, რომ ვერ დავმარხეთ; თავისთავს და ერთმანეთს თუმცა ვითომ ვატყუებდით, რომ თითქოს დავმარხეთ. მერე რა მოხდა? — მწირზე ნაყოფმა ვერ გაიჭარა, დაკინდა, გაცამტვერდა. აღბათ ასეა: თუ მყარნიდაგზე არ აღმოცენდა, სიცოცხლის ყვავილი ვერ გაიხარებს და ხელში გაბზარული გული შეგვრჩება...

კარგა ხანია აღარ მინახავს, ნანაც მთაში გაემგზავრაო, დედაჩემმა. ნეტავ სადაა, როგორაა, რას შეება ახლა?... გულს აღარავინ გაეკარა, ასე დარჩენა კი... და აქ ფიქრიც შეწყვიტა. ეზოში გავიდა. ღარის ყინულოვით ცივ წყაროზე ხელბირი დაიბანა, გამოფხიზლდა, ღრმად ჩაისუნთქა მთის სუფთა ჰაერი. მერე ისევ ტყით შემოსილ მთებს რომ გაჰხედა, უნებლიედ კინალამ სიმღერა დაიწყო. ამ მთების გარემოცვაში გული მაინც თავისთავად თითქოს მღეროდა უხმოდ, უსიტყვოდ.

ოთახი დაკეტა. მოედანზე გავიდა. მოაგარაკეთა შორის ნაცნობებს ეძებდა. ბევრი ნახა, გაესაუბრა, მაგრამ ვიღაც სხვას ეძებდა. ისევ მთისკენ იბრუნა პირი.

ვიწრო ბილიკით შეაღწია დაბურულ ტყეში და კარჩხალ ქვებზე ხტომით მიეძალა დაკიდულ აღმართს.

ნიავის შებერვაზე ტყეც ისე შრიალებდა, როგორც ზღვა სუნთქვადამტყბარი. თენგიზიც უერთებდა საკუთარ სუნთქვას და დაბურული ტყის წიაღში მთლიანად ჩაქარგული, მარტო ბუნების ხმას უსმენდა:

„წადი, იარე, მთაზე ამალდდი, ყველაფერი წინაა, ისევ წინაა. მაღლა სანავარდოდ ვრცელი ველია, მიეგებე; შეიტყბე, გაიხარე“ — და ის ჩქარობდა, მიჰქროდა წინ.

შორს, იმ ბილიკის თავში, ვიღაც აქეთკენ მომავალი ქალი შენიშნა და უეცრად შედგა. ვინ უნდა იყოს? თითქოს იცნობს და მაინც ვერა ცნობს. თითქოს ახლობელია, თანაც შორეული. „ნუთუ ესაა?“, რომ მიუახლოვდა, ქალი შეკრთა, თითქოს ალი მოედო სახეზე, თვა-

ლები გაუშეშდა, ქვაზე ფეხი წამოჰკრა და ჩაიკეცა.

თენგიზი მიეჭრა, ხელი ჩასჭიდა, ფეხზე დააყენა.

— ნანა!

ნანა ხმას ვერ იღებდა, თავი დაეხარა და თვალბში აკიაფებულ ცრემლს მაღავდა.

— წამო, ზევით ავიდეთ.

— ზევით?

— ჰო, ზევით, მთაზე.

ნანა შეტბა, შეეყოყმანდა, პირი მაინც რალაც თავისთავად იბრუნა მთისკენ და თენგიზს შემკრთალი ნაბიჯით გაჰყვა.

უხმოდ აღიოდნენ აღმართზე, თუშკაც ტყის შრიალში ისედაც გარკვევით ესმოდათ ერთიმეორის გულის პასუხი.

როცა მაღლა, მინდვრის ყვაველებით შეფერადებულ ველზე ავიდნენ, თენგიზმა თვალი ნანას შეავლო. ხმა ამოიღო.

— იქნებ ნანგრევებზე ავაშენოთ ახალი...

ნანა ცრემლებითლა უპასუხებდა, თანაც ფიქრობდა: „სიზმარია, თუ ცხადია ნეტავი?“


— ნუ სტირი, ნანა, წავიდეთ წინ, — თენგიზმა მკლავში ხელი გამოსდო.

იქით გაემართნენ, სადაც მინდვრის თავში, შუაზე გაბზარული დიდი ლოდი იყო.

იმ ლოდზე ასული ბავშვების ყრბი-მული ისმოდა.

ფერად ტანსაცმელში გამოწყობილ ბავშვებს თითქოს აეყვავებიათ ცივი ქვაც და გაემთელებინათ მისი ნაპრალო.

რამდენადაც უახლოვდებოდნენ, იმდენად ბავშვების თაიგული იზრდებოდა, მაღლა იწვედა.



ოთარ ჭილაძე

რკინის საწოლი

(გალაქტიონ ტაბიძის ხსოვნას)

1

ლაპარაკობდნენ ხეები ძილშიც,
ტოტებსში ქარი წიოდა მწარედ
და დაბერებულ კედლების ჩრდილში
კაცივით იდგა დაღლილი მთვარე.
ბნელში ბრწყინავდა ძველი ნათურა,
ვით უმნიშვნელო ნამტვრევი მთვარის
და უსასრულო ფიქრით გარაული,
ათასში ერთხელ ბრწყინავდა მტკვარიც.
ბრწყინავდა რკინაც, ცივი და ბასრი,
და კიდევ რალაც ბრწყინავდა იქვე
და როგორც ღენტით გატენილ
კასრებს

მოაგორებდნენ ჩრდილები ფიქრებს,
და საიდუმლო, როგორც სერობა,
ტრამვაის ხაზი წყდებოდა უცებ.
ხოლო საათი მძიმე შენობას
კომპივით ეჯდა გაცრეცილ შუბლზე.

2

ასეთი იყო ის ქუჩა ღამით:
მნიშვნელოვანი ხდებოდა ჩქამიც,
მნიშვნელოვანი ხდებოდა ჩრდილიც
კედლის თუ კიბის, ხისა თუ თხრილის...
და იდგა სუნი პურის და კვამლის.
და იმ ქუჩაზე ავლილს თუ ჩავლილს
იპყრობდა შიში და უნებურად
ფებს უჩქარებდა. ბაღს კი მეფურად
ეჭირა თავი, ჩიტებით საესე.
და გადიოდა ცხოვრება ასე.

3

ხოლო ამ ბებერ კედლების შიგნით
იწერებოდა ცხოვრების წიგნი
და გროვდებოდა წიგნში ხვალისთვის,
რაც უხილავე იყო თვალისთვის,
რაც მიქონდა და მოქონდა მთვარის

ანდა უეტარ წვიმებს და ქარებს,
რასაც ხეები ამბობდნენ ძილში
ანდა ჩიტების უმწეო ჯიშო
იტყოდა ხოლმე.

4

რკინის საწოლზე იწვა პოეტი,
რკინაზე ეღო სული მღელვარე,
რადგან ვერაფრით ვეღარ ტოვებდა
სხვისთვის უჩინარ ცას და მწვერვალებს.
საწოლი გაედა ბობოქარ მორევს
და ბობოქრობდა ისევ და ისევ...
და ამ საწოლზე იპყრობდა სწორედ
პოეტი თავის ენებათა მიზეზს.

5

და როცა ქალაქს ეძინა უკვე,
კარგად თუ ცუდად, ასე თუ ისე,
კედელზე შინც რჩებოდა შუქი,
როგორც ღიმილი მშინარეს პირზე.
და ის ღიმილი, წყნარი და მკრთალი,
სინათლეს ფენდა დროგასულ
ფურცლებს,

სულს უბრუნებდა და მთელი ძალით
იწყებდნენ სუნთქვას ფურცლები უცებ.
და კვლავ იღებდა პირვანდელ სახეს
მხეციც, კაციც და ღმერთიც... სამივე.
ხოლო მამათა მონასტრის ახლოს
სოფელი გოგო კრეფდა ყვავილებს.
გოგოს ფუტკარი ეჯდა კისერზე
და მიყვებოდა ბზუილს მთვრალივით
და გულუბრყვილო იყო ისევე,
როგორც ფუტკარი ანდა ყვავილი.
ის არ იცნობდა მონასტრის წესებს,
მაგრამ მონასტრის ახლოს გრილოდა
და მისი ჩრდილი წვეებოდა მზეზე
და ფარასავით მიზოზინობდა.
ბერს კი ტუჩებზე მიედო თითი



და თავს იღწევდა ღმერთის ჩეროდან და სული, როგორც ცისფერი ჩიტი, ცის გასაგონად სულ სხვის მღეროდა. ტაძრები ღამით ისევ გალობდნენ და ისევ ზარებს ეკიდა მნათე და გარჯანტუას შთამომავლობა სოფლის შუკვებში დასდევდა ბატებს. ჯერ არ იცავდა ქოხს მებამრიდი და ღვთის ინედით ცხოვრობდა ასე, ხოლო მწუხარე სახის რაინდი მიჩაქაქებდა უკაცურ გზაზე. გლეხი კი ისევ მიწას ბარავდა და განუწყვეტლივ ლოცავდა გამჩენს და თბილი თესლით საესე კალათას ხნულებში ცლიდა, მშვიდი და გამრჯე... ისევ უცდიდა ტრისტანს იზოლდა, გამოდიოდა საიქიოდან და არ ამბობდა ან არ იცოდა, რომ ყველა ქალის გული ტკიოდა. რომ ყველა ქალის სახელით იწვა ყველაზე გულწრფელ მიჯნურის

გვერდით

და არც ფიქრობდა, თუ გრილი მიწა, როგორც უბრალოდ უსებადა წერტილს ყოველგვარ ვნებას... მაინც ეტრფოდა პეპელა სანთელს, მაინც ეძახდა სიკვდილი მოკვდავს და ქვესქნელიდან ამოსულ დანტეს შემკრთალი ხალხი სიმართლეს თხოვდა. სიმართლე იყო მკაცრი და ბასრი და ხალხს, რომელსაც ცოტა ესმოდა, ძლივს გამოქონდა სიტყვიდან აზრი, როგორც ძვირფასი კუბო ეზოდან. მაინც ბზინაჟდა ბნელში პიტალო, მაინც ფშვინავდა ძილში ხეილი და უწყინარი იყო მიდამო, საილსარებოდ მოსულ გლეხივით. სამლოცველოში ესვენა ხატი, ურმის კოფოზე ესვენა მთვარე. ხოლო შამლეტის ცნობილი ღანდი მიფარფატებდა ოთხივე მხარეს...

6

ხმას გამოსცემდა ქარიც სიმივით, მაგრამ უაზროს, მძიმეს და დამლელეს, ხოლო ის შუქი, თუ ქვის ღიმილი, ასე ართობდა გარინდულ სახლებს. მაგრამ პოეტი მაინც ეძებდა მარადისობის კვალსა და მიზნებს

და როგორც ბავშვი მშვიერ მხეცებთან, ფიქრებთან მარტო რჩებოდა. ისევე ადამიანი იყო პოეტიც მხეცობითა და ჩვეულებრივ კაცივით ხარბად სუნთქავდა ღამეს. ხოლო რტოებში ქარი წიოდა, ტკიოდა, ალბათ. როცა ქარს ტკივა, რაღა თქვას კაცმა, ხომ არ იკივლოს კაცმაც ქარივით, ანდა უფხარ მალამოს ნაცვლად ხომ არ დაიღოს წყლულზე მარბილი, რომ არასოდეს არ დაეძინოს, არ იტივტივოს ბნელში ტივივით და ყველაფერი ტკივლს შეწიროს, თუ კი სინათლეს აჩენს ტკივილი... ადამიანი იყო პოეტიც.

ბევრჯერ წაეჭვა მასაც სხეული და მხოლოდ სული, დროშია ქვეული, ვერტიკალურად იღვა ყოველივეს. იმ დროშის ხშირად ესროდნენ ტყვიას, მაგრამ კედლებზეც ხშირად ხატავდნენ და მიარლევდა დროსა და წყვედიადს ბარიკადიდან ბარიკადამდე. მაგრამ ისევე იღებდა ავტარს, როგორც სინათლეს, წყალსა და მარილს და გაქვავებულ შედრევენას გავდა, როდესაც ძალას კარგავდა ქარი...

7

როდესაც ჩნდება ადამიანი, მიწაზე უნდა ადგილიც ჰქონდეს, რომ შეაჩვიოს ხორცი იარებს, სული კი სივრცეს, მზეა და ტოტებს ცა უნდა ჰქონდეს, რომ კი არ გაძლოს — იბრძოლოს, ვიდრე ძარღვი

ითრთოლებს.

და თუ სიცოცხლეს ბუნება აძლევს, ცხოვრება უნდა შეძლოს თვითონვე. ის კი ცხოვრობდა მთელი არსებით, მარად მართალი საკუთარ თავთან, ერთბაშად ყველა კუთხეს ავსებდა და გზაზე დამდგარ დიოკენს გავდა. არ უჩიოდა არცერთ ჭრილობას, არ უყურებდა დაბალს ზემოდან და თან ყველაფრის განცდას

ცდილობდა,

ამ ქვეყანაზე რაც არსებობდა. და როცა გარეთ გამოდიოდა თამამდებოდნენ ქუჩებიც უცებ, მატარებლებიც უფრო კიოდნენ,

უმაგრდებოდა ქვეყანას ფუძე.
ეს არ ნიშნავდა მხოლოდ გამოსვლას,
მხოლოდ და მხოლოდ ადგილის

შეცვლას,

არამედ ქარსაც და საღამოსაც
და ნათურებში ჩამწვედელულ ცეცხლსაც,
მატარებლების გაბმულ კივილსაც
და ბეწვის ხიდზე შემდგარ მთვარესაც,
მწარე კრემლებსაც, მაგრამ ღიმილსაც,
დაწვეტილ გულსაც, მაგრამ აღერსსაც.
ის ერთდროულად ნიშნავდა ჩრდილსაც
და იმ საგანსაც, ჩრდილს რომ ისროდა,
ყველაფერს თელიდა სიმღერის ღირსად
და უმღეროდა, როგორც იყოდა.
მაგრამ ყოველთვის რჩეოდა ძალა,
რომ არ ექცია ხმა ლაპარაკად,
გრძნობა კი სიტყვად. და თავის

ქალაქს

თელიდა ყველაზე ძვირფას ქალაქად.
ქალებს უყვარდათ, რადგან ღელავენდნენ.
ის კი გონებას მიანიც იკრეფდა
და აღსარების გარდა, ყველაფერს,
მათთვის ხარჯავდა დაუფიქრებლად.
და მთავრდებოდა რომანი ასე,
რადგან ვერასდროს ვერ ახერხებდა,
რომ ათრთოლებულ მლოცველის

ნსგავსად

დაცემულიყო ქალის ფეხებთან.
მაგრამ ტყვილებს ვერც გრძნობდა

თითქოს,

ვიდრე ყოფნიდა დროც და ხალისიც.
ჩვენ კი გვატანდა ყინვას ან სითბოს
და მოვდიოდით. მაგრამ ხვალისთვის
დასაბრუნებელ გზას ვიტოვებდით,
რომ შეგვეძლებოდა კვლავ მისი ნახვა,
თუნდაც ცოტა ხნით, რადგან

ყოველთვის

ამოუხსნელი გვრჩებოდა რალაც.
თუმცა რა იყო ამოუხსნელი,
უბრალოდ ჩვენზე კარგად ესმოდა:
რას დაიტევდა ერთი ფურცელი...

და როცა გარეთ ქარი კენესოდა,
გამოდებოდა მისაშველებლად, ნულო
ვით გოლიათი კურდღლის: *სიარტდან*,
რომ ქარის წუხილს ერთი მსმენელი
და ხმის გამცემი მაინც ყოლოდა.

8

ბალს კი ყველაზე ფხიზლად ეძინა
და გავდა ციდან დაშვებულ ფარდას
და ლამის ქარით თმა გაწეწილი
სათქმელს ყოველთვის ამბობდა სადად.
და დილის თბილი ხელის შეხებაც
ახალისებდა, ჩიტებით საეცეს,
მთვარეს კი თავის თეთრი ფეხები
ძლივს გადაჰქონდა ტრამვაის ხაზზე.

9

უბრუნდებოდა ქუჩას სინათლე,
ჩრდილებს—ადგილი,
საგნებს—სიმართლე.
და გადაშლილი წიგნიც, დროებით,
იფარებოდა მწვანე რტოებით,
ინრდილებოდა ჩიტების ჩრდილით
და ისიც, ცოცხალ გულივით თბილი,
ყველა სიკეთის მცოდნე და ღირსი,
კვლავ უხილავი ხდებოდა დღისით.
მზე კი ფანჯრებში ხალხს ახედებდა
და ჩანდა, როგორ იდგა კედელთან
რკინის საწოლი.

10

ძვირფასი იყო ის ქუჩა ჩვენთვის,
ჩვენ იმ ქუჩაზე თამამად ვწერდით
ჩვენი პირველი შეკრთომის მიზეზს
და პირველ ღიმილს საწყაროს პირზე.
ხოლო პოეტის მკაცრი ოთახი
თავბრუს გვახვევდა ყველას ცოტახნით
და შინის მაგვარს ვგრძნობდით

ყველანი,

როცა ბრწყინავდა შავი მელანი,
ის კი ბრწყინავდა კაცის სისხლივით,
თუ მოხედებოდა, ხოლმე, შხის სხივი.

მოთარ კუპრავა

ღურჯი იმბის ზღაპარი

მოთხრობა

ცხრათავი საბავარი

ამ ათიოდე წლის წინათ, აბაშაში გავლისას, თქვენს ცხენს ნალი თუ გასცვეთია და მკედელი გიკითხავთ, — ნეკისოდენა ბავშვიც მიგასწავლიდათ დიანოზას სახლს.

ჩემი მეცეცხლე მეზობელი იყო დიანოზა მკედელი.

საქმეს წინ რომ ვაიგდებდა, ისე არ მოეშვებოდა, ვიდრე ღინის არ გააცლიდა; წელგაუშლელი მუშაობდა წელიწადი თორმეტი თვე; ცხრა დაღებული პირი შემოაყურებდა და მეტი რა გზა ჰქონდა! სამაგიეროდ ჯიბესთანაც არ იყო უმძრახად.

ორსართულიანი სახლი ედგა დიანოზას. ქვედა სართული ნახევრად იყო ამოშენებული, დანარჩენი, ღია ადგილი, სამკედლოდ იწოდებოდა.

სადარბაზო ოთახის ერთ კედელზე ჯეჯიმი ჰქონდათ აკრული. ზედ ამოქარგული ჯეჯილი ბიბინებდა და შავ ჩარჩოში ჩასმულ, უზარმაზარ სურათიდან მკედლის პაპა იბღვირებოდა.

სურათს ქვემოთ პაპისავე გაქედილი, ძველისძველი ხანჯალი ეკიდა.

ბავშვებს სულ იქითკენ გავვირბოდა თვალი, მაგრამ კარგი ბიჭი იყავი და თითი გეხლო...

ერთხელ დიანოზას ნიკოლოზის ვერცხლის აბაზიანი აღმოაჩნდა (ბაზრობაზე შეეტყუებინათ ხურდაში) და დაგვიძახა:

— მოდი თუ აქ, თქვე გლახებო!

ხანჯალი ჩამოხსნა და ქარქაშიდან ელვასავით დააძრო; ვერცხლის ფული

იატაკზე დადო, ზედ ხანჯლის წვერი დაჰკრა...

პირდაღებული შევეყურებდით.

ხანჯალი რომ ასწია, ვერცხლის ფულიც აჰყვა...

— ხომ ხედავთ როგორი ფოლადია! აბა! — ნიშნისმოგებით მოგვმართა დიანოზამ. — პაპაჩემის გაქედილია!

მგონი ჩვენზე მეტად თვითონ ხარობდა.

მე მაშინ ვერ მივხვდი, რად დასჭირდა მკედელს ამ სცენის გათამაშება.

მერე ვაიგი: ხანჯლის ფოლადიანობას ასე სინჯავდნენ თურმე ძველად.

ამიტომაც ამბობენ, როცა ხანჯლის შექება სურთ: ეს ხანჯალი წვერით აბაზიანს იღებსო.

მკედელი თავის შვიდ ვაეიშვილს და მეც გვიჩვენდა მკედლობა გვესწავლა.

— ჩამოჰბერე, ბიჭო, — დამსაქმავდა ზოგჯერ და მე ცალგულად რომ მივწვდებოდი საბერვლის სახელურს, სახე მოეღრუბლებოდა: — არა, ბაბა, შენგან მკედელი არ დადგებო!

კარგა მოზრდილი ეზო ჰქონდა დიანოზას; ერთი ფური კამეჩიც ეწველებოდა. ლუკმის დამსველებელიც იყო ეს კამეჩი, ეზოს მომხველიც, ცალუღელა ურმის გამწევიც.

ეზოში სათამაშოდ მტკაველა მიწასაც არ დაუტოვებდა მკედელი ბავშვებს; თუთის ძირშიც სთესდა სიმინდს. ამიტომ, ფეხშიშველა და წაქით მუდამ მუცელგამობერილი მისი ბალები სხვის ეზოში დააგორებდნენ ხარის ბალნისაგან გაკეთებულ ბურთს.

მკედლის თუთა თაფლივით ნაყოფს ისხამდა. ავძვრებოდით ბიჭები ხეზე და მივირთმევედით. მკედელს ჩვენთვის არა სცხელოდა; ერთს კი მაინც ამოგვეძახებდა: სიმინდი არ გამოფუჭოთო!..

თუთის ძირას ამოსულ სიმინდს ხიდან ჩამოსვლისას შემთხვევით თუ დავახტებოდით და წავექცევდით, შიშით სული გაგვეცივებოდა; მოტეხილ სიმინდს ფეხზე დავაყენებდით, მიწას მივაყრიდით და უსულოდ გავიპარებოდით...

დიანოზა ჩვენს ოინს მაშინდა გაიგებდა, როცა სიმინდი გახმებოდა; ერთს შემოგვეყურებოდა და იმ დღეს ახლოს არ გავვიკარებდა.

ღამე ცალ ყურზე ეძინა დიანოზას, ვინმეს ჭყინტი სიმინდი რომ არ მოეპარა მისი ეზოდან. მაგრამ ცოდვას ვინ ვაიდიდებდა და ლუქმას ვინ მოპარავდა მის ცბრა ბავშვს!

ორ კოლმეურნეობას ემსახურებოდა დიანოზა; ხარებს და ცხენებს უჭედდა. ამაში შრომადღეებს უწერდნენ. მაგრამ კერძო მუშტრებიც ბლომად ჰყავდა მკედელს. მათგან ნაღდ ფულს იღებდა ჩუმად.

წამოაქცევდა ხარს, ჰედდა და თან ხარის პატრონს ექილიკებოდა, რაღაცას მოატყუებდა, რაღაცას მიუღუქსავდა...

— შეკაცო, რა ძაღლის ყბები შეიბი და ლაპარაკობ წაღმა-უკუღმა, არ დაილალო, — ამოდ უჩიჩინებდა ცოლი მუდამდღე.

კვირაობით ხომ წუთით მოსვენება არ ჰქონდა! ჰედდა და ჰედდა კოლმეურნეობისა თუ სხვათა ხარებს, ცხენებს; ჰედდა და ჰედდა თავაუღებლივ; ერთხელ შეეშალა და კინაღამ ძროხა წამოაქცია დასაჭევად.

გლეხებმა სიცილი დააყარეს, მაგრამ დიანოზა რა დიანოზა იქნებოდა, თითს თუ მოკაცავდა არ დაიბნა, თოკი ისევ მოიპარჯვა და ახლა სიცილით ყველაზე უფრო გაჰაჰულ გლეხს შემოავლო წელზე, ხარივით წაქცევა დაუპირა.

— რას შვრები, კაცო! — დაიყვირა გლეხმა.

დიანოზა ვითომ ახლა მოვიდა გონს: — დასწყევლოს ღმერთმა! შენც ხარო არ მეგონეო!...

ასე მხიარულად ატარებდა თავის წუთისოფელს მკედელი და შრომის სიმძიმეს ხუმრობით იმსუბუქებდა.

სალურსმნე და სანალე რკინას ხან ქუჩა-ქუჩა, ხან ეზო-ეზო ან რკინიგზაზე აგროვებდა.

რკინიგზაზე იშვიათად, მაგრამ მაინც მოიძებნებოდა შპალზე რელსის დასაჭედი, გამონაცვალი ლურსმნები, რომლისგანაც ცხენის შესანიშნავი ქართული ნალები კეთდებოდა...

ამ საქმეში ბაღლებიც გაწაფული ჰყავდა: სადმე თუ რკინას მოიხელებდნენ, უმაღვე შინ მოჰქონდათ.

მეზობლებში ხმა დადიოდა: მკედელი სასაფლაოზედაც ახერხებსო რკინის შოვნას.

არ ვიცი მართალია თუ არა. ეს კი მახსოვს: ჩვენს სასაფლაოზე თითქმის ყველა რკინის მოაჯირს აკლდა რაღაც ნაწილი...

მკედლის მამაც მკედელი ყოფილა და მუშაობის დროს ურა ცხენს მოუქლავს წიხლით.

დიანოზას სახლის ლავგარდანზე მერცხლებს რამდენიმე ბუდე ჰქონდათ მიჩუქურთმებული.

დაჯდებოდა მკედელი თავისუფალ დროს და შესცქეროდა პირდაღებულ ბარტყებს, ჰია-ღუის ზიდვას გადამკვლარ მერცხლებს და იღიმებოდა.

თავისი ბარტყები თუ აგონდებოდა...

მეგობრებთან სმა-ჰამაში ცოტას ხელმომჭირნებდა, სამაგიეროდ გასაპირში კაცს სულს არ დაუჭერდა...

მისი ცხრავე შვილის გუნება-ხასიათი და სახელი ლექსივით მახსოვს დღემდე: ვალენტინა,

გეძია,

გივი,

ვერიკო,

ეორა,

ბიჭიკო,

გურამი,

ზაური...

სულ პატარას მოფერებით ფუთულას ეძახდნენ და ეს სახელიც შერჩა საბოლოოდ.

გეძია ქუსლებიდან მოცვეთილი, კუნძივით ბიჭი იყო; ლოდის ნატეხსაც მიაგავდა რაღაცით; სკოლასა და წიგნთან ცოტა მწყურალად გახლდათ, მაგრამ ღონე კი ერჩოდა, მუშაობა უყვარდა; სულ მამის გვერდით იდგა; მშვენივრად აკეთებდა სახარე ლურსმნებს: წამწვეტებდა ნეკათითის სიმსხო მავთულს, კბილანაზე გადასჭრიდა, წამწვეტებული თავით ღრმულში ჩაუშვებდა და მსხვილ ბოლოს სამყურას ფოთლებივით გაუბრტყელებდა...

დიანოზა გეძიამი ხედავდა მამაპაპათა ხელობის ღირსეულ გამგძობს და საბოლოოდ ასეც გამოვიდა.

ვალენტინა კლასიდან კლასში გადასვლას ორ-ორ წელიწადს ანდომებდა და სიყვარულის ღმერთმა აფროდიტამ მეექვსე კლასში ჩამოაკითხა; მოჰკიდა ხელი ამ შეღერებულ გოგოს, სკოლიდან გამოიყვანა და შინ, სარკის წინ, მკვიდრად დასვა.

უკვე ასაფრენზე იყო ვალენტინა; ცალი თვალი გზისკენ ეჭირა...

გივის მთელ ოჯახში პირველი რკინის მპოვნელის სახელი ჰქონდა გავარდნილი; უყვარდა სასაფლაოზე გავლა საკუთრივ გაჭედილი ნამგლით და ტომრით ხელში; ზაქისტვის ბალახს გამოწამლავდა საფლავებს შორის, დაძებავდა ტომარას, აიკიდებდა და ღიღინით გამოსწევდა შინსკენ.

ბალახით სავესე ტომარა ხშირად ზომაზე მეტად მძიმე იყო და ზურგსაც სტკენდა რატომღაც.

მოპარული რკინები თუ ეწყო შიგ... ვერიკო დედის მარჯვენა ხელი იყო. ფუთულა თითქმის მან გაზარდა და ამიტომ, ბავშვმა ენა რომ აიდგა, „დედა“ პირველად ვერიკოს დაუძახა.

ვერიკოს ერთი ჩასაკვინტი გოგო ჰყავდა მეგობარი. გული მისკენ მიწევდა და თვალიც იქით იხედებოდა. ვერიკოსთან სამეცადინოდ რომ მოვიდოდა,

გავვარდებოდი, სადმე ხილს დავკრეფდი და მოუტრბენინებდი; თვითონ მასთან ენა არ მემორჩილებოდა, ვერიკოს კი ვეჩინებოდი შენი ამხანაგი მომწონს-მეთქი. მაგრამ, დავიკარგე იქითო, მეტყოდა ვერიკო და მეც, სხვა რა უნდა მექნა, დავიკარგებოდი...

ბოლომდე ასე გავარძელდა ჩემი „რომანი“ და ასევე დასრულდა...

დიანოზას შვილებში ყველაზე კარგ მოსწავლედ, ხილის უბადლო მპარველად და შეუდარებელ მეკარედ ითვლებოდა ყორა. შემდეგ ჯარში წასვლამ უწყია, ფეხი ქვემეხის თვალში მოუყვა და ფეხბურთს სამუდამოდ ჩამოშორდა...

ბიჭიკო შესახედავად ასლი და კვალი მამა იყო, მაგრამ სხვაშრივ არაფრით არა ჰგავდა მშობელს, მთელი დღე ჩხირს არ გადააბრუნებდა; ჭამის დროს კარგად იყო, მუშაობის დროს თავს იტკივებდა. ამიტომ დიანოზამ მუქთანორა და ჯამიტლეკია შეარქვა.

დანარჩენები შედარებით პატარები იყვნენ და არც ხილის მოპარვაში, არც სწავლაში ბიოგრაფია ჯერ არ გააჩნდათ.

მკედლის მეუღლე მარგალიტა დილიდან საღამომდე მუხლებს ქარს არ ამოაღებინებდა; ცხრა მუცლის ამოსავსებად „დევის კეცით“ აცხობდა მჭადს, ხარშავდა მეტწილად ლობიოს „დევისავე ქოთნით“; კამეჩის წინალამინდელ და დილანდელ რძეს ერთად მიუღვამდა ცეცხლს, ამოჰყავდა ყველი, სწურავდა ნადულს, წაქის ნაწილს ზაქისტვის ბოთლში ჩაასხადა, დანარჩენში ცივ მჭადს ჩაფშენიდა და შეათბობდა, რომ შემდეგ ერთი ჯამიდან თავთავიანთი კოვზით ეხვრიპათ ბიჭიკოს, გურამს და ზაურს.

აკვანში რომ ერთი ცრემლა ფუთულა ეწვა, იმას თუ მოუტოვებდა ნახევარ ტიქა რძეს, თორემ წამოჩიტულებს უკვე არც ახსოვდათ რძის გემო.

მე ხშირად ვიდექი დიანოზას ქურასთან და მთის ნისლივით ვისუნთქავდი ქვანახშირის კვამლს.

დიანოზა ქურიდან მაშინ ამოიღებდა გავარდებულ ზოდს, ჩაქუჩს ორჯერ დაახლიდა, მესამედ გრდემლზე დაარაკუნებდა; ამით კვერს უკრავდა გვაძიას: აბაქო! და გვაძიაც არ აყოვნებდა, თავზევით შემოივლებდა უზარმაზარ უროს და მძლავრად დასცემდა ზოდს. შემდეგ ისევ ჩაქუჩი ჩაერეოდა საქმეში: ორჯერ ზოდს მოხვებებდა, მესამედ გრდემლს, და წამოვიდოდა გვაძიას უროც...

რალაც ჰარმონია და თავისებური რიტმი იყო ამ დაგადუგში.

გაცივდებოდა რკინა, დიანოზა ისევ ცეცხლში უკრავდა თავს. გვაძია უროს მძიმედ დაუშვებდა, თავმომწონედ მიმოიხედავდა და, პირგამურული, თეთრ კბილებს რომ გამოჰყრიდა, მხოლოდ მაშინ თუ იტყოდით: ეს ნამდვილად გვაძია ყოფილაო.

მკედლობას მორჩებოდა დიანოზა, ახლა ეზოს დაუტრიალდებოდა; დღევანდელ საქმეს სახვლიოდ არასდროს არ გადასდებდა.

ყოველ წელიწადს თუ არა, ორ წელიწადში ერთხელ მაინც მოიმიზეზებდა:

— ამ გლახებმა (გლახებში ბავშვები იგულისხმებოდა — თავისიც და სხვისიც) მესერში იმდენი გასაძრომი გააკეთეს, ღორებს ვერ აკავებსო...

მისი ჰკუთით ატყუებდა სოფელს, თვლებში ნაცარს აყრიდა; მისდგებოდა ეზოს შემოვლებულ მესერს და დაარღვევდა; მსხვილ სარებს შუაზე გააპობდა, რომ ერთის ნაცვლად ორი სარი ჰქონოდა, ან ახალ სარებს მიამატებდა და ერთი მტკავლით იქით გადასწევდა მესერს.

ასე ჰპარავდა მიწას: მარჯენიდან ჯერ მეწულე ესტატეს, შემდეგ — სკოლას, მარცხნიდან — საბავშვო ბაღს.

ბოლო დროს, ოდესღაც მესერში ჩარგულ ხეებსა და მესერს შორის მანძილი თითქმის ერთი მოზრდილი ნაბიჯი გახდა.

სკოლას უშველებელი ეზო ჰქონდა და დიანოზას მიერ მტკაველ-მტკაველ

მოპარული მიწა მისთვის ზღვიდან წვეთის ამოღება იყო.

საბავშვო ბაღის ეზოშიც კი გაქენდებოდა ცხენი, მაგრამ ბაღს დირექტორი ჰყავდა ავი და დიანოზაც იმ მხარეს ნელინელ, მორიდებით მიაჩოჩებდა თავის მესერს.

მეწულე ესტატეს ორიოდვე საჩექმე ტყავის სიფართო მიწაებადა და აქაც ცოტა ზელმომპირნედ, გამოზოგვით მოქმედებდა დიანოზა, მეზობლის ეზო ერთბაშად რომ არ შემოლოვდა ხელში.

მეწულეს თვალები ჰქონდა და ხედავდა ამას. მაგრამ ხმას არ იღებდა.

იქნებ არც სწყინდა!

ასე იყო თუ ისე, დიანოზას სათვალეში ცხრა შვილი ჰყავდა და ცხრათავი სატყვიარიც ჰქონდა...

შეცხადება

...მეწულე ესტატეს კი შვილი არ მისცა ბედმა, ჩრდილში მიაყენა.

მე მისი, ხშირი სტუმარი ვიყავი; მოვუჯდებოდი გვერდით, პატარ-პატარა, ნახმარ ლურსმნებს ვუმართავდი, ან გადასაყრელ ფეხსაცმელებს ლანჩას ვაგლეჯდი და იქვე ვუწყობდი სხვა ჯღანებზე დასაკერებლად.

სიზმარივით მახსოვს ესტატეს მეუღლის გარდაცვალება:

შუადღისას, უეცრად კივილი მოისმა მათი სახლიდან.

მეზობლებმა იცოდნენ, მეწულის ცოლი ლოგინად რომ იყო ჩავარდნილა. მაგრამ ქალის კივილზე იფიქრეს: ალბათ ესტატე მოკვდაო.

მე ყველაზე ადრე გაჩნდი მეზობელთან.

კივილი უცებ შეწყდა.

თურმე ესტატე კი არა თვითონ ის ქალი მოკვდარიყო...

ალბათ იფიქრა: ესტატეს ზურხულს ხალხი როდისღა გაიგებსო და მშველელთა მოსახმობად თავად ატეხა კივილი.

თავისივე გარდაცვალების შეცხადება კი გამოუვიდა ცხონებულს.

ეკა ერქვა თუ კატო, კარგად არ მახსოვს.

ის კივილი სულ სხვანაირი, განწირულის კივილი იყო, ახლაც ჩამესმის ყურში.

ესტატე ბიძია შორეულ სოფლიდან ჩამოსულა ამ მხარეს და ახლო-მახლო არც ნათესავი ჰყავდა ვინმე, არც — მოგვარე.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ფრთამოტეხილი დადიოდა.

ვმართავდი ლურსმნებს, ვგლეჯდი ლანჩებს, ესტატე ბიძია კი ალბათ უკვე მეასედ მიყვებოდა მოთმინების ზღაპარს.

მოთმინების ზღაპარი

ერთ ხელმწიფეს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა.

ჰკვიანი კაცი იყო ხელმწიფე და იფიქრა: შეილებს რამე ხელობას ვასწავლი, ცხოვრებაში გამოადგებათო.

ერთმა ძმამ გულდადებულად ისწავლა მეუნაგრობა, მეორემ კი სწავლას გული არ დაუდო, ესაო და, მამაჩემი მინც მდიდარია, ხელობას რა თავში ვიხლიო.

ერთ დღეს, თქვენ იცით და თქვენმა წუთისოფელმაო, დაუბარა ხელმწიფემ შეილებს, გადაბრუნდა და მოკვდა.

ძმებმა სიმდიდრე თანაბრად გაიყვეს; ცალ-ცალკე დასახლდნენ.

უსწავლელს მალე გამოელია თავისი წილი ფული; ბნელ გზას დაადგა, მოტყუებით ხალხის ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი; ბევრჯერ სამართალშიც ჩავარდა...

ქისა მინც ვერ გაისქელა; ბოლოს სახლიც გაჰყიდა და ფაცხა დაიდგა.

ძალიან რომ გაუჭირდა, მიაკითხა მეუნაგრე ძმას:

— შენს იქით გზა აღარა მაქვს. ჩემი ძმა ხარ, ჩემი პირის ზიარება, ცოტა ფული მასესხეო.

მეუნაგრემ ხუშკად მისცა ძმას ფული.

მეორედ მოვიდა ზარმაცი ძმა:

— მიჭირს და ხელი ისევ მენდუნდა შემაველოო!

მეუნაგრემ კიდევ ასესხა; გულში კი გადასწყვიტა: თუ მესამეჯერაც მოვიდა, კინწის კვრით გავგადებო.

მესამეჯერაც მოვიდა ზარმაცი ძმა, მაგრამ მეუნაგრემ კინწი ვერ ჰკრა, მოითმინა, შეაფურთხა ეშმაკს და კიდევ შეაწია ხელი.

ასე ითმინა მეუნაგრემ და ბოლოს თვითონაც გაკოტრდა.

ერთ დღეს თეთრწვერა ბრძენმა ჩამოუარა მეუნაგრეს და ჰკითხა:

— მთელი შენი ავლადიდება უქნარა და ცხრა თოკში გამძვრალ ძმას რომ შეაქამე, კიდევ რა სიმდიდრე დაგჩაო?

— მოთმინებაო, — უპასუხა მეუნაგრემ.

— ბარაქალა კაცი ყოფილხარო, — შეაქო მეუნაგრე ბრძენმა.

იმ სოფელში სამუშაო მალე გამოილია. მეუნაგრემ აიკრა გულა-ნაბადი, ბინა სხვა სოფელში დაიდო და ისევ გამდიდრდა.

აქაც მოაგნო ზარმაცი ძმამ.

— ფული არა მაქვსო, — იცრუა მეუნაგრემ.

ზარმაცი ძმამ გაიოცა და ძმას თვალთმაქცურად დაუტკბა:

— შენ ფულს რა გამოგიღევს, შენა ხელი კაცი ხარო!

მეუნაგრემ პასუხი არ დაუგვიანა:

— როცა ვხნავდი, არ მოსულხარ, როცა ვმკიდი, არ მოსულხარ, როცა ვქამ, ძმობა მაშინ გახსენდებო. ეგ რა სამართალია! ჩემს კარაბადინში აგრე არა სწერია. ამ ხნის კაცი მოყრილხარ, ჰკუაში როდის უნდა ჩავარდეო!

— შევარცხვინე შენი კარაბადინი, თუ შეიგ ძმისთვის ხელის გამართვა არ გიწერია! დღეს რალაც ძაღლის გუნებაზე ხარ, ვერა გცნობ, — აყვირდა ზარმაცი ძმა.

არც მეუნაგრე უჩიოდა ძმას:

— ხელი გაანძრიე და ფული შენც გექნებაო!

გაბრაზებულმა უსწავლელმა ძმამ მართლა გაანძრია ხელი და მეუნაგრეს სილა გააწნა.

მაშინ კი აღუღდა მეუნაგრე: ტყავის ასპრელი დანა მოუღერა ზარმაც ძმას და უნდა დაეკრა, მაგრამ რალაც ძალამ შეაჩერა. შემოტრაალდა და თეთრწვერა ბრძენს მოჰკრა თვალი.

— შეკაცო, ერთი სიმდიდრე გქონდა და იმასაც ჰკარგავ? ათჯერ მოგითმენია, მეთერთმეტეჯერაც მოითმინეო.

ისევ დიდხანს ითმინა მეუნაგრემ ზარმაცი ძმის თავხედობა, ისევ გაკოტრდა; ადგა და ცხრა დღის სავალზე, სხვა სოფელში გადაბარგდა, — იქნებ ეგ შეიე ჰქირი ჩამოვიშოროო. მაგრამ აქაც მოადგა მეუნაგრეს ძვლის მტენელი, ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

მაშინ აიღო ყვარჯენი მეუნაგრემ და თვითონ მივიდა თეთრწვერა ბრძენთან:

— თეთრწვერა ბრძენო, მოთმინების გარდა კიდევ რა არის ადამიანის სიმდიდრე?

— ჰკუთაო, — უბასუხა ბრძენმა.

წამოვიდა მეუნაგრე და თავის ზარმაც ძმას უთხრა:

— აქამდე ერთი სიმდიდრე მქონდა, ახლა მეორეც ვიპოვე. მაჭეს ფული და არ მოგცემო!

— ვაი, შე უჰკუთო! ვის უნახავ მაგ ფულს! თავგები შეგიჭამენ და იმასაც ვნახავ ჩემს კარებთან ქუდგამოშვერილი იდგეო, — დამციხავად გაიღიმა ზარმაცმა ძმამ.

მეუნაგრესაც გაეღიმა:

— სამათხოვროდ თვითონ გაჭეს საქმე, ხელში კატა მოგიკვდება ესეც იცოდე, გამდიდრებას ვერასოდეს ეღირსები, რადგან ადამიანის სიმდიდრე მოთმინება და ჰკუთაა. შენ არც ერთი გაგანჩია და არც მეორეო.

ძმები სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

მეუნაგრემ ფული თავგებს მაინც არ შეაჭამა; ცხოვრობდა თავისთვის ტკბილად.

ასე მთავრდებოდა მოთმინების ზღაპარი.

და იომენდა ესტატე ბიძიკა თავის დუბჭირ ცხოვრებას; მუდამ რალაცის იმედი ჰქონდა, მუდამ რალაცას მოელოდა...

შებინდებამდე ვიჯექი მასთან და ვისმენდი ამნაირ ამბებს. ბერიკაცის ერთი სიტყვაც ძირს არ დაიგდებოდა.

შინ გვიან მივიღოდი დაღლილი, ეწვებოდი და დღისით მონასმენი დამე სიზმრად მყოფნიდა.

ზაბათის გლახა

ჩვენს მეზობელ სოფელში ერთი უწყინარი გიგი ცხოვრობდა. ლავრენტია შტერს ვეძახდიო. ახმახი ტანი ჰქონდა, მარგილივით იყო ამვერილი. ორმოცი წლისა სრულდებოდა და ჰკუთავიდი წლის ბავშვისა შერჩენოდა.

ხშირად ჩამოივლიდა ჩვენს გზაზე; წელზე ქამრის ნაცვლად თოკი ჰქონდა შემორტყმული; მუდამ ვიწრო შარვალი ეცვა, კოჭებამდე ვერ სწვდებოდა, რადგანაც შარვალი, რა თქმა უნდა, ნახვისარი იყო და სხვა, ლავრენტის ტანისა, არავინ ყოფილა მის სოფელში. ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველა დადიოდა, რადგან არც ფეხი ჰქონდა ვინმეს მისოდენი იმ ახლო-მახლო.

მოდოდა თოხარკით, თავის განუყრელ მათრახს ფეხებს უკან ატაცუხებდა და ანუ-ანუს იძახდა.

ესტატეს ჰიშკარს რომ მოუახლოვდებოდა, ღრრრო, გადმოჰყრიდა ღორბლს და შეჩერდებოდა.

— შემოდი, ლავრენტია, შე საწყალო, — მოუხმობდა ესტატე, აივანზე დასვამდა, მჭადს და ყველს გამოუტანდა, წყალს დაუდგამდა ღოქით...

ძლომა არ ეკიდებოდა შუშუ ლავრენტისას, ვერ გრძნობდა ძლომას.

ესტატე წელზე თოკს ზომიერად შემოაჭერდა, რომ ზედმეტი არ ეჭამა.

ერთხელ მაინც იმდენი ყლაპა ნესევი და ხილი, თოკი გაწყვიტა. მაშინ უფრო მაგარი თოკი გამოიტანა ესტატემ და ისევ შემოაჭირა მუცელზე.

შემდეგ ჩამოვლავ თავისი სარგო ფეხსაცმელიც დაახვედრა ესტატემ ლავრენტისას, ძალისძალათი ჩააცვა.

ჯღანო ეპოვნა ბერიკაცს შემთხვევით, საგულდაგულოდ დაეკერებინა.

კარგად მოერგო ლავრენტისას, მაგრამ მეორე დღეს ისევ ფეხშიშველი დაბრუნდა...

ჩვენ შორი-ახლო ვიდექით და სიცილით ვკვდებოდით.

— ლავრენტია შტერი! ლავრენტია შტერი! — ვეძახდით და საჩვენებელთის ცხვირწინ ვუტრიალებდით. ის კი ცხენით ხეივანივით და ჩვენსკენ სათამაშოდ იწეოდა. ესტატე აჩერებდა: რა დროს შენი თამაშია, დაბერდი კაციო!

ლავრენტია თავისას მინც რომ არ დაიშლიდა, ესტატე ბიძია ჩვენ დაგვიცაცხანებდა. ჩვენც მოგწყდებოდით იქაურობას, ვინმეს ეზოში შევიპარებოდით, უბეს უმწიფარი ვაშლებით გავივსებდით და ესტატეს სახლიდან წამოსულ გიეს სასაფლაოსთან წამოვუფრინდებოდით.

მოუშვებდა წელზე შემორტყმულ თოქს ლავრენტია, დაჯდებოდა გზისპირას და ჰამდა და ჰამდა ჩვენს მიერ. შეთავაზებულ ხილს...

თავის სოფელში პატრონი და გამკითხავი არავინ ჰყოლია. შაბათის გლახას ეძახდნენ.

ერთი ფაცხა ედგა თურმე. გზა-გზა ხეტილით გულს რომ იჭერებდა და მუცელსაც ამოიყორაგდა, შეძვრებოდა შიგ, მიეგდებოდა და იყო თავისთვის.

ზოგჯერ რალაცნაირი ხმა მოისმოდა თურმე მისი ქოხიდან. ამაზე ამბობდნენ: ლავრენტია მღერისო!

დიდთოვლობას ვინმე მეზობელი მიაკითხავდა გიეს და სამადლოდ ცეცხლს დაუნთებდა.


შეითბობდა ლავრენტია ძვლებს და ისევ ესტატესკენ გამოუწეოდა გული.

— ეჰ, ცოდვიშვილიო, — ამბობდა ესტატე ბიძია მუდამ, მის დანახვისას.

ლავრენტიაზე დიანოხა მკვდელს თავისი მოსაზრება ჰქონდა.

— ჰქუას რომ არიგებდნენ, ლავრენ-

ტია ლომს ჰამდა, ჰქუის მისალებად წასვლა დაეზარა და ასე დარჩაო, — ამბობდა.



დაგვილი ისტატი

ორთახიანი, დაბალი ოდა ედგა ესტატე ბიძიას, ყავრით გადახურული. ჩვენს ეზოებს მესერი არ ჰყოფდა, მხოლოდ ძველი ნათხრილარი გასდევდა სამიჯნედ.

ესტატე თავის ეზოს რომ დაბარავდა, ჩვენსასაც მიყოლებდა ხოლმე, რადგანაც ჩვენსა ცეცხლის დამნთები არავინ იყო და მიწას ვინლა დაბარავდა!

ოხის დღეს, ახლანდელ პარასკევს, თოხს ხელს არ ახლებდა ესტატე: ცამ პირი არ შეიკრას და მოსავალი გვალვამ არ გაგვიფუქოსო.

გზაფხულზე წითელათი გავხდი ავად; მიკნაეებული ვიწეკი, თვალებს ვერ ვახელდი.

ჩემს დებს ადრევე მოხდილი ჰქონდათ წითელა ბატონები და არ მერიდებოდნენ, სულ თავს მევლებოდნენ, მეფერებოდნენ ყველაზე უმცროსს.

ესტატეს ჯერ არ გაეგო ჩემი ავადყოფობა და ჩვენს ეზოს ბარავდა თურმე.

ბებიჩემს თვალი მოუკრავს და შეუცხადებია:

— ესტატე, რას შერები, ბეჩა! შინ ბატონები გყავსო..

ესტატეს შუბლში უტკეცია ხელი, ბარი გაუგდია და ჩემსკენ წამოსულა.

ოთახში ფეხშიშველა შემოვიდა და უცნაურად ლბილი ხმით ალულულდა. ასეთი ხმა სხვა დროს არა ჰქონია ესტატე ბიძიას, შაქარი ამოსდიოდა პირიდან:

— მაპატიე, ბიძია! არ ვიციო. ბატონები რომ გესტუმრა, და ბარს მოვიდევ ეს დასამიწები ხელი... მაპატიეთ, ბატონებო!..

შემდეგ მომიახლოვდა, შუბლზე ხელი გადამისვა, მომიალერსა.

მე თვალები დავაპყტიე.

ბერიკაცმა, არ ვიცი ჩემს გასაცინებლად თუ ბატონების საამებლად, ძაფი

მოსთხოვა დედაჩემს; ერთი ბოლო ყელზე შეიბა, მეორე ჩემი საწოლის ფეხზე მიანასკვა და მომიბრუნდა:

— დავაშავე, ბატონებს ვაწყენინე და, აი, აგერ ვიქნები ახლა დაბმული შენს ფეხებთან.

იქვე ჩაქდა, თან რაღაცას ბუტბუტებდა, ალბათ „ცოდვას“ ინანიებდა!

მე გაღიმების თავი არა მქონდა, მაგრამ ახლა კი გამოვავჩინე კბილები.

— ასე, ბიძია, ვაიკინე! ბატონებს ეამება! — გაიხარა ესტატე ბიძიამ.

კარგახანს იყო ბერიკაცი დაბმული ჩემს საწოლთან და ზღაპრებს მიყვებოდა. „მოთმინების ზღაპარი“ არ უთქვამს შოლოდ. ეს იყო იების, ვარდების, წითელი ბალის და წითელი ვაშლის ზღაპრები, სახელდახელოდ მისივე გამოგონილი.

ყველაზე ნათლად ლურჯი იების ზღაპარი ჩამჩა მესსიერებაში.

ლურჯი იების ზღაპარი

მიწისქვეშეთში ცხოვრობდა ოთხი ია, სამი — თეთრი და ერთი — ლურჯი.

ზამთარი იყო და ზევით ამოსვლას ჯერ ვერ ბედავდნენ. მიწაში კი თბილად. იყვნენ გაზაფხულის მოლოდინში და თავიანთს მომავალზე საუბრობდნენ.

ერთმა თეთრმა იამ თქვა:

— მე ამ გაზაფხულზე, მდინარესთან ბუჩქი რომ დგას, იმის ძირას ამოვალ. თვალს ვერავინ მომკრავს და ვიქნები არხენიანად.

— მე ციხის ნანგრევებზე მიინდა ამოვიდე, — ჩაერია საუბარში მეორე თეთრი ია, — ციხის ძველი კედელი ხანსითაა დაფარული, შიგ ჩაფიმალები...

მესამე თეთრმა იამ იფიქრა, იფიქრა და წამოიძახა:

— არც მდინარესთან ამოვალ, არც ციხის კედელზე. მე შეგულები ერთი ადგილი ტყეში. იქ კაციშვილი ვერ მომაგნებსო.

იებს შორის ყველაზე პატარა და ჭკვიანი ლურჯი ია იყო. მოუსმინა თეთრ იებს და სიტყვა შორს დაიჭირა:

— ვერცერთს ვერ გამოგყვებით. მე

უნდა ამოვიდე ერთ პატარა ეზოში. იქ თმახუტუტა ბიჭი ცხოვრობს, მომწყვეტს, დამყნოსავს და გაიხარებს. აბა ისე რაღა ია ვიქნები თუ ვინმეს არ ვასიამოვნე! თქვენც წამოდიოთ ჩემთან ერთად. იმ თმახუტუტა ბიჭს სამი დაიკო პყავს, ისინი გაახარეთო.

თეთრმა იებმა ქვა აადდეს და თავი შეუშვიტეს:

— არაფრის დიდებით იმ ეზოში არ წამოვალთ. თმახუტუტას დები ძალიან ცელქები არიან. მათი გახარება რაში გვეპიტინავებო.

გაზაფხულიც მალე დადგა.

თეთრი იები თავთავიანთი გზით წავიდნენ...

ლურჯმა იამაც არ გადაუხვია თავის სიტყვას და თმახუტუტა ბიჭის ეზოში ამოვიდა...

ეს თქვა ბიძია ესტატემ, ხუტუტ თმახუტუტა ხელი გადამისვა და აქამდე დამალული ლურჯი იების კონა გადმომცა. თურმე აღრევე მოეკრიფა, მაგრამ ჯერ შორიდან მოუარა და ზღაპარი მიამბო.

მე სიხარულით ცას ვეწიე; იას ვყნოსავდი და თან ნიშნისმოგებით შევეყურებდი ჩემს დებს: აგრე გინდათ! იები თქვენთვის არ ამოვიდნენ, ჩემთვის კი ამოვიდა-მეთქი!

დებს იების ჯაერი არა ჰქონდათ, ჩემი გაღიმებით ხარობდნენ და თვითონაც იღიმებოდნენ.

შემდეგ მივხვდი თუ რატომ გააწბილა ესტატე ბიძიამ მაშინ ჩემი დები.

ამით ხომ მე გამახარა!

ლურჯი იების ზღაპარს წითელი ბალის ზღაპარი მოჰყვა და მეც ამოვიტნავლე:

— ბალი მიინდა!..

აღრეგაზაფხული იდგა და ჩვენს სოფელში ბალს მწიფობა ჯერ არ დაეწყო.

ესტატე ბიძია ჩაფიქრდა. სწორედ ამ დროს ბებიაჩემი შემოვიდა ოთახში და, მე ცოტა მობრუნებული რომ მნახა, დაბმულ ბერიკაცს მიმართა:

— ბატონებმა უკვე გაპატეს, აიწყვიტე ძაფიო!

ესტატე ფიქრიდან გამოერკვა. მერე

კარგა ხანს ქაჩა ძაფი. ვითომ ვერ იქნა და ვერ აიწყვიტა.

მე ვიცინოდი.

ეს უნდოდა ბერიკაცსაც.

ბოლოს როგორც იყო აიშვა თავი; მალე მოვალე დაიბარა და წავიდა; სადამოხანს ჯოხზე კუნწულებად ასხმული ბალი შემომიტანა; თურმე სამტრედიისი წასულიყო მატარებლით და იქ ეშოვნა.

იმ დღიდან ასე მჯერა: ბალი ყველაზე ადრე სამტრედიისი მწიფდება.

სანამ ლოჯინად ვიწექი, ესტატე ბიძია თითქმის ყოველდღე ჩემთან იყო; მოჰქონდა წითელი ქალაღებები, წითელი ვარდები...

იმხანად არც ბარისთვის უხლია ხელი, არც შეშა დაუჩეხავს, არც ლურსმანი მიუჭედებია, სადგისი და ნემსიც არ აუღია...

მშველდის ვაყებიც მოდიოდნენ ჩემს სანახავად. ფუთულას გარდა ყველას მოხდილი ჰქონდა წითელა.

უფროს-უმცროსობით შემომწყრივდებოდნენ ოთახში: გვაძია, გივი, ეორა, ბიჭიკო, გურამი და ზაური.

ასეთ დროს ფუთულა მესერზე აძვრებოდა და იქიდან იჭვრიტებოდა ჩვენს ფანჯარაში.

ვალენტინა და ვერიკო მოსაკითხის გარეშე არ კადრულობდნენ ჩემს ნახვას.

ერთხელ დიანოზას დანა გაეშედა ჩემთვის და გამომიგზავნა.

მაშინათვე აღგომა დავაპირე, მაგრამ ესტატე ბიძიამ გამაჩერა.

ზვიდგანიის წვიმა

ესტატეს უბრალოდ ჰქონდა მოწყობილი სახლი. მთელ მის აელადიდებას შეადგენდა ორი რკინის საწოლი, ერთი ტახტი, ძველთაძველი ვანჯინა, მაგიდა, ორიოდ სკამი, თუნუქის ღუმელი და— დიდი მოთმინება.

ღუმელი პატარა ოთახში ენთო. აქვე იყო მისი სახელოსნო.

მუშტრისთვის პატარა ჯორკო ედგა.

თუ მშველელ დიანოზასთან არ ვიყავი, ეს ადგილი მუდამ მე მეკავა.

აყვრებდა ესტატე ჯღანებს და თან ხელობას მასწავლიდა:

— კარგი ხელოსანი ნემსს ხელიდან არც დანით მუშაობისას გაავდებს და არც სადგისის ხმარებისასო...

ძველად ესტატე განთქმული მეწულე ყოფილა. თავისი სავაჭროც ჰქონია ბაზარში. მერე დროება შეიცვალა, ესტატესაც სიბერემ მოუყაყუნა კარებზე და მეჭლანედ ჩამოაქვეითა.

მთელ სოფელს მისკენ ჰქონდა ფეხი გამომშვერილი...

პირველ ხანებში, მახსოვს, ესტატე ფასს წინასწარ ეტყოდა მუშტარს. ბოლო დროს რომ ჰკითხავდნენ: რამდენს გამოგვართმევო? უპასუხებდა: რამდენიც შეგეძლება, იმდენი მომეციო.

ცეცხლი ზაფხულობით ეზოში ენთო, ზამთრობით — თუნუქის ღუმელში. სადილს, რა თქმა უნდა, თვითონ იკეთებდა. ხარაზი იყო და სუფრაც მეტწილად ხარაზისა ჰქონდა: ყველი, პური და კეთილი გული. ზოგჯერ კვაწიაში ამოლესილ ლობიოსაც ჩამოდგამდა ტაბაკზე.

შეშა ბევრი არ სჭირდებოდა, მთელ წელიწადს ერთ ურემს იყიდდა და ის ყოფნიდა; ეზოში ცოტა ჩინჩხვარასაც მოაგროვებდა და ადიოდა ბოლი მისი კერიდან.

ზშირად მეც ვსადილობდი ბიძია ესტატესთან.

ჩვენსა ქათამი თუ დაიკვლებოდა ან საგანგებო რამე გაკეთდებოდა, ღედაჩემი ესტატესაც მოიკითხავდა უსათუოდ.

სადილს მე მიეუტანდი.

ესტატე ჩამომართმევდა და ცას ახედავდა:

— მადლობა, ღმერთოო!..

მიკვირდა: სადილი მე მოვუტანე და მადლობას ღმერთს რად უხდის-მეტქი!

ოთახის ერთ კუთხეში ღვთისმშობლის ხატი და ქრისტეს ჯვარცმა ეკიდებოდა.

ერთხელ გვიან საღამოს შევეუარე და ხატის წინ დაჩოქილს შევესწარი. რაღაცას ევეღრებოდა თავის წილ ღმერთს...

იმ წელიწადს ცული ზამთარი დადგა. მე რომ კარები შევალე, ესტატე ღუმელთან იჯდა და ჩექმებს აკერებდა.

— მოდი, ბიძია, გათბი, — მომმართა: მოხუცმა.

ძლიერ დაბერებული და მოტეხილი მომჩვენა.

რაც ტანსაცმელი ებადა, სულ ჩაეცვა, ზედაც დაბამბული კურტაკი მოეგლო მკლავგაუყრელად.

— ეჰ, წითელ კვერცხს ვერ გავფიქვნი აწი, — სიტყვებს ლამის გულიც ამოაყოლა ბერიკაცმა.

ვერ მივხვდი ამ სიტყვების აზრს. თურმე აღდგომამდე ვერ გავატანო, უთქვამს ქარავმულად. ჭინჭში ყოფილა გამოსაკრავი მისი ყველა ნათქვამი. მე კი ვიჩქეი პირდაღებული და მეწუღეობაზე ვოცნებობდი.

ადამის დროინდელ თუნუქის ღუმელს გვერდები გამოსწვოდა და ოთახში ბოლი იდგა.

— ესტატე ბიძია, ამაღამ მოთოვს? — ვკითხე.

— მთებში უკვე მოთოვილიაო, — მიბასუხა ჩემთვის უცნობ ფიქრებიდან.

მე გულუბრყვილოდ წამოვიძახე:

— რა კარგი იქნება, აქაც რომ იყოს მთები!..

ესტატეს მგონი ჩემთვის ყური არც უთხოვებია.

ანაზღად სადგისი იჩხვლიტა თითზე და, დავბერდიო, ამოიოხრა.

მართლაც, ადრე, არასოდეს არ მინახავს სადგისი ან ნემსი ეჩხვლიტოს ესტატეს.

სახელისგულე ტყავზე გაღმონადენი სისხლი წინსაფარზე შეიწმინდა, ნაჩხვლეტ ადგილას თუთუნი დაიყარა და საქმე განაგრძო.

— ეს ხელსაწყოები შენი იყოს, — ისევე თავისი ფიქრებიდან გამომეხმინა ბერიკაცი. ჩემი სიკვდილის შემდეგო, არ დაუძენია, მაგრამ მე ქვეშეცნე-

ლად ეს სიტყვებიც ამოვიკითხე მის თვალებში.

ესტატემ განაგრძო: **ბიჭულიცა**
— სხვისას თუ არა, შენს ფეხსაცმელს მაინც დაიკერებ...

თოვა ლამით დაიწყო, დილით უკვე საჩექმე თოვლი იდო.

ესტატე ბიძიას მალე შეშა შემოაკლდა და სახლის უკანა კიბე, რომელიც ისედაც მონჯლრეული იყო, მოხსნა და შეშად იხმარა; კიბის ნაცვლად მოზრდილი ლოდი მოაგორა და კარებს მიუყენა.

ვხედავდი როგორ აღნებოდა ხორცი ძვალზე, როგორ დასცა სიბერემ ბუკებზე და გულზე მუხლი დააჭირა.

მანამდე ყოველთვის ძაღლის ალიონზე ღვებოდა ესტატე. ახლა კი შეაღღემდე ჩამი-ჩუმი არ ისმოდა მისი სახლიდან.

შეუშვირა ბერიკაცმა კისერი უღელს, ბედს დაემორჩილა.

— ჩემს გაჩენაში ღმერთი არ უნდა ერიოსო, — დაასკვნა ბოლოს.

ზედმიწვენიტ მწვავედ ვივარძენი მოხუცის გულისტივილი.

რამდენჯერ მიფიქრია: თავისი არა ჰყავდა და სხვისი ბავშვი მაინც გაეზარდა-მეტქი! მაშინ ხომ მის ბედს ძალლი არ დაჰყევდა!..

...მშველელმა დიანოზამ ქვედა სართულზე ერთოთახიანი ბინის ამოშენება დაიწყო, გაზაფხულზე ერთხელაც ხელახლა შემომესრა თავისი ეზო, სკოლას კარგა მოზრდილი ნაჭერი ჩამოაცალა და სიმიინდის თესვას შეუდგა.

ესტატემაც ისევე დაბარა თავისი და ჩვენი ეზო. მეც ვეხმარებოდი. სიმიინდი დავთესეთ.

ოც მაისს, ძველით შვიდს, ცამ პირი მოიხსნა და წვიმა წამოვიდა. ესტატემ სიხარულით ლამის ცალ ფეხზე ხტუნვა დაიწყო.

(რას ვიფიქრებდი თუ ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი გახარება!)

შარვალი ავიკაბიწე და მოხუცთან შევიბრინე...

მან გაბრწყინებული თვალები მომაპყრო და ლექსი შემომაგება:

— შეიდმამისის წვიმაო
შეიდას თუმნად ღირდაო.
საწყალსა და არასმქონეს
აღარ გაუჭირდაო...

სახლის სახურავში წვიმა ატანდა. ესტატეს მაღლიდან ვადმონადენი წყლისათვის მოზომილად შეედგა სხვადასხვა ჭურჭელი. წვეთების გაბმული წკარაწყური ბერიკაცის წარმოთქმულ ლექსს უცნაურ აკომპანემენტად ერწყმოდა.

ესტატე ბიძიას კარები ფართოდ ჰქონდა გაღებული.

სკოლის ეზოში ფეხშიშველა და თავშიშველა გოგონებს კაბა აეკვალთბინათ, გუბებში დარბოდნენ და ქღურტულებდნენ:

— შეიდმამისის წვიმაო,
თმა კოჭებამდინაო...

— შეხედე, შეხედე, ბიძია, — მომპართა ესტატემ, — შენც გადი წვიმაში. ამ დღის წვიმა აღამიანსაც ზრდის. მალე გაიზრდები...

მორიდის მერე ჩვენს ყანაში ღვთის თვალი დატრიალდა. ესტატე ბიძია ამ წყალობას მთავარანგელოზ „მიქამ გარბოს“ — მიქელ გაბრიელს მიაწერდა.

მე სულ კბილებს ვუსინჯავდი ტაროებს, შესაწვავ ჰყინტ სიმინდს ვეჭებდი.

— მოითმინე, ბიძია. მოითმინებაზე უკეთესი ქვეყანაზე არაფერია, — თიქოს ახალი ამბავი მითხრა ბერიკაცმა, — ყველაფერს თავისი დრო აქვს...

ესტატე შინიდან უკვე არსად არ გადიოდა; ცოლის საფლავსაც არ აკითხავდა.

მოხუცის მოტეხვას სოფელიც ხედავდა. მარილის სათხოვენლადაც არავინ მიდიოდა მასთან. მოსაკითხების გამოგზავნას კი უმატეს. სხვის მუცელში თუ ქორწილი იყო, ესტატესას ნიშნობა შინც არ დააკლდებოდა.

ღეღაჩემი ახლა ყოველდღე მატანდა ესტატესთან საკმელს. თუმცა არც ჩვენ

გვიცვივოდა დიდი ნაფორტი, ხელმოკლედ ვცხოვრობდით.

ესტატე კვლავ განავრცობდა მეგობრობას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჟამად გასამრჯელოს სულ არ ითხოვდა.

— რა ფასი აქვს ფულს! ვინდ ჰქონია, ვინდ არაო, — იტყოდა.

შემოდგომაზე მოსავალი აიღო. მეც ვეხმარებოდი. ხუთ ბათმანამდე სიმინდი ვადმოუვიდა. დაფშენა და გასახმობად მზეზე გაფინა.

ღიანოზა მკედლის ჯაჭვა დედლები მაშინათვე თავპირის მტვრევით გამოიქცნენ სიმინდისაკენ. მე ჯობი ავიღე და უკანვე გავდენე.

სიმინდი ორ-სამ დღეში გავახმეთ. დასაფქვევად მკედლის უფროსმა ვაჟმა გვაძიამ წაიღო თავისი ცალუღელა ურმით...

შემოდგომის მიწურულზე მკედელმა ღიანოზამ ქვედა საართულში ოთახის ამოშენება დაამთავრა და ვალენტინა გაათხოვა. ვილაც შოფერს თვალი დაუქრავს თურმე ვალენტინასთვის; უფიქრია: ეს არის ვიპოვე ჩემი ცალი და ანათალიო; მისულა ღიანოზასთან, ბელვად ოქროს ბეჭედი მოუტანია და ქალიშვილის ხელი უთხოვია...

მკედელმა კარგი ვაცილება მოუწყო უფროს ქალიშვილს.

ესტატეც იყო დაბატიებული, მაგრამ არ მისულა.

წასვლისას ვალენტინას ცრემლებით აევსო ლამაზი თვალები...

ღიანოზას ვითომ ხელება აუტყდა და სახეზე ცხვირსახოცი აიფარა. მგონი ისიც ტიროდა ჩუმად და ცრემლებს მალავდა.

მას შემდეგ, მალე ვერიკოსაც დაადო ხელი ერთმა ტარიელივით ბიჭმა და აბასთუმანის გზას გაუყენა...

...ავდარმა ძირი მოიმავრა და ესტატე ბიძიამ თავისი აივნის იატაკი აპყარა საშეშედ.

— ლეღვი მოჭერი, ბიძია, — ვურჩიე მე.

— ლეღვი ნაყოფს ისხამს, ცოდვია.

ამ ფიცრებს კი მაინც ჰია ჰამს, — მიბასუსხა.

ბერკიაცის იმედს კბილები დიდი ხნის წინათ ჰქონდა მოჭრილი, მაგრამ ახლა ჩემზე ფიქრობდა; იცოდა თუ როგორ მიყვარდა მისი ლეღვის ხე და ამის გამო არ ემეტებოდა მოსაპურლად.

მაშინ მე სახლში წიფლის მოზრდილი ნაკოდალი დავითრე და მიეუტანე. უკანვე წამალბინა: ღედაშენს ოთხი ყავხართ გასათბობი, თავისი გასაჭირიც თავს გადასდისო.

ღამეები კამჩეზივით უვლიდნენ დედამიწას გარშემო, მიიზღანებოდნენ დღეები და თითო ჩამოვლანზე თითო ფიცარს აცლიდნენ ესტატეს სახლს.

მალე უკანა ოთახის კედლებსაც მისდგა ესტატე ბიძია და წინა ოთახში გადაიტანა თავისი სახელოსნო.

ახლა უკვე ოდნავ სიცივესაც ვერ იტანდა.

თუნუქის ღუმელმა თავისი დრო მოჰკმა, გვერდები სულ გამოეწვა. აიღო ესტატე ბიძიამ და ეზოს ბოლოში მიავლო; სამაგიეროდ ქვის კეცის მოზრდილი ნატეხი მონახა სადღაც; ოთახის ერთ კუთხეში აგურები ამოუწყო და ზედ ცეცხლი ააბუქუტა.

კვამლს რომ ოთახიდან გასასვლელი ჰქონდა, ჰერის ფიცრები ჩამოხსნა იმ კუთხეში.

უკანა ოთახი იატაკ-კედლებიანად კარგა ხანს ეყო. კარადა, მაგიდა, სკამები და ხის ტახტი ადრევე იხმარა შეშად.

გაზაფხულზე ესტატე ბიძიას ეზო არ დაუბარავს. ჯანი მთლად გამოლუული არ ჰქონდა, მაგრამ, მე მგონი, უფრო გული არ მოსდევდა.

არაფერს შევკითხვივარ; ჩემი ეზოს ნაწილი თვითონვე მოვჩინქნე საჰყინტსიმინდელ; ესტატე ბიძიას ეზოსაც დავკარი ბარი, მაგრამ ბერკიაცმა გამაჩერა:

— დაანებე, ბიძია, თავი. მაგის ორისამი ბათმანი სიმინდი არც ამაშენებს და არც დამაქცევს. ისევ თქვენ გქონდეთ ბურთის სათამაშოდ ეგ ეზოო.

ფუთულა — რკინის მამიანელი

ბინდდებოდა, მკვდელ დიანოზას სახლიდან ბავშვის ტირილი რომ შემოისმო.

ვიცანი ფუთულას ხმა; მესრის გასაძროშში ტინტილასავით გავსრიალდი და მათთან გავჩნდი.

იღგა ფუთულა საოცრად გაოფლილი. მამისკენ ზურგი შეექცია და საწყალობლად ღნაოდა, თან ბატარა მუშტებით თვალებს ისრესდა. ჟანგით და მიწით დასკრილ თითებზე ცრემლები ჩამოსწანწკარებდა და შიშველ მუცელზე ეცემოდა.

იქვე ეგდო ესტატე ბიძიას დრომოკმული ღუმელი.

ფუთულას დილით ესტატეს ეზოში თვალი მოუკრავს გადაადგებული ღუმელისათვის, თავისებურად დაახლოვებით ასე უფიქრია: თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჰკამოს, რატომ უნდა ჩამოვრჩე ჩემს ძმებს რკინის შოვნაშიო!

დიდი წვალებით და ვაი-ვიშით ესტატეს ეზოდან სკოლის ეზოში გადაუთრევია ღუმელი; ხელით ზიდვა რომ გასკირვებია, სახლში გაქცეულა, თოკი წამოუღია ჩუმად, ღუმელისათვის ფეხზე გამოუბამს და სვენებ-სვენებით, სალამოზდუ ძლივს მიუტანია მამამისის სამკედლომდე.

ყველაფერს ამას ჩუმად აკეთებდა თურმე ფუთულა; ფიქრობდა: მამას ამხელა რკინას მოულოდნელად მიეუტან, გაიხარებს და შემაქებსო.

შუბლზე კოცნის ნაცვლად დაკოყრილი ხელი მოხვდა საწყალს ყბაში.

ფუთულას ეს სრულებითაც არ სტკენია, მაგრამ გული დასწყვეტია უზომოდ და ამიტომაც ტირილი ასე მწარედ.

დიანოზა ლურსმნების კეთებას განაგრძობდა და თითისტოლა ბავშვზე სერიოზულად ბრაზობდა.

— რა იმედი უნდა მქონდეს შენი, შე მამაძალოო! სად გაგონილა თუნუქისაგან ლურსმნებსა და ნალებს აკეთებდნენ!..

ასე ფუჭად ჩაუარა ფუთულას მთელი დღის შრომამ.

ზემო სართულიდან ვერაკომ ჩამოირბინა და თავის პატარა ძმას მოეფერა, ხელში აიყვანა.

ფუთულამ აღერსი რომ იგრძნო, უფრო დააღო პირი...

გალეფილი კალო

ესტატე ბიძიას მალე სადგისიც გაუვარდა ხელიდან და ახლა აღარავინ იშვერდა მისკენ ფეხს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ბერიაც-მა წინა ოთახის კედლიდანაც გამოაძრო ერთი ფიცარი, მერე — მეორე...

კეცის ნატეხზე უწყვეტლივ ენთო პატარა ცეცხლი და ზედ სიბერით დამზრალ ხელებს აფიცებდა.

ადრე, ღამით მაინც მოასვენებდა ცეცხლს, ჩააქრობდა. ახლა ღამითაც ენთო. თითქოს ცეცხლის დედის დაკარგვისა ეშინოდა.

წვერის მოპარსვაც მიატოვა და თეთრი თევთიკით დაეფარა დამკვარი სახე.

თუ მოუტანდა ვინმე საქმელს, ხომ კარგი. არა და იჯდა გასუსული, ხავსი მოიკიდა პირზე, ზღაპარების მოყოლაც მიმიტოვა.

ერთხელ შევბედე: მოთმინებაზე მიამბე-მეთქი.

ვატყობდი ეზარებოდა, მაგრამ გული მაინც არ დამწყვიტა. მხოლოდ ამჯერად ზღაპარი იმ ადგილას დაამთავრა, პირველად რომ გამოჩნდება თეთრწვერა ბრძენი და მეუნაგრეს მოთმინებას შეუქმებს...

ესტატეს სიკვდილს მე ვერ დავესწარი, რადგანაც იმხანად ჩვენმა ოჯახმა უკეთეს ცხოვრებას უპოვა შესავალი კარი და ქალაქში გადასახლდა...

წასვლის წინ ესტატე ბიძიამ ჯერ დამლოცა და შემდეგ გულდაწყვეტით დასძინა:

— ეპ, ჩემი მზე ჩასულია, შვილო. შენს დავაყვაცებას მაინც მოვსწრებოდიო.

„შვილო“ — ეს სიტყვა პირველად გავიგონე მისგან. რალაც მიეკიბ-მოვკიბე, ვცადე ესტატე ბიძიას დამედეგა. მაგრამ ჩემი ნათქვამით ერთი სხვიც ვერ ვუწვდინე მოხუცის ჩალამებულ გულს.

მას შემდეგ ესტატე ბიძიას კიდევ სამჯერ გაუფცქვნიო წითელი კვერცი. ბოლო დროს სახლის ერთი კუთხელა დარჩენია დაუწვავი. იჯდა თურმე ამ კუთხეში საბანშემოხვეული და ნაკვერჩხლებს ჩასტყვროდა. ძალიც არ შედიოდა მის გალატაკებულ, ფარდალალა სამყოფელში.

ზოგჯერ მთელი დღე ისე გავიდოდა თურმე, ხემსიც არ ჩაუვიდოდა პირში.

მაშინ გერმანიასთან ომი იყო და ყველას თავისი ქია ჰყავდა, პურის ნამცეცი ხელიდან არავის უფარდებოდა.

სოფელი ესტატეს ჭირს მაინც არ ავდებდა; შეძლებისდაგვარად ლუკმას აწვდიდა ბერიაკას.

ნიადაგ ჩემი გზისკენ იყურებოდა თურმე: სად დაიკარგა ის ბიჭი, ნეტა ერთხელაც მანახაო...

სულ ძილად ქცეულა, ძილში გაპარულა კიდევაც აღდგომა დილით, ვარდთა და ხეთა ფურცლობის ქამს.

მეზობლები რომ მისულან, კეცის ნატეხზე ისევ ბეუტავდა თურმე ცეცხლიო...

სახლის დარჩენილი ფიცრებით „სასახლო“ გაუკეთებიათ ცხედრისთვის მკედელს და მის ვაეებს. სხვა მეზობლებიც წამოხმარებიათ, ცალი ხელით დაუტირნით და თავისი თანამეცხედრის გვერდით დაუსაფლავებიათ; თითო წვეთი ღვინოც დაუსხამთ პურზე. შავები არავის ჩაუცვამს.

ასე გაულეწავს ესტატე ბიძიას თავისი კალო.

ყველაზე მეტად კიდევ ლავრენტია შტერს დასწვია გული.

თავის სოფელში დათოხარიკობდა თურმე იმ დღეს ლავრენტია.

— შე ჰეუადაბლერტილო, რა გაციონებს, ესტატე მომკვდარაო, — უთქვამს ვილაცას.

ლავრენტის დაჭრილი ნადირივით დაუღრიალნია ერთი და ადვილს მომწყყდარა;

ათი კილომეტრი შეუსვენებლივ ურბენია თავისი სოფლიდან ჩვენს სოფლამდე.

ის იყო მეზობლებს მიწა მიუყრიათ ესტატესთვის და დაშლილან, რომ ამ დროს ლავრენტიაც მოვარდნილა.

— ეგერაა საფლავი. მიდი, იტირე, შე საწყალოო, — უთქვამთ.

დამხოზია ლავრენტია თბილ საფლავს და ბლავილი დაუწყია; რალაც გაურკვეველ სიტყვებსაც ჩასძახოდა თურმე ესტატეს და, სირბილისაგან უზომოდ დაღლილი, საბერველივით ქშინავდა...

დილით მკვდარი უნახავთ ლავრენტია შტერი, ორივე ხელით საფლავს ჩახვეოდა, მიწა ეფხაქნა და მიწა ექამა საცოდავს...

ძვალი ძვალთაგანი, ხორცი ხორცთაგანი...

ესტატე ჯერ საფლავში გაცივებულ იცა არ ყოფილა, რომ, ციდან ჩამოვარდნილა თუ მიწიდან ამომვარდნილა; მისი ძვა ჩამოსულა; ჯერ სოფლსაბჭოში შეუვლია, რალაც საბუთები გადმოულაგებია, შემდეგ ძმის ქიშკართან ურემი მიუყენებია, დაუშლია ოდის დარჩენილი ჩონჩხი, დაუდგია ურემზე, ორი რკინის საწოლიც ზედ მიუყოლებია...

საბნისთვის ხელი არ უხლია; მუთაქა აულია მხოლოდ და, ხალხის დასანახად, დანით გაუფატრავს.

მუთაქიდან, ბუმბულის ნაცვლად, ნიკოლოზის ქაღალდის ფულები გადმოცვენია.

— აი, ხომ ხედავთ ვინც ყოფილა თქვენი მეზობელიო, — თვალებითა უთქვამს ესტატეს ძმას, დაუკრავს ხარებისთვის სახრე და წასულა.

გავიგე ეს და მაშინდა ჩაეწვდი „მოთმინების ზღაპრის“ დედა აზრს. აღირე ჩინური ანბანი ყოფილა ჩემთვის ეგ

ზღაპარი. თავისი ცხოვრების სიმართლე უამბნია ესტატე ბიძიას, თვითონ ყოფილა ზღაპრის გმირი მკვლევარ და ვერ მივხდარვარი მეგონა კი, მის უბეში გავიზარდე და მის გულშიც ვიჩქეი...

ახლა ესტატეს ნასახლარზე დიანოზა მჭედლის ვაჟს, ბიჭიკოს უნთია კერა; გვარიანი ოდა-სართული აქვს წამოკიმული; ცოლ-შვილს მოკიდებია...

გზად და ხიდად

თვითონ დიანოზა ბოლო დროს არ მუშაობდა. მჭედლობას გვაძია და გივი ავრძელებდნენ. ნაჯაფარ მამას მათი წყალობით ხის ფოთოლიც არ დაეცემოდა, უბატონოდ ხმას ვერვინ ვასცემდა.

მაგრამ ძველ ჩვეულებას სიბერეშიც არ იშლიდა ცალთვალა მჭედელი (ცალი თვალის გრდემლიდან ასხლეტილ რკინას დაუესია მისთვის), გამოიბამდა ცხრა ფეხს, დადიოდა სოფელში დილინით, რკინას ეძებდა...

კარგახანს იცოცხლა დიანოზამ, კარგად ამოჩაფა თავისი წილი ტკბილ-მწარე წუთისოფლის მარანში...

იმ საბედისწერო დღეს გაუგია: რკინიგზაზე რელსები გამოსცვალესო. წასულა გადაყრილი ლურსმნების შესაგროვებლად და მატარებელს მოჰყოლია.

ცოტა უურმშიმე კი იყო ცხონებულის ესტატე ბიძიას ჩემგან კუთვნილი ერთი მუჯა მიწა ვერ მივაყარე, რადგანაც გვიან გავიგე მისი გარდაცვალება, ისიც შემთხვევით. დიანოზა მჭედლის დაღუპვა კი დროულად მაუწყეს და გამოსათხოვრადაც ჩამოვედი.

მარტვილიდან ვალენტინა ჩამოვიდა ქმარ-შვილით.

კილომეტრისიქიდან მოისმა მისი კივილი.

— ე, დიანოზა, შე უბედურო, მოდის შენი უფროსი ქალიშვილიო, — დაატირა მიცვალებულს მეუღლემ.

თმებს იგლეჯდა შავად შესუდრული უფროსი ქალიშვილი. მულები ძლივს აკავებდნენ.

— შენს ლოგინში სიკვდილი არ გე-

ღირსა, ჩემო მამა, მატარებელმა გავი-
ტანაო, — მოთქვამდა და თან ივედრე-
ბოდა: — ახადეთ ეგ კუბო, მამაჩემის
სახეს შემახედეთო...

მაგრამ კუბოს ვინ ახდიდა!...

ცოტა ხნის მერე მეორე მხრიდან მო-
ისმა ვერიკოს კივილი. ისიც ქმარ-შვი-
ლით ჩამოვიდა აბასთუმანიდან.

ცრემლად ნებოდა ვერიკო. სახე
სულ დაკაწრული ჰქონდა. ძმებს სათი-
თაოდ მხრებზე ხელებს ხვევდა და მო-
თქვამდა:

— ძმებო, არა გვყავს ჩვენი მამა...
რატომ გაუშვიტ იმ დასაწვავ რკინიგზა-
ზე... რატომ შინ არ ვააჩერეთო...

ბოლოს ფუთულას მიუახლოვდა ვე-
რიკო; ბავშვის თავი გულზე მიიკრა და
მოთქვა განაგრძო:

— ჩემს ფუთულას არა ჰყავს მამა.
რა ეშველება ჩემს ფუთულას...

ფუთულას გული ყელში მოებჯინა,
მაგრამ ცრემლები მაინც შეიმაგრა.

გულდასაწვავად მოსთქვამდნენ ვა-
ლენტინა და ვერიკო. მაგრამ გლოვის
მგოსანი მაინც მარგალიტა იყო, მიცვა-
ლებულის მეუღლე...

დროდარო მეზობლის ქალებიც დას-
ტიროდნენ დიანოზას, თავიანთ მიცვა-
ლებულებთან სიტყვას აბარებდნენ...

მჭედლის ვაჟიშვილებს სახის არცერ-
თი ნაკვთი არ ერხეოდათ, თითქოს ბრინ-
ჯაოსაგან იყვნენ ჩამოსხმულნი.

მოსამძიმრენი ხელს ართმევდნენ და-
ობლებულებს და სიტყვიერად მათს
მწუხარებასაც იზიარებდნენ.

შავი პერანგი ეცვა შვიდივე ძმას. მკე-
რღზე ეყუთათ მამის პატარა სურათი.

ფუთულა სულ ბოლოში იდგა, თუმცა
იქ დგომას არავინ ავალბდა. მასაც შა-
ვი პერანგი და ახალი ფეხსაცმელები
ეცვა. ისევე ეჭირა თავი, როგორც მის
უფროს ძმებს, მაგრამ გულზე იყო გა-
ბერილი, სამძიმარს რომ არავინ ეუბ-
ნებოდა. მხოლოდ ერთმა ბერიკაცმა
აიყვანა ხელში, აკოცა და ისევ თავის
ადგილზე ჩამოსვა.

ეზოში, მესრის გასწვრივ მერხებად
დაწყობილ, გაურანდავ ფიცრებზე ჩა-

მომსხდარი გლეხები წუთისოცლის
ამოებას უჩიოდნენ.

— ეპ, რას იზამ, ჩემო ქმარა, ადამი-
ანი ხის ფოთოლიაო, — ამბობდა ერთი.

— მაინც რა უბედურად მოკვდა სა-
წყალი დიანოზა! — დასძენდა მეორე.
საუბარში შუახნის კაცი ჩაერია:

— ამგვარ სიკვდილს მე უბედურე-
ბად არ ვთვლიო.

გლეხებმა გაიკვირვეს და მოსაუბრე-
მაც პასუხი არ დაავიანა:

— აღსასრულის მოლოდინში სარე-
ცელზე ძაბუნად წოლა და ტანჯვა ბევ-
რად არ განსხვავდება სიკვდილმისჯილი
ტუსალის განცდისაგან. დიანოზა უკა-
ნასკნელ წამამდე სიცოცხლეზე ფიქრო-
ბდა, ლიღინებდა თურმე კიდევო...

გასვენების ცერემონიას გვაძია თა-
ოსნობდა.

მიცვალებულისათვის ვაჟიშვილებმა
ხელი არავის არ ახლებინეს: ამდენი
ვართ, მამაჩვენს თავის სამუდამო ბი-
ნამდე ჩვენ თვითონ მივიყვანთო.

გამოსვენების წინ ცხედართან მარტო
ჩაიკეტნენ, კუბო სამჯერ მარჯვნივ შე-
მოატარეს ოთახში, ფეხის მხრიდან სამ-
ჯერ დააჯახეს კარს, შემდეგ გახსნეს სა-
კეტი და ნელინელ გამოასვენეს.

ექვს ვაჟს შეედგა მხარი ცხედრისთ-
ვის. მეშვიდე ფუთულა იყო და ამ შემ-
თხვევაში არც ის დარჩენილა გულნაწ-
ყენი, — ყველაზე წინ მიუძღოდა პრო-
ცესიას და მამის უზარმაზარი სურათი
მიჰქონდა.

შავუჯრედებიანი პერანგი ეცვა მჭე-
დელს სურათში. ბაზრობაზე გადაუღია
ერთხელ. გვაძიამ წინასწარვე გააღიდე-
ბინა ფოტოგრაფს, ჩარჩოში ჩასვა და,
რაკი სურათის წაღება ფუთულას უწყე-
და, სიმსუბუქისათვის მინა არ გაუკეთე-
ბია; გარდა ამისა, მამის ხალათის ერთი
შავი ოთხკუთხედი ამოუჭრია ფუთულა-
სთვის სათვალთვალოდ.

ამოჭრილი ადგილი სურათს შორიდან
არ ეტყობოდა. ფუთულა კი იქიდან
ცალ თვალს აჰყებდა და შეუცდომლად
მიაბიჯებდა შუაგზაზე.

წინიდან მარტო სურათი და ფუთუ-

ლას ფეხები მოჩანდა. გეგონებოდათ სურათი მოდისო თავად.

უკან მოზარენი მოჰყვებოდნენ მიცვალბულს.

რამდენიმე მეზობელმა სცადა შენაცვლებოდა კუბოსშემდგარ ძმებს. მაგრამ ძმებმა არავის დაუთმეს მამის ცხედარი.

მომეჩვენა: შავეთში კი არა, თითქოს უკვდავებაში შედიოდა მკვდელი, ამდენი ნაშვირის დამტოვებელი.

და გულმა ამომძახა:

— აღამიანი არ არის ხის ფოთოლი!..

— ესტატეო? — გულიდანვე მომესმა ხმა იღუმალი და ჩემი ფიქრიც აქ გაწყდა, რადგანაც სწორედ ამ დროს მკვდლის მეუღლემ თვალი მომკრა და მომატირა:

— აღარ არის, შვილო, შენი ბიძია დიანოზა! ახლა მიდი და, თუ გინდა, სულ დალეწე მისი ყანა, ხმას არ გაგცემსო...

ვიგრძენი როგორ მომაწვა ცრემლი თვალეზე, როგორ ამიკანკალდა ქვედა ტუჩი...

გული კი კვლავ თავისას გაიძახოდა... დასაფლავების შემდეგ მთელი სოფელი მიიწვიეს ქელებზე ძმებმა.

თვალგაუწვდენ სეფას ხალხი დილიდანვე არ მოჰკლებია. მაგრამ ახლა საბოლოოდ კვლავ შემოუსხდნენ ჭირის სუფრას და გვიანდამემდე სკლიდნენ ჭიჭებს; რამდენ ლეინოსაც თვითონ სვამდნენ, იმდენს პურზედაც ღვრიდნენ მკვდლის შესანდობარად; მკვდლის გან-

ვილი სიცოცხლეს გზად და ხილად ულოცავდნენ მის შვილებს და შვილიშვილებს...

მეორე დღეს პურმარლით წაყიდნენ ძმები სასაფლაოზე, რამდენიმე ახლობელიც გაიყოლიეს; რკინის მოაჯირი დაადგეს მამის სამყოფელს, ღვინო დააწვეთეს საფლავს...

ორმოც დღეს პირი არ მოუპარსავთ ძმებს, სახსნილოსთვის კბილი არ დაუკარებიათ, ჩაქუჩისთვის ხელი არ უხლიათ, ქალები შინიდან არ გასულან...

ინეს ლურჯი იხბი...

მე დიანოზა მკვდლის დასაფლავების დღესვე ვითხოვე ესტატეს საფლავი ეჩვენებინათ.

— მგონი აქ არის სადღაც, — მითხრა ერთმა მეზობელმა.

ძლივს მივაგენით.

მიწა ჩაზნექილი დაგვხვდა. ბარდი და ბალახი დაპატრონებოდა უცრემლო საფლავს...

ქული მოვიხადე...

ერთგან ლურჯი ია ამოსულიყო საფლავზე.

გამახსენდა ლურჯი იების ზღაპარი...

მას აქეთ, ლურჯ იებს რომ ვნახავ სადმე, ასე მგონია: ესტატე ბიძია მაწვდის მიწისქვეშეთიდან.

მაგრამ მე იებს არ ვწყვეტ, რადგანაც უკვე ბავშვი აღარა ვარ და წითელა ბატონებიც მოხდილი მაქვს...



კუგელი კოეტივი

ხოსე მარტი

* * *

მსურს ყვავილივით რომ მოვკვდე
ვინდვარად, დე, მოლაღატე დაფაროს ბინდმა,
გარდაცვალებას ამნაირს ვნატრობ. ლოდებს ქვეშ იყოს მისი შავეთი...
სანთლების ნაცვლად რატომღაც მინდა, ვცხოვრობდი წმინდათ და ჯილდოდ
დამციმციმებდნენ ვარსკვლავნი მარტო. მინდა, რომ თვალწინ შედგას აღმოსავლეთი.

ჩემი ტაძარი

მაცდურ ქალაქს ველარ ვიტან,
სიმჭიდროვეს,
ხმაურს,
გნიასს.
მიყვარს მთა და შალალ მთიდან
მსურს ვუსმინო დაფნის შრიალს.

ჩემი მიწის ღარიბებთან
ახლოს მინდა ვიყო ბედით,
მიყვარს, მხიბლაგს ზღვაზე მეტად
ნაკადულის ერთი წვეთი!
არ მსურს ოქრო,
არ მჭირდება,
საბანაოდ ჰქონდეთ მდიდრებს,
მზემ იბრწყინოს, იბობოქროს,
ტყე სივრილეს გამიშლიდეს.

დე, იდინოს ოქრომ ღვარად,
დე, დნებოდეს ალზე ბრამედის.
მე კი მინდა ნიაფქარად
ქალის თავზე ქროდეს მტრედი.

ტაძრის საკურთხევლისათვის
მღვდელთმთავარი ესპანეთის,
სვეტის საქებნელად დადის,
სურს იპოვოს ოქროს სვეტი.

ჩემს ტაძარში მე არ ვლელავ,
შალა ზეცას ვაპყრობ თვალებს,

წინ რომ მიდგას საკურთხევლად
ალეგებია მოშრიალე.

შიგ ტაძარში კონინდარის
ნოხებია წმინდათ-წმინდა
და მეფრქვევა ფიქრის ღვარი
მისი ცისფერ გუპათიდან.

მღვდელიც არის ჩემს ტაძარში,
ხელაყრობით უხმოდ დადის
და ლოცულობს მხოლოდ მაშინ
როცა დგება განთიადი.

ნაძვის გირჩი ეტლი არის—
ორი ჩიტი მიაქროლებს.
ბუქნას უვლის მთებში ქარი,
აშრიალესს არყის რტოებს.

შალალ კლდეზე ოცნებებმა
გამიტაცეს...
ტბილ-დ მძინავს,
ვგრძნობ ჩემს ტუჩებს რომ ეხება
ფუტქრის ფრთეაი პაწაწინა.

დღის ვარდისფერ შუქში ვხედავ
ფოთლებია ცუცხლისფერი,
თითქოს გულში აღმოცენდა
ეს სამყარო მშვენიერი.

მალალ მთიდან გადმომძახებს
მწყენსის ბუკი აღრიანად,
ჰორიზონტზე ნისლებს გახეფს,
მზე იელვებს თვალბრიალა.

დე, მოვიდეს წამით მკაცრი
მღვდელთმთავარი ჩემთან თავად,
ჩემი მზიან, დიად ტაძრის
საკურთხეელის სანახავად.

კანონი

ფ ი ტ ი

მუხა ტოტებშირი
წამოზრდილა ველად.
ნაკადული გრილი
ჩურჩულებს და ელაგს.

„ფფიკავ, მოვსპობ ვერაგს,
ბორკილს გადავისვრი.
შევიღებავ პერანგს
ტირანების სისხლით.

წინ გაშლილა წმინდა
წიგნი სიცოცხლისა.
მუხლმოდრეკილს მინდა
გეამბორო მიწას:

გინდ მიმგვარონ ჯალათს,
გინდა სახრჩობელას.
ფფიკავ, მაინც წავალ
მტერთან საბრძოლველად“!

ხან უანსისკო მანსანო

მე ოცდაათი წლისა ვარ

მოყოლებული აკვნიდან დღემდე
ჩემს მიერ განვიღე გზას შევაცქირდი.
მაცვიფრებს, მიკვირს ჩემივე ბედის,
რამდენ ქარიშხალს დაგუხვდი მკერდით?

და ოცდაათი გავიდა წელი.
გავიციან მიწა: მთები და ველი.
ბრძოლაში ბევრჯერ გზა მქონდა

ძნელი —

გზის გადუხვევლად გაემართე წელი,
მომშორებოდნენ ეშვები მწველი.
გაათრდა სული—გიგი და ხელი
და მაინც არვის დავუთმე ხელი.

ტანჯვა-ვაების გზა საშინელი.
არათერია განვლილი წელი
იმასთან, რასაც ხვალისადაც ველი.

რუაბა რაონ ნარი

ელეგია ხეხუსა მენენდარის სიკვდილზე

შენ, უძლეველი, მებრძოლი სისხლით
სიკვდილზე ზეიმობ გამარჯვებას.
და უკუნეთში გზებს გადაწყვიცი
უსაზღვრო დარდს, მწუხარების
ნაპირებიდან.

ო, იმ მშვენივარე იანვრის ღამით
გულგანგმირული მიწაში რჩები,
უსაყვარლესი შეილი ხალხისა,
როგორც სიმბოლო უკვდავებისა,
უფრო მკვიდრი ხარ და ახლობელი.

შენი ჯვარცმული, მკვრივი სხეული
ნაზი, ცოცხალი იმედით სუნთქავს.
ელერს ლერწამს შორის, ზეცამდე
აღწევს
და მოუწოდებს, რომ სიცოცხლე
კაგრძელდეს ქვეყნად.

შენ ჩვენს ხსოვნაში აღვადგენთ
მკვდრეთით!
არა ცრემლებით და მწუხარებით,
არა ვაებით და არა გლოვით.
შენ ცოცხალი ხარ.
აღსდები მკვდრეთით!

და გლოვის ნაცვლად გზებს გადაჰყვივი,
შენი ხმა გვესმის მედგარი ბრძოლის.

ძმებო! მახვილი აღმართეთ მალა
დე, უფრო მალა გაშალეთ დროშა!

არ დაიფიწყოთ არასდროს იგი.

მისი უკვდავი ოცნების გვერდით
დე მტკიცე გახდეს, ვაჟკაცობა,
გმირობა თქვენი.

რეკინო ბოში

წვიმა მთებში

უტბად დაფარეს ზეცა ღრუბლებმა,
თვალმარგალიტით, ტყვიით და
ფერფლით.

გახურებული მიწის გორობი
დასკდა და გაჩნდნენ შავი ბზარები.
ფოთლები ეღვარებენ,
ცეკვავენ წვიმის მსხვილი წვეთები
და მიწას ასდის სურნელება

მარადიული, კოსმიური და
ერთადერთი...

სურნელი სხეულის, საფლავების და
სარეცელის,
ამზორის, ფოთლის და სიცოცხლისა,
თითქოს ყველაფრის და არაფრისა.

ხოსა მარია პაილი

ღვინილის კიხნი

შუადღის მზის ქვეშ ზღვის ტალღა
ლაღობს,
კინოსთან ბრწყინავს ლავარდის ლალი,
მშობლიურ კუბის ქედების ახლოს
მიიკლაკნება ხომალდის კვალი.

მესმის ძახილი:

— გამოჩნდა მიწა!

ცის დასალიერს სიხარბით ვხვევრავ,
კლდოვან მთებს იქით ტყეები ვიცან,
ჩემი ცრემლები მიმღვრევენ ნიჟრას.

ეს ხომ პანია...

და მათათა კალთა,
თავშესაფარი ოცნების წრფელის,
იქ შუქი მელის ძვირფასის თვალთა
და ჩემთა დათა მზრუნველი ხელი.

იქ დედაჩემის ნათელი ბრწყინავს,
დარღმორეული ტირის და ლელავს,
მე მათ დავცილდი დიდი ხნის წინათ
და უჩემობას შესტირის ყველა.

ო, კუბა, კუბა, ვარ შენი მკვიდრი,
სულს სიტკბოებას ნუ დაუღუპავ.
ეს სიხარული, დარდი და ფიქრი
შენ საუკუნოდ გეკუთვნის, კუბა.

ვიბეტიალე ამჟვეყნად ბევრი,
მამულს ვეწვიე ცარიელ ხელით,
სადაც სიცოცხლე დაიწყო ჩემი,
იქ, ვიცო, მჯერა, დაღუპვა მელის.

არა! მტარვალთა არა მაქვს შიში,
არც ნაძრახ, მდიდარ სიცოცხლეს
ენატრობ.

მათხოვრად ვივლი, ეულად, კირში
თავისუფლებას შეგვიწინებ მართო.

იბერიელთა ჯალათის მიერ
ღვინილი ვჭამდე ლუკმაპურს მწარეს.
ო, ბედო ჩემო, მე შეგეჩვიე
შენს ჭრილობებს და შენს სიმწუხარეს.

სხვა ბედს, იცოდე, არაზად ჩავთვლი,
დიდებავ, ერთს ვაზოვ, მომეცი ძალა,
რომ გვირობისთვის, სიმართლისათვის
თვით შაბენელ სიკვდილს ჩავთვლიდე
არად!

საუკუნეთა გააპობს ზღუდეს
ფიცხელ ბრძოლებში ნაწრთობი ხმალი,
შემოსავს ჩვენი სიკვდილის წუთებს
შარაგანდედის უჭრობი აღი.

გულს არ გაივლო სიკვდილის შიში, სიკვდილი ვაგაკის ყოველთვის სდევდა. შენ განა ლაჩრად და მხდალად იმევი, ანდა მსახურად ამ გარყვნილ დღეთა?!

აქ, ამ მიწაზე, რომელსაც ვიცავთ, სანდო საფლავიც არ არის ბნელი, და ჩვენი სისხლით ესპანურ მიწას ნოყიერს გახდის მტარვალის ხელი.

და თუ ეს მართლა ნამდვილი არი, რომ კვლავ მონობას ვიხილავთ მწარეს, დავრჩებით ასე სირცხვილიანი ჩემი ხალხი და მშობელი მხარე.

ამ სინამდვილეს ვუარვყოფ საშინს, გულნაღვლიანი დავრჩები მარტო, რად დავუჯერე ვაშინგტონს მაშინ, რად დავუჯერე ბრეტსა და კატონს?!..

კუბა, შენ, როგორც კრიალა ჰაერს, თავს თავისუფლად იხილავ, კუბა, კრიალა ცაზე სხივმოფინარეს შემოგვცინებენ ვარსკვლავნი ჯგუფად.

მძიმე უღელქვეშ მამაცთა ძალამ, თავისუფლებამ ვით იბობოქროს? როცა კანონი არა ღირს ჩალად და მისი ძალა შესცვალა ოქრომ!

ბრიყვს შეუძლია იყიდოს ნუქთად დიდება და სცეს თავყვანი მკრეხელს, ბინძურ ტახტრეფანს დიდება უთხრას და ულოკავდეს ჯალათებს ფეხებს.

თავისუფლება აღუდგა ჯალათს და სიმამაცე—სიკვდილის კლანჭებს, ეს ყველაფერი გვაქვს საწინდარად და ერთგულებით ჩვენ გავიმარჯვებთ.

მაშ, მოდით, მოდით უიღბლოდ მჭროლი

დავაახლოვოთ ერთმანეთს ძმები, აედართან, ქართან, წყვილიდთან. ბრძოლით მზეს შეგვგებოთ მომავალ წლებს.

უმჯობესია დაეუხვედ მკერდით მტრის დაუნდობელ შხამიან მახვილს, ვიდრე კენესოდე სარეცლის გვერდით, რაგორც ჩვენამდე კენესოდა ხალხი.

კუბა ბევრს იცნობს გმირს თავდადებულს, რომელთა რწმენაც ურყევე არი! სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში ჰკედარი.

ძვირფასო კუბა! შერწყმულა შენში აღმაფრენა და უფსკრული ბნელი, ნეტარების და ხალისის ეშვი და დამწვარ სულის ტკივილი ნწველი.

შენ ხარ ყვავილი, მაგრამ არ იცი, არ იცი, თუ რას გიქადის ზედი. ესპანურ გვირგვინს ადიდებ ფიციით და ავი სული გგონია ღმერთი!

მერე რაა, რომ ისწრაფვი ცისკენ ზურმუხტოვანი, მზურგალე მკერდით, პალმის და ტალღის საუბარს ისწენ... ეს არაფერი არ არის ჩემთვის.

რა არის ჩემთვის მდელი და კორდი, თაკარა ყანა, კამკამა ზეცა. როცა მომესმის მზული შოლტის, მტარვალის ხმა და მონების კენესა!

მოლაღატეებს კრულვა და წყველა! ო, შიში ნუ გაქვს მტარვალთა ტორის... ეს ოკეანე მაშ, რისთვის დღელავს ესპანურ მიწას და კუბას შორის.

თარგმნა რ. შაჩვიანი

წიგნი ხალხში

ს ა ყ ვ ე ლ უ რ ი *

სხვანაირი გახდა სოფლის ხალხი.

წინათ იყო დავა, ჩხუბი, კინკლაობა. რამდენჯერ ხელჩართულ ჩხუბში გადასულა კრება, რამდენი თავგატეხილი წაუყვანიათ.

რალაცნაირი ცეცხლი, სიხალისე იყო თითქოს ამაში. იქნებ ეს სისულელეა, მაგრამ გიხარია, როცა აღამიანები დაობენ, ერთი მეორეს უმტკიცებს, არწმუნებს.

არა, სიმაართლის ძებნას თან ახლავს დავა და რადგანაც სიმაართლე მუდამ საძებარი იქნება, დავა-კამათიც თან გაჰყვება არსებობას ბოლომდე.

ყველაფერზე დათანხმებაც არ ვარგა, აღუნებს ნიჟს, უნარს, ინიციატივას, დამოუკიდებლობას. უინტერესო ხდება ცხოვრება, სიცოცხლე — უგემური. იმიტომ, რომ თვით სიხარულის გამოხატვის უნარიც ერთმევა თითქოს კაცს. ეშინია. ვაი თუ გამიჩავრდნენ ზედმეტი მხიარულების გამო, და არის გაჩუმებული, თავჩაღუნული, ყველაფრით უკმაყოფილო და მაინც ყველაფრით კმაყოფილი.

როდის შემდეგაა ასე? ვინ იცის. ისე დიდი ხანია ძალიან, რადგანაც მერაბს ძლივსძლივობისდა ახსოვს ეს დავიანი, ჩხუბიანი, ხმაურიანი დრო. მერე რალაც მოხდა, ვერ ვაიგო მაშინ რა მოხდა. ბევრი წაიყვანეს სოფლიდან. გამეჩხრდა სოფელი და გაჩუმდა კიდევ.

გაჰირეგებაზე აღარავინ ლაპარაკობდა. გაჰირეგება დიდი იყო, მაგრამ ამის თქმას დანაშაულად თვლიდნენ და ნელ-ნელა უქონლობას სიმდიდრე დაარქვეს,

დარდს — სიხარული, ნადველს — ღიმილი.

მაგრამ კაცი ყველაფერს ეჩვევა და ურიგდება და რალაცას ელოდება მუდამ. ზამთრიდან ზამთარს, ზაფხულიდან ზაფხულს, გამუდმებით, გულგაუტეხლად და ჭიუტად.

ახლა სხვანაირი ქამია.

თქვი, რაც გინდა, ხმაშალაც, ხმადაბლაც, ხალხშიც; მარტოც, იჩივლე, ილაპე.

მთავარია, მართალი, ნამდვილი სიხარულისაქენ წახვიდე.

მონაგარიშე სანიკიძეც — აქ იყო, მურადიც, ნაზიმიც თავისი ბრიგადის შვილი კოლწევრით, მესხუდ ჯაბნიძეც, ხულუს გვალაძეც, მეჯიდ ხალელიც, შაქირ ჯაფარიძეც, ნური ბერიძეც, ქამილიც — თოფანის ვაჟი, ფოსტალიონი სერდალი და კიდევ ოცდაათი, მაგრამ ილიასი არსად ჩანდა, თავმჯდომარე.

ამოდენა საქმე კეთდებოდა სოფლისათვის და სოფლის თავი არსად ჩანდა.

აჰა, მორჩნენ, თოხები კორდზე დაყარეს და შეყვითლებულ ეწრებზე გაგორდნენ.

— არა, თავმჯდომარე სადაა? — იკითხა ვილაძემ.

— შერცხვა. პატროსანი კაცია და შერცხვა: თავიდან ვუშლიდი, ახლა რაფერ შევერიოვო, — წრიბინით ამოიძახა საიდანღაც ნური ბერიძემ.

ყველამ გადაიხარხარა.

— ავაშენა ღმერთმა, ნურიავ...

— მაგი არაფერი, ქორწილი ვიზარალე, ძიავ, მაგარი ქორწილი.

— რაფერ, ჰო, ნურიავ!

— ახლა, შენ ხარ ჩემი პატონი, ფუ-

ღურაძეები ხომ გოგოს აღარ მისცემენ თოფანას სარძლოთ. — რუ გამოვიყვანეთ და...

— ენა გააჩერე, შენ თვარა!... — ვერ მოითმინა თოფანამ და იფეთქა. — ყიყინებ და რას ყიყინებ, თვითან არ იცი.

მამას შეილიც მიემატა. ქამილი მხრებში ოდნავ მოიხარა და ბუღასავით დასაჯახებლად ნურისაკენ გაიწია.

მაგრამ მეზობლები ჩადგნენ, დააკავეს.

რომ დააკავეს, უფრო გადაირია. ფოსტალიონს ერთადერთი გახუნებული ხალათი შეაფხრიწა საყელოსთან, მეჯიდ ხალელს რაღაცა გამოჰკრა ყურთან და სისხლი გამოადინა. მაშინ მეჯიდაიც გაჯავრდა, ყავარით ფართო ხელი მარჯვენა ლოყაზე ისე მიათარა, ფოსტალიონსაც რომ გაეშვა, ქამილი მოჭრილ ხესავით დაეხეთქებოდა მიწაზე.

— გვეთრიე ახლა აქედან და ნუ ყვლებ ყველგან თვალებს, თვარა ერთს ისე გაგაბტყელებენ, რომ!.. — დაყოლი მეჯიდმა და განზე გადგა. ეტყობოდა ამით უნდა გაეთავებინა ყველაფერი.

მაგრამ ქამილი ახტა, დახტა, შეიკუნტრტა, მიიქნია, მოიქნია ხელ-ფეხი, მისაკდა ყველას და ყველაფერს, თან მხეცივით ხენეზოდა, იფურთხებოდა, ბოლოს რაღაცას მიეხეთქა მაგარს და გაშეშდა, შეიშმუნა, თვალი გაახილა, შეხედა, — მის წინ მერაბი დამდგარიყო კედელივით.

— ყველგან შენ უნდა გადამეღობო, ხომ! — მიახალა და ტუჩების კანკალით ჩააშტერდა მერაბს თვალეებში.

იფიქრა: ახლა მაინც წამხდარია საქმე, მაინც ატეხილი ვარ და ერთი ამას გადავუხტა სამაგიეროსო.

მერაბი ქამილზე უფრო სუსტი ჩანდა. მაინც მშვიდად იდგა, ორივე ხელი ჩაეწყო მხრებში და შეკრულივით გაეშეშებია მოწინააღმდეგე.

— რამე სასარგებლოსთვის რომ ჩხუბობდე, კარგი იქნება, თორემ ასე ტყუილ-უბრალოდ ყველას დაკბენას ვინ აიტანს?! — ნაძალადევი სიმშვიდით წარმოთქვა მერაბმა.

ნური სულ იქით, კედელში გაწურული-

ყო და დამნაშავესავით იყურებოდა შორიდან.

— რაცხა გგონია შენი თაფი, ამის თქმა მოახერხა მხოლოდ ქამილმა და თან, ყველამ შეამჩნია: მარჯვენა ხელი დაიძრო და ხვანჭარში ჩააპარა.

მერაბმა ვერ შეამჩნია, მაგრამ სხვამ შეამჩნია, ბებუთი რომ ამოიღო და სამი ერთად მოახტა ქამილს.

მაშინ უკვე თვითონ თოფანიც დაიძრა.

ქამილი ასწიეს და განზე წაიყვანეს. ყველა იქით იყურებოდა და ვერ დაინახეს როგორ ამოიღო შარვლის ჯიბიდან თოფანმა პირზე მუშამბაშემოხვეული დანა, მუშამბა წამოაძრო და ცალკე დარჩენილ მერაბს ქვემოდან ამოუქნია.

დაუთმა ორივე ხელი გაშალა და პირდაღებული შევილისკენ გავარდა.

— რას სჩადი, თოფანავ, არ დამავსო, კოე! — იძახოდა ბერიკაცი ვედრებითა და ბოღმით.

შვილამდე ვედარ მიადწია, მუხლებმა უღალატა და ჩაიჩოქა.

თოფანმა ისე გამეტებით ამოიქნია დანა, ალბათ თიკანივით უნდა გაეწლა მერაბი, მაგრამ ჭერ დააცილა, ვერ მოზომა, ხოლო მეორე მოქნევისას მერაბმა წიხლი ამოარტყა და დანა რაღაც მაგარს დაეჯახა, გასხლტა ხელიდან, ახალნათხარ მიწაში წვერით ჩაესო.

გაცეცხლებულმა თოფანმა დანას მოშავო სისხლი შეამჩნია და ისე, რომ დანას აღარ დაწვდენია, არც ირგვლივ მიმოუხედაეს, მოწყვეტილი თავდაღმა დაეშვა.

ეგონა მერაბი შემომაკვდაო.

ფეხის აქნევისას დანა მარჯვენა ბარძაყში მოხვედროდა მერაბს, მაგრამ ისე იყო გახურებული, რომ მას ღიდხანს არც კრილობა უგრძენია, არც სისხლი შეუმჩნევია ფეხზე და ფეხსაცმელში.

როცა ერთგვარად დაშვიდნენ, ხალხში არც თოფანი აღმოჩნდა, არც ქამილი.

ბოლოს მერაბმა მაგარი ტყვილი იგრძინო, ფეხსაცმელშიც სისხლი დაინახა

და ამან უფრო შეუსუსტა გული და იქვე დამრეც კორდზე მიწვა.

დაუთი მხოლოდ უყურებდა შვილს და ენას ვერ იღებდა.

ამ დროს ვილაყამ ძალა მოიკრიბა, სადღაც მოთეთრო ნაქურტალი აღმოაჩინა და შესახვევად მოარბენინა. ეს სერდალი იყო, ფოსტალიონი.

მერე თავის ძველ საფოსტო ჩანთას მიუბრუნდა ჩამოსხლულ კატარზე, რომ ჩამოეკიდა, ჩანთაში ზარმლის ნარჩენებში ცოტა კარაქი ეგულებოდა.

— ერთი ცეცხლი მონათეთ ვინმემ სჩქაროთ! — დაიყვირა სერდალმა. წამოვარდა მესხუდ ჯაბნიძე, გეგონებოდა მოგორავსო, ისე ჩაირბინა თავდაღმართი და მალე ფიჭვის ძირას ხოხოლად ფიხები დაყარა.

ცეცხლზე სერდალმა კაპჭანით კარაქი დაადგა.

კარაქში პერანგის თეთრი ნახევი ჩაალბო, ვილაყამ გაცვეთილი ყაბალახი შოიძრო და მენჯზე გარედან შემოახვეია მერაბს.

მერაბს ძალიან უნდოდა ბენდზე (საიდანაც ეხლა წყალი უნდა გადმოეშვათ) შისვლა, მაგრამ ფეხი ვერ მოიხმარა და დარჩა.

დაუთი ისე გაბარებული იყო შვილის გადარჩენით, რომ ფაცა-ფუტით წამოიჭრა და ხალხს თვითონ გაუძღვა ბენდისაკენ.

გელაურის ლელეში ჯერ დიდი ბრტყელი ქვეები ჩააწყვეს მწკრივად ისე, რომ კარგი მოზრდილი ყორე გაკეთდა, მერე ზემოდან ამოჭრილი მრგვალი კორდის ბელტები დააზილეს. წყალი შეგუბდა, შედგა, ქაფი მოიგდო და, თითქოს გაოცებულმა, ჩიფჩიფი დაიწყო.

მაგრამ ბევრი აღარ უფიქრია წყალს, შობრუნდა ახალი არხის პირს მოუთათუნა გრილი ზვირთები, პატარა გორბები გადააბრუნა და ახალ გზაზე მხიარული რაკრაკით დაიძრა.

გლებები ყიყინით აედვენენ. ფოთლებსა და მიწას რომ მიიხვეტდა და შეკუმბდებოდა, თოხს ამოჰკრავდნენ და

გათავისუფლებული წყალი კვლავ წინ გაეშურებოდა.

ამასობაში მზე გვენელას მთას მხარზე ჩამოაჯდა. დიდი გრძელი ჩრდილები ფერდობებს გადაახტნენ და ხეები სივრცლით აავსეს.

მერაბი ფეხზე წამოდგა, რუხე ჩავიდა კოქლობით და წყალს დაელოდა.

გელაურის წყალს დიდი არაფერი მოკლებია, საკირეთი კი დაკმაყოფილდება — ფიქრობდა ის.

წყალი თავპირის მსხვრევით მორბოდა, თან რუში ჩაცვენილ ფოთლებს, ნაფოტებს მოიხვეტდა. ეს კარგია, რომ არხი ოდნავ დაქანებული გამოვიდა: ზამთარში წყალი არსად გადასკდება.

პირველი მღვრიე ნაკადი წელანდელი ჩხუბის დროს ჩაყრილ გორბებს დაეჯახა, გადააბრუნა, შემდეგ წყალი მიწას გაუჯდა, დაალბო, დაშალა, დაანგრია და ზემოდან გადაუარა.

იმ გორბებზე რამდენიმე სისხლის წვეთის დანახვაც მოასწრო მერაბმა. იგი მისი საყუთარი სისხლი იყო, რომელიც წყალმა გაჯერებით გადაარეცხა.

41

სახლი დანაგვიანებული და აბლაბუდებით გამოქსოვილი დახვდა ზაირას.

ალიზით შელესილ ბუხარში სამი-ოთხი ჩანახშირებული შეშის ლერო დარჩენილიყო. ისინი ერთმანეთს მიაწყო, ნაცარი გამოჩხრიკა, რალაც ნაფოტებიც შეუმატა და ცეცხლი დაანთო. ფუტი ოთახშიც კარგა ბლომად დააყენა, მაგრამ ბოლოს ბუხარმა თითქოს სული მოითქვა, მოსწია და მობუბუნე ალმა მოწყენილი ოთახი გამოაღვიძა.

კვამლმა სახლში ისევ სიცოცხლის სურნელი დააბრუნა.

ნუნუკაი ცივი ნაცრიდან აღებული ნახშირით რალაცას ხაზავდა კედლის ერთ ფიციარზე და ცალი ხელით შუბლზე ჩამოცვენილ ნახშირივით შავ თემებს უკანვე იწყობდა, თუმცა თემები ისევ თავდაღმა ეშვებოდნენ.

ამ დროს ფეხშიშველი „ქო“ შინ შემოვიდა, ზურგზე მოკიდებული პატარა ფქვილის ტომარა შემოიტანა.

— აგერ ნაილეს ავართვი, და... მასე-
ხა.

— რაიო? ნაილეს რატომ?! — ეწყინა
და გაჯავრდა ზაირა. — სხვა ველარაგინ
ნახე!

— ვინ, მემრე, ვინ? სულ ნაილედან
არ გიზიდავდი, ზაირავ? — გაუკვირდა
ქოს. — მივედი და ნაილეს გაუკვირდა,
რამ ამეიყვანა ზაირაიო. მემრე კილობანი
თლათ ამოხვეტა, კოლოფში დააწყო და
ჩაყარა ფქვილი. რა უშავს მემრე... ნაი-
ლეს კაი სიმინდი აქვს. სულ არ ვსესხუ-
ლობდი, შენ რომ მაგზავნიდი?

ზაირა სიამოვნებით დააბრუნებდა
უკან ფქვილს, სულ არ გამოაცხობდა.
ამალამ ჰვადს, მაგრამ ნუნუკასაც შიოდა
და ჰოსაც. ძველი გატეხილი კეცი მო-
ნახა და ერთმანეთზე მიღებული ორი
ნატეხი ძლივს მიამხო ცეცხლზე. პატარა
მურხანი თუნგით წყალიც მიუდგა.

სალამო მაინც ოდნავ გრილი იყო და
ამ უცნაური ოჯახის წევრებს სიამოვნე-
ბას გვრიდა ცეცხლი.

ზაირამ დიდხანს უშზირა ქოს, რაღაც
გაახსენდა და თვალები აემღვრა.

— ქო, შენ ჩემი ხარ, კაი? ჩემთან
იყავი, მოგწონს ჩემი სახლი?

— რა უშავს, მარა მეხსულ ბაბაი?

— მეხსულ ბაბაი რაი? მართლა ხომ
შენი ბაბაი არაა, თუ გინდა იყავ აქა, პა-
წას მომეხმარები, მეც ახალ შარვალს
შეგიკერავ, ფეხზეც გიყიდი ჩაფულოებს
და ვიყოთ ასე... თუ არ მოგწონს ჩემი
სახლი, ქოვ?

— რა უშავს. მე აქ მირჩევნია, მარა,
რა ვიცი...

— ჰო, კარგი ამალამ იყავ და მერე
ვნახოთ ხომ, ქო?

— ხომ...

როცა საკმაოდ შებნეულა, ქალმა
ლამპა მოძებნა, მაგრამ თავის ადგილას
აღარ დახვედრია. ვილაკას მოეპარა. ეს
არაფერი. ახორის ყორეში შემალული
კვარის ნახეთქებისთვისაც მიეგნოთ,
საუსტიო უტარო ნაჯახიც წაეღოთ. ძველ
წინდაში ჩაყრილი ასანთის კოლოფები
მაინც ვინ ჩამოხსნა, კარებზე რომ ეკი-
და? ლამპა დაეტოვებიათ, მაგრამ შუშა

მოეძროთ. გასაკვირია, საინები, კანკინი
და გუგუშები რად არ წაიღეს? აღბათ,
ქერში აღარ ასულან.

არ უყვარდა ზაირას ხალხის გამტყუ-
ნება, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ
ვინმე დაეწყევლა, ან ხელი ჩაეჭნია და
მეზობლები გაელანძლა. გული კი ეტყინა
ძლიერ: გაქირვებას დააბრალა ყველა-
ფერი და გული ეტყინა ძალიან.

ბუხართან, რომ მივიდა, ღია კარში
ვილაკის შავი კულაშვერილი კატა შე-
მოძერა არხეინად, ერთი შეჩერდა, გაი-
ჰყანა, დაიკანავლა და ყნოსვით კედლის
ძირს გაყვა.

არ გაავლო: კარვია, სახლში კატაც ში-
ნაურია.

შემდეგ ფეხის ხმა შემოესმა ეზოდან.
ფოსტალიონი სერდალი იყო. გაბერი-
ლი ჩანთით გაზეთები მოქონდა.

— ა, ზაირავ, რაფერ ხარ, გოვ!

— რა მიშავს, სერდალ-ბიძავ.

— ცოდვა ხარ, ცოდვა...

— არ მიჭირს, სერდალ-ბიძავ, მოვე-
რევი ცოდვას.

— ჰა, ზაირავ ერთი გაზეთი. წაიკით-
ხე. კაცები ცაში გაუშვესო... წაიკითხე
შენც. მე ძლივს მივაბი ანბანები ერთმა-
ნეთს და ვერ მივხვდი კარქათ. წაიკითხე
ერთი. სინათლე არ გაქ, კაი?

— არ მაქ, სერდალ-ბიძავ. მობრძან-
დით ფიჩხებს შემოვიტან და გავანათებ.

სერდალი შევიდა, პირდახურული კა-
ლოშები კარებთან წაიძრო და დატოვა.
ჯორკოზე ჩამოჯდა. კერაზე თავმიღებულ
და ჩათვლემილ ნუნუკას თავზე ხელი
მოუსვა, ჰოსაც გაეთამაშა და ისე, რომ
არ უკითხავს, აქ რატომ ხარო, ბიქს-
უთხრა:

— ადე ერთი, წყალი მასვი, ქო.

ზაირა აღრე დაბრუნდა. ფიჩხები ზო-
გი ცეცხლის პირას დაყარა, ზოგიც
ცეცხლს შეუმატა და იქაურობა მალე
განათდა: თვითონაც სერდალის ახლოს.
ჯორკოზე ჩამოჯდა, გაზეთი გამოართვა
და ყურადღებით ჩაათვალიერა პირველი
გვერდი. ჯერ ჩუმად, მერე ხმამაღლა
ჩაიკითხა კოსმონატების გაფრენის შე-
სახებ.

— არა, მე მაინც არ მჯერა, — გადაწყვეტილად მოჰკრა სერდალმა და გაზეთის ნახევრი მეორე „ძიგარა“ შეახვია.

სულ ასე იყო: ჩანთაში ხელს ჩაყოფდა, რა გაზეთიც პირველად შეხვდებოდა, იმას შეახევდა ყურს სათუთუნედ. სალამოს ზოგიერთს ის ყურმოხებული გაზეთი შეხვდებოდა, მაგრამ ამის გამო საყვედურს არავინ ეუბნებოდა.

ფიჩხის კვამლს სერდალის „ძიგარის“ სქელი ბოლიც მიემატა და მთელი ოდა ფუტით გაიბერა. კარისა და ფანჯრების ჭუჭრუტანებიდან ისეთი კლაკნით გამოდიოდა კვამლი, რომ გეგონებოდა სახლი თვითონ აბოლებს „ძიგარასო“.

წარბები უსაშველოდ გაზრდოდა სერდალს და მალალი ბალანი ფრთასავით გადაფარებოდა თვალებს. სახეზე სულ პატარა ტიალ ადვილსაც ვერ მონახავდი: სულ ბალნით დაფარული იყო. ამიტომ ვერ გაიგებდი როდის იღიმებოდა, ან როდის ჭავრდებოდა. მუდამ მოლუმული, დაბურული, მრისხანე ჰქონდა პირი, მაგრამ გული — კეთილი, სიტყვა — თბილი.

ზაირას ის ჭორწილის დამე გაახსენდა, მერაბი, რომ დილით გაიპარა.

მაშინ სერდალმა ამოუტანა მერაბს ინსტიტუტიდან გამოგზავნილი, წერილი. იმ წერილმა წაიყვანა მერაბი და ჩაშალა ყველაფერი. ის წერილი კი აი, ამ სერდალ ბიძამ მოიტანა.

რალაც ეტკინა ზაირას და ეწყინა, რომ სერდალი მის ბუხართან იჯდა.

„ძიგარის“ ნაშწავი ფოსტალიონმა წკიპურტით ისროლა ცეცხლში და წამოდგა.

42

საკირეთმა ორმოცი პროცენტის გადაჭარბებით ჩააბარა სახელმწიფოს თამბაქო. მერე რა თამბაქო ხმება, იცით, საკირეთში?

უბრალოდ, საშრობში რომ მოწყვიტო ერთი ხელი ფოთოლი, ხელისგულზე მოსრისო და „ძიგარად“ შეახვიო, ისიც

კი გაგრძნობინებს, რა სურნელიცა აქვს აქაურ თუთუნს.

შემოდგომაზე კოლმეუტნებმა¹ ანგაურში² კაი გაყოლა ფული გაუჩხდა.

შრომადღეზე მანეთი მოუწია.

რამდენს კიდევ პრემიაც ერგო.

— არა, ძივე ახლა დასტურ ხალხის კაცები დაჯდნენ სათავეში. — ამბობდნენ გლეხები.

კარები ღრიჭედ დარჩენოდა ზაირას.

შუალამეზე კარი გაიღო და ვილაც; ფხაკრეფით შემოვიდა ოთახში, თითქოს სულში შემოაბიჯეს, — რალაც ეტკინა ზაირას და შეშინებული წამოვიარდა.

მის წინ იდგა თავშლით ცხვირახვეული ემინე.

— არ შეგეშინდეს, გო, მე ვარ.

— რა იყო! რამე არი, თუ? — შიშით შეეკითხა ზაირა და ცივმა ოფლმა დაასხა.

— არაფერი, ისე მოვედი და დაჯედაჯე გო. ერთი რაცხა გითხრა და...

„რა ჯანდაბამ მოათრია ახლა ეს ეშმაკის ფეხი ჩემთან! სასიკეთოს რამეს გეტყვის მაგის პირი?“

ემინეს ბევრი არ ულაპარაკია ამჯერად.

ეგონა გაჭირვებული ზაირას გულს ძალიან ადვილად მონადირებდა. თავშლის გამოკოქილი ყური გახსნა და იქიდან ბრტყელი ოქროს რგოლი — ბექედი ამოაძრო.

— ეს ჩემი ნიშნობისა იყო. ახლა შენია. მიხვდი, ზაირა? შენია.

— რაფერაა ჩემი, ემინე-ხანუმ? რას ნიშნავს ვერ მიგხვდი, ემინე-ხანუმ.

— ჩემ შვილს შენ მეტი არავინ უნდა, ზაირავ.

— მომკლას ვინცხამ მირჩვენია! ეს იმის ნიშანია, რომ არვის მე არ ვუნდივარ. მომცილდი აქედან, თვარა თვალებში ნაცარს ჩაგაყრი! — ველარ მოითმინა ზაირამ, ბექედი ისროლა, კარებზე მოხვდა და რალაც ჭავრიანი ქლარუნი ამოუშვა, ცოტა გაგორდა, კედელს მიედო, გაჩერდა.

— რაცხაფერი ხარ, იმფერი ცხოვრე-

ბაც გაქ! — წყევლასავეთ მიახალა გაჯავრებულმა ემინემ და სახლი მიატოვა.

ზაირამ კარგად ჩაეკტა კარები და კმაყოფილად ამოისუნთქა.

43

იმ კრილობამ ასე ოთხი-ხუთი დღით დააწვინა მერაბი. ეუბნებოდნენ, სალვარიძეებს უჩივლევო.

— ეგ მაკლია ერთი, თოფან სალვარიძეს ვუჩივლო, დანა დამარტყა-მეთქი?

— აბა მაშინ შენ უნდა გაუსწორდე, შვილო, ასეა, მე მაგას არ შეეკამ. მე მაგ გათხრეშილი ნაბოლვარის ფრჩხილის წაკარებასაც ვერ ევიტან. გეუბრება? დმერთი ერთის მადლმა, დამე შინ არ დევიძინებ, მაგას ჩაეუჭდები საცხა და ერთ თავს გავუპობ, თუ შენ არ შეგრცხვება.

— ბაბავ, მომიყურე. მე არ მინდა, სისულელეს სისულელით ვუბასუხო.

— თლათ ნუ დაგაბლაყვა მაგ წიგნებმა და სწავლამ, მერაბავ, თვარა გედევრევი და ასე იცოდე.

— რატომ? აბა ის გინდა ბაბა, რომ გავბერო ეს საქმე. დავხვდე სადმე, დავარტყა, მერე იმან დამარტყას და ვდიოთ ისე ერთმანეთს სანამდე დავხოცავთ!

— მე ამ თავს ვერ გამოვყოფ ვარეთ! ლირწმა თოფანამ ჩემს ბაღანას სისხლი გამოადინოს და მერე კიდო იმას თვალბში ვუყურო?

— მას შერცხვება თვითონ, მას. რამ ვადარია ყველამ იცის. სოფელს წყალი რატომ გამოუყვანაო ამაზე გაცოფდა. მეც რომ იმნაირად ვუბასუხო, მაშინ მისი ჰკუთის უნდა ვიყო.

— შვილო, ეს სოფელია. იტყვიან შეაშინესო. ერთი ღერი შვილი მყავხარ და ამიტომ ვინმეს თავს შევაშინებინებ?

ეს საუბარი ბუხართან გაეჩაღებია მამა-შვილს.

ქუეუნა მეზობელ ოთახში იჯდა და ყველაფერი კარგად ესმოდა. ქალი ზაირას ამოსვლის მერე სულ მოიშალა, ხასიათი გამოეცვალა, რაღაცნაირი გულ-

ჩახვეული, გაუღიმაბი და ნაღვლიანი გახდა უფრო.

რადგან თავიდან არ გაუმხილა ზაირას ამოსვლა მერაბს, ახლა თანდათან ვეღარ მოახერხა თქმა, თუმცა უნდოდა, ძალიან უნდოდა ეთქვა.

მოხუცმა ჩიბუხი კერიაზე მიურაკუნა, თუთუნის ნამწვავს ფურთხიე მიაყოლა, კისერი მოიფხანა და ისევ მერაბისაკენ მობრუნდა. არა, შეხედვით კი არ შეუხედავს მისთვის, მიბრუნდა მხოლოდ. ასე იცოდა, როცა დიდი სათქმელი ქონდა რამე, კაცს სახეში არ შეხედავდა პირდაპირ, ძირს დაამტერებოდა ერთ წერტილს და ისე დაიწყებდა საუბარს:

— არა, შენ სწორი ხარ, შვილო. შენ რომ ეგ ამბები დეიწყო, წაგახდენენ, მაგას მე გაეპარტყელე, მაგ ჭლამა თოფანას. მაგას მეც ვეყოფი, იმდენი ჯანი კი მაქ მე... ჰო, კი მაქ.

ადგა წელზე ხელები შემოიწყო და გამ-ქურჭლის თაროებთან დადგმულ ძველ სკიერს მიადგა. ხელით წაიწია, თითქოს სკივრიდან რაღაც უნდოდა ამოეღო, მაგრამ ისევ უჩვეულო სისწრაფით მობრუნდა, თავის ადგილზე ჩამოჯდა.

მერაბმა ვერაფერი გაიგო, თუმცა მოხუცის ამ ბოლო გადაწყვეტილებამ ძალიან ააღვლევა: მოხუცი მამა მიდის, რომ მერაბის მტერს სამაგიერო გადაუხადოს.

— ეგ უფრო სამარცხვინო იქნება ჩემთვის, ბაბავ! — შენ, ბერმა კაცმა, რომ ჩემს გამო ვინმეს დაარტყა, მაშინ სულ გამამტყუნებენ მე.

— ბაწია მეც ვიცი, რა გახვეტილი აქვს ამ ცხოვრებას. მაკალე. შენ მეისეენე, ხომ არაფერს გეუბნევი... — უბასუხა შვილს მკირე დუშილის მერე.

გამთენიაზე (იმ დამეს მერაბიე სამზარეულოში იწვა მოპირდაპირე სექებზე) ბერიკაცი ადგა, ფრთხილად ჩაიცვა და ფეხშიშველა მივიდა სკივრთან. ძველმა გასაღებმა ცოტა აწვალა, ბოლოს გაიღო. სკივრის ფსკერზე ხელის ცეცებით მოძებნა რაღაცა, ამოიღო, სკივრი ისევ ფრთხილად დახურა და სუნთქვამოხში-

რებული დერეფანში გავიდა. კარში რომ გადიოდა, მერაბმა მჭრქალი სინათლის ფონზე გაარჩია: მოხუცს ხელში რალაც მოგრძო შავი საგანი ეჭირა.

მერაბის ბავშვობაში ეს სკივრი მუდამ ჩაკეტილი იყო და არ იცოდა დედის საწინაო ნივთებისა და სამიოდე ჭიქის ჭურჭელს ვარდა, თუ რამე ინახებოდა შიგ. ახლა გასაღები ზედ ჰქონდა სკივრს, მაგრამ მერაბს არასდროს ჩაუხედავს.

ამიტომ ვერ მიხვდა, რის ამოღება შეეძლო დაუთს იქიდან, მაგრამ მაინც იგრძნო, წუხანდელი საუბრის შემდეგ, მოხუცი სასიკეთო რამეს არ მონახავდა.

დაუთმა მართლაც ძველი ყამა ამოიღო, ხვანჭარში გაიშკო, გარედან ზუბუნის ბოლო გადაუშვა, დერეფანში ჯორკოზე ჩამომჯდარმა ქალამნები კარგად შეიკრა და ფეხაკრეფით გავიდა.

მერაბს ცივმა ოფლმა დაასხა, როცა წამით ყველაფერი წარმოიდგინა, და შესლილივით წამოვარდა ლოგინიდან.

ბოსტნის ლბესთან დაეწია მამას. წინიდან გზა გადაუქრა, ხელი მოხვია და შეეხვეწა:

— არ შეიშალო, ბაბავ, თავი არ მომჭრა!

მოხუცმა იდაყვი მოარტყა შვილს, გამიშვიო, მაგრამ მერაბი არ ეშვებოდა; კიდევ მეტიც, მან ხელი ჩააპარა და ყამა ამოართვა.

უეცრად დაუთი გაშეშდა, ყბები უცნაურად აუქანკალდა, ხელები უძლურად ჩამოუშვა და აქვითინდა.

შვილი ეხვეწებოდა, შინ შევიდეთო, მაგრამ ბერკიაცს ისე უცებ მოექრა მუხლები, რომ დამწვარი სახლივით ძირი გამოეშალა და ადგილზევე ჩაიკეცა.

მერაბი წუთით დაიბნა და მამის ამ უცნაურ ქვითინზე მასაც ცრემლები მოაწვა, ხანჭალი ლობის ძირისკენ ისროლა და ორივე თავისუფალი ხელი დაუთის მხრებს შეაშველა.

თავს ძალა დაატანა, არაფრად ჩაავლო მამის ქვითინი და ძალისძალად, დიდი გაჭირვებით, მოხუცი შინ შეიყვანა.

წყლის მომატებამ პატარა ელსადგურში მაინც ვერ გააღვიძა.

მაგრამ შემოდგომის მოახლოებამდე ხეხილის ნარგავები ორ-სამჯერ მორწყეს, კაპან ალაგებზე კი ხელით დასხეს. ნერგებმა თვალი გაახილა, გაიხარა და ცოცხალი ნაშლები ამოიყარა.

საქმის დაწყებამდე, ალიონზე, მერაბი და ნაზიმი ნარგავებს მოივლიდნენ, დაათვალიერებდნენ და კმაყოფილები ბრუნდებოდნენ.

ვამლის, ქლიავის, მსხლის ნერგები ძალიან კარგად განარებულყო, მხოლოდ ლეღებს ვერ ეხეირათ. ამაში კი შეცდა მერაბი: დაუთმაც კი უთხრა მამინ, — იმ ხოკერ, მკლე მიწაზე ლეღვი არ იხარებსო, მაგრამ ისე შეხურებული იყო, რომ ამას ყური აღარ ათხოვა.

ლეღს დაბალი, მსუქანი, შევმიწა ნიადავი სჭირია.

ამიტომაც დარგული ლეღვის ნერგები სულ დახმა.

მაგრამ არც ნაზიმს, არც მერაბს ამით გული არ გატეხიათ. გამხმარი ნერგები ამოაღებინეს. წყალი გააყვანინეს და ცარიელ მიწაზე ჩამდენიმე მორწყვის შემდეგ ღამაში მორჩივი ბალახი წამოიჭორა. ბალახმა რომ ფესვი გაიმაგრა, მიწაც შემაგრა, რწყვა უკეთესად აიტანა, რბილი თირაქვა უფრო დარბილდა და ისიც მიწად იქცა. ასე, რომ მომავალ წელს ეს ფართობი სახნავადაც გამოადგებოდა.

აქ შესანიშნავად იხარებს ვაზიც, — ფიქრობდა მერაბი.

— კი, მაგრამ ვაზს ისევე უნდობლად უყურებენ გლეხები. — უთხრა ერთხელ ნაზიმმა.

— რატომ?

— რაც ყურძნის ჩაბარება პირდაპირ კომბინატში დაგვაწყებინეს. — უპასუხა ნაზიმმა.

— დაიკლო საშუალო ფასმა, ხომ?

— პო. რაა იცი? აჭარისთვის მაინც ჭერჭერობით, როგორც გამოწავლისი, უნდა დაეტოვებინათ ღვინის დაყენების

უფლება შინაურულად. ჯერ ერთი, ღვინომ ისევ ჩვენებური ძველი კულტურა დააბრუნა ოჯახებში.

— ეგ დასტურ აგრეა — დაემოწმა კმაყოფილებით მერაბი. — შეხედე, ერთ გლეხსაც არა აქვს საკარმიდამოში ვაზი. არა, მაგ თურქებმა სულ წაახდინეს აქარა... ქართულ მიწაზე, რომ კაცი ყურძენს და ღვინოს ავიკრძალავს, ის კაცია? მართო ჩვენებური ჯიშები რომ ჩამოთვალო ვაზისა, იმითაც მიხვდები, რა ვენახები იქნებოდა ძველად აქა. შენც იცი, მარა მაინც უყურე: ჩხავერი, მეკარენჩხი, ცხენის ძუძუ, ხარისთვალა, კლარჯული, ჯინიში, ხოფათური, ბროლა, საწური, ქინძა... და, რა ვიცი, რამდენი.

— ჰოდა, ისე რომ გავუშვათ გლეხები, თვითონ საკარმიდამოებში უფრო მეტი ინტერესით გააშენებდნენ ვენახს. მერე რაა, იცი? — ქართველი კაცი თავის ღვინოდან ამოღებულ ღვინოს რომ დაგიდგამს წინ და სადღეგრძელოს გეტყვის, სხვა მაღლი აქვს ამას. მითუმეტეს, ჩვენთან ამდენი ხანია ხეირიანად კაცი არც დამთვრალა. არა ახლა ეს დათრობა სხვანაირად გვსმის, მარა კაცს, რომ სამას წელიწადს პირს გამოვიგვალავს და ერთი შენი ნაფუზრის ნაწურით შენ თავად ვერ შებუქდები და ვერ შედილინდები, რომ მეზობელს დამბალი სიტყვა მიართვა და ქალ-ბაღანას მიუაღერსო, ასეთ ხალხს ერთხანს თვითონ უნდა აქეპკო მონატრებული მტევანი, რომ სული ჩაიბრუნოს, ყელი მოირწყოს და პირში დაკარგული გემო დაიბრუნოს.

მერაბს ისე ესიამოვნა, არ იცოდა, რა ეთქვა. თვალეები კინალამ აუწყლიანდა. უნდოდა პირდაპირ გადახვეოდა ნაზიმს, მაგრამ უადგილო იყო და შეჩერდა.

— ახლა ისეთი კაცია ხელმძღვანელი, რომ რამე საშუალებას გამოანახვინებს ზემოთაც და უფრო მეტად წაახალისებენ, ალბათ, კოლმეურნეებს.

ფემი ნინიძეს გულისხმობდა მერაბი.

ადრეული შემოდგომის ერთ გრილ

დღელს კანტორასთან მერაბმა კიდევ ერთი ახალი ამბავი შეიტყო: თავმჯდომარე ილიას ჯაბნიძეს ანთავის უფლებებზე ყველ-კარაქის მიმდებად მიყავთ წერტილი.

— კაი პენსიას უნიშნავენ ილიასას. — დაიძახა ვილაყამ. ჩაიღიმეს კოლმეურნეებმა და ამით გათავდა ყველაფერი.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, მერაბმა დიდი საქმე გააკეთებინა ფემი ნინიძეს ახალ სამმართველოში. საკირეთისათვის ცენტრიდან ერთი მსუბუქი ტრაქტორ-ბულდოზერი გამოაყოფინა. ეს ტრაქტორი, მართალია, ძვირი იყო და კოლმეურნეობას უფრო შეუმცირებდა ისედაც მცირე შემოსავალს, მაგრამ სოფელი უდიდეს სარგებლობას სულ მალე დაინახავდა.

კარგი გზა რომ გაიყვანონ აქარისწყლის ნაპირიდან საკირეთამდე, რად ეღირება ეს. ხალხი სულს მოითქვამს, წელს აიძირათვს.

ხუთი მოსახვევის შემდეგ, გზა სოფლის შუაგულში შევიდოდა. სოფლის ბოლოს აღწევდა, ერთ მოსახვევს აკეთებდა სანიკიძეების ყოფილ ნაყანაურებში და დაუთ ხაბაზის ეზოში გაივლიდა, მერე ოდნავ აღმა-აღმა იწვევდა ირიბად და თოფან საღვარძის საკარმიდამოს შუაზე გადაჰქრიდა.

საღვარძის სახელს მეზობლები აღარ ახსენებდნენ მერაბთან, არ ესიამოვნებოთ ფიქრობდნენ.

მერაბი კი გაჩუმებული იყო.

ეს პირხმელი, ფერმკრთალი, თაფლისფერთვალეებიანი და, ერთი შეხედვით, სევდიანი ახალგაზრდა ყოველ საკირეთელს თვალწინ ედგა. მისდამი ბუნებრივ პატივისცემას და მორიდებას გრძნობდნენ. იგი უყვარდათ.

ჰოდა, გზა რომ საღვარძის საკარმიდამოს შუაგულში დაუმიზნეს. მერაბმა შეაჩერა ამხანაგები და უთხრა:

— ბიჭებო, თუ ძალიან აღმართო არ იქნება, გზა თოფანის ეზოში გავატაროთ. — გაიკვირვეს, მაგრამ არაფერი უკითხავთ.

ეზოში გზის გაყვანა დიდი პატივისცე-

მა იქნებოდა საღვარძისათვის, ხოლო საკარმიდამოზე აცილება (გზა რომ ერთ ნაპირ მიწას გაუფუჭებდა ამ მიწით გაუ-
მადლარ კაცს), კიდევ უფრო მეტად გაა-
ხარებდა.

მერაბი კი სულ სხვა რამეს უმიზ-
ნებდა.

გზა — ქვეყნის თვალთა, — ფიქრობდა ის. გზა რომ მის ეზოში გაივლის, ყველა-
ნი დაინახავენ საღვარძისთანა ბნელ
კაცს, ემინესთანა ჩადრმოუშორებელ
ქალს, ასეთ სააშკარაოზე ყოფნა ხომ შე-
არცხვენს მათ? შინაური თუ გარეული
მის ეზოში აივლ-ჩაივლის, ისინი ყვე-
ლას თვალწინ იქნებიან.

მან იცოდა: როგორც ქურდს სინათ-
ლისა, ისე შეეშინდებოდა თოფანს გზი-
სა.

ახალი დიდი გეგმით საკირეთს აწყე-
სის სინათლე მომავალი წლის ბოლოდან
ედლოდა. ამ გეგმით უკვე მუშაობდნენ
სხვა სოფლებში.

ასე, რომ საღამოობით კმაყოფილი და
ბედნიერი წვებოდა მერაბი. მან მშვენი-
ვრად იცოდა, რომ ბევრი რამ საკირეთ-
ში მისი მონაწილეობის გარეშეც გაკეთ-
დებოდა, მაგრამ გახარებული იყო იმ-
ით, რომ ამ დიდ ახალ წამოწყებებს სო-
ფელში მისი მუშაობაც დაემთხვა, მისი
ხელმწიფობა, ინიციატივა, იმედი წამო-
ეშველა.

წვებოდა, მაგრამ მამის კვნესა არ ას-
ვენებდა.

დაუთი იმ ღამის შემდეგ ისევ ჩაწვა,
საოცრად გულწვილი შეიქნა ეს ბრგე,
გაუტეხელი, ჯმუხი ბერიაკი. ისეთი უბ-
რალო რამე დაუწვავდა გულს, რომ გა-
გიკვირდებოდა.

ალბათ, სიბერის ბრალია. ვერ ურიგ-
დებოდა, რომ შვილი, თუ ეს დღევანდე-
ლი დღე ხშირად წინ ელობებოდნენ, ხო-
ლო მას არ შეეძლო რატომღაც ძველე-
ბურად გაერღვია წინააღმდეგობა და
ძალაგამოცლილი ეცემოდა.

დაუთი ძალიან გაჯავრებულია შვილ-
ზე.

რატომ გადაეღობა იმ ღამით წინ, რა-
ტომ არ გაუშვა, რატომ დატოვა შერცხ-

ვენილი, დაჩაგრული, გაღატაკი, სიბე-
რე გაუმწარდა, გული მოეშაშა, მკლავი
შეუგინეს.

მაგრამ რა ქნას, — შვილს ასე უნდა.

„ვერ გავიგე, ვერ გავიგე — ჯანდაბას!
მაინც რაღა სიცოცხლე დამრჩენია. დახ-
რესილ თუთუნს რომ დეიყრი ხელის გუ-
ლზე, იმას გავს ჩემი სიცოცხლე, მაგრად
რომ შეუბერო სული, თლათ გადაცვივ-
დება“. — ამბობდა გულში ბერიაკი.

რადგან ჯერ ტყვიელებმა კარგახნით
შინ დააბეს მერაბი, ხოლო შემდეგ
კვლავ თავდავიწყებით და უკანმოუხე-
დავად გადაეშვა კოლექტივის საქმეში.

მთელი ზაფხული გაუძვრა თვალსა
და ხელშუა, სულ სხვისთვის, სულ სხვი-
სთვის, ერთი თავისთვის ველარ მო-
იცალა.

მაგრამ... ნუთუ სულ სხვისთვის ირ-
ჯებოდა?

ახლა მას უკვე აღარ შეეძლო უკან
დაბრუნება თავისთავის შეცვლა. ამას
იგი ვინმეს მითითებით, ან შთაგონებით
არ აკეთებდა, ეს იყო მისი შინაგანი
ძახილი, წყურვილი და აუცილებელი
სასიცოცხლო ჰაერი.

ნამდვილი ცხოვრება მაშინაა, როცა
შენცა გაქვს და სხვასაც აქვს. დაუთი
ხშირად ამბობდა: ლუკმა მაშინ შემერ-
გება, როცა მეზობელიც მაძლარია.

ოქტომბრის მიწურულის, ერთი ჩუ-
მი საღამო იდგა. ჩამავალი მზითა და
შემოდგომური ფოთლებით გადაყვით-
ლებულიყო არემარე.

მერაბი ბრიგადიდან კანტორის ეზო-
ში ბრუნდებოდა. უნდოდა გაეგო, მო-
ვიდა თუ არა, ახალი სამმართველოდან
წარმომადგენელი საერთო კრებაზე და-
სასწრებად. ეს საერთო კრება ავერ
ორი თვეა მზადდება და დღეს უნდა ჩა-
ტარებულიყო.

გაუქმებული რაიონის ყოფილი აღ-
მასკომის თანამშრომლებში, რომლე-
ბიც ჯერჯერობით უადგილოდ იყვნენ,
ერია ერთი სელიმი, სხვათა შორის,
ისიც საღვარძი, მხრებში უცნაურად
მოხრილი, ყბებჩაცვენილი და გაყვით-

ლებული. მუდამ ხმამიღლა ლაპარაკობდა, მუდამ ვიღაცას ლანძღავდა. შეხედავდი, გვეგონებოდა სადაცაა სული ამოხდებოთ, მაგრამ ენას რომ ამუშავებდა, საშველი არ იყო. სამელნეები კანკალს იწყებდნენ.

როცა მისი აღმასკომი დაიხურა და სხვასთან შეერთდნენ, თვითონ განზე დარჩა, უადგილოდ. თავიდან, რაც კი ხდებოდა რაიონში, ცუდი თუ კარგი ყველფერს აქებდა. ახლა კი აღარაფერი მოსწონდა. იმდენი გაბედულება და თავხედობაც კი გამოიჩინა, რომ რაიონების გამსხვილებისა და სამმართველოების შექმნის საკითხები ექვის ქვეშ დააყენა. ხელმძღვანელობაში რაც უნდა შეეცალო, სიმინდს ზედმეტ ტაროს ვერ გამოასხამ და ვენახს — ზედმეტ მტევანსო.

ეს კი აღარ მოუთმინეს.

დაუძახეს და უთხრეს: — წადი ახლავე კოლექტივში და მალე შენი თვალით ნახავ, როგორ გამოგაბმევიანებთ სიმინდებზე ზედმეტ ტარობესო. ენა მუცელში ჩაიგდო, მხრებში უფრო მოიხარა, გარეთ გამოძვრა და აქ საკირეთში ამოვიდა. მერაბ ხაბაზი ფეში ნინიძის ძმაკაციაო, ვიღაცამ უთხრა და ამოვიდა მერაბთან დახმარების სათხოვნელად.

იგი მერაბს კანტორასთან ელოდა, გრძელ სკამზე დამჯდარი და იმ საღამოსავე გაყვითლებული.

მერაბს ჯერ მურადთან ჩახვევა უნდოდა: ნაილემ შემოუთვალა, მურადმა შინიდან ძროხის საყიდლად წალეხული ორასი მანეთი კარტში წააგო და მოდი, ერთი ვალანძლეო.

რა ხანია მურადს კარტი ხელში აღარ აუღია, რალამ შეშალა ახლა, — ფიქრობდა მერაბი, — მერე და მე გავლანძლო? არა, ეს ძნელია, მე სულ პატარა ბიჭი ვიყავი, მურადმა რომ ნაილე წაიყვანა და შემერჩა ის ბავშვური მორიდებულობა მისდამი, განსაკუთრებით შინაურ საქმეებში.

„მეივალ ისე, მაგრამ გავლანძღა-მეთქი, ამას ვერ შეგპირდები, მას ისიც ეყოფა,

ორასი მანეთი წააგო. მოდექი ახლა შენ და კიდევ ლანძლე...“

მაგრამ ყვითელმა სეღიმამ თვალის მოჰკრა, იცნო, გადაახტა ძველი ყორისნანგრევს და გზაში ჩაუსწრო.

— მერაბ, გამარჯობა, ძიავ!

— ოჰ, იცოცხლე! — ისე შემოტრიალდა, თითქოს მოელოდა სეღიმის, სწორედ ამ სეღიმის გამოჩენას.

მერე კი ნელნელა აზრზე რომ მოვიდა, გაუკვირდა აღმასკომის ამ ყოფილი მუშაის მოსვლა, ხოლო ის, რომ სეღიმაც საღვარიძე იყო, არ გახსენებია და არც ჰქონდა ამას მნიშვნელობისთვის.

— მერაბ, გაგიკვირდება, მაგრამ შენთან სათხოვნელად მოვედი.

— ჰო!

— თლათ გამაფუქეს. უადგილოდ რომ დავჩი ამას ჯერ არ ვჩიოდი. რაცხას მომცემენ-მეთქი, იმედი მქონდა, მაგრამ ახლა თლად მომსახეს. ამდენი მიმუშავია..... შეიდი წელიწადი საბჭოს მდივანი, ხე-ტყის ქარხნის ინჟინერი.....

— ოჰ, თქვენ მართლა ინჟინერი ხართ?

— არა, მაგრამ გამოცდილებით... ხომ იცი, შევძელი ისე. არ გახსოვს? შენ შეიღწლეღწი რომ დადიოდი, მე საბჭოში ვიყავი. ჯერ როდის მქონდა დამთავრებული ათწლედი. ძველი ათწლედი რაა, იცი?

— ჰოო... ძველი ათწლედი...

— ქარხნის მერე რაიკომბინატის დირექტორის მოადგილედ, ბოლოს კი, იცი... ჰოდა, ახლა ასე უადგილოდ დარჩენა. ეგ არაფერი. ფემიმ სულ გამაგდო, წადი, სოფელში იმუშავეო. მე, ამდენი დამსახურების შემდეგ, წავიდე და სოფელში ვიმუშაო მიწაზე?

— ძნელია... — დაეთანხმა მერაბი, გულში კი ეღიმებოდა.

— რამე მომხმარე ფემისთან...

— არ შემიძლია, ვერაფერს ვერ მოგეხმარები.

სეღიმი უფრო გაყვითლდა, თავი ჩაღუნა, გაჯავრდა, მიბრუნდა და უსიტყვოდ წავიდა.

ძველი ათწლედი... ათწლედის ცოდნით კაცი მიწის დაუძინებელი მტერი შეიქნა. საცოდავი მიწა. სულ ცოტა განათლებულიც აღარ კადრულობს მასთან ყოფნას და მუშაობას, შორიდან კი აქებს და კიდევ უმღერის. — ფიქრობდა მერაბი გულის ტკივილით.

იქით გაიხედა, ზაირას პატარა ოღისკენ და უცაბედად შედგა: ბუხრიდან წვრილი იისფერი კვამლი ამოდიოდა და ნელა, ფიქრივით თუ გრძელი ლოდინივით ნელა, მიიწევდა ზევით, სულ ზევით.

ეს რაა, ნუ თუ ზაირა დაბრუნდა?

არც კი უგრძენია, ისე მიაბრუნეს და წაიყვანეს ფეხებმა იქით, საიდანაც იისფერი კვამლი მსუბუქი კანკალით მიიწევდა ცისკენ.

ეზოში ჭო ათამაშებდა პატარა ნუნუკას. ხაპის გამკენარი ფოთლის ღერი ღარად დაედო ჭოს, სადღაც ნაგდები ვაშლისაგან კბილებიანი ბორბალი გამოეთალა, ჩხირზე წამოეცვა, დაეყენებია ღარის ქვეშ და პატარა წყალი ნელ-ნელა აბრუნებდა.

კარი ღია იყო.

იქ ბუხართან ზაირა იჯდა. არაფერს არ აკეთებდა, ისე იჯდა მთვლემარე ცეცხლს ჩაშტერებული, რაღაცაზე ფიქრობდა. ეს თითქმის ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ზაირა უხელსაქმოდ დაინახა მერაბმა. არაფერს არ მორიდებია, პირდაპირ მიადგა კარებს, ზაირა შემკრთალი წამოვარდა, უცებ ვერც იცნო მოსული და კარისაკენ წამოვიდა, მაგრამ, როგორც კი მიხვდა ეს მერაბიაო, გაშეშდა, სიტყვის ამოუღებლად გაშეშდა, მერე მღუმარედვე მიბრუნდა, თავის ადგილზევე დაეშვა და კვლავ ცეცხლს ჩააშტერდა.

ამაში უფრო მეტი პროტესტი და სიცივე იგრძნო მერაბმა, ვიდრე იმ შეხვედრაში, რაიონისაკენ მიმავალ მანქანაზე ნური ბერიძესთან ერთად, შარშან.

ველარც თვითონ გადადგა ნაბიჯი და არ იცოდა, ეთქვა რამე, თუ უკანვე წასულიყო.

რა მოხდა?

შეპყურებდა ზაირას და უნებურად მათი ქორწილის დამეგობრებოდა. იმ დამის განთიადი, როცა ზაირა სწორედ ასე იჯდა მერაბის სახლის ბუხართან. ახლაც იმნაირივე იყო ზაირა თითქოს. ოღონდ ახლა შავი კაბა ეცვა, ფეხები ძველ ჩაფულეებში წაუყვია და შავ კაბასა და ჩაფულეებს შორის თეთრად მოჩანს უჩუქო ბავშვური წვივები. მაშინ კი ძალიან გრძელი თეთრი კაბა ეცვა... ქორწილის დამეს.

ზაირა ერთი წუთით ბავშვს მიამგვანა, გალახული, ნამტირალევი განზე რომ გადგება და მზადაა პირველივე სიტყვის გაგონებაზე ისევ ატირდება.

თუმცა არა, ზაირას ტირილი აღარ შეიძლება.

— მძულხარ! — თავი არც მოუბრუნებია, ისე აღმოხდა ქალს. მან თავი უფრო დაბლა ჩაქიდა და ოდნავ მხრები შეუქანკალდა, მერაბმა იგრძნო ზაირას ჩუმი, დამალული ქვითინი და, როგორც იტყვიან, სიმწარისაგან ხორცი ატივდა.

ამ სასოწარკვეთილ და მოულოდნელ შეძახებას მერაბმა პასუხი არ ვასცა. ნელა-ნელა სექვის თავისაკენ გაიწია და ალიზით მოგლესილი ცეცხლაპირის მეორე მხარეს, კერისთან, ზაირას პირდაპირ, ჩამოჯდა.

ქალი მას დაეროდა. თავზე წაკრული ლეჩაქი ცხვირამდე ჩამოიფარა, გვერდით მიბრუნდა, მაგრამ ადგომით ვერ ადგა.

— ეგ რატომ მითხარი? — წყნარად, მაგრამ შეწუხებული ხმით კითხა მერაბმა.

— მძულხარ და იმიტომ... — თქვა ზაირამ, ოდნავ სული მოითქვა და უკვე შეუკავებელი ქვითინით დაუმატა: — მძულხარ, ჰო!..

ახლა უკვე ხმამაღლა ატირდა ზაირა, თითქოს იძულებით ათქმევინა ვინმემ ეს ყველაზე მწარე სიტყვა იმის მიმართ, ვინც უფრო მძიმე წუთებში არ შეძლებია, მაგრამ ახლა სხვა საშველი აღარ იყო. ახლა უკვე ყველაფერი გადაწყვე-

ტილად ეჩვენებოდა და იმ დიდი, გაჭირვებაში გამოტარებული სიყვარულის სანაცვლოდ მან ვერ მონახა სხვა სათქმელი.

თუმცა ამ სიტყვის თქმისთანავე უარეს მდგომარეობაში ჩავარდა, — გულზე მოუჭირა რაღაცამ და სული შეუწყუხა.

— ზაირა!.. — თბილი მუდარით წარმოსთქვა მერაბმა და თვალები ცრემლით აეწვა — მე დამნაშავე ვარ... მე ვერ...

— დამტოვეთ მარტვაი! არაფერი არ მინდა! დამტოვეთ მარტვაი! ერთი მომასვენეთ. ოჰ, ნეტაი ქალი არ გავეჩინე და...

— არა, რა მოხდა, ზაირა! მიმახვედრე... მე შენთან მოვედი... მე შეგონა იქ იყავი...


ზაირამ ძალა მოიკრიბა, რაღაცაზე საბოლოოდ გაჯავრდა, ფეხზე წამოიჭრა.

— რა მოხდა? მიგახვედრო? წაი და... ჰო, წადი იმას კითხე, რა მოხდა თქვა... მძულხართ, ყველა მძულხართ! — კართან მიეყუდა და მერე ბავშვებმა არ გაიგონონო, ისევ მოტრიალდა: — წადი აქედან, ჩემი უბედური სახლიდან წადი მეოქო! მე ამის მეტს აღარავის ვუნდოვარ... — ხელები ოთახის კედლებს მოავლო და გვერდულად, რისხვით გამოხედა მერაბს.

ქალმა ყურიც არ ათხოვა მერაბის სიტყვებს ვიღაც რეზოს შესახებ. არაფერი არ დაიჯერა, არც მოუსმინა ხეირიანად ბოლომდე, მიატოვა და ეზოში გავიდა. მერაბი შეწუხდა, მაგრამ დაიბნა. ბოლოს წასვლა ამჯობინა: იქნებ მერე, დამშვიდების შემდეგ რომ მოვიდეს, უფრო გავაგებო სინამდვილეო.

მიდიოდა, მაგრამ ყველაფერი უკან რჩებოდა, ნამდვილი აზრისათვის ვერ მიეკვლია, იმ აზრისათვის, რომელიც ეხლა გაჭირვებიდან გამოიყვანდა.

მერე ისევ რეზოზე გაჯავრდა; ვადაწყვიტა ქალაქში ჩავალ, მოენახავ, ამოვიყვან და ზაირას სიმართლეს ვაჩვენებ და ძუძუნასაც ვუშველიო.



— შეილო, — ხრინწიანი დაბეგვილი ხმით დაუძახა დაუთმა ლოგინთან. მეორე დღის განთიადი იყო და ჩუმად წამომდგარი მერაბი სამზარეულოში ფეხზე იცვამდა. იგი ბათუმში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ხმაური აღრე შენიშნა ავადმყოფმა. კენესით გადმოზრუნდა და ბნელ სიჩუმეში, ისე რომ მერაბი არც დაუნახავს, სად იყო, ხრინწიანი დაბეგვილი ხმით დაუძახა:

— შეილო!.. მოდი ერთი ჩემთან, შეილო. — მერაბს არ მოეწონა მოხუცის ეს უღროთ დაძახება, ისიც ასე შეწყუხებული ხმით.

მივიდა, ლოგინთან ჩამოჯდა.

დაუთმა საბნის ბოლოდან გრძელი, ხმელი, მაგრამ ჯერ ისევ მაგარი ხელი გამოჰყო და მერაბის ხელი მონახა, მოუჭირა და თავისკენ მისწია.

— რანა ვითხრა, იცი, შეილო?

— რა იყო, ბაბაე.

— კაი ბალანა მყავხარ... რაც გავწყინე, ალალი მიყავი. მე აღარ ვარ შეილო... გლახათ ვარ, ხედავ?... არსად წახვიდე. მარტვაი არ დამტოვ, შეილო. მე აღარ ვარ და ასე იცოდეს... ერთი მაშა მონახე, ცეცხლი გაჩხრიკე, ჯირკი ჩაღე, კაი დოჩხავრო დიმიანთე, გულზე მომეცხუნოს, თვარა ძალიან შემაცივა, შეილო... რატომ არ მეხუტები, ბიჭო. ერთი ჩამეხუტე, რა დევემართა. ვერ ხედავ, ჩიჩვირები დედაბრის გამომწვარ კეცივით დამისკდა?

რა ძალიან მადლობელი ვარ, შეილო, რომ ისევ ჩვენი საკირეთის მიწას მოუარე. მადლია, შეილო, მიწას არ დაარჩინო ხათრი, არ უნდა დატოვ უმატრონოდ. შენ გამოალავიძე სოფელი, შეილო. ვატყობ, მეც ვატყობ რაფერ აკრიფე და გააკეთე დანგრეული საქმე. ახლოს მოდი, ერთი რამე ვითხრა, შეილო.

ჩადი ახორში და ქვედა კუთხის ყორეში, სანათურის თავზე, მუშამბაში შეხვეული რაცხაა შეპეჭილი და ამომიტანე აქა.

წამოდგა მერაბი. ფეხაკრეფით გა-

ვიდა ეზოში და ბოსლის კარები შე-
ალო!

ყორეში მართლაც მიავნო მუშაობაში
შეხვეულს. იგი მაგარი იყო და მძიმე.
არ გაუხსნია, ისე ამოიტანა მამასთან.
ახლა გაახსენდა, რომ მამა სულ რაღა-
ცას მალავდა თითქოს, რაღაც საიდუმ-
ლოს თავისთვის ინახავდა დიდხანს.
ერთხელ კიდევ უთხრა, გაგიშვლო.

თანდათან უფრო შეთენდა.

ოთახში ბინდ-ბუნდი გაიკრიცა და
ჟღღლები და საგნები თანდათან გამო-
სარჩევი გახდა.

დაუთს საბნინი გამოყოფილი ხელი
ისევ ისე ელო სეკვის პირზე. შვილის
დანახვაზე ხელი გამალა და მერაბმა შიგ
ჩაუღო მუშაობაში შეხვეული.

— არა, შენ გახსენი შვილო — მე-
რაბმა სქელი მუშაობა ძლივს შემოაძრო
და ნახა, რომ შიგ ქვის ოთხი-ხუთი
ნატეხია.

ქვები ძირს დაწყო და დააკვირდა.

— მადენია, შვილო, ოქროს მადენი.
სულ პაწაი ვიყავ, მამაჩემმა და მე რომ
ვიხანებო შიგ დაბლა, სოფლის ბოლოს,
სადუბაის ლელე რომაა, იქა. დაუშალა
ბაბამ მამის თაფრობას, არვის უთხრა,
სოფელს დაგვინგრევენო. შეებრაღა
ბაბამ სოფელი და ეს ქვები დამალა.
მეც დამაფიცა, არავის უთხრა სო-
ფელი არ გადაუბრუნო. ვერ დევო
ნახე, შვილო, აქამდე სასიკეთო ვერვინ,
რომ მეტქვა, თვარა მაგით ქვეყანა აშე-
ნდებოდა. ახლა შენფერები თუ დიე-
პატრონენ ღუნიას. ჰა, მომიცია, რაც
ვინდა, ის ქენით.

მერაბმა მართლაც შეამჩნია ქვე-
ბზე ოქროსფერი წინწყობების სა-
ოცარი ცქრიალი, მაგრამ ქვები არაჩვე-
ულებრივად თეთრი იყო და ოდნავ
კიდევ იფშენებოდა. დაკვირვებით გა-
დაათვალიერა თვითელი, ცალცალკე
შეავლო ხელი, გასინჯა ყოველნიარად
და ისევ მუშაობაში შეახვია. აინტერე-
სებდა, რას იტყოდნენ გეოლოგები. ამი-
ტომ გადაწყვიტა, თუ წავიდოდა ქვებიც
თან წავიღო ქალაქში.

მზის ამოსვლის შემდეგ ავადმყოფი

უეტრად მობრუნდა. საქმელი ჰამა, ცო-
ტა ილაპარაკა და მერაბს ნება დაართო
გამგზავრებულიყო.

ბოსტნის ლობესთან, პატარა ძველი
ქიშკარი რომაა იქ, ქუეყნა დახვდა. იმ
ქრელ ჩითის კაბაში იყო, საყიერთში
მოსვლის პირველ დღეს რომ ეცვა,
ოღონდ ახლა კაბა წინ ჩაეჭრა თავიდან
ბოლომდე და რამდენიმე ადგილას და-
კერებული თეთრი სალტეები დიდრონ
ყვითელ ფოლაქებს ჩაედილა.

მერაბს დამნაშავესავით შემოეგება.

— ზაირა ამოვიდა, მერაბ...

— ვიცი.

— აქ იყო, ჩემთან. კარგა ხანია, ვერ
ვითხარი... და მამაკიე.

— აქ იყო, ჩვენთან? როდის იყო აქ?

— იმ დღეს პირდაპირ აქ გამოიარა,
მაგრამ რაღაც ეწყინა და წავიდა.

— რა, რა უნდა წყენოდა?

— რა ვიცი. ყველაფერი შეიძლება...

— ვიყავი გუშინ მასთან. არც დამე-
ლაპარაკა.

— ჰა, ეს ხუთმანეთიანია, გზაზე დაგ-
ჭირდებოდა.

— არა, არ მინდა.

— რატომ? ვიცი, არ გაქვს.

— არ მინდა.

— ძალიან გთხოვ, რეზო არ ინახუ-
ლო...

— ახლა? სად იყავი თავიდან!

— მალღობელი ვარ, მერაბ, აი, ეგ
მესიამოვნა. ეგ იყო ნამდვილი საყვე-
დური და განაჩენიცი.

— კმარა ამდენი წყენა, ამდენი სა-
ყვედურები, კმარა! ვისაც მივადექი,
ყველა მე მესაყვედურება, მე მაყვედ-
რის რაღაცას. რა ვინდათ, რა, მითხა-
რით ერთი, რა ვინდათ!

ორივე გაჩუმდა. მერაბმა სამი ნაბიჯი
გადადგა და ისევ შეჩერდა. ეტყობო-
და ინანა.

ჩემს ამოსვლამდე გაძელი ქუ-
ეყნა...

„ამოსვლამდე“ — ძალიან ედიდა,
მაგრამ მაინც ესიამოვნა ჰალს და მად-
ლიერებით საგსე თვალები გააყოლა
მიმავალს, რომელსაც ხელში უცნაურად

დამძიმებული თავის ძველი სტუდენტური ჩანთა ეჭირა.

საკირეთიდან სამანქანო გზამდე დიდი მანძილი არაა, მაგრამ გზა ცუდია, მიხვეულ-მოხვეული, თავდაღმართი.

ხიდის თავზე, სოფლსაბჭოს ზემოთ რომ შარშანდელი მოხსნული ბეჭობია, მერაბი ცოტა შეჩერდა, რომ ერთხელ კიდევ შეემოწმებია თვალით სოფლისაკენ გასაყვანი გზის მიმართულება. ცოტა თითქოს აღმართი ეჩვენა, მაგრამ იფიქრა დაბლიდან თვალი მატყუებდა.

იქიდან საკირეთის დაფერდებული ყანები კარგად ჩანდა. წუთით იმასაც მოავლო თვალი. ესიამოვნა სიმწვანე, რომელსაც წინანდელი ტიტველი კაბნები გაელამაზებია.

„მაინც არ უნდა მეტყვა წელან ისე ყუყუნასათვის, ფიქრობდა მერაბი. ეს უკეთესიცაა — ყველა თუ მე მესაყვედურება, ან თუ ასე მეჩვენება, მაინც კარგია. სუსტს არავინ უსაყვედურებს. არც მტერი ერჩის. საყვედურს მხოლოდ იმას ეტყვიან, რომელიც ძლიერია, რომელიც აკეთებს, მაგრამ რომელსაც უფრო მეტის ვაკეთება შეუძლია.“

46

ხუთი დღის შემდეგ ქალაქიდან დაბრუნდა, დაბრუნდა მაგრამ ერთი ბეწო კმაყოფილებაც არ ეკერა სახეზე. ცალ თვალში იმედი ენთო, ცალში — სევდა.

ყუყუნასათვის გასამხნევებელი ვერაფერი ამოიტანა. რეზო სულაც ვერ ნახა. ბიძამისთან ერთად რეზოც დაეპატიმრებოდა. კარგად ვერ გაიგო, არც დაინტერესებულა, რაღაც მოხდა არტელში. რაღაც ძალიან დიდი კომბინაცია ინასკეობოდა, დიდი ამბავი იყო, ადრე იყნოსეს, მიუსწრეს, ჩაფუშეს. რეზოც ჩაბმული იყო, და მიაყოლეს ამიტომაც.

ეწყინა, ძალიან ეწყინა მერაბს. მაგრამ ეწყინა იმიტომ, რომ თვითონ უნდოდა დაესაჯა მეგობარი. ას წელიწადს

რომ იძიონ, ვერ გამოიძიებენ იმას მთლიანად, რაც მერაბმა იცის, რეზოს შესახებ და ვერ ეტყვიან იმას, რასაც მერაბი ეტყობა. ფული? ფული რა ყოფილა; ფული კი არა მან მოიპარა და გაძარცვა ადამიანის გული.

შინ რომ მივიდა, რეზოს ბიძასთან დერეფანში, ძველ ტყავგადაკრულ დივანზე ახალგაზრდა ქალი წამოწოლილიყო.

სტუმრის დანახვაზე წამოიჭრა. ორივე ხელი თმებს შეაშველა, არ დამეშალოსო, ოღონდ მოილუნა წელში, და მხოლოდ მერე მიესალმა მერაბს.

ეტყობოდა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იქნებოდა. დიდრონი სქელი ტუჩები მარწყვისფერად შეეღება და პირო ოღონდ გაღებული ჰქონდა.

ერთხანს ცოტათი ქედმაღლეობა შეამჩნია მერაბმა, მაგრამ მალე, როცა მოსული დაკვირვებით შეათვალიერა, ქალი მოღბა, ჩამოეშვა სიმაღლეებიდან და ცნობისმოყვარეობით გაესაუბრა.

— მერაბი თქვენ ბრძანდებით? ვახსენებდა რეზო...

— რა დაემართა, რეზო აღარაა თუ?

— შინ აღარაა და აწი ჯანაბაში ყოფილა.

— რას ამბობთ, ვერ გავიგე.

— ზის....

— თქვენ?..

— მეუღლე ვარ მისი. დამლუბა... მაშინვე გადარეულია, — მეათე კლასიდან გამომათრია; თუმცა რად მინდოდა დღეს სწავლა. შეხვალ სადმე უმაღლესში, თუ რა, მაგრამ მაშინვე გადარეულია. მშობელი ხომ იცით...

— მე თუ მახსენა? სხვა არაფერი უთქვამს თქვენთვის?

— იცინოდა სულ: ასეთი სულელი ამხანაგი მყავსო. მიაკიპობდა იმ გამოფუჭულ სოფელსო. მართლაც თქვენ როგორ ძლებთ იქა?

„მოუქნიაო და ტყიცო უნდა ყურის ძირში“, — გაჯავრდა მერაბი. მაინც ცუ-

დი არაფერი კადრა. ყველაფერი ეს მოსალოდნელიც იყო და ასატანიც. მაგრამ ეუუუნას?

— კარგად იყავით, გენაცვალე, სამწუხარო ამბავია, მეტი რა ვითხრა, — თქვა და გავიდა ქუჩაში.

გეოლოგთა პარტია ხინოს მთებში წასულიყო. ადგილზე მხოლოდ ორი კაცი დახვდა. ქვები დაიტოვეს და, ხვალ შემოიარეო, უთხრეს.

დაუთის შენახულ „ოქროს მადანში“ მხოლოდ კირის ნიშნები აღმოაჩინეს.

— ამაში რაღაც ნარეკები არის, ეს მართლა ქვაა, მაგრამ საერთოდ ეტყობა იქ კირის საბადოა.

— კირი ცუდია თუ?

— ვინ ამბობს ცუდიაო, მაგრამ ოქრო არაა.

— კაცო, სოფელს საკირეთი ჰქვია და ნეტავი რამე ამასთან კავშირი ხომ არა აქვს?

ერთი გეოლოგი იჭდა, მეორე იდგა. ის, ფეხზე რომელიც იყო, ელაპარაკებოდა მერაბს.

დაიხარა ფეხზე მდგომი, ყურმილი აიღო და რომელიღაც ნომერი გამოიძახა.

— შენ რომ საკირეთის ისტორიაზე რაღაცებს მიყვებოდი, აჰა, ძიავ, ფაქტები მასალები კი არა... არც ხელნაწერი კაცო, თვითონ კირი. კირის საბადოს ნიშნებია, ჩემთანაა. თვითონ? კი, იჭაურია, კარგი.

ყურმილი დადო.

— მუზეუმი, იცი, სადაა.

— კი ვიცი.

— ჰო, მიდი დირექტორთან.

დირექტორი ჯმუხი, შუახნის კადარა კაცი იყო. კეთილი სახე ჰქონდა.

— თუ თქვენთან კირი აღმოჩნდა, გამართლდა მაშინ ჩემი ვარაუდები, — უთხრა მერაბს. — მე ვამტკიცებდი, რომ საკირეთის მახლობლად უნდა არსებულყო კირის დიდი საბადო. თურქების შემოსევისას, მტრისათვის რომ დაემალათ ასეთი საჭირო სამშენებლო მასალა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა

მადარო მიწით ამოაესეს და მისი ხსენებაც ამოიღეს გულიდან.

კირი მართლაც ოქროს ურჩევნია ახლა მერაბს. აი, ნამდვილად კირი იყო დღეს საჭირო.

ვინ იცის, იქნებ ჭანჭახის კიდურში რომ ძველი ციხის კედლებია, ამ კირითაა შედგენილი. იქნებ თამარის ხიდეში დანდალოსთან, მახუნცეთთან, ზამლეოში, ამ კირმა შეკრა და შეაყენა ფეხზე. ჩემი სოფლის კირმა ვაამაგრა ძველი საქართველოს კედლები, რომ ზედ დამსხვრეულიყო მტრის მუზარადები და შელუწონენ უდაბნოდან სამუშევრით მოვარდნილი არაბული ბედაურები.

ის ჩემი სოფლის კირი იყო!

ახლა ეს კირი ახალ კედლებს და ახალ ხიდებს შეადუდაბებს გაამაგრებს...

დილა იყო.

სახლის წინ იდგა.

შუბლზე ხელი მოისვა, ნელა დააყოლა და ხელის გული ლოყაზე შეაჩერა. მაგარი, უხეში შეხება იგრძნო საკუთარი ხელისა. ზედ დაიხედა. ხელის გული დაკოვრებოდა და ძელქვის ზედაპირს დამსგავსებოდა.

მერაბი ხელის გულს დააკვირდა. იგირუქას მიამგვანა. ხელის გულზე თბიქოს საკირეთი გამოსახულიყო ხევ-ხუევებით, ბექობებით, ფერდობებითა და პატარა მინდვრებით.

აი, ჯილდო, ფიქრობდა იგი.

დაუთი გუშინ კვლავ ამდგარა ლოგინიდან, მაგრამ მთლად გაუცნაურდა ბერიკაცი: კარგად თუ არ დაბნელდა შინ აღარ მოდის. წავა ტყეში და სადმე მუხის ძირას ჩამომჭდარი აღამებს.

აი, ახლაც ეზოში ჩამოვიდა.

კიბის ქვეშიდან ბერიკაცმა წვრილბირიანი და გრძელტარიანი თოხი გამოაძრო. ხელში დაიჭირა. ხელი უკანკალებდა ოდნავ. ეს კარგად შენიშნა მერაბმა. ზედა ტუჩიც უკანკალებდა ოდნავ. ესეც მხოლოდ ახლა შენიშნა მერაბმა.

— ერთი გვეიარო უნდა და...

— სადა, სად უნდა გაიარო, ბაბავ, — გაკვირვებით კითხა შვილმა.

— შენი ბრიგადის ყანები მომწონს შვილო. ძლივს დევიანახე, მე რომ მინდოდა, იმფერი წყალმიშვეებული ხოხუნები. ერთი უნდა გევიარო ბაწი. წყალს დუშუშვებ ჩემებურად. ვერ დავწვები. ძიავ, ამფერი წყალია და ასე გამხმარი ნაყანვარები იცდის იქა, — და თოხის ტარი გაიშვირა სადღაც, არც გაუხედია საით გაიშვირა.

— შინ დაჭექი, ბაბავ.

— დაჭექი და დავსაბარდი თლათ. მიწის, რომ დავაბიჯე ფეხი, სული მოვიტყვი, მუხლიც გამიმაგრდა... შვილო, რა ქენი მაღენი?

— ამოვლენ, ბაბა... — კირი არ უხსენებია, ეწყინებოდა ბერიკაცს, ას წელიწადს ნამალი ოქრო, უცებ კირი ყოფილათ, რომ უთხრან.

— ნუ მიხვალ, ნუ, ავად ხარ, შინ დაჭექი — შეეხვეწა შვილი.

— არ ვარ ავად, დღეს შენ დარგულ ბაღშინა გევიარო, გორადუბეს, კაი მორჩეი ბალახია და წყალს მივუშვებ.

— აგერ, საკარმიდამო არაა, შვილო? საკირეთი თლათ ჩემი საკარმიდამოა.

თოხი ზურგზე განდაგან მოიღო, ზედ ხელები დააწყო, ნელა წავიდა.

ასეთი მშერით არასოდეს არ გაუცილებია მერაბს ეზოდან დაუთი.

47

ბერიკაცი ნელა მიაბიჯებდა, მაგრამ ისე მძიმედ და მაგრად აღვამდა მიწაზე ფეხებს, გეგონებოდა ტყეპნისო.

მსხვილი, ოდნავ მოხრილი მხრები, ბორცვებივით ამოშვერილიყო დანაკერებ ზუბუნში.

სიარულზე ეტყობოდა, რომ იგი მიკყავდა არა დიდ ძალას, არამედ დიდ სურვილს.

მაგრამ სხეულმა მიწის და მზის ნელთბილი ქროლვა რომ იგრძნო, თითქოს უფრო გამაგრდა. მუხლში ღონე მოემატა და თვალში სინათლე.

ვერ ძღებოდა თვალი ამწვანებული,

აზიბინებული ფერდობების ცქერით. პირგამშრალ სადინარებზე წყლები მოჩხრიალებდა. გამხმარ, მქლფ: ცხამანებში ბალახი ამოხეთქილიყო და მწვანე ხანძარივით მოდებოდა ნაღვარევი მიწისპირს. გაღმა, ნაყანვარებში ვაშლისა და მსხლის ნორჩი ხეები ხალისით აქანავებდნენ ნიავზე მიშვერილ მწვანე ქოჩრებს.

დაუთს გულს უხარებდა ბუნების ამნაირი სინორჩე და სილამაზე და თანაც გულს წყვეტდა..

თითქოს ახლა ჯინაზე, გაახალგაზრდავდა ყველაფერი, რომ მისი სიბერე და მოტენილობა უფრო გამოჩენილიყო.

არა, ცოდვია ასეთი დაყვედრება, — მოინანია მალე.

ნიავს ბალახებისა და ყვავილების გრილი სურნელი მოჰქონდა და მოხუცს სახეზე ებნეოდა.

რამდენსაც მიდიოდა, უფრო ემატებოდა ღონე, რომ შეძლებოდა ხელს მოხვევდა სულ ერთად გულში ჩაიკრავდა ამ მთა-გორებს, ამ ფერდობებს, ამ გაზაფხულს.

მაგრამ უცებ თითქოს გული შეუღონდა, შეჩერდა. ჯერ თქვა, მივბრუნდებო შინ. შეეშინდა, არ წაეიქცეო. მაგრამ მალე მომჯობინდა, თოხის ტარი ყვარჩენივით დაიბჯინა და გზა გაავარძელა.

ერთ წამში თვალწინ ჩაიქროლა მთელმა ცხოვრებამ.

ხუთი-ექვსი წელიწადი მაინც უნდოდა კიდევ, ხუთი-ექვსი წელიწადი სიცოცხლე. მერე — ჯანდაბას!

სხვანაირი ხდება საკირეთი და უნდოდა ენახა, როგორი გახდებოდა ბოლოს. დანებდა, დანებდა შვილს.

აჯობა შვილმა... მაგრამ ისე ჩავა მიწაში, რომ წყენას თან წაიღებს თოფანას გამო, ზაირას გამო...

„რავარც გინდა, შვილო, რავარც გინდა, ისე ქენი. — ეჩურჩულებოდა თითქოს მერაბს,“ და ფრთხილად აბიჯებდა ფეხს, თითქოს ცდილობდა მიწის ქვეშ შენახული ქონება არაფრით დაეზიანებია.

მერე ისევ ფერდობებს მოაელო თვალი.

ასეთივე იყო თითქმის დედამიწა მის ბავშვობაში.

48

ქუქუნა ოთახის კუთხეში იჯდა.

მერაბი კარებს მიადგა.

უნდა უთხრას რეზოს ამბავი, მაგრამ ქუქუნამ დაასწრო.

— გუშინ ზაირასთან ვიყავი.

— შენ?

— ჰო, ვუთხარი ყველაფერი... მე არ შემძლია, მერაბ, წინ გადავეღობო ვინმეს, ეს ჩემი ნებით არ მომხდარა, მაგრამ?

— მოიცა, ერთი გითხრა...

— თუ ძმა ხარ, არაფერი მითხრა... რეზოზე არ მინდა რამის გაგონება, მაგის გულისათვის მე თითქმის ყველაფერი დაეკარგე: ოჯანი, მშობლები, მეგობრები, ღირსება, ნამუსი.

ორივე ჩუმდება, თითქოს სათქმელი აღარა აქვთ. „თუ ძმა ხარ“ — ეს მაინც სხვანაირად, აღერსივით შეიჭრა სულში და აზრს ერთი, სწორი, სინათლით გაყვანილი კალაპოტი მიუჩინა.

— გუშინ ზაირასთან ვიყავი... — გაიმეორა ქუქუნამ. ვიცილი, მას რა აღელვებდა, რა წყინდა ჩემგან. მე ვუთხარი, თუ როგორ მექცეოდი შენ, რომ ჩემი პატიოსნება გადაგერჩინა.

ვილაცამ დაიძახა.

ფანჯრიდან გაიხედა და ნური ბერიძე იყო...

— მერაბე, ამაღამ კრებააო, გამომვზაენეს, ხალხი შეიყვანოსო.

მერაბი ჩავიდა ეზოში.

— ვინაა?

— ფემი ნინიძეა, მგონი.

მერაბმა იცოდა ფემი მოსკოვში იყო წასული პარტიის ყრილობაზე.

— როგორ ხარ, ნური? — კითხა მერაბმა.

— არა მიშავს — ისაა. ერთი რამენა გამზარობელო, მერაბე.

— ჰო, რაი?

— ნაილეს ბიჭი ყავს.

— როდის?

— წუხელი ყოლია, ძიავ. აბა. მერაბამ ერთი ბიჭი გვხვდა ძირში, ძიავ. ერთი ეგ აკლდა, ძიავ, მეტე არაფერი. ახლა, შენ ჩემი ბატონი ხარ, აღარ იზარამაცებს, იმუშავებს ხოშიანად.

მერაბს სულ არ შეუნიშნავს ნაილე თუ ფეხშიძემ იყო. არც მიუქცევია ამისათვის ყურადღება.

— მე დავრჩი ასე ფიშტოსავით ამომშრალი და ცალკე გაგდებული, თვარა... — წამოაყოლა გული ნურიმ.

რალაც ძალიან ეტკინა მერაბს. თითქოს პირადად მას შეეხებოდა ნურის საყვედური.

გულუბრყვილო, მაგრამ მშრომელი და პატიოსანი ნური ღირსია თავისი საკუთარი წილი მიიღოს ცხოვრებისაგან, მაგრამ სადაა, ვინ შეეხმარება. ეს ერთადერთი საკითხია, რომელსაც ვერაფერთარი თავმჯდომარე და ბრიგადირი ვერ გადაწყვეტს.

სანიკიძის სახლამდე აღარ ჩამოსულან. იქვე მუხნარში გაუხვიეს და გორაკიდან სალვარიძის საკარმიდამოს გავლით, სოფლის ძველ გზაზე უნდა გასულიყვნენ აქ, მუხნარის ფერდობზე ახლა პირველად შენიშნა მერაბმა ორი ახალი ნალია. ერთმანეთისაგან დაშორებით ვილაცხვებდნენ აეშენებიათ ნალიები. ნალიების ქვეშ ლამჯა შემოეკედებიათ. დასახლებულან, მიხვდა მერაბი. აქეთ, ზედ ბექობზე ორი-სამი კაცი მუშაობდა. ახალნათხარი მიწა იმ ბილიკამდე ჩახოხებულიყო, რომელზეც ნური და მერაბი იდგნენ ახლა.

— ვინ არიან?

— ეგენი? — გაიკვირვა ნურიმ, — ეგენი სალვარიძეები არიან.

არ მოეწონა მერაბს ასე ახლოს, პირდაპირ მისი სახლის მახლობლად, ცეცხლის მეზობლად სალვარიძეები.

— ჭამილაი იკეთებს სახლს და... ჭამილი დაუჭდა, შენ ჩემი ბატონი ხარ და, მეორე დღესვე გამოარიგა მამამისმა, მიწა დეიკავოსო... ის ფულურიძის გოგო დაუჭდა.

მერაბმა მშვენიერად იგრძნო რატომაც ჩაუჭდნენ ფულურიძეები თოფა-

ნას რძალს, იმდენი ამბის შემდეგ მხოლოდ ჩემზე დანის დარტყმით მოიპოვა მათი ხელმეორე პატივისცემა და ნდობა. ქორწილი აღარ იკადრეს და ვითომ გოვო თვითონ წავიდა.

და იქ იცხოვრებს, ცხვირწინ...

„არა, არ გავიხეთქე გულს, ქამილ, შენ ოღონდ ჭკუას მოუხმე, კაცს დაემგვანე და ცხოვრება ააწყვე.“

ნახავ, როგორი მეზობელი გეყოლები!“

ერთი იქ სახლდება, მეორე აგერ, შესამე — გვერდით. ტარიელი ფერდობი პატარა ახალგათხრილი გზებით დაიხაზა, მიწა ბავშვების ჩვილი ფეხების ქვეშ იტყებნება და მაგრდება. წინათ დაუთი თუ სოფლიდან გარეთ გავიდა, გაშორდა, ახლა სოფელი თვითონ მიაბიჯებს დაუთის სახლისაკენ.

მოვა დრო და, ვინ იცის, იქნებ მერაბის ახლანდელი სახლი განაპირას კი არა, სოფლის შუაგულში მოექცეს.

49

დისშვილმა თვალი მოჰკრა ბიძას, გზაში ამოუსწრო და მუხლებზე მოეხვია.

— წამოი, წამოი. იცი, მე ძმა მყავს.

— შენ ჩადი და ჩამოვალ. ჩადი! — ბევრი ეხვეწა და ძლივს გაგზავნა ბავშვი.

ზაირას სახლისაკენ დაეშვა. რა იყო მაინც, ასე რატომ უღელავდა გული, ვერ გაეგო. თითქოს რაღაცის ეშინოდა, ეკრძალებოდა.

ნუთუ კიდევ იმნაირი საყვედურებით შეხვდება ზაირა?

პატარა ნალიის ქვეშ ისევ პატარა ნაჯახი ეგდო, მოკლე ტარი ჰქონდა ყურში გარკობილი. ტარი უშნოდ გაეთალა ვიღაცას, მამაკაცი ასე არ გათლიდა.

ცულის პირს ისე აეტაცა მზის შუქი რომ გეგონებოდა ილიმებაო.

კარი მიხურული იყო. არც გარეთ, არც შინ არაფერი ჩანდა. შემდეგ საიდანღაც ბავშვების ხურხული მოესმა მერაბს. ღობეს მიადგა და ბოსტანში გადაიხედა.

ზაირას ქვედა კაბა ამოეკალთა არ დამესვაროსო და წელზე შემოჭერილ ჩითის ნაწიბურში ჩაეპეჭა. ბავშვები ფოლო მიწაში რაღაცას აშენებდნენ, ანგრევდნენ და ისევ აშენებდნენ და კისკისებდნენ.

ზაირამ სწორედ მაშინ შემოიხედა, მერაბი რომ ღობეს მიადგა. კალთა იმ წამშივე ჩაიწია, თოხი იქვე მიაგდო, თავი მალლა ასწია და ისე, რომ ბავშვებისაკენ აღარც კი გაუხედავს, აღმა წამოვიდა.

წყნარი და გრილი დღე იყო. ღრუბლის ბულბულებიდან ხანდახან მზე იყურებოდა.

ღობეს ვიწრო ქიშკარი ქონდა ჩატანებული.

აქარაში ქალები არა მარტო არ ესალმებოდნენ მამაკაცებს, არამედ პირსაც კი უმაღავდნენ მათ. ზოგიერთებს აგერ აქამდე მოყვებათ ეს.

ეს კი მარტო ხელის ჩამორთმევა არ ყოფილა. მერაბმა ხელი მიაშველა და ზაირა ეზოში ამოიყვანა.

ისინი ოღაში შევიდნენ.

ჭერი ძალიან დაბალი ეჩვენა მერაბს. თუმცა ეს კიდევ ესია მოვნა, იმიტომ რომ ამ სიდაბლემ თითქოს უფრო შეამცირა სივრცე მათ შორის.

მერაბს სურდა ეთქვა ის, რაც ამდენი ხნის მანძილზე აწვალებდა, თან სდევდა და საშველს არ აძლევდა.

მაგრამ ზაირას რომ ახლოდან შეხედა, როცა მის თვალებში ამნაირი განათებული კმაყოფილება ამოიკითხა და რაღაც ნატრული ბედნიერება იხილა, ენა დაება. მაგრამ მისი მხურვალე გული ჩუმად ეუბნებოდა ზაირას:

— ძლივს ვიპოვე დროც და შენც. სულ მიწოდდი, მაგრამ თავიდან არც კი ვიცილი ამ სურვილის ფასი. ამ სურვილს, აღბათ, მაშინაც სიყვარული ერქვა, მაგრამ ნაადრევად გვერთებდნენ და სიყვარული ჯერ კიდევ მკაბე იყო. ჩვენ ჯერ კიდევ მკაბენი ვიყავით. მე გზუნდა გამეგლო, რომ შენთან მოვსულიყავი. არ მაცალეს, რომ ჩემი ფეხით გამეგლო ეს გზა. ხელი წამატანეს, გზიდან გადაამახვევიან და შორი და მშვიდობიან

ნის ნაცვლად, შინ ახლო, სახიფათო გზით მიმიყვანეს. ამიტომ შუაგზაზე გადავიჩეხე ხრამში. შენ მარტო დამჩნი. ვინ იქნებოდა ჩემთვის შენზე უკეთესი, მაგრამ მაშინ მე ეს არ ვიცოდი. მე გასავლელი წლები მეძახოდნენ. არ მაცალეს, რომ სიყვარული მეგრძნო შენი, ზაირა, მოგფერებოდი, მე თვითონ მეთქვა რაღაც, გამთბო შენი გული და ჩემი სიცოცხლეც, ხომ ხედავ ახლა, რამდენი ხანი ყოფილა საჭირო ჩვენი სიახლოვისათვის. უკვე არავისი დახმარება და მაქანკლობა აღარ გვჭირია. განა სიყვარულს შუამავალი უნდა? მე რომ ერთი სიტყვაც ვერ ვითხრა, ალბათ, ჩემი თვალები გეტყვიან ყველაფერს და შენც გაიგებ იმას, რადგანაც შენი გული, რა ხანია, მოთმინებითა და დუღილით ეხამებოდა ჩემს შორეულ ტკივილებს, უთქმელ სურვილებს და ეჩვეოდა მათთან საუბარს. ოღონდ ამ თვალბმმა ხანდახან უნდა იხილონ შენი თვალბები... წინათ...

ზაირა ოთახში შედიოდა, მერაბმა ხელი მოკიდა, არ შეუშვა, სახლის მეორე მხარეს გადაიყვანა, სადაც ღელიდან ზაირას მიერ მოზიდული ხმელი ლეშხის პატარა ბულული იდგა. ბულულთან ზაირა შემობრუნდა და გაჩერდა ქალის დაწითლებული სქელი ბაგეები ოდნავ თრთოდნენ, როგორც დიდი წყურვილის შემდეგ მთის ცივ წყაროსთან მიახლოებისას.

მასაც უნდოდა რაღაც ეთქვა და ვერ ამბობდა. ბოლოს მაინც გამოყოფა ბაგეებში...

— მოგვედი.. აღარ შემიძლია ასე... — და თითქმის წამოიქცა მერაბისკენ. მერაბი შეეშველა, ხელები მოხვია და აქვითინებული ქალი თბილად მიიყრა მკერდზე.

გოლო ფრცხელი

ორი წლის შემდეგ, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელთა შეკრებაზე, შეეხვედი მერაბ ხაბაზს.

თეატრის ფოიეში, სადაც წიგნები და გაზეთები იყიდებოდა, ჩვენ მივეყუ-

დეთ ფანჯრის რაფას და ვისაუბრეთ. მე საკირეთის ახალი ამბები მაინტერესებდა.

რადგანაც სხდომა მალე იწყებოდა, მერაბმა მხოლოდ ზოგი რამის თქმა მოასწრო.

გარეთ წვიმდა, ფანჯრის მინა თეთრად დაორთქლილიყო და შიგ ჩვენი სახეები ჩანდა. მერაბმა უცებ ხელის გული გადაუსვა მინას და ჩვენი გამოსახულება გადაშალა.

მერე შემომხედა და გაიცინა.

— არ მიყვარს... არ მინდა ამხელა დარბაზში ჩვენი პორტრეტები იყოს. — განმიმარტა.

მე ვიცოდი მისი ხასიათი და არ გამკვირვებია ეს.

— ზაირა? დიახ, ძალიან კარგადაა... პო ქალიშვილი გყავს. რეზო როგორ არა. ამოვიდა, დაჯდა ჩემთან და თვენახევარს ეუუუნას ეხვეწებოდა შემირიგდო. არ ეშველა არაფერი. არ შეურიგდა. როგორი ვაჟი ყავს იცი ეუუუნას? ნამდვილი საკირეთელია, ძიავ. ისეთი ბიჭი მარტო საკირეთის წყლით გაიზრდება მერე კიდევ ამოვიდა რეზო და მუშაობაც დაიწყო სამმართველოში.

შერიგება კი არა, ბიჭი არ ანახა ეუუუნამ. არ ვიცი, პირდაპირ ვიტანჯები. თუმცა ახლა და ახლა, რადგან მაგრად ამუშავდა მგონია ცოტა გული მოუღბა ეუუუნას.

რეზომაც შეატყო, სხვანაირად დაიკარგება და ჭკუას მაუხმო ბოლოს. მე მგონია... — ვეღარ დაამთავრა მერაბმა, მაგრამ დანარჩენი წარმოვიდგინე. ალბათ, ეუუუნას ვაჟს მამა დაუბრუნდა.

სოფელზე?

სოფელზე მეც კი ვიცოდი.

გზა და სინათლე შარშან გაიყვანეს. საღამოს ერთად წამოვედით და მერაბმა კვლავ მიამბო.

ნახიმი თავმჯდომარე ყოფილა.

თოფან სალვარიძეს წვერი მოუშვია, ძველებურად — მოლასავით.

გაიცინა მერაბმა: თოფანი ძველი, ბნელი ყოფის დასაფლავებას გლოვობსო.

გუგამ გუგარეთიანი

საბჭოთა ლიტერატურის საფუძველთა საფუძველი*

საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობა-სა და თეორიის ლიტერატურის პარტიულობის საკითხში მთელი რიგი აშკარა ვულგარიზატორული შეხედულებებს მხილება და დაძლევა მოუხდა. ერთ-ერთი ასეთი უხეში გაყალბება ამ პრინციპისა იყო მოსაზრება, თითქოს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი მოითხოვს მწერლის აუცილებელ შესვლას პარტიის რიგებში. საკითხის ამ ვულგარიზატორულმა რაპსულმა თეორიამ საბჭოთა ლიტერატურის არა მარტო ადრეულ პერიოდებში (განსაკუთრებით 20-იან წლებში) ითამაშა ცუდი როლი, როდესაც შეეცადა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებანა პარტიული და უპარტიო მწერლები, არამედ ამ უკანასკნელ წლებშიც ერთგვარად იჩინა თავი. სულ ახლახან ეს ძველი რაპსული თეორია ახალი რედაქციით წარმოადგინა საბჭოთა ლიტერატურისმცოდნე გ. სტარეცმა. თავის სტატიაში „საჭიროა სინათლე“¹, რომელიც ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს მიუძღვნა, იგი კატეგორიულად აცხადებს, თითქოს ბურჟუაზიულ სამყაროში კომუნისტური პარტიულობის პრინციპის განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ იმ მწერლებს, რომლებიც ორგანიზაციულად არიან დაკავშირებული პარტიასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავიანთ

შემოქმედებაში ვერ ამაღლებიან სოციალისტური რეალიზმის მეთოდამდე, რაც შეეხება ლიტერატურის პარტიულობის ზოგად პრინციპს, იგი სტატიის ავტორს მხოლოდ ორგანიზაციულ საკითხამდე, — ლიტერატურის სახელმწიფოებრივ, პარტიულ კონტროლამდე დაჰყავს. იგი უგულვებელყოფს პარტიულობას, რჩვორც ლიტერატურისა და ხელოვნების ორგანულ თვისებას და მისი გამოვლენის ძირითად სფეროდ ორგანიზაციულ დაქვემდებარებას მიიჩნევს. სამწუხაროდ, მსგავსი უხეში ვულგარიზატორული შეხედულებები, თუმცა კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც იჩენს თავს საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპის ვულგარიზატორული ინტერპრეტაცია, ზოგიერთი საკითხის გაურკვევლობა, თეორიული დაუმუშავებლობა მარტო ლიტერატურისმცოდნეობას როდი ვნებს. თეორიული საკითხების ბუნდოვანება თავის გამოხატულებას პოულობს მხატვრულ შემოქმედებაშიც. საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში უკანასკნელ წლებში აქა-იქ თავი იჩინა ისეთმა ტენდენციებმა, რომლებიც ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების მცდარი გაგებით შეიძლება აიხსნას მხოლოდ. ამიტომაც არის, რომ უკანასკნელი წლების პარტიულ დოკუმენტებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკი-

* დასაბრული იხ. „მნათობი“, № 11.

¹ ვერნ. „Док“ 1958 წ. № 1.

თხებზე ასეთი დიდი ყურადღება აქვს დათმობილი პარტიულობისა და ხალხურობის ცნებების განმარტებას და მათი კონკრეტული გამოხატულების საფუძვლიან ანალიზს.

IV

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დიდი ცვლილება და გარდატეხა მოხდა. საბჭოთა ხალხი შეუდგა კომუნისმის გამწვანებულ ფრონტით მშენებლობას. ამას წინ უსწრებდა მკაცრი და მტკივნეული, მაგრამ სამართლიანი და აუცილებელი კრიტიკა იმ შეცდომებისა და ნაკლოვანებებისა, რომელიც შეიმჩნეოდა ჩვენს ცხოვრებაში პიროვნების კულტის პირობებში. ეს განახლება და განწმენდა საბჭოთა ლიტერატურასაც არ ასცდა. მასში შეიმჩნეოდა ტენდენციები პიროვნებების განდიდებისა და ზოტებისა. ახლა კი იგი მთლიანად ერთ ძირითად ამოცანას ემსახურება — მხატვრულად წარმოსახოს საბჭოთა ხალხის ცხოვრება, მისი ბრძოლა და შრომა კომუნისმის აშენებისათვის. საბჭოთა ლიტერატურის ამ „გამოჯანსაღების“ პროცესს, მის განწმენდას სახატბო მოტივებისაგან, ზოგ შემთხვევაში თან ახლდა მტკივნეული მომენტები. ყველა მწერალმა თავიდანვე სწორად როდი გაიგო განახლების არსი. ამიტომაც აქა-იქ თავი იჩინა საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის კრიტიკამ, მისი ძირითადი პრობლემების ხელახალი ინტერპრეტაციის ცდამ. ყველაფერი ეს მიმართული იყო იმ მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ, რაც ლიტერატურაში პიროვნების კულტის შედეგად იყო ხელოვნურად შემოტანილი. მაგრამ, ამასთანავე, კრიტიკული პათოსი გავრცელდა, საერთოდ, საბჭოთა ლიტერატურის პრინციპულ ნიშანთვისებებზეც.

ყოველივე ამან თავისი დალი დაასვა თანამედროვე პერიოდის საბჭოთა ლიტერატურას. ზოგიერთმა მწერალმა, რომელმაც ვერ გაიგო პიროვნების კუ-

ლტის პარტიული კრიტიკის არსი, თავის ნაწარმოებებში ცალმხრივად და არასწორად იწყო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოსახვა.

ასეთი მწერლები განზრახ ამუქებდნენ საღებავებს და ისე გვიხატავდნენ ცხოვრებას, თითქოს მასში საინტერესო, ამაღლებელი ცოტა რამ ყოფილიყო, კარგს თითქოს ვეღარაფერს ამჩნევდნენ ჩვენს სინამდვილეში და, ნებით თუ უნებლიედ, ცილსა სწამებდნენ საბჭოთა ხალხის ნათელ ცხოვრებასა და მიზნებს. მეტნაკლებად ამან თავისი გამოხატულება პპოვა, საერთოდ, მთელს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში, ხოლო ამის ყველაზე თვალნათლივი მაგალითი გახდა დუდინცევის რომანი „არა პური თა ოდენ“. ისევე, როგორც თავის დროზე ყალბი იყო ის ნაწარმოებები, რომლებშიც გაიოლებული იყო ცხოვრება, საბჭოთა სინამდვილის არსს არ გამოხატავდა არც ის ნაწარმოებები, რომლებშიც ჩვენი ყოფა ასე გაუფერულებულად, უინტერესოდ იყო წარმოსახული. ამ წლებში, განსაკუთრებით, გავრცელდა ეგრეთწოდებული ყოფითი ლიტერატურა. თავისთავად საბჭოთა ლიტერატურას სხვა არაფერი მოეთხოვება, თუ არა სწორედ ჩვენი ხალხის ყოფის ასახვა, რადგან აქ გვინდება საბჭოთა ადამიანების გმირული სულიცა და მაღალი შეგნებაც. მაგრამ მწერალთა ნაწილი ყოფითში გულისხმობს რაღაცა წვრილმანი, უმნიშვნელო, ცხოვრების დიდ სიმართლეს მოკლებული ამბების ინდიფერენტულ წარმოსახვას, ეს კი უკვე მწერლობის ინტერესების სფეროში არ უნდა შედიოდეს, ყოველ შემთხვევაში მისი ინტერესების განმასაზღვრელი არ შეიძლება იყოს.

ლიტერატურის პარტიულობა და ხალხურობა ისტორიული სიმართლის გამოხატვას გულისხმობს, ხოლო ამ სიმართლის წარმოსახვას არ ემსახურება არც გაზვიადებული, ყალბი აღფრთოვანებით სავსე ნაწარმოები და არც ის ნაწარმოები, რომელშიც ცხოვრების ძირითადი ტენდენციის გახსნის ნაცვლად, რა-

ლაც უმნიშვნელო, კერძო მოვლენებზე და ფაქტებზეა აქცენტი გადატანილი. ქვეშაირთი, დიდი საბჭოთა მწერლობა, რომელიც ერთგულია სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისა და დაფუძნებულია ლიტერატურის პარტიულობასა და ხალხურობაზე, ყოველთვის მართლად წარმოსახავს ცხოვრებას მის განვითარებაში, გვიჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავს საბჭოთა ადამიანების პრაქტიკულ ცხოვრებას მათი მაღალი მიზნები და იდეალები. პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპები რაღაც ხელოვნურად თავს მოხვეული რამ კი არ არის საბჭოთა ლიტერატურისათვის, არამედ ამ უკანასკნელის არსიდან ამოსხნილი და ჩამოყალიბებული პრინციპებია, რომელთა მკაფიო შეგნება საშუალებას აძლევს მწერალს წარმოსახული სურათები ცხოვრებისეული შუქით გაანათოს.

ყველაფერი ეს კრიტიკული პათოსით გატაცებულმა ზოგიერთმა მწერალმა, სამწუხაროდ, მალე დაივიწყა და ამიტომაც იჩინა თავი ჩვენს მწერლობაში ისეთმა ტენდენციებმა, რომელთა შემდეგ აშკარა ვახდა ხელოვნებისა და ლიტერატურის ზოგიერთი პრინციპული საკითხის ხელახალი ახსნა-განმარტების აუცილებლობა. ამ მიზანს, საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ძირითადი საკითხების გარკვევას, ემსახურებოდა სწორედ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, თათბირები და პლენუმები, რომლის მასალებიც ხალხმა და მწერლობამ მიიღეს როგორც დიდი მნიშვნელობის პარტიული დოკუმენტები. ამ პარტიულ დოკუმენტებში მთელი სინათლითა და სისრულით არის გარკვეული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხები. რასაკვირველია, აქვე ნათლადაა ჩამოყალიბებული ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპები, მათი თანამედროვე გაგება, მათი მნიშვნელობა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის.

საბჭოთა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპთან უშუალოდ, ორგანულად და დაკავშირებული ლიტერატურის ხალხურობა. პარტიულობისა და ხალხურობის ცნება სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში ერთმანეთიდან გამომდინარეობს და ურთიერთს განაპირობებს. საბჭოთა საზოგადოების ძლიერების საფუძველს პარტიისა და ხალხის ნებასურვილის ჰარმონიულობა განაპირობებს, ხალხისა და პარტიის ნება, სურვილი, მიზანი, მისწრაფება სასენიოთ ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად არ შეიძლება ლიტერატურა ემსახურებოდეს ხალხს და ამასთანავე იგი არ გამოხატავდეს პარტიის ინტერესებს და ასევე, პირიქით, საბჭოთა მწერალი, თუ კი ის ხალხის ინტერესების გამომხატველია, უამისოდ კი წარმოუდგენელია ჩვენი მწერლობა, იგი ამავე დროს პარტიის პოლიტიკის გამომხატველიცაა. ამიტომ ამ ორი ცნების დაპირისპირება ჩვენს სინამდვილეში ისევე მცდარი იქნება, როგორც ხალხისა და პარტიის დაპირისპირება.

ამის შესახებ გარკვევით არის ნათქვამი აშხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. „უწინარეს ყოვლისა — თქვა აშხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა — არ შეიძლება ერთმანეთს დავუპირისპიროთ პარტიულობისა და ხალხურობის ცნებები. საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ძალა კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთიანობაშია. კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს. ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენს საბჭოთა პირობებში ისე შეიძლება ემსახურებოდეს ხალხს, რომ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში. შეუძლებელია გსურდეს ხალხთან ერთად იარო ისე, რომ არ იზიარებდეს პარტიის შეხედულებებს, მის პოლიტიკურ ხაზს. ვი-

საც სურს ხალხთან იყოს, იგი მუდამ იქნება პარტიასთან. ვინც მტკიცედ დგას პარტიის პოზიციებზე, ის მუდამ იქნება ხალხთან.

პარტიულობა მხატვრულ შემოქმედებაში განისაზღვრება არა იმით, რომ მხატვარი ფორმალურად ეკუთვნოდეს პარტიას, არამედ მისი რწმენით, მისი იდეური პოზიციით“.¹

სწორედ მწერლის მსოფლმხედველობასთან, მისი შემოქმედების იდეურ და ტვირთვასთან არის ორგანულად დაკავშირებული პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების აშკარა გამოხატვა. როდესაც დღეს საბჭოთა მწერლობისაგან მოითხოვენ მხატვრულ აზრის სიღრმესა და სიმწიფეს, ცხოვრებისეული მოვლენების მართლად წარმოსახვას, ჩვენი საზოგადოების განვითარების ტენდენციის ჩვენებას, თანამედროვეთა მაღალ-მხატვრული სახეების შექმნას, ეს მოთხოვნა თანაბრად გამომდინარეობს პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებიდან. ამიტომ, ვისაც ჰეშმარიტად სურს თავისი შემოქმედებით ხალხს ემსახუროს, ამ სურვილის გარეშე კი რომელი საბჭოთა მწერლის წარმოდგენა შეიძლება, მან უნდა ირწმუნოს კიდევ პარტიულობის მაღალპუნანური პრინციპები. როდესაც ზოგი ახალგაზრდა თუ ხანდაზმული მწერალი თითქოს რაღაცა შემოქმედებითი თავისუფლებისაგან მისწრაფების საბაბით საკუთარ ნაქუქში იკეტება და მკითხველს თავის ვიწრო სუბიექტურ განცდებს ახვევს თავს, ან კიდევ წვრილმან ფაქტებში ჩხირკედლაობით კეკლუკობს, ეს მის შემოქმედებას არა მარტო პარტიულობას აცლის, არამედ ხალხურობის თვალსაზრისითაც ფიტავს და აუფერულებს, ხოლო ხალხის ინტერესების დაკარგვას ჯერ არავისთვის მოუტანია შემოქმედებითი გამარჯვება. ასეთი მწერლის ნაწარმოები ან შემოქმედება მთლიანად ხალხის ინტერესების სფეროს გარეშე რჩება.

ეს მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურას როდი შეეხება. ყოველი ლიტერატურა, რომელიც კი ხალხის სამსახურს ისახავდა მიზნად, თავისთავად ხალხურობის პრინციპის მატარებელი იყო და მხოლოდ ამდენად ენიჭებოდა მას მნიშვნელობა, მხოლოდ ამით განისაზღვრებოდა მისი პროგრესულობა. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიხატა ლიტერატურის ხალხურობა, ჩვენი კლასიკოსების შემოქმედებაში, ხოლო ბელინსკიმ რუსულ მწერლობაში და ილია ჭავჭავაძემ— ქართულში მოგვეცეს თეორიული დასაბუთება ამ ცნებისა. ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის გენი-ალური მემკვიდრეობის ჰეკუთხედს ლიტერატურის ხალხურობის პრინციპი წარმოადგენს. ილია ჭავჭავაძე თავის წერილებში მუდამ ხაზს უსვამდა იმის აუცილებლობას, რომ ჩვენი ისტორიაცა და ლიტერატურაც თუ აღრე შეფეებისა და დიდგვაროვანთა ცხოვრებით იყო დაინტერესებული, ახლა ხალხთა ფართო ფენების, გლეხების ცხოვრების, მათი ჭირვარამის, განცდების და ინტერესების გამომხატველი უნდა გამხდარიყო. ილიას ღრმა რწმენით, ლიტერატურა მხოლოდ ცხოვრების ფსკერზე იპოვებდა იმ მარგალიტებს, რომლებიც მას ახალ ელვარებას მისცემდნენ, მხოლოდ იქ აივსებოდა ჰეშმარიტი ცხოვრების სუნთქვით.

ისევე როგორც ვითარდებოდა და იცვლებოდა ლიტერატურა, ყოველ ახალ ეპოქაში, იცვლებოდა და ვითარდებოდა ხალხურობის ცნების გაგებაც. მას განაპირობებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ-კონკრეტული ვითარება. თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა“ ხალხურობა ეროვნული ინტერესების ისტორიულად სწორი და პროგრესული თვალსაზრისით გამოხატვაში გამოჰქლავნდა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მათთან ერთად ახალი თაობა სამოციანელებისა უფრო ღრმად ჩასწვდა ამ პრობლემას. მათი შემოქმედება უფრო კონკრეტულად გვი-

¹ E. ს. ზრუშკოვი, ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის, 1957 წ. გვ. 32.

ხატავდა და გვაგარძნობინებდა ხალხის კირვარამს, ხალხის ინტერესებით იყო გაელენთილი. საკმარისია ამ მხრივ „ბედი ქართლისა“ შევადართო ისეთ პოემებს, როგორცაა „კაკო ყაჩაღი“ და „ანრდილი“ რომ ნათელი გახდეს ლიტერატურის ხალხურობის ის ახალი გაგება, რომელიც დამახასიათებელი იყო ქართული კლასიკური ლიტერატურისათვის გასულ საუკუნის მეორე ნახევარში.

პროლეტარული მოძრაობის, რევოლუციების ეპოქაში ხალხურობამ სულ სხვა ხასიათი და გამოხატულება მიიღო, რაც შეუძნეველი არ დარჩა პროლეტარიატის ბელადს, რევოლუციური ბრძოლების ორგანიზატორსა და თეორეტიკოსს ვ. ი. ლენინს. მან თავიდანვე განსაზღვრა არა მარტო ლიტერატურის როლი და დანიშნულება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების იმ ეტაპზე, არამედ ის სიახლეც, რომელიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ახალი, სოციალისტური ლიტერატურისათვის. ლენინი ლიტერატურის ხალხურობის გამოხატულების ორ მხარეს აღნიშნავდა, ერთი, რომ იგი უნდა ყოფილიყო ხალხის, მშრომელების ინტერესების გამომხატველი და ამდენად საერთო პროლეტარული საქმის შეგნებული მსახური, მეორე, რომ იგი უნდა ყოფილიყო მილიონობით მშრომელების, მასების საკითხავი. ხალხურობის ამ ახალი გაგების ნიშნუში იყო დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის შემოქმედება, რომელშიც ასე ძლიერად გამოიხატა მშრომელი ხალხის სულიერი მღელვარება და მიზანსწრაფვა, რევოლუციური მასების ძალა და ენერჯია.

მას შემდეგ, რაც ლიტერატურა აშკარად ჩადგა პროლეტარული მოძრაობის სამსახურში, ეს ორი ცნება — ხალხურობა და პარტიულობა — განუყოფელია ერთმანეთისაგან. თანამედროვე პირობებში კი, როგორც ამას საბჭოთა ლიტერატურის ისტორია მოწმობს, ხალხურობის უმადლეს ფორმას წარმოადგენს კომუნისტური პარტიულობა. ეს მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურის

არსებითი ნიშანთვისებაა და იგი ამ მხრივ, ხალხურობისა და პარტიულობის შერწყმის, თანხედრობის ~~თავსაზრისით~~ არა მარტო კლასიკური ლიტერატურისაგან განსხვავდება, არამედ თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაშიც გამოირჩევა.

ბუნებრივია, კლასიკურ ლიტერატურაში ამ თანხედრობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან პარტიულობა, როგორც ზემოთ ვთქვით, პროლეტარული მოძრაობის ეპოქაში გახდა ლიტერატურის დამახასიათებელი თვისება. ასე რომ, კლასიკური ლიტერატურა მხოლოდ ხალხურობის იმდროინდელი გაგებით იყო ძლიერი და პროგრესული. ტოლსტოიცი და ნეკრასოვიც, ბელინსკიც და დობროლუბოვიც, პაექვაიძეცა და წერეთელიც ხალხის ინტერესების წინა პლანზე წამოწევით გეზიბლავენ ჩვენ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპების ურთიერთდაკავშირება. ისტორიულად ეს საკითხი მოუპწიფებელი იყო, ამიტომაც უხეში შეცდომა, უსამართლობა იქნებოდა მათი შემოქმედების მიმართ ამ მხრივ საყვედურის გამოთქმა.

საინტერესოა, რომ ამ თვალსაზრისით, ხალხურობისა და პარტიულობის თანხედრობითა და ერთგვარი შერწყმით საბჭოთა ლიტერატურა მკვეთრად გამოირჩევა მსოფლიო ლიტერატურაში. იგი განირჩევა არა მხოლოდ რეაქციული ბურჟუაზიული ლიტერატურისაგან, არამედ დასავლეთის პროგრესული მწერლობისაგანაც.

რა თქმა უნდა, ამ პრობლემის გაგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით, საბჭოთა ლიტერატურას არამც თუ არაფერი აქვს საერთო ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან, პირიქით, სრულიად საპირისპირო პოზიციაზე დგას იგი. თუ საბჭოთა ლიტერატურის ხალხურობა და პარტიულობა ერთმანეთს ავსებს და ერთ მიზანს ემსახურება, ბურჟუაზიული ლიტერატურის პარტიულობა, პირიქით, გამორიცხავს ხალხურობას, რადგან ეს ლი-

ტერატურა მიმართულია სწორედ ხალხის ინტერესების წინააღმდეგ.

სხვაგვარად დგას საკითხი თანამედროვე დასავლეთის იმ პროგრესულ მწერალთა შემოქმედებაში, რომელნიც, აშკარად თუ შეფარვით, კრიტიკული რეალიზმის ხაზს აგრძელებენ. ჯონ სტეინბეკი, გრემ ჯინი, ერის მარია რემარკი, ერნსტ ჰემანგუეი, ალბერტო მორავია და სხვები, მიუხედავად მათი მსოფლმხედველობის ერთგვარი შეზღუდულობისა, თავის შემოქმედებით მენტაცულად ემსახურებიან ხალხის ინტერესებს. ისინი თავისი მხატვრული სიტყვის ძალით გვიხსნიან ჩვენ ბურჟუაზიული სამყაროს მანკიერებებს და თუმცა კომუნისტური პარტიულობის პრინციპის აღიარებამდე ვერ მისულან, ხალხის მძიმე ყოფის გამომხატვით აგრძელებენ კრიტიკული რეალიზმის კუმანისტურ და ხალხურ ტრადიციებს.

ასე რომ, პროლეტარული რევოლუციებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიულ ეპოქებში ხალხრობისა და პარტიულობის ცნებები საერთოდ კი არ თანხვდება ერთმანეთს, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მწერლის მსოფლმხედველობი ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, როდესაც მწერალი შეგნებულად დგას ლიტერატურის პარტიულობის პოზიციებზე. მაშასადამე, ეს ეხება საბჭოთა მწერლობას, საერთოდ კი, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას. ამდენად, სწორედ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯვება აძლევს მწერალს საშუალებას თავის შემოქმედებით სრულად და ძლიერად გამოხატოს ხალხურობის იდეა, ყველაზე აქტიურად და ნაყოფიერად ემსახუროს ხალხის ინტერესებს.

ამ პრინციპული მნიშვნელობის დასკვნამ არ უნდა მიგვაყვანოს საკითხის გაუბრალოებამდე. საბჭოთა ლიტერატურის ხალხურობის ასეთმა მაღალმა, სავსებით სამართლიანმა შეფასებამ, არ უნდა გვაფიქრებდეს თითქოს ყველა საბჭოთა მწერალი, ან ყველა ნაწარმოები

საბჭოთა ლიტერატურაში თანაბრად ძლიერად, ან თუნდაც სწორად გამხატვავს ხალხურობის იდეას. ანტონ ხანსკათის შეცდომა მოუვიდა მწერალ ი. სელდინსკის, რომელიც თავის პოლემიკურ წერილში „ხალხურობა და პოეზია“,¹ წერდა: „ასე რომ, სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში არ შეიძლება საზოგადოებრივი მოღვაწეობის დაყოფა ხალხურად და არახალხურად. ისევე, როგორც არ შეიძლება ჩვენში იყოს ხალხური და არახალხური სამინისტრო, წარმოუდგენელია ხალხური და არახალხური ხელოვნებაც“. ამ თვალსაზრისით ყველა მწერალი, რაკილა ის საბჭოთა მწერალია თავის შემოქმედებაში, უსათუოდ ხალხურია, ხალხის ინტერესებს გამოხატავს, ვასაგებია ხალხისათვის, მას თავისი შემოქმედების იდეურ-მხატვრული მიზანდასახულებით ხალხის მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი წვლილი შეაქვს. ეს მოსაზრება მრავალმხრივ არ არის სწორი.

არ შეიძლება საბჭოთა ლიტერატურის ხალხურობის და თვითული საბჭოთა მწერლის შემოქმედების ხალხურობის ცნებების გატოლება. თუ ასე მოვიქცევით, მაშინ ერთგვარად უნდა გავამართლოთ ის არასწორი, ზოგ შემთხვევაში კი, პირდაპირ მცდარი ტენდენციები, რომლებიც ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში დროდარო თავს იჩენს. უფრო მეტიც, ამ დებულების მიღებით შეიძლება კიდევ შევიწყნაროთ ის სუბიექტივისტური მიდგომა ცხოვრების მოვლენებთან ან ფორმალისტური ხასიათის „ძიებები“, რომლებიც ზოგჯერ გვხვდება ჩვენი ზოგიერთი მწერლის ცალკეულ ნაწარმოებში თუ საერთოდ შემოქმედებაში, უნდა შევიწყნაროთ თურმე იმით, რომ ისინი საბჭოთა მწერლები არიან, საბჭოთა ლიტერატურა კი თავისი არსით ხალხურია. ეს ხომ არა მარტო უცნაური, არამედ უბრალოდ მცდარი გაგება იქნება საკითხისა. როდესაც აღ-

¹ იხ. «Литературная газета» 1956, № 124.

ნიშნავენ, რომ საბჭოთა ლიტერატურა ხალხურობის თვალსაზრისით მხოლოდ ლიტერატურის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ყველა საბჭოთა მწერალს უკეთ ესმის ეს პრობლემა, ან ყველა საბჭოთა მწერალი უკეთ გამოხატავს თავის შემოქმედებაში ხალხის ინტერესებსა და გულისტკმას, ვიდრე ამას აკეთებდნენ წარსული ეპოქის მწერლები, ან ვიდრე ამას აკეთებენ დასავლეთის პროგრესული მწერლები. მწერლის შემოქმედების ხალხურობის ხარისხს განსაზღვრავს პირველ რიგში თვით მწერლის უნარი ღრმად ჩასწვდეს ხალხის ცხოვრებას, გაერკვეს ხალხის ინტერესებში და ისტორიული განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, სწორი იდეური და მსოფლმხედველობრივი პოზიციებიდან წარმოსახოს ცხოვრება მაღალ-მხატვრულად, ამაღლებულად, ძლიერად. ამ თვალსაზრისით კი, ყველა საბჭოთა მწერლის შემოქმედება თანაბრად ხალხურად აღარ მოგვეჩვენება და ობიექტურად შეფასდება ამ მხრივ თვითეული მწერლის შემოქმედება თუ ნაწარმოები.

ზოგიერთი საბჭოთა მწერლის შემოქმედებაში უკანასკნელი წლების ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება არასწორად, პირდაპირ რომ ვთქვათ, მრუდად, გაყალბებულად არის წარმოსახული. თვითონ ავტორები ამას კრიტიკული პათოსის აუცილებლობით ხსნიდნენ. საბჭოთა ლიტერატურაში არავის არასოდეს უარუყვია მკაცრი და მომთხოვნელი კრიტიკა. უკანასკნელ წლებშიც არაერთი ნაწარმოები გამოქვეყნდა, რომლებშიც მწერლებმა ჩვენი ცხოვრების არა მხოლოდ ნაკლოვანი, არამედ მტკივნეული საკითხებიც დიდი სითამამითა და გულწრფელობით წამოჭრეს. ამ მწერლებისა და ასეთი ნაწარმოებების ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს. საკმარისია გავიხსენოთ სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ თუ სხვა მოთხრობები და ამ მოთხრობებისადმი საბჭოთა საზოგადოებრიობის და სალიტე-

რატურო კრიტიკის დამოკიდებულება, რომ აშკარა ვახდება თუ რამდენად შეუზღუდველია საბჭოთა მწერალი ცხოვრების რთული, მტკივნეული მომენტების წარმოსახვაში. ქართულ ლიტერატურაში ასევე მკაცრი და მამხილებელ ნაწარმოებად რჩება თინა დონეაშვილის რომანი „ალაზანზე“, რომელშიც მწერალი პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვისა და შემსუბუქების გარეშე, დიდი გულ-ისტკივლით მოგვითხრობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯ მოვლენებზე. ამ ჭანსალი კრიტიკული პათოსის გამო არავის უარუყვია ასეთი ნაწარმოებების ღირსება, მათი ღრმა ხალხურობა. მაგრამ, როდესაც ზოგიერთი საბჭოთა მწერლის ნაწარმოებებში აშკარად გამოიკვეთა აღამიანისა და საზოგადოების ურთიერთდაპირისპირების ტენდენცია, ამდენად კრიტიკული პათოსი გადაიზარდა ყალბ პათოსში და ცხოვრებაც მრუდედ იქნა წარმოსახული, სალიტერატურო კრიტიკამაც და ფართო საზოგადოებრიობამაც მკაცრად, თუმცა სავსებით სამართლიანად უსაყვედურა ამის გამო ავტორებს. მსგავსი ნაწარმოებები არავითარ შემთხვევაში არ უპასუხებენ ლიტერატურის ხალხურობის მოთხოვნებს. დუდინცევის რომანის „არა პური თა ოდენ“, მთელი იდეურ-მხატვრული მარცხი იმან განაპირობა, რომ აქ მწერალი აშკარად ერთმანეთს უპირისპირებს მოაზროვნე, შემოქმედ აღამიანს (თავისი გმირის ლოპატკინის სახით) მთელ საზოგადოებას, რომელიც თურმე კონსერვატული, ბიუროკრატიული ბუნებისაა. შემთხვევითი არ იყო, რომ მთელმა ბურჟუაზიულმა სალიტერატურო პრესამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო და შეაფასა ეს რომანი. კრიტიკოსი ტ. უიტნი „ნიუ-იორკ ტაიმს მეგეზინში“ კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ დუდინცევის რომანში კოლექტივიზმს უპირისპირდება ინდივიდუალიზმი, ხოლო საზოგადოებრივ ბიუროკრატიზმს — შემოქმედებითი აზრი. ნაწარმოები, რომელიც ინდივიდუალიზმის აპოლოგიას ისახავს მიზნად, სა-

დაც გმირი უპირისპირდება მთელ საზოგადოებას და პიროვნება გამორჩეულია ხალხისაგან, არ შეიძლება მივიჩნიოთ ხალხურობის გამომხატველი ლიტერატურის ნიმუშად.

საბჭოთა ლიტერატურაში მხოლოდ ასეთი ხასიათის ნაწარმოებები როდია დაცლილი ხალხურობისაგან. ამ უკანასკნელ ნიშანთვისებებს მეტ-ნაკლებად კარგავს ის ნაწარმოებებიც, რომლებშიც მკითხველს უჭირს რეალური ცხოვრების მხატვრული სურათების დანახვა, საბჭოთა ადამიანების გრძნობებისა და განცდების მიკვლევა. ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპები გულისხმობენ მხატვრულ სახეთა სიცხადესა და სინათლეს. ბუნდოვანი, არაფრისმთქმელი, ხელოვნურად გაართულებული პოეტური სახეებით არ შეიძლება ხალხის გულისთქმის, მისი განცდების, მიზანსწრაფვის, მთელი მისი სულიერი სამყაროს გამოხატვა. სამწუხაროდ, მსგავსი ნაწარმოებები გვხვდება და არც თუ იშვიათად თანამედროვე ქართულ პოეზიაში. განსაკუთრებით ითქმის ეს იმ ახალგაზრდა თუ ახალბედა მწერლების მიმართ, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოვიდნენ, ან მოდიან ქართულ ლიტერატურაში. ბევრ მათგანს აშკარად ლალატობს ცხოვრების მოვლენების უშუალო განცდა და ამის ანაზღაურებას პოეტური აზროვნების მოჩვენებითი სირთულით ცდილობს. მომრავლდა ლექსები თითქოს დიდი წუხილითა და ღრმა აზრებით სავსე, მაგრამ სინამდვილეში მკითხველი ვერაფერს გაიგებს, თუ მაინც რა აწუხებს ან რას ჩაუფიქრებია ავტორი. ან კი მკითხველმა რა უნდა გაიგოს, როდესაც თვით ავტორსაც არ ესმის მის მიერვე შეთხზული ბუნდოვანი მხატვრული სახეები.

მოქარბებული სევდა და დარდი ზოგიერთ პოეტის შემოქმედებაში მკითხველის უკმაყოფილებას იმიტომ კი არ იწვევს, რომ პოეტს არაფერი უნდა აწუხებდეს, არამედ იმიტომ, რომ მისი რეალური საფუძველი, მიზეზი ხშირად არ ამოიკითხება პოეტურ სტრიქონებში

და ამიტომაც ხელოვნური, თავისთავადი, გაუმართლებელი რჩება ჩვენი მინარული ტონი ერთგვარ მრდოდ ჩქცა ზო გიერთებისათვის. ამიტომაც ცალკეულ ნაწარმოებებში აღარ შეიმჩნევა საბჭოთა ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ღრმა ოპტიმიზმი. ხშირ შემთხვევაში ეს მძიმე ნაღველი პოეტისა ემყარება სრულიად ჩვეულებრივ მოვლენას; რომელიც განზრახ, ხელოვნურად არის ტრაგიკულად განცდილი. ამის ნიმუშად, სამწუხაროდ, არაერთი ლექსის მოტანა შეიძლება.

ზოგს, ვისაც კარგად არ ესმის თუ რას ნიშნავს საბჭოთა ლიტერატურის მწერლობის ხალხურობა და პარტიულობა, ვისაც გულუბრყვილოდ წარმოუდგენია, რომ ხალხურობა ფორმისა და შინაარსის პრიმიტიულობას გულისხმობს, თითქოს კიდევ ეამყება ბუნდოვანი და გაუგებარი, დიდი აზრებისა და განცდებისაგან დაცლილი, ოპტიმისტურ ელერალობას მოკლებული მხატვრული ნაწარმოებების ავტორობა. სინამდვილეში კი ასეთი მწერლები და მათი ნაწარმოებები ვერ იკაფავენ გზას ხალხის გულისაკენ, რადგან ეს უკანასკნელნი დაუპყრია იმ მწერალთა შემოქმედებას, სადაც დახვეწილი მხატვრული ფორმით ხალხის სულია გახსნილი, მისი ფიქრი და განცდაა ვადმოცემული, მისი ინტერესებია გამოხატული.

ლიტერატურის ხალხურობის ერთერთი უბრალო და შეუვალი პრინციპია ის, რომ ხალხს უნდა ესმოდეს მწერლის. თუ კი მკითხველი ვერ მიხვდება რისი თქმა უნდა მწერალს, ვერ ჩასწვდება ნაწარმოებში ჩაქსოვილ აზრს, იმ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი ნაწარმოებისა თუ მწერლის შემოქმედების ხალხურობაზე. ზოგჯერ მწერალს, მართლაც, ბევრი და საინტერესო აქვს სათქმელი მკითხველისათვის, მაგრამ ყველაფერ ამას ისეთ რთულ, ბუნდოვან მხატვრულ ქსოვილში ხვევს, რომ მკითხველს უჭირს სათქმელის ბოლომდე გაგება. ამას კიდევ ეშველება, რადგან თუ

მწერალს აწუხებს სათქმელი და მას სურს თავისი გულისთქმა სხვას გაანდოს, იქონიოს კონტაქტი მკითხველთან, ადრე თუ გვიან იგი ამას შესძლებს და შექმნის ქვეყნისათვის ხალხურ ნაწარმოებს. მაგრამ, როდესაც მწერალს არაფერი აქვს სათქმელი და აზრის სიღარიბეს თავის პოზიციას ნიღბავს, როდესაც მკითხველი ვერაფერს იპოვნის ნაწარმოებში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ არაფერია საპოვნისი, ავტორს კი ამ დროს თავი „რთულ შემოქმედად წარმოუდგენია“, პერსპექტივა მწერლისა, მართლაც, მუქ ფერებში გვესახება. ამის ნიმუშად მოვიყვანთ ლადო ირემაშვილის ერთ ლექსს „დედოფალა ფანჯარასთან“:

თოვლი თოვს თეთრად ფანჯარასთან. თოვს.
 ზის დედოფალა ფანჯარასთან, თოვს.
 შუშის თვალებით ფანჯარასთან, თოვს.
 თეთრად თოვს თოვლი ფანჯარასთან. თოვს.
 თოვლი რა არის? თოვლი თოვს თეთრად,
 სევდა რა არის? თოვლი თოვს თეთრად.
 სევდა რა არის? ზელებს სევდა?
 ზის დედოფალა ფანჯარასთან.
 ვის გაახსენდა, მოკვდება გელი?!
 სიკვდილი რაა? სიმღერა რაა?
 მოკვდება გელი, რა არის გელი?
 ზის ფანჯარასთან დედოფალა.
 კიდევ წინათაც ათოვდა ქალაქს.
 კიდევ თბილისი წუხდა ქარებით.
 ზის ფანჯარასთან დედოფალა,
 იმზირება შუშის თვალებით.

თითქოს ამ განზრახ გამარტივებულ მეტყველებაში ჩვენ უნდა ვიგრძნოთ (ვიგრძნოთ და არა გავიგოთ!) რაღაც დიდი და რთული ფიქრი ავტორისა სევდაზე, წუხილზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, რისი გაგების უნარიც, რასაკვირველია, ყველას არ გააჩნია. მაგრამ სინამდვილეში აქ ვერაფერს ვერც ვერაფერს ვიგრძნობს და ვერც ვერაფერს ვაიგებს, რადგან ლექსი დაკლილია აზრისაგანაც, გრძნობებისაგანაც და განწყობილებებისაგანაც. მაშასადამე, დაკლილია იგი ხალხურობისაგანაც.

ლიტერატურის ერთი განმსახიფრებელი ნიშანთაგანი ის არის, რომ იგი იქმნება ხალხისათვის, მკითხველისათვის და თუ ამ უკანასკნელთათვის რომელიმე ნაწარმოები ან მთლიანად მწერლის შემოქმედება გაუგებარია, ეს უნდა იდარდოს მწერალმა და არა ხალხმა. უსარგებლო გარჯაა, როდესაც ზოგიერთი მწერალი ასეთ შემთხვევაში ხალხის გამტყუნებას ცდილობს. ამის შესახებ შესანიშნავად ამბობდა ლევ ტოლსტოი:

«Нет ничего обыкновеннее, как то, чтобы слышать про мнимые произведения искусства, что они очень хороши, но что очень трудно понять их. Мы привыкли к такому утверждению, а между тем сказать, что произведение искусства хорошо, но непонятно, все равно, что сказать, про какую-нибудь пищу, что она хороша, но люди не могут есть ее. Люди могут не любить гнилой сыр, протухлых рябчиков и т. п. кушаний, ценных гастрономами с извращенным вкусом, но хлеб, плоды хороши только тогда, когда они нравятся людям, то же и с искусством: извращенное искусство может быть непонятно людям, но хорошее искусство всегда понятно всем»¹.

ეს დანიშნულება მწერლობისა, რომ იგი უნდა იყოს ხალხისათვის გასაგებში და მისაღებში, ყველაზე უკეთ და მძლავრად საბჭოთა ლიტერატურისათვის უნდა იყოს (და არის კიდევ) დამახასიათებელი, რადგან, ასეთი დიდი, განუსაზღვრელი საშუალება ხალხთან კონტაქტისა, რომელიც სოციალიზმის პირობებში არსებობს, არასოდეს ჰქონია ლიტერატურას. ამიტომაც მოეთხოვება საბჭოთა ლიტერატურას ყველაზე მეტად ხალხურობა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხურობის ცნების გაყალბების ზემოთაღნიშნულის საპირისპირო ტენდენციაც იჩენს ხოლმე თავს საბჭოთა ლიტერატურაში. ზოგიერთ მწერალს ახასიათებს პრიმიტიული მიდგომა ცხოვრების მოვლენების

¹ Л. Н. Толстой. Полн. собр. соч., т. 30, М., 1951, стр. 108.

მხატვრული წარმოსახვის რთული საქმისადმი. ამას კი თავისი შემოქმედების ვითომდა ღრმა ხალხურობით ხსნის. მაგრამ ხალხურობა სულაც არ ნიშნავს პოეტური მეტყველების ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველებით შეცვლას, ხალხური პოეზიის ზერელე მიმსგავსებას, საკუთარი პრიმიტიული აზროვნების ხალხისათვის მიკუთვნებას, საბჭოთა ლიტერატურა უნდა იყოს გასაგები, ნათელი და არა პრიმიტიული. ეს ორი უკანასკნელი ცნება სულაც არ ემთხვევა ერთმანეთს, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, პირიქით, გამორიცხავს ერთმანეთს. ნათელი უპირისპირდება ბუნდოვანს და არა რთულს. რთული პოეტური აზროვნების (ვიმეორებ რთული და არა ბუნდოვანი) მწერლები თავისი შემოქმედებით ჰეშმარიტად ხალხურები არიან, იმ დროს, როდესაც ხალხურ პოეზიასთან გარეგნულად მიმსგავსებული პრიმიტიული ლექსები სწორედაც კარგავენ ხალხურ საფუძველს. სავსებით სწორად აღნიშნავდა ცნობილი საბჭოთა პოეტი მ. ისაკოვსკი, რომ «если человек (პოეტი გ. გ.) лишь механически вставляет в свои произведения, скажем такие традиционно песенные слова, как «воля-волюшка», «сила-силушка», «добрый молодец», и т. п., то произведения отнюдь не становятся от этого «народными». Они оказываются написанными не народным языком, а языком имитирующим народный, то есть лженародным языком»¹.

ასეთი ზერელე, გარეგნულად მიმსგავსებული ლექსები ქართულ პოეზიაშიც საკმარისზე მეტი გვხვდება. სამწუხაროდ, ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების ასეთი არასწორი პოზიცია ზოგჯერ იჩენს თავს ახალგაზრდა მწერლის მორის ფოცხიშვილის შემოქმედებაში. მისი ზოგი ლექსი სწორედაც ხალხური პოეზიის, ბევრწილად ფოლკლორის იმიტაციას წარმოადგენს. რამდენიმე ნიმუშს მოვიტანთ სხვადა-

სხვა ლექსებიდან, რომლებიც მთლიანად ამ მანერითაა დაწერილი.

შტოზე ვაშლი გარზენილა,
ვინც მისწვდება — მისია.
ვინც ამ გოგოს გააცინებს,
გოგოს გული მისია...
ეს ცხოვრება ასე არის,
ეს ცხოვრება ისეა.

(„ვინც ამ გოგოს გააცინებს“)
ათასად მუხლი დიდისდა
და გული ათათასად...
ჩაივლის გოგო — ბიჭებში,
გაეცინება პაპასა.
ოთხმოცი წელი დალია,
კვლავ დასალევი ზღვა არი.
მის სიტყვას
გასავალი აქვს
მის საქმეს —
შემოსავალი.
(„პაპა“)

ხალხური მოტივების ასეთ გამოყენებას ადვილად შეამჩნევს მკითხველი მორის ფოცხიშვილის ლექსებში „პატარა გოგო დამეკარგა“, „ალუბლები წვიმაში“, „თებრონე რომ წყალზე წავა“, „იშვარ-მიშვარ“, „ჩიტის მოტანილი ამბავი“, „წითელი ვაშლი ვის უნდა“, „მუხათგვერდში მუხნარია“ და ბევრ სხვა ლექსში. არც „ენკი ბენკი სიკლია...“ („განსენება“) და არც „ოუ, რადო, რადო, რადო“ („სულის მოსალხენარი“) არ არის გამომხატველი პოეზიის ხალხურობისა, ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო რთული ცნებაა და ძნელად მისაღწევი რამ, ვიდრე ფოლკლორული ნიმუშების უბრალო იმიტაცია.

ლიტერატურის ხალხურობის გაყალბება მარტო გარეგნული, ზერელე მიმსგავსების დროს კი არ ხდება, როდესაც ფოლკლორული მასალა მხოლოდ იმიტაციის სურვილს აღუძრავს მწერალს, არამედ მაშინაც, როდესაც ამა თუ იმ ქანრის ნაწარმოებში ადამიანის რთული ბუნება განგებ თუ უნებლიედ პრიმიტიულად არის წარმოდგენილი, თითქოს ხალხს არ შეეძლოს მხატვრული აზრით ღრმად დატვირთული ნაწარმოების გა-

¹ М. Исаковский. О поэтическом мастерстве, М, 1953, стр. 19.

გება. თანამედროვე ადამიანი, რა პროფესიისა და ხელობისაც არ უნდა იყოს იგი, შედარებით სხვა ეპოქების ადამიანთან გაზრდილი ინტელექტით, ინტერესების მრავალმხრივობით, ღრმა ცნობისმოყვარეობით ხასიათდება და, მეტი რომ არა ვთქვათ, უხერხულია, როდესაც მას ისეთ ლექსს სთავაზობენ, როგორცაა, მაგალითად, ლადო ირემაშვილის „ქალისკენ მიდის“:

ქალისკენ მიდის ლომა კაშქმა,

უკან ნაწვიმარი ჩნება მინდორი.

ქალისკენ მიდის ზღატაზლუტით ლომაკაშქმა თავჩაქინდრული.

ქალისკენ მიდის ლომაკაშქმა,

დასიძულთა კლდენი ფრიალო,

ქალისკენ მიდის ზღატაზლუტით ლომაკაშქმა სახეტიალოდ.

ლადო ირემაშვილის არც სხვა ლექსებშია აღბეჭდილი მეტი აზრითა და გრძნობით და მით უფრო ვასაკვირია, თუ კრებულის წინასიტყვაობის ავტორს რა საფუძველი ჰქონდა, როდესაც გვაცნობდა ამ ახალგაზრდა მწერალს, ეთქვა, რომ „კრებულში მკითხველი გაცნობა ლადო ირემაშვილის ხალხურ ინტონაციებზე დაწერილ მშვენიერ ლექსებსა“.¹ ყველაფერი ეს, სინამდვილეში შორსა დგას ხალხურობისაგან და საბჭოთა ლიტერატურის ამ საფუძველთა საფუძველის გაყალბებული გაგების ნიმუშს თუ წარმოადგენს მხოლოდ.

ყოველივე ზემოთნათქვამი, ვფიქრობ, საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ყველა საბჭოთა მწერალი როდია თანაბრად ხალხური, ან ყველა ნაწარმოები როდია ატარებს ხალხურობის ნიშანს, თუმცა საბჭოთა ლიტერატურის ერთი პირველი დამახასიათებელი ნიშანთაგანი სწორედ მისი ღრმა ხალხური ხასიათი უნდა იყოს.

აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული არა მარტო ცხოვრების მოვლენების სწორად და მართლად წარმოსახვაზე,

არამედ მწერლის ნიჭზეც. ბელნისკიმ სავესებით სამართლიანად შენიშნა თავის სტატიის კრილოვზე: «И потому способность творчества есть талант, а способность быть народным в творчестве — другой талант, не всегда, а, напротив, очень редко являющийся вместе с первым... Без таланта творчества, невозможно быть народным; но, имея талант творчества, можно и не быть народным»¹.

დიდი რუსი კრიტიკოსი სავესებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ შემოქმედებითი ნიჭის გარეშე შეუძლებელია იყო ხალხური, ვინაიდან ხალხურობა თავისთავადი ცნება კი არ არის, ლიტერატურის, მწერლის დამახასიათებელი ნიშანია და ჯერ უნდა იყო მწერალი, ჯერ უნდა იყოს ლიტერატურა, რომ მერე დავინახოთ მასში ხალხურობა. საბჭოთა ლიტერატურა არ არის ერთგვაროვანი რამ, იგი მწერალთა რამდენიმე თაობის მრავალრიცხოვანი რაზმის შემოქმედებისაგან შედგება და, რასაკვირველია, ყველა მწერალი თანაბარი ნიჭისა და შესაძლებლობის არ შეიძლება იყოს. ყველა მწერალს როდი შეუძლია ღრმად ჩაწვდეს ხალხის ცხოვრებას, გაერკვეს რეალურ მოვლენებში, გაიგოს ხალხის გულისფეთქა, აზრი, გრძნობა, მისწრაფება და ყველაფერი ეს მხატვრულად საინტერესოდ განაზოგადოს და წარმოუდგინოს მკითხველს. ხშირად მწერალი, ისევე და ისევე ნიჭის ჩიდიერის სხვადასხვა ხარისხის გამო, მხოლოდ ზედაპირულად წარმოსახავს მოვლენებს, პრიმიტიულად წარმოგვიდგენს ხალხის ცხოვრებას და თან ჯიუტად არის დარწმუნებული, რომ იგი ჭეშმარიტად ხალხური მწერალია, რადგან მისი ინტერესები თანამედროვე ცხოვრებისა და თანამედროვე ადამიანისკენ არის მიმართული. მაგრამ, როგორც ვთქვით, მარტო ეს არ არის საკმარისი, მთავარი ის არის, თუ მწერალი რამდენად ღრმად, საინტერესოდ, მხატვრულად ძლიერად და ამაღლევებლად გვი-

1. იხ. ანზორ აბულაშვილი, ბონდო ილიაძე, ლადო ირემაშვილი, ტავუ მებერიშვილი, ლექსების კრებული, წინასიტყვაობა.

1 В. Белнский. Полное собр. соч., т. VIII, стр. 565.

ხსნის და წარმოგვისაზავს ხალხის ცხოვრებას.

ხალხურობა, როგორც ვთქვით, გულისხმობს იმ პრობლემებით დაინტერესებასა და მაღალმხატვრულ გადაწყვეტას, რომელიც საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ეტაპებზე განსაკუთრებით ძლიერად აღელვებს ხალხს. ამდენად, საბჭოთა საზოგადოების ისტორიის მანძილზე სხვადასხვა პრობლემები აწუხებდა მწერლობას, იქნებოდა ეს ხალხის რევოლუციური ბრძოლა, ახლის დამკვიდრების სიძნელეები, სოფლის სოციალისტური გარდაქმნები, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხი, ინტელიგენციის დამოკიდებულება რევოლუციურ გარდაქმნასთან დიდი სამამულო ომი თუ სხვა. რაც მთავარია, ყველა ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მწერლობის ყურადღების ცენტრში იდგა საბჭოთა ადამიანის ფორმირების პროცესი. საბჭოთა მწერლების შემოქმედების ხალხური ბუნება პირველ რიგში იხსნება სწორედ იმით, თუ ისტორიულად რამდენად სწორად და მხატვრულად რამდენად საინტერესოდ აისახა მასში ეს პრობლემებიცა და ეს პროცესიც. თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით გადავაგლებთ თვალს ისეთი ქართული მწერლების შემოქმედებას, როგორებიც არიან გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი, სერგო კლდიაშვილი, დემნა შენგელაია და სხვები, რომლებიც ქართული საბჭოთა ლიტერატურის წარმოშობის პირველივე დღეებიდან ხანგრძლივ აქტიურ სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდნენ და ეწევიან, აშკარა ვახდება, თუ რამდენად მკვიდროდ იყო დაკავშირებული ქართული მწერლობა ხალხის ცხოვრებასთან და რა მრავალმხრივად წარმოისახა ეს უკანასკნელი ქართველი მწერლების შემოქმედებაში. არცერთი ზემოთმინიშნებული პრობლემა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ხალხის საზრუნავ საგანს წარმოადგენდა, არ დარჩენია ქართულ

მწერლობას უყურადღებოდ და ამიტომაცაა, რომ იგი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობრივი და სულიერი ფორმირების პროცესის მხატვრულ ისტორიად. ამ მხრივ ყველა ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედების ხალხური ბუნება ერთნაირია, თუმცა, რასაკვირველია, მეტ-ნაკლები სიძლიერისა და ხარისხისაა. მაგრამ, ხალხურობას თავისი კერძო, ინდივიდუალური მხარეც გააჩნია, რომელიც შეპირობებულია მწერლის შემოქმედების ინდივიდუალური თვისებებით. საკმარისია გავიხსენოთ თუ რამდენად განსხვავებული მანერისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონენი არიან ის ქართველი მწერლები, რომლებიც დღეს ასე ნაყოფიერად მოღვაწეობენ, მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდია და დემნა შენგელაია, გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი, სერგო კლდიაშვილი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ირაკლი აბაშიძე და სხვები, რომ ნათელი ვახდება თუ რა სხვადასხვანაირად, სხვადასხვა კუთხით შეიძლება გამომქვადვდეს მწერლის შემოქმედების ან თუნდაც ერთი ნაწარმოების ხალხური ხასიათი.

გიორგი ლეონიძის ჭეშმარიტ ხალხურ ინტონაციებზე დაფუძნებული შესანიშნავი პოეზია, რომელიც მთის მდინარესავით ლალად მოედინება და თან მოაქვს ერის, ხალხის გრძობა და განცდა, შვება და ლხენა, გული და გონება ან სიმონ ჩიქოვანის დინჯი, ღრმა აზრითა და ფიქრით აღბეჭდილი, ჩუმი მომხიბლაობით სავსე პოეზია, თავისთავად ცხადია, არ არის ერთგვაროვანი საერთოდ და, კერძოდ, ხალხურობის თვალსაზრისითაც, თუმცა მსოფლმხედველობრივად სავსებით თანხვედრილები არიან. ლეო ქიაჩელმა და კონსტანტინე ლორთქიფანიძემაც ერთ პრობლემას უძღვნეს თავისი შესანიშნავი რომანები „გვადი ბიგვა“ და „კოლხეთის ცისკარი“, კერძოდ სოფლის ცხოვრების სოციალისტურ გარდაქმნას და ახალი შეგნებისა და ფსიქიკის ადამიანის ფორმირე-

ბის პროცესს, მაგრამ რამდენად სხვადასხვანაირად არის ეს პრობლემა გადაწყვეტილი ამ ორ რომანში. სერგო კლიაშვილის „მყუდრო საფანე“ და ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირ“, რომლებიც რევოლუციის რთულ ეპოქაში ქართველი ინტელიგენციის ბედს ეძღვნება, სულ სხვადასხვანაირად წარმოგვასახავს და სხვადასხვა მხრიდან გვიჩვენებს ამ საკითხს. მაგრამ, ყველა აქ დასახელებული რომანი თუ სხვა ენარის ნაწარმოები, მიუხედავად მთელი მათი განსხვავებულობისა, მსოფლმხედველობის თვალსაზრისით ერთი პოზიციიდან არის დაწერილი. თუ უფრო შორს წავალთ საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში, დავინახავთ, რომ სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, როდესაც საბჭოთა ლიტერატურის მხატვრული მეთოდი ვერ კიდევ არ იყო ყველასათვის თანაბრად გასაგები და ნათელი, სულ სხვანაირად ვლინდებოდა ლიტერატურაში ხალხურობა. თუნდაც მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და „ქალის ტვირთი“ ან „არსენა მარაბდელი“ რომ შევადაროთ ერთმანეთს, ცხადი გახდება თუ ხალხურობის თვალსაზრისით რამდენად მნიშვნელობა აქვს მწერლის მსოფლმხედველობას, იმ მხატვრულ მეთოდს, რომელსაც იმარჯვებს იგი ამა თუ იმ ნაწარმოების შესაქმნელად.

საბჭოთა მწერლობა მოწოდებულია მთელი თავისი შესაძლებლობითა და მხატვრული წარმოსახვის ძალით, ემსახუროს ხალხის, პარტიის დიდი საქმისა და მიზნის განხორციელებას. ლიტერატურის შემოქმედებითა და მისი კეთილნაყოფიერი გავლენა სწორედ პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებისადმი ერთგულებითაა განპირობებული. ამიტომაც იყო, რომ პარტიის ისტორიული ოცდამეორე ყრილობის ტრიბუნიდან ასე დაბეჭითებით გაისმოდა მოწოდება ჩვენი მწერლებისადმი კიდევ უფრო მეტი ენერჯიით ემსახურონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეს, პარტიული პოზიციებიდან.

ოცდამეორე ყრილობამ ჩვენი საზოგადოების განვითარებაში ახალ ისტორიულ პერიოდს მისცა დასაბამი, დაიწყო გადამწყვეტი შეტევა კომუნისმის მწვერვალის დასაპყრობად, ყალიბდება ახალი კომუნისტური საზოგადოების აღამიანი და მწერლობას ამ დიადი გარდატეხების ნათელი სურათების შექმნის საქმეში ერთადერთ სწორ გეზს აძლევს ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის შეუვალი პრინციპები.



პ. მაჭავარიანი

რომანი და ცხოვრება

(ლენინგრადის სიმპოზიუმის მონაწილის შენიშვნები)

მწერალთა ვეროპის გავრთიანებაში, თავისი არსებობის მთელ მანძილზე, ამა წლის ავგუსტის დასაწყისში, პირველად მოაწყო მსჯელობა თანამედროვე რომანის პრობლემებზე. ჩვენი პერიოდული პრესა ფართოდ აშუქებდა ლენინგრადის სიმპოზიუმის შემთხვევას. გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე დაიბეჭდა ანა მარტო საინფორმაციო მასალა, არამედ ყველა ორატორის გამოსვლა, რომლებმაც თავიანთი მოხსენებები გაზეთებს გადასცეს. ვეროპის გავრთიანების ლენინგრადის გაფართოებული სესიის წინ ჩვენს ლიტერატურულ ჟურნალებში გამოჩნდა დასავლეთში რომანის პრობლემაში მიძღვნილი შრატეალი საინტერესო გამოცემა. ეს საკითხები ლენინგრადში შეგვედარების შემდეგაც იქცევენ ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკოსების ყურადღებას.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი დიდი ინტერესი რომანისადმი შემთხვევითი არაა და რაიმე ლიტერატურულ-კონიუნქტურული მოსაზრებებით არ არის გამოწვეული. პროზაული თხზულებანი, და მათ შორის რომანი, ლიტერატურის უძველესი ჟანრია. სხვა ცნობილ მავალითებს რომ არ მივმართოთ, თვით საქართველოში მას, სულ ცოტა, თხუთმეტი საუკუნის ისტორია აქვს. რომანისადმი ინტერესი მუდამ ლეივის და არც ახასოდეც ჩაქრება, ეიდრე არსებობს მოაზროვნე და შემოქმედი ადამიანი. თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში, როცა ყველაფერ მასიურად ისპობა წერაკითხვის უყოღინარობა, ფართოდება ინტელექტუალური სამყაროს საზღვრები, მილიონობით ადამიანი უწყალება ცოდნას, ცდილობს შეიცნოს მის გარშემო არსებული ბუნება, საზოგადოება, საყუთარი თავი, რომანი არსობის პურად იქცევა. ლენინგრადში და ჩვენთან საქართველოშიც ე.პ. სარტრმა ბევრი ილაპარაკა შეთხველი მასების სტრუქტურაზე და თანამედროვე ადამიანის საყოველთაო ლტოლვაზე წიგნისაყენ. სოციალისტურ სამყაროში ეს ლტოლვა სრულ მხარდაჭერას პოვებს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების

მხრივ და, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, რომანისტები, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდის პრინციპებს ემყარებიან, მუდამ შეითხველზე ფიქრით ცხოვრობენ. კავტალისტურ სამყაროში კი წიგნისადმი ფართო მასების ინტერესი შექანიერად იყვეცება და, რაც მთავარია, ემყოფილდება დაბალი ლირებულენის ლიტერატურით; სოლო ზოგი, ნამდვილად ნიჭით დაჭიდლებული მწერალი იყეტება ექსპერიმენტატორობის, განყენებული მეტაფიზიკური სპეკულაციების და თვითშეზღუდვის სფეროში, თავს ძალას ატანს, გურბის მასობრივ შეითხველს და ე.წ. ინტელექტუალურ ელიტს აფარებს თავს. ლენინგრადში ასეთები არ ჩამოსულან, ან თუ იყენებერთხელ, მაგრამ დასავლეთში ხომ ცხოვრობენ ლიტერატურული სნობები, ვი-თეორეტიკოსები, რომლებიც თვორიულ ციხე-დარბაზებს აგებენ და ამტკიცებენ, რომ სწორედ შეითხველთა სიფართოვე ზღუდავს ლიტერატურის, პროზისა და რომანის ხარისხსო.

როგორც არ უნდა იყოს, ლენინგრადში დავა არ ყოფილა იმაზე-იარსებებს თუ არა რომანი. სიმართლე უნდა ითქვას, ასე საკითხი არც არავის დაუსვამს, თვით „ანტირომანისტებს“, „ნეორომანისტებს“, ან როგორც მათ ფრანგი ლიტერატურის კრიტიკოსი ბერნარ პენვო უწოდებს, „პრორომანისტებსაც“ კი. იქ საკითხი იდგა ასე, და ახლაც დგას, — როგორი უნდა იყოს რომანი, რას და როგორ უნდა გამოხატავდეს იგი, და სწორედ აქ იჩინა თავი პოზიციითა სხვაობამ და არა მარტო სოციალისტური რეალიზმის მომხრეებსა და „ახალი რომანის“ ადვოკატებს შორის. „ახალი რომანის“ მიმდევრებს არ უთანხმებოდა თანამედროვე დასავლეთის კრიტიკული რეალიზმის ბევრი წარმომადგენელი, კერძოდ, იტალიის დღევანდელი უმრავლესობა და მგონი ყველა ინგლისელი, რომანისტი და კრიტიკოსი. მეტიც შეიძლება ითქვას, „ახალი რომანის“ წარმომადგენ-

ლები" ამ სიმპოზიუმზე ერთგვარად „ბრწყინ-ვალე იზოლაციაში“ მოპყვენენ.

ლენინგრადის დისკუსიის დროს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, თავი იჩინა შავალმა რთულმა და საინტერესო პრობლემამ, რომელთა შესახებ ოთხ დღეში არ შეიძლებოდა არამც თუ შეთანხმება, არამედ საკითხების შემოფარგვლაც კი. დასაწყისისათვის იქნებ სწორი იყო, რომ სადისკუსიოდ საკითხი დაისვა ჰალიან ზოგადად—თანამედროვე რომანის პრობლემები*, მაგრამ მსჯელობაში გაირკვა, და ეს განაგები იყო სიმპოზიუმის თითქმის ყველა მონაწილისათვის, რომ შემდგომ შეხვედრებზე საჭირო იქნებოდა, მაგ. აი ასეთი საკითხების განხილვა: რომანის ფილოსოფია, რომანის სოციოლოგია, თანამედროვე მეცნიერება და რომანი (ამ საკითხის სპეციალურად განხილვის აუცილებლობაზე ილაპარაკეს ე.პ. სარტრმა, რომელმაც ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსმა ოილ კროსმელნიხანდემ, რომელმაც ერთგვარი ყველაზე საინტერესო სიტყვა წარმოთქვა სიმპოზიუმზე, დ. გრანინმა, ვ. აქსონოვმა და სხვებმა); რომანის პოეტიკა, ტრადიციისა და ნოვატორობის ურთიერთმიმართება; შემოქმედების ფსიქოლოგია („ახალი რომანის“ წარმომადგენლები საფრანგეთში არაერთ გონებაშევილურ აზრს გამოთქვამენ თბრობის აქტის შესახებ). პირადად მე მგონია, რომ ჩვენ, ევროპული გავრთიანების საბჭოთა წევრებს, სპეციალურ სიმპოზიუმზე იქნებოდა ეს თუ უბრალოდ საუბრებში, გვიართობდა უფრო სრულად, ზუსტად და ფართოდ გავუმარტა ჩვენი შეხედულებანი ლიტერატურის ხალხურობის, პარტიულობის, მწერლის ტენდენციურობისა და სხვათა შესახებ. იმ საუბრებიდან, რომლებიც ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა ლენინგრადში, მისოვსა და იასნაია პოლიანაში ბევრ ჩვენ დასაყვალ კოლეგასთან, და არა მხოლოდ მათთან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ

იმ დიდ ნაყოფიერ და ღრმაშინაარსიან დისკუსიებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში იმართებოდა ამ საკითხებთან დაკავშირებით! მთელ რიგ შემთხვევებში, სრულიად არ იცნობს ბევრი მწერალი, ან თუ იცნობს, იცნობს ისეთი წყაროებიდან, რომლებიც განგებ ამახინჯებენ ჩვენს პოზიციას. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგები სრულდებიან არ იცნობენ მარქსისტული ესთეტიკის, ლიტერატურისმცოდნეობის და ფსიქოლოგიის მრავალ საკითხს, კერძოდ კი, ქვეყნობიერების სფეროს პრობლემას, რომელსაც საქართველოში ექსპერიმენტულად სწავლობს, მაგ. აკადემიკოსი დ. უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლა და აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიური სკოლა.

ლენინგრადის დისკუსიამ თვალსაჩინოდ დაგვანახა ყველას, რომ ჩვენ „ახალი რომანის“ ფილოსოფიის, ესთეტიკის და პოეტიკას უარყოფთ არა იმიტომ, რომ მის შესახებ არაფერი ვიცით, თვალსა ვხედავთ მათ ძიებებზე ან ამას გვაძიებებს ჩვენი მკითხველებისა და მწერლების „ღონე“, არამედ იმიტომ რომ „ახალი რომანის“ თეორიულ დასაბუთებას პირველადენი ავტორსიცნობის გარეშე თეთრი წვერი აქვს. ხოლო ფრანგული რომანის ამ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენლების პრაქტიკა, მიუხედავად მათი უტყუარი ტალანტისა, უფრო და უფრო ღარიბდება, და ეს ხდება იმიტომ, რომ ისინი დაფიქრები ეპოტინებიან სუბიექტურ-იდეალისტურ წარმოდგენებს. როდესაც კლდე მორიას, ლენ რობ-გრანის, მ. ბიუტორს და თვით ნ. სარტრს კითხულობთ, მუდამ თან გდევთ გრძნობა, რომ მათი ანემებელი, ცრუ ფილოსოფიურ-ესთეტიკური პოზიცია და ე. წ. „ნოვატორული პოეტიკა“ დამოკლებს მახვილივით ემუქრება ამ მწერლების შექმნილებებს, რომლებიც ასე შესანიშნავად ფლობენ შობილიერ ენის სტიქიის. მიუხედავად კუყამილიური და აკვიტებული იდეებისა, ეს მწერლები თავიანთი მწერლური ტალანტის შინაგანი ლოგიკით მკითხველის თვალწინ შლიან იმ ადამიანის საკმაოდ საინტერესო სამყაროს, რომელიც, მართალია, ჩვენთვის უცხოა, მაგრამ მაინც ადამიანია. ეს ადამიანი დამოკლებულია კომპარატივით, ზმანებებითა და ჩვენებებით. ყოველივე ამის ფსევები ძვეს არა „პრეტენობიერების“ ან ქვეყნობიერების სფეროში, არამედ კაპიტალიზმის საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების პირობებში, რასაც, აქვე უნდა ითქვას, იმავე „ახალი რომანის“ წარმომადგენლები ასე თუ ისე კრიტიკულად ეკიდებიან.

ახლა ჩვენ უკვე ერთ მტრად მნიშვნელოვან საკითხს შევადრეკთ, და ეს საკითხია, რასაკვირველია, განმარტებას მოითხოვს. აღენ რობ-გრანი თავის გამოსვლაში ლენინგრადის სიმპოზიუმზე, ზრდილობიან ფორმებში მტკიცედ იცავდა თავის პოზიციას (იგივე თვალსაზრისი,

1) ფრანგულ ყოველკვირულ „ექსპრესში 1963 წ. 22 აგვისტოს გამოქვეყნდა სიმპოზიუმის მონაწილის ბ. პენვოს სტატია, რომელიც ერთგვარად აყამებდა და ფასებდა სიმპოზიუმის შეშაობას. მე ახლა არ შეუძლებს ამ სტატიის შეფასებას. ბ. პენვო თავის სტატიაში ცდილობს იყოს მაქსიმალურად დილობატიური და სიმპოზიუმის შესახებ მსჯელობს „ექსპრესისათვის“ დასაწყებ ფარგლებში. იგი წერს: „ახალი რომანის“ დასაყვალ ერთულელოვნება არ გამოუწვევია. ისეთი მწერლები, როგორცია ენდუს უილსონი, ან როგორც კიუი, უფრო მეტ სიაბლოეს გრძნობენ რუსულ „პუბლიწმონა“ (ეს ბრქვილები ვახლავ სწორად „ექსპრესისათვის“ მიცემული ხარკი—ე. მ.) ვიდრე იმ ლიტერატურულ ძიებებთან, რომლებიც მათი აზრით მეტიმეტად ექსპერიმენტულა“.

ოღონდ როგორც ეს ჩვენ ვგვონია, ახლა უკვე მკაცრი პოლიმეტრი ფორმით, და გულმოსულმა მან გამოთქვა „ექსპრესში“ 1963 წ. 19 სექტემბერს).

რას ამტკიცებს რომ-გრიე? — „ჩვენთვის ლიტერატურა არის არა გამოხატვის საშუალება, არამედ ძიება, და მან არასდროს არ იცის, რას ეძიებს. მან არ იცის, რისი თქმა უნდა. პოეზია ზელოვნებაში — ჩვენთვის ეს არის გამოგონება, გამოგონება სამყაროსი და აღამიანისა, უსასრულო გამოგონება და უსასრულო მგრეობა“. ეს გამოთქვაში ლიტერატურის არსის შესახებ, სამწუხაროდ, მოკლებულია სიღრმის და ისეთივე ძველია, როგორც ეს წუთისოფელი, შემდეგ რომ-გრიე, მართალია, ამტკიცებს, „რომ მწერლები პოლიტიკაში სუსტები არიან“, მაგრამ იქვე პოლიტიკურ თემებზე მოაქვება მსჯელობას. ეს ახლადმოკლებული ორკუთხედი გვაქმნობს, რომ „მწერალი, ისევე როგორც ყველა სხვა ზელოვნება, არ შეუძლია იცოდეს, რას ემსახურება... ლიტერატურა მისთვის არ არის ის საშუალება, რომელიც მას შეუძლია დააყენოს რაიმე საქმის სამსახურში... რომანი თუ პიესა იარაღი არ არის და საზოგადოების თვალსაზრისით მას, აღმათ, არც ეს შეუძლია დიდი სარგებლობის მტანა“. ბუნებრივია, ისმის კითხვა—რისთვისაა არსებობს ლიტერატურა, რატომ არ მოქიდებს რომ-გრიე ზელს თავის პარადპირ პროფესიას—სოფლის მეურნეობას, — ის ხომ პროფესიით აგრანომია.

მაგრამ რომ-გრიე წერს „ზოგჯერ არც თუ ცუდად, წერს რომანებს, სცენარებს. სურათებსაც კი დგამს („უცდღავა“). რისთვის? თურმე, ნუ იტყვით, და იმისთვის, რომ „ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვიანტერესებს ლიტერატურა (ან კინო), რომ წიგნების, პიესების, ფილმების ფორმა ჩვენ უფრო მნიშვნელოვანად მიგვაქმნია, ვიდრე თვით ეს ანტიფანსიურია განწყობილებანი, რომლებიც მათში შეიძლება ნახოს კაცმა, რომ შემოქმედების მოძენაში ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს ჩვენ მიერ შექმნილი ფორმები, და მით უმეტეს, არ ვიცით რას გაუწავდნენ ისინი სამსახურს“. ესეც უცნაურად წერილმანი ფილოსოფიაა, თუმცა მკვარ-მკვარი სიტყვებით კია ნათქვამი. რომ-გრიე, რომელიც ცუდად ერკვევა პოლიტიკაში, უარეს პოლიტიკის კიდებს ზელს—პოლიტიკაობას, ზელოვნა შემოგვლადებს „როგორ შეუძლია ლიტერატურას ფეხდაფეხ სდოს პოლიტიკის ყოველგვარ რუქვას?“ და ასევე „პოლის და ბოლოს, პოლიტიკა ჩვენ სულაც არ გვიანტერესებს!“

მინც რითი არიან გართულნი პოლიტიკის გარეთ მდგომი, „წმინდა ლიტერატურის“ ეს ახლადმოკლებული მოძღვრები? თურმე ძიებით. „ჩვენ, — წერს რომ-გრიე „ექსპრესში“, — გამოხიზნებთ ჩვენს ძიებებს, ჩვენს იპებს,

ჩვენს წინააღმდეგობებს, ჩვენს სიხარულს, გამოწვეულს იმის შეგნებით, რომ ჭერ კიდევ ძალა შეგნწვის რამის გამოგონებაში“.

რალს ავითებენ საბჭოთა მწერლები? ისინი თურმე „XIX საუკუნის რომანის ტყვეობაში იმყოფებიან“, და „კანონის ძალაზე აყვით წარსულის ფორმები და თაყვანსა სცემენ ტოლსტოის“.

ამრიგად, „ახალი რომანის“ ადებტები ახალს ეძიებენ, ცდები აყენებენ, ცდილობენ დინამიზონ „ახალი რეალობა“. ჩვენ კი, რეტროგრადები და ტრადიციონალისტები, ზედაპირზე დაეცურათ, მაშინ, როცა ისინი აღამიანისა და მისი ყოფიერების „არსისა“ და „საიდუმლოებას“ ამოცნობისათვის შეცადინებენ; არ კმაყოფილებიან შეგნებულობის სფეროს აღწერით, რადგან, როგორც ამტკიცებენ, ეს სფერო უკვე მრავალჯერ გვიჩვენეს კლასიკოსებში. ამით კი უნდათ განაგრძონ პრუსტის, ჯოისის და ზოგ რამეში კაცვას ძიებანი. ცდილობენ განაგრძონ ზოგერთი ტრადიციები, რომლებიც მოცემული იყო ადრეულ ფოლკნერთან, დოს-პასოსთან და სელინთანაც კი. ჩვენ კი გენიოსების ვადამღერებით ვართ გართულნი, თუნდაც იმავე ტოლსტოისა. და ეს ვადამღერება უბერიო გამოლის, რადგან ისინი პირველადმოჩენები იყვნენ, ხოლო მათი გამგრძელებები პოტენციალურად იქნება გენიოსებიც არიან, მაგრამ რადგანაც პრინციპიალურად გამოიყვანს მოქიდეს ზელი და არა ძიებას, ტყუილად შერებიან და ხარკავენ თავიანთ ტალანტს.

რომ-გრიე სიმპოზიუმზე ამბობდა, რომ ისინი „წერენ არა უკვე ცნობილ ფასეულობათა განსამტკიცებლად, არამედ ახლის აღმოჩენად. მწერლის პასუხისმგებლობა სწორედ ამ ძიებაშია. ის პასუხს აგებს თავის გამოხატვის საშუალებებზე, ფორმებზე, რომელიც ის თხზავს, და იმ მოჩვენებით სამყაროზე, რომელიც ამ ფორმებშია წარმოდგენილი, და თუ მისი ინტერესები სწორია, ისინი ადრე თუ გვიან, მაგრამ მაინც დადასტურდება. მკითხველი მას უნდა მიჰყვეს.“ „რომანი, — ამბობდა სიმპოზიუმზე იტალიელი მწერალი ვიკო პიოვენი, — ეს არის შეგნებისა და აღმოჩენის საშუალება. მე მხოლოდ ერთი მაინტერესეს: მიუვამტო რამე თუ პირიქით — დაეანგრო რამე“. თითქმის პენგლოც კი „ექსპრესში“ გამოვეწვევებულ სტატიაში, მართალია, ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც საჭიროდ თვლის გამოყვამათოს რომ-გრიესა და პიოვენეს პოზიციას. იგი წერს: „ასეთ პოზიციადი იმალება არა ნაკლებ საშიში მარტოობის საფრთხე, რადგან, სინამდვილეში ისინი არ წერენ „იმისთვის, რომ წერონ“, და თუ მათ თვით ურთიერთობას ურთიერთობის საშუალებები ურჩვენიათ, ხოლო შინაარსს ფორმა განსაზღვრავს და ყოველივე ეს არ წარმოადგენს ურ-

თეორიზმისა და გაცეცხლ-გამოცეცხლის საშუალებას, მაშინ ლიტერატურული ძეგა სასიყვდილოდ ყოფილა განწირული“.

„ახალი რომანისტები“ ამტკიცებენ, რომ რომანის განახლებისათვის საჭიროა უკან დაბრუნება „წმინდა“ და „ღაბინტერესებულ“ ხელოვნებისაკენ.

სხვათა შორის, „ახალი რომანისტებისათვის“ წმინდა ხელოვნება არ არის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ნ. სარობის და განსაკუთრებით როზ-ვრიეს არ იზიდავს გამოცემილი ლიტერატურული ნაყაბის თვითგმარის სილამაზე. საქმე ისაა, რომ ისინი ხელოვნებიდან და ლიტერატურიდან ერეკებიან თვით მშვენიერების ცნებას და არსებითად მხატვრული შემოქმედების სტრუქტურისათვის ჭადავებენ. „ახალი რომანისტების“ ქმნილება ესთეტიკური განცდისა და ადამიანის უშუალო ხედვის არცერთი კუთხისაკენ არ არის მიმართული, ვი პირქმინდად ვონების ქმნილება და თავისი არსებით „ასკეტურია“ (იხ. ხ. ველოცის მგზად საინტერესო და დასაბუთებული სტუტია — «На холостом ходу», ურნალი» «Иностранная литература» № 1, 1963 წ. გვ. 179).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოდერნისტული ხელოვნების თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების ყველა არგუმენტი და საბუთი ყურადღებით შეისწავლა, გაანალიზა და უკუაგლო საბუთთა ფილოსოფიურმა აზრმა, ლიტერატურისმცოდნეობამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ.

მაგრამ ჩვენ მაინც ვავიშორებთ იმას, რაც უკვე არა ერთხელ ითქვა ჩვენში ამ საკითხებთან დაკავშირებით. უბრაველეს ყოვლისა, რას ნიშნავს ძიებისა და გამოხატვის საშუალების დაბრუნებისაკენ, რომლის შესახებაც ა. რომგრიე წერს, თუნდაც რომ „გამოხატვა“ გვესმოდეს ისე, როგორც ის ესმოდა იტალიელ ფილოსოფოსს ბენედეტო კროჩეს?

ბ. კროჩეს „გამოხატვა“ ესმის არა მარტო როგორც სიტყვიერი გამოხატულებანი ენაში, არამედ როგორც არასიტყვიერი გამოხატულებანიც: „შთაბეჭდილებების ობიექტუაცია ფერების, ხაზების, პლასტიკური ფორმების, ბეჭდების მოძრაობის და სხვათა ილქმში, „გამოხატვის“ ცნება, ამგვარად, მოიცავს ადამიანის — ორატორის, მუსიკოსის, ფერწერის და სხვათა, — ყოველგვარ გამოვლინებას (იხ. В. Ф. Асмус. Проблема интуиции в философии и математике, М. 1963, стр. 137).

ილბათ მხოლოდ „ახალი რომანში“ თუა შესაძლებელი ძიებისა და „გამოხატვის“ ცნებების დაბრუნებისაკენ. თუ ჩვენ ამ ცნებების სერთოდ მიღებული მნიშვნელობით ვიმხარბ და მისტიფიკაციის არ მოვუკვებით, მაშინ ასეთი დაბრუნებისაკენ უაზრობაა. განა თვით რომგრიე არ ამბობდა სიმპოზიუმზე, რომ მწერა-

ლოან ძიება გამოხატვის გზით შეღავდებოა. მერე კიდევ, არცერთ თეორეტიკოსს და პრაქტიკოს-რომანისტს, რომელიც სიტყვიერ რეალიზმის პოზიციებზე დგას, არსად და არა-სდროს არ უარუყვია არც ექსპერიმენტობა და არც მხატვრული გამოხატვის საშუალებებისა და იდეების ძიება. მე, რასაკვირველია, მხედველობაში არა მყავს ობსკურანტები თეორიაში და გრაფიკანები პრაქსიაში, — მათ შესახებ სიმპოზიუმზე დამაჯერებლად ილაპარაკა ა. ტვარდოვსკიმ. ჩვენ სულ სხვა რამეზე ელაპარაკობთ, კერძოდ, იმაზე, თუ რა ხასიათისა შეიძლება იყოს ექსპერიმენტი არცერთი სტრუქტურული მეცნიერი არ დააყენებს ცდას ისე, თუ აღინიშნავს მიღწევები — არ გაითვალისწინა. ა. ეინშტეინს ნიურნის მექანიკა კი არ უარუყვია, არამედ გამოიყენა იგი თავის ფარდობითობის კერძოდ და ზოგად თეორიაში.

რა საჭიროა ექსპერიმენტობა, თუ კი à priori ცნობილია, რომ საწყისი პოზიციები ვერავითარ შედეგს ვერ მოგვცემს? არა მგონია, საჭირო იყოს ექსპერიმენტობა perpetuum mobile-ს კონტრუქციებზე აბსტრაქციებზე. აბსტრაქტიზმის, სხვადასხვა მიმართულების მოდერნისტების და სხვათა და სხვათა ექსპერიმენტების საწყისი პოზიციები კი პირქმინდად უარყოფენ დადებით შედეგების მიღების შესაძლებლობას, რადგან ამართულად, პრინციპში, მცდარნი არიან. ისინი ექსპერიმენტიდან გამოიციხავენ ცნობიერების ელემენტებს და არსებითად ქვეცნობიერი საშუაროს საშუალებით ახდენენ ოპერაციას. ამასთან, რაც მთავარია, ამ „დაქუცმაცებულ რეალეობის“ ქვეცნობიერი საშუაროს გამოხატვის ისინი ხომ სიტყვის საშუალებით ახდენენ; სიტყვა კი აზრის რეალობაა, ვი ბოლოს და ბოლოს საგნის ნიშანია და ცნებას გამოხატავს. და რამდენიც არ უნდა ცვეცალი მისი პირობითობის წყალობით, მას მაინც აქვს ობიექტური მნიშვნელობა. ჩვენ სრული სფერევილი გვაქვს ვკითხოთ, რომელსაც გნებავთ ე. წ. ექსპერიმენტატორ-რომანისტს, როგორ ანიჭებთ ობიექტურობას თქვენს სუბიექტურს, აღქმას რომ თავი დაგანებოთ, თუნდაც პირობითი რეალობის საშუაროს, ქვეცნობიერი საშუაროს შეგრძნებას? სიტყვის საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს, და რადგანაც თქვენ მას ხმარობთ, ვალდებულნი ხართ ადამიანს გონებისა და გრძნობათა საშუაროსათვის მისაწოდოთ, თუნდაც სიტყვა-სახის, სიტყვა-სიმშობის საშუალებით, ვეინვენოთ ის სურათი, რომელიც თქვენ ნახეთ. მაგრამ თუ ეს არ გამოდის და საშუაროს სახის ნაცლად დროსა და სივრცეში გაფანტული სუბიექტური შეგრძნებების ქაოტიურ გროვას გვიჩვენებთ, მაშინ სად არის კემარტებისა და

მხატვრული სინამდვილის ის კრიტიკულში, რომელიც თქვენ შეთავსებისთვის უნდა მიგვართოს. ასეთი განზრახვა კი თქვენ ნამდვილად გავით. ეს რომ არა, მაშინ რა საჭიროა წერა, რა საჭიროა ეს შემოქმედებითი ტანჯვანი და საიდუმლოებანი, რომელთა შესახებაც ასე სიტყვაყაზმულად ლაპარაკობდა ბერნარ პენვო სიმპოზიუმზე და არა ნაკლები შთავგონებით წერდა თავის სტატიაში „ლიტერატურა დღეს“, რომელიც „Dictionnaire anthologique et critique“-ში იყო დაბეჭდილი. სწორად წვნიშნავდნენ ფრანგი კრიტიკოსები ედუარდ ლაბი და ანდრე სოვეი, რომ, მაგალითად, ნატალი საროტი „მეისწყრაფის ქალაქზე ვალდატანოს მეტყველების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ყველაზე ნაკლებია მოფიტვებული და აზრით დატვირთული, გაცვეთილი სიტყვების ამაღლება, შტამპები... უნა, რომელიც ამ გზით ლაღშია ამოვლებული, კარგავს თავის ობიექტურ შინაარსს და ლოგიკურ მნიშვნელობას... მისთვის (ნ. საროტისთვის — ე. მ.) სიტყვები, მათი ობიექტური მნიშვნელობა, არაფერს არ წარმოადგენს. ერთადერთი რეალობა შევგნებულ მეს ღრმა რეაქციებსა აქვს. ენა აღარ არის აზრების, გრძნობების და იდეების არგანიზაციის გადაცემის საშუალება, იგი აღარ არის მათი პრაქტიკული ცხოვრების ობიექტური ელემენტი... ბერსონაეებს შორის არსებული დამოკიდებულებანი სუბიექტივისტურ რეაქციებამდგა დაყვანილი, ამდენად, ისინი შეუძლებელი ხლებიან და ნათელ ფორმულიზაციას ელარ მკვემდებარებანი. ამიტომ არის, რომ მათ დასახასიათებლად, თუნდაც ძალიან ბუნდოვან ფორმებში, მაგრამ მაინც, ნატალი საროტი მომართავს მკენარეულ და ცხოველთა სამყაროსთან შედარებას და ხშირად ყველაზე მეტად დაბალ ფორმებსაც ირჩევს სამაისოლად.“

ნატალი საროტის უკანასკნელ რომანში „ოქროს ნაყოფი“ („Les fruits d'or“) მავლი ეს ფილოსოფიური და ესთეტიკური კონცეფცია თავის ლოგიკურ ბოლომდგა მიყვანილი. ფრანგმა კრიტიკოსმა ფრანსუა ერვალმა შენიშნა, რომ ამ რომანში „აგტორმა თანებისი ნაწარმოებიდან ამოღო ის, რაც ჩვეულებრივ რომანის არსებას წარმოადგენს. ჩვენ ტყუილად დაეშვრებოდით, „ოქროს ნაყოფი“ პერსონაჟები და სიტუეტები რომ გვეტებნა. ნატალი საროტიმ დაწერა აბსტრაქტული რომანი ამ აზრით, რა აზრითაც ფერწერაზე ამბობენ, რომ ის აბსტრაქტულია.“

ის, რაც ვერ კიდევ 1956 წელს „იქვების ერამი“ თქვა ნ. საროტიმ ახლა გაიმეორა ლენინგრადის სიმპოზიუმზე. იგი ცდილობდა განეშარტა ჩვენთვის, რომ არსებობს სხვაობა ხილულსა და უხილავს შორის, გარეგან, სოციალურ, რაციონალიზებულ და ამდენად არა-

შეშარტ (sic?) ე. მ.) საქციელსა და ღრმულ მოძრაობებს შორის, რომლებიც მის განსაზღვრავენ, წარმოადგენენ მის ბუნდოვან და მერყევ სინამდვილეს. ისინი, როგორც ჩანს, იმიტომ არიან „ბუნდოვანი და მერყევი“, რომ არ არიან რაციონალიზირებულნი, ე. ი. შეგუენების სფეროს შიგნით კი არ იმყოფებიან, არამედ საღდაც სხვაგან და ეს სხვაგან არის ქვეცნობიერების სფერო. ეს „ბუნდოვანი და მერყევი ღრმული მოძრაობები“ საგსებით ინდივიდუალიზებულნი არიან და მათთვის ობიექტური ხასიათის მიცემა ცალკეული მწერლის ინდივიდუალური გამოცდილების გზითაც კი შეუძლებელია.

განა შეიძლება ცდის დაყენება ამ აბსოლუტურად სუბიექტივისტურ და ნებისმიერ წინამძღვრებზე? ეინ უნდა გაუწიოს კონტროლი ამ ცდებს? აქ საქმეს ელექტრონის უახლესი გამოთვლითი მანქანებიც კი ვერაფერს უშეუღლიან. ჩვენ უაზროფთ ექსპერიმენტის ამ გზას, რადგანაც მის შეფყვარო იმ აზრობისაგან, რე Nichts —ისაგან, საიდანაც ცოდვილ მიწას იძულებული იყო დაბრუნებოდა პოლ ვალერის ფაუსტი. ჩვენ იმიტომ კი არ უარყოფთ ამ ცდას, რომ „მომეწიფებლები“ ვართ, მის დასაყენებლად, არამედ სწორედ პირიქით, რუსულში და მსოფლიო ლიტერატურამ გამოსცადა იგი და ვერავითარი დაღებით შედეგი ვერ მიიღო. დოქტორ ზიგმუნდ ფროიდის ცდებით დაგვიანებულა გაცაცება არავითარ სიხლეს არ წარმოადგენს ის თანამედროვე მოდერნისტი ლიტერატურული მიმდევრებისათვის, საქმე ისაა, რომ ეს ვენელი ექიმი ძალიან საინტერესოა ექსპერიმენტატორი, მაგრამ უცნურად შეზღუდულ ფილოსოფოსი იყო და ქვეცნობიერის ის სფერო, რომელზეც იგი ყურადღებას ამახვილებდა, დღეს შესწავლება არა მარტო შევარსნებათა, არა მარტო აბსტრაქტული და ქაოტური სამყაროს გზით, რომელიც ანალიზს არ ემორჩილება, არამედ ფართოდ დაყენებული ცდების საფუძველზეც. ეს ყოფილება ჩვენშიც — საბჭოთა კავშირშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და, თუ გნებავთ, თვით საფრანგეთშიც. ჩვენ ვერჩეოდით ჩვენს ფრანგ კოლეგებს ჩაებდათ ჟურნალ „Revue de medicine Psychosomatique“-ში, სადაც ისინი ნახავენ, რა შორს წაიღია ქვეცნობიერის შესწავლა, ცდების დაყენების იმ პრიმიტიული ფსიქონალიზურ საშუალებებთან შედარებით, როცა ამ ფენომენზე ზიგმუნდ ფროიდმა მუშაობდა.

ქვეცნობიერზე საუბარი რომ მოვათავოთ, ერთი უნდა გვითხთ თანამედროვე მოდერნისტები: რატომ ჰგონიათ, რომ ქვეცნობიერი მხოლოდ კომპარტებში, ზმანებებში, საშიშრელებში, ბოდესა და შიზოფრენულ მდგომარეობაში ელინდება? ეს ზომ მის გამოვლინების

მხოლოდ ერთი სფეროა, ისიც პათოლოგიური სფერო, მაგრამ ვინ გამოჩინდა მისი გამოვლინება აქტიურ სფეროში, ადამიანის ნებით მოქმედებებში? რომელი მარქსისტა (ჩვენ ისევ პარტიზანული ომისკურანტებს, დომინანტობებს და უბრალოდ უცოდინარ ვაი-თეორეტიკოსებს) უარყოფს, რომ ბევრი ფსიქიკური აქტივობა არ არის აბსოლუტური, რომ ადამიანის გათვითცნობიერებულ მოქმედებას წინ უსწრებს რაღაც შეუამავალი მომენტები, რომლებიც ზღვას მის რთულ არა მარტო ფსიქიკურ, არამედ აგრეთვე ბიოლოგიურ და ბიოქიმიურ სტრუქტურაში. ამჟამად, მავალითად, არა მარტო პოპოლარულად ვარაუდობენ, არამედ ექსპერიმენტულადაც სწავლობენ ბიოლოგიურ პარადიკაუმის ცოცხალ ორგანიზმებს შორის. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ვინ დაამტკიცა, რომ მოდერნიზმების „ექსპერიმენტებში“ ერთი ნაბიჯით მიიწე წასწრებს წინ ყოფიერებას ამ სფეროს შევიწროების საშუალებით? აბსტრაქტიზმისა და ფორმალის, ულტრა-მოდერნიზმის ლიტერატურის თითქმის ათწლეულში გამოცდილებამ, ამავე ჯიხის, ეზრა პუნდის, პრუსტის, იონესკოს, ბეკეტის და სხვათა ცდებმა, (ყოფა აქ არაფერ შუაში უნდა იყოს), ერთი ნაბიჯითაც კი არ წაგვყავს წინ კვეცნობიერის საშუაროს ჰუმანიტარულ შესწავლას, იმ საშუაროს შესწავლას, რომლის შესახებაც ლ. სარტრმა თქვა, რომ ეს არის ერთადერთი ფენომენი, რომელიც შეიძლება შესწავლის ღირსა იყოს.

აქვე ისმის ძირითადი და პრინციპული საკითხი. ნუთნ რომანმა უკვე ბოლომდე ამოწერა ცნობიერი საშუარო, შემოქმედებელი ადამიანის, ბუნების გარდაქმნული ადამიანის საშუარო? როგორ შეიძლება გვერდი ავუარათ მსოფლიო ლიტერატურის არა მარტო კლასიციზმის, არამედ თანამედროვეების, დიდ გამოცდილებას? დასავლეთგერმანული ლიტერატურული პროცესის გათვალისწინებისა, რატომ უნდა გვეჩვენოს მხედველობაში მხოლოდ ჯოანის, პრუსტის, ეზრა პუნდის გამოცდილება და გვერდი უნდა ავუარათ დიდ თომას მანს, ფოლენერს, კემინგუის, სნოუს, პრისტლის, სტინბეკს, კოლდუელს, როგე მარტენ დიუვარის, მორავიუს, გუბოუპერის და სხვას მრავალს. მე აღარაფერს ვამბობ იმ პროგრესულ დემოკრატიულ ფრთაზე, რომელიც ყველა ხალხის ნაციონალურ კულტურასა და ლიტერატურაში არსებობს? როგორ შეიძლება გვერდი ავუარათ დიდი მრავალფეროვანი სამართა ლიტერატურის გამოცდილებას, რომლის შესახებაც საქმიად დამაყრებლად ილაპარაკა სიმპოზიუმზე ლ. ნოვიჩენკომ. მე ვუსმენდი სიმპოზიუმზე გამოსულ ზოგ ჩვენ დასავლელ კოლეგას და მეჩვენებოდა, რომ საყვედურები შეზღუდულობის, შეხედულებათა სიფიქროვისა და დომინანტის გამო, პირველ

რიგში, სწორედ მოდერნიზმის წარმომადგენლებისკენ უნდა იქნეს მიმართული.

აქვე უნდა შევნიშნო რამდენიმე, რომ ჩვენ ბურჟუაზიის ეპატორებს არ ვაწარმოებთ, არამედ ვებრძობით მათ გემოვნებას და ჩვენებს და ვებრძობით არა უაღბალ გაგებულ კვეცნობიერის, არამედ მატერიალიზმის პოზიციებიდან; არა ანარქისტული ნიჰილიზმის და პასიური კურეტის პოზიციებიდან, არამედ მოქმედების პოზიციებიდან. რომანი კი, როგორც ჩვენ გვესმის, სულერთია, ტრადიციული იქნება თუ ნოვატორული, უნდა ემსახურებოდეს ადამიანს, რომელიც ბუნებასთან ერთად საკუთარ თავსაც გარდაქმნის. ადამიანის განწირულობის, მისი შიშვე სვედრის კონსტრუქციის, ლაპარაკი მის ჰილოზებზე ეპიტელისტურად ყოფის პირობებში, თავისთავად კეთილშობილი საქმეა, მაგრამ ავადმყოფს მარტო დამშვიდება და დიაგნოზის გამოცხადება არ შეუძლია, მას მყურანლობა, აქტიური მყურანლობა სჭირდება, მყურანლობა სჭირდება მის ფსიქიკას, რომ იგი განწირულობის მდგომარეობიდან იქნას გამოყვანილი. ამ კეთილშობილ ამოცანას უნდა ემსახურებოდეს რომანი, უნდა ემსახურებოდეს ლიტერატურა.

რომანის დაწერა იმის შესახებ, თუ რა ძნელია მისი დაწერა, როგორც ამას კოლდ მორავიკი ავითებს, შესაძლებელია საინტერესოც არის პროფესიონალი ლიტერატორებისათვის, ისევე, როგორც ფელინის „რეანახევიკი“, ფილმი იმ ფილმის შესახებ, რომელიც მან ვერ გადაიღო. მაგრამ განა შეიძლება ასე შევზღუდოთ ხელოვნების და ლიტერატურის შემოქმედების სფერო? ხომ არ არის ლიტერატურისა და ხელოვნების ამგვარი ფაქტები მათი ავტორების შემოქმედების უძღურების ფაქტური აღიარება?

დასავლეთგერმანელმა მწერალმა ჰანს მაგნუს ენცენსბერგელმა თავის გამოცემაში კარგად გვიჩვენა, თუ რა უღრან ტევრში შეკვავს ზოგიერთი მწერალი „კვეცნობიერისადმი“ აპელირების დაუძლეველ სურვილს ენცენსბერგერი ახლა 33 წლისაა. იგი ნამდვილად ნიჭიერი, მოზარდენ და ინტელექტუალური მიმართულების პეტრა. თავისი ანტიფაშისტური განწყობის გამო მან დასავლეთი გერმანია კი მიიტოვა და ამჟამად ნორვეჯიაში ცხოვრობს. სიმპოზიუმზე წარმოთქმოლი სიტყვაში, ერთი საუბრების დროს ლენინგრადაში, მოსკოვში და იასნაია პოლიანაში იგი თავის თავსაც და სხვებსაც ეკითხებოდა, თუ როგორ მოხდა, რომ დიდი გერმანელი ხალხი ფაშისტური ბუნელების მოციქოლებს ანდებს წამოგო და გაუგონარ მხეცობას ჩაიდოდა. ენცენსბერგერი ნამდვილად შეტყუნდა, რაცა პესკარევის სასაფლაო ინახულა ლენინგრადაში, სადაც ბლოკადის დროს დაღუპული ლენინგრადალებმა დასაფლავებულნი.

„არავითარი ტაციონანური მისაზრებით არ შეიძლება ამ მხეცობის ახსნა, — ამბობდა ენციკლპედირი, — გამოჩინებული არ არის, რომ ეს ახსნას რაღაც ატავისტური მოვლენებით, რომლებიც ქვეცნობიერ სფეროში ძვეს, და ეს უნდა გამოავლინოს იმ ლიტერატურამ, რომელიც პრინციპულად უარს არ ამბობს ქვეცნობიერი ფენომენის გაგების ცდაზე“.

ასეთი შეხედულება, ენციკლპედირზე ბევრად უფრო ადრე, გამოთქვა ცნობილმა ამერიკელმა ბურჟუაზიულმა ლიტერატურისმცოდნემ კენეტ ბერკემ, იგი ამტკიცებდა, რომ სოციალ-პოლიტიკური მოვლენები სინკლექტის პრიციპით იხსნება და გამოიხატება იმით, რომ ერთი მუკა ადამიანები ყოველთვის ღვანახალხის მისების სათავეში. ფაშინში კი ბერკე ხედავდა „სიმბოლურ გამოვლინებას“ აგრესიული ქვეცნობიერი იმპულსებისა, რაც სწორედ ადამიანის ქვეცნობიერებაში იმალება.

თუ ასეთ პოზიციებზე დავდგებით და დავუშევრებთ სპეციფიკური ქვეცნობიერის არსებობას ყველა ადამიანში, როგორც ფსიქიკის მარად თანმხლებელ ელემენტს, სადაც საწყობის მსგავსად მუდამ ინახება ატავისტური ცხოველური ინსტინქტები, მაშინ აუცილებლად მივიღებთ იმ დასკვნას, რომ ფაშინში და მხეცობა გარდელივანა ყოველგვარი პირობებში, ყველა შემთხვევაში და, მით უმეტეს, ისეთ ხალხთან, როგორც აჩანს გერმანელები, და რომლებიც, ბერკეს აზრით, ადვილად ექცევიან ქვეცნობიერების ასეთი ექსცესების გაყვანის ქვეშ.

ძნელად წარმოსადგენია, რომ ისეთი მოაზროვნე მწერალს, როგორცაა პანს ენციკლპედირი, სერიოზულად მიაჩნია, რომ გერმანელის ქვეცნობიერება სისტემურად უნდა ელინდებოდეს ველურ იმპულსებსა და ექსცესებს.

ფაშინში განსაზღვრული ისტორიული პირობებით გამოწვეული სოციალ-პოლიტიკური მოვლენა. იგი ადამიანში ცხოველურ ინსტინქტებს აღიძვრებს, და ეს კარგად ვაჩიქვანა არა მოდერნისტულმა, არამედ სოციალისტურმა და ახალი კრიტიკული რეალიზმის გერმანულმა ლიტერატურამ, რომელმაც ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ჩაეხსნა და მოეხსნა კიდევ ეს ინსტინქტები.

მაგრამ ბერკესა და ენციკლპედირის მიერ ამ საკითხის დამამში სხვა უფრო დიდი სამიზრობაც იბადება: თუ ფაშინში ეს არის ადამიანის ფსიქიკის იმანენტურ თვისებათა გამოვლინება, მაშინ მასთან და მის რეციდივებთან ბრძოლა უშედეგო იქნება, რადგან არა მგონია, ლიტერატურას აღმოაჩინდეს ძალა მისი ველური იმპულსების ასალავმავად. ფაშინში იქნებ ფსიქოლოგიურ ახსნასაც მოითხოვდეს, მაგრამ მოდერნისტულ ლიტერატურას ეს არასოდეს გაუკეთებია და ვერც გააკეთებს ცრუ ამოსავალი პოზიციების გამო. და ეს იმიტომ, რომ ადამიანს საზოგადოებისაგან წყვეტს და გაუვლილ ზღვარს გამოყვამს „ინდივიდუალობის სირთულესა და საზოგადოებრივ საკითხებს შორის“.

როგორც კარგად აღნიშნა სიმპოზიუმზე მთავალი მლატერატურის პროფესორმა რომის უნივერსიტეტიდან ჯაკომო დეპენედეტომ.

ენიმე შეიძლება შემოგვედავოს, ყველა მოდერნისტი, ყველა ლიტერატორი, რომელიც „ახალი რომანის“ ჯგუფს ქნის, როდესაც ფრაიდიზმის პოზიციებზე და მიმართავს იმავე ქვეცნობიერის ფენომენით ოპერირებას, რომ იგივე ა. რომ-გრიე, კ. მორიაკი, მ. ბულტორი და სხვები ყველაფერში არ ეთანხმებიან ნატალ საროტს, და ყოველ მათგანს აქვს თავისი პოზიციები. ჯერ ერთი, არკურთი იმთავით, რომელიც ლენინგრადის სიმპოზიუმზე იყო, არ შედავებია ნ. საროტს, მის ესთეტიკურ კონცეპციას, პირაქით, ა. რომ-გრიე და იტალიელი მწერალიც. მ. პიოვენი მხარს უჭერდნენ მას, და ვიოლაც მხოლოდ ა. რომ-გრიეს შესახებ რომ ვილაპარაკოთ, მისი ესთეტიკური პოზიციები, რომანის პოეტრიკა, რომელიც ერთი შეხედვით, თითქმის განსხვავდება ნ. საროტის პოზიციისაგან, არსებითად მაინც მასა ჰკავს. ამაზე დაწერალებით აღარაფერს იტყვი და ყურადღებას მივაქცევ ა. რომ-გრიეს ერთ გამოთქმას. იგი წერს, რომ „ბალზაკის ეპოქაში ადამიანი იყო ყველაფრის აზრი, სამყაროს გასაღები, მისი ბუნებრივი პატრონი, მისი სამყარო და ღვთიური კანონი. დღეს ყოველივე ამისაგან ცოტა არ დაჩინა“. ამგვარად ადამიანისაგან არაფერი არ დაჩინა და, რადგანაც რომანი — ეს არის მოთხრობა ადამიანზე, გამოდის, რომ აღარც რომანისაგან რჩება რამე. მაგრამ ა. რომ-გრიე მაინც წერს რომანებს, თუმცა „მიანიია, რომ მხატვრობა აზროვნების არავითარ ცდას არ შესწევს ძალა ჩასწვდეს ადამიანის პიროვნებას“.

(იხ. ნ. ველიკოვსკი, ხსენებული სტატია, გვ. 183). ა. რომ-გრიეს უნდა, რომ ახსოვდებოდა ობიექტური იყოს და ადამიანს საგნების რიგში აყენებს; თვითონ კი არ უნდა, რომ საგნებსა და მკითხველებს შორის დადგეს. რომ-გრიე ამტკიცებს: „ჩვენ უკვე ვუღარ შევხედავთ სამყაროს თავისუფალი ხედვით. ყველაფერი, რაც ჩვენ გარს გვიარტყია, დაწვებული ყველაზე უტილიტარული საგნებიდან და დამოკიდებული ბუნების მოვლენებით, ლიტერატურამ ძალით ჩასვა მჭვრეტელობით და ემოციურ მნიშვნელობათა ქსელში, რამაც ჩვენ გარე რეალიზმთან უშუალო კონტაქტის საშუალება მოგვისპოა“. და როცა იგი რომანსა წერს, ემსგავსება რაღაც ამორიცხებულ ხელსაწყოს, რომელიც მხოლოდ სამუშაოს კონსტრუქციას ახდენს და არ ფიქრობს ამ ხელსაწყოს ფუნქციებზე და მისივე მუშაობის შედეგებზე. მაგრამ რომ-გრიე მაინც ცოცხალი ადამიანია და ნებით თუ უნებლიეთ ამ ობიექტივისტურ აღწერაში მაინც შემოაქვს თავისი მწერლური შე-

თავისი ნაფიქრო, და სწორედ ამ მომენტში იწყება მის თხზულებებში „ახალრომანისტული“ მისტიფიკაციები, რაც თავის ფესვებით სადღაც ისევ კვებულობურ სამყაროში მიდის. წრე ისევ ფერება და ახალი რომანისტების, კერძოდ, კ. სიმონის, ტ. შორაძის, მიშელ ბიეტორის ცდა-ლიტერატურადან განდევნონ ლიტერატურული პირობითობანი, პრაქტიკულად სრულ კრახს განიცდის.

მართალი იყო რემინგული ლიტერატურათმცოდნე ოვიდ კროპენინჩანუ, როცა სიმპოზიუმზე აღნიშნა, რომ „ახალი რომანი“ ქიმიური მისდევს. ლიტერატურული პირობითობის სრული გამორიცხვა არასდროს არ არის შესაძლებელი. თვით ვითების პროცესი უკვე ვრახაულობს მას. ლიტერატურა უბრალოდ ყოფითი გამოცდილება როდია, იგი განზოგადების გზით უშაღებს ზარისზემ აყვანილი ადამიანური გამოცდილება... „ახალი რომანი“ დეკანოზი სიმონისთვის წინაშე, რომ გადაიქცევა უფრო ტრაქტატად იმის შესახებ, თუ რა ძნელია წერა, ვიდრე რომანად ამ სიტყვის კერძო მნიშვნელობით“.

კონბილია, რომ თანამედროვე მოდერნისტები, მეცნიერების როლს ფანტასტიკურ ზრდასთან დაკავშირებით, ბევრს ლაპარაკობენ რომანის ფუნქციის შეცვლაზე და არა მხოლოდ ამაზე. ამაზე წერს ჯველა, კერძოდ, ა. რომ-გრიე, კ. სიმონი და ბევრი სხვა ატლანტიკის და წყნარი ოკეანის ვლად-გამოლმეზ ამ საკითხებზე ჩვენშიც იყო დავა და აღარ მინდა, რომ უკვე გაღაპრულ დავას დაუბრუნდე. ვანა საჭიროა იმის გამოთქმა, რომ მეცნიერების განვითარება აღრმავებს ჩვენი ცოდნის სამყაროს, ბუნების, საზოგადოების შესახებ, რომ მეცნიერებას ადამიანის ხელი ეწევა წინ, რომ იგი ლოგიკური კატეგორიებით მუშაობს, ხოლო ლიტერატურა და ხელოვნება მხატვრულ ზერხებს სპარობს. უვლადფერი ეს ანბანური ჰუმანიტარება და უფროსი კლასის უვლა ჩვენმა მოსწავლემ იცის, სტუდენტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

საშუალო პოეტი გვეგვი ვინოკრათოი თავის სტატიაში „პოეზია და აზრი“, რომელიც „Literaturnaja gazeta“-ში დაიბეჭდა 1963 წლის ოქტომბერს, იხსენებს, რომ პროვანსელი ტრუბადურები პოეზიას „მხიარულ მეცნიერებას“ ემსახურებენ. შეიძლება უფრო შორს წასვლა და მიკროორგანიზმების რთული სტრუქტურების მეცნიერულ აღწერაშიც კი ვიპოვოთ წმინდა ესთერტიკური ფსევდობანი. სამყაროს შემეცნების ამ ორ სახეს შორის, ლოგიკურ და ხატოვანს შორის, რასაცვირველია, დიალექტიკური ერთიანობა არსებობს. მაგრამ ჩვენ გვეკონია, რომ ხელოვნება, ლიტერატურა არასდროს არ დაკარგავს თავის, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას — ადამიანის პიროვნებას, როგორც ერთადერთი გაუმორგებელი ფსევ-

ლობის, განმტკიცებას. მართალია ე. გრმლოვი, როცა კლოდ სიმონს მოეთითებს, რომ „ხელოვნება სინამდვილეს გვიჩვენებს ყოველთვის კერძობითში და განსაკუთრებულში. გვიჩვენებს საერთო კავშირებს პირობათა მოცემულ განუმოკრებელ კონკრეტულობასა და განუმოკრებელ ადამიანურ ინდივიდუალობაში“ („Literaturnaja gazeta, № 108, 7. II. 63 გ. სტრ 1.)

ე. ი. ლენინმა გენიალურად შენიშნა, რომ ხელოვნებაში გადაწყვეტია სწორედ მოცემული პირობები, მოცემული ურთიერთობანი, მოცემული ადამიანები.

„ახალი რომანისტები“, და არა მარტო ისინი, მრავალი აბსტრაქტივისტი, სხვადასხვა სკოლასა და მიმართულების მოდერნისტი აუბრალოებს კაცობრიობას სულიერ ისტორიას.

„ახალი რომანის“ წარმომადგენლები, როგორც ზემოთ აღენიშნავდით, ე. წ. ანგაიორებელი“ ლიტერატურის წინააღმდეგე არაა, ე. ი. ისეთი ლიტერატურისა, რომელიც გამოდის განსაზღვრული ისტორიული, მორალური და ესთეტიკური პრინციპებიდან და დებულებებიდან.

ა. რომ-გრიე წერს: „უგუნურება იმის მოთხოვნა, რომ ჩვენი რომანები ემსახურებოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას, თუნდაც რომ ეს საქმიანობა ჩვენ მართებულად მივაგანდეს, და ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ვიბრძოდეთ მისი გამარჯვებისათვის. პოლიტიკური ცხოვრება იძულებულ გადის დაყრდნობა უკვე ჩამოყალიბებულ ისტორიულ და მორალურ წარმოდგენებს. ხელოვნება უფრო თავმდაბალია, ამ პრემიოყვარება: მისთვის წინასწარმოცემული არაფერია არ არსებობს“.*

დეკადანის ზოგერთი თეორეტიკოსი ამტკიცებს: კლასიკურ ფერწერას, მუსიკას და ლიტერატურას ძალი არ შესწევს ასახოს თანამედროვე ადამიანის ფსიქიკის რთული კომპლექსის რადარში, რომ ამ ადამიანის და ხელოვნების კლასიკურ ფორმებს შორის, კომპენტაკაში მიღებული ცნებებით თუ ვისარგებლებთ, არ მყარდება უკვე კავშირი.

ამ არგუმენტში გარკვევაა საჭირო. საკითხის ასე დასმა, ახალი არ არის. სხვას რომ თავი

*) რომ-გრიე ამ ედავებოდა სპარტის, რომელიც წერდა: „მწერალი თავის ეპოქაშია ჩაფლული: ყოველგვარი სიტყვა გამოხატულებას იწვევს. ყოველგვარი ლემილიც, აგრეთვე... რამდენადაც ჩვენ უკვე ჩვენი არსებობით ზეგავლენას ვახდენთ ჩვენს დროზე, ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ეს ზემოქმედება შეგნებული იყოს“, და აგრეთვე აღბრკვევს, რომელიც წერდა, რომ „უმაღლესიშეგნებლო მწერლების დრო გავიდა... ჩვენთვის არ არსებობს სხვა მოსყვენება, თუ არა ის, რომელსაც ბრძოლაში მოიპოვებ“.

დაეანებოთ. ამ საკითხზე ბევრს წერდნენ მარია-ნეტი, რუსი კონსტრუქტორებისგან, ფურტურისტებში და სხვა მრავალი.

ჭკრ ერთი, კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე, ადამიანთა უოველი მოცემული თაობისათვის, რომელიც გენმავეთ, დიდი მეცნიერული აღმოჩენა, იმდენად რევოლუციური იყო, რომ, რასაკვირველია, ზეგავლენას ახდენდა მისი გრძობების და გონების წყობაზე. ძნელი არ არის წარმოიდგინო პირველი ადამიანი, რომელიც ცეცხლს დაეფლავა, ის ადამიანებო, რომელთაც ელექტროენერგია დაიმორჩილეს, ან ისინი, ვინც პირველად იმოგზაურეს ობთქლის ძრავიანი მანქანით. ვფიქრობ, რომ ცეცხლსმარადული იარაღის პირველმა გამოყენებამ იმ ეპოქის ადამიანზე დაახლოებით ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ჩვენზე ატომური ენერჯის გამოყენებამ სამხედრო მიზნებით.

ყველა ეს პროცესი, რომელთაც წარსულში ჰქონდათ ადგილი და ამჟამად ხდება, არც შეუძლიათ და არც პოეზებზე უშუალო ასახვის ხელშეწყობისა და ლიტერატურის ფაქტებში. თუ ვეღარიებთ, რომ ესთეტიკური ფენომენები მოქმედებდა არა მისტიკურად, არამედ მატერიალისტურად გავებული რთული ფსიქიკური პროცესის ლაბორატორიაში, მაშინაც კი ძნელი იქნის დამტკიცება, რომ, მაგალითად, ხელოვნება და ლიტერატურა, რომელსაც „პროგრესების დაშლისა“ და „დაქვემდებარებული სამყაროს“ გამოხატვის პრეტენზია აქვს, პირდაპირ არის დაკავშირებული ურანის ატომის დამლასთან ან თერმონატიომების უქმნარის შექმნასთან. მისტიციზაციის სფეროს უნდა მივაწეროთ იმის მტკიცება, რომ ხელოვანი, რაღაც ყველასათვის უცნობი მეექვსე გრძობის საშუალებით, თვით შიღის იმავე აღმოჩენამდე, რასაც მეცნიერები ცდებიან გზით აღწევენ.

გენიალური ან თუნდაც უზრალოდ ნიჭიერი შემოქმედ მხატვარი, მწერალი, რომელიც დიდი ადამიანურ და ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეყრდნობა და გადაამუშავებს და განაზოგადებს მას თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში, წინასწარ მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს ხედავს. მხატვარს შემოქმედებით ატმოსფეროს ძირითადად უქმნის საზოგადოებრივი ყოფიერება და არა ტექნიკა, მისი განვითარების დონე, რა გამაბრუებელიც არ უნდა იყოს იგი დროის მოცემულ მონაკვეთში.

ადამიანის წარმოდგენა შეიძლება არა თავის თავად ატომური უქმნარის აფეთქებამ ზირისი-მისა და ნავსაჟში, როგორც მეცნიერული და

ტექნიკური აზრის გამოხატულებამ, არამედ, პირველ რიგში იმ ადამიანურმა ტრაველიამ, რომელიც ამ ზარზარისეულ აქტს მოჰყვება.

ასტრაქტივიზმი ფერწერასა და ლიტერატურაში, ატონალური, ელექტრონული, დოდეკაფონიური მუსიკა, აბსურდის დრამატურგია და თეატრი გააჩინა არა ატომის დამლამ, კვანტური მექანიკის კანონებმა ან კიბერნეტიკული მანქანების შექმნამ, არამედ ბურჟუაზიული საზოგადოების დამლამ, ბერუეუს შიშმა, რომელსაც მისი საზოგადოებრივი წყობის დაღუპვა ახალ წარღვნად წარმოუდგენია. მას უნდა, რომ სამყაროს ამოჯალბსური ხედვა, რომელიც მას ახასიათებს, ყველასათვის მოახვიოს. ახალი სამყაროს შექმნელს წარმავალი საწყაროს შიში ვერაფერ ითრავდა გამოადგება.

შინც დაეუშვათ, რომ ის დიდი მეცნიერული და ტექნიკური აღმოჩენები, რომელიც ჩვენი თაობის თვალწინ ხდება, აქვე, უშუალოდ უნდა იხსიანო ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ვინ, საღ და რა ფაქტიურ მასალაზე დამტკიცია, რომ მსოფლიოში მომხდარი დიდი საზოგადოებრივი და ტექნიკური ძვრები არ შეიძლება ასახოს სწორედ რეალისტური ხელოვნების ფორმებში, ისეთ ტილოებზე, სადაც სამყაროს სახე წარმოდგენილია დრამატულ ან თუნდაც კომიკურ ფორმებში, ტრანსისტრად ვლრადი ტრავიულობის ფორმებში, რომელსაც, ვინ იცის, იქნებ, ყველაზე სრულად შეუძლია ასახოს ძველის მსხბრევისა და ახლის ჩამოყალიბების ეპოქა.

ჭრჭჭრობით კი ლიტერატურულმა პროცესმა სწორედ იმის საწინააღმდეგო დამტკიცია, რასაც დეკადენტო ესთეტიკები ქადაგებენ. ჩვენს ქვეყანაში მომხდარი დიდი ძვრები ასახვენ არა ხელოვნოკვის, ბურლიუეს ან კიდევ იმაყინისტების ლესეებში, არამედ ე. მაიაკოვსკის, ა. ბლოკის, მ. შოლოხოვის, ა. ფადეევის, ხოლო თუ საქართველოზე ვილაპარაკებთ, გ. ტაბიძის, ზ. ჯავახიშვილის, ე. გამსახურდიას, ლ. ქიანელის, ნიკო ლორთქიფანიძის, კ. ლორთქიფანიძის, დ. შენგელიას, გ. ლენინძის, ი. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის, გ. აბაშიძის და ყველა თაობის სხვა მრავალი მწერლის შემოქმედებაში. გატარებული და მოაზროვნე ამერიკის სამყარო ჩვენ შევიციანოთ ისეთი მწერლების წიგნებში, როგორც არიან დრაიზერი, ჰემინგუევი, ფოლკნერი, სტეინბეკი და კოლდუელი. დღევანდლი იტალია მთელი თავისი ნაღველითა და მისწრაფებებით ჩვენ შთაშენაშენვე კინომატოგრაფისტებთან ამოვიცანოთ. მერე რა, რომ თავდაპირველად ამ ქვეყანას ისინი აღიქვამდნენ რამდენადმე პასიურად, ახლდნდნენ მხოლოდ ფაქტების კონსტატირებას და თავს ქაას არ ატანდნენ, რომ გამოისავალი ეპოვთ შიშისა და ვაჭარებისაჟან. მაგარი შინც იტალიელმა კინომატოგრაფისტებმა და მითთან ერთად იტალიის პროგრესულმა მწერლებმა გვიჩვენეს იტალია და ჩვენ გავიკეთ და შევიყვარეთ იგი. მუდამ მიძიებელი სული და

1) კოსმოსის ათვისება თავისთავად იყო ისეთი გაბედული, თუ გენმავეთ, ისეთი დიდი მასშტაბის პოეტური აქტი, რომ მისი ლიტერატურული, გრაფიკული თუ ფერწერული ასახვა ჟურნალობით ახლოსაც კი ვერ შიღის მომხდარი აქტის მოცულობასა და სიღრმესთან.

ფრანგული გენიის რომანტიკული აღმართენა ჩვენ პირველ რიგში აღმოვაჩინეთ როცა მარტენ დიუ ვართან, ანტუან ეკზიუპერისთან და ფრანგული კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის სხვა წარმომადგენლებთან. შემოჩამოვლილი მწერლები კი არც მოდერნიზმში და არც დეკადენტებში, არამედ სრულიად სხვადასხვა სტილისა და მიმართულების რეალისტებში არიან.

თანამედროვე დეკადენტები ზშირად იმეორებენ გადაბერებულ მავალითებს და თან ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიას იმოწმებენ, რომ არც ამჟამად და არც წარსულში ახალი მიმართულებები, ახალი სკოლები და სტილის ნოვატორული ხერხები ერთბაშად არ ხდებოდნენ ხალხსათვის მისაწვდომნი, და იხსენებენ, თუ რა ცივად მიიღეს ბეთაოვენიის სიმფონიები, როგორი სკანდალი გადახდა ბიზეს „კარმენს“ პრემიერას და სხვა ამგვარს. ეს არგუმენტი კი ნაკლებად ვარკვეულ ადამიანს შეიძლება ურყვევი მოეჩვენოს. მოდიო, სალუძელთანად ვაგერკეეტი ამ საკითხში. ვინ არ აღიარა ბეთაოვენი, ვინ შეხვდა ბიზეს სტეენით, ვინ დასცინოდა მიაკოვსკის? ხალხის ფართო დემოკრატიული მასები თუ საზოგადოების გადაგვირებული არისტოკრატიული ფენა, რომლისთვისაც კლასობრივად უცხო იყო გენიალური ბეთაოვენიის დემოკრატიული სუღი, ბიზეს მუსიკის ხალხურობა, ვ. შაიაკოვსკის პოეტური გენიის ფართო სახალხო გაქანება. ვინ დევნიდა ლ. ტოლსტოის? ხალხი თუ რუსული თვითმპყრობლობის გონებმალუნგი ჩინოვნიკები? ვინ გამოატარა სალუძელებში რუსთაველის ხსოვნა, ხალხმა თუ ბელეტის მოციქულმა კლერკალემა, რომლებიც ცეცხლში ისერიდნენ „ეფთხისტუასანს“? ამა თუ იმ შემოქმედის მოწონების და პაბულიაობის კლასობრივი ანალიზის გარეშე ჩვენ აღმოგჩნდებოდა ვულგარობისა და ვაუბრალბების პოზიციაზე და ვერაფერს ვერ ვაგვივით ვერც ლიტერატურისა და ხელოვნების წარსულში და ვერც აწმუში. ვანა ღირს აქ იმ მარტევი ჰემპარიტების შესხენება, რომ ელემენტარული ცოდნისა და განვითარებული ესთეტკურის ვემოქმედების უქონლად არ იქნება ბეთაოვენიის, შექსპირის, რუსთაველის, დოსტოვესკისა და სხვათა გენიალური ქმნილებების ვაგება. რეტროგრადები და ობსკურანტები არსებობდნენ, არსებობენ, და, ალბათ, ჭერჭერობით კიდევ იარსებებენ.

1 ვეზიუპერის გამოცდილების აუცილებელი ვათვალისწინების შესახებ კარგად ილანარაკა სიმპოზიუმზე დ. ვრანინმა და ა. რომ-გრიე, სულ ტყუილად, აღნიშნავს ამას „ექსპრესში“ ასე ირონიულად. რომ-გრიე ნიჭიერი მწერალია, მაგრამ თავმდაბლობის გრძნობა არც ნიჭიერ ადამიანებს უნდა ღიატობდეს.

ბებენ ჩვენს ცოდვილ მიწაზე. მაგრამ ისინი ხომ არ ქმნიან სიყვარულისა და ვაგებულის შემოქმედებით აბმოსფეროს, ურჩმლისრადე ასე უჭირთ შემოქმედება ლიტერატურისა და ხელოვნების მოვლევით.

აბსტრაქტივიზმს დაზვის ფერწერაში, დოდეკაფონიურ თუ ატონალურ ოპუსებს მუსიკაში და კუკუამილტერს ლიტერატურაში უკვე, სულ ცოტა, ნახვევარი საუენის ისტორია აქვს. და თითქმის დროცაა, რომ ხალხმა უკვე ვაიგოს დამილოს იგი. მაგრამ, არა და არა, აღიარება ჭერ არსად არის. ერმიტაჟის, ლუვრის, ნაციონალური ვალერეის და ლონდონის ტეატის ვალერეის დარბაზები, კლასიკური ფერწერის გამოფენები ამერიკაში, დღისით და ღამითაც კი, სახვებ ხალხით. ამ სტრაქტონების ავტორმა ბოლოს და ბოლოს კარგად ვერ ნახა ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“ ლუვრში, — ხალხი ბევრი იყო და ახლოს მისვლა არ შეიძლებოდა. ხოლო ის დარბაზები პარიზში, სადაც თანამედროვე ხელოვნება გამოფენილი, ამ დარბაზებში, სადაც აბსტრაქტივიზმის გამოფენილი, სულ ათობდე კაცი დაბაჩებდა, თანაც ცხრა მათგანი აშერიკელი ტურისტი იყო, მეთუე კი ჩვენ აღმოგჩნდით. იგივე გამოვრდა ლონდონში, ბრიუსელში, ბერლინში და სხვა ქალაქებში. დიახ, ნახვევარი საუენურ საქმარის დროა ამისათვის, რომ ხალხი ვარკვეულით თუ რაშა საქმე. ახალი რომანის“ ისტორიაც ხომ უკვე თითქმის ათ წელიწადს ითვლის.

დეკადენტურ-ფორმალისტური მიმართულებანი ხელოვნებაში, პირველ რიგში, აბსტრაქტივიზმი დაზურ ფერწერაში, მოდერნიზტული მუსიკა და ირაციონალისტური ნოვატიკები ლიტერატურაში თავისი ფორმითა და შინაარსით ანტიალბური არიან, რადგანაც პირწმინდად უარყოფენ ხელოვნების ნაციონალურ ხასიათს. სწორედ ამიტომ არის, რომ ისინი მუფლემენი არიან და იქნებან ხალხსათვის, რადგანაც, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „ინტერნაციონალური კულტურა არ არის არავროგუნული... არავის არ გამოუცხადებია არც პოლონები, არც ებრაელები, არც რუსული და არც სხვა „წმინდა“ კულტურა“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., კრებ. 4-ე გამოცემა, 20. ვგ. 8.).

თანამედროვე აბსტრაქტივიზმის თეორეტიკოსები ჰადაგებენ სწორედ ამას, ნაციონალური ხასიათს მოკლებულ „წმინდა“ ხელოვნებას, თუ კი შეიძლება მას ასე ეუწოდით.

სწორად შეინშნავდა ერთი მკვლევარი, რომ მშვენიერის აღქმაში ნაციონალური სჯვაობაც იჩენს თავს, ოღონდ ისინი გამომდინარეობენ არა საიდუმლო წყაროებიდან, არამედ ბუნებისა და ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიის შედეგს წარმოადგენენ.

„შეგნება—das Bewusst,—ამბობს მარქსი, — არასოდეს არ შეიძლება იყოს სხვა რამ, თუ

არა შეცნობილი ყოფიერება das Bewusstes sein. ადამიანთა ყოფიერება კი მათი ცხოვრების რეალური პროცესია (ე. შარქი, ფ. ენგელსი, თხზ., 2-ე გამოც., ტ. 3, გვ. 25). ადამიანის შეცნობილი ყოფიერება, აგრეთვე, გარკვეულ ბუნებრივ პირობებში მიმდინარეობს და იგი, რასაკვირველია, ერთგვარ ზეგავლენას ახდენს ადამიანის მიერ მშვენიერების აღქმაზე.

აბსტრაქტიუზმის ერთი ფრანგი თეორეტიკოსი ეპი ლასენი წერს: „დღევანდელ ხელოვნებას არაფერი აკავშირებს წარსულთან, უახლოეს წარსულთანაც კი. თანამედროვე ფრანგი ფერმწერები სულ სხვადასხვა წარმომობისა არიან. პარიზის სკოლა ხელოვნების ყველა დარგებისა და ყველა ხალხისავე არის შედგენილი“. აღნაშთ, ამით აღსენება ის, რომ მოდერნიზმის და აბსტრაქტიზმის ტილოებზე ვერ ნახავთ ფრანგული პეიზაჟის განუყოფელ მშვენიერებას, ამ მიწაზე შესტოვრება ვალუა ხაიათოს, ამ აბსტრაქტიზმის ნამუშევრებში გამქარაღია სენის შესანიშნავი სანამიროები და ზიღები, პარიზის ქველ ქაფენილებზე გაბნეული სხივი, ბურგუნდიისა და პროვანსის ტაბიური, ნაციონალური, ხალხური კოლორიტი, ფრანგი ქალის მშვენიერება, სინტიღე და გრაცია, გაჭრა კოლა ბრუნიონი. და ამის ნაცვლად ტილოებზე გაბატონებულია გონებისათვის მოუწყდომელი ფერების აკაფონია, სიბრტყეები და ხაზები. აბსტრაქტიზმის ტილოებზე ფრანგმა დაკარგა თავისი საფრანგეთი და მასთან ერთად იგი დაკარგა ყველამ, ვისაც ასე უყვარდა ფრანგული მიწა, მისი მკედრანი. აი რატომ არის ასეთი სოციალური ამ დარბახებში, სადაც თანამედროვე ფერმწერა გამოფენილი და გაქვილია ლევი, სადაც გამოფენილია შილეს, კოროს, ფრაგონარის, კურბეს, მონეს, მანეს, რენუარის პოეზიით აღსავსე ტილოები. თუ მაინცადამაინც დიდი ხელოვნებისა და ლიტერატურის ტრადიციებზე ვილაპარაკებთ, ეს, პირველ რიგში, პემინიზმის, კაუობრიობის პროგრესისადმი რწმენის ტრადიციას; ნაციონალური კულტურისა და მისი პემინური ტრადიციების დაკვას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ხალხისათვის.

ჩვენი დრო, რთული და ტყეადი, თავის ასახვისათვის შეეკეთას იმდღეა დიდ სინთეტურ ნაწარმოებებზე, რომლებშიაც ნათელ ფერებში და სახეებში პარმონიულადაა შერწყმული ადამიანთა შრომითი ცხოვრება, პოლიტიკა, ფილოსოფია, მდიდარი შინაარსით აღსავსე თანამედროვე საზოგადოების ყოფა. ჩვენი ცხოვრების ყველა სიმდიდრის ასახვა შეუძლია მხოლოდ ნამდვილად ნოვატორულ ნაწარმოებებს, რომელთაც მუდამ ცვალებადი ადამიანის ცხოვრება გვეკრანახობს, მწერალს, რომელსაც აქვს წერის ინდივიდუალური მანერა, თავისებური სტილი, თავისუფალი დიგმატური, მიმბაძვე-

ლობითი და ეპიგონური აზრებისა და ბერბერსაგან.

„ახალი რომანის“ წარმომადგენლები, როგორც უკვე აღინიშნა, ე. წ. „სამწვერებელი“ ლიტერატურის წინააღმდეგნი არიან. ამაზე იყო ლაპარაკი ევროპის მწერალთა გაერთიანების სიმპოზიუმებზე ჰელსინკსა და ლენინგრადში. ლენინგრადში ჩვენ შევენშეთ ა. რობ-გრისეს, რომ საციდის დასმა ისე, როგორც ამის ა. რობ-გრემ აკეთებს, უკვე პოლიტიკაა, ლიტერატურა საზოგადოებრივი შემეცნების ერთ-ერთი ფორმაა. ლიტერატურა სამყაროს სახეს ადამიანის შემეცნებით ქმნის. ლიტერატურა მოქმედებს სიტყვებით, სიტყვა კი ადამიანის კონდენსირებულ გამოცდილებაა, იგი ადამიანისკენა მიმართული, ადამიანი კი საზოგადოების გარეშე არ არსებულა და არც იარსებებს. ჭერ კლდე არის სტრუქტურა იცოდა, რომ ადამიანი ეს არის „უთონ პოლიტიკონ“ ანუ საზოგადოებრივი, პოლიტიკური ცხოველი, საზოგადოებრივი კი იგეობა, რაც პოლიტიკური, პოლიტიკისაგან გაქცევა იგეობა, რაც ადამიანისაგან გაქცევა, ხოლო უადამიანოდ არ შეიძლება იყოს ლიტერატურა. ეს აწითაბტური მტკიცებაა, და არა მგონი, რომ ა. რობ-გრისემ ადამიანურ ენაზე რამის თქმა შესძლოს ამის წინააღმდეგ. მაგრამ ნ. სარტამ თავისი, საწინააღმდეგო აზრი აქვს ამის თაობაზე: „მართლაც და, — წერს იგი, — თუ ის მიზნები, რომლებსაც ჩვენ ლიტერატურის გარეთ მდგომი ვუწოდებთ, — რჩევა-დაჩივებანი, მავალთე-ბი, სოციალური და ზნეობრივი აღზრდა და მისხანება რომანის არსებობის დედააზრად იქცევა, მაშინ ყოველგვარი ფხველობანი თავდასური დგება: რეველუციის იარაღად რომანის გადოქცივის საშუალებად გამოდის სწორედ ის, რაც მის აკადემიურად გაიხნული ფორმის მორბილად ხდის, მორალური იმპერატივებისათვის ბრძოლის სახელით, ბოლოს და ბოლოს, მდიდანი ამორალიზმამდე, რაც ლიტერატურაში სინამდვილის მიმართ უგულებელყოფის, კონფორმისტულობის არაგულახდილობის და არალითალობის პოზიციის დაკვებას ნიშნავს“.

(N. Sarraute. L'Ere du soupçons, Paris, 1956, გვ. 22).

„არობ-გრე და ნ. სარტოტი, სადაც შეიძლება მართალინი არიან, როცა მხედველობაში აქვთ დასავლეთის, მართლაც, ამორალური და კონფორმისტული ლიტერატურა, მაგრამ როგორ შეიძლება კერძო შემთხვევა, რომელსაც გარკვეულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაშია აქვს ადგილი, განავსოგადოთ და ვაფერკველოთ ყველა რომანზე, მთელ ლიტერატურაზე, რომელიც მორალის პირობებზე, ისტორიულ და საზოგადოებრივ მოვლენებს, პოლიტიკურ კოლიზებს ასახავს. ამ უცნაური თეორიის მხედველი ლიტერატურიდან უნდა გამოეკრიბოთ არა მარტო სოციალისტური, არამედ

ფელი და ახალი კრიტიკული რეალიზმის ყველა მწერალი, ლიტერატურის ყველა გენიოსი, და არა მარტო ისინი, არამედ „ახალი რომანისტებისათვის“ გულით სავყარელი ჯოისი და პრუსტი, მე აღარაფერს ვამბობ კაფკაზე, რომელიც ამკაბად გამობატული სოციალური, ე. ი. პოლიტიკური მწერალია, სხვა საქმეა, როგორ განმარტავდნენ იგივე ჯოისი და კაფკა სოციალური და პოლიტიკური პრობლემებს. ა. რომ-გრაი. ნ. საროტი, კ. სიმონი, სხვათა შორის, თავისდა შეუმჩნეველად, იქმნებენ არა მარტო, მაგ. გუზინტენცელისტურ ლიტერატურას, არამედ, თვით საკუთარ მხატვრულ შემოქმედებასაც, რადგან ნ. საროტის „ოქროსი ნაყოფი“, და ა. რომ-გრაიის უკანასკნელი სცენარები („მარცხენადი უკანასკნელ წელს“, „უცდვავა“) და რომანები ასახვენ ადამიანის უფიქრების პრობლემებს და ამდენად პოლიტიკის პრობლემებს. ა. რომ-გრაი „ექსპრესში“ ამტკიცებს, რომ მწერალი უნდა გაურბოდეს პოლიტიკას, ცხოვრების პრობლემებს, უნდა ეცადოს გათავისუფლდეს „ანგაჟირებულობისაგან“, და რომ ამაში მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ძირითადი ამოცანაა. როგორც ეს თვით ა. რომ-გრაიის სამწებარო შემთხვევიდან ჩანს, ამ ამოცანის შესრულება ნამდვილად შეუძლებელია. იგი თვითონ ყურებად ზის პოლიტიკაში, და ამის საუფიქროსო დადასტურებაა მისი სტატია „ექსპრესში“. იმ ასეთ თეორიულ აბსურდამდე მივყავართ ცრუ ესთეტიკურ კონცეპტსა, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავენ „ახალი რომანის“ ავტორები და რომელიც თვითონ არის გარკვეული პოლიტიკისა და მატერიალურ-სოციალური პირობების ნაყოფი.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის ცნობილი ჰუმბრაიტება, რომ საზოგადოების სულიერ ცხოვრებას აქვს ორი ძირითადი სფერო — ფსიქიკური და იდეური, რომლებიც კლასობრივ ხასიათს ატარებენ. საზოგადოებრივი ფსიქიკა — ეს არის განწყობილებების, განცდების და ამა თუ იმ სოციალური ქვეყნის აღქმის თავისებურებათა ერთობლიობა. ხოლო იდეოლოგიას რომ კლასობრივად და პოლიტიკურად წარმოვალო ხასიათი აქვს, ეს აგრეთვე ელემენტარული ჰუმბრაიტებაა. ლიტერატურა საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას გამოხატავს, საზოგადოებრივი შეგნების ფორმას წარმოადგენს.

სულაც არ არის აუცილებელი, რომ აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედება ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებებზე, „ახალი რომანისტების“ თუ სხვა მოდერნისტების იდეოლოგიასა და შემოქმედებაზე შეცნობილი იქნეს თვით ამ ლიტერატურის მლადედებლთა მიერ. ჩვენ აქ იდეოლოგიის სფეროში არსებულ იმ რთულ პროცესთან გვაქვს საქმე, რომლის შეხებზეც ფ. ენგელსი თავის ცნობილ წერილში წერდა ფ. შერინგს.

ჩვენი აზრით, რომ-გრაიის საყვედურები რომ

„ახალი რომანის“ მემარჯვენე და „შემარცხენე“ კრიტიკოსების არგუმენტები, ეროვნულ-გმობველა, გაუგებრობაზე და მყარებელი, მემარჯვენე რაქონისერო ლიტერატურისმტკიცებელი, ესთეტიკოსები, მუბალისტიები „ახალი რომანისტებს“ თავისი ამქრული, პოლიტიკური ინტერესებიდან ამოსვლით აკრიტიკებენ, ხოლო მარქსისტები — დიდი ადამიანური სინამდვილის პოზიციებიდან. საქმე „ახალი რომანის“ კრიტიკოსების არგუმენტებში კი არ არის, არამედ იმ პრინციპულ პოზიციებში, საიდანაც ეს კრიტიკა ამოდის.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ დასავლეთში თანამედროვე ლიტერატურა მთლიანად „ახალი რომანისტების“ და სხვადასხვა მოდერნისტების სახით იყოს წარმოდგენილი. დასავლეთში ლიტერატურული პროცესი ბევრად უფრო რთული და მრავალფეროვანია. იქ კოტა როდია ახალი კრიტიკული რეალიზმისა და სოციალისტური რეალიზმის ნიჭიერი წარმომადგენელი. მათი დასახელება აქ, არა მგონია, საჭირო იყოს, ჩვენი შეთხვევლები მათ იცნობენ.

ლენინგრადის სიმპოზიუმზე, როგორც ცნობილია, მარტო „ახალი რომანის“ წარმომადგენლები როდი ჩამოვიდნენ. თვით საფრანკეთის დელეგაციისშიც სხვა ტენდენციების ლიტერატორები იყვნენ. საფრანკეთიდან ლენინგრადის სიმპოზიუმზე ჩამოსული იყო სარტრი, სიმონი და ბოეუარი, როვე კაუა, პოეტი ფრენო, რომლებიც ძალიან შორსა დგანან „ახალი რომანისტებიდან“.

სიმპოზიუმზე სხვა აზრით გამოითქვა ყველაფერზე აქ ვერ დავწერთ და არც არის ამის საჭიროება. ჩვენ „ახალი რომანისტების“ ესთეტიკურ კონცეფციასზე და პოეტიკაზე, მათ ნაწარმოებებზე ამტკობ შევამჩრეთ ყურადღება, რომ ისინი ყველაზე უფრო კონდენსირებულად იცავენ მოდერნიზმის პოზიციებს, რაც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენს ფილოსოფიურ, სოციალოგიურ და ლიტერატურისმოღწეობის თვალსაზრისს.

შეიძლებოდა სიმპოზიუმის სხვა მონაწილეებთანაც გვეკამათა, მაგრამ ეს შემდეგშიც შეიძლება გაეთდეს, რადგან შეხვედრები ჩვენს დასავლელ კოლეგებთან ვერ არ დამთავრებულა. უნდა ვიფიქროთ, რომ წინ კიდევ იქნება დისკუსიები, განხილვები. კამათი რომანის, ლიტერატურის არსებით პრობლემებზე.

დასავლეთში ბევრი ლიტერატურული გავრთიანებაა. ევროპის გაერთიანება რეგიალური ორგანიზაცია და იმითაც გამოირჩევა, რომ აქ გაერთიანებულია დასავლეთის მრავალი მწერალი, რომლებიც გმობენ ანტიკომუნისტურ და იგი ფაშაზმის ნიარსახეობად მიიჩნეა.

მწერალთა ევროპის გაერთიანება არის ერთადერთი ორგანიზაცია, სადაც ერთმანეთს ხედებიან და თავს იყრებიან დასავლეთის, საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების მწერლები. სწორედ აქ მიმდინარეობს დი-

ალოგი სხედასხვა და ხშირად საწინააღმდეგო იდეოლოგიის წარმომადგენლებს შორის. საბჭოთა მწერლებს მიანიხიან, რომ ეს დიალოგი საჭიროა, რადგანაც იზოლიაციონიზმს, საბოლოოდ მიყვავებრთ კონსერვატიზმთან, დოგმატიზმთან და ზოგჯერ კი პირდაპირ ობსკურანტიზმთან. ჩვენ ხაჭიროდ არ მიგვაჩნია ჩინური კედლით გავეზაფხნოთ დასავლეთის იმ მწერლებს, რომლებიც თანახმა არიან მონაწილეობა მიიღონ მძაფრ და შეუურიგებელ, მაგრამ მაინც დიალოგში. ამიტომ, მწერალთა ევროპის გაერთიანების შემდგომი გაფართოება და გაძლიერება, მისში დასავლეთის დემოკრატიული და პროგრესული მწერლების რიცხვის გაზრდა, ხელს შეუწყობდა აზრთა უფრო ნაყოფიერ გაკვლა-გამოცვლას, მის შიგნით ჰუმანიზმის იდეების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მატერიალისტური კონცეპციის პროპაგანდას.

ლენინგრადის სიმპოზიუმის დამთავრების შემ-

დეგ ვაგრის რაიონში ევროპელი მწერლების ჯგუფის მიღებაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხედასხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოებს შორის კულტურული თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება და განვითარება არ ნიშნავს იდეოლოგიის სფეროში თანაარსებობას („Литературная газета“, № 38, 15. VIII, 1913 წ.). ნ. ს. ხრუშჩოვმა მწერლებს მშვიდობისათვის ბრძოლისა, პროგრესისა და ხალხთა შორის მეგობრობისაკენ მოუწოდა. საბჭოთა მთავრობის შეთავაზების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ეს მოწოდება სამოქმედო პროგრამა გახდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემოქმედებითი ინტელაგენციის ყველა ფენისათვის, რომლებიც ახალ მხატვრულ ფასეულობას ქმნიან და პროგრესულ კულტურას ამდიდრებენ.

ქართული ნააზრევნი ლათინურ კულტურაში

დიდ ისტორიულ პროცესს აზროვნების ისტორიაში — საშუალო საუკუნეთა ფილოსოფიის ჩასახვა-განვითარებას — დღემდე აკლია მტკიცე მეცნიერული დასაყრდენი. ამის მიზეზია ანტიკური აზროვნების იმ შემკვიდრების გაურკვეველობა, რომელიც ბერძნული სააზროვნო კულტურიდან ე. წ. ლათინურ კულტურაში გადასვლას წარმოადგენს, განსაზღვრავს შუა საუკუნეთა პრობლემატიკას და, გარკვეულ სოციალ-ისტორიულ პირობებში, მის კანონზომიერებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი კვლევის ზოგიერთი შედეგი დავსტამბე ქართულად „მნათობსა“ და რუსულად — „Византийский Временник“-ში. ამჟამად საკითხი ეხება თემას: ვინ გადაიტანა ქართული ნააზრევი, პეტრე იბერის (ფსევდოდოქსისის) მიერ ბერძნულად დაწერილი, V ს. ლათინურ სააზროვნო კულტურაში. „მიზეზთა წიგნის“ შესახებ, რომელიც იმავე მიზანს ემსახურებოდა და, როგორც გაირკვა, მისმა ავტორმა პეტრე იბერმა ქართულ ენაზე დაწერა, უკვე მოვახსენე მკითხველს ზემოთ დასახელებულ ქართულსა და რუსულ ეჭრანალებში.

ამჯერად, მაშასადამე, საჭიროა იმის დადგენა, რომ პეტრე იბერის ნაშრომები, რომლებიც ბიზანტიიდან საფრანგეთში მოხვდნენ, გადათარგმნილ იქნა ლათინურ ენაზე იოანე სკოტ ერიუგენას მიერ IX საუკუნეში, რამაც შესაძლებელი გახადა ანტიკური ფილოსოფიის შემკვიდრება ქართველი მოაზროვნის — პეტრე იბერის მიერ ახალ პრინციპებზე გადამუშავებული, გამხ-

დარიყო მსჯელობის საგანი ლათინურ-მწიგნობრობაში განვითარებული დასავლეთის აზროვნებისათვის.

„მიზეზთა წიგნი“ რომ პეტრე იბერის ნააზრევის წარუკვეთელი ნაწილი იყო იქიდანაც ჩანს, სხვათა შორის, რომ ვიდრე ისიც არ იქნა XII საუკუნის ბოლოში (1187 წელს) ესპანეთში ლათინურ ენაზე გადათარგმნილი ჟერარ კრემონელის მიერ, და არ დაერთო ერიუგენას მიერ ლათინურად თარგმნილ ეგრეთოდეზულ არეოპაგეტიკას, მანამდე არ ჰქონდა ადგილი (კაროლინგური რენესანსის პირობებში) იმ დიად ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაქტს, რომელსაც დასავლეთში ლათინური კულტურის ნიადაგზე ფილოსოფიის აღორძინება ეწოდება.

„მიზეზთა წიგნი“, როგორც ქართულად დაწერილი, იმ თავითვე დაშორდა პეტრეს ბერძნულ ნაწერებს და, საქართველოში VIII საუკუნის მახლობელ დროში შექმნილ არაბულ-ქართულ სამწიგნობრო დაახლოვების პერიოდში ქართულიდან არაბულად თარგმნილი, გატანილ იქნა ესპანეთში. აქ ის ითარგმნა ლათინურად (იხ. ამის შესახებ ჩემი წერილები, როგორც ქართულად, ისე რუსულად, და დიდი მონოგრაფია პეტრე იბერის შესახებ, რომელიც იბეჭდება).

ვიდრე დასავლეთში ქართული ნააზრევის საერთო კვალის კვლევას შევხებოდე, საჭიროა განხილვა მისი მოსამზადებელი საფეხურებისა, რაც მოცემულია ერიუგენას ნაშრომებში, ე. ი. პეტრე იბერის ნაწერების ერიუგენასეულ თარგმანებში და მისსავე დიდ,

სისტემატიკურ წიგნში — „განყოფისათვის ბუნებისა“.

ერიუგენა ხშირად ახსენებს თავის ნაწერებში სხვადასხვა წინამორბედ მოაზროვნეებს (მაგალითად, ავგუსტინეს), რომელთა შეხედულებებს ცალკეული საკითხების შესახებ ეთანხმება. როდესაც ფილოსოფია, არც თუ ისე სასურველ დარგად იყო მიჩნეული საეკლესიო დოგმატიკის მოძალების გამო, ერიუგენას მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც მის ფილოსოფიურ აზროვნების დასაწყის ხანას ეკუთვნის, და „ქეშმარიტი ფილოსოფიის“ და „ქეშმარიტი რელიგიის“ გაიგივებაზე მიუთითებს, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, გარდა რელიგიისა და მის მსახურთა ბატონობის ხანაში აზროვნების შესაძლებლობის მოპოვებისათვის გადადგმული ნაბიჯისა.

ცხადია, ავგუსტინეს ავტორიტეტის მოხმობა ისეთავე პირობითი მოვლენა იყო ერიუგენას ფილოსოფიური საქმიანობისათვის, როგორც მისივე დებულება ავტორიტეტის შესახებ საზოგადოდ. ამის გარდა, თუ ავტორიტეტზე მიდგებოდა საქმე, ერიუგენას, როგორც ცნობილია, უშუალო კავშირი ჰქონდა არეოპაგისტულ წიგნებთან, რომლებიც მან თარგმნა ბერძნული დედნიდან IX საუკუნეში, გარდა მათი შესავალისა, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სათაურით იცნობდნენ (იხ. „Византийский Временник“, № 20, ჩემი წერილი).

მაგრამ ამისგან დამოუკიდებლად ერიუგენას ნააზრევის შეფასება მარტო იმაზე არაა დამოკიდებული—იყო თუ არა ის ვისიმე გავლენის ქვეშ ან მიმდევარი. ასეთი მიმაგრება პიროვნებისა პიროვნებაზე დაარღვევდა აზროვნების ისტორიის მთლიანობას და გაუგებარს გახდიდა წამყვან ხაზებს. ეს კარგად იგრძნო ბერძნული ფილოსოფიის ცნობილმა ისტორიკოსმა ელუარდ ცელერმა, როდესაც ის არეოპაგისტულ წიგნებსა და მის მომდევნო ერიუგენას ნაწარმოებს შეეხო. ამ პროცესის გასა-

გებად ცელერმა საჭიროდ ლინახა ირია გარემოების დადგენა: ანტიკურ ფილოსოფიის შემოქმედებითი ძალის ამოწურვისა და ნეოპლატონიკურ ფილოსოფიისთან დიონისე არეოპაგელისა და ერიუგენას მიმართების ნათელყოფისა. „პირველად ათენურ სკოლაში, — წერს ცელერი, — არისტოტელეს ნაწარმოებების საფუძვლიან შესწავლაზე დამყარებული ნეოპლატონიზმი უბრუნდება უფრო ზუსტ მეცნიერულობას და პროკლეს სახით წამოიწყებს თავისი მთელი მინაღწეების იშვიათი დიალექტიკური ძალით თანაზომიერად დანაწევრებული ნაწილების მთლიან სისტემად დამუშავებას“.

ჰეგელი არ შემეძარა, როცა ცელერის მიერ აკადემიურად გადმოცემული დახასიათება პროკლეს სისტემატიკური ფილოსოფიური მუშაობისა იმით გამოხატა, რომ პროკლეს „ნეოპლატონიზმის მწვერვალი“ უწოდა (ჰეგელი, თხზულებანი, XI, 63 და სხვ.). მაგრამ ცელერის მიერ მოწოდებულია დახასიათება, რომ შემოქმედებით უნარს მოკლებულმა ანტიკურობამ პროკლესური სისტემატიზატორობა და გონებაშახველობა სქოლასტიციზმს მოანდომა, „რომლისგანაც ახალი შემოქმედებითი საქმიანობა უკვე აღარ აღმოჩნდა მოსალოდნელი“ (ცელერი, ბერძნეთა ფილოსოფია, მეოთხე გამოცემა, 111, ლაიპციგი, 1903 წ. გვ. 499).

მეორე გარემოება, რომელზედაც ცელერმა მიუთითა, მდგომარეობს იმ დამახასიათებელ სააზროვნო სიტუაციის აღდგენაში, როდესაც ბერძნული აზროვნება, თავის შემოქმედებითს საქმიანობამდე უსასრულობის იდეის თითქმის არ მცოდნე, აქაც, ამ მიწურულში უსასრულობის იდეას ხედავს ღვთაების, როგორც უმაღლესი და უსასრულო იდეის ცნებაში. ეს აჩინს სამკერძი დახასიათება პირველ არსისა, რომელიც უკვე პლოტინთან გვხვდება: როგორც უსასრულოსი, როგორც ერთისა და აბსოლუტური ჰეშმარიტებისა. ეს პირველი მისკლა ბერძნული აზროვნე-

ბისა განუსაზღვრელობის იდეამდე ხდება ყოველი განმსაზღვრელი ნიშნის ჩამოშორებით, რადგან ადამიანური ცოდნა და აზრი არ აღმოჩნდა საკმარისი მის საწვდომად და დასახასიათებლად. ეს არის, როგორც იგივე ცელერი იტყობდა, „პირველ არსის უსასრულობის პირველი ნეგატიურა განმარტება“. ეს „პირველი“ ნეგატიურობა იმდენად იყო ადამიანის განსაზღვრული ცოდნისა და ცნებათა მოხსნა უსასრულობის საწვდომად, რომ იგი არ იყო ის უარყოფითი, რომელსაც შემდეგში პროკლე მოიმარჯვებს, ხოლო მას პეტრე იბერი დიალექტიკურად გადაამუშავებს და მისგან ნეგატიურ თეოლოგიას მიიღებს.

პლოტინი უსასრულოს საწვდომი გზის შესახებ ილაპარაკებს მხოლოდ უკანასკნელ საზღვარზე ყოფიერობისა, შემეცნებისა (ეპეკეინა უსიას, ეპეკეინა ნოესეოს და სხვ. პლოტინი, ენეადები, I, 7, I. 61; I, 8, 2. 72). აშკარაა, რომ ასეთი გაგება უსასრულოსი სასრულოდან ამოდიის, როგორც განსაზღვრულიდან, და უკანასკნელის მიღმა ეძებს ღვთაებრივობის შემეცნებას. ფაქტიურად ასეთი გამოსვლა სასრულოდან უსასრულობისაკენ ცოდნის საზღვრის გაფართოების ამბავია, ჩვეულებრივ საგანთა და მათ ნიშანთა იქით წასვლაა, რადგან ღვთაების შემეცნება არ შეიძლებოდა ისეთივე ყოფილიყო, როგორც ჩვეულებრივ საგანთა შემეცნება. ამიტომაც წერდა პლოტინი „ენეადების“ პირველ წიგნში (მოყვანილ ადგილზე), რომ ყოველი ნათქვამი ამის შესახებ „მოხსნას“ საშუალებით ხდებაო. ეს „მოხსნა“ ნიშნავს ჩვეულებრივი, განსაზღვრული ნიშნების მოხსნას, „მოხსნაში“ (ე. წ. აფიარესი) მათ განხილვას (ენეადა, ციტ. ადგილი).

ამდენად უსასრულობის იდეა ანტიკური ფილოსოფიის მიწურულში დაუკავშირდა ღვთის შემეცნებას და უკანასკნელმა გამოიწვია იგი და არა პირიქით. სხვათაგან რომ ითქვას—უსასრულობის ცნება კი არ იყო ანტიკური ფილოსოფიის სააზროვნო შესაძლებ-

ლობის განვითარების ახალი პრინციპი, ახალი მიდგომა აზროვნებისა, თავისი საგნისადმი, არამედ, ღვთაებებს მოძღვრების ერთ-ერთი ატრიაბუტი, მისი დახასიათება. მართალია, პლოტინი, როგორც ითქვა, ნეგატიურ განსაზღვრებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ აქ ხარისხეულობენობით მხარეზე იყო ლაპარაკი. პეგელი შემცდარი არ იყო, როცა თავისი „ფილოსოფიის ისტორიაში“ წერდა, რომ პლოტინმა ვერ გაბედა ღმერთის უარყოფითი განმარტება და იგი ვერ მიუყენა მას. ეს რომ მომხდარიყო, ამისათვის საჭირო იყო უარყოფითი დიალექტიკის ნიადაგზე დადგომა. უკანასკნელი კი არა თუ განვითარების პლოტინურ საფეხურზე, არამედ „ნეოპლატონიზმის მწვერვალის“ საფეხურზეც კი არ იყო გამოკვეთილი და მხოლოდ პეტრე იბერის (ფსევდოდონისეს) ნააზრების მიღწევად უნდა ჩითვალოს (V საუკუნეში).

მართალია, პლოტინს — ნეოპლატონიზმის ლიტერატურულ მამამთავარს, განსხვავებით ამონი საკასაგან, ნეოპლატონიზმის მამამთავრისაგან მოეპოება გამოთქმები, როგორცაა „უ — მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ს ი (იუბერვალოს), ანუ ადიექტივის სახით ნახმარი ღვთაების მიმართ — „გონებასა, შემეცნებასა და ცხოვრებაზე მეტი“ (ენეადა, VI, 16, დაბოლოება), მაგრამ ეს ყველაფერი ღმერთის უზენაესობის გამოხატულებაა და არა მისდამი ნეგაციის უარყოფის მიყენება. ამდენად არაა სწორი, როცა ზოგიერთები პლოტინის დასახასიათებლად მოიხმარენ „უარყოფითი თეოლოგიის“ ცნებას, რაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოხატავს ნეგატიურს, როგორც წინააღმდეგობის მომხსნელს. უნდა ვიცოდეთ სრულიად გარკვეულად, რომ პლოტინის მიერ წამოყენებული ცნება „მოხსნისა“ არის ნეგაცია, როგორც მოხსნა განმსაზღვრელი, ზღვარმდებელი ატრიაბუტისა, რათა გზა გაეხსნას ღვთაების შემეცნებას, როგორც განუსაზღვრელს, უსასრულოს.

ამდენად, პლოტინის მიერ მოწოდებულს უსასრულობის ცნებას არა აქვს ნამდვილი უსასრულობის დამახასიათებელი ნიშანი — წინააღმდეგობის მოხსნა. განსხვავება აქ ადვილი დასანახია, თუ მხედველობაში იქნა მიღებული, რომ პლოტინისებური „მოხსნა“ შესაძლებელი წინააღმდეგობისა მისი მხოლოდ ერთ-ერთი წვერის მოხსნაა, რასაც დიალექტიკასთან ნამდვილი კავშირი არა აქვს; პლოტინის ღვთაება შეიძლება იყოს „უკეთესი“ (აუბერკალსი), მაგრამ ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, და სწორედ ეს ჰქონდა პლოტინს მხედველობაში, რომ სიკეთე, როგორც ასეთი, არ კმარობდა ღვთაების განსაზღვრისათვის, რომ ღმერთის მიღმა მყარობა შეიძლებოდა გამოსახული ყოფილიყო მხოლოდ მიღმა სიკეთით, ანუ უზენაესი სიკეთით. ეს მიღმა სიკეთე ანუ „უკეთესი“ სიკეთის უმაღლესი საფეხურის გადმოცემას ემსახურებოდა. ეს არ იყო უარყოფითი ცნება და ნეგატიური თეოლოგიისათვის არ გამოდგებოდა. ნეგატიური თეოლოგიის გზა ფილოსოფიის ისტორიაში ნეგატიური დიალექტიკის გამომუშავებაში მდგომარეობდა, ხოლო ამ უკანასკნელის აღმოჩენამდე ქართველი მოაზროვნის — პეტრე იბერის მიერ, მასზე ლაპარაკი გაუმართლებელი იყო. აშკარაა, რომ ფილოსოფიის ისტორიკოსთა — ცელერსა და ჰეგელს შორის სიმართლე ჰეგელის მხარეზე იყო.

კიდევ უფრო ნათელია განსხვავება ღვთაების იდეასთან დაკავშირებულ საზღვრულ ცნებასა და უარყოფით, ნეგატიურ ცნებას შორის, თუ ვათვალიწინებელი იქნება, რომ პლოტინის იდეა უსასრულობისა ცნება „მიღმას“ უდრის, რაც ბერძნულად გამოითქმოდნო სიტყვა ეპეკინათი. მაგალითად, ღმერთი ანუ სიკეთე იყო პლოტინისათვის „ყოფიერების მიღმა“ — ბერძნულად — ეპეკინა უსიას (პლოტინი ენაიდები, 1, ციტ. ადგილი). აშკარაა, რომ ეს არ იყო ღვთაებისადმი უარყოფის მიყენება, რადგან ეპეკინა უსიას ნიშნავს

ყოფიერების უმაღლეს საზღვარს, რომლის გააზრებისათვის საკმარისი არ ჩანდა დადებითი ცნება ყოფიერებისა და ყოფიერების მიღმა ამის მიმართ იაზრებოდა, როგორც მისი გავრცელება უმაღლეს გარემდებაზე საზღვრამდე.

ჰეგელი, როგორც დიალექტიკოსი, მიხვდა, რომ უსასრულობა ნიშნავდა წინააღმდეგობისა და არა მისი ერთი წვერის მოხსნას. ყოფნა და არყოფნა, როგორც დიალექტიკის ელემენტები, არ ჰმნიდნენ მთლიანობას ერთ-ერთი მოწინააღმდეგე დაპირისპირებული წვერის მოხსნით. დიალექტიკა, როგორც სწორად აღნიშნა ვ. ი. ლენინმა თავის „რევულებში“, რომლებიც ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ მატერიალისტურ, ე. ი. სწორ წაკითხვას მიეძღვნა, არის დაპირისპირებული მთლიანობა. ცნებათა რწყვილული — „ყოფნა“ და „ყოფნის მიღმიერი“ არ შეიძლება იყონ დიალექტიკის ელემენტები, რადგან არ არიან დაპირისპირებულნი, რადგან „ყოფნის მიღმიერი“ უმაღლესი ხარისხია ყოფნისა. ყოფნისათვის დაპირისპირებული შეიძლება იყოს არყოფნა. ასეთ წინააღმდეგობაზე არ ლაპარაკობს პლოტინი, როდესაც სამგვარ აღწერას აწარმოებს პირველყოფისა — ე. ი. როგორც უსასრულოსი, ერთისა ანუ სიკეთისა და აბსოლუტური მიზეზობრავობისა, არც ერთ ამ სამ მომენტში პლოტინს არ მიუყენებია ღვთაების იდეისათვის ნეგატიური განმარტება და ეს შეუძლებელიც იყო მისთვის, რადგან მან ჭერ არ იცოდა ნამდვილი სარბიელი ნეგატიური განმარტებისა, რომელიც ღვთაების ცნებისათვის დასაშვები იქნებოდა.

ცელერის შეცდომა პლოტინისათვის ნეგატიურ თეოლოგიის მიწერისა მდგომარეობს არა მარტო ნეგატიური თეოლოგიის დაშვებაში ნეგატიური დიალექტიკის გარეშე. თავის თავად ესეც დიდა ცოდვა იყო ფილოსოფიის ისტორიის წინაშე და მით უფრო „ბერძენთა ფილოსოფიის“ ავტორისა-

თვის. ამ საკითხების კვლევისასაც საჭირო იყო დიალექტიკური მეთოდის ის მხარე, სადაც უმაღლესი საფეხური განვითარებისა არის გასაღები უმაღლესისათვის, როგორც ამას კ. მარქსი მიუთითებდა ადამიანის და მიმუნის სახეობათა განვითარების მიმართ.

ცელერი და ჰეგელი ბერძნული ფილოსოფიიდან შემდეგი საფეხურების შესწავლის ნიმუშებად გამოსადევია იმ მხარე, რომ მათი ცდები შუა საუკუნეებისაყენ მიმავალი სააზროვნო არხების შესწავლისა შეიძლება გამოდგეს სწორი გზის მოსაპოვებლად. ამ შემთხვევაშიაც მივიდა რა ცელერი ანტიკური ფილოსოფიის განვითარების იმ საფეხურამდე, სადაც ღვთაების გაგების ზემოთ დასახელებულ სამ მხარეს შუა უსასრულობის იდეა პირველ ადგილზეა მოხსენებული პლოტინის ფილოსოფიის დალაგებაში, მაშინვე აღნიშნა, რომ „ამ სამ მხარეს ღვთაების გაგებაში, რომლებიც პლოტინმა გამოიყენა, ყურადღება მიაქციეს მისმა ქრისტიანმა მიმდევრებმა — დიონისე არეოპაგელმა და ერიუგენამ“ (ცელერი, ციტ. ნაშრომი, გვ. 537).

ამ განმარტებაში ორი მომენტია მოცემული, რომელთაგან ერთი მნიშვნელოვანია ფილოსოფიის ისტორიის თვალსაზრისით, სახელდობრ მით, რომ სწორადაა ნაჩვენები ფილოსოფიის განვითარების ხაზი ანტიკურობიდან მედიევალობისაყენ, სახელდობრ: ანტიკურობის შემოქმედების ძალის ამოწურვის შემდეგ, ახალი, ქრისტიანული ფილოსოფიის — ქრისტოლოგიის საფარს ქვეშ აღორძინებული ფილოსოფია ანტიკური ფილოსოფიის ქრისტიანულ ფორმაში გაგრძელებას ნიშნავდა, რომელსაც ზოგიერთ საკითხში ჰქონდა კავშირი აპოლოგეტიკასა, პატრიტიკასა და სხვ., მაგრამ პრინციპულ პრობლემებში, რომელთა შორის უსასრულობის ფილოსოფია იყო წამყვანი, არავითარი ქრისტიანული დოგმატიკის ამბავი არ დასჭირებია.

არისტოტელეს ლოგიკა დასაყრდენი

იყო მეტაფიზიკისა, რომლის მიხედვით საწყისსა ფილოსოფია არქეტექლოგია ფილოსოფიურ სისტემად უნდა გადაქცეულიყო, მაგრამ როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს თავის „რევულებში“, თუმცა არისტოტელე ყოველ ნაბიჯზე ცდილობდა დიალექტიკის წვდომას, არაფერი გამოუდიოდა და... „იზნეოდა ადამიანი“. აქ საქმე მარტო აკრძოსა და ზოგადის მიმართების მოუწესრიგებლობაში კი არ იყო. ასეთი მოუწესრიგებლობა როგორმე იოლას წავიდოდა მიზეზთა იერარქიული წესის გასწვრივ, სადაც, თითქმის მიგნებული მატერიალიზმის წყალობით, თუ იგი ონტოლოგიზაციის მსხვერპლი არ გახდებოდა, არც ისე მიუღებელი ფილოსოფიური სისტემა დამუშავდებოდა.

მთავარი იყო ის, რომ ნეგაციის ცნება არ იქნა მისული მის ფილოსოფიურ საფეხურამდე. ურომლისოდაც ფილოსოფია სისტემად არ შენდებოდა, და რადგან მოხსნილი არქელოგიის (საწყისთა ფილოსოფიის) ნაცვლად ისტორიულმა აუცილებლობამ ფილოსოფიური სისტემის შექმნის ამოცანა წამოაყენა, რომელიც არსებულ ვითარებაში გადაუდებელ პასუხს მოითხოვდა.

აქ წიფთობილია ანტიკურმა აზროვნებამ. „ჰერმენეუტიკიდან“ აღებულმა სწავლამ დადებითისა და უარყოფითისა ვერ მოახერხა დიალექტიკისათვის საჭირო ცნებად გადაზრდა, სადაც თვითონ დადებითსა და უარყოფითში ურთიერთ გამომრიცხველი მიმართება კი არ უნდა დარჩენილიყო, არამედ ურთიერთში გადაშლელი. მთლიანობაში მათი მომყვანი. აქ თავდებოდა ერმენევტიკული, გარეგნული დაპირისპირება და იწყებოდა დიალექტიკა — დაპირისპირებულთა მთლიანობაში გადამყვანი.

არისტოტელე მიხვდა, რომ ერმენევტიკულ, გარეგნულ პოზიციანეგაციიდან სილოგისტიკა არ ამუნდებოდა, რომ საჭირო იყო ნეგატიურში პოზიტიურის დანახვა, რაც „ანალიტიკების“

დასაწყისშივე ნათელი გახდა მისთვის, მაგრამ ნეგატიურის დიალექტიკას მან ვერ მიაგნო და ამის გამო იგი მიუწვდომელი დარჩა როგორც პლოტინის, ისე „ნეოპლატონიზმის მწვერვალის“ — პროკლესათვის. უკანასკნელმა დიალექტიკის დამუშავებისათვის დიდი უნარი გამოიჩინა; მან გააშინველა პრობლემები დიალექტიკური აზროვნებისა, შექმნა მისი არქიტექტონიკა ცნობილი ტრიადის სახით, რაც ცხადია, მომზადებული იყო არა ლოლიკურის, არამედ, ონტოლოგიურ-მეტაფიზიკურის სახით პლოტინისა და სხვების მიერ, და პრობლემა იმდენად ხელსახეები გახდა, რომ პეტრე იბერმა (ფსევდო-დიონისემ) მოახერხა საქმის ვითარების გაგება და ნეგატიური დიალექტიკის დამუშავება.

აქ ორივე დიდი ისტორიკოსი ფილოსოფიისა ჰეგელი და ცელერი შემცდარი აღმოჩნდნენ, რის ნათელყოფას შეუძლია ხელი შეუწყოს უსასრულობის ცნების საბოლოო დამუშავების ამბავს არა ბერძნულ ფილოსოფიაში, არამედ, მისი მემკვიდრეობის ნიადაგზე. ბერძნული ფილოსოფია, როგორც გაირკვა, მხოლოდ მივიდა უსასრულობის იდეამდე ღვთაების ბუნების მიმართ, როგორც მის ატრიბუტამდე, და არა როგორც აზროვნების ნაირობამდე, მეტოდამდე, გზამდე, რომელსაც უნდა შინაგნად ეჩვენებინა უსასრულობა, როგორც სინამდვილის პრინციპი, საწყისი და იმავე დროს აზროვნების წესი. მაშასადამე, V საუკუნის — ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი მართლაც წარმოადგენდა ანტიკური ფილოსოფიის ფუძემდებელთა გამგრძელებელს პლოტინიდან პროკლემდე, მაგრამ თვითონ იგი არ იყო ისეთი, როგორც მას ფილოსოფიის დასახელებული ისტორიკოსები გვიხატავდნენ.

ორივე ისტორიკოსი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ დიონისე არეოპაგელი (ისინი არ ცნობდნენ ფსევდო-დიონისეს და, ცხადია, წარმოადგენდაც არ ჰქონდათ ნამდვილ ავტორზე არეოპაგისტული წიგნებისა — პეტრე

იბერზე) ქრისტიანულ-საეკლესიო მოაზროვნე იყო. ჰეგელი ლაპარაკობს ფილოსოფიის ისტორიის ლექციებში, რომ ნეოპლატონიკოსების შემდეგ ანტიკურობის ფილოსოფიური პრობლემატიკა საეკლესიო მოაზროვნეთა წრეში გადავიდა და ინტერესს არ იჩენს მათ მიმართ, ხოლო ცელერი, როგორც ვნახეთ, პირდაპირ ლაპარაკობს დიონისე არეოპაგელზე (და არა ფსევდო-დიონისეზე) და იოანე სკოტ ერიუგენაზე — როგორც პლოტინის „ქრისტიან მიმდევრებზე“. ორივე შემთხვევაში ქრისტიანობა არაფერ შუაშია სწორედ საეკლესიო აზროვნების თვალსაზრისით, რადგან, როგორც უფრო ნათლად გაირკვევა, მსოფლიო ბრუნვა, რომლის პროცესში საგნები ღვთაების წიაღში ბრუნდებიან გამოუკლებლივ, ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული სოფლგაგების ერთ-ერთ ძირითად დოგმას, სახელდობრ, ცოდვის შესახებ.

უდავო კემარიტებაა, რომ ერიუგენა, ისე როგორც მაქსიმე აღმსარებელი, პეტრე იბერის მოწაფეა და სწორედ ამითაა ქართული აზროვნება შეჭრილი მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიის იმ გარდატეხის მომენტში, სადაც, როგორც ცელერი აღნიშნავდა, ანტიკური ფილოსოფია ამოქურა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობით (იხ. ჩემი წერილი — „მაქსიმე აღმსარებელი და ქართული კულტურის საკითხები“ მნათობი, 1962 წ., № 4).

ყოველი ნააზრევი ისტორიის ქმნის ფილოსოფიურ შემოქმედებაში არა თავისთავად, არამედ იმას მიხედვით, როგორმა პირობებმა წარმოშვეს იგი, უპასუხა თუ არა მან განვითარების მოთხოვნილებებს და რა კვალი დასტოვა საზოგადოებრივ აზროვნებაში. ერიუგენა იმითაა საინტერესო, რომ მან საბერძნეთის საზოგადოებრივ-კულტურული მიღწევა V საუკუნისა, პეტრე იბერის ნააზრევი თანამედროვეობის მოთხოვნილების უკუმფენელი, გადაიტანა ლათინური კულტურის მატარებელი ერების

ს ფ ე რ ო შ ი, როგორც კი ამ უკანასკნელის ისტორიულ-საზოგადოებრივმა განვითარებამ სათანადო საფეხურს მიაღწია ოთხი საუკუნის შემდეგ, ე. ი. IX საუკუნეში.

ფილოსოფიურ გავლენას ის კი არ ქნის, რომ ამა თუ იმ მოაზროვნემ თავის ნაშრომში ესა თუ ის ავტორი დაასახელა, თუნდაც საკმაოდ გამოხატული თანაგრძნობით. ერიუგენა თავის მთავარ ნაშრომში „განყოფისათვის ბუნებისა“ (ლათინურ ენაზე) იხსენიებს არა ერთს საეკლესიო მწერალს: ავგუსტინეს, გრიგოლ ნისელს, გრიგოლ ნაზიანზელს, ეპიფანესს, ამბროსიუსს, ორიგენს და სხვ. მაგრამ ამას თავის თავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ერიუგენას ნაზრების დასახსიათებლად. როგორც ითქვა, განა შესაძლებელია, რომ ერიუგენას, ცოტა თავისებურ გზაზე მავალს, არ დაესახელებინა ქრისტიანობის ყოვლისმფლობელობის პირობებში, როცა მწვალებლობისა და განდგომის დაბრალება ისე გაადვილებულ იყო, საქრისტიანო ავტორიტეტები და მარტო პეტრე იბერის და მაქსიმე აღმსარებლის მოხმობით დაკმაყოფილებულიყო? რა თქმა უნდა, ეს დუშმებელი იყო, და ერიუგენა ამა თუ იმ შემთხვევით სარგებლობს და მერტი თუ ნაკლები ხაზგასმით იხსენიებს ეკლესიის ავტორიტეტებს, მაგრამ, როგორც გაირკვევა, იგი ავტორიტეტებს, კონფლიქტის შემთხვევაში, გონების დაბლა აყენებს.

ცნობილია, რომ ერიუგენამ პეტრე იბერას (ფსევდოდოქსისის) ნაწერები, რომლებიც კი მისი დროისათვის შემონახული იყო ბერძნულ ენაზე, გადათარგმნა ლათინურ ენაზე და დასავლეთის კულტურისათვის ხელმისაწვდომი გახადა. მართალია, დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიკოსები იმ აზრს იმეორებენ, რომ მან უმაღლესი ბრძანების თანახმად გააკეთა ეს თარგმანი, მაგრამ რამ აძულა ერიუგენა არეოპაგისტული წიგ-

ნების შემდეგ ეთარგმნა აგრეთვე ლათინურად მაქსიმე აღმსარებლის მიერ შესრულებული კომენტარები იმავე არეოპაგისტული წიგნებისა? ეს უკანასკნელი თარგმანი ხომ აშკარად მოწმობს, რომ ერიუგენას მიზანი უნდა ყოფილიყო განემტკიცებინა გარკვეული დადებითი შეხედულება ლათინური კულტურის მსოფლიოსი არეოპაგისტისადმი.

არეოპაგისტული წიგნების თარგმნის დამთავრებას (858 წ.) მოყვა მაქსიმე აღმსარებლის კომენტარების თარგმნის დამთავრება (864 წ.), ხოლო სამი წლის შემდეგ დამთავრებულ იქნა ერიუგენას მიერ მისი მთავარი ნაწარმოები — „განყოფისათვის ბუნებისა“ (დე დივიზიონე ნატურე“ ლათინურად, 867 წელი). აშკარაა, რომ ერიუგენა წერდა თავის სასიცოცხლო ნაწარმოებს არეოპაგისტული წიგნებისა და მათი მაქსიმესეული კომენტარების ბერძნულიდან ლათინურზე თარგმნის დროს და, როგორც შინაარსის შედარებიდან ირკვევა, თარგმნილი მასალით საზრდოობდა.

აშკარაა ისიც, რომ ქრონოლოგიური მონაცემისა და შინაარსის შედარების მიხედვით ერიუგენას არ შეეძლო ესარგებლა კერძოდ ავგუსტინეს იდეებით, რადგან ავგუსტინეს არ უცხოვრია ნეოპლატონიზმის მთავარი წარმომადგენლის — პროკლეს სამწერლო მოღვაწეობამდე, რომელმაც განსაზღვრა როგორც პეტრე იბერი, ისე მისი უახლოესი მიმდევარი — ერიუგენა.

როგორც ზევით გაირკვა, პლოტინს არ შეეძლო უშუალოდ, ე. ი. ნეოპლატონიზმით პროკლეს საფეხურამდე გავლენა მოეხდინა პეტრე იბერზე. უნდა მხედველობაში იქნას მიღებული, რომ პროკლეს მიმართაც პეტრე იბერს, ასე ვთქვათ, უარყოფითი კავშირი ჰქონდა, ე. ი. არეოპაგისტის ავტორმა, ქართველმა მოაზროვნემ ასწია იმ პრობლემათა სიმძიმე, როგორიც იყო უსასრულობისა და ნეგაციის ცნება, რომელსაც თავი ვერ გაართვა ანტიკურობამ და საამისო უშედეგო ცდებით ამოიწურა. საჭირო იყო ახალს საზოგადოებრივ-ის-

ტორიულ ვითარებაში ნეგატიური კავშირის ანუ ნეგატიურში დადებითის აღმოჩენა, არისტოტელეს „ერმენევტიკული“ დადებითი-უარყოფითი მიმართების მთლიანობით შეცვლა და ამ ნიადაგზე ნეგატიური დიალექტიკის შექმნა. მხოლოდ ამ უკანასკნელს შეეძლო ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის გაცოცხლება და ფილოსოფიაში უსასრულობის იდეის შეტანა, რასაც აღმოსავლეთ-დასავლეთის ფილოსოფიისათვის ფართო სააზროვნო პერსპექტივები უნდა გაეშალა სქოლასტიკის დამღვევით და რენესანსისათვის ნიადაგის მომზადებით.

ნეგატიური დიალექტიკა, როგორც იგი პეტრე იბერმა შეიმუშავა, იყო არა მარტო საფუძველი და დასაყრდენი ნეგატიური თეოლოგიისა, არამედ შეიცავდა იმ მომენტს, რომლითაც ახალი აზროვნება, ანტიკურის მემკვიდრეობაზე აღმოცენებული, განსხვავდებოდა უკანასკნელისაგან უსასრულობის იდეის განვითარებით. ეს კი არ ეწინააღმდეგებოდა ღვთაების უსასრულობას, პირიქით, მისი განმტკიცებასათვის იყო გამიზნებული, მაგრამ იგი კი არ ამოდიოდა ღვთაებას უსასრულობიდან როგორც ნიშანთა, ატრიბუტთა განუსაზღვრელობიდან, არამედ, აზრისა და არსის იგივეობის დამთხვევით, მიდიოდა ატრიბუტების ისეთი გაგებისაკენ, რომ მათი საწინააღმდეგო, როგორც მიღებული იმავე ღვთაებისათვის, უნდა მოხსნილი ყოფილიყო ნიშნის განუსაზღვრელობით.

თავის თხზულებაში „საღმრთოთა სახელთათვის“ (II, 9) პეტრე იბერს მოჰყავს მაგალითები ნეგატიური დიალექტიკისა, მაგალითად: კეთილი — არაკეთილი — უკეთესი. კეთილი არას ატრიბუტი, რომლის საწინააღმდეგო ყოველთვის შესაძლებელია, თუ დადებითისა და უარყოფითის ჰერმენევტიკულ ფარგლებში დავრჩებით. საჭირდ იყო ამ ნიადაგზე შექმნილი დიალექტიკიდან პრინციპულად სხვა ნიადაგზე გადასვლა, სადაც დადებითი შესული

იქნებოდა უარყოფითში, იმ რიგად, რომ ის მოხსნილი, და მათ დაეცულა ვახდებოდა თავის დადებითობაში. უსასრულობა დიალექტიკური უსასრულობისაკენ. „კეთილი“ თავის ანტიპოდ „არაკეთილთან“ ერთად შედიოდა „უკეთესის“, როგორც ზეკეთილის“ ცნებაში, რომელიც კეთილისა და არაკეთილის დაპირისპირებას ნეგატიურად, ე. ი. მოხსნის საშუალებით, უსასრულობაში გადაიყვანდა.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ რუსთველმა, XII საუკუნეში იოანე პეტრიწის მიერ აღორძინებულ არეოპაგტიკის კარგმა მცოდნემ, იცოდა, ცხადია, ნეგაციის, ე. ი. დაპირისპირებულთა მოხსნით მათი უსასრულობაში გადაყვანა. საქმე ეხება ცნობილ 1492 სტროფს, რომელიც იწყება ასე: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიუნოს გააცხადებს“, რაც ბერძნული ფილოსოფიის საწყის ცნებას გადმოგვცემს „დაფარულის გააცხადების“ შესახებ. ეს უკანასკნელი ბერძნულ „ალეთიას“ (ესე იგი ჰეშმარიტებას) უდრიდა. რუსთაველთან ოთხ პუკარში გადმოცემულია არეოპაგისტული მთელი მოძღვრება, როგორც ჰეშმარიტების, ისე ბოროტების უარსობისა და კეთილის მარადიულობის შესახებ. ამ დაპირისპირებულთა მოხსნას რუსთველი აღწევს დიალექტიკურად და არა ჰერმენევტიკულად. უმაღლესი ცნების — „უკეთესის“ საშუალებით. მართალია, ის არ მისდევს ნეგატიური დიალექტიკის რიგორისტულ წესს წინააღმდეგობის პოზიცია — ნეგაციით გამოხატვისა, მაგრამ რუსთველმა, ჩანს, იცოდა დადებით-უარყოფითის ჰერმენევტიკული ბუნების განსაზღვრულობა და დაპირისპირების არსებითი მხარეები ამჯობინა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია გასაგებ ტერმინ „უკეთესის“ მიყენება რუსთველის მიერ მოყვანილ ადგალზე: „თავსა მისსა უკეთესსა უზადო ჰყოფს...“.

ანტიკური ფილოსოფიის შემოქმე-

დებითი უნარის ამოწურვის შემდეგ, რასაც ცელერი აღნიშნავდა, ფილოსოფიის ერთხანს ქრისტოლოგიით შენაცვლების გვერდით, ფილოსოფიური შემოქმედების კვლავ გაცოცხლების გზის მაჩვენებელია ანტიკურობის მიერ წამოყენებულ, მაგრამ გადაუწყვეტელ საკითხთა კვლავ დაყენება და ახალ ნიადაგზე მათი ანალიზის ნაყოფიერი ცდამშემოქმედებითი ხაზი ანტიკური ფილოსოფიის განვითარებისა, ცხადია, ქრისტოლოგიის ხაზით არ მიდის. ფილოსოფიის ისტორიამ ვერ მოახერხა (თუ ვერ გაბედა) ამ მიმართულებით საქმის წარმოდგენა. ამიტომ იყო, როგორც გაირკვა, რომ ჰეგელმა არეოპაგისტული აღორძინება საეკლესიო მოაზროვნეთა საქმედ გამოაცხადა, ხოლო ცელერმა არეოპაგისტული წიგნების ავტორი და ერთუგენა პლოტინის ქრისტიან მიმდევრებად აღიარა.

სინამდვილეში კი, მონათმფლობელი მეურნეობის დაშლის, ეკონომიური და პოლიტიკური რენესანსის პერიოდში დაიწყო ის, რასაც IX საუკუნეში რენესანსის პირველი ცდა — ევრეთწოდებული „კაროლინგური რენესანსი“ უნდა მოეცა ევროპაში, როგორც დასავლური გამოზნაურება აღმოსავლეთში უფრო ადრე დაწყებული პროცესებისა.

დასავლეთის მეცნიერება დრო და დრო გრძნობს მედიევალური კულტურის საერთოდ, და კერძოდ ფილოსოფიურის კომპლექსური მეთოდით შესწავლის საპირობას, მაგრამ მის სიმძიმეს უფრთხის. ამის მაგალითია იმავე ფსევდო-დიონისეს (პეტრე იბერის) თხზულებათა კრებულის ფრანგულ ენაზე მთარგმნელის ფრანგული წინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოშვების — მორის დე განდილაკის განცხადება: „წ. მაქსიმედან აღმოსავლეთში და ერთუგენადან დასავლეთში არის საჭირო ეხლა (არეოპაგისტული) კორპუსის გავლენის კვლისათვის მიდევნება. ასეთი შრომა აღემატება ერთსა და იმავე დროს ჩვენს ძალას და ჩვენი შესა-

ვალის ფარგლებს“ (დასახ. ნაშრომი, პარიზი, 1943 წ., გვ. 53).

რა თქმა უნდა, კომპლექსური ისტორია ფილოსოფიისა, მას შემდეგ, რაც მედიევალობის საწყისიდან, ანტიკური მემკვიდრეობის ნიადაგზე აღმოსავლეთ-დასავლეთის ფილოსოფიური თანამშრომლობა ერთ ნაკადად გადაიქცა ხალხთა დაჯგუფებათა და მათი ეკონომიურ-საზოგადოებრივ ურთიერთობათა წიაღში, რის შესაძლებლობას ახალა ფეოდალური ვითარება ასე თუ ისე იძლეოდა, მაინც უნდა დაიწეროს. ამ ურთიერთობის ძირითად მიმდინარეობაშია ფეოდალიზმის დამკვიდრებადან რენესანსამდე წამყვან ტენდენციათა გაგების სათავე. სიძნელე ასეთ შემთხვევაში საბუთი არაა. მით უფრო, რომ მედიევალობის დასავლეთის მონაკვეთი საკმაოდ შესწავლილია და ვერ მიდის წინ დასავლეთის მეცნიერებისათვის აღმოსავლეთის ამბავთა ნაკლები ცოდნის გამო. ამ საქმის გამოსწორება ადვილი იქნება, როცა აღმოსავლეთის მეცნიერება გაარკვევს საკმაოდ საერთო წარსულის ამბებს.

დამახასიათებელია, მაგრამ არაა სავსებით სწორი მორის განდილაკის მიერ არეოპაგიტის აღმოსავლეთ-დასავლეთის კვალის გამოსარკვევად მაქსიმე აღმსარებლიდან — აღმოსავლეთისათვის და ერთუგენადან — დასავლეთისათვის ამოსვლა. ეს ასეა თუნდაც იმის გამო, რომ მაქსიმე აღმსარებელს და ერთუგენას ერთი და იგივე სოციალური და იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდათ. აღმოსავლეთა, როგორც ცნობილია, წინ თუ არ უსწრებდა დასავლეთს ეკონომიური განვითარებით, მის სიმაღლეზე მაინც იდგა, ხოლო, კერძოდ VII—VIII საუკუნეების ბიზანტიაში, კიდევ მტკიცე იყო ის ეკონომიური ბაზისი, რომელიც დასავლეთში შეირყა კაროლინგური რენესანსის პერიოდისათვის (IX საუკუნისათვის). ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა თითქმის თანაბარია აღმოსავლეთ-დასავლეთში და არეოპაგისტული იდეების პრინციპებზე დაუბრკოლებ-

ლივ აღმოცენდა ფილოსოფიის ის სისტემა, რომლის საფუძვლები ჩაიყარა მამინ, როდესაც ქართველმა მოაზროვნემ — პეტრე იბერმა უფრო კარგად აუღო ალღო არისტოტელეს მიერ წამოყენებულ საკითხს ფილოსოფიურ საწყისთა — არქელოგიის ნაცვლად ფიზიკის მომდევნო „მეტაფიზიკის“ დამუშავების შესახებ, რასაც ხელს უშლიდა უძრავ იდეათა სტატიკურობაში მყარად ქცეული მსოფლიო ანუ სამყარო („იონი“). ამ სისტემის ნიადაგზე ერიუგენა უფრო შორსაა წასული, ვიდრე არეოპაგიტული ძეგლები, რითაც გაიზომება მანძილი V საუკუნიდან IX საუკუნემდე, როდესაც გადაიღვა პირველი ნაბიჯი კაროლინგური რენესანსისაკენ მისი ამ საუკუნეში შესაძლებლობის მოცულობით.

ამდენად, ფილოსოფიის განვითარების მაგისტრალური ხაზი მიდის ანტიკური აზროვნების შემდეგ პეტრე იბერისაკენ, რომელმაც თავისი მასწავლებლის — იოანე ლაზის შუალობით პროკლეს მკერ მიღწეული უმაღლესი საფეხური ნეოპლატონიზმისა ნეგატიურად გამოიყენა, ე. ი. უკანასკნელის ცდები დიალექტიკის შესაქმნელად ნეგატიური დიალექტიკის სახით დაამუშავა და ამის ნიადაგზე შექმნა პირველი ფილოსოფიური სისტემა, სადაც პოზიციანეგაციის გზით, ქვემოდან ზევით იერარქიული საფეხურების ლოგიკურად გაშლის წყალობით პირველი საწყისიდან, რომელიც არაობა იყო, მიზეზთა საფეხურებით კონკრეტულ ქვეყანამდე მსოფლიო, როგორც „თეოფანია“, ე. ი. ღვთაებისა და ქვეყნის იგივეობა წარმოიდგინა.

ეს იყო ახალი ამბავი ფილოსოფიის სისტემად გაშლის სახით. მას ჰქონდა ზოგი უფრო დეტალურად გასაშლელი ადგილი, რომლის დამუშავებაში, მიუხედავად დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიკოსთა მცდელობისა, საეკლესიო მოაზროვნეებს არავითარი დამატება ან ცვლილება არ შეუტანიათ. საჭირო იყო პირველ მიზეზსა და მეორე მიზეზს შორის

ნიმართების უფრო ნათლად გაგება. ეს იყო მოძღვრება ლოგოსის შესახებ, რომელიც ცოტა გაუგებარი ჩანდა, რადგან ღვთაებაში, როგორც არაობაში, რაც მისი აბსოლუტურობის გამოსახვიდან იაზრებოდა, არეოპაგიტიკა ვერ ხედავდა დასაყრდენს ქვეყნის გამომდინარეობისა. ეს პრობლემა დაამუშავა მაქსიმე აღმსარებელმა (იხ. კარდერიუსის გამოცემა). შეიძლება ჩემი წერილი: „მაქსიმე აღმსარებელი და ქართული კულტურის საკითხები“, „მნათობი“, 1962 წ. № 4).

ფილოსოფიურ ძეგლებს შორის, რომლებიც ერიუგენას მიეწერება, შეიძლება განზე იქნეს დატოვებული მისი თხზულება „წინაგანწყობისათვის“ (ლათინურად, 851 წელს) და მთელი რიგი წერილი კომენტატორული ხასიათის ნაწერი. მაგრამ „წინაგანწყობაში“ მაინც ჩანს, რომ ერიუგენა იცნობდა არეოპაგიტიკულ ნაშრომებს უფრო ადრე, ვიდრე მან მისი თარგმანი დაიწყო.

დასავლეთის ისტორიოგრაფთა არაერთგზის ამტკიცებს — ერიუგენამ იმითომ მაჰყო ხელი ხალისიანად არეოპაგიტიკული წიგნების თარგმნას, რომ მათში ნათესავური შეხედულებანი დაიანხაო (ბერტრან რასელი, დასავლეთის ფილოსოფია, გვ. 420). რა საბუთით შეიძლება ასეთი რამის მტკიცება, ან რა საჭიროა ასეთი დაშვება, როცა აშკარაა, რომ ერიუგენას პეტრე იბერის ნაშრომები ერთ დღეს არ გადაუთარგმნია, მათ თარგმნამდე და მის პროცესშიაც იგი მათ ეცნობოდა.

ძირითადი საკითხი, რომელსაც ისტორიულ-ფილოსოფიური პერსპექტივები ჰქონდა, იყო უსასრულობის იდეის ამბავი. აქ არის დასმული პრობლემა, ანტიკური აზროვნებიდან მედიევალურ აზროვნებაზე გადასვლისად დასწორედ ესაა ქართული ნააზრევის მსოფლიო-ისტორიული მიყენების არე. ჰეგელმა მოუთითა, რომ ნეგაციის იდეა ნეოპლატონიზმის ფუძემდებლებმა მიუყენეს

ღვთაების იდეასო (ჰეგელი, ფილოსოფიის ისტორია, თხზულებანი, IX, 62 და სხვ.) და უხალისოდ აღნიშნა — იგი საეკლესიო ფილოსოფოსებმა მოახერხესო. შეუძლებელია ჰეგელს აქ მხედველობაში ჰყოლოდა ცნობილი ქრისტოლოგება — აგუსტინეთი დაწყებული, ვიდრე დასავლეთში ფილოსოფიის აღორძინებამდე, ე. ი. IX საუკუნემდე, ვინაიდან ნეგაციის მნიშვნელობა ღმერთის იდეის გამორკვევისათვის საღმრთო წერილის ტექსტის კრიტიკას იწვევდა, რაც საბოლოო ანგარიშში, როცა ღმერთი გაგებულ იქნებოდა, როგორც უმაღლესი ნეგაცია, მისი არყოფნის, არაობის ამბავი გაიშლებოდა.

ამ უკანასკნელს მოვლა უნდოდა — ეს ნეგაცია ვერ იქნებოდა „ჰერმენევტიკული“, ანუ, როგორც დღეს ვამბობთ, ფორმალ-ლოგიკური. იგი უნდა ყოფილიყო ის უნივერსალურ-დიალექტიკური, სადაც ნეგაცია და პოზიცია ერთი მეორეს განმსჭვალავდნენ უმაღლესი ნეგაციის ნიადაგზე.

ამრიგად, თუ უსასრულობის იდეა პლოტინმა ღვთაების იდეაში წარმოიღვინა, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა უსასრულობის ცნებას, და მით პრინციპულად ეს ცნება ღვთაების იდეით იყო ლიმიტირებული, ე. ი. განსაზღვრული, ამიტომ საჭირო გახდა ღვთაების იდეის გადალახვა, ღვთაების ზევით ასვლა. ეს ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო ისე, რომ ღვთაებისადმი ნეგაციის მიყენებით იგივე იდეა ღვთაებისა განმტკიცებულიყო. ამას, ცხადია, ვერ გააკეთებდა იმ საფეხურის დიალექტიკა, რომელიც ჯერ კიდევ განიცდიდა ფორმალ-ლოგიკის დაწოლას, ჯერ კიდევ საბოლოოდ არისტოტელურ-ჰერმენევტიკული ცნებებით პოზიტიურ-ნეგატიურის, აპოფაზის-კატაფაზის მონაცემებით საზრდოობდა.

ამ უკანასკნელის ნიადაგზე შეიძლება მხოლოდ გარეგნული წინააღმდეგობის განვითარება-გაშლა, სადაც ურთიერთგამორიცხვის ნიადაგზე არ ხერხდება დაპირისპირებულის ცნების

ისეთი გაგება, რომ მასშივე ყოფილიყო წართული მათი ერთიანობის, მათი მთლიანობის იდეა. ნეგაცია-მარტო დაპირისპირების ფუნქციის მატარებელი ვერ იქნებოდა, თუ მისი, ე. ი. დაპირისპირების მომხსნელა და იმავე დროს შემცველი არ იქნებოდა მიგნებული. ეს მომენტა კი უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობაზე ამალღების იდეა და ამით წინააღმდეგობის მომხსნელი.

ე. ი. ლენინი იშვიათი წვდომა-უნარიანობით ხედავდა, რომ არისტოტელე ყოველ ნაბიჯზე აყენებდა დიალექტიკის საკითხს, მაგრამ „იბნეოდა“. ეს იმ-იტომ კი არ ხდებოდა, რომ არისტოტელე ზოგადისა და ერთეულის (ეერძოს) მამართებას ვერ აზრობდა სწორედ: ის „ჰერმენევტიკის“ ტყვეობაში იყო, რომელიც ანტიკურმა ფილოსოფიამ დასტოვა, და იმ სააზროვნო ვითარებას ვერ მიაგნო, სადაც უარყოფითი შეიცავს დადებითს და მას გამაერთიანებელ უმაღლეს საფეხურზე აიყვანს ზოლმე.

ეს მოხერხდა მას შემდეგ, რაც პროკლეს ფილოსოფიის გადამუშავების გზით პეტრე იბერმა შესაძლო უსასრულობის იდეის ახლებურად გაგება და ნეგაციაში დაინახა ის საფეხური აზროვნებისა, რომელსაც შეეძლო და ევალებოდა ერთი საფეხურიდან მეორეზე ასვლა და პირიქით, რასაც ბოლო არ უჩნდა, როგორც სპირალს ქვემოდან ზევით და ზემოდან ქვევით. ღვთაების არსება რომ ყოფილიყო მიჯნა, რომელიც მისგან ამოსვლას და მასთან მისვლას განსაზღვრავდა, განმეორდებოდა უკვე აღნიშნული ლიმიტირებული გამოყენება ღვთაებისა, როგორც ჰერმენევტიკული უსასრულობისა, ე. ი. ღვთაების სიღიდი მისი წვდომის ფარგლების დადგმა.

საჭირო შეიქნა უარყოფის გამოყენება ღმერთის მიმართაც. ეს კი შესაძლო გახდა მას შემდეგ, რაც ნეგაციის საიდუმლოება გაიხსნა პეტრე იბერის აზროვნებაში. ჰეგელი მართალია, როცა აღნიშნა ღვთაების მიმართ ნეგაციის გამოყენება პროკლეს შემდეგ, რადგან

საკითხი იმთავითვე გადაიჭრა ნეგატიური თეოლოგიის სახით ნეგატიურ დიალექტიკაზე დამყარებით.

პეტრე იბერი სარგებლობდა თეოლოგიური ცნებებით, როგორც აზრის გამოთქმის ფორმით და იმ დროს სხვანაირად შეუძლებელი იყო. ჰეგელი მაშინ სცდებოდა, როცა ამ ფორმის მიღმა არ აღნიშნა მისი დიალექტიკური შინაარსი. დადებითი თქმა იმისა, რა არის ღმერთი, მისი განსაზღვრულობა იყო. ამიტომ გაბედა პეტრე იბერმა და საეკლესიო ტექსტების პირველი კრიტიკა მოგვცა უკვე V საუკუნეში. ღმერთის განმარტება ნეგატიური გამოვიდა.

ეს აზრი შეითვისა ერიუგენამ და მას უფრო გარკვეული ხასიათი მისცა. მისი დებულება: „ღმერთისათვის შეუუმცნებელია რა არის ის, რადგან იგი არა არის რა“ („გაყოფისათვის ბუნებისა“, II, 28, 589 გვ.). გამოდის, რომ ღმერთის ყოფიერება მისი არყოფნა — არაარობაა, მაგრამ ამ დებულებაშია მოცემული მთელი არსი ნეგატიური თეოლოგიისა. აქ დაპირისპირება კი არაა ყოფნა-არყოფნისა, არამედ, თვითონ ყოფნა, როგორც პოზიტიური მომენტი, აქ მოცემულია არყოფნაში, ე. ი. პოზიტიური მოცემულია ნეგატიურში. ღმერთი მოცემულია ყოფნაში, ე. ი. ყველაფერში, რაც არის; მისი დასაწყისია დასასრული, რაც ქვეყნის იერარქიულ წყობაშია მოცემული. ერიუგენა პარაპირ მიუთითებს, თუ საიდან აიღო მან ეს შეხედულება: „ღმერთი ყოველივეს არსება, ერთადერთი ჰეშმარტებაა“, —ო დასძენს, „როგორც ამბობს დიონისე არეოპაგელი“ (დას. ნაშრ. I, 113, 455 გვ.).

თუ ქვეყანა არის ღვთის გამოვლენა („თეოფანია“), და ესაა პანთეიზმის თეზა — მაშინ ღმერთის ცნება კიდევ უნდა იყოს ყოფიერება და არც იყოს. აქედან ნაბიჯი — ღმერთი იმიტომაა ყველაფერი, რომ ის არაფერია. იგი ყოფიერებაზე მეტია, ხოლო რადგან ღმერთი არის სავსება ყოფიერებისა, ამიტომ იგი მყოფის ყოფიერებაა და ამდენად მასზე ამაღლებული, ზემოყოფიერი. აქ

საჭირო იყო ერთი გაბედული ნაბიჯი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ამაღლი, უსასრულობაზე დამყარებული აზრების ბედი, და იგა, არეოპაგიტიაში დაწყებული, ერიუგენამ ბოლომდე მიიყვანა. აქ ერიუგენამ გამოიყენა პეტრე იბერის აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას მიყენებული ბუნებასადმი ღვთაების ნეგატიური დიალექტიკა. თუ ღმერთი — ყოფიერება არის, მაშინ მისი ატრიბუტი შეიძლება დაუპირისპირდეს არაყოფიერს, თუ იგი არსებაა, აქაც შეიძლება მოაზრებულ იქნას არ არსობა მყოფისა, და ასე შემდეგ. მაშინ, პეტრეს თანახმად, საჭიროა ასე გაიშალოს ვითარების ვაგება: ყოფიერი — არაყოფიერი-ზეყოფიერი; არსობა — არ არსობა — ზეარსობა და ასე შემდეგ.

ამ ნიადაგზე შემდგარ აზრს ველარ გააჩერებდა ღვთაების ცნება, და ის, რაც ვერ გაბედა პროკლემ, უნდა ეთქვა პეტრე იბერს მთელი გარკვეულობით: ღვთაება, როგორც შეუქმნელი ქმნის არაობიდან, ე. ი. თავისი ღვთაებრიობიდან, რომელიც არაა ყოფიერება, არამედ ზეყოფიერია. მაგრამ, ამავე დროს, ის, როგორც სავსება ყოველთა, არაა ღმერთი, არამედ ზელმერთია (იუპერთეოს). აქ გასცდა ფალოსოფიის ისტორია ანტიკურ ჯებირს, გადალახა ღვთაების ცნება პლოტინის მიერ წამოყენებული, როგორც დასაყრდენი უსასრულობისა, რომელიც არსებითად განსაზღვრული, ანუ ლიმიტირებული აღმოჩნდა ღვთისა და ზელმერთის ცნებებით, რაც პანთეისტურ მატერიალიზმში ზეყოფიერს ემყარებოდა. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ახალი აზროვნების გამოყვანას ფართო პერსპექტივებისაკენ, რომელმაც მედიევალურ ფილოსოფიას ის გზა უჩვენა, რომლითაც ჯორდანო ბრუნო და ნიკოლა კუზანელი გამომავენ მანძილს კაროლინგურიდან უნივერსალურ რენესანსამდე (იხ. ემ. ნაშერ, „ჯორდანო ბრუნო“, ფრანგულად).

ამრიგად, ღმერთი, როგორც ზეყოფი-

ერი, „გაცხადებს“ დაფარულს, „რომელსაც ყოფიერება წარმოადგენს. მის ამბავს საღეთო წერილი „ზესაქმეს“ უწოდებს, რადგან ქვეყნის შექმნის იქით ღმერთი როგორც ზეყოფიერს, ისე არაობას ვერ ხედავს. ერიუგენა ბერძნული ფილოსოფიის მიერ ამ „შესაქმის“ გაცხადებას ანტიკურობიდან „აღეთიად“ გამოთქმულს, ლათინურ „ოკულტუს აპერტუმად“ „გაცხადებულ დაფარულად“ თარგმნის. ეს იყო მთავარი ერიუგენას ნააზრევში. ფილოსოფოსობის სისტემად გადასვლაში პრობლემა ქვეყნის საწყისი ელემენტისა — „არქეს“ შესახებ უნდა გადაქცეულიყო საკათბად თვით ქვეყნის საწყისისა, რაც ნეგატიურ დიალექტიკაში და აქედან თეოლოგიაში უსაწყისო საწყისად უნდა ყოფილიყო გაგებულ. იმავე დროს, ეს იყო ქვეყნის შექმნით თვით ღმერთის შექმნის მომენტი, რადგან ასე „გაცხადდა“ ყოფიერების „დაფარული“. მართალია, ერაუგენა ღმერთზე, როგორც „ყოვლის უმაღლეს ფორმაზე“ (ფორმა ომნიუმ სუმა) თავის აღრინდელ წიგნში „წინაგანწყობის შესახებ“ ლაპარაკობს (დას. ნაშრ. II, 362), მაგრამ ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ამ წიგნის წერის დროსაც ერიუგენა იცნობდა არეოპაგიტის ძირითად იდეებს.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ღმერთის, როგორც საგანთა სახის ანუ ფორმის შექმნელის, იდეას, იცნობს რუსთველი, როცა ამბობს: „ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“. აქედანაც ჩანს, რა ზუსტად იცოდა რუსთველმა იოანე პეტრიწის მიერ აღორძინებული სწავლა თავისი დიდი თანამემამულის — პეტრე იბერისა.

ცხადია, მთავარი სისტემის აგებისათვის ერიუგენას მიერ პეტრე იბერის იდეათა გამოყენებაში აღნიშნული იყო მომენტები და არა ყველაფერი. მაგალითად, მოძღვრება ქვეყნის იერარქიის შესახებ, როგორც ამას ამტკიცებს ზემოთნახსენები მორის განდილაკი. იგი წერს:

„რასაც განსაკუთრებით იღებს „განყოფა ბუნებისათვის“ დიონისედან — არის ცენტრალური ფაქტი იერარქიისა“ (დას. ნაშრ., გვ. 50). ნათქვამის შემდეგ აშკარაა, რომ იერარქიის შესახებ მოძღვრება ერიუგენასთან ისე, როგორც პეტრე იბერთან, არის გამოყვანილი მეორადი მოვლენა. ერიუგენასთვის მისი სისტემის შესაქმნელად იერარქიის მოძღვრებას, აშკარაა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მასთანაც ეს დამოკიდებული იყო ზეყოფიერების „გაცხადებასთან“ ზღვრების და, მაშასადამე, უსასრულობის იდეაში.

უფრო სწორია დასახელებული ავტორი, როცა წერს: „მაგრამ (ერიუგენასთან) იერარქია განმარტებულია უფრო ლოგიკურად... რადგან „განყოფა“ შეიცავს ზოგად გვარში გამსხვილებულ სახეობათა დანაწევრებას და მათ ვარიაციებს“ (დას. ნაშრ., ციტ. აღგილი). არეოპაგიტის წიგნთა კარგი მკოდნის ეს განცხადება მნიშვნელოვანია, ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ ერიუგენას მთავარი შრომა უდავოდ ამტკიცებს, რომ მასში გამოყენებულია „წიგნი მიზეზთა“. უკანასკნელი (დღეს ეს უკვე ცნობილია) წარმოადგენს იმავე პეტრე იბერის ნაშრომს (იხ. ჩემი წერილები: „წიგნი მიზეზთა“, „პეტრე იბერის ნაშრომები“, „მნათობი“ 1959, № 7 და „Византийский Временник“, № 20). მართალია, განდილაკი არ ჩერდება ამ საკითხზე, მაგრამ მაინც მოჰყავს ფაქტი, რომ თომა აქვინელმა „წიგნი მიზეზთა“ და პეტრე იბერის „საღმრთო სახელთათვის“ ერთად განმარტა (დას. ნაშრ., გვ. 54).

შეიძლება ამაზე შევაჩეროთ ერიუგენას ნააზრევის კვლევა, რადგან ნათქვამიდანაც საკმარის ნათელია, თუ როგორ გადაიტანა მან პეტრე იბერის იდეები ლათინურ ფილოსოფიურ კულტურაში.

პირობი მასხარაპილი

ქართული ხელოვნების ძეგლები მშენი დანსეკმ
სურათებსა და ეტიუდებში

გვგენი ლანსერე მკათო ინდივიდუალობის მქონე მხატვარია. მისი შემოქმედება დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა: წიგნის გრაფიკა, მონუმენტური მხატვრობა, პეიზაჟი, პორტრეტი, თეატრალური დეკორაციები და კოსტუმების ესკიზები, თანამედროვე ცხოვრებისა და ისტორიულ თემაზე შესრულებული სურათები, ფაფერის ნაწარმის ესკიზები და სხვ. ბუნებრივია, დარგებისა და თემატიკის ასეთი მრავალფეროვნება მოითხოვდა ტექნიკური ხერხების მრავალსახეობას და მხატვარი მიმართავდა ხან ზეთს, ხან ტემპერას, გუაშს, აკვარელს, პასტელს, საწვინს, ფანქარს, კლავს. ე. ლანსერეს ყოველი ნამუშევარი, რითაც არ უნდა იყოს შესრულებული და რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს, ყოველთვის დახვეწილი და სრულყოფილია თავისი ფორმით; მასში ყოველთვის ღრმა აზრია ჩაქსოვილი, გამთბარი და ამადლებულია პოეტური განწყობილებით.

ე. ლანსერე, რომელმაც რევოლუციამდე რთული შემოქმედებით გზა განვლო, საბჭოთა ხელოვნებაში თავიდანვე რეალისტურ პოზიციებს დაიდა. თბილისში საცხოვრებლად ფიწორედ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ ჩამოვიდა. ე. ლანსერე დიდი ვატიცებით და სიყვარულით მონაწილეობს საბჭოთა საქართველოს ყოველ კულტურულ წამოწყებაში: აქტიური მონაწილეა თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებისა და ამ დაწესებულების ერთ-ერთი პირველი პროფესორი, საქართველოს მეზუემის თანამშრომელი-მხატვარი, საბჭოთა საქართველოს პირველი მხატვარი-მონუმენტალისტი, საქართველოს სამხატვრო ფონდების მზრუნველი და მრავალი სამეცნიერო ექსპედიციის წევრი. საქართველოში ე. ლანსერე დაუახლოვდა ქართული კულტურის მრავალ მოღვაწეს: გ. გაბაშვილს, გ. ჩუბინაშვილს, ე. თათველიანს, მ. შაქვაძეანს, ნ. სევეროს და სხვ. მეგობრობა და შემოქმედებითი კონტაქტი აღადგინა ძველ მეგობრებთან: ი. შარულენაშვილთან — თბილისში, მ. სარიანთან და ა. თამანიანთან — ერევანში.

საბჭოთა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში იმ დროს, სხვა მრავალ მნიშვნელოვან

ამოცანასთან ერთად, გადასაწყვეტი იყო ძველი კულტურისა და ხელოვნების ძეგლების დაცვისა და აღრიცხვის, სამხატვრო ფონდების შექმნის და ვაზრდის, უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის დაარსების ამოცანებიც. საქმისადმი დიდი სიყვარული, ქართველი ხალხისა და მისი კულტურისადმი დიდი ინტერესი ე. ლანსერემ ჩამოსვლისთანავე გამოამჟღავნა. იგი ცდილობდა გაცნობოდა საქართველოს არა მარტო ცენტრალურ ნაწილებს, არამედ მის შორეულ კუთხეებსაც კი, რასაკვირველია, ყოველთვის იხედა დიდ ინტერესს ძველი თბილისისადმი, მისი გარეუბნებისადმი, სადაც განსაკუთრებული გულმოდგინებით ქმნიდა მრავალრიცხოვან ეტიუდებსა და ალბომის სწრაფ ჩანახატებს.

თბილისში ყოფნის დროს ე. ლანსერე თითქმის ყოველ ზაფხულს მოგზაურობდა კავკასიის შორეულ კუთხეებში. მოგზაურობა ძირითადად ორგვარი ხასიათისა იყო — ძველი ქართული კულტურის ძეგლებისა და ხელოვნების შემსწავლელ სამეცნიერო ექსპედიციებში მონაწილეობა და თვით მხატვრის სერვილით მოწყობილი შორეული მოგზაურობანი, სადაც ზვირად მასთან ერთად იყვნენ მისი მოწაფეები და მეგობრები. ამ მოგზაურობათა შედეგი იყო მხატვრულ ნაწარმოებების გარკვეული ციკლები, სადაც გადმოცემული იყო კავკასიის ხალხთა ცხოვრებისა და ყოფის სხვადასხვა მხარე, ხელოვნების ძეგლების ჩანახატები, ეტიუდები და კავკასიის პეიზაჟები, რომელთა გამოქვეყნება მხატვარს განზრახული ჰქონდა ცალკეულ ალბომებად ანდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონოგრაფიად.

თბილისში ცხოვრების დროს განეყოფინება მეტად საინტერესო მოგზაურობანი შორეულ და ძნელად მისასვლელ რაიონებში. 1921 წ. დავით-გარეჯის უდაბნოში, 1922 წელს შუა-თურქეთში, 1925 წელს მთიან ზანგეზურში, 1926 წელს დაღესტნის შორეულ იუღებში, 1928 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში — ყიზლარში და აზერბაიჯანში, 1929 წ. სვანეთში, ნახჩევანსა და ქულფაში — ირანის საზღვრებთან, 1930 წელს ისევ სომხეთში — ლორეში, 1931 წელს ზეკარის

ულტრახილზე — აბასთუმანში და სხვ. აქ ჩამოთვლილიდან ნათლად ჩანს, რამდენად ფართო იყო მხატვრის ინტერესები, ეს მოგზაურობა ამ მხარეებშია და ხალხის ზერელე გაცნობა კი არ იყო, არამედ ღრმა დაკვირვებით, მხატვრის მახვილი თვალით, ბრწყინვალე ოსტატის ხელით ზედმოდა ყოველივე ნაწილის ფიქსირება, იგი დაუღალავად, მუდამ ფანქრით ან ფუნჯით ხელში დადიოდა ამ შორეულ კუთხეებში, ეძებდა და გადმოგვეცემა საინტერესო, ცოცხალ სინამდვილეს, ხალხის ყოფას, მისი კულტურის ძეგლებსა და ბუნებას.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე იგი მიწვეულ იქნა გერ კავასის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მიერ მცხეთის ზელოვნების ძეგლების შესასწავლად, ხოლო შემდეგ პროფ. გ. ჩუბინაშვილის მიერ სიძველეთა და ზელოვნების ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს ექსპედიციაში — დავით-გარეჯის უღბანის გამოქვაბულთა შესასწავლად. ექსპედიციის მიზანი იყო შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ძეგლებისა, და კერძოდ დავით-გარეჯის უღბანის გამოქვაბულთა სამონასტრო კომპლექსებში დაცული 10-13 ს. ს. კედლის მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშების შესწავლა. VI საუკუნეში დაარსებული დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი თბილისიდან 70-ილიმდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ე. ლანსერეს, როგორც ექსპედიციის წევრს, ევალებოდა თავის სურათებში და ჩანახატებში გადმოეტა უღბანის საერთო ხედები, იქ გაფანტული გამოქვაბულები და მათ კედლებზე დაცული ფრესკები. დროის სიძვირის მიუხედავად (ექსპედიციამ ათი დღე იმუშავა), ე. ლანსერემ შესარულა მთელი სერია — ორმოცამდე ეტიუდი და ჩანახატი ნატურიდან. მეტად თავისებურია დავით-გარეჯის უღბანის მხით გამომწვარი მთავარი მრავალი ფერადოვანი ნიუანსებიდან მღიღარო, რომლებიც განათების ცვალებადობის დროს ყოველთვის სხვადასხვა ელერადობას ღებულობს. შუა საუკუნეთა გამოქვაბულები, კედლების უზარმაზარ მასივებში გამოკვეთილი ეკლესიები, სატრაპეზოები და ბერთა სენაკები დამწვინებულია შესანიშნავი ფრესკებით. «Испытавешь что-то напоминающее Помпею, непосредственное соприкосновение с давно ушедшими веками!» — წერს ე. ლანსერე თავის მევობარს ა. ბენუას დავით-გარეჯის შესახებ.¹

დავით-გარეჯის თავისებური გარემოს გადმოცემილ მხატვარი ელის სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებს: ხატავს ფანქრით, სანეინით, ნახშირით, ფანქრით ჩანახატებს აკოცობებს აქვარელით, მიმართავს ტემპერას. ოსტატურად იყენებს ფერად ან ტონირებულ ჭაღალს სურათის

თის საერთო ფონად. ხან ყუთელი მზით გადამწვარი — მთების საერთო ტონით გამოყენებული, ხანაც მოღრუბლული ფლანკატორები. ბრწყინვალედ შესრულებულ პეიზაჟებთან ერთად, ჩახატულია გამოქვაბულთა ხედები, ცალკეული გამოქვაბულები, კედლის მხატვრობის ზოგადი ხედები, ცალკეული დეტალები. მხატვარი აღფრთოვანებულია ძველ ქართველ მხატვართა მალაი ოსტატობით; იგი იმავე წერილში წერს: «Любуюсь композицией, легкостью творчества, простыми красками, столь благородными».

გამოქვაბულთა ხედების შრავალ ეტიუდს შორის მეტად საინტერესოდ შეიძლება ჩაითვალოს სატრაპეზოს ორი ეტიუდი. უღბანის გამოქვაბულთა კომპლექსი გამოკვეთილია თითქმის ციკაბო მთის სამხრეთ ფერზე. მხატვრის მიერ წარმოდგენილი სატრაპეზოს წინა ნაწილი ჩამონგრეულია, რის გამოც მას ეძლევა საშუალება გამოსახოს შუადღის თაყარა მზით განათებული გამოქვაბულის შიდა სივრცე. რაოდენი ოსტატობით გადმოსცემს იგი კედელში გამოჭრილი სათავსოს სასათაო და არქიტექტურულ ფორმებს: მზით განათებული გამოქვაბული და მის კედლებზე შესრულებული მხატვრობა გადმოცემულია ნათელი და ცოცხალი კოლორიტით, ხატვასმულია გამოქვაბულის მოყვითალო-ნარინჯისფერის ჭეის ტონის და ფრესკების კოლორით, ვადმოცემულია, ძირითადად, მოყვითალო და მოწითალო ყვისფერის ერთიანობით.

გამოქვაბულთა შიდა ხედებიდან მეტად საყურადღებოა დოდოს სამონასტრო კომპლექსის გუმბათიანი ეკლესიის ინტერიერი. აქ ვადმოცემულია კედელში გამოკვეთილი გუმბათიანი ეკლესიის სივრცე და სიღაღე, გამოსახულია აფსიდა და მის წინ ამართული მალაი კანკელი. მხატვარი ოსტატურად წარმოგვიდგენს გამოქვაბული ეკლესიის ზოგად ფორმებს. კედელში გამოჭრილი არქიტექტურა, მისი თაღები, გუმბათი — გვესახება მონუმენტურად. მოყვითალო ღია ყვისფერით განათებული კანკელის თბილი ტონები ოსტატურად უბირისპირდება მონაცრისფრო მოლურჯო ტონის მკრთალად განათებულ თაღებსა და გუმბათს.

გამოქვაბულთა შიდა სივრცის კედევ ერთი საინტერესო სურათია ნათლისმცემლის მთავარი ეკლესიის ინტერიერი. მეტად მალაი, დღი სივრცის შემკული, ფართო სარკმლებიდან უხვად განათებული ეკლესია მთელი მისი მშვენიერებითა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ძირითადი მახვილი დიდი ზომის აფრულ კანკელზეა გადატანილი, რომლის ნათელი ფერადონება კედევ უფრო მეტადაა გამოთბარი სამხრეთის კედლის სარკმლებიდან შემოსული ჩამავალი

¹ წერილი ინახება მხატვრის ოჯახის არქივში.

შის სხივებით. ნათელი და ხალისიანი სურათის საერთო ფერადონება, (მოვერცხლისფერო და ღია ცისფერი, ვარდისფერი, რომელიც დიდი გემოვნებითაა შერწყმული ძალზე თბილ მოყვითალო და ზაც მოშწვანო ტონებთან), რაც საბოლოოდ შესანიშნავად პასუხობს მთავარი ტაძრის დიდებულებას.

მხატვარი დავით-გარეჯაში შესარულა ისტორიულ პერსონაჟთა პორტრეტების ჩანახატები: დემეტრე თავდადებულის მთლიანი ფიგურა და დიდებულთა წესებში გამოსახულებანი. ეკლესიაში დემეტრე თავდადებული გამოსახულია ქართულ კედლის მხატვრობაში ვარცხლებულ ვედრების პიზით; ნატურალიზმის ზომით წარმოდგენილი მეფის ფიგურა თაღთან სვეტიცხოვას ჩასმული. ამ ფრესკის ჩანახატი ე. ლანსერეს შესრულებული აქვს აკვარელით. გადმოცემულია ფრესკის საერთო ხასიათი, მეფის მდიდრული სამოსელი, მორთული ძვირფასი ქვეებით, სადაც უფრო მეტად ჭარბობს იმპერიალური ტონები, მთლიანი დიდებულები ხასიათი შემოღარგული ფიგურის კონტური.

ქრტიორთა გამოსახულების (ეკლესიის მაკეტით) ჩანახატში დეტალურადაა დამუშავებული თავისებური, სახელდობრ გადმოცემულია ბეწვით მორთული ქედის ფაქტურა. ლანსერეს მიერ შესრულებული ჩანახატები-პორტრეტები წარმოადგენენ მეტად საინტერესო დოკუმენტურ მასალას.

ე. ლანსერემ დავით-გარეჯაში საღებავებით შესარულა კედლის მხატვრობის ორნამენტის ჩანახატები; ბერძენულანში სატრაპეზოს მთავარი ნიშის მორთულობა. ორნამენტის ელასტიკური და ფაქიზი ნახატი გადმოცემულია სწრაფი, მოქნილი, მტკიცე შტრიხით, რომელსაც აკვარელის თხელი და ამავე დროს ელვრადი ფერადონი გამოთავისუფლებს. ე. ლანსერეს ჩანახატი, მეტად თავისუფალი, სწრაფი მანერით გამოსახავს ფრესკული ორნამენტის ამ მოტივის თავისებურებას, კედელზე ქსოვილის იმიტაციას.

1924 წელს ე. ლანსერე ნ. სვერკოვთან ერთად გ. ჩუბინაშვილის მიერ მიწვეულ იქნა შიომღვიმის მონასტრის შესასწავლად. ე. ლანსერემ ამ მონასტრის დროს ტემპერით შესარულა მონასტრის საერთო ხედი და დიდი ეკლესიის ინტერიერი. იოანეს ეკლესიის ინტერიერი და ლავრის საერთო ხედი. შემდგომში მხატვრის მიერ შესრულებულ იქნა ლითოგრაფიულად დაიბეჭდა გ. ჩუბინაშვილის ნაშრომში „შიომღვიმის ლავრა“.

სურათში „შიომღვიმის საერთო ხედი“ — მხატვარი ქალაქის ღია, წყალნარევი ვაკისფერ ტანს იყენებს სურათის ძირითად ფონად. მაღალი, შვეული მთის ძირშია მჭიდროდ შეჯგუფული სამონასტრო ნაგებობანი. მხატვარი, დავით-გარეჯის ეტრუდებისაგან განსხვავებით, ამ მკაცრი პეიზაჟის თავისებურებას ურთ ტონების მონაცვლეობით გადმოგვიცემს. ეტიუდი შესრუ-

ლებულია მეტად ძუნწი გრაფიკული ხერხებით; უზარმაზარი მთა გადმოცემულია უბრალო და ფერადი ფანქრის იშვიათი შტრიხებით. შენობათა აგურისფერი სახურავი გაციონდება სურათის ლაქებით, წინა პლანი კი ზაცი მწვანე ზალახით. მხატვარს დიდი განწყობილებით აქვს გადმოცემული ბუნების გრანდიოზულობა და მყუდრო, ერთმანეთის მიჯრით, ვალაგებული შენობები.

გ. ჩუბინაშვილის აღნიშნულ ნაშრომში დაბეჭდილია ორი ავტოლიტოგრაფია: ანსამბლის საერთო ხედი და ძველი ეკლესიის ინტერიერი. საერთო ხედში წარმოდგენილია მთა და სამონასტრო კომპლექსი. კომპოზიცია ისევეა გააზრებული, როგორც ფერად სურათში, რბილი ფანქრის ხშირი დამტრახივითაა გადმოცემული მთის სიდიადე და სიმკაცრე, ნაგებობის ფორმები მოცემულია მკვეთრი კონტურის ხაზით, რომლებიც მთის საერთო პეიზაჟთანაა შერწყმული. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ინტერიერი გვიჩვენებს აფსიდის ხედს. გარეშად შემოსული შუქი რბილად ეფინება კედლებს, თაღებს, სვეტს და რბილი მოდელირებით, შექმნიან ჩრდილზე თანდათანობით გადასვლით, გამოყოფს მათ ფორმებს.

შიომღვიმეში ე. ლანსერემ, ავტოლიტოგრაფიულ ინტერიერებთან ერთად, ტემპერით შესარულა დიდი ეკლესიის ინტერიერის ფერწერული ეტიუდი. მხატვარი მოხიბლულა შუქის ძლიერი ნაყოფით, განათებული კანკელის ფერადონი ელვრადობით; მწვანე, ვარდისფერი, ოქროსფერი და ნაცრისფერი ტონების მონაცვლეობა ეტიუდში ქმნის მდიდრულ და სახიფათო განწყობილებას. თვით მხატვარი ამ ეტიუდის შესახებ წერს: „С любовью пишу темперой внутри церкви“¹.

ამ ეტიუდებს შესრულებს ხარისხით და მასშტაბით როდეს აქვს მხოლოდ დოკუმენტური მასალის მნიშვნელობა — თითოეული მათგანი ყველა შემთხვევაში წარმოდგენილია, როგორც დასრულებული სურათი, სადაც კარგად ჩანს ბუნების, არქიტექტურული ფორმებისა და ფერის ლანსერესული გააზრება.

1928 წელს ზაფხულში ე. ლანსერე ბეთანიის მონასტრში მუშაობს, აქ იგი მრავალ ეტიუდსა და ჩანახატს ქმნის. მაშინ შესარულა ბეთანიის ტაძრის ინტერიერის ორი ეტიუდი, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შესრულების ტექნიკით. ერთი მათგანი სქელი ტემპერითაა დაწერილი, სივანეში გაქობულ სქელ ქაღალდზე; აქ ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხეა წარმოდგენილი. მეორე ფერადი ფანქრითაა შესრულებული და გვიხატავს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს. ორივე ეტიუდში მხატვარი სხვადასხვა წერტილიდან გადმოსცემს ეკ-

¹ ე. ლანსერეს დღიურებიდან. დღიურები დაიკულია მხატვრის ოჯახში.

ლესის შინაგან სიერეს, არქიტექტურულ ფორმებსა და მის საერთო ფერადოვნებას. მეორე ეტიუდში მხატვარი შინაგან სიერეს გადმოგვიცემს გუმბათის ყელამდე. წინა პლანის ატყორცნილი თაღის ნაწილი, სიღრმეში — გუმბათქვეშა თაღისა და სარკმლიანი კედლის თანამიმდევრობა ქმნის ღრმა და დიდი სიერის შთაბეჭდილებას. სარკმლებიდან და გუმბათის ყელიდან შემოჭრილი შუადღის მკვეთრი ოქროსფერი ახივები თითქმის თანაბრად ეფენება შიდა სიერეს, სვეტებს, თაღებსა და მათ მასიურ არქიტექტურულ ფორმებს და ქმნის მეტ გამომსახველობას.

ფრესკებია კედლებზე მოთამაშე შუადღის ნათელი სივრცე, მათი ძლიერი ნაკადი მრავალფეროვნად (მოლერჯო-მონაქრისფერო, თბილი მოყვითალო ტონებით) წარმოგვიდგვს ქართული მონუმენტური კედლის მხატვრობის მეტად საინტერესოდ გააზრებულ ფერადოვან გამას.

ბეთანის მეორე ეტიუდში წარმოდგენილია ეკლესიის კარიბჭე. ეტიუდი სწრაფად, მეტად სადა ხერხებითაა შესრულებული. მუყაოს მოყვითალო ყავისფერი გამოყენებულია ეტიუდის ძირითად ტონად, კერძოდ კედლის წყობის ტონად. ნაგებობა ბუნებრივად და დამაკრებლად შერწყმული გარემოსთან — აკვარელით გადმოცემული ღია მწვანე ხალახის ფერი პოეტურადაა აბრეცილი კარიბჭის პორტალზე და თაღებზე. ბერის ფიგურის შავ სილუეტსაც შეაქვს გარკვეული რომანტიკულობა ამ ნათელი ღრის ღია ფერადოვნებაში.

ე. ლანსერე მოგზაურობის მეტად საინტერესო და ნაყოფიერ პერიოდს განეკუთვნება მისი საქართველოში ყოფნის უკანასკნელი წლები. 1929 წელს იგი ქვემო და ზემო სვანეთში მოგზაურობს. მხატვარი აღფრთოვანებულია სვანეთის ბუნების სიდიადით — დაინტერესებულია ამ ქუთხის თავისებური ყოფილი, საინტერესო ტიპებით, რომელიც მოტივებსა და სახეებს გატაცებით იხატავდა აღზომებში, ქმნიდა ეტიუდებსა და დასრულებულ სურათებს. აქვე შექმნა მან სწრაფი ჩანახატების მთელი სერია, რომლებზეც ნაწილობა შეხვედრის დროს ასრულებდა. ამ ცოცხალი, მკაფიო გამომსახველობის შიშინ, ჩანახატებით შეიძლება თვალი გვაადვივინოთ მოგზაურთა მთელ მარშრუტს. ასე, მაგალითად, აღზომის პირველი გვერდებიდან ჩანს, რომ მხატვარი ქუთხისშია: აქ ვხვდებით ქალაქის სხვადასხვა კუთხეს, ზაგრატის ტაძარს, გელათის საერთო ხედს და სხვ. შემდეგ თანდათან აღზომის ფერცლები იყვება იმერეთის, რაჭის, ქვემო და ზემო სვანეთის პეიზაჟებით, არქიტექტურული მოტივებით, ყოფისა და ცხოვრების სხვადასხვა სურათებით. უმეტესად ეს ჩანახატები შესრულებულია სწრაფად, გაკრული ხელით; ზოგჯერ ესა თუ ის ფორმა რამდენიმე შტრიხითაა გადმოცემული, ყოველგვარი მოდელირების გარეშე; ზშირად ჩანატს მათ სდევს კომპონი-

რებიც. ყველაზე მეტი ხანი ლანსერემ თავის ჯგუფონ ერთად უშველში დაჰყო, ზემო სვანეთის ეს კუთხე მხატვარზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს — „...Идут отсюда пошлые бродиты. Все мы в совершенном восторге...“¹

აქ შესრულია მან ჩანახატებისა და სურათების უმეტესი ნაწილი: სოფლების საერთო ხედები, ცალკეული უბნები, სხვადასხვა არქიტექტურული ნაგებობანა, მთებია. ჩაყაშში იგი ხატავს სვანურ მარებს, ეობიანში — ეიწრო ქუჩას, რომლის ორივე მხარეს ახოვანი კოშკებია ჩამწკრივებული. სვანეთის სხვადასხვა ადგილებში მხატვარს შესრულებული აქვს ბუნების საერთო ხედები; განსაკუთრებული გატაცებით მუშაობს იგი უშშისა და თეთნულის ეტიუდებზე სხვადასხვა ვანათების დროს: „Начал снова утренний сюжет... опять сумеречные эфффекты — поразительны“² მხატვარს ჩანახატული აქვს რამდენიმე სვანის პორტრეტი: მოხუცი ჩანგი, ახალგაზრდა მონადირე და სხვ. შრომის პროცესები: თიბვა, ხელოსნების შრომა, სვანები — ტყავის მკეთებლები და სხვ. სვანეთში მხატვარი ძირითადად მუშაობდა სქელ ტემპერით, რაც მეტ საშუალებას აძლევდა ამ კუთხის ცხოველხატულობის გადმოსაცემად. იქ შესრულებულ ეტიუდებში ჩანს გამოსახვის ახალ საშუალებათა გამოყენება. ე. ლანსერე ამ პერიოდს თვლის — „...Временем увлечения живописью, усиленной работы, с натуры, раскрытия для него многих сторон законов колорита.“³ ნატურლიან მუდმივი მუშაობა. განსაკუთრებული სწრაფვა სამხრეთის სხვადასხვა კუთხის ფერადოვანი თავისებურების გადმოცემისაკენ კოლორატული ხასიათის ახალ-ახალ ამოცანებს სხვადა მხატვრის წინაშე. მხატვარი ეტებს გამოსახვის ისეთ საშუალებას, რომლითაც უკეთ გახსნადა, უფრო ცხოველხატულად გადმოგვიცემდა ნატურას. ამ პერიოდში ე. ლანსერე უფრო მეტად ტემპერის ტექნიკით მუშაობს. მაგრამ ტემპერას ზეთის საღებავების მსგავსად ზმარობს ძლიერი და ფართო მონასხებით. ამას ვარდა, ტემპერა თავის სპეციფიკით ძალზე ხელსაყრელი აღმოჩნდა ექსპედიციის პირობებში (იგი, როგორც ცნობილია, მალე შრება და ადვილად იხსნება). დავით-გარეჯისა და ზემო სვანეთის ნაშუქვერების შედარებისა, განსხვავება სრულიად გარკვევით ჩანს, სვანეთის ნაშუქვერებს ასასიათებს ნამდვილი ცხოველხატულობა, ხაზგამხული კონტრასტებით, სუფთა და ელერადი ტონების შეფარდებით. ამ ეტიუდებში ინტენსიური ფერების ზმანობაა და მავორული ვანწყობალება. დავით-გარეჯაში კი, თუ არ ჩავთ-

¹ დღიურები.

² იქვე.

³ ტურნ. Творчество 1936 წ. № 1.

ვლით ერთ ეტიუდს (საღერის საგვეფო კომ-
“) მხატვარი ვერვის გადმოცემის მსუბუქად
დადებულ, თხელი, გამჭვირვალე აკვარელი.

ზემო სენათის სოფლებიდან უშვლს უვე-
ლაზე მეტად შერჩა ძველი, შუა საუკუნეების,
სენათის სახე. მხატვარს ხიბლავს თოვლით და-
ფარული მალაი მთებზეა და მწვერვალების
შკარი სილიაღ, მთების ფერობზე შეფერილი
ძველი სოფლები, მალა ატყორცნილი კომუ-
ნი. უშვლს ეტიუდში მკვეთრად არის გადმო-
ცემული ზემო სენათის ამ კუთხის შკარი და
თავისებური სილამაზე. ოსტატურად და კომპო-
ზიციის დიდი ეოდნით არჩევს ე. ლანსარე სა-
ინტერესო და კოლორითად შორივებს, ყოვე-
ლთვის მოხდენილიაა შერჩეული ზედის წერ-
ტილი, რაც საშუალებას აძლევს მხატვარს სრუ-
ლად გახსნას და წარმოვედგინოს პეიზაჟის და
გარემოს თავისებურება.

ერთ-ერთი ეტიუდი უშვლს სასოფლო საბ-
ჭოს სოფელ ჩაქაშის ზედს გადმოცემს. სო-
ფელს მხატვარი ზევიად დაუტურებს; იგი
მთლიანი არქიტექტურული ანსამბლიდან გამო-
ყოფს მთავარს, არსებითს: კომუნიების მალა
ამართულ ერთ მთლიან ჯგუფს. ნათელი ფონი
და სურათის განათებული წინა პლანი მკვეთრად
გამოყოფს კომუნიების სილუეტს. მოვერცხლის-
ფერო შიფერის სახურავების ლაღაპისა და
მკვეთრად განათებული ბალახის წყალობით კო-
მუნიების დაზრდილ კედლებზე მწვანე, ლურჯი
და იასფერი რეფლექსებია მიმოხვეული.

მეტად ცხოველხატულია სოფელ თიბანის
ერთ-ერთი კუთხის ეტიუდი. სურათის ცენტრი
უჭირავს სიღრმეში გამოსახულ მალა კომუნი,
რომელიც შუადღის უხვი მზის შუქითაა განა-
თებული. სურათის წინა პლანზე, მარჯვენა ჩარ-
ჩისთან ჩანს სახლის ნაწილი წინ გამოშვებული
კარნახით და აივანით. მხატვარს ისე აქვს მო-
ძებნილი ხედვის წერტილი, რომ მკვეთრად გა-
ნათებული ღია ფერის კომუნი არ ჩრდილავს
სახლს, ისინი კომპოზიციურად თითქმის აწონას-
წორებენ კიდევაც ერთმანეთს. გამოწვეული კარ-
ნიზისა და აივანის ქვეშ ეცემა გამჭვირვალე ღია
ჩრდილება, რომელიც მეშვეობით ე. ლანსარე
ოსტატურად გვიხატავს პეროვან სივრცეს.
ისფერ ჩრდილებზე ეცემა მწვანე ბალახის რე-
ფლექსები. წერის კიდევ უფრო თავისუფალი
მანერით, სქლად დადებული ფართო მონასმე-
ბით, მხატვარი ცხოველხატულად გადმოცემს
განათების ფერადოვან ეფექტებს.

უშვლში, ვარდა მზით განათებული პეიზა-
ჟებისა, სოფლის ხედებისა, ე. ლანსარემ მოღ-
რუბლული ღლის რამდენიმე ეტიუდი შეასრუ-
ლა. ანუთია, შავალითად, ეტიუდი — სოფ. თი-
ბანის ეიფრი ქუჩა, რომლის ორივე მხარეს
ამართულია მალაი კომუნი. ინტერესი, წყნარ
ქუჩას კიდევ მეტ განწყობილებას მატებს მოღ-
რუბლული წყნარი დღე. დიდი ფლეთილი ღრუ-
ბლებიდან ოდნავ გამოკრთის მზის სხივები, რი-

ველია შუქი რბილად ეფინება დაქარიფლებულ
ქუჩას. ეტიუდი შესრულებულია მოვეთალო-
მოყავისფრო, მუქ-მწვანე და შიშველისფრო
ტონებით. როგორც ეხედავთ, მეტად მრავალ-
ფეროვანია სენათის სურათების საერთო მოტი-
ვები: კომუნი, საცხოვრებელი სახლების ინტე-
რიერები, სოფლის ეზოების მივარდნილი კუთ-
ხეები. საინტერესოააა შესრულებული მისი ამ
პერიოდის ერთერთი ეტიუდი, რომელიც კომ-
უნის შორის მიმწვედელი სახლებს წარმოად-
გენს. სურათზე გამოსახულია მასიური კომუ-
ნის ქვედა ნაწილი; თუ წინა ეტიუდებში მხატ-
ვარს ინტერესებდა მალა ანიღული კომუნის
ფორმები, ამ ეტიუდში, პირიქით, უფრო სოფ-
ლის მყუდრო კუთხეა წარმოდგენილი. უზარმა-
ზარ კომუნის შორის მოქცეული პატარა სახლე-
ბი თითქმის და გასრესილია. მხატვარს ოსტატუ-
რად აქვს დაპირისპირებული კომუნის მონე-
მენტალური ფორმები, მათი დიდი სიბრტყეები
და საცხოვრებელი სახლების პატარა ზომები.
როგორც სენათის ყველა ეტიუდში, აქაც ფე-
რებისა და რეფლექსების ინტენსიური ეფერ-
დობითაა გადმოცემული გარემო.

მთა რუსთაველის სათუბლეო გამოფენას-
თან დაკავშირებით, 1937 წელს, ვანზარხელი
იყო გამოფენაზე წარმოდგენილი ყოფილიყო
რუსთაველის ეპოქის ჭკათელი ხელოვნების
(დოკუმენტური და ფოტო-მასალის ვარდა) ფე-
რწერიული სურათები. პროფ. გ. ჩუბინაშვილის
ინიციატივით გამოფენაზე მოწვეულ იქნა ამ
დროისათვის უკვე მოსკოვში საცხოვრებლად
გადასული ე. ლანსარე, რომელმაც სამოგენიად
შილი ეს მოწვევა. აღნიშნული გამოფენასათ-
ვის ე. ლანსარემ უმეტესად ფერწერიული სურა-
თები შეასრულა — სქელი ტემპერით, ხოლო
ეტიუდები — აქვარელით. ამ დაკვეთასთან და-
კავშირებით მას მოუხდა მოგზაურობა საქარ-
ველოს სხვადასხვა რაიონებში. ის შიერ შესრუ-
ლებულია ხერითომოდღერად ძველია როგორც
საერთო ხედები, ისე მათი ინტერიერები. სწო-
რედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ბაგრატიისა და გე-
ლათის, ფიტარეთისა და გუდარხის, სვეტიცხო-
ვის მეტეხის ტაძართა კომპოზიციები. აღ-
ნიშნული სურათებში მხატვარი დიდ ყურადღებას
აქცევს ტაძართა არა მარტო საერთო ხედებს,
არამედ მათ ცალკეულ დეტალებსაც. რა საო-
ცარი ოსტატობითაა შესრულებული ბაგრატიის
ტაძარის დიდებული ნანგრევები! მიწაზე გაფან-
ტული წყნობის ნაწილება, სვეტები, ჩუქურთ-
მანი ქვეები და სხე. სურათი შესრულებულია
დიდი ზომის მუყაოზე ტემპერის საღებავებით.
ისევე, როგორც ამ სერიის სხვა ნიმუშები, ესეც
გვედენილია სამხრეთის კავკასია მზით. მზის
უხვი შუქი გამსაკუთრებელი ინტენსიობით იგ-
რანობა ეტიუდის ჩაბრდილულ ადგილებში.
ჩრდილოეთიდან საქართველოში დაბრუნებულ
მხატვარს კვლავინდებურად იტაცებს სამხრე-
თული ზენების შუქ-ჩრდილის ეფექტები. ჟერ

კიდევ 1930 წელს ე. ლანსერეს თავის დღიურებში ჩაუწერია: „... А сколько света в тени!“ ეტიუდი, რომელსაც ჩვენ ახლა ვიხილავთ, ამ ფრაზის საუკეთესო ილუსტრაციაა.

სურათის უმეტესი ნაწილი ჩრდილშია წარმოდგენილი; მხოლოდ სიღრმეში ტაძრის კედელს პატარა მონაკვეთია განათებული. მიუხედავად ამისა, მთელი ეტიუდი ავანგარდულია მზით. მხატვარი სურათის პლანებს სხვადასხვა ინტენსიურობით განათებული ჩრდილების შექმნით ვაღმოგვცემს. პირველი პლანის კედლის ვიწრო ზოლს ღერჯა და ისანისფერი მუქ ტონებს ენაცვლება მკვარე პლანის ჩრდილების უკვე გაბაციებული სიბრტყე — ღია ვარდისფერი, მუქი ნარინჯისფერი და ყვითელი ტონები. ძველის ამ უაღრესად ცხოველხატულ სურათს, მრავალი ფერადოვანი ნიუანსებით გახმოვლებულს, უპირისპირდება ღია ღერჯა ტონის კაშკაშა ცა.

ამრიგად, ამ ეტიუდშიც ე. ლანსერეს იტაცებს ძველის არა წმინდა არქიტექტურული მხარე, არამედ ის ხასიათი, ის განწყობილება, რომელსაც ქმნის ძველი, ის წარუშლელი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს იგი მყურებულზე.

ხედვის მეტად საინტერესო წყურტილს (სამონასტრო კომპლექსი აქაღმისის კარიბჭიდან) იჩენს მხატვარი გელათის ტაძრის ვაღმოსაცემად; მთელი ეტიუდი ამ შემთხვევაშიც სამხრეთის უხვი მზითაა გაღწეული. მხატვარი აქაც იყენებს მისთვის ჩვეულ ზერხს, ერთი-მეორეს უპირისპირებს დაჩრდილულ წინა პლანსა და მკვეთრად განათებულ მის უკანა მხარეს. ჩრდილოვანი და განათებული სიბრტყეების დაპირისპირებითა და უკანა პლანის ნათელი შუქით განათებული სიბრტყეებით მიღებულია ინტერსიური ელვადობა. რეფლექსების მრავალფეროვანი ტონებისა და ნიუანსების გაღმოცემისას ჩანს მხატვრის არაჩვეულებრივი დაკვირვებულობა და ოსტატობა. მონუმენტური სვეტის მოცულობითი ფორმები გაღმოცემულია შექ-ჩრდილის კონტრასტისა და ჩრდილოზე არეკლიან რეფლექსების საშუალებით. ვადასეა ბაილიან მუქ ფერზე შეიკავს მრავალ ტონებს: ღია მოყვითალო-ვარდისფერი, მოვარდისფრო-ისანისფერი, მუქი ნარინჯისფერი, რომლებიც უპირისპირდება განათებული სივრცის ღია მწვანე (ბალახი) და ღია ვარდისფერ ტონებს. ეს დაპირისპირება სიღრმის მკაფიო წარმოდგენას უქმნის მკაფრებელს.

ე. ლანსერემ რამდენჯერმე, ხედვის სხვადასხვა წერტილიდან, შეასრულა მეტეხის ტაძრის ჩანახატები, სადაც განსაკუთრებული ღიებულებით გაღმოსცა თბილისის ამ უძველესი კუთხის განუყოფელი სილამაზე. 1937 წელს განკუთვნილია შედარებით დიდი ზომის მუყაოზე შესრულებული ტემპერა; თაყარა მზით განათებული წინა პლანი, გამჭვირვალე ჩრდილების მონაკვეთობით გამოვლენილი, მკვეთრად მინი-

შნებული ტაძრის სილუეტი, შედარებით ჩამქარალი, თუმცა ადგილ-ადგილ მომწვანო-მოყვითალო ტონების რეფლექსებით განათებული ნარიყალა და შორის მიმავალ კლინოვანურ მდებრის ნაოკებში ჩაწოლილი ჩრდილებით. სურათის საერთო გამას ლილისფერი და მასში ოდნავ შერეული მომწვანო-ნარინჯისფერი განსაზღვრავს — წინა პლანზე ნახევრები ყველი, ტაძრის დამკვეცი სახურავები, მისი გუმბათის ყელი ვაღმოცემულია თბილი, თეთრანარევი ავერისფერით; სწორედ ამ ტონების მონაცვლეობით იქმნება ნაგებობათა საერთო მოცულობა — ამასთან ადვილად წასაკითხი და მკვეთრად მინიშნებულია მათი ცალკეული ფორმები. საერთო ცხოველხატულობას ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აძლიერებს სურათში მრავალად გამოყენებული ცალკეული აქცენტები — ძირითადად თბილი, მოყვითალო და ღია წყალნარევი მომწვანო ტონები; მზის სხივებით უხვად განათებული ხის ფერადოვნება შემდეგ მთის ფერდობზე მოცემულ ბალახზე პოულობს გამომძიხვს; ასევე თანაბრად შეირდება ღია ავერისფერი მარცხნივ წარმოდგენილ სახლის კედელზე, ტაძრის სახურავზე, შედარებით ბაციდ ციხის გაღვიანზე და სხვ.

აქ ყველაფერი მხატვრის საერთო განწყობილებასა და ნაწარმოების შინაგანი აზრის გახსნას ემსახურება.

რუსთაველის გამოფენისათვის ე. ლანსერეს შესრულებული აქვს სვეტი-ცხოველის, ბეთანიისა და ფიტარეთის ინტერიერები. დანარჩენთან შედარებით უფრო დიდი ზომის მუყაოთი წარმოდგენილი სვეტი-ცხოველის ინტერიერი. მხატვარი მარჯვე წერტილს იჩენს არქიტექტურის დამახასიათებელ ფორმების გაღმოსაცემად, რათა მაქსიმალური ეფექტურობით ვაღმოგვიშალოს შიდა სივრცე და მისი არქიტექტურული დამუშავება. მაგალითად, სვეტი-ცხოველის ინტერიერი ნახევრება ჩრდილო-დასავლეთ კუთხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. შეხედვისთანვე სურათი იპყრობს მკაფრებელ ციხესილიან, ელვადი და საზუიო ფერადოვნებით. მადლიან, გუმბათის ყელიდან, დაშვებული შუქი ღია მომწვანო ყვითელი კაშკაშა ტონებით ეფინება სიღრმეში გაღმოსავლ ყველებს და თაღებს. სურათში სინათლე სიღრმეიდან მოედინება, წინა პლანი ჩამქარალი, ოდნავ ჩანებულებულია და ამ კონტრასტებით მიღწერილია გრანდიოზული სივრცის შთაბეჭდილება. წინა პლანის ჩამქებულ სივრცეში შუა ნაიდან შემოსული გამკრავი სხივები და იქ შექმნილი რეფლექსები მრავალი ფერადოვანი ნიუანსებით — ღია მონაცრისფერი-მოლურჯო და ისანის ტონებითაა ვაღმოცემული. შუქის საშუალებით მოდელირებული სიბრტყეები ინტერიერში დასრულებულ და გამოკეთილ ფორმებით წარმოგვიდგება.

ეს განსაკუთრებით ოსტატურადაა ვაღმოცემული სურათის ცენტრში გამოსახული მსაიუ-

რი ზურჯით და მისგან გადატყორცნილი თაღებით. ვანათებულ სიბრტყის ფონზე ზურჯისა და თაღების არქიტექტურული მსახეი მონუმენტურ შთაბეჭდილებას ახდენს. შვევებში შემოსილი ქალის პატარა ფიგურა კიდევ მეტად აღიერებს სივრცისა და ფორმების განადიოზულობას.

გვიანი შემოდგომის დრებლიანი დღეს ევკლანსერე გუდარეხში ასრულებს ორ ეტიუდს: შორი წერტილიდან აღებულს გუდისის საერთო ხედსა და სამრეკლოს თალიდან დანახულ გუდისის იმოსავლეთ ფასადს. აღნიშნულ ეტიუდებში იგი სხვადასხვა მხატვრულ ამოცანას ასახავს. პირველ მათგანში წარმოდგენილია შემოდგომის წყნარი დღის პეიზაჟი; პატარა ბორცვი, დანგრეული გალავანი და მის შიგნით, სიღრმეში მოცემული ეკლესია. ამ შემთხვევაში სურათის საერთო ფონად წარმოდგენილი ხეების ვერტიკალები, მათი ტოტების შავი სილუეტებია, შვევითად იკითხება გარემოს საერთო ნაერისფერ ფონზე. ასევე შვევთი, მაგრამ რბილი და დინებადი ხაზითაა გადმოცემული ეკლესიისა და გალავნის ფორმები. ეტიუდის საერთო ფერადოვანი გამა ჩამქრალია და ექვემდებარება საერთო ნაერისფერ ტონს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეტიუდი მოკლებულია ზემოთ განხილულ ნამუშევართა ელერად ფერადოვნებას, ინტენსიური შექმს, ამ ერთი შეხედვით თითქოსდა ერთფერ პეიზაჟში მაინც შესანიშნავად იგრძნობა მხატვრის დიდი ოსტატობა, მრავალი ფერის ნახუნთანაა გადმოცემის შეუდარებელი უნარი. ეკლესიის ზედაპირი დამუშავებულია თბილი ნაერისფერად, მოვარდისფრო ყავისფერის ბაცი შუქანისა და მოციხფერო ნაერისფერი ტონების მონაცვლეობით. დიდი განწყობით, პეტრის რომანტიკული თვალთაა დანახული ძველებური ტაძრის მღვმარე, მოვარდნილი კუმბი; ამ ყოველივე სინეზითაა მოცული. ცხენის პატარა ფიგურა კი ვერ აცოცხლებს ბუნებას ამ ილუმინაციას. ბუნებას შეფარებული და მასზევე ჩაფლული ეკლესიის სილუეტი ორგანულად ერწყმის ამ პეტრის პეიზაჟის თითოეულ ნაწილს.

ეტიუდი ერთი შეხედვით თითქოსდა მარტივი ხერხებითაა შესრულებული, მაგრამ, ამასთანავე, ყოველი ელემენტი მკაცრად ექვემდებარება სურათის ღრმა განწყობილებას. ცის შიღრბულელი იგრისათვის მხატვარი ოსტატურად იყენებს ქალაქის მონაერისფრო ტონს, რომელზედაც გამსაკეთებელი სიმსუბუქით აღბეჭდავს ოდნავ უფრო ღია ნაერისფერ ლაქებს. ოტლიური და ფერადი ფანქრის მკვეთრად გამოსახულ კონტრასტზე ასევე მსუბუქადა მინიშნებული აქვარლის თხელი ფენა, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ აჩენს საერთო სედიანი განწყობას. გუდარეხის შიგორე ეტიუდს, თავისი ხანაითთ მკვეთრად განსხვავებულს, ევკლანსერე აქვარდის საღებავებით ასრულებს. ამ შემთხვევაში მხატვარს უფრო ძველის ხეროთომოდერული ფორმები აინტერესებს. როგორც ყო-

ველთვის, აქაც ოსტატურადაა შეჩვენული ზედვის წერტილი, მხოლოდ სამრეკლოს ჩაბნელებული თაღებიდან მოჩანს გუდისის საერთო ფორმები. აქაც ჩაჩრიღილელი წინა ქალაქისა და განათებული შიგორე პლანის დამარისპირებითაა შექმნილი სიღრმე, იმგვარად, რომ მხატვარს პირველ საბათული მითავსებელი ჩაბნელებული გასასვლელი ჩარხოდ წარმოვიდგება განათებული გუდისის ფასადისათვის.

გარედან შემოსული აღმცერი სხივებითაა მოდელირებული არქიტექტურული ფორმები: თაღები, პლასტრები, სვეტისთავეები; თბილი მოყავისფრო, უფრო მეტი ნაერისფერისა და მომწვანო-ყავისფერის მრავალი ნიუანსით, მათი ცხოველხატული ელფერითაა მოდელირებული ძველის ცალკეული დეტალები. თითქოს ერთფერი დამარისპირებით გამოყოფს მხატვარი გუდისის საწინააღმდეგო მხარეს, სადაც ნათლად იკითხება კედლის გრანდიოზული ქვების წყობა. ქვის წყობა წარმოდგენილია შვევთი ნახატით.

ეკლესიის წინ დაგდებული დიდი ზომის ქვა თითქოს აკავშირებს კარბიქვს ეკლესიასთან. იქვე, კედლის ზაც ფონზე ცხენის მეტი სილუეტია რაც დიდად აცოცხლებს ეტიუდს.

როგორც ვხედავთ, ერთსადაიმევე თემაზე შექმნილ ამ ორ ეტიუდში კარგად ჩანს მხატვრის სხვადასხვა ამოცანა — ერთ შემთხვევაში ძველი და მისი გარემო, გარკვეული განწყობით გააზრებული, პოეტური აღქმული გარემო. შემოდგომის მუდრო დღე და ძველთაძველი ტაძრის მარტობა. მეორეგან კი ამევე ტაძრის ხეროთომოდერული ფორმები, მაგრამ, ცხადია, არა მისი შიგრილი ფქსიაობა, არამედ მხატვრის საერთო თვალთახედვა, მისი უშუალო დამოკიდებულება, რითაც კიდევ უფრო მეტადაა ხაზგასმული ამ ძველის სიმშენიერე.

ასევე ორი ეტიუდი ეძღვნება ფიტარეთის ტაძრის (ტაძრის შიღიანი არქიტექტურული ფორმები და გარკვეული კუმბოდან აღქმული მისი ინტერიერი); იგივე განწყობა, ხედვის ძალზე მოხერხებული წერტილი, ფერთა ნაირფერი ელერადობა, ამ შემთხვევაშიც სრულად წარმოგვიდგენს ქართული გუმბათიანი ეკლესიის შიღ სივრცისა და საერთო ხეროთომოდერულ მასებს.

ამგვარი პოეტრობით, განუყოფელი სიღრმით გაიხარა ევკლანსერემ ქართული ხეროთომოდერული ძველები — ყველა მათგანისათვის მხატვარმა ოსტატურად მოამენა სწორედ მისთვის დამახასიათებელი განწყობა, იმგვარად, რომ ცალკეული ეტიუდისა და სურათის კოლორიტი ორგანიულად ერწყმის ნაწარმოებს იდეურ შინაარსსა და კომპოზიციის საერთო გადაწყვეტას. დაბოლოს, აღნიშნული ნაწარმოებები თავისი ცხოველხატულობით, უზადლო ოსტატობით მნიშვნელოვან ქმნილებებს წარმოადგენენ მხატვრის შემოქმედებით გეოლუციისა.

ბაკ ზაქსუნოვი

დიმიტრი ფურმანოვი საქართველოში

იგი ერთი და იგივე იყო პარტიულ მუშაობაშიც, პრძოლაშიც, მშენადაც, როცა სამწერლო მაგიდას უჭდა კალმით ხელში.

ერთი და იგივე: რევოლუციური მებრძოლი, რევოლუციური მშენებელი, ყოველთვის ერთნაირად გაუტყველი და ერთნაირად მოქნილი.

ა. სერაფიმოვიჩი

გამოჩენილი საბჭოთა მწერლის დიმიტრი ანდრიას ძე ფურმანოვის (1891—1926) ხანმოკლე, მაგრამ შემოქმედებითი შრომითა და საგმარო საქმეებით აღსავსე ცხოვრებაში კავკასიისა და საქართველოს მნიშვნელოვანი იდგილი უკავია.

1914 წლის ნოემბერში ფურმანოვმა, რომელმაც მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილების კურსი მოისმინა, არ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, ყველაფერი მიატოვა და მოხალისედ წავიდა არმიამში. კავკასიის ფრონტზე ფურმანოვი 1914 წლის დეკემბრის დამლევს, ან 1915 წლის იანვრის დამდეგს ჩამოვიდა № 209 სანიტარული მატარებლით, რომელზეც „მოწყალების ძმად“ მუშაობდა. უკვე 1915 წლის 5 იანვარს იგი წერილს უგზავნას დედას თბილისიდან.

ფურმანოვი რამდენჯერმე მონაწილეობს დაჭრილთა ევაკუაციის მონაწილად პოზიციებიდან თბილისში, ბაქოსა და ერევანში. მის დღიურში ნახსენებია ბათუმიც, სადაც, ალბათ, დაჭრილები გადაიყვანა. კავკასიის ფრონტზე მისი ცხრა თვის ყოფნის განმავლობაში ძირითადი ბაზა თბილისი იყო. იგი თხოულობდა — წერილები ამ მისამართით გამოეგზავნათ მისთვის: „თბილისის ვოგზალი, მოკითხვამდე; ან თბილისი, ეუკოვსკის ქუჩა, სახლი 2, სრულიად რუსეთის საერობო კავშირი, № 209 სანიტარული მატარებელი“.

1915 წლის ივლისში ფურმანოვი ივანოვო-ვოზნენსკისა და მოსკოვს გაემგზავრა. შემდეგ, თბილისში დაბრუნებისას გზად გამოიარა კისლოვოდსკი, პიატიგორსკი და ელენოვოდსკი. საქართველოს სამხედრო გზამ, რომლითაც მწერალი მოდიოდა, თვალწარმტაცმა ბუნებამ, ბობოქარმა თერგმა, დარილის ხეობამ, ზღვის დონიდან სამკილომეტრ სიმაღლეზე მდებარე ჯვრის უღელტეხილმა, დათოვლილმა მწვერვალებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ფურმანოვზე. იგი მანამდეც დიდა ძალებს პოეტურ შემოქმედებაში და ახლაც დაწერა ლექსები „მწერი“ „გულაუთი“, „თერგი“, „ღამე კავკასიაში“, „მტირალა ტირიფი“ და სხვ. (ყველა ეს ლექსი გამოუქვეყნებელია).

ფურმანოვმა სხვა ფრონტებს კავკასიის ფრონტი ამჯობინა. იგი აქეთვე გამოიტყუა დიდებული მთების, თავი-

სუფლებს მოყვარე ადამიანების მხარემ, რომელსაც ქება-დიდება უმღერეს პუშკინმა და ლერმონტოვმა-

„ღამიანვევა, მომაჯადოვა კავკასიამ, — წერს ფურმანოვი თავის დღიურებში 1915 წლის 2 აპრილს, — ვერ გავუძელი მის მომაჯადოებელ სილამაზეს და აქ ჩამოვედი...“

ფურმანოვს ხშირად შეაქვს დღიურებში თავისი შთაბეჭდილებანი, რაც კავკასიის ბუნების განუყოფელმა სილამაზემ მოგვარა:

„ღამეა. წყნარი კავკასიური ღამე... მუქი ლურჯი ცა მთებს შერწყმა, თოვლის თეთრ სამოსელს გადაქობია და შორს ბნელ ნისლად ჩაძირულა...“

სანიტარულ რაზმთან ერთად ასობით კილომეტრზე გაჭიმულ კავკასიის ფრონტზე რომ დადიოდა, ფურმანოვი პირისპირ წააწყდა ომის საშინელებას. იგი ხედავდა გაწამებულ ჯარისკაცებს, რომლებიც საკუთარი მხრებით ეზიდებოდნენ ომის მთელ სიმიძმეს, ხედავდა გაჩანაგებულ სოფლებს, გალტაკებულ ლტოლვილთა ნაკადებს, შშიერ და ნახევრადშიშველ ბავშვთა მასებს...

გარდა დღიურებისა, ფურმანოვი აღწერდა საფრონტო ცხოვრებასა და ჯარისკაცთა მდგომარეობას თავის ნარკვევებში, რომლებსაც წერდა და ნაწილობრივ ბეჭდავდა გაზეთებში 1915—1916 წლებში: „ძმათა სასაფლაო“, ჯარისკაცის შევბულება“, „მრავალტანჯული გზა“, „უფერული გმირები“, „ფერმლები“ და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ 1915 წელს კავკასიაში ყოფნა მწერლისათვის იყო არა მარტო კარგი პოლიტიკური სკოლა, არამედ ლიტერატურული დაოსტატების სკოლაც. პოლიტიკური სიმშფიფის ზრდასთან ერთად ბასრი ხდებოდა მისი კალამიც. სასტიკი ომის დღეებმა ჩააგონეს მას სწორი პოლიტიკური განზოგადებანი. აღწერს რა ჯარისკაცთა ცუმატყუების რამდენიმე შემთხვევას, იგი დაასკვნის:

„შორს არ არის ის დრო, როცა დიორღვევა მღუმარება, — და დაიწყება დი-

დი საქმე, საქმე „რუს ლაზღანდარათა უპასუხისმგებლობის შესახებ“

პირველი მსოფლიო ომის წლებში მის გონებაში უკვე მწიფდებოდა იდეა ისტორიის ქეშმარიტი მამორავებლის — ხალხის როლის შესახებ, რომელიც შემდგომ წამყვანი იდეა გახდა განთქმულ „ჩაბავში“, „წითელ დესანტსა“ და ფურმანოვის სხვა ნაწარმოებებში. ამავე დროს კავკასიაში იგი პირველად წააწყდა ეროვნულ საკითხს, მოწმე გახდა იმისა, თუ რა საზარელ მსეცობას იჩენდნენ თურქები უმწეო სომეხი მოსახლეობის მიმართ, მოწმე გახდა კავკასიაში გავრცელებული ერთა მტრობისა და შუღლისა, ნახა მეფის სატრაპების პროკაციული პოლიტიკის: „გათიშე და იბატონეს“ ნაყოფი...

1915 წლის სექტემბერში დიმიტრი ფურმანოვი კავკასიის ფრონტიდან სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გადაიყვანეს. 15 სექტემბერს იგი უკვე კიევშია. იმავე წლის შემოდგომაზე დ. ა. ფურმანოვი თავისი მეუღლისა და მებრძოლი მეგობრის ა. ნ. სტეშენკოს თანხლებით ოდესას გაემგზავრა. ისინი იქიდან ზღვით დაბრუნდნენ და გზად გამოიარეს მაიკოპში, სადაც ერთ-ერთ ლაზარეთში მოწყალეების დად მუშაობდა ა. ნ. სტეშენკოს ბიძაშვილი ვალენტინა პავლეს ასული სმოტრიცკაია. ამაზე ცოტა ხნით ადრე ე. პ. სმოტრიცკაია ცოლად გაჰყვა ძველი არმიის ჯარისკაცს ებიფანე იულონის ძე ნოდიას, რომელიც მაიკოპში მკურნალობდა.

ასე გაიცნეს და დაუახლოვდნენ ფურმანოვები ნოდიას ოჯახს.

1918 წლის მეორე ნახევარში და 1919 წელს ანა ნიკიტას ასული სტეშენკო (ამ დროს უკვე ფურმანოვა) ყუბანში ცხოვრობდა, სადაც მისი ოჯახი იმყოფებოდა, და სხვისი გვართი არალეგალურად მუშაობდა მტრის ზურგში.

ღანმარება რომ გაეწია მისთვის დენიკინელთა მხრე დენისაგან თავდასაცავად, ვალენტინა პავლეს ასულმა ნოდიამ (სმოტრიცკაიამ) თავისი პასპორტი მისცა. ანა ფურმანოვა ასე იქცა ვალენტინა ნოდიად, სანამ საბჭოთა ხელისუფ-

ლებს სრულმა გამარჯვებამ შესაძლებლობა არ მისცა კვლავ თავისი გვარი ეტარებინა.

1916 წლის გაზაფხულზე ფურმანოვი მშობლიურ ივანოვო-ვოხნესენსკში დაბრუნდა. აქ მას მოუსწრო დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც განსაზღვრა მთელი მისი შემდგომი ცხოვრებას გზა. აქტიურმა მონაწილეობამ რევოლუციურ ბრძოლაში, ხელმძღვანელობა მუშაობამ საბჭოში, პროპაგანდისტულმა საქმიანობამ მუშათა შორის, გამობრძმედილ ლენინელ მ. ვ. ფრუნზესთან მეგობრობამ ხელი შეუწყვეს ფურმანოვს — გაეგო, რომ მხოლოდ ბოლშევიკების პარტია, მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული პარტია, გამოხატავს და იცავს მშრომელთა საარსებო ინტერესებს. 1918 წლის ივლისში იგი შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

1919 წლის დამდეგს მ. ვ. ფრუნზეს წინადადებით ფურმანოვი დანიშნეს სახელმძღვანელო მე-25 მსროლელთა დივიზიის კომისარად. ამ დივიზიას მეთაურობდა ვ. ი. ჩაპაევი, რომლის შესანიშნავი სახით ფურმანოვმა შემდგომ გამდიდრა საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურა.

1920 წლის მარტში თურქესტანის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს რწმუნებულის დიმიტრი ფურმანოვის ხელმძღვანელობით ლიკვიდირებულ იქნა კონტრრევოლუციური ამბოხება სემირჩიეს ოლქის ცენტრში — ქალაქ ვერნში. მწერლის ბიოგრაფიის ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მხატვრულად აღწერილია მის მოთხრობაში „ამბოხება“.

რამდენიმე თვის შემდეგ ფურმანოვი ყუბანში გადაიყვანეს. იგი დანიშნეს იმ წითელი ღესანტის კომისარად, რომელიც აზოვის ზღვის სანაპიროზე გადმოსხმული ვრანგელის ნაწილების ზურგში გაიგზავნა. ამ რთულ და გაბედულ ოპე-

რაციას ფურმანოვი ხელმძღვანელობდა სამოქალაქო ომის გმირთან — ეპიფანე კოტეიუსთან ერთად. ოპერაციიში აქტიური მონაწილეობისათვის იგი წითელი ღროშის ორდენით დააჯილდოვეს. სახელოვანი ეპოპეა — რეიდი მტრის ზურგში — ნათლად აღიბეჭდა ფურმანოვის პირველ დიდ მხატვრულ ნაწარმოებში, მოთხრობა „წითელ ღესანტში“.

დ. ა. ფურმანოვი კვლავ დააწინაურეს ხელმძღვანელ პოლიტიკურ სამუშაოზე. იგი დანიშნეს ყუბანის მეცხრე არმიის პოლიტიკური განყოფილების უფროსად. აქ ფურმანოვი მუშაობდა კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის სერგო ორჯონიკიძის, არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრების ს. კოსიორის, ი. პოლუიანის, მ. ვაშტეინის, პეტერსის უშუალო ხელმძღვანელობით. დ. ა. ფურმანოვთან ერთად პოლიტიკურ მუშაობას ჯარებში ეწეოდნენ ძველი ბოლშევიკები ა. შუცკევერი, გ. ნევეროვი. მეცხრე არმიის პოლიტიკური განყოფილების ინსტრუქტორი ამ პერიოდში იყო ნ. ს. ხრუშოვი, რომელმაც მანამდე ცოტა ხნით ადრე დაამთავრა არმიის პარტიული სკოლა.

1921 წლის აპრილში — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ცოტა ხნის შემდეგ დ. ა. ფურმანოვი მე-11 არმიაში გადაიყვანეს და მეორედ ჩამოვიდა თბილისში.

ჩაპაევის დივიზიის ლეგენდარული კომისარი რუსი ხალხის იმ წარმომადგენელთა შორის იყო, რომლებიც გამოეშურნენ ამიერკავკასიის მშრომელთა დასახმარებლად მათს განმათვისსუფლებელ ბრძოლაში.

რუსი მწერლების მთელ პლეადისთან — ლეონოვთან, ფადეევთან, ბაბელთან, ვიშნევსკისთან, ლავრენევთან, პავლენკოსთან, მალიშკინსა და სხვებთან ერთად, რომლებიც სამოქალაქო ომის ფრონტებიდან მოვიდნენ ლიტერატურაში, იგი ხმალთან ერთად თავის კალამსაც ლესავდა.

ეს სრულიად არ იყო ის ფურმანოვი, რომელმაც ამ შვიდი წლის წინათ პირველად დაინახა კავკასიონის მწვერვალები.

საქართველოში ჩამოვიდა წითელი არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი, პოლიტიკური მუშაკი და კომისარი, დიდი ცხოვრებისა და პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანი, შეუღლებელი ბოლშევიკი და პარტიის მებრძოლი, რომელმაც განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინა საბრძოლო და ორგანიზატორულ საქმიანობაში. იგი უკვე აქ ჩამოსვლამდე მუშაობდა პარტიის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეების ხელმძღვანელობით, როგორც იყენენ მ. ვ. ფრუნზე, ვ. ვ. კუბინშევი, გ. კ. ორგონიკიძე. ფურმანოვს უნახავს და მოუხმენია რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინისათვის, იყო რკპ(ბ) VIII სრულიად რუსეთის კონფერენციის, საბჭოების VII და VIII სრულიად რუსეთის ყრილობათა დელეგატი, წითელი არმიის პოლიტმუშაკთა სრულიად რუსეთის მთელი რიგი თათბირების მონაწილე.

ფურმანოვის მთელ საქმიანობაში, მის სულიერ განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა აქტიურმა მონაწილეობამ პრესის მუშაობაში. მარტო 1920—1921 წლებში მან ასზე მეტი სტატია დაბეჭდა სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში (იხილეთ ე. ნაუშოვი, დ. ა. ფურმანოვი. მოსკოვი, 1954 წ., გვ. 37).

დ. ა. ფურმანოვი დანიშნეს XI არმიის პოლიტიკური განყოფილების საჩუქციო-საგამომცემლო განყოფილების უფროსის მოვალეობის დროებით აღიასრულებლად და XI არმიის გაზეთის „კრასნი ვოინის“ რედაქტორად. ეს გაზეთი ერთ-ერთი უძველესი და იმ დროს საუკეთესო წითელარმიული გაზეთი იყო, რომელიც ს. მ. კიროვის მონაწილეობით შეიქმნა.

ფურმანოვი კრასნოდარიდან თბილისს გამოემგზავრა არა უადრეს 10 აპრილისა, თბილისს კი ჩამოვიდა არა უგვიანეს 1921 წლის 19 აპრილისა. 22 აპრილიდან

6 მაისამდე იგი რედაქტორობდა გაზეთ „კრასნი ვოინს“, ხელი მოაწერა 12 ნომერს, 6 მაისის ჩათვლით.

დ. ა. ფურმანოვი თბილისიდან გაემგზავრა დონის როსტოვში არა უადრეს 6 მაისისა. იქ იგი ჩავიდა 18—20 მაისამდე, 1921 წლის 22 მაისს კი უკვე მოსკოვს დაბრუნდა.

ფურმანოვი ცოტა ხანს იმყოფებოდა საქართველოში, მაგრამ ეს დღეებიც აღსავსეა მჩქეფარე შემოქმედებითი ორგანიზატორული მუშაობით, რომელშიც მკაფიოდ გამოვლინდა მისი, როგორც ბოლშევიკი რედაქტორის, მებრძოლის შესანიშნავი თვისებები.

ფურმანოვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი იყო მრავალგვანი XI არმიის მებრძოლთა აღზრდა ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. არმიის შესავსებად რუსებთან ერთად მოდიოდნენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები. მათთან საჭირო იყო მუშაობა, წერა-კითხვის, სამხედრო საქმის შესწავლა, პოლიტიკური ცოდნის დაუფლება. არმიის შემადგენლობაში შეიქმნა ეროვნული ნაწილები. „კრასნი ვოინი“ სისტემატურად აშუქებდა საქარველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო შენაერთთა ცხოვრებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მეომრების კავშირურთიერთობისა და მეგობრობის განმტკიცებას ადგილობრივ მშრომელ მოსახლეობასთან, მათდამი დახმარებას მეურნეობის აღდგენაში, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

ფურმანოვი ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მანამდე თურქესტანში, გამოდიოდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა სოლიდარობის ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტად. „ჩვენ არ გვინდა ეროვნული მტრობა და ეროვნული შუღლი, წერდა ფურმანოვი, რადგანაც ჩვენი შუღლი ჩვენივე სამარეა. ჩვენ ვიბრძვით ყველა ჩაგრულის ძმობისათვის, კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის,

თავისუფალი ბედნიერი ცხოვრებისათვის“.

საინტერესო მოგონებებს გვიზიარებს ფურმანოვის შესახებ მისი ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწე, ამჟამად დღეგრძელი, უხუცესი სამხედრო ჟურნალისტი, სკკპ წევრი 1917 წლიდან გერმანე ბორისის ძე ბროვარსკი.

„ჩვენ, — წერს იგი, — თბილისს ჩამოვედით სამხედრო კორესპონდენტთა თათბირის გახსნამდე ორი დღით ადრე. ბარიატინსკის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო არმიის პოლიტიკური განყოფილება და „კრასნი ვოინის“ რედაქცია, ჩვენ შეგვხვდა საშუალო ტანის, შესანიშნავი კეთილი თვალების მქონე კაცი, რომელიც ყურადღებით ათვალიერებდა ყოველ ჩვენგანს. იგი მყისვე გვიზიდავდა სხივიანი ღიმილით, ამზანავური უბრალოებით, გულითადობითა და მისთვის ორგანული თავაზიანობით. თავისი მხატვრული ოსტატობით სწორუპოვარ კინოფილმში „ჩაბაევ“ ფურმანოვის ეს დამახასიათებელი თვისებები საერთოდ სწორად არის აღბეჭდილი დივიზიის კომისრის სახით. მაგრამ სურათში იგი რამდენადმე აუჩქარებელია, ცხოვრებაში ფურმანოვი უფრო დინამიური, მოძრავი, ოპერატიული, მიზანსწრაფული იყო.“

...მის სიტყვას დიდი შემოქმედებითი ძალა ჰქონდა. მსმენელს იპყრობდა არა მარტო აზრის სიღრმე და მკაფიობა, არამედ ის, რომ ვგრძნობდით ორატორის უდიდეს რწმენას, წამოყენებულ წინადადებათა და დასკვნათა სისწორეს, იმას, რომ საჭირო იყო მათი უსწრაფესი განხორციელება პარტიის ინტერესებისათვის. არსებობდა იგი ახალი ეტაპის შესაბამისად, რომელშიც შედიოდა არმია, განმარტავდა ძველ, მაგრამ მარად ახალ ლენინურ ორგანიზაციულ პრინციპს ფართო მასებთან რედაქციის კავშირის განმტკიცების შესახებ.

„უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეთ მასას“, — აი, ფურმანოვის მოხსენების მთავარი აზრი“.

„კრასნი ვოინში“ რედაქტორად მუ-

შაობა დაეტყო არა მარტო გაზეთის მუშაობის გაუმჯობესებასა და აქტუართა აქტივის ზრდას, არამედ ხელი შეუწყო ფურმანოვის მახვილი დამკვირვებლობის განვითარებას, იმას, რომ იგი ყოველდღიურ მოვლენებსა და ფაქტებში ფხიზლად განასხვავებდა ახლის ყლორტებს, წვდებოდა ღრმა პროცესებსა და ძვრებს და აძლევდა მათ სწორ შეფასებას მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პოზიციებიდან. მისი სტატიები სცილდებოდნენ ჩვეულებრივი საგაზეთო მასალების ფარგლებს. ისინი გამოიჩინოდნენ მაღალი იდეური დონით, მებრძოლი პარტიული სულისკვეთებით, აზრისა და ანალიზის სიღრმით.

„კრასნი ვოინის“ რედაქცია ფურმანოვის მუშაობის პერიოდში მოთავსებული იყო ყოფილ ბარიატინსკის ქუჩაზე (ახლა ვორჟაშვილის ქუჩა) № 6 სახლში. დ. ა. ფურმანოვი ცხოვრობდა ყოფილ საბჭოთა ნომრებში ხიდის ქუჩაზე, № 1 სახლში (ახლა კ. მარქსის ქუჩა).

თბილისში ცხოვრების დროს ფურმანოვის ოჯახი განაგრძობდა ნაცნობობას ძველი ბოლშევიკის, ამას წინათ გარდაცვლილი ემიფანე ნოლიას ოჯახთან. ნოლიას ოჯახი დაკავშირებული იყო იმ დროის ქართული საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენებთან. ფურმანოვები მიდიოდნენ ნოდიებთან სტუმრად ოქტომბრის მესამე შესახვევის № 5 სახლში, და ხშირად ხედებოდნენ იქ ქართული ინტელიგენციის სხვადასხვა წარმომადგენლებს. შემორჩენილია სურათი, რომელზეც აღბეჭდილი არიან დიმიტრი ფურმანოვი და ემიფანე ნოლია. ისინი ხელიხელგადახვეულნი დგანან სოლოლაკის მთის, ახლანდელი კომპავშირული ხეივნის, ფერდობებზე.

თბილისში დ. ა. ფურმანოვი განაგრძობდა მუშაობას მოთხრობა „წითელ დესანტზე“, რომელიც ჯერ კიდევ ყუბანში დაიწყო, მიმოიხილა და თავის საფრონტო ჩანაწერებს, აგროვებდა დოკუმენტებს, ამუშავებდა „ჩაბაევის“ გეგმას, დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ემზადებოდა.

ფურმანოვის თბილისიდან წასვლის შემდეგაც არ გაუწყვეტია კავშირი „კრასნი ვოინთან“.

• • •

დ. ა. ფურმანოვის ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოში ყოფნამ. ამ პერიოდმა სამუდამოდ აღბეჭდა მწერლის მეხსიერებაში ამ მხარის შესანიშნავი ბუნება, მისი დიდებული მთები, ამწვანებული ველები, სწრაფი მდინარეები, აქაური შრომისმოყვარე, კეთილი და სტუმართმოყვარე ადამიანები.

იმას, რომ ფურმანოვის დიდად უყვარდა ქართველი ხალხი და საქართველო და უდიდეს პატივს სცემდა მათ, დამაჯერებლად მოწმობს 1925 წელს დაწერილი ნარკვევი „დომიტრი სოლომონის ძე ლომჯარია“. ამ ნარკვევის წარმოშობის ისტორია ასეთია.

1925 წლის ზაფხულში დ. ა. ფურმანოვი მესამედ ჩამოვიდა საქართველოში. იგი სოჭში მკურნალობდა. შემდეგ კი იქიდან გამოემგზავრა გაგრაში, გუდაუთში, ახალ ათონსა და ბათუმში. მწერლის ამ ყოფნამ საქართველოში გამოხატულება პოვა ნარკვევების ციკლში „ზღვის ნაპირები“ (იხ. დ. ა. ფურმანოვის თხზულებათა კრებულის მე-3 ტომი, 1961 წლის გამოცემა) და ნარკვევებში „უბის წიგნიდან“: „ახალათონელი დედაბერის აღსარება“ და „დომიტრი სოლომონის ძე ლომჯარია“. ამ უკანასკნელში, რომელიც დათარიღებულია 1925 წლის 27 ივნისით, დომიტრი ანდრიას ძე გვიამბობს, თუ როგორ შეხვდა ახალი ათონის ფოსტის უფროსს დ. ს. ლომჯარიას.

მასთან საუბარში ფურმანოვმა განაცხადა: „მეც მიყვარს ქართველები, კარგი ხალხია...“

კავკასიაში ფურმანოვის ჩამოსვლის დროს, განსაკუთრებით პირველად ჩამოსვლისას, ბევრ რუსს ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა ამ მხარის ბუნებისა და მრავალეროვან მოსახლეობაზე, აქაურ ხალხთა ზნე-ჩვეულებებზე, მხარისა,

რომელმაც კაცობრიობას მისცა რუსთაველი და ჭავჭავაძე, აბოვანიძე და შუშინიანი, ახუნდოვი და რაფი. უკეთეს შემთხვევაში იცნობდნენ მხოლოდ იალბუზსა და არარატს, კისლოვოდსკა და საქართველოს სამხედრო გზას, ყაჩაღებსა და მესისხლეობას. კავკასიის შესახებ ასეთი „ტურისტული“ წარმოდგენის საწინააღმდეგოდ დომიტრი ფურმანოვი დიდი ყურადღებითა და პატივისცემით ეცნობოდა ამ მხარის მრავალფეროვან ბუნებას, კავკასიის ხალხთა საინტერესო ყოფაცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს, მათს ენას, კულტურას, ეროვნული ხასიათის ნიშანთვისებებს. რუსული დემოკრატიული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელი ფურმანოვი ცდილობდა რუსი რევოლუციური დემოკრატებიდან — ბელინსკისა და ჩერნიშევსკიდან ხიდი გაედო კავკასიის ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლებამდე.

საქართველოს მშრომელები მარჯვ პატივს სცემენ რუსი ხალხის დიდი შვილის, შესანიშნავი მწერლის დომიტრი ფურმანოვის ხსოვნას, რომელმაც თავისი შემოქმედებით ერთ-ერთმა პირველმა გადმოსცა რევოლუციის პათოსი, გვიჩვენა გმირი კომუნისტის ახალი სახე, რომელსაც ვარდა ხალხის ინტერესებისა არა აქვს სხვა ინტერესები და მიზნები. „ჩაბაევის“ შექმნით ფურმანოვმა ლიტერატურაში შეიტანა ახალი ცხოვრების შუქი, აღბეჭდა პროლეტარული სარდლის სახე, რომელმაც სამართლიანად მოიხვეჭა უკვდავება. მან გააშუქა თავისი შესანიშნავი ნაწარმოები საკუთარი ცხოვრების გამოცდილებით, მებრძოლი ბოლშევიკი — კომისრის გამოცდილებით. ფურმანოვის წიგნების უქცნობი წარმატების საიდუმლოება ის არის, რომ მწერალი განუყრელად იყო დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, აქტიურად მონაწილეობდა კომუნისტებისათვის ბრძოლაში.

განკონი ბუაჩიძე

ქან კოკტო

ქან კოკტო მეტად თავისებური მოვლენაა თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურასა და კულტურაში. ალორძინელების ეპოქის uomo universale-ს მსგავსად იგი ერთსადაიმთხვე დროს გაზღდათ პოეტი, ესეისტი, დრამატურგი, რომანისტი, ლიბრეტისტი, სცენარისტი, მხატვარი, მოქანდაკე, მსახიობი და კინორეჟისორი.

ქან კოკტოს და ფრანგი პოპულარული მომღერალი ქალის ედიტ პიაფის სიკვდილი ერთსადაიმთხვე დღეს (11 ოქტომბერს), როგორც სამართლიანად შენიშნავდა გაზეთი „იზვესტია“, მძიმე დანაკლისია ფრანგული კულტურისათვის. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საფრანგეთის არტისტულ ცხოვრებაში არ ყოფილა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ამა თუ იმ სახით არ გამოხმაურებოდეს ქან კოკტო. მთელ რიგ შემთხვევებში ის იღვრა ახალი მიმართულების, ახალი სკოლის და დაჯგუფების სათავეებთან. რა თქმა უნდა, იგი ვერ აცდა შეცდომებს და დაბნეულობას; მისი ცოცხალი და მოძრავი ფიგურა მაინც გაუთიშავი იყო საფრანგეთის დედაქალაქის ცხოვრებისაგან. როცა ტელეფონმა და რადიომ ქვეყანას აუწყეს მისი სიკვდილი, ფრანგმა კრიტიკოსმა ფრანსუა-რეჟი ბასტიდმა დაწერა: „სამოკლდითობმეტი წლის განმავლობაში, ეს პირველი დამეა, რომელსაც პარიზი უკოტოდ ატარებს“.

ქან კოკტო ბავშვობის ასაკიდანვე დაუკავშირდა ლიტერატურულ სამყაროს, ტრიალებდა იმ დროის ისეთ ცნო-

ბილ მნათობთა წრეში, როგორც იყვნენ პოეტები კატულ მენდესი და ანა დე ნოაი, ედმონ როსტანი და მარსელ პრუსტი. მოგვიანებით კოკტო დაუახლოვდა „დიდი მოლნის“ ავტორს ალენ ფურნიეს, შარლ პეგის და ფრანსუა მორიაკს, მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს კრიტიკა, ქან კოკტოს შემოქმედება მიდიოდა თავისი გზით. იგი არ მიმხრობია მთლიანად არც ერთ გაბატონებულ ლიტერატურულ მიმდინარეობას.

ქან კოკტოს დიდი ნიჭის აღმოჩენა ეკუთვნის მსახიობ დე მაკს, რომელმაც თავის მეგობრებს წაუკითხა ქაბუკი პოეტის ლექსები და შემდეგ მუდამ თანდათანობით მის გამოუქვეყნებელ ხელნაწერებს.

გრძელი და მიხვეულ-მოხვეული გზა გაიარა ქან კოკტოს პოეზიამ. ოცი წლის პოეტი პირველად სამწერლო სარბიელზე გამოვიდა ლექსების პატარა კრებულებით „ალადინის ლამპარი“ (1909), აქედან დაწყებული უფრო და უფრო ნაყოფიერი ხდებოდა მისი მრავალმხრივი შემოქმედება, პირველ კრებულს თან მოჰყვა ლექსების მეორე და მესამე კრებულები: „ქარაფშუტა პრინცი“ (1910) და „სოფოკლეს ცეკვა“ (1912). ამ დროს ახალგაზრდა პოეტს უკვე კითხულობენ და კარგად იცნობენ პარიზის არტისტული ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში, მიუხედავად იმისა, რომ ქან კოკტოს ეს ადრინდელი ლექსები აღბეჭდილი იყო უახლოესი პოეზიის გავლენებით. ამ ნაწარმოებებში პოეტი ეძებდა გზას საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის მოსაპო-

ვებლად. ბოლო ხანებში თვით კოკტომ აღიარა, რომ პოეზია ჩემთვის ის არ აღმოჩნდა, რაც მეგონა ჩემი ცხოვრების თხუთმეტი თუ ოცი წლის ასაკში, ის არ აღმოჩნდა არც სასიამოვნო დროსტარება და არც „შემოსავლის წყარო“. კოკტოსთვის ის იყო შეუბოვარი და მძიმე შრომა, რომელიც წინ უძღვის ხელოვნების ყოველ ქეშმარიტ ქმნილებას.

საკუთარმა ხელწერამ და მომწიფებულმა შემოქმედებთმა ხმამ მკაფიოდ იჩინა თავი მხოლოდ შემდგომი ლექსების კრებულებში: „დიდი ზმანების სიტყვა“ (1916—1918), „კეთილი იმედის კონცხი“ (1916—1919), „სიტყვარი“ (1922), „გაჩერებები“ და მის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებაში „სიმღერა სრული ხმით“ (1923). თუმცა ამ კრებულებშიაც შეიძლება მოვებნათ ფუტურისმის, კუბისმის და „დადას“ მაგვარე ფანტასტიკის ელემენტები. აღჩინდელი კოკტოს ლექსებში იშვიათი როდია ეგრეთწოდებული „ლექტრიზმის“ განზრახ გართულებული და ძნელად ასათვისებელი სახეები. მაგრამ ფუტურისმითა და ლექტრიზმით გატაცებას არ შეეძლო დიდხანს შეეჩერებია მისი პოეტური ნიჭის განვითარება. ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში (კრებულიდან „სიმღერა სრული ხმით“, 1923 წ.) პოეტი ნათლად ითვალისწინებს რა ადამიანის სიცოცხლის სწრაფ წარმავლობას, მოუწოდებს სიტყვის ოსტატებს თავიანთი შემოქმედება აღბეჭდონ მოვალეობის შეგნებით და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

უნდა ვიჩქაროთ, დრო არ დაგვარკოთ
 არც დასვენების არც მარხულობის ნება
 თავს არ მივცეთ,
 რამდენიმე დღის შემდეგ შენ ისევ
 ახალგაზრდა იქნები,
 მე კი იგი აღარ ვიქნები, ეს არის ახლა
 შემისრულდა მე ოცდაათი.

ლექსში „განა ასე გესმით ჩემი“? (კრებულიდან „სიტყვარი“) კოკტო აჯამებს რა თავისი პოეზიის თემებს და მოტივებს, თავის დეაწლად მიიჩნევს იმას, რომ თავისებურად, თავის კილოზე, უმ-

ღერა მშობლიურ საფრანგეთს:
 საფრანგეთო, ტურფე და ზურმუხტო,
 ისეთი ჭალების და ღვინის დამზადებელი,
 რომელთა მაგვარს ამოდ დაეწყებთ!

ძებნას
 მთელს შენს გარემომცველ ევროპაში.

პოეტ მალერბის სულისკვეთების შესაბამისად, კოკტო იბრძვის პოეტური სიტყვის სინათლის და გარკვეულობისათვის, პოეზიის მისაწვდომობისათვის, ლექსის „წესრიგისათვის“.

ის, ვინც ოდესღაც ჩემს სახეს
 უაღმა ხედავდა და უნდოდა დაეკბინე,
 უცებ გაიფხვს, რომ ჩემი ლექსები
 პოეტური წესრიგის იყვნენ მსახურნი.

გონებაშეზღუდული, კონსერვატორული კრიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში პოეტის შთამგონებელი იყო დიდი ფრანგი მგოსანი რონსარი, რომელიც მიუხედავად სიყრუისა, მეფის კარის დროსტარებისაგან შორს განაპირებული ემსახურებოდა ქეშმარიტ პოეზიას და სიტყვების გაუვალ ეკალ-ბარდებში გზას უკაფავდა ნორჩ ფრანგულ ლირას. მთელი ორი საუკუნის მანძილზე დავიწყებული ლირიკა რონსარისა კვლავ აელვარდა უჭრობი ცეცხლით, რონსარის სახარბიელო ხვედრს ნატრობს პოეტი:

იყავი მტკიცედ! შენ რონსარი გასწავლის
 ამას.
 რადგან თუ იგი დღეს გამარჯვებულა,
 ეს იმიტომ, რომ მას ვარდმა გაუბო გული,
 აი რატომ არის, მელნით რომ ვწერ,
 სისხლად ვიღერები.

რაც დრო გადიოდა, კოკტო უფრო ხშირად მიმართავდა ფრანგული კლასიკური ლექსების ფორმებს, შემოქმედებითად ავითარებდა პოეტურ ტრადიციას, რომელსაც სათავე დაუდო მაჟორბმა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში. კოკტომ კლასიკურ ლექსში შეიტანა ახალი რიტმები, თავის ტალანტის ელფერით, ზოგჯერ სიცოცხლის სიხარულით, ზოგჯერ კი მეღანჭოლით აღბეჭდილი სახეები, მუსიკალური აკორდით სრულხმოვანი რითმები. იგი მიმართავდა აგრეთვე თეთრ ლექსს—ვერ-

ლიბრს, სადაც ურითმობას ანაზღაურებდა მდიდარი და მოულოდნელი ასონანსებით. კოკტოს ნათელ და მკაფიო სტილს ხშირად სანიმუშოდ თვლიდნენ ახალგაზრდა პოეტებისთვის. კოკტოს უყვარს სიტყვების თამაში, კალამბურებიც, კრებულის („სიმღერა სრული ხმით“) რომანტიულად აბალღებულ ლექსებში მოისმის რენესანსის განწყობილებათა გამოძახილი. ეან კოკტოს პოეზია ისევე, როგორც სხვა ეანრის მისი ნაწარმოებები, გამოირჩევა განსაკუთრებულ დახვეწილობით და ელვარებით, რომელსაც იგი ანიჭებდა ყველაფერს, რასაც კი მისი ხელი შეეხებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი თანაბარი ღირებულების არ არის ეან კოკტოს პოეზიაში. კრიტიკის არა ერთხელ უსაყვედურებია მისთვის, რომ ბევრ მის ლექსში იგრძნობა ხელოვნურობა, სიტყვის მხოლოდ გარეგნული სილამაზით და სინატიფით ტკობა...

1960 წლის ოქტომბერში გაზეთმა „ლე ლეტრ ფრანსეზმა“ გამოაქვეყნა კოკტოს ალეგორიული პოემა „ჰიდრაჯის პარტია“. ეს არის მცირე მოცულობის ნაწარმოები, აქლერებული დიდი ოსტატის ხელით და წარმოადგენს ცხოვრებასა და პოეზიის შესახებ პოეტის ნაფიჭრ-ნააზრევის შეგამებას. კონდენსირებულ და სიმბოვით დაჭიმულ ამ ნაწარმოების სტრიქონებში კოკტო კვლავ უბრუნდება ერთხელვე არჩეულ სახეს პოეტისას, რომელიც, პელიკანის მსგავსად, თავის ლექსებს ევებაეს საკუთარი სისხლით (ეან კოკტომ ერთ-ერთ ფილმს კიდევ უწოდა „პოეტის სისხლი“). დაკარგო საკუთარი სისხლი განა ნიშნავს, დაკარგო, საკუთარი გული? — სვამს კითხვას პოეტი.

ამ პოემის („ჰიდრაჯის პარტია“) უკანასკნელ სტროფში მოისმის გულისტკივილი შემოქმედისა, რომელსაც ვერ გაუგეს და რომელიც თავს იცავს ამაყი მარტოობით, მდევნელების სიძულვილით „დამშვენებული“ მარტოობით. როცა კოკტო თავის მარტოობაზე ლაპა-

რაკობს, გულისხმობს არა ხალხს არამედ უსულგულო ესთეტიკურ ემულაციას და მისგან თავის განმარტობას.

და, ცუდად ცხოვრების ხელოვნება აღმოჩნდეს ერთადერთი, რასაც შე ჩავეწოდო, ჩემი საკუთარი თაოსნობით (როგორც აუზაჯის თავს) დააფასებენ ჩემს თავს, რომ თქვენმა სიძულვილმა დაამშვენოს ჩემი მარტოობა უკანვე ეიბრუნებ ჩემს მიერ აღებულ პაიკებს.

არკვევდა რა ეან კოკტოს პოეზიის მაგისტრალურ ხაზს, როლან პიერი „ლუმანიტეს“ ფურცლებზე წერდა: „კოკტო პოეტია, რომელიც იმყოფება სიყვარულსა და სიკვდილს შორის, მეგობრობასა და მარტოობას შორის“.

ეან კოკტო არ იყო მეამბოხე, როგორც რემბო, რომლის წინაშე ის ქედს იხრიდა, მაგრამ არც კომპრომისების მოყვარული, მოტკბო პოეტი ყოფილა. იგი ღრმად გრძნობდა რა მხატვრის მარტოობას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ანგარებით და უსულგულობით საევე სამყაროში, თავის გულისტკივილს გამოხატავდა ბრწყინვალე ლექსებით, გამოხატავდა სტოიკურად, მალავდა რა თავის მწარე განცდებს ღიმილით ან ირონიით. მწარე დაფიქრებები (და არა ადამიანებზე იმედის გაცრუება) არის მიზეზი იმისა, რომ მის პოეზიაში ურთიერთთანაა შერწყმული საწინააღმდეგო და საპირისპირო მოვლენები. სიყვარულზე პოეტურად გამოთქმულ აზრებს თან ახლავს სიკვდილზე დაფიქრება, მეგობრობის გრძნობის გამოხატველ ლექსებს თან სდევს ლექსები ნაღვლიან მარტოობაზე. კოკტოს ლექსებში განსაკუთრებულ აკვიტებით ისმის სიკვდილის მოტივები, მონტენესებური „შხადება“ სიკვდილისათვის. ყოველივე ეს გამოჰყოფს და აძლიერებს კოკტოს ღირიკის ნათელ, სიცოცხლის სიხარულით აღბეჭდილ მოტივებს, სიყვარულისა და მეგობრობის მოტივებთან ერთად ისმის სამშობლო მიწისადმი მხურვალე ტრფილება, რწმენა სიცოცხლისა და სიკაბუქისა.

ერთერთ თავის საპროგრამო კრიტიკულ ნაშრომში „პროფესიული საიდუმლოება“. ეს კოცტო მოუწოდებს სიტყვის ოსტატებს გასწმინდონ პოეზია იმ ეპითეტებისა და სახეებისაგან, რომელთა მიხედვით ქვეყანა შეეჩვივა პოეზიის გამოცნობას. კოცტოს აზრით, პოეზიამ უარი უნდა თქვას იყოს „პროზა საღამოს ტანსაცმელში“ სწორედ ეს კოცტოს პოეზიის ამ თვისებებს დიდად აფასებს ცნობილი ფრანგი მწერალი, მარქსისტი კრიტიკოსი პიერ ლესი.

სწმენდდა რა გზას თავისი პოეზიისათვის, ეს კოცტო ოცნებობდა სათუთ და გულისხმიერ მკითხველზე. იგი წერდა „ვეძებ მკითხველ საზოგადოებას რომელიც ჩემს წინააღმდეგ არ გამოვა ცრუ რწმენებით და ცრუ აზრებით“.

მხატვრის ალლომ და ხელოვნების ნამდვილი ბუნების სწორმა გაგებამ ეს კოცტო იხსნა მრავალი ცდუნებისაგან, მრავალი „იზმებისაგან“. ფრანგული პოეზიის ფართო გზაზე გამოსვლამ, იმ გზაზე რომელიც, გაკაფეს ვიონიმა და რონსარმა, მოამზადა და შესაძლებელი გახადა კოცტოს წარმატებანი. ეს კოცტოს პოეტური შემოქმედების მაღალ დაფასებას წარმოადგენდა მისი არჩევა „პოეტების მეფედ“ 1960 წელს. ეს საპატიო ტიტული მიულოცა კოცტოს ლუი არაგონმა. „ლეტრ ფრანსეზის“ ფურცლებზე. რომლის დირექტორია არაგონი, ხშირად იბეჭდებოდა ეს კოცტოს ლექსები და მის ნაწარმოებთა კრიტიკული განხილვა.

ეს კოცტოს, როგორც რომანისტს, დიდი სახელი მოუხვეჭა ჯერ კიდევ 1919 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა „პოტომაკი“, რომლის სიუჟეტს მწერალი მოგვიანებით დაუბრუნდა ნაწარმოებში „პოტომაკის დასასრული“ (1940 წ.). რომანში „ლამაზი ქალი და მხეცი“ კოცტომ ფაქიზად და ოსტატურად დაამუშავა ერთი უძველესი ხალხური ლეგენდის სიუჟეტი. კოცტოს, როგორც რომანისტის, ერთერთ უდიდეს მიღწევად ითვლება ფსიქოლოგიური რომანი,

„აუტანელი ბავშვები“ (1929). ამ რომანში კოცტო ხსნის თავისეულ დრამატურგიის ერთერთ ცენტრალურ თემას. წიგნში ნაჩვენებია შინაგანი ბრძოლა მოზარდი ბავშვის სულში. ეს არის მხატვრული ილუსტრაცია კოცტოს იდეისა ბედისწერის გარდაუვალობაზე და იმ ავბედით ნიშნებზე, რომლებიც წინასწარ იუწყებიან ადამიანის უბედურებას. კოცტოს პიესა „ოიდიპოს მეფეში“ ასეთია დედოფლის გულსაბნევი და მოსასხამი, რომლებიც დღენიადავ, ანიშნებს ოიდიპოსს, რომ იგი დასასრულ თვალებს დაითხრის, ხოლო დედოფალი — თავს ჩამოიხრჩობს, მაგრამ ეს კოცტოს ყველაზე ცნობილი პროზაული ნაწარმოებად ითვლება რომანი „თომა-მატყუარა“ (1924), რომელიც თვითონ კოცტოსათვისაც საყვარელი ნაწარმოებია იყო. აკვარელის გამკვირვალე ფერებით შესრულებულ ამ სიტყვაძუნწ რომანში გადმოცემულია ერთი ბიჭი მისტიფიკატორის უეშმაკო, მარტივი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ თამაშობდა ცხოვრებასთან კუჭუმალობას ეს ბიჭი და რა უბედურება დაატეხა თავზე ცხოვრებამ.

1914 წელს ეს კოცტო მოხალისედ წავიდა ფრონტზე და იყო მოწვე და თვითმხილველი უბრალო ადამიანების სიმამაცისა და გმირობისა. ფრონტიდან გამოგზავნილ, აბატ მუნიციპალში დაწერილ ბარათში არის ასეთი სტრიქონები: „ჭურჭები ვეციმან ნანგრევებზე და ყოველ დაცემაზე მათ გულის ფანქვალთ უთვალთვალებენ და ახალი გავიკრებებით უყურებენ. შესანიშნავი ადამიანები არიან აქ. მე ვნახე კაპიტნები, რომლებიც ბავშვებივით ტიროდნენ, და ბავშვები, რომლებსაც ძველი კაპიტნებივით მკაცრი სახე ჰქონდათ“. ასეთი შთაბეჭდილებებით იწერებოდა რომანი „თომა-მატყუარა“. რით უნდა აიხსნას ის ბრავადა, მსუბუქი ოხუნჯობა, რომლებითაც გამსჭვალულია ომზე, სიცოცხლეზე და სიკვდილზე დაწერილი ეს ნაწარმოებები? შთანთქმავს რა გახსნა ავტორმა ერთ თავის წი-

რილში, რომელიც მეგობარს მისწერა „თომა-მატყუარაზე“ მუშაობის დროს: „ამ რომანში მე ვლაპარაკობ ომზე ისე, რომ არ ვახსენებ არც „ფრიცებს“, არც „პულიუებს“ (ასე უწოდებდნენ ფრანგ ჯარისკაცებს შინაურულად პირველი მსოფლიო ომის დროს) და არც ბრძოლას მარნაზე (თუმცა სწორედ ასეთ პოზიციას ყველაზე მეტად ჰკიცხავენ ახლა). ყველაფერი ეს მორცხვობის გრძნობის გამო მიტანილია მკითხველთან მსუბუქი, თითქო არა სერიოზული სახით. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ეს ერთი მეთოდთაგანია“, და მართლაც, კოკტოს, რომელმაც მიზნად დაისახა ნიღაბი აეხადა ომის საშინელებისა და მის გამჩაღებელთა პირფერობისათვის, არ შეეძლო ესარგებლა და არც უსარგებლია შოვინის-ტურია და კაცთმოძულეობით აღსავსე პროპაგანდის გაცვეთილი არსენალით. დაკვირვებულ მკითხველს, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ რჩება მწარე ირონია მთავრობის მისამართით და არც ის უთვალავი, ერთი მეორეზე მწვავე ქირღვა-დაცინვა, რომელიც რომანში ისმის „ჰქვიანი და ფრთხილი“ ბურჟუების ქველმოქმედების, პრესაში გაბატონებულ ზნეობრივი ნორმების, მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების პირფერობის და სყოველთაო თვალთმაქცობის მიმართ. ზოგიერთი პასაჟი, რომელიც მოსწრებულად, დიდი სიმამხილით წარმოგვიდგენს სალდათების წვრთნას ყაზარმებში და გონებაშეზღუდულ ოფიცრობას, მოგვაგონებს პაშევის „ყოჩაღი ჯარისკაცის შვეიცის თავგადასავალის“ ეპიზოდებს.

ასეთია, მაგალითად, დიალოგი თომასი, რომელიც თავს გენერალ დე ფონტენუს ძმისწულად ასაღებს, კაპიტანთან, რომელსაც შემთხვევით გზაზე წააწყდა.

„ვილაც კაპიტანმა გააჩერა თომა. აი მათი დიალოგი:

— მომისმინეთ!

— გისმენთ, ბ-ნო კაპიტანო!

— ეს რა გარეგნობა გაქვთ! ატა-

რებთ რევოლვერს და ამასთან წითელი ჯვრის ნიშანს მკლავზე!

— დიახ, ბ-ნო კაპიტანო, მაგრამ...

— ეს პილოტურა... ეს რა პილოტურაა?

— ეს, ბატონო კაპიტანო, სირის პილოტურაა.

— ჰმ! თქვენ სენ-სირში სწავლობთ? არ მომწონს, როცა ასე აგდებულად მელაპარაკებიან. ვინ ხართ, რა გქვიათ?

— თომა დე ფონტენუა, ბ-ნო კაპიტანო!

— დე ფონტენუა? თქვენ გენერლის ნათესავი ხომ არ ხართ?

— დიახ, მისი ძმისწული ვარ, ბ-ნო კაპიტანო.

— ამბობენ, რომ თქვენმა ბიძამ კუდიტ ქვა ასროლინა გერმანელებს მარცხენა ფრთაზე?

— დიახ, ზუსტად ასეა, ბ-ნო კაპიტანო!

— მომისმინეთ! ჩვენ შორის რომ ითქვას, რასაკვირველია, კარგად ვიცი, ბევრი ისეთ ფორმას ატარებს, როგორც თვითონ მოეპრიანება, მაგრამ მაინც არ ვარგა ატაროთ წითელი ჯვრის ნიშანი მკლავზე და იმავე დროს რევოლვერიც! აირჩიეთ ამ ორში; ატარეთ ან ერთი ან მეორე. იმიტომ რომ, — მაშაშვილურად აფრთხილებს კაპიტანი, — იღბალზე თქვენ მე წამაწყდით, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ ვინმე რეგვენს წაწყდომოდით?”

ასეთი „კონსპექტური“, სხარტი სტილითაა დაწერილი მთელი ეს ნაწარმოები.

არა ნაკლებ ახლოა მკითხველთან ამ ნაწარმოებში მოცემული მხილება ომისა, რომელიც სცელავს თანაბრად და განუტრეხლად უბრალოსა და ბრალიანს, უდანაშაულოსა და დამნაშავეს. ტრაგიკულმა გაუგებრობამ, ბრმა შემთხვევითობამ ამ რომანიდან ერთ პერსონაჟს სიკვდილი არგუნა, ხოლო მეორე აიძულა თვითონვე ეძებნა სიკვდილი: „პაეო მეორე დღეს ჯარიდან შეგებულებაში უნდა წასულიყო, მთე-

ლი ღამე ცახცახებდა, რამე არ დამე-
მართოსო. რუა აჯავრებდა პაჟოს, რო-
მელიც ეხვეწებოდა რუას მშვიდად
მდგარიყო. რუმე ჯიბის პატარა ფარნის
შუქით გაანათა მისი სახე, და უცებ
პაჟო მკვდარი დაეცა მიწაზე, ტყვია
მოხვდა თავში, ეს იყო შემთხვევითი
ტყვია, მაგრამ რუმე თავი მის მკვლე-
ლად მიიჩნია, და ვერაინ გამოიყვანა
იგი მძიმე მწუხარებიდან.

ასეთი ტრაგიზმის შემცველი ეპიზო-
დების გამო კოკტოს ეს ნაწარმოები
გახდა დიდად პოპულარული ორი ომის
შუალედში და ახლაც, ჩვენს დღეებში.

იმავ ხანებში ე. ი. 1924 წელს, ეან
კოკტომ თეატრალური საზოგადოებ-
რიობის ყურადღება მიიქცია პიესით
„ორთეოსი“, რომელიც დაიდგა „ტე-
ატრ დეზ არის სცენაზე, ეან კოკტოს
უყვარდა თეატრი და მთელი სიცოცხ-
ლე ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას
სცენისათვის. თუ რა მოწიწებით ევი-
დებოდა კოკტო თეატრს, მოწმობს ის,
რომ, როგორც თვითონ ამბობს, არა-
სოდეს არ ჰყოფნიდა გამბედაობა
დასწრებოდა თავისი პიესის პრემიერას.
სამაგიეროდ რეპერტიციებზე რეგულა-
რულად დადიოდა. ჩვეულებრივ არ
ერეოდა მსახიობების თამაშში. ეან
კოკტო თვითონაც მსახიობი იყო და
ამიტომაც ენდობოდა მსახიობების ინ-
ტუციას სახეების გაგებასა და გახსნა-
ში.

ეან კოკტოს დრამატურგიული შე-
მოქმედება თემატიურად ფრიად მრავ-
ალდეროვანია, მაგრამ მისგან მაინც
შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირი-
თადი თემა. თავისებურ ტრილოგიას,
ანტიურ თემებზე დაწერილს, წარმო-
ადგენს პიესები „ანტიგონე“, „ორთე-
ოსი“ და „ჯოჯოხეთის მანქანა“. „ან-
ტიგონე“ სოფოკლეს ცნობილი ტრა-
გედიის ახალი ვერსიაა. იგი დადგა
შარლ დიულენმა (რომელთანაც რამ-
დენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა
პარიზში ქართველი რეჟისორი ვასო
ყუშიტაშვილი) თეატრ ატელიეს სცე-
ნაზე. პიესა კარგად მიიღო მაყურებ-

ბელმა. მესამე ამ ტრილოგიიდან „ჯო-
ჯოხეთის მანქანა“ 1934 წელს დადგა
ფრანგული სცენის ცნობილმა მოღვა-
წემ ლუი ეუვემ. ერთ-ერთ წამყვან
როლს ამ პიესაში ასრულებდა ავტორი
ეან კოკტო. შუა საუკუნეების ფოლკ-
ლორზე და ფანტასტიკაზე ააგო კოკ-
ტომ პიესა „მრგვალი მაგიდის რაინ-
დები“, რომელმაც გააცოცხლა ნახევ-
რად ლეგენდარული გმირები. რომან-
ტიული დრამა კოკტოს პიესა „ორთა-
ვიანი არწივი“. კოლიზიების ყველაზე
მეტ სიმწვავესა და სიმახვილეს ეან
კოკტო აღწევს ევრეთეოდებულ მეშ-
ხანურ დრამებში, რომელთა სიუჟეტი
უმთავრესად ჩვენი თანამედროვე ცხო-
ვრებიდან არის აღებული, ხოლო მოქ-
მედება იშლება ბურჟუაზიული ოჯა-
ხების დახვედრულ, სულისშემბუთველ
ატმოსფეროში. კოკტოს პიესებიდან
ასეთი დრამის მკაფიო ნიმუშია ერთ-
ერთი ცნობილი დრამატული ნა-
წარმოები „აუტანელი მშობლები“. ამ
პიესაში დრამატურგმა შეგნებულად
შეზღუდა მოქმედ პირთა რიცხვი (პი-
ესაში მხოლოდ ხუთი პერსონაჟია) და
უკუაგლო ჩვეულებრივი ბუტაფორია.
„უნდა დამეწერა პიესა თანადროული
და გამიშვლებული, — აღნიშნავს კოკ-
ტო „აუტანელი მშობლების“ წინასი-
ტყვაობაში, — რათა არ მიმეცა მსახი-
ობებისა და მაყურებლებისათვის სუ-
ლის მოთქმის საშუალება. მე გამოე-
რიცხე მოქმედებიდან ტელეფონი, წე-
რილები, მსახურნი, სიგარეტები,
ნახატი ფანჯრები, გვარებიც კი, რომ-
ლებიც ბოჰემს პერსონაჟებს და ყო-
ველთვის საეჭვოა. აქედან მივიღე
ვოდევილური კენძი, მელოდრამა,
ტიპები, რომლებიც გაკეთებული არიან
რა ერთი და იმავე მასალისგან, ეწმბა-
აღმდეგებიან ერთიმეორეს“.

მთელ რიგ სცენებს — ნამდვილ
პატარა აქტებს, სადაც ადამიანის
სული და პერიპეტეიები ვადახლართუ-
ლია, ყოველწუთს დამბულ მდგომარე-
ობაში ჰყავს მაყურებელი. ამ უკი-
დურეს დამბულობას დრამატურგი

აღწევს იმით, რომ დიდი ოსტატობით შლის მაცურებლის თვალწინ პერსონაჟების შინაგან სულიერ ბრძოლას. პიესის მთელი მოქმედება ტრიალებს ერთი ან ორი გარეგნული მოვლენის გარშემო. პიესაში არ არის ექსპოზიციკა, კვანძის შეკერის მომზადება; კვანძი იკვრება პირველივე რეპლიკებიდან. ფარდის ახდისთანავე მაცურებელი ერთბაშად შედის ოჯახური ცხოვრების მშფოთვარე და ნერვულად დაძაბულ ვითარებაში. იბრძვის ორი ძალა. ერთის მხრივ უნებისყოფო ჟორჯი და მისი ისტერიული ცოლი ივონა, რომელსაც ეგოისტურად უყვარს თავისი ვაჟი, ერთი და მეორეც ანსაბიერებს უნებისყოფო ადამიანს, რომელიც მაინც ებლაუქება თავის პატარა სამყაროს, როგორც გადარჩენის უკანასკნელ საშუალებას. ისინი მოკლებული არიან ყოველგვარ უნარს აქტიურად იმოქმედონ. ჟორჯი მეოცნებე დიდი ბავშვია, რომელიც განაგრძობს სიცოცხლეს ყიულ ვერნის წიგნების სამყაროში, და რომლის მთავარი საქმეა რაღაც უმაქნისი ნივთების გამოგონება, რაღაც წყალქვეშა-თოფების გაუმჯობესება, მაგრამ თუ ჟორჯი თავს იტყუებს ილუზიით, იმით, თითქოს რაღაცს აკეთებს, მისი ცოლი ივონა მოკლებულია ამ ილუზიასაც. ამ ქალმა თითქოს ხაზი დაუსვა თავის ცხოვრებას, უარი თქვა ყოველგვარ მოქმედებაზე, ყოველგვარ ინტელექტუალურ ინტერესებზე, გარე სამყაროს მოწყვეტილი ეს ოჯახი თანდათან დაბლა ეშვება: ავეჯზე სქელ ფენად დევს მტვერი, ისე, რომ, შეიძლება მასზე თითით წერა; გაურეცხავი თეთრეული გროვ-გროვად მიუყრიათ ოთახების კუთხეებში და ასე ცხოვრობს ამ ოჯახის არაერთი თაობა: ჯერ კიდევ ივონას პაპა ანგარიშობდა, თუ რამდენი წერტილ-მძიმეა ბალზაყის თხზულებებში, ამბობდა: „მე შევაგროვე ამა და ამ შედეგში 37000 წერტილ-მძიმე“. მერე ეჩვენება, რომ შეცდა და იწყებს თვლას თავიდან.

— იმ დროს ასეთ ადამიანებზე არ ამბობდნენ შეშლილად, რამდენად მანიაკიო, ჩვენს დროში „მარკინდომებო, შეიძლება ყველა ისინი ჩავთვალოთ შეშლილებს შორის. ეს სიტყვები ეკუთვნის ივონას დას ლეონის. თუ ივონა წარმოადგენს პარანიტული არსებობის, მორალური და ფიზიკური დეგრადაციის უკიდურეს განსაზიერებას, მეორე მხრით, მისი და ლეონი მატარებელია წესრიგის, დისციპლინისა, ის ერთადერთი „მამაკაცია“ ამ ოჯახში, რომელიც წინააღმდეგობას უწევს დანარჩენებს და მიდის საერთო მდინარების წინააღმდეგ, მაგრამ ამასაც ზოგჯერ ბეზრდება ყოველივე ეს, და ასეთ წუთებში მწარე ირონიით აკვირდება დაგროვილ მტვერსა და სიბინძურეს. ასეთ ატმოსფეროში იზრდება ჟორჯისა და ივონას ვაჟი მიშელი. ეს ბიჭი ერთადერთი არსებაა, რომელიც თავის მშობლებს ჯერ კიდევ აკავშირებს ცხოვრებასთან, მაგრამ სწორედ შეილისადმი ასეთი ავადმყოფური დამოკიდებულების გამო, ივონას დედობრივი სიყვარული იქცევა რაღაც წარმოუდგენელ ეგოისტურ ტირანობად. ასეთ უაზრო მზრუნველობისა და სათბურის ვითარებაში მოხვედრილი მიშელი იზრდება ცხოვრებისადმი სრულიად შეუგუებელ უუნარო პიროვნებად. სასწაულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქაბუკი კიდევ ინარჩუნებს რაღაც ინტერესს ცხოვრებისადმი და უმწიკვლო წმინდა გულს. დედა ყოველ ნაბიჯზე აგებს ვაჟიშვილსა და ცხოვრებას შორის გაუვალ ჯებირს, მიშელს ექცევა, როგორც პაწია ბავშვს (ის კი 22 წლისაა), ჯიბის ფულსაც კი არ აძლევს მის შიშით, რომ რაიმე ცდუნებას არ გადაეყაროს. მიშელი სწავლობს ფერწერას, დედა კი უკრძალავს გაშიშვლებული ნატურის ხატვას. მამა ცდილობს მოაწყოს მიშელი სამუშაოზე, მაგრამ ყოველთვის წინ ეღობება ცოლის გადაულახავი წინააღმდეგობა: „მე ყოველთვის ვაკი-

თხადი, ხოლმე, ამბობს ივონა, სად უპირებდა სამუშაოზე მოწყობას შვილს და ყოველთვის ირკვეოდა, რომ ყველგან რაღაც სულელური სამუშაოებია და საშინელი გარემოცვა, კინოს ხალხი, ვიღაც ვაჭრუკანები, ავტომობილებით მოვაჭრენი და ვიგინდარების ზროვა“.

ასეთი ვითარება, რა თქმა უნდა, თავისთავად შეიცავს შინაგან დრამას, რომელიც არ შეიძლება არ გამოიმკლავდეს. ეს შესანიშნავად ესმის ჰქვიანსა და გამჭრიახ ლეონის. იგი ითვალისწინებს მოახლოებულ კატასტროფას, რომელსაც, ტრადიციული კონფლიქტის, „მამებისა და შვილების“ კონფლიქტის ფარგლებში, რაღაც თავისებური მძაფრი ჟღერადობა შეაქვს პიესაში: „შენ დათესე უწყსრიგობა, მიყრილი-მოყრილი გაურეცხავი საცვლები, სიგარეტის ფერფლი და ვინ იცის, კიდევ რა, ხოლო იმი აი რას: „მიშელს სული ეზუთება თქვენს კომედიანტურ გარემოცვაში; მან მოინდომა ისუნთქოს საღი ჰაერით“. — ეუბნება ლეონი თავის დას. ეს „საღი ჰაერი“ მიშელისათვის გახდა მისი მსურველ ახალგაზრდული სიყვარული მადლენისადმი. ბედის ირონიით მამისა და შვილის ცხოვრება უცნაურად დაუკავშირდა და გადაეხლართა მადლენის ცხოვრებას. — რა არის ეს — დრამა თუ ფარსი? — ეკითხება თავის თავს ქორცი და თვითონ უბასუხებს ირონიით, — ფარსია, მაგრამ ეს არის აუტანელი ფარსი, სადაც საფრთხე მოელის მიშელისა და მადლენის წმინდა და უსაზღვრო სიყვარულს. ორსავე ამ ახალგაზრდა ადამიანისათვის ეს სიყვარული გადარჩენის ერთადერთი გზაა. მიშელი რომ მოშორდეს მადლენს, საბოლოოდ გატყდება და, შესაძლოა, სრულიად დაჰკარგოს რწმენა ადამიანებში. მიშელისათვის მადლენი ხსნაა, რადგან მას მოაქვს მისთვის წესრიგი და, რაც მთავარია, შრომის შესაძლებლობა. აქ თავს იჩენს ავტორის სიმპათიური

შტრიხი, ჯერ კიდევ ძლივს შესაშინევი, არა საქმაოდ გარკვეული, მაგრამ მაინც იმის მაჩვენებელი, მათუქვიანს არის მწერალთან კოკტოს სიმპათიები. „მე ვარ შვილი და შვილიშვილი მუშებისა. — ამჟამად ეუბნება მადლენი ქორცს. — მე მტკიცე ხასიათი მაქვს. მე გარდაეგმინი მიშელს, ის იმუშავეს, ის უკვე იცვლის ხასიათს. თქვენ წრეში კი ის ხედავს მხოლოდ და მხოლოდ უწყსრიგობას, უქმად ყოფნას, მოშვებულობას“. აქ არის პიესის მთავარი კონფლიქტი. ეს კონფლიქტი წესრიგსა და უწყსრიგობას შორის ერთბაშად დებულობს მოულოდნელ ჟღერადობას ამ ორი სამყაროს დაპირისპირების ვითარებაში, რა ვუყოთ, რომ ეს თემა პიესაში ყრულ ისმის და მკაფიოდ ირკვევა მხოლოდ მადლენის ამ სიტყვებში. მაგრამ მაინც, საბოლოო ანგარიშით, სწორედ ამ თემას შეაქვს საღი ჰაერი მიშელის ოჯახურ ყოფაში. ტრაგიზმით სავსეა პიესის უკანასკნელი სცენები. ამ ოჯახის დახუთულ ატმოსფეროში შეჭრილ საღ ჰაერს ვერ გაუძლო ივონამ და დაიღუპა. ეს მსხვერპლი — ამბების უღმობელი და სასტიკი ლოგიკის შედეგია. და თუმცა კოკტო პიესის წინასიტყვაობაში წერდა, რომ „თეატრი უნდა იყოს მოქმედება და არა კარგი ან ცუდი მოქმედება, საფრანგეთში უკვე არ გვახალდებულებს ვითამაშოთ მორალისტიკა, მაინც ამბების ლოგიკით, მთელი მხატვრული ქსოვილით ეს კოკტოს ეს პიესა არ არის ნეიტრალური და არ გაურბის მორალს. ეს მორალი ვახლავთ ის, რომ საღი ჰაერი იმარჯვებს სამყაროსაგან მოწყვეტილი ბურჟუაზიული ოჯახის დაშორებულ ატმოსფეროზე. მთელი ორმოცი წლის მანძილზე კოკტოს სახელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბალეტის ისტორიასთან საფრანგეთში. სერგეი დიაგილევის „რუსული ბალეტის“ არსებობის პირველ დღიდანვე, ამ ბალეტს, რომელმაც სენსაცია მოახდინა პარიზში და სა-

ფუძველი დაუდო მთელს მიმართულე-ბას თანამედროვე ფრანგულ საბალეტო ხელოვნებაში, ეს კოკტო მხურვალედ უჭერდა მხარს. ეს კოკტო გახდა ამ საბალეტო დანის დადგმების შთაბეჭო-ნებელი, მისი სული და გული, როგორ-ღაც ერთხელ დიაგილევა ეს კოკტოს მიმართა: „ეს, გამოაცე“, და ეს კოკტოს, მართლაც, დაუშრეტელი ფან-ტაზია აღმოაჩნდა სხვადასხვა არტის-ტული მიგნებებისათვის! არა ერთს მსახიობს დაეხმარა კოკტო დაეძლია ეპეები, მოენახა თავისი გზა ხელო-ვნებაში. ეს იყო პაბლო პიკასოს მე-გობარი, ეს მეგობრობა მწერლის უკა-ნასკენლ დღემდე გაგრძელდა. სწორედ კოკტომ მიიყვანა პიკასო თეატრში და ხელი შეუწყო მას გამოველინებია თა-ვისი დიდი ნიჭი თეატრალურ მხატვ-რობაშიც. 1917 წლის 18 მაისს შატ-ლეს თეატრში შემდგარი პრემიერა ბალეტისა „პარადი“, დიდ სენსაციად იქცა პარიზში. ამ ბალეტის ლიბრეტო და მთელი ჩანაფიქრი ეკუთვნოდა ეს კოკტოს: ფარდა, დეკორაციები და კოს-ტუმები გააქეთა პიკასომ. მუსიკა და-წერა ერიკ სატიმ. კონსერვატორი მაყურებლის გემოვნება შეურაცხყო ამ ბალეტის ერთგვარმა ექსცენტრულმა სიახლემ. მასში ბევრი რამ კუბიზმი-საგან იყო ნასესხები და ამიტომაც უარსაყოფი, მაგრამ მის შემდეგ უკვე შეუძლებელი იყო გატყენილი გზით სიარული საბალეტო ხელოვნებაში. გარდა ამ „პარადისა“, ეს კოკტომ და-წერა მრავალი საბალეტო ლიბრეტო, მათ შორის, ისეთი გახმაურებული სა-ბალეტო სპექტაკლებსა, როგორიც იყო „ცისფერი მატარებელი“ (1924), „ხარი საბურავზე“ (1920), „ეფელის კოშკის დანიშნულნი“ (1921), „ჰაბუკი და სიკვდილი“ (1946), რამდენიმე ბა-ლეტისათვის კოკტომ დახატა დეკორა-ციები, მაგალითად, მისი მხატვრული გაფორმებით 1943 წელს გრანდ ოპე-რის სცენაზე განხორციელდა „ანტი-გონე“. საბალეტო ხელოვნებაში ეს კოკტოს მონაწილეობა, როგორც ლიბ-

რეტისტისა და მხატვარ-დეკორატორი-სა, მისი მრავალმხრივი ნიჭის მაჩვენე-ბელი ფაქტია. ბალეტში შემოჭრევიანი მოვლენა როდი იყო მის შემოქმედე-ბაში. კოკტო ისწრაფოდა ცეკვის ენით და სცენის სხვადასხვა ატრიბუტებით გამოველინებია სამყაროს საკუთარი პოეტური ხილვა. მაგრამ ყველაფერი თანაბარი ღირებულების როდია მის საბალეტო პრაქტიკაში. ბევრი რამ ფუ-ტურიზმის, კუბიზმის და სხვა მოდური მიმდინარეობის წინაშე ხარკის გადას-დას წარმოადგენდა.

ეს კოკტოს სახელთანაა დაკავში-რებული მთელი რიგი მოვლენები ფრანგული მუსიკის განვითარებაში. მისი თაოსნობით დაარსდა ევრეთო-დებული „ექვსთა ჯგუფი“, რომელიც, აერთიანებდა რა ლუი დიურეს, ჟერმე-ნა ტაიფერს, ჟორჟ ორიეს, ფრანსის პულენკს, დარიუს მილოს და არტურ ონეგერს, სულ მალე ყურადღების ცენტრში მოექცა.

ეს კიდევ ჰაბუკობის წლებში დაუკავშირდა ეს კოკტო, როგორც ხელოვანი, კინემატოგრაფს; კინოშიაც კოკტო ეძებდა თავისი პოეტური სამ-ყაროს გამოსახვას ყოვლის შემძლე „მეთე მუზის“ ხერხებითა და საშუა-ლებებით. გარდა ამისა, კინო აძლევდა კოკტოს შესაძლებლობას კონტაქტი დაემყარებინა ბევრად უფრო ფართო აუდიტორიასთან (პოეზიის კრებულები, როგორც ცნობილია, დღევანდელ საფ-რანგეთში მეტად განსაზღვრული ტი-რავით ვრცელდება) მკითხველები ათა-სებს შეადგენენ, მაყურებლები კი მი-ლიონებს, წერდა ეს კოკტოზე დაწე-რილ სტატიაში ცნობილი კინოკრიტი-კოსი. ჟორჟ სადული.

კოკტოს მიერ შექმნილი ფილმებიდან ზოგიერთი მისი ლიტერატურული ნა-წარმოებების ეკრანიზაციას წარმოად-გენს. ასეთია „ორთავიანი არწივი“ და „ლამაზი ქალი და მხეცი“. ფილმში „მა-რადი დაბრუნება“ კოკტომ ხორცი შეას-ხა ტრისტან და იზოლდას სასიყვარუ-ლო თავგადასავლის თავისებურად გათა-

ნამედროვეებულ ვერსიას. ამ ფილმმა, მართლაც, მიიზიდა მასობრივი მყურებელი. იგი მიდიოდა პიტლურული ოკუპაციის ბნელ წლებში, მუდამ გაქვდილ დარბაზში, და სარგებლობდა მანამდე წარმოუდგენელი წარმატებით. სწორედ ამ ფილმში მონაწილეობამ მოუპოვა მსოფლიო სახელი კინომსახიობს ჟან მარეს. მავრამ ფილმებიდან, რომელნიც ყველაზე სისრულით გვიჩვენებენ კოკტოს პოეტურ სამყაროს, მაინც გამოირჩევა „სისხლი პოეტისა“ (1930), „ორთეოსი“ (1950) და „ანდერძი“ (1960). ამ კინოტრილოგიაში ჟან კოკტო კვლავ მიმართავს თავის საყვარელ ალეგორიებს, ქრონოლოგიურად და სულიერად ეს სამი ფილმი ასახავს ავტორის შემოქმედებითი გზის სხვადასხვა ეტაპებს, იმავე დროს სამივე ეს ფილმი გაერთიანებულია ერთი შთანაფიქრით, ერთი მიზანდასახულობით. სამივე ჟან კოკტოს პოეტური აღსარება და ანდერძია. ამ ფილმებში ისევე, როგორც თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ჟან კოკტო დარჩა ერთგული თავისი მრწამსისა; არ გაიმეოროს სხვები და არ გაიპეოროს თავისი თავი.

საფრანგეთში ჟან კოკტო ცნობილია როგორც მხატვარიც. 1955 წელს პარიზის სურათების გალერეაში — მონღეზ არ-ში გაიმართა კოკტოს პასტელების გამოფენა. მის გახსნაზე კოკტომ მიიწვია თავისი ძველი მეგობარი პიკასო. თავის ზოგიერთ წიგნს, მწერალ ეგზიუპერივით, კოკტო თვითონ ასურათებდა და მხატვრულად აფორმებდა („თომა-მატყუარა“, „პროფესიული საიდუმლოება“, „ლეონი“ და სხვ.). კოკტომ სცადა თავისი უნარი გრაფიკაში, დაზღურ ფერწერაში, ქანდაკებაში, და ყველგან დაამჩნია ორიგინალური შემოქმედების კვალი.

ჟან კოკტოს ღვაწლი ფრანგული და ევროპული კულტურის წინაშე აღნიშნულ იქნა მისთვის მთელი რიგი საპატიო ნიშნების მინიჭებით. როგორც ვთქვით, ის ატარებდა „პოეტების მეფის“ ტიტულს. 1955 წლის ნოემბერში

ჟან კოკტო შეყვანილ იქნა „როზოც უკვდავთა“ რიგში. მისთვის ამ წოდების მინიჭებისას სიტყვა წარმოუტყვევანდრე მორთამ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ჟან კოკტოს დიდ დამსახურებას ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე. 1958 წელს კოკტო აირჩიეს ბელგიის სამეფო აკადემიის წევრად. 1961 წელს კოკტო დააჯილდოვეს საპატიო ლეგიონის ორდენით. ჟან კოკტო გახდა ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორი („ჰონორის კაუზა“). ჟან კოკტოს მხატვრული ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ და ევროპის სხვა ენებზე. ხოლო რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა მისი რომანი „თომა-მატყუარა“ (ა. ლუნაჩარსკის წინასიტყვაობით) და პიესა „აუტანელი მშობლები“.

ჟან კოკტო მოგზაურიც იყო. მას მუდამ აინტერესებდა ენახა, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები ახლობელ და შორეულ ქვეყნებში. 1936 წელს, გაზეთ „პარი-სუარის“ რედაქტორის ჟან პრუვოს წინადადებით, ჟან კოკტომ 80 დღე იმოგზაურა დედამიწის გარშემო და თავისი სამგზავრო ჩანაწერებით შეადგინა წიგნი, რომელმაც „ჩემი პირველი მოგზაურობა“ უწოდა. შემდგომშიც კოკტო ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას ენახა ახალი ქალაქები, გაეზა ახალი ნაცნობობა, გამოსულიყო ახალი აუდიტორიის წინაშე.

თავისი სულით და სულისკვეთებით ჟან კოკტო იყო, უწინარეს ყოვლისა, პარიზელი. „მე დავიბადე პარიზელად, ელაპარაკობ, როგორც პარიზელი, გამოთქმა მაქვს პარიზული, — ამბობდა კოკტო, ეს არ უშლიდა ხელს სინაზით ეწერა მშობლიური ადგილებით აღძრულ სევდაზე და იმ კაცლის ხეზე, რომელსაც ჭოკით ბერტყავდა ხოლმე ნაყოფის ჩამოსაყრელად.

კოკტო არ იქნებოდა ქეშმარიტი პარიზელი, რომ მას ცხოვრების გზებზე განუყრელ თანამგზავრებად არა ჰყოლოდა ღიმილი და ხუმრობა. ზოგჯერ

მისი ოხუნჯობა ისმოდა მწარე ირონიად, ისე როგორც, ერთ შეგობართან თქმული თუნდაც შემდეგ სიტყვებში: „განა ვერ ამჩნევთ, რომ დღეს-დღეობით დიდება და სახელი—ეს არის ბრიჯიტ ბარდო ან არაფერი“. განმარტების არ საჭიროებს, რომ თვითონ ეს კოკტო ყოველთვის ამჯობინებდა ყოფილიყო „არაფერი“, ვინემ გამაძლარ და გულმოსუყებულ ადამიანთა გემოვნების მაამებელი. კოკტო უწყინარი მისტიფიკაციების მოყვარულიც იყო. აკი თვითონ დაწერა ერთხელ: „მე ვარ სიცრუე, რომელიც ყოველთვის სიპართლეს ლაპარაკობს“. კლოდ მორიაკმა შესცვალა რა ეს ფრაზა, 1945 წელს დაწერა ესეი „ეს კოკტო ანუ სიპართლეს სიცრუისა“. იმავე კლოდ მორიაკს დღიურში ჩაწერილი აქვს ეს კოკტოსაგან მონაყოლი ამბავი იმაზე, თუ როგორ ირჩევდნენ მას (ეს კოკტოს) საფრანგეთის აკადემიის წევრად (უნდა ითქვას, რომ ეს აკადემია ხშირად არის ტრადიციული ობიექტი მახვილისიტყვაობისა). როგორც მორიაკს აქვს გადმოცემული, კოკტოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ხმების უმრავლესობას მიიღებდა, მაგრამ ყოველ ხმას მაინც მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის. არჩევნების წინ კოკტოს შეგობარმა პასტერ ვალერი-რადომ სახლში შეუარა მეორე აკადემიკოსს — პოეტს ფერნან გრეგს. გრეგი ავად იყო, და ვალერი-რადომ მისთვის ნემსი უნდა გაეკეთებია. როცა ნემსი მოამზადა და ავადყოფთან მიიტანა, ყოველ შემთხვევისათვის ვალერი-რადომ ჰკითხა: „იმედი მაქვს, რომ თქვენ ხმას მისცემთ კოკტოს,“ — „არავითარ შემთხვევაში,—მიუვო გრეგმა,—მე ხმას მივცემ კარკოპინოს. მაშინ ვალერი-რადომ შპრიცი დამალა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს აღარ უკეთებს ნემსს, დათანხმდა მხოლოდ იმ პირობით, თუ გრეგი აუცილებლად ხმას კოკტოს მისცემდა. მოჰყავს რა კოკტოს ეს ნაამბობი, კლოდ მორიაკი დასძენს: „რა თქმა უნდა, მე გოაცებული დავრჩებოდი,რომ ეს ნაამბობი ნამ-

დვილი ფაქტი აღმომჩადარიყო, მაგრამ ეს არის სიმართლისა და გამოწავლის ნარევი, რაც ასე სჩვევია კოკტოს, ფანტაზია ისეთი რამეა, რომ შიშველი კემშარიტების წინაშე უპირატესობას აძლევ გამოწავლის მშვენიერ სამოსელს“.

იუმორი და ხუმრობა იყო კოკტოს ხასიათის განუყოფელი თვისება, მეორე მიმზიდველი მხარე კოკტოსი იყო მისი დაუბერებელი ახალგაზრდობა, რომლის მეოხებით იგი ბოლომდე დარჩა „სამოცდაათი წლის ჭაბუკად“. 1955 წლის 5 მარტს კლოდ მორიაკს თავის დღიურში ჩაწერილი აქვს: „მისი ახალგაზრდობა მთავრდება. იგი ამომჩვენა ხნიერ ადამიანად, როცა ამ 25 წლის წინათ პირველად გავეცანი. მაგრამ გადიოდა წლები და მე უკეთ ვისწავლე ადამიანის სახეზე ჟამთა სვლის გამანადგურებელი მოქმედების ამოკითხვა. ან შესაძლოა მე ვცდები, სწორედ ახლა ყველაფერი ხდებოდა ისე, რომ კოკტო სულ ახალგაზრდავდებოდა, მაშინ როცა მე ვებრძებოდი“.

ასეთია ეს კოკტოს პიროვნების ზოგიერთი თვისება. და მისი სიმპათიები რომლებიც აისახა მის მრავალფეროვან შემოქმედებაშიც.

• • •

თავის ლექსების უკანასკნელ კრებულში „რექვიემ“ კოკტომ გადაავლო თვალი განვლილ გზას და მოუწოდა შთამომავლობას იყოს სამართლიანი მისი მხატვრული მემკვიდრეობის შეფასებაში:

შესდევნი მგზავრო, ჩემი მოგზაურობა
— ეს იყო გზა საშიშროებოდან საშინ-
რობებ-საკენ,
სამართლიანი იქნება დამინახოთ ისეთი.
როგორიც ვარ
იმის შემდეგ, როცა პირდაპირ მიუყრებ-
დნენ და ამხინებდნენ ჩემს სახეს.

ღრო ჩვეულებრივ გამოყოფს ოქროს სილისაგან. ჟამთა სვლა, ალბათ, შემოინახავს მთავარს—მაჯისცემას ეს კოკტოს პოეზიისას და სტრიქონებს, ნასახრდოებს პოეტის სისხლით.

განა შენგარია

უშანგი...

(გარდაცვალებიდან 10 წლის თავის გამო)

განა მეტეორივით, ცის სხეულივით არ გაიფლავა უშანგი ჩხეიძემ ყოველი ჩვენგანის ჭეღვობაში? აკიაფდა, თვალი მოგვეჭრა და, არავინ რომ არ ელოდა, მაშინ დაიწვა თავისი მაღალი ტალანტით, სიყვარულისა და სიძულვილის, სატანჯველისა და სასაცილოს უაღრეს გრძობით, რა თქმა უნდა, ის არ იყო ერთადერთი ქართულ სცენაზე. ღირსეული პარტნიორი, მხარის ამბმელი, მართალია, მას მუდამ ჰყავდა, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად კაშკაშებდა. კაშკაშებდა, რადგან სახიობა მისთვის წვა იყო, სიცოცხლე იყო. მისგან შექმნილა სახეები ჩვენს ოცნებაში ახლაც ცოცხლობენ, რადგან ის არ ეკუთვნოდა მსახიობთა იმ რიცხვს, მთელ თავის ღაზათს ფარდის დაშვებასთან ერთად სცენაზე რომ სტოვებენ. არა, ის ჩვენი მუღმივი თანამგზავრია.

განა პამლეტი, ურაველი ან კიდევ ჩენჩი, კვეყენაძე, ყვარყვარე ან დარისპანი უშანგისთვის როლი იყო და სხვა არაფერი? მათი მოჩვენებული სიცოცხლე მისთვის ნამდვლი სიცოცხლე იყო. მისთვის რამაა მზე იყო და ყველაფერი, რაც მის ირგვლივ ნახატი იყო, დეკორაცია კი არა, ცხოვრება იყო. ყოველივე ეს მისთვის რაღაც სხვანაირ სინამდვილედ ქვეულიყო და ისიც მართლა იწვოდა. მისი ვაჟკაცური ხავერდიც ზმისა, ასე გულში ჩამწვდო-

მად იმატომ ეღერდა. ასეთი გულითადობა და სიღბო ზმისა, ალბათ, ბუნებისაგან მინიჭებული მაღლი იყო ჩხეიძეების. განა ნინო ჩხეიძეც, ღვთაებრივ თამაშს გარდა ღვთაებრივი ხმით არ ატყვევებდა მაყურებელს წელთა მანძილზე?

მართალია, ქართულ მეღბოშენეს ქურუმი და გუნდრუკის კმევა არასოდეს არ დაღვეია, მაგრამ არავინ არ თამაშობდა ხელებით ისე მეტყველად, როგორც უშანგი ჩხეიძე. თავის სიხარულს, აღტაცებას და მწუხარებას ხელებს მოძრაობით ისე ხატოვანად გამოსთქვამდა, როგორც სიტყვებით ანდა ჩაბით. ყველაზე მეტად აკი ამითი მოიხიბლა შეიერხოლდი.

უიღბლო სიყვარულით გულგანგმირული ვაჟკაცები თეატრში ზომ ყოველდამე იზოცებიან და განა უშანგიც თავისი მოჩვენებული სიყვარულით ასეთივე უიღბლო ვაჟკაცი არ იყო? ვინ მოთელის, რამდენჯერ მომკვდარა ისიც სცენაზე, რამდენჯერ აღმდგარა ისე, რომ წალი ძლივს წამოუღლია. აკი ამბტომაც ეშინოდა მას სცენის, ეშინოდა, რადგან რამაა, როგორც მიჯნა მესხა და შენს შორის, როგორც ზღვარი აქტიორსა და მაყურებელს შორის დაღებული, მისთვის არ არსებობდა. როცა ის თუნდაც ბოწიერებით აღსავსე საზიზღარ ჩენჩის გრემს გაიკეთებდა, მის

ტანისამოსს ჩაიკვამდა და მისი სათქმელი სიტყვები აღიძვროდა, ის ერთბაშად როლში კი არა, საბედისწერო შეცდომაში შედიოდა, — თავი მართლა ჩენჩი ეგონა. და აი, ახლაც... ახლაც, ალბათ, იმატომ მესმის მასი ბილწი, ავხორცული ჩენჩისებურად ვნებით მოგუდული სიცილი კი არა, ხრიალი, მომაკვდავის საზარელ ხროტინს რომ ჰგავდა. და მაგონდება, როცა მისი თამაშით გაოგნებული რეჟისორის ოთახში ანტრაქტის დროს სულის მოსაბრუნებლად შეველი, ჩემსავითვე აღელვებულ დიდი კოტე ალტაცებით შემომეგება:

— იცი? მე ბევრი მსახიობი მინახავს, მაგრამ ასეთი? ასეთი მხოლოდ სომხების დიდი ტრაგიკოსი პეტროს ადამიანი იყო.

სამწუხაროდ, მე არ ვიცოდი, როგორი იყო პეტროს ადამიანი. აქტიორის უბედურება ხომ ის არის, — თუ თვითონ არ ნახე, უშუალოდ არ განიცადე, ისე მკვდარია. უშანგი ჩხეიძის ჩენჩის კი თვალით ვხედავდი და გარდაქმნილი ის მეტი იყო, ვიდრე ის ცხოვრებაში იყო. მეტი იყო თავისი მეორე სიცოცხლით. და ეს სიცოცხლე იმდენად ნამდვილი იყო და ისე ძალუმი, რომ მასი თრთოლა და ცახცახი ჩემ სულში ფარდის დაშვების შემდეგაც გრძელდებოდა.

წარმოსადეგი, ტანხმელი და, ასე გასინჯეთ, კარგი დამრტყმელიც, ის პროვინციიდან ბედის საძებნელად ჩამოსულ რომანტიკული სტუდენტისა და მოგვიანო აღორძინების ელვგანტურ, მაგრამ მაინც ტლანქ ფლორენტიუნელის თითქოს რაღაც უცნაურ ნარევეს წარმოადგენდა; იმ ფლორენტიუნელისა და ქართველი ვაჟკაცის ნარევეს, რომლისთვისაც უცხო არ არის არც სერგია ერისთავის პილიპოპოყრილი ხუშრობა, არც ფიროსმანის თეთრი დუქანი და არც ცოდვა-მადლი, ქუჩაში ერთად რომ დადიან.

ის ერთნაირი მოწიწებით იხრიადა ქედს ივლითისა და კაროენას წინაშე.

ის ისევე იხიბლებოდა დაეთ კლდო-აშვილის ქვეტექსტიანი რედაქციებით, როგორც მაჩაბლის მსუყვე ქანთქლით. მას ისევე უკვნესებდა გულს მარაბდაში გადატეხილი სააკაძის ხმალი, როგორც ღამეში ნამთვრალევე გამოსულ ავლაბრელ პულჩინელის სიმღერა და ბენევეტო ჩელინის დაშნის შარიანი ტრიალი.

მერე რა, თუ ეს დაშნა ხან ნამდვილი იყო და ხან კი ბუტაფორული. განა მისთვის ორივე ერთნაირად დამლუპველი არ იყო. ფანტაზია და ოცნება ხომ მისთვის იგივე სინამდვილე იყო. განა ლიტერატურულ-თეატრალური გმირების მოჩვენებითზე უფრო მოჩვენებათმა და მაინც ნამდვილმა სიცოცხლემ არ გაათავა მისი სიცოცხლე? ხან ოფელია, ხან ბეატრიჩე და ხან ივლითი... ისინი ხომ საოცნებო ქალები იყვნენ, ნამეტანი ქალები იყვნენ და ყოველი მათგანი მის სიცოცხლეს კიდევ ამიტომ მთლიანად მოითხოვდა. აკი ამიტომ ეშინოდა უშანგის, მათ ერთგულ რაინდს მათი მიჯნურთა სიცოცხლით სიცოცხლისა, მათი სიყვარულისა. და ვინ იცის, ვინ მოთვლის, რამდენჯერ შემოუფხრეწია ტანზე სამოსი, მოუგლეჯია სახეზე გრიმი... და იმ დროს, როცა მასი დუბლიორი მის მავიერ თამაშობდა და ივლითის ან ოფელიას სიყვარულს ეფიცებოდა, ის კულისებში ჩაკეტილი იტანჯებოდა.

ორბისებურად კეხიან ცხვირს ზემოთ გადმოშუქებული მწველი თვალები მისსავე სახეს უცნაურ ცეცხლით ისე მაცდურად თითქოს იმიტომ ანათებდა, რომ ის მის გულში მართლა ენთო. ბევრმა იცოდა, რომ ეს ცეცხლი ნამდვილი იყო. ბევრი კი შურით სისინებდა, რაღაც წამალს სეამს და თვალები ასე იმიტომ უციმციმებსო.

მუდამ ზრდილსა და თავდაპერალს, თავაზიანსა და მოკრძალებულს ბუნებრივად თანდაყოლილი კეთილშობილება ქცევისა, ღრმა რწმენა და ვაჟკაცური ალაღმართლობა არასოდეს არ ღალატობდა. და ამ თვისებებს გარეშე

ხომ ჰეშმარიტი შემოქმედი არ არსებობს.

უშანგი ჩხეიძემ ჯერ კიდევ პირველივე როლებით მიიქცია ყურადღება, როცა ხელოვნურ-აბსტრაგირებულ ინკუბუსისა და ინკუბუსზე არანაკლებ ხელოვნური პოეტის როლი ისეთის გრძნობით შეასრულა, — როლი იმ პოეტისა, რომელმაც თავისი მკვდარი თუთიყუში ისეთის გრძნობით დაიტირა. და რალა თქმა უნდა, რომ კოტე მარჯანიშვილის გამჭრიახ თვალს ყოველივე ეს არ გამოეპარებოდა.

მაშინ ჩვენ ყველანი ახალგაზრდები ვიყავით. ჩვენს ჭეიღობას ჩვენვე ვერ ვგრძნობდით, მაგრამ გაბედულება დიდი გვექონდა. უშანგი ჩხეიძეც, რალა თქმა უნდა ასეთი იყო, მაგრამ მარჯანიშვილს რა მოუვიდა? ოღონდაც, ოღონდაც მართლა მარჯანიშვილისებური რწმენა, ახალგაზრდობის იმედი და, ვიტყვი პირდაპირ, გასაკვირველა კანდიერება იყო საჭირო, ისეთი პირზე დედის რმეშეუშრალი ყმაწვილკაცისათვის მიგენდო ჰამლეტის ურთულესა როლი.

მე არ მახსოვდა. დროის მანძილზე დამეწყებოდა ის მღელვარება და შფოთვა სულისა, მაშინ, ოდესღაც ასე მძაფრად რომ განმეცადა.

და აი, ახლა როცა მის კუბოსთან დამწუხრებულა ვიდექი, იქვე კედელზე მიკიდებულ ფოტოსურათს უცაბედად თვალი მოვკარი. უშანგი ჩხეიძე ჰამლეტის როლში იყო გადაღებული. მის დანახვაზე ახალგაზრდობის იმ დღეებმა თვალწინ ერთბაშად ჩაარბინა. მომაგონდა, როგორ ვიჯექი მაშინ თვითონ ყმაწვილი პარტერში და ვხედავდი, როგორ. იწვოდა სცენაზე უშანგის ჰამლეტი. ყოველივე ამან მე ისე ამაღლევა, რომ მეორე ოთახში გამოსული სკამზე დაეჯექი. შოპენის სამკლოვიარო მარში ჩემ ფიქრებს შავ ფრინველივით აედევნა და, ვიოლინო კი არა, უშანგის სული იყო, რომ კვენსოდა, — სიკეთისათვის, სიცოცხლისათვის სიკვდილს ისევე ერკინებოდა.

და ჩემ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ მე მაშინ, ჰამლეტის წარმოდგენაზე, უშანგისაგან გასაკვირველი ტივილით წარმოთქმულ დიალოგს ვისმენდი აქტიორთან და ვამბობდი: მერე რა იყო ჰეკუბა მისთვის, ან თვითონ ის ჰეკუბასათვის, რომ ასე ცხარე ცრემლებს ღვრიდა? დროთა კავშირი მართლაც რომ დარღვეულიყო და წყვეულ ბედს მისთვის ერგუნებინა იმისი შეგვრა.

თავჩაქინდრული ვიჯექი და ვხედავდი, როგორ ღნებოდა, როგორ თრთოდა ის ოფელისა ეშხით დამთვრალი, რა მრისხანე და ირონიით აღსავსე იყო ის პოლონიუსთან გაფაციცებულ საუბრის დროს.

აი, მეგობრის კუბოსთან ვარ და არ ვიცი, ვერ გამიგია, იქნებ ახლა ვააზრებ იმ მწველ გრძნობებს მოწიფულ ფიქრით? იქნებ ახლა ვავსებ შინაარსით იმ გრძნობებს, მაშინ რომ განვიცადე? არ ვიცი, მაგრამ ეს რა არის? რაა, რათ რეკს ყურში ასე დამაფიქვრლად:

— ყოფნა... არყოფნა...

ეს შემზარავი სიტყვები ახლაც საოცრად, საბედისწეროდ მეჩვენება. თეატრსა და ცხოვრებას შორის, ილუზიასა და ნამდვილს შორის უშანგი მართლაც ისე დადიოდა, როგორც ყოფნასა და არყოფნას შორის.

— ყოფნა? არყოფნა? — რა საშინელი შეკითხვაა, აქამდე რომ რეკს, რეკს და არაფრით არ გაეწყდება.

შემოქმედების ცეცხლში დამდნარგარდაქმნილი ადამიანის არსებობა, მით უფრო მაშინ, როცა ის შენი მეგობარია და მისგან ასე სამწუხაროდ ნათქვამი სიტყვები ვინ იცის, რაა? ვინ იცის, იქნებ მართლაც კაცის ორ უფსკრულს შორის ქანობაა? ვინ იცის, მართლა ყოფნაა თუ არყოფნა?

და მაშინ, როცა მის კუბოსთან ეს წუთები მაგონდებოდა, ეს საკვირველი სიტყვები ისევე ისე ცოცხლად მესმოდა. ცოცხლად ვხედავდი, ჩემი ძვირფა-

სი მეგობარი ჩემ თვალწინ მაშინ ისე გარდაქმნილიყო, რომ გულზე სისხლი მველებოდა და ვფიქრობდი: არა, არა, ჩემ ხალხს, ალბათ, რაღაც ისტორიული ტკივილი აქვს, თორემ ეს რაა, რაა-მეთქი? მაშ სად იგრძნო ზესტაფონიდან ჩამოსულმა ამ ტლუ ბიჭმა ასე მწვავედ ეს ყრუ ტკივილი-მეთქი? სად განიცადა ასე ნამდვილად დანიის პრინცის მარადიული ტკივილი-მეთქი?

და ახლაც ვფიქრობ, რომ მაშინ სცენაზე... არა, სცენაზე კი არა, ინტელექტსა და ანტიინტელექტს შორის, კეთილისა და ბოროტს შორის, ყოფნასა და არყოფნას შორის ეჭვით შემდგარი ყმაწვილი კაცი კვნესოდა, შველას ითხოვდა... ის ხომ თვითონ სიკეთე იყო და ეს სიკეთე გამოუვალ ჩახში ერთბაშად მოქცეულიყო. ამ სიკეთის სახე ხომ კეთილშობილი ჰამლეტი იყო. ის პრინცი იყო, ვაჟკაცი იყო და როდი

იყო უნებისყოფო. მაგრამ რა ექნა? მოქმედებაში, ნებელობაში აქციით გამოხატული სიკეთე ხომ ეგვიპტე ბოროტებაა და მისი ყოყმანის, სისუსტისა და ლამის სიგიჟის საიდუმლოება და ტრაგედია ამაში იყო. მოქმედებაში მოცემული ჰამლეტი ხომ ინკვიზიციის გენერალად, ეგნატე ლოიოლად გადაქცეოდა. და მისი სურათით გაცეცხული ჩემთვის ვფიქრობდი: შემთხვევითი, ალბათ, არც ის არის, რომ უშანგი ამ როლში ბავშვია, თითქმის ბავშვია და მაინც მაკვირდა. ვინ გაგიყდა, რომ ეს უძნელესი როლი ასეთ ბავშვს ასე კადნიერად დააკისრა-მეთქი?

შობენის მარში კი ისევე ქვითინებდა, ქვითინებდა და არ მაკვირდა, რომ უშანგი ახლა კუბოში იწვა. ყოფნა-არყოფნის საკითხი მას ტრაგიკულად გადაეჭრა და ნამდვილი ცრემლი, გულწრფელი ცრემლი მე მაშინ წაშსკდა.

მედიკალიზაცია

მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის გამოთხე კონგრესზე

ამ ათი წლის წინათ დასავლეთ ევროპაში შეიქმნა მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაცია (ფრანგულად «ფედერაციონ ენტერნაციონალ დე ტრადუქტორ», ანუ შემოკლებულად «ფიტ»), რომლის პირველი კონგრესი ჩატარდა პარიზში 1954 წელს, მეორე რომში 1956 წ. ზოლო შესამე ბალ-გოდესბერგში (დას. გერმანია), 1959 წ. ფედერაციის შეთანხმებით (საიუბილეო) კონგრესი მიმდინარეობდა იუგოსლავიის ჭველ კულტურულ ცენტრში აღრიატკიას ზღვის სანაპიროზე. ქ. დუბროვნიკში ამა წლის 31 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე.

თეთი მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის შექმნის ფაქტი მოწმობს თარგმანის კულტურული როლის უჩვეულო ზრდას მთელ მსოფლიოში. საბჭოთა ქვეყანაში დიდი ხანია თარგმანის ეს როლი საყოველთაოდ აღიარებულია და მხატვრული ნაწარმოების მთარგმნელი საბჭოთა მწერლების კავშირის სრულფუნქციონირების წევრია. დასავლეთში კი, — როგორც ცხადყოფიერია უკანასკნელში კონგრესში, — მთარგმნელი უპირველეს ყოვლისა, თავისი უფლებრივი მდგომარეობის გასაყვევას და აღიარებას საჭიროებს. ფიტი აერთიანებს 25 ქვეყნის მთარგმნელთა ორგანიზაციებს. მის მეთაურს კონგრესს ესწრებოდნენ 21 ქვეყნის, მათ შორის, სოციალისტური ქვეყნების (ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, პოლონეთი, იუგოსლავია) წარმომადგენლები. დასავლეთის ქვეყნებიდან კონგრესზე წარმოდგენილი იყო ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, კანადა, აშშ, დას. გერმანია, ინგლისი, პოლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ესპანეთი, შვეიცია და შვეიცარია. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მხოლოდ იაპონია, — ისიც ერთადერთი დელეგატი. მის გარდა, კიდევ ერთი ფერადკანიანი დელეგატი იყო — ფიტის საბჭოს წევრი, ესპანეთის წარმომადგენელი მარცელი დე ლა კამარა დე ლოპე დე ხუანი, რომელიც ჩინელი აღმოჩნდა წარმომობით. ინდოეთის დელეგატმა გამოგზავნა მისასალმებელი დამბეჭდი, რომელშიც, სხვათა შორის, აღნიშნული იყო ჩინეთური ხელმოკლეობა. რამაც ხელი შეუშალა ინდოეთის დელეგაციის ჩამოსვლას კონგრესზე. კონგრესს დაესწრო საბ-

ჭოთა მეტაფიზურეთა ჭვეუთი ხუთი კაცის შემადგენლობით (პ. ანტოკოლსკი, ა. ვატოვი, ე. კალამნიკოვა, ა. კუნძინი და ამ სტრიქონების ავტორი), აგრეთვე იუგოსლავიაში მოგზაურთა საბჭოთა ტურისტების ჭვეუთი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ გამოჩენილი საბჭოთა მთარგმნელები და ლიტერატურისმცოდნეები.

კონგრესი საიუბილეო ღონისძიებებსაც ისახავდა მიზნად: სრულდებოდა ფედერაციის დაარსების ათი წლისთავი, რაც აღნიშნულ იქნა საგანგებო ცერემონიალით.

კონგრესი გაიხსნა დუბროვნიკის ცნობილ სასახლეში («რადნიცკი დომ») იუგოსლავიის მთარგმნელთა კავშირის თავმჯდომარის ზლატკო ვორობანის მისასალმებელი სიტყვით. შემდეგ გამოვიდა ფედერაციის პრეზიდენტი დოქტორი იულოუს ვიუნსე, რომელმაც სიტყვა ფრანგულად წარმოთქვა და გოეთეს ციტატით დაამთავრა გერმანულ ენაზე. შემდეგში ვიუნსე ასევე თავისუფლად ლაპარაკობდა ინგლისურ ენაზე, რომელიც ფრანგულთან ერთად, კონგრესის ოფიციალური ენა იყო. გამოვიდნენ იუგოსლავიის კულტურის საბჭოს თავმჯდომარე კრისტე ცრევიკოვსკი, დუბროვნიკის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ანტე ბოიჩიჩი და იუნესკოს ლიტერატურული სექციის მეთაური, ფრანგი როზე კაიუა. წაკითხულ იქნა ფიტის ვიე-პრეზიდენტის კაიუს მისალმება (კაიე ავად იყო და არ შეეძლო კონგრესს დასწრებოდა). ზალამოს 6 საათზე სასტუმრო «ქსიციუსიორის» მახლობლად მდებარე შენობაში გაიხსნა წიგნების გამოფენა, რომელიც დიდი უკრძალვებით დავაივალდებოდა. აქ იყო წარმოდგენილი იუგოსლავური წიგნები უჭველესი ხელნაწერებით დაწვეული და თანამედროვე გამოცემებით გათავსებული. თეთი კონგრესის დარბაზის წინაე იყო მოწყობილი წიგნების გამოფენა: მკვლევარი ვაიწყო ახალი წიგნებით ლარუსის ცნობილ ენციკლოპედიის გამოცემლობას. აქვე იყო ლანგეშაიტის გამოცემლობის წიგნებიც და სხვადასხვა ტექნიკური ლექსიკონები, პოლანდიური გამოცემლობა ელსევიერის მიერ გამოგზავნილი, სხვათა შორის, ლანგეშაიტის ფიტის კეარ-

ტალური ორგანოს „ბაბილონის“ გამომცემელი-ცაა.

ქალაქი დუბროვნიკი მოხერხებულად იყო არჩეული კონგრესისათვის. შესანიშნავად დაცული და ენათა სიხვეს გადარჩენილი ეს შუასაუკუნოებრივი ქალაქი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კულტურული ცენტრია თავისი ტრადიციების მიხედვით. ძველისძველი, მაგრამ ყურაც მშვენივრად შენახული მაღალი ზღვრული კოშკები საიმედო ბერძენებს წარმოადგენდნენ ამ ოდესღაც დიდებით მოსილი თავისუფალი ქალაქისათვის. ქალაქის მაღალ კედლებს ხეშლეთის მხრიდან ღრმა და განიერი თხრილი აბრტყია, ოდესღაც წყლით სავსე, და მასზე ჯერ კიდევ არაა გადებული ქაჯვით ასაწყვი ხიდი. კედლების ერთი ნაწილი ადრიატიკის საოკრად გამჟღავნებელი ლაქვარდისდერ ზღვაში ეშვება. ნაპოლეონის მიერ ამ ქალაქის აღებად აქ იყო ძველი, თავისუფალი რაგუნას რესპუბლიკა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სამიშ მუქტებს წარმოადგენდა სახელგანთქმული ვენეციისათვის, ხოლო თურქი დამპყრობლებისათვის—აუღებელ სიმაგრეს. რაგუნას (ხოლო შემდეგ დუბროვნიკს, როგორც სლავებმა უწოდეს ამ რომაულ-იტალიური ტრადიციების მქონე ქალაქი) ადრიატიკის ზღვის გაღაღმა მეზობლად იტალია ჰყავდა, მაგრამ მისი მოზრდელი საეპირო ფლოტი მთელ მაშინდელ მსოფლიოსთან აწარმოებდა ვაჭრობას. მისი არჩეული შეთაურები, ე. წ. პირველი მოქალაქენი, ისეთ დიპლომატიურ ხერხებს იყენებდნენ უცხოელებთან ურთიერთობაში, რომ, მართლაც, უცნებელი გამოჰყავდათ ეს მდიდარი ქალაქი შუასაუკუნეთა ჭარბტყილში. ამავე გონიერ მოთავეებს თავისი დიპლომატიის გასამარებლად აუწყებიათ ქალაქის მაღალი ზღვრულიც. ასე იყო თუ ისე, დღეს დუბროვნიკი უნიკალური მონუმენტული ევროპის გუთური, რენესანსული და ბაროკული ხელოვნობებისა. თავის იტალებს მისი იატორიული შენობები და კულტურის ძეგლები: რეტორის სასახლე (არჩეული მმართველის, პირველი მოქალაქის რეზიდენცია ამ დროს, როცა ევროპის უმეტეს ნაწილში აბაროკულური მონარქები მმართველობდნენ); ფრანცისკანულთა მონასტერი, სადაც მოთავსებულია ევროპის ერთ-ერთი უძველესი აფთიაქი; ონოფრიუს შადრევანი, აფებული მეთხუთმეტე საუკუნეში ერთი ნეაპოლელი ხელოვნობების მიერ; ბაროკოს სტილის ეკლესია; გუთური კათედრალი ტიციანის სკოლის სურათებს კოლექციით; სპონცას სასახლე და საათის კოშკი. მთავარი ტურინა ბოლოში მდებარე მოედანი ვენეციის წინააღმდეგობის მოედანი მოვარებს კაცს და საერთოდ აქაურობის მთელი ატმოსფერო—შუა და სამხრეთ იტალიას. ისტორიულადაც ხომ ადრიატიკის ზღვის ეს სანაპირო, დღემდე, ჯერ ძველი საბერძნეთის და შემდეგ რომის კოლონიას წარმოადგენდა. ახალი წელთაღრიცხვის

მეშვიდე საუკუნეში ამ მხარეში მოსულან სლავები და ადრიატიკისათვის დაუარქვევიათ. ახლებად იადრან, მაგრამ ახლანდელი დაღმავალი დედაქალაქის სპირტში დღემდე დგას აღმოსავლეთ რომის იმპერატორის დიოკლეტიანის უზარმაზარი სასახლე. იმპერატორის ნეშტი დიდი ხანი ამოუგდით მეზოლეუმიდან მის მიერ სასტიკად დევნილ და ნაწამებ ქრისტიანებს. აქაური ტანადი ქალებისა და შებლგასნილი, ასოვანი კაცების სიხვეში სმირად გაიყვებეს ხოლმე ძველი ბერძნული და რომაული პროფული... ცხადია, დუბროვნიკი და ადრიატიკის ზღვის ეს შეჭრალ-შემოჭრალი სანაპირო, მის გასწვრივ ზღვაში გაბნეული ასობით კუნძული, ძველი და ახალი კულტურის შეხვედრის ადგილია. დუბროვნიკის მშენებლის ასრულებს იქვე მდებარე მწვანით დაფარული კუნძული ლოკრემი, სადაც, ოდესღაც ჯვაროსნული ლაშქრობიდან დაბრუნებულ ინგლისის მეფეს რაზარდ ლომველს პატარა საუდარი აფეცია, რათა მადლობა ექნება უფლისათვის, რომ მღვდლად ზღვაში დაღუპვის გადაურჩა. მაგრამ დუბროვნიკის დიდება ის არის, რომ იგი ლიტერატურის ძველი ცენტრია. სამხრეთსლავური ლიტერატურის ისტორიაში არის თავი, რომელსაც დუბროვნიკის ლიტერატურა ეწოდება. სახელგანთქმული მეცნიერება, ზელოვანი და სიტყვის ისტორები გამომუშავა ამ ქალაქიდან. დუბროვნიკელი კომედიოგრაფს მარინ ღრჯინს მოლოცისა და გოლდონის ადარებენ. ყოველივე ამათ განსაზღვრა უთუოდ ამ ქალაქის არჩევა მთარგმნელი საერთაშორისო დედერაციის IV კონგრესის ადგილია. დაღმავლის სანაპიროც ზღაბრულად ლამაზია სექტემბერში.

კონგრესის პირველსავე საღამოს გაიმართა დიდი მიღება რეტორის სასახლეში. ეს მიღება უთუოდ ჰგავდა ბაბილონის გოლდონის სურათს: რა ენას არ გაიგონებდა აქ ადამიანი! ჩვენ ჯგუფიდან ჯგუფში გადავდიოდით და ვეცნობოდით ყველა ქვეყნის მთარგმნელებს და თარგმანის საქმით დაინტერესებულ ადამიანებს, ვაცნობდით ერთმანეთს თარგმანის საქმის მდგომარეობას საკუთარ ქვეყნებში, ვსაუბრობდით მომავალ კონტაქტებზე. ილი აზრთა და მისამართთა გაცვლა-გამოცვლა. ამ ურთიერთობას ამაგრებდა მაგიდებზე განლაგებული სენდვიჩები, ტბილეთულობა და იუგოსლავური სლივოვიკით შევსებული ბროლის ჰუჩები. ბერძნულ დამსწრე უცხოელმა რუსულიც იყო, განსაკუთრებით სლავებმა, — მაგრამ იყვნენ დასავლეთის ქვეყნების სხვა, რუსულის მყოფენ წარმომადგენლებიც, მათ შორის ბუშკინის ცნობილი ფრანგი მთარგმნელი პროფესორი მენიე, თავმდაბალი და ინტელიგენტური გამომეტყველების მქონე პატარა კაცი. სამუთოა თარგმანის მდგომარეობა ყველა უცხოელის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ჩვენს შორის ტრიალებდა კონგრესის საორგანი-

ზაციო კომიტეტის მდივანი დუშანკა პეროვიჩი, რომელიც საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა რუსულს და ფრანგულს. დუშანკა მართლაც ჩვენი სულისჩამდგმელი იყო მთელი კონგრესის განმავლობაში, ყოველ თხოვნას გვისრთლებდა და ყურადღებას არ გვაკლებდა. ეს საკმაოდ ახალგაზრდა, მომხიბლავი ქალი იმის დროს პარტიზანი იყო, ახლა კი მძიმე ავადმყოფობა ქონდა გამოვლილი და მიიწევს ვენეციას არ ზოგავდა ჩვენს წარმოდგენაში ის ასახიერებდა იუგოსლავიელ ხალხთა სტუმართმოყვარეობას და კეთილშობილებას.

კონგრესის სხდომები იწყებოდა დღის ათ საათზე და საღამოს ოთხ საათზე. დღის სხდომებს ესწრებოდნენ მხოლოდ ოფიციალური დელეგატები. ამიტომ ჩვენ დრო საკმაოდ გვჩრბოდა, რათა დავეთვალაწიერებინა ქალაქი და მისი შემოგარენი. სწორედ ამ ხანებში მოვიანაბრეთ დუბროვნიკის ღირსშესანიშნაობანი. რასაკვირველია, დღეში რამდენჯერმე მივდიოდით აღრიატიკის ზღვის პარკად.

კონგრესის დღის წესრიგში ბევრი საორგანიზაციო საკითხი იდგა. დამ. გერმანელმა მეცნიერმა, როლფ იტალიანდერმა, რომელიც აფრიკის ისტორიის და ცივილიზაციის პროფესორია, განაცხადა, რომ ფიცი არ არის ნამდვილი საერთაშორისო ორგანიზაცია, რადგან მასში არ შედიან აფრიკის, აზიის, ავსტრალიის და ლათინური ამერიკის ქვეყნები და მოითხოვია ორგანიზაციის საზღვრების გადიდება. როგორც გამოირკვა, საბოლოოდ ეს განცხადება ცოტა ძვირად დაუჯდა პროფ. იტალიანდერს: იგი არ აირჩიეს ფედერაციის ახალი საბჭოს წევრად. მიუხედავად ამისა, კონგრესმა მიიწევ გამოყო კომიტეტი პროფ. იტალიანდერის წინადადების შესასწავლად. ასეთივე კომიტეტი გამოიყო ლიტერატურის საკითხების შესასწავლად პოლონელი ელიზისკის მეთაურობით, რომელმაც ჩვენთან კერძო საუბარში განაცხადა, ლიტერატურული თარგმანის საქმეში ფედერაციას თითქმის არაფერი გაუკეთებია. ჩვენთვის თანდათან ხათვლი ვახდა, რომ ეს ორგანიზაცია არა მარტო არ იჩენს მხატვრული თარგმანისადმი განსაკუთრებულ ინტერესს, არამედ აყენებს მას თარგმანის ისეთ სახეობათა გვერდით, როგორცაა ტექნიკური და მეცნიერული ლიტერატურის თარგმანი, მანქანური თარგმანი, სინტაქსური თარგმანი და თვით თარგმანთა საქმიანობაც კი. ამით აიხსნება ორგანიზაციის ამორფული ხასიათი, რაც თვით კონგრესის მსვლელობასაც დაეტყო თავიდანვე. კონგრესი რაღაც მოდერნობა, თავის ნებაზე მიშვეებულ მანქანას მოგვაგონებდათ, თუმცა ფედერაციის პრეზიდენტი დოქტორი ვიენემ საკმაოდ ნებისყოფიანი გერმანელი იყო და ზოგჯერ, ცოტა არ იყოს, დოქტორულ მეთოდებსაც მიმართავდა ხოლმე. ასე, მაგალითად, მან შეაწყვიტინა სიტყვა ფიტის საბჭოს წევრს

პროფესორ მენიეს (პუშკინის მთარგმნელს) იმ სახებით, რომ ის ხანგრძლივად ლაპარაკობდა. სწორედ ამ დროს მენიე საუბრობდა საბჭოთა თარგმანის და მთარგმნელების შეხედულებათა შესახებ. როდესაც მენიე ჩამოვიდა ტრიბუნადას, დარბაზში ტაშმა იგრიალა და დიდხანს არ შეჩერებულა. ვიენემ იძულებული ვახდა ხმამალა ეღიარებინა, რომ მისი უტყუობის მსხვერპლს ღირსეული ჯილდო მიეძღვნა. ვიენემ ჩამოართვა სიტყვა რუმინეთის წარმომადგენელსაც იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი იმეორებდა დელეგატთა შორის წერილობით გაერაცლებულ თავისსავე სიტყვას, და მოსთხოვა ახალი რამ ეთქვა. რუმინელმა დელეგატმა მალაობა გადაახდა წერილობითი დოკუმენტის გაერაცლებებისათვის და ტარიბუნა დასტოვა.

ფედერაციამ ჩვენზე მატოვია მთარგმნელთა ისეთი პროფესიული ორგანიზაციის შთაბეჭდილება, რომელსაც, პირველ რიგში, მთარგმნელთა უფლებების დაცვა მოეთხოვება. ტყუილად როდეს იყო მისი პრეზიდენტი ადუიკატი ჩვენთვის კი უფრო საინტერესო იყო თარგმანის ლიტერატურული ფორმები, მხატვრული თარგმანი, რაც შეაფიქრებდა არ გამოჩნდა კონგრესის მსვლელობაში. ელიზისკის კომიტეტის წინადადებით, კონგრესმა გადაწყვიტა მოწვეულ იქნას საგანგებო სიმპოზიუმი (შესაძლოა ვარშავაში, როგორც ეს ზოგიერთი მოითხოვია) მხატვრული თარგმანის საკითხებზე.

დოქტორ ვიენემ წინადადებით გამოიყო ცალკე კომისია თარგმანის მსოფლიო ისტორიის გამოცემის საკითხზე. ეს საკითხი აღძრულ იქნა უნგრეთის წარმომადგენლის დოქტორ რადოს მიერ, რომელიც იმეამდელ ესწრებოდა კონგრესს. კომისია სულ ორჯერ შეიკრიბა და მის შემთხვევაში მონაწილეობას იღებდა ამ სტრატეგიების ავტორიც, ლენინგრადულ პროფესორ ეტკინთან ერთად. თარგმანის მსოფლიო ისტორიის იდეამ თავდაპირველად გაუგებრობა გამოიწვია. იუნესკოს წარმომადგენელმა კაიუმ პირადამირ განაცხადა, როგორ შეიძლება დაიწეროს ისტორია თარგმანისა ყველა ენიდან ყველა ენაზე, თანაც ზოგ ხალხს ჭერაც დამწერლობა არ გააჩნია და მათთვის თარგმანი მხოლოდ ენების ენაზე არსებობსო. საბჭოთა მხარემ წარმოდგენილი იდეა შემდგენიარად დააზუსტა: დაიწერება თარგმანის (უპირატესად მხატვრულის) კონცეფციის განვითარების ისტორია ცალკე ქვეყნების მიხედვით. ეს იდეა მიღებულ იქნა ერთხმად. ჩიწერეს ჩვენი მისამართები და გადაწყვიტეს განაგრძონ წერილობითი კონსულტაციები ამ საკითხის გადასაწყვეტად.

კონგრესზე გაერაცლებული წერილობითი დოკუმენტებიდან ყურადღებას იპყრობდა

პროფ. იტალიანდერის მოხსენება „განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნები და მთარგმნელი“, რომელშიც ავტორი მიითხოვდა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ცხოვრების ვაცნობას და სავსებით მთარგმნელის ხანგრძლივ ცხოვრებას ამ ხალხის წიაღში, ვის ნაწარმოებშიაც იგი თარგმნის. ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ცოდნაა საჭირო, როდესაც მისი ნაწარმოების თარგმნას აპირებ — ეს იყო მისი მოხსენების ლაბორატორია.

საინტერესო იყო აგრეთვე იუგოსლაველი ზლატკო გორიანის მოხსენება თემაზე: „მთარგმნელი და გამომცემელი ერთი მიზნისაკენ ისწრაფიან“. ამ მოხსენებაში გამოთქმულია აზრი, რომ თარგმანი ავითარებს დამაინახ კულტურის ისტორიის პირადად და რომ მთარგმნელი და გამომცემელი პირველ რიგში კულტურის წინსვლის საქმეს უნდა ემსახურებოდნენ. ამიტომაც გამომცემელმა თავისი მატერიალური ინტერესები უნდა დაუქვემდებაროს სწორედ ამ კულტურულ მიზანს და მაშინ მისი რეპუტაცია ამოღდება. ამას თავის მხრივ მატერიალური საჩუქრების მოტანაც მოჰყვება გამომცემლისათვის. როგორც ჩანს, ამ ცნობილი იდეის პროპაგანდა ავტორმა, რომელიც კონგრესზე სოციალისტურ იუგოსლავიას წარმომადგენელი, საჭიროდ ჩასთვალა არა მარტო ბუნებრივად გამომცემთა პირობებისათვის. დამოლოს მან წამოაყენა რამდენიმე პრაქტიკული წინადადება:

1. შესაფერისი გასამრჩელო მთარგმნელებს.
2. მთარგმნელთა ინსტიტუტებისა და სემინარების დაწესება.
3. ნიჭიერ მთარგმნელთა განსწავლა საზღვარგარეთ.
4. საიმედო და გამოცდილ მთარგმნელთა რეგისტრაცია გამომცემელთა არჩევანის გასაადვილებლად.
5. მუდმივი კონტაქტი გამომცემლობათა, ლიტერატურულ ჟურნალთა და ყოველდღიურ გაზეთთა შორის (მიღებები, პრესკონფერენციები და სხვ.).
6. თარგმანთა დაწესება.
7. მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა.
8. ფიტის ჯილდო თარგმანისათვის.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზლატკო გორიანი ამ კონგრესში აირჩია ფიტის ახალ პრეზიდენტად, უნდა ვფიქრობთ, იგი ეცდებამ წინადადებთაგან ზოგი რამ მაინც განახორციელოს. მეტიც საყურადღებო აღმოჩნდა ფიტის ვიკტორიულენტის ინგლისელი ჩარლზ ფრერკის მოხსენება, მიძღვნილი მთარგმნელის მომზადების საკითხებისადმი. ფრერკის მოხსენებაში ჩამოთვლილია მრავალი გარემოება, რომელიც ადასტურებს მთარგმნელის კვალიფიკაციის პრობლემის სიმწვავეს მთელ მსოფლიოში.

ფრერკი აღნიშნავს ამ მკითრებისთვის შემთხვევებს, როდესაც ხდება მთარგმნელთა სისამართური მომზადება აკადემიურ სწავლების ან სპეციალური სემინარების მასშტაბებზე, მას მხედველობაში ჰყავს, უპირველეს ყოვლისა, არა მხატვრული, არამედ საქმიანი ლიტერატურის მთარგმნელები. ასეთი სკოლები აღრიცხულია ინგლისში, აშშ-ში, პოლანდიაში, ბელგიაში და შვეიცარიაში. ფრერკმა, როგორც ჩანს, არაფერი იცის საბჭოთა უმაღლეს სკოლაში მთარგმნელთა მომზადების გამოცდილების შესახებ. რაშიც, — პირდაპირ უნდა თქვათ, — პრიორიტეტი ეუფთვნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ფრერკი აყენებს რამდენიმე პრაქტიკულ წინადადებას, როგორცაა ენების სწავლება სკოლებში და უნივერსიტეტებში, მთარგმნელთა მომზადებელი სკოლების შექმნისა და სხვა ღონისძიებათა გარკვევა, თარგმანის თეორიული საკითხების შესწავლა, მთარგმნელთა ცენტრალური მოსამზადებელი კურსებისა და მრავალენოვანი საგანგებო სემინართა მოწყობა, ინფორმაციის გაცვლა მთარგმნელთა მომზადების საკითხებზე და სხვა. უკანასკნელ პუნქტად თავის მოხსენებაში ფრერკს გამოცხადებული აქვს მთარგმნელის პროფესიის ოფიციალური ცნობა.

კონგრესის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენდა მთარგმნელის ქარტია, რომელიც დამტკიცა თავის უკანასკნელ სხდომაზე კონგრესმა. ამ ქარტიაში გამოცხადებულია მთარგმნელის საერთო მოვალეობანი და უფლებები, მთარგმნელის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობისადმი დამოკიდებულება, მთარგმნელთა საზოგადოებისა და კავშირთა შედგენის პრინციპები, მთარგმნელთა ეროვნული ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ფედერაციის ფუნქციები. ქარტია აცხადებს თარგმანს ლუწადღე მსოფლიოს მუდმივი, საყოველთაო და უცვლელედი საქმედ, რომელიც შესაძლებელს ხდის ხალხთა შორის ინტელექტუალურ და მატერიალურ ღირებულებათა გაცვლას, ამდიდრებს მათ ცხოვრებას და ხელს უწყობს მათ შორის უკეთეს ურთიერთგაგებას. ამის გამო, მიუხედავად სხვადასხვა პირობებისა, რომელშიც ის საშუალო ვითარდება, მთარგმნელობა უნდა იქნას ცნობილი გარკვეულ დამოუკიდებელ პროფესიად. აქედან გამომდინარეობს მთარგმნელის სოციალური ფუნქცია, მისი უფლებები და მოვალეობანი, მისი ეთიკა და პროფესიული ორგანიზაციის სტრუქტურა. ქარტიის ტექსტი გამოქვეყნდება ფედერაციის ორგანოს უახლოეს ნომერში.

ერთ საღამოს საინტერესო შეხვედრა გეჰონდა იუგოსლავიის დელეგაციასთან, რომელიც მეტიც მრავალრიცხოვანი იყო. ეს შეხვედრა ჩატარდა გულთბილ ატმოსფეროში დუნაჟა პერავიჩის თავმჯდომარეობით. იუგოსლაველები

დიდ ინტერესს იჩენდნენ საბჭოთა მთარგმნელების ცხოვრებისა და მუშაობის პირობების მიმართ და გულწრფელ აღტაცებას გამოთქვამდნენ, როდესაც ღებულობდნენ სათანადო ინფორმაციას. შეხვედრის მონაწილეთა უკრადღების ცენტრში მოხდა ახალგაზრდა მთარგმნელთა კატრების მომზადებისა და მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე დასავლეთში. ეს ვასაგებიცაა: იტალიური გამოცემლობა კერძო ფირმაა, რომელსაც თეორია კი არ აინტერესებს, არამედ მომგებიანი პრაქტიკა, ხოლო რა პრინციპებით იქნება შესრულებული თარგმანი, ამას მისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. სოციალისტური ქვეყნები, პრაქტიკით, მეტ ყურადღებას უთმობენ თეორიის საკითხებს, განსაკუთრებით პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია. კონგრესის ჩეხი დელეგატები სწორედ თეორიის წარმომადგენლები იყვნენ (მე ვეულისხმობ პროფესორ ილუკს და დოქტორ ირეი ლევის, რომლებიც ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ). იუგოსლაველებს ამ მხრივ ჯერ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. სამაგიეროდ, მათ დიდი ყურადღებით მოისმინეს ჩემი ინფორმაცია ახალგაზრდა კატრების მომზადების სისტემის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მრავალი შეკითხვა მომიკის. მათ ჩაიწერეს ბევრი ჩემი და აზრი გამოთქვეს, სასურველი იქნებოდა ჩვენც გვეცადა ასეთი სისტემის დანერგვათ. იგოვე ინტერესს ზენი მთარგმნელობის ფორმებისადმი ვიკრძინით იუგოსლაველ მწერლებთან შეხვედრისას ბელგრადში, ჩვენი გამომგზავრების დღეს.

6 სექტემბერს დილის სხდომაზე კონგრესზე სიტყვით გამოვიდა ჩვენი ჯგუფის ზელმძღვანელი პავლე ანტოკოლსკი. ამ დღეს უკვე ფიტის ახალი პრეზიდენტი ზლატკო გორიანი თვამჯდომარეობდა. ანტოკოლსკი ლაბარაკობდა ფრანგულად მთარგმნელის საქმის მნიშვნელობაზე. უსურვებდა ფედერაციას შემდგომ წარმატებას, საჭიროდ თვლიდა კონტაქტების დამყარებას და ვალრამეებას სხვადასხვა ქვეყნების მთარგმნელთა შორის. ანტოკოლსკის სიტყვა დიდი ყურადღებით იყო მოსმენილი და შთაბეჭდილებაც დიდი მოახდინა.

იმვე საღამოს დელეგაციის ხუთივე წევრი მიგვიპატრეს სადილად ფეშენებელურ სასტუმრო „ესკივლსიორში“. ზღვის პირად, ღია ვერანდაზე ვამილი იყო გრძელი სუფრა და იდგა მრავალწიფიანი ვანკანი. ორიოდ საათს დაგრძინით ექ. ამ ხნის განმავლობაში წარმოითქვა სამიოდ ვრძელი, ოფიციალური სიტყვა, რომლებშიც რამდენიმე უბნოლო ხუმრობაც იყო ვარეული. რა თქმა უნდა, ეს სადილი სრულიად არ შეეფერებოდა ქართველი კაცის წარმოდგენას ნამდილ სუფრაზე. ზღვის პაერი,

ჩვენს წინ ზღვაზე მოსიერნე ილუბინირებულ პატარა გემი, ლოკრუმის კუნძულის ზენდ სრული და ფეშენებელური სასტუმროს კარე მოცეა, — აი ის, რაც შერჩა გონებას ამ დამის მოაბეჭდილობათაგან. ამ დამეს ვაგიცანი იუგოსლაველი პოეტისორი ნედიჩი, რომელიც შექსპირის მთარგმნელი აღმოჩნდა. სამშობლოში ვამომგზავრების დღეს ნედიჩი ბელგრადის სასტუმროშიც მესტუმრა და მთელი საათი მესაუბრა შექსპირის მომავალ იუბილესთან დაეეეშირებით. მომავალი წლის აპრილში სრულდება 400 წელი შექსპირის დაბადებიდან და მთელი მსოფლიო ემზადება ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად. იუგოსლაველებს უკვე დაუმთავრებით შექსპირის თხზულებათა სრული, 18 ტომიანი გამოცემა. ნედიჩი იმედს ვამოთქვამდა, რომ მომავალ თებულზე კვლავ შეეხვებით შექსპირის სამშობლოში.

კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა მქონდა კონგრესის დაბურვის დღეს. სწორედ ნედიჩმა გამყნო ნოტიგეამის უნივერსიტეტის რუსული ენის პროფესორი იანკო ლავრინი, რომელიც მართლაც მწვენიერად ლაბარაკობდა რუსულს. პროფესორი ლავრინი ხანში შესული კაცია, მისი რედაქციით გამოვიდა იუგოსლავური პოეზიის კრებული ინგლისურ ენაზე, რომელიც კონგრესის დელეგატებს დაურგდათ. ლავრინი ეროვნებით სლოვენი და ცხოვრობს ინგლისში. 1910 წელს ყოფილა საქართველოში, თბილისში მას უნახავს ჩვენი ფიროსმანის სურათები და, მართალია, მხატვარი უშუალოდ არ სცნობია, მაგრამ მონაწილეობა მიუღია ამ საოცარი ადამიანის ძებნაში. ფიროსმანს ეძებდნენ მისი შემოქმედებით ვანკიფრებული უცხოელი თაყვანისმცემლები და ვერსად ეპოვნათ. ლავრინი დიდი აღტაცებით ივრობდა თბილისს და საქართველოს და მთხოვდა გადაეცა მისი გულწრფელი სიღამე ქართველი ხალხისათვის. ვთხოვე, დასწრებთ რამე თქვენს ყოფნაზე ჩვენს ქვეყანაში. მეთქი, მაგრამ უარი მითხრა: ფიროსმანი არ მინახავს, მხოლოდ ძებნაში ვმონაწილეობდი და რა დეწეროთ. უკრახინელი პოეტი ოლქსა ნოვიკო, რომელსაც იუგოსლავიის ვზეზზე სულ საქართველო აბოღებდა, ვაბჭარებით მაწერინებდა ლავრინის მისამართს და მკებებდა, კიდევ უთხარი, ვეგბ, რამე გამოვიღეს.

კონგრესი დაბურა ახალი პრეზიდენტის საბოლოო სიტყვით. როგორც ვამოიბრევა, დოქტორი ვიუნში ვიეებრეზიდენტად მაინც დარჩენილა. მის ვარდა კიდევ ორი ვიეებრეზიდენტი აირჩიეს: ფრანგი კაიე და ამერიკელი ვინგოლდი. მაგრამ, ზოგერთის აზრით, ფიტის საქმეების ნამდილი ბატონ-პატრონი უთუოდ ისე, ვიუნში იქნება.

საოცარი უფრადღება გამოიჩინა ვიენშემ საბჭოთა დელეგაციისადმი. ჯერ დუბროვნიკშივე გეპატივა თავის კრძო ვილაზე, მაგრამ არ გვეცალა. შემდეგ, როდესაც კონგრესი დაიხურა, ჩვენ გემით ვიმგზავრეთ სპლიტამდე ზღაპარულად ლამაზ კუნძულებსა და სანაპიროს შორის მიმავალ საზღვაო გზაზე. ვიენშე კი საკუთარი მანქანით ჩამოვიდა სპლიტში, ის შვეიცარიის გავლით დასავლეთ გერმანიაში მიემგზავრებოდა. და აი, ვიენშე მოულოდნელად სასტუმრო „სპლიტში“ გამოვეცხადა ჩვენი ჩასვლის საღამოს: ისიც იქ ჩამომხტარიყო. ვიენშე დიდად მონდომებული იყო, რათა საბჭოთა მთარგმნელები შევიდნენ ფიტის წვერად, მაგრამ ამ მოლაპარაკებასაც რეალური შედეგი არ მოჰყოლია. მხოლოდ უფრო გვიან, როცა მოსკოვში მწერალთა კავშირის სამდივნომ განიხილა ფიტის კონგრესზე საბჭოთა მეთვალყურეების ჯგუფის მონაწილეობის საკითხი, მან

არა მარტო მადლობა გამოუცხადა ჯგუფის წევრებს დიდი და სასარგებლო მუშაობისათვის, არამედ მოგვიწოდა კიდევ შეეჩინაჩნეთ და გავალმავოთ უცხოელ მთარგმნელებთან დამყარებული კონტაქტები. ამიტომაც შესაძლოა კვლავ სადმე შევხედეთ ამ საქმიან გერმანელსაც.

მეორე დღეს დაავთვალერეთ ქალაქი სპლიტი და რომის იმპერატორის დიოკლეტიანეს უზარმაზარი სასახლე, რომლის სვეტებს შორის სხვადასხვა ეპოქებს ჩაუშენებიათ თავიანთი ხე-როთმოძღვრების ნიმუშები. ვნახეთ დიდი იუგოსლაველი მოქანდაკის ივან მემეტროვიჩის შესანიშნავეი ვალურეა და კვლავ განვაგრძეთ გზა იუგოსლავიის მრავალსახოვან მიწაწყალზე. ჩვენ გველოდა პლიტვიცის ტბების ფანტასტიკური კასკადი, ისტორიული ქალაქი კარლოვაცო, საერთაშორისო ბაზრობა ხმაურიან ზაგრებში და კვლავ ბელგრადი სამშობლოში გამომგზავრების წინ.

ნიმუ ბუნი

ზოგი რამ ვაღერინ ბუნიას ცხოვრებინა*

შამაჩეში — ივანე ნოდარის ძე გომელაური კახეთის (სოფ. შირზაანი) მდიდარი აზნაური იყო, ზინით პრაპორშჩიკი, შამილის დროის მომსწრე, დიდი მწიგნობარი, მთელ ქიზიყში ცნობილი იყო მოწინავე, შეძლებული ოჯახით. მას გარკვეული ღვაწლი მიუძღვის სოფლის კოოპერაციის ორგანიზაციაში, რომლის ფონდშიაღ 10 ათასი მანეთი შეიტანა და ერთ-ერთი თავისი საბლიც გადასცა, ქვეშო მანხაანში კი ფოსტატელეგრაფისთვის უსასყიდლოდ დაუბო სოფელს თავისი სახლის ნახევარი.

დედაჩემი, სალომე გლახას ასული კობიაშვილი, კობიანთ კარიდან (ქართლი) იყო, ეს ოჯახი იმ დროს განათლებულ, მოწინავე ოჯახად ითვლებოდა.

დედით ადრე დაობლებულნი, მამამ მე და ჩემი და თამარი მიგვაბარა ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში. 6—14 წლამდე იქ ვსწავლობდი. ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ სოფლის მანუაგლობლის უფლება მომეცა. მონასტერში იმ დროს იღუმენიად იყო ულამაზესი ქართველი ქალი თამარ მარჯანიშვილი — კოტე მარჯანიშვილის და. მას შეუენინავეი არ დარჩა ის გულმოდგინება და ნიჭი, რომელსაც ვიჩენდი ეკლესიაში ლოკვის დროს. მოსწონდა ჩემი კარგი, სასიამოვნო ხმა და გამოთქმის უნარი, რაც ყველას არ ეხერხებოდა.

იღუმენა ფიქრობდა მონასტერში დავეთოვებინე და, როცა მამა ჩემს წასავევანად მოვიდა, მან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მამაჩემმა უარი განაცხადა და წამომიყვანა მოტუვებით, თბილისში ბიძაჩემთან, გენერალ კობიაშვილთან, ვითომდა სწავლა უნდა გამეგრებებინა თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელში. სინამდვილეში კი მამაჩემმა და დედამ ნათესავეებმა ვადასწვეიტეს ჩემი გახოვება.

ვალერიან გუნია ერთ-ერთ პირველ კაცად ითვლებოდა იმ დროს. იგი ერთდროულად იყო მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, რედაქტორი, ექრნალისტი, აღმინისტრატორი, საზოგადო მო-

ღვაწე. პირდაპირ საყვარელი იყო ამდენი პრაქუსისის შეთავსება!

ერთ საღამოს ბიძაჩემის სახლში ჩემს ვასაკუნობად მოვიდა ვალერიან გუნია.

ვალერიან გუნიას მოლოდინში დამსვეს ცალკე ოთახში და, იმდენად არ მენდობოდნენ, რომ ძალუანემი მომინინეს მეთვალუერედ.

გვიდა ცოტა ხანი, უცებ გაიღო კარი და შემოვიდა ჩემი საქმრო, გამოწყობილი ქართულ ტანსაცმელში, ქამარ-ხანჭლით; იგი შეტად ლამაზი, წარმოსადეგი და მიმზიდველი ვარუგნობის ეფუკაცი იყო.

თქვენთის, ალბათ, ცნობილია იმდროინდელი აღზრდის ტრადიციები, მონასტერში აყრადღული იყო მამაკაცის შემოსვლა და მეც უცხო მამაკაცი არ მენახა. ამიტომ ასეთი იშვიათი ვარუგნობის ეფუკაცის დანახვაზე გული ამიჭვრდა და იმდენად დავიბენი, რომ, რასაც მელაპარაკებოდა, არაფერი არ მესმოდა. ბოლოს კი, როცა ხელი გამომიწოდა, და თურმე თანხმობა მოხოვა, საპასუხოდ მეც ხელი გაუწოდე და თავი დავექნე, იმდენად ვარინდებული ვიყავი, რომ ხმაც კი არ ამოვიღია. ამას მომყვა დასაბუქრება და ამგვარად, მოხდა ჩემი ნიშნობა. სამი დღის შემდეგ დაინიშნა ქორწილი (1898 წ.). მამის მე ვიყავი 15 წლისა, ხოლო ვალერიან გუნია — 36 წლისა.

არ შემძლია გვევ არ ვავიხსენო თეატრში მიღებული ჩემი პირველი შთაბეჭდილება. ჩემი უფროსი მეგობარი იყო კოტე მესხის ცოლი ნატო, რომელმაც წამიყვანა პირველად ქართულ წარმოდგენაზე. იმდენად შეჩვეული ვიყავი რუსულ საუბარს (ჩემ დროს რუსულად ვსწავლობდი სკოლაში), რომ ქართული ენა ჩემთვის უჩვეულო იყო. წარმოდგენაზე, თითქოს სმენა წამერთეაო. არაფერი მესმოდა, ნატო თურმე თვალუერს მადღვენებდა, როცა შევეკითხე, რა ენაზე ლაპარაკობენ-მეთქი, — „დაიცადე, უფრო უგდეო“ — მიპასუხა გულმოსულმა. შემდეგ, როცა დავეკვირდი, პიესის შინაარსმა იმდენად მომზიბლა, რომ ხელახლა შევეკითხე: „რა მშვენიერი წარმოდგენაა. ნეტა ვისი დაწერილია?“ ამაზე კოტე მესხის პეულემ თავი ველარ შეიკავა, გაიღიმა და მიპასუხა: „— ჩემად, ჭალო,

* ვალერიან გუნიას პეულეს, ვანსვენებულნი ნინო გუნიას მოგონება დასაბუქლად ვაღმოგვეცა ვ. გუნიას ქალმა — დ. გუნიამ.

არაინ გაგიგოს, ვისი დაწერილია და შენი შევლსაია!”

პირველ ხანებში ვალერიანთან ერთად ხშირად დადიოდნენ თეატრში.

ვალერიან გუნია, დროის უქონლობის გამო, ხშირად სასცენო კოსტუმითა და გრიმით ბრუნდებოდა სახლში, ხან ფეხით, ხან ეტლით. მასსოვს, გუნერლის ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩინ-მედლებით მორთული ვალერიანი და მეფეებით ვბრუნდებოდით შინ. პოლიციელები გამოკითხვები „ჩესტს“ აძლევდნენ. ვალერიანი შეტყუდა ხოლმე: — „ახლაც არ იტყვი, რომ კარგი მსახიობი ვარო“?

მართლაც, როგორი ტანსაცმელიც არ უნდა სცმობდა, როლის დამახასიათებელ თვისებებს იმდენად იფერებდა, რომ სრულიად ვარდაცქმნებოდა და წარმოგვიდგებოდა სრულყოფილად ამ როლში, რომელსაც ასრულებდა.

მაგალითად „ქრისტინეში“. ვალერიან გუნია თამაშობდა ერთ-ერთი უარაზიხელის როლს, ან შემოღის სცენაზე, უნდა ამოირჩიოს ცუდი ყოფაცქცვის ქალი; შარვლის ერთი ტოტი, კინტის უღადაზე, გვედაწოდებოდა ცემილი აქვს, ხოლო მეორე — ბუნებრივი ქამრით დაკიდებული. იმდენად დამაყრებელი იყო მისი ნადირობა ცუდი ყოფაცქცვის ქალებზე, რომ წინა რიგში მჯდომი ქალები მართლა შეშინდნენ, ალიაკითი ასტეხეს და წამოიშინდნენ. იქვე იქა ვერსალონსტა სიმონ ყოფიანი (ხეობების ფსევდონიმით წერდა), რომელმაც ამის დანახვაზე ქალებს მიმართა: „დამშვიდდით, ნუ შემოფთოდებით, რისი გეშინით, ვალერიან გუნია არის“.

მასსოვს, ერთხელ ვალერიანმა თავის საბუნებისოდ აირჩია შალიკაშვილის პიესა „გადამკრილი მუხა“, რომელშიც თამაშობდა რუსი მეგზოვის პატარა როლს. გაგიკვირდებოდათ, ის აღმაინა, რომელიც თამაშობდა ოთარბეგს, მეფეს, თავადს, გუნერალს და სხვ. ამის შემდეგ როგორი ვასალიანი ხელოვნებით ასრულებდა უბრალო მეგზოვის როლს; პიესაში მეგზოვე მხოლოდ ერთ-ორ ფრაზას ამბობდა რუსულად და მის კილოს სრულიად ვერ ვაარჩევდით. ნამდვილი ტლ მეგზოვის კილოსაგან. სწორედ იმ ეპიზოდში, როდესაც რუსი მეგზოვე ერეგება ძველ მეპატრონეს, იმდენად ცოცხლად და დამაყრებლად ასრულებდა ვალერიანი ამ როლს, რომ სახლის პატრონისადმი მავურებლის თანავარძლობა ხშირად ქვითინით თავდებოდა.

ვალერიან გუნია შექმნა სხვადასხვა გმირთა წარმულები ვალერა.

შეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკა საესებით კრძალავდა ქართულ ენას; ქართულის მოსმენა შეიძლებოდა მხოლოდ ეკლესიასა და ქართულ თეატრში, ბუნებრივია, იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენცია ეტანებოდა და ყოველ მხრივ უწყობდა ხელს თეატრალური ხელოვნების განვითარებას, მით უმეტეს, რომ ქა-

რთულ თეატრს ჰყავდა უნიჭიერესი მსახიობები: ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, საჭაროვა-ახაშიძე, ნატო ვაბუნიანი, ბაზო ავლოშვილი, იფენია მესხი, ლიზა ჩერქეზიშვილი; ამათ ვარდა იშვიათი ნიჭიერი ახალგაზრდობა: ნუცა ჩხეიძე, ალექსანდრე კარგაჩეთელი, ოლა ლეჭავა, ნინო დავითაშვილი, ვიორჯი იშხნელი, ალექსანდრე იმედაშვილი, შალვა დადიანი და ბერიკ სხვა...

ქართული თეატრის ძალების ზრდისა და ევტრული წინსვლის მიზნით ვალერიან გუნია, მაგალითად, ჩემ ნაშთზე ფულს 2 ათასი მანეთი მოაკლა და მსახიობი კოტე მესხი საფრანგეთში გაგზავნა ფრანგული კომედიების შესასწავლად. ვალერიან გუნია ხშირად ესმარებოდა ახალგაზრდა მსახიობებსა თუ მწერტებს, რომლებიც მიდიოდნენ სასწავლებლად რუსეთში ან საზღვარგარეთ. იმ დროს მეფის მოხელენ ხშირად სდევნიდნენ ახალგაზრდობას, მათი მშველელი კი ისევდასევ ვალერიან გუნია იყო.

მასსოვს, ერთხელ ვალერიანი ღამე შინ გვანდაბარდა, მოვიდა ჩემთან და მოთხრობს: „სულავე მომიყო ფელები და შენი ოქროს ნივთები, აღამავე უნდა გავაპაროთ (ვილაკებენ ჩამოთოვალა, აღარ მასსოვს მათი გვარება), თორემ დაიპერენ, ვგზარბოთ უკვე მოკლესო!“ — მე ტიროდი დადიწყე. „როდმდე, ამ შეილებს რა ვუყო-მეთქი“. მან მიპასუხა — „საქართველო რომ განთავისუფლდება, შენ ნუ გეშინიას, ლეკმა პური ყოველთვის გვექნებაო“...

შეუ მყეროდა მისი და ვეთანხმებოდი...

ვალერიანი თავის გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებსაც კი ყველას უსასყიდლოდ უგზავნიდა, იყენებ ისინი ციმბირსა თუ რუსეთის სხვაკუთხეებში. ვენასა, პარიზში, თუ სხვა ქალაქებში. ახლაც კი ინახება ჩემთან წერილები, სადაც მადლობას უთვლიან მას!

ვალერიან გუნიას კავშირი ჰქონდა რევოლუციონერებთან — საზღვარგარეთიდან არალეგალურად ჩამოტანილ ლიტერატურას ავრცელებდა. ვალერიანმა საამისოდ გააკეთებინა საციკალიური ჩემოდანი, რომელსაც ორმავე სარჩული ჰქონდა. არალეგალური ლიტერატურა იბეჭდებოდა ძალიან თხელ პაპირისის ქალაღზე და ჩემოდანში საცამო რაოდენობით თავსდებოდა. ლიტერატურის ვალერიან გუნია მოგზაურობის დროს საქართველოს ყველა მნიშვნელოვან ცენტრში ავრცელებდა. გამოჩენილი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე კარგად იყო მიღებული საზოგადოებაში და არავითარ ეჭვს არ ბადებდა, ქანდარმერისავე კი ეჭვს უპარწყებოდა ისეთი მოქცევა და დამაყრებელი ღამაჩყო იცოდა ვალერიანმა.

გაზეთის ბეჭდვისას ქანდარმერია ხშირად მძლად თვალყურს გადაევნებდა, მაგრამ მათი მოსყიდვა ძალიან ადვილი იყო...

მაგონდება ერთი შემთხვევა: საქართველოში

ამერკავასის მთავარმართებლად იმ დროს გოლიცინი იყო. ვალერიან გუნის უნდოდა გაზეთის პროგრამის გაფართოება და თეატრის პირობების გაუმჯობესება, მან ნახვის ნება სთხოვა გოლიცინს, მაგრამ მთავარმართებელმა უარი შემოთავაშა.

ვალერიანი ამის გამო სრულებითაც არ შემოკთადა, ჩიცვა ქართული ტანისამოსი და მიღების საათებში გახდა მთავარმართებელს. კარისკაცებმა არ შეუშვეს, ვალერიანმა იშიშვლა ხანჯალი და ძალად მოინდომა შესვლა. მოახსენეს გოლიცინს, რომ ვიღაც კაცი ძალით ღამობს შემოჭრასო. გოლიცინმა ბრძანა შემოეყვანათ და თან შეიარაღებული აღიუტანტები დაახვედრა.

— ვინ ხარ შენ, ასე თავბედურად რომ იმტყვი? — ჰკითხა მთავარმართებელმა.

ვალერიან გუნიმ უპასუხა; რომ ასეთი ნაბიჯი გადაადგმევინა გამოუვალმა მდგომარეობამ. ჩემს უკან 40 მშვიტი კაცი დგასო — აუხანა, რომ იგი იყო ქართველი მსახიობი, ამავე დროს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქტორი, და ითხოვდა თეატრის პირობების გაუმჯობესებას და გაზეთის პროგრამის გაფართოებას. მთელი ორი საათი ესაუბრა ვალერიანს გოლიცინს და იმდენად დაატყვევა იგი, რომ, რეპრესიის ნაცვლად, მთავარმართებელმა დიდი ფულადი თანხა გაიღო თეატრისათვის, გაზეთის პროგრამა კი მაინც იმავე ფარგლებში დასტოვა.

რუსი აღიუტანტები ისე მოხიბლა, რომ გაცოლებისას პაერსოვან კოცნას უგზავნიდნენ ვალერიანს გუნის.

ქართული დრამატული საზოგადოება მსახიობებს 5 თვის წამაგირის ვარანტიას აძლევდა. დანარჩენი დრო მსახიობებს თავიანთი სახსრებით უნდა ერჩინათ თავი, ხოლო ვალერიან გუნისა, საფაროვა-ბაშიძეს, ნატო ვაბუნიას, ვასო აბაშიძეს, კოტე მესხს და სხვ. არავითარი სხვა საარსებო საშუალება არ გააჩნდათ, გარდა თეატრისა.

ვალერიანს პირადად მე მატერიალურად არაფრით ვაწუხებდი. ჩემს განქარაუვლებაში იყო სახლი და მამაჩემის დახმარება, ხოლო ვალერიანს ვადავებოდა რა თეატრს, მთელ შემოსავლს ხარკად გარღვრობის შესაძენად, სკენის მოწყობასა და დეკორაციულ გაფორმებაზე, აგრეთვე აძლევდა მსახიობებს წამაგირს და სხვ...

პროვინციებში გასტროლებისას ძალიან ხშირად სჭირდებოდა თეატრისათვის კოსტუმები, დეკორაციები, ატლასის კაზები, ფარდები და სხვა მსალა. ყველაფერ ამას დროებითი სარგებლობისათვის ღებულობდა, ჩვეულებრივ, ისევე ცნობილი აივაზოვისაგან.

ვალერიანი პროვინციიდან გამომიგზავნიდა რომელიმე მსახიობს და მითხოვდა სხვადასხვა საქმის მოგვარებას აივაზოვთან.

აივაზოვი ქართულ მსახიობებს და თეატრ-

ული ხელოვნების შემაყვებს უნდობლად ეყურებოდა, მაგრამ საქმარის იყო ჩემი გამოჩენა, რომ თეატრისათვის ყველაფერს შეცქამა და მომწოდებდა. შენ მომიწერე ხელიო! — მეტყველებდა მამაჩემი აივაზოვი. ცხადია, მე ვიყავი შემდეგ პასუხისმგებელი. ჩემი ხელისმოწერა ნაღდი ფულის მიღებას ნიშნავდა.

ქართული თეატრი, როცა ვალში ჩაჯარდებოდა, ვალერიან გუნია მაშინვე მამაჩემთან ვზავნიდა ღებუშას ვალების დასაფარავად. მამაჩემიც იშორებდა ვალებს. თუმცა ამის გამო დიდად უწყალოდ იყო და საყვედურით ეტყოდა დიმიტრი მაჩხანელს: „შე დალოცვილო! რახე დამაუბნე ქალო, შენ ამბობდი საქართველოში პირველი კაციო, მე კი მისი პირველკაციობისა ვერაფერი დავინახე, რიბე მუდამ ცარიელი აქვსო!“

ქართულ თეატრს ესაპირობოდა ახალი პიესები. ვალერიანი დაბრუნდებოდა თუ არა თეატრიდან, მაშინვე შავიდას მიუქდებოდა და მთელი რამდენიმე განმავლობაში მუშაობდა, წერდა პიესებს. — კომედიებს, ვოდევილებს, თარგმნიდა და გადმოაკეთებდა-გადმოაქართულებდა ჩვენი ცხოვრების შესახებისად.

ვალერიანი ვერც კი ასწრებდა პიესის დაბეჭდვას, მაშინვე მიჰქონდათ. ქალაქებში, პროვინციებში, სოფლად ყველგან იღებებოდა მისი პიესები, ზოგჯერ გადაწერასაც ვერ ასწრებდა, დედანს აძლევდა ხოლმე და ამის გამო ბევრი პიესა დაკარგულა. ვალერიან გუნის პიესები თითქმის მთელ საქართველოში იყო მოყენილი მათი რიცხვი დაახლოებით 120-მდე აღწევდა.

ვალერიანი პიესების გაფორმებაზედაც თვითონ მუშაობდა, ადგენდა გეგმას, რომლის მიხედვითაც იღებებოდა პიესები.

ვალერიან გუნია, თეატრისა და თავის სტამბაზეთის ხელმძღვანელობის გარდა, პარალელურად ახერხებდა კალენდრის შედგენასა და დაბეჭდვას-გამოცემას, ხშირად ათავსებდა ქურინალ-გაზეთებში რეცენზიებს.

ვალერიან გუნია თავის ენერჯიას და ჩანს არ ზოგავდა, პირდაპირ გასაცვრი იყო ასე დაუღალავი და შეუპოვარი მუშაობა! ეს აიხსნება იმით, რომ მას თავგანწირვით უყვარდა თავისი საქმე, თავისი სამშრობო.

ვალერიან გუნია იმდენად გატაცებული იყო თეატრალური საქმიანობით, რომ ბევრი რამ იჯახიდან თეატრის შენობაში გადაიტანა, როგორც მაგალითად საუკეთესო წიგნებით სავსე სამი კრება, გადაწერილი პიესები, კლიშეები, სტამბის სხვადასხვა საქმე, მიწერ-მოწერა და ბევრი სხვა საინტერესო საბუთი. მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ეროვნული უბედურებისას, ქართული თეატრის დაწინას ყველაფერი მოიხსპო და დაკარგა. განადგურდა ისეთი საინტერესო დოკუმენტები, წერილები გამოჩენილ მოღვაწეთურთერთობა-საქმიანობის შესახებ, რომელთაც

დიდი ისტორიული მნიშვნელობა ექნებოდა დღესაც.

ჩვენ სახლში თავს იყრიდნენ ქართული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები.

ჩვენ საკუთარ სახლში (ყოფილი მატრიონის ქ. № 9) დროებითი თუ მუდმივი მოზინადრენი იყვნენ: ნატო გაბუნია, ა. ცაგარელი, ლოზა ჩერქეზიშვილი, ა. მრეველიშვილი, ტ. რამიშვილი, კალანდაძე — რევოლუციონერი, რომლის პარტიკულარულად ამ ჭეჩას კალანდაძის სახელი მიეკუთვნა.

დრო მიდიოდა და იცვლებოდა მდგომარეობა.

ვალერიან გენია მძიმე ავად გახდა. მკურნალობას თანხები სჭირდებოდა, სახლი ბანკში იყო დაკრავებული, პროცენტების შეტანის ვადა თავდებოდა, ვალერიანმა ვერ შესძლო პროცენტის გადახდა და ითხოვა ვადის გაგრძელება, მაგრამ ვადა არ გაუგრძელეს და გამოაცხადეს ჩვენი სახლის საჭარად გაყიდვა.

სახლის გაყიდვამ და თეატრის დაწვამ თითქმის ყველაფერი დაგვანადგურა, დიდ გაჭირვებაში ჩავყარდით.

ქართული თეატრი რომ დაიწვა, წარმოდგენების გამართვა ძნელი გახდა. ვალერიან გენია ოპერის თეატრს დაუკავშირდა, იგი მეტად დაინტერესებული იყო თეატრის წინსვლით და ყოველნაირად უწყობდა ხელს მის განვითარებას. თუმცა არ ჰქონდა სპეციალური მუსიკალური განათლება, მაინც მოახერხა ეთარგმნა ოპერები — „სვეილიელი დალაქი“, „კარმენი“, „წითელქუდა“, ოპერეტა „ნიტუნია-ჩიტუნები“ და სხვა... შემდეგ კი თავად დაიწყო ლიბრეტოების წერა (თერა ლუქანი). დაიწერა „დაისი“ — ზაქ. ჟილაშვილისათვის, „დინარა“ — დ. არაყიშვილისათვის, „ქრისტინე“ — გოგნიაშვილისთვის. აგრეთვე, თარგმნა ბევრი რომანსი, წერდა სიმღერისათვის ლექსებს.

როცა პირველად „კარმენი“ ქართულ ენაზე იმღერეს, იმდენად დიდი ყურადღება მიიქცია ამ ვარემოდამ, რომ სამხატვრო ბურჟუაზიის წარმომადგენელი მინთაშვილი ოპერის დამთავრების შემდეგ მივიდა ვალერიან გენიასთან და უთხრა: „ახი ვალერიანი შენსთანა ნიჭიერი კაცი რომ ჰყავდეს სამხეობს, ყელამდე ოქროში ჩავსვამო!“

არ არის საქართველოში არც ერთი მსახიობი, პოეტი, მწერალი, არც იმდროინდელი საზოგადო მოღვაწე, ან მოწინავე ხელოსანი, მუშა, ვალერიან გენიასთან საქმიანი ურთიერთობა რომ არა ჰქონოდა და მისგან ყოველმხრივი დახმარება არ მიეღო. ამას მოწმობს სხვადასხვა პირის 300-მდე წერილი, რომლებიც გადაირჩა და ჩვენს ოჯახში ინახება.

არ შემიძლია არ მოვიკონო, ორიოდ სიტყვით მიიწი, ზოგიერთი კამ, რაც მე თვითონ მიწახავს და რაც მახსოვს, ან ვალერიანისაგან გამოვიცი:

— სანამ ვალერიან გენია მე შემირთავდა, მანამდე ვალერიანი და სანდრო ყაზბეგი ერთად ცხოვრობდნენ და ბოლომდე ერთგული შეგონარები იყვნენ. როცა სანდრო ყაზბეგი ავად გახდა, ვალერიანმა მათათვის საავადმყოფოში, მანვე მოუხერხა პირველად წინის დაბეჭდვა.

სანდრო ყაზბეგი როცა გარდაიცვალა, ვალერიან გენიამ ატყუარი მონაწილეობა მიიღო დასაფლავებაში, ხარჯებიც კი გაისტუმრა.

ქართული საზოგადოების უდიდესი წარმომადგენელი ი. ჭავჭავაძე თეატრს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის წინსვლას. როცა ახალგაზრდა მსახიობები გამოდიოდნენ დებიუტში, იგი ყოველთვის ესწრებოდა და, როგორც უდიდესი მკოდნე და საზოგადო მოღვაწე, ღირსეულ შეფასებასაც აძლევდა ხოლმე. მთავალიად, როცა ვალერიან გენია და აწყურელი გამოვიდნენ პირველად სცენაზე (აწყურელი — კომედიანი, ხოლო ვალერიან გენია — დრამაში), საზოგადოებამ აწყურელი უკრიტიკოდ მიიღო და მის თამაშს უფრო მკაფიო შეფასება მისცა, ვიდრე ვალერიან გენიასს. აწყურელი ახერხებდა თავის როლის სრულყოფილად გადმოცემას, ხოლო ვალერიან გენიაზე ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „მართალია, როგორც მსახიობი ყურ არ არის ისე გამოიყვითლია, როგორც აწყურელი, მაგრამ მისი ხმის ტემბრი ახლავს ამტკიცებს მის დიდ ტალანტს.“ ი. ჭავჭავაძეს აწყურელისაზე მეტად ვალერიან გენიას თამაში მოეწონა, რის გამოც მის გვერდით მჯდომმა ერთმა საზოგადო მოღვაწემ სურვილიც კი გამოთქვა, ვალერიანი თავისი ნიჭის გახალსივებლად რუსეთში ან საზღვარგარეთ გაეზავნათ. ამის გამოგონ ილია ურასული — რუსეთში ბევრი გეგავს ვაგზაწილო, მაგრამ ვინც წაივდა, აღარ დაბრუნდა, თუ ნიჭი აქვს, სჯობს აქ დარჩეს და აქ გამოადგეს სამშობლოსო“.

ი. ჭავჭავაძეს მსახიობებთან კეთილი განწყობილება ჰქონდა, იგი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო როგორც თეატრის არსებობისათვის, ასევე სტამბისათვისაც. ხშირად პირადად მიწახავს ილია ვაზეთის ბეჭდვის დროს, სტამბას ხშირად აძლევდა ბანკის სამუშაოებს, რათა უზრუნველყო სტამბის არსებობა და ვალერიან გენიასთვის საშუალება მიეცა ზედმეტი თანხები მოეხმარებინა თეატრისათვის.

ვალერიან გენიას ჰქონდა ერთი ვოლტერის სტილის სავარძელი, რომელსაც საწოლის მაგივრადაც იყენებდა ხშირად, მუშაობაში ვართული ჩაცმული იძინებდა ამ სავარძელში.

ი. ჭავჭავაძეს ეს სავარძელი ძალიან უყვარდა, მოვიხატავდა თუ არა ჩვენსას, ვალერიანი მოსთავაზებდა სავარძელს და იმართებოდა ბევრი საინტერესო მსჯელობა.

ვალერიან გენიას თავის მასწავლებელთან (ასე სთვლიდა ვალერიანი ილიას) ბოლომდე არ

გაუწევრებია კავშირი, ხშირად საფურცამოშიაც ყოფილა.

მანამ ი. ჭავჭავაძე ცოცხალი იყო, არაფერი გვიჭირდა, იგი გვიწვევდა ყოველმხრად დახმარებას.

გამიგონია, რომ ვანო მანაბელი ასე ამბობდა თურმე: — „ვალერიან გუნიამ შთაშავონა შექსპარას თარგმნაო“.

ვანო მანაბელმა რომ ილიასთან ერთად „მეფე ლიო“ თარგმნა, მას შემდეგ განულო 11—12 წელსა და ვალერიან გუნიამ დაიწყო სთხოვა მანაბელს თარგმნა „სამლეტი“ (რომელიც პირველსა დაუბეჭდა კადეც). შემდეგ — „ოტელიო“. ვალერიანს უნდოდა ოტელოს თამაში და კიდევაც პირველმა ითამაშა მანაბლს თარგმანით.

შეგონდება, რა ვახტრედული მუშაობა წარმოებდა ჩვენს საკუთარ სტამბაში. დიდი სამაოვნებითა და სიამაყით ვეკონებ იმ დროს, როდესაც ცნობილმა რევოლუციონერმა ლადო კეცხოველმა ვალერიან გუნიას სთხოვა ჩაებუნა სამუშაოზე მოეწყო სტამბაში, თუნდაც დროებით. ვალერიანს ეს ამბავი გაუკვირდა, თან ძალზე ესიამოვნა და, თუმცა ადგილი თავისუფალი არ ჰქონდა, მაინც მოხატარებით შესთავაზა სტამბის გამოება, თვეში 40 მან. ზღვრისით, რაზედაც ლადო კეცხოველი დიდი სიხარულით დათანხმდა. ლადოს სტამბაში ყოფნა უნდოდა იმიტომ, რომ თავისი რევოლუციური საქმეები ეკეთებინა, რამდენიმე თვის შემდეგ ლადო კეცხოველმა დაანება სამსახურს თავი და, შკონი, ბაქოში გაემგზავრა.

განულო დრომ... ერთ დღეს, 12 საათი იქნებოდა ვალერიანის ძალიან შეწუხებული დაბრუნდა და მეუწყვა სტამბის ერთერთი ასობამწყობისა და ლადო კეცხოველის დაპატივება.

საქმე სერიოზულ ხასიათს იღებდა, საჭირო გახდა სტამბის სხვის სახელზე გადართობა. ვარდა ამისა, გაზეთის დაგალიანება 13 ათას მანეთს იწვევდა, საჭირო იყო დაფარვა, ვალერიანმა ეს ეალი დაფარა ჩემი მხათვიდან და იბრუნებული იყო ვაზეთი გადაეცა ქაბადარისათვის, რათა ვაზეთის არსებობა არ შეეწყვიტა. საქმე ის არის, რომ სტამბა ჩემს სახელზე იყო გადართობული. რუსეთის ბიუროკრატიულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ჩემი პასუხისგებაში მიეცემა, მაგრამ მტორეწლოვანების გამო პასუხისმგებლობა მაშინვე მომიხსნეს.

მასხოვს, აკავის, იუბილეს ჩატარების იღვი და ინიციატივა პირველად ვალერიან გუნიას დაეხდა.

მასხოვს აგრეთვე, მთიდან ჩამოვიდა უკვე ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა. ვალერიან გუნიას ინიციატივით საღამო გაიმართა. თავიდან ფეხბამდე ახლად გამოაწვეეს ამ წარმოდგენის შემდეგ პოეტი. მალე ვაჟა-ფშაველა მძიმე ავად გახდა. ვალერიანმა თავის ნაცნობ ექიმებში დაატა-

რა, მაგრამ ამოღ, იგი ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

თქმა არ უნდა, როგორ განვიცადა ვალერიან გუნიამ ვაჟას სიკვდილი; მის დეკრძალვებში დიდი მონაწილეობა მიიღო, როგორც დამკრძალავი კომისიის წევრმა.

არაერთხელს საიდუმლო არ არის ის, თუ როგორ მამობრივ-მეგობრულ ზრუნვა-მფარველობას უწევდა ვალერიანი ახალგაზრდა შვერალ-მოღვაწეთა პირველ ნაბიჯებს.

იოსებ გრიშაშვილს ვალერიან გუნია თავის მკვიდრ მამად შიანდა, და მეც ისევე ეიყავი სოსოსთან, როგორც უფროსსა და.

ნიკო მიუცაშვილი ვალერიან გუნიას თვლიდა თავის პირველ მასწავლებლად, საერთოდ, „მფარველად ქართული ლიტერატურისა“.

აი, თუნდაც შოი მღვიმელს ვინ იყო მისი ხელმძღვანელი და გამამაზნებელი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, გავირევაბაში ზელის გამწვევლა? — ვალერიან გუნიამ!

ანდა სადრო მანშიამვილმა ვის მიუტანა თავისი პირველი ლექსები? ვინ დაუბეჭდა? ვინ გაუთავაზა? — ვალერიან გუნიამ. აგრეთვე ვიორგი იზნენლს, იაკობ ნიკოლაძეს, ალ. იმედაშვილს, ვანო სირაიშვილს, და რომელი ერთი დაგასახელი გარდა ამისა იქვე მინდა მოვახსენო, ვალერიან გუნიას უანგარო, გულწრფელ-პირუთვნელ მეგობრობა-ამზანავაზზე, რასაც მოწმობენ მისივე უახლოესი მეგობრები თავიანთ წერილებსა და მოგონებებში — იქნებთან ესენი ვასო თუ ნატო, კოტე ან თედო, ლადო და ლაზა, შალვა თუ ნინო, და ყველას ვინ მოსთვლის...

ვალერიან გუნია დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში, უკრაინასა და ბაქოში. ამბობდნენ, საქართველოში რომ ჩახვალთ, პირველი დაგხვდებოთ ვალერიან გუნია და შერე არტიტული საზოგადოება ბუზუნის ხელმძღვანელობით.

ვალერიან გუნიამ იცოდა თავჯიანი და მომხიბვლელი დახვედრა. ყველა ჩამოსული დიდ პატვისა სცემდა მას, თითქმის ყველა ეპატივებოდა თავის ქვეყანაში — საშოლდაწვეოდ, ურჩევდნენ სამშობლოს დატოვებას, მაგრამ ამოღ!

ვალერიან გუნია ძალიან ვარჯ განწყობილებას იყო რუსეთის მსახიობებთან, სახელომბარ პეტერბურგის გამოჩენილ მსახიობთან მარიუს პეტრასთან (ჩემს ოჯახში ახლაც ინახება მისი ნაჩუქარი რუსული „თასი“ წარწერით). ცნობილ დელამატორ ზაქშინიანთან, უკრაინის თეატრის ერთერთ ფრეზდებულთან კრამოვენციისთან, ბოიარსკაისასა და მრავალ სხვასთან.

მაგრამ მე მინდა აღვნიშნო განსაკუთრებით ის, რომ ვალერიანი, ყმაწვილობიდან სიკვდილამდე, არაჩვეულებრივად იყო დაახლოვებული ალექსანდრე სუშინთან-იტიენთან. მათი ურთიერთობა-სიყვარული თითქმის ყვე-

ლამ იცის და ზნობად ამ ორ მოღვაწეს ერთმანეთს აღარებდნენ. ალ. სემბათაშვილმა ვალერიანის გამოგზავნა რუსეთიდან თავის კუთვნილი ვერცხლის გვირგვინი. ეს გვირგვინი ინახება საქ. თეატრალურ მუზეუმში. აი, ჩაოღენ პატივსაცემად იგი ვალერიანს. ვალერიანიც თაყუანსა სცემდა საყვარელ მეგობარს. სემბათაშვილი სთხოვდა ვალერიანს რუსეთში წასვლას, მაგრამ, ვალერიანმა შინ კირი არჩია სხვაგვან ღვინსა.

პირველი ომის დროს, ხალხთა საერთო წუხილისა და გასაქირის პერიოდში, ჩვენ ვერის დაძმობრივ იდუაღსიან საღვთოში „ქანდაკაზე“ ეცხოვრობდით.

ვალერიან გუნია ნაადრევ სიბერეშეპარულა, ძალზე დაღლილი და დასუსტებული, მძიმედ ავად გახდა, ავადმყოფობა ისე მოერია, რომ სიკვდილის პირას იყო მისული. მე დიდ გავარყვებაში ჩავეარდი, აქვთ შეილები, იქით მძიმე ავადმყოფი...

მამჩემმა, რა თქმა უნდა, კვლავ გავეიწია დახმარება, მოგვცა წისქვილი, მიწები, მაგრამ ვის ჰქონდა მოვლის თავი, სხეებს მივაბარეთ და, რამ იტყვიან, ზღვა კოვზით დაიღიო, ერთხმად ისე დაგვეპართა ჩვენც.

არ შემიძლია დიდი მადლობით არ ვავიხსენო ყველა ის, ვინც ჩემთან ერთად განიცდიდა ვალერიანის მღვდმარეობას, განსაკუთრებით იქნებოდა, სახელდობრ, ივანე გამარტელი, რომელიც არ შორდებოდა ავადმყოფს, დიდხანს მკურნალობდა და გადაარჩინა კიდევ.

1916 წელს საზოგადოებამ გადამწყვეტა ვალერიან გუნიასათვის გადაეხადათ იუბილე 35 წლის დაუღალავი უანგარო მოღვაწეობისათვის.

ვალერიან გუნიას იუბილე დამთავრა თებერვლის რევოლუციას. 1917 წ. აპრილის ეს დღე გადაიქცა თითქმის ერთნულ დღესასწაულად. ამაზე მე აღარ მოგიხსნობთ, ყველას კარგად ახსოვს, მთელი საქართველო გამოიხმარა, დაწერილია ბევრი და, ალბათ, კიდევ ბევრს დაწერენ.

მაგრამ ვიტყვი მხოლოდ ერთს: მომაკვდავი ვალერიან გუნია მეორედ დაიბადა იმ დღეებში, მოესწრა მას, რისთვისაც სიცოცხლეს სწორავდა — სამშობლოს განთავისუფლებას.

საუბილევო საღამომად მინდა ერთი მომენტია შინც მოვიგონო; საღამოზე მამჩემი ჩვენთან ერთად იქდა ლოცავი, უკვე ღრმა მოხუცი იყო, მაგრამ წარმოსადგე, მხარბუკანირი, განუწყრელი ბუნების ქუდი, კრიალოსანი და ბურნუთის კოლოფი კალთაზე ეხსოვ; იქდა გარინდებული, მოკრძალებული, ნახულია და მოსმენილით ბედნიერი და თვალზე ცრემლმორეული. როდესაც მოსალოცად ს. სვანთზე გამო-

ვიდა, ვალერიანს ფულადი საქუჯარი გადასცა და მიმართა მას, „რომ დამავალეს ეს ფული სახლის შესაძენად გადავეცე მესს მუხლუნს, რომელმაც შენთან ერთად განვლო ტანჯვის გზა და ასე უშიშრად, ერთგულად გედგა მხარში“, (მრავალი სხვა ქებაც იყო თქმული), ვაისმა მქუხარე ტაში და ყველამ ჩვენყენ მოიხვდა. მამჩემმა ბლამად შეიყნოსა ბურნუთი, ბუხრის ქუდი თვალზე ჩამოიხურა და აქვითინდა. ასეთი რამ არავის არასდროს არ გვენახა — მუხასავით უდრევი ივანე ნოდარის ძე გომელაური და ცრემლები!

არ გასულა ერთი წელიც და მამჩემი გარდაიცვალა. მე არსდროს არ დამავიწყებდა მისი სიხარულის, ბედნიერების გამოხმატეული ცრემლები.

იუბილეს შემდეგ ვალერიან გუნია თემცაქანით უკვე გატეხილი იყო, მაგრამ სცენას თავს შინც არ ანებებდა და თავისებური საოცარი ენერგიით განაგრძობდა მოღვაწეობას. 1921 წელს ვალერიან გუნია ერთხმად იქნა არბეული ზელოვნების მუშაეთა კავშირის პირველ თავმჯდომარედ. იგი ამ პერიოდში, მუშაობის ყოველგვარ პირობას უქმნიდა ზელოვნების მუშაეებს.

მართავდა უფასო წარმოდგენებს მუშებისათვის, ატარებდა აგრეთვე საღამოებს და სხვა მრავალ ღონისძიებას.

ქართულ თეატრში გამოჩნდა ახალი მიმართულება, რომლის შეთავრებში იყენებ გამოჩენილი რეჟისორი კოტე მარჭანიშვილი და დიდად ნიჭიერი რეჟისორი სანდრო აბმეტელი.

ვალერიან გუნია პირველი მოწმე იყო ამ ორი მოღვაწის ქართულ სცენაზე მოსვლისა და ამიტომ ძალზე უხაროდა მათი „ასეთი დიდი წარმატება“ — როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე.

ვალერიან გუნიას ბოლო წლების საოცარი ენერგია აკვირებდა ყველას, მან ისევე შეადგინა საგასტროლოდ დასი და მთელი საქართველო ისევე შემოიარა.

მაგრამ ბოლოს ვაეიშვილის ავადმყოფობა ელდასავით დეცა და მის ქანს მეტიც არ უნდოდა, დამბლა მოუვია, ლოგინად ჩაეარდა და დიდ ვაჭირებშიმ გარდაიცვალა.

ვალერიან გუნიას იღბალი არ ჰქონდა იმ მხრივ, რომ ვაჭირებმა სიკვდილამდე განუყრელად თანსდევდა, თუმცა ბევრჯერ ჰქონდა სამუშაო უფილოყო ფუფუნებაში — გადასულიყო სხვაგან სამუშაოდ, მოეტოვებინა სამშობლო, ცოლშვილი, მაგრამ არი ვალერიან გუნიას თავდავიწყებით უყვარდა თავისი ქვეყანა, საქართველო, — ეს იყო მისი სიმდიდრე, ოქაბი — სიმშვიდე!

გიორგი ზდანოვიჩის სიტყვა „50-ის პროცესზე“

გამოჩენილი რევოლუციონერი-ხალხოსნის გიორგი ზდანოვიჩის სიტყვა, წარმოთქმული ცნობილ „50-ის პროცესზე“ (1877 წ. 9/21 მარტს), სწორედ პეტრე ალექსეევის ცნობილი სიტყვის წინ, დაბეჭდილ იქნა საზღვარგარეთ და არაღვალტრად ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით რევოლუციურ წრეებსა და ფართო საზოგადოებაში. ამჟვე პროცესზე სოფიო ბარდინასა და პეტრე ალექსეევის მიერ წარმოთქმულ სახელგანთქმულ სიტყვებთან ერთად, ზდანოვიჩის სიტყვა ათეული წლების მანძილზე წარმოადგენდა რევოლუციურ დოკუმენტს, რომელიც მეფის ზღისმფლეთის წინააღმდეგ ამხედრებულა საზოგადოების მოწინავე ძალებს, წერგავდა რევოლუციის გამარჯვების რწმენას.

უდავოა, რომ გ. ზდანოვიჩის მიერ რევოლუციურ-სოციალისტური მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათის აღიარების ფაქტში გაქონებული პირველი ინტერნაციონალის, მარქსიზ-

მის გაელენა, რევოლუციურ მოძრაობაში ინტერნაციონალიზმის საფუძვლად ამგვარი, ზდანოვიჩისებური აღიარებანი ქმონდა ვ. ი. ლენინის მხედველობაში, როცა აღნიშნავდა, რომ „რუსი სოციალისტ-ნაროდნიკები შეეცადნენ რუსეთში გადმოეტანათ „ევროპული წყობილების“ ყველაზე მოწინავე და დიდი თავიებურება — ინტერნაციონალი“ (ლენინი, თხზ. ტ. 1, გვ. 327). გ. ზდანოვიჩის სიტყვა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მას არა მარტო ისტორიული, არამედ შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ამ სიტყვას გვერდს ვერ აუღლის რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის, რევოლუციური მოძრაობის შევლევარი.

ქართულ ენაზე გ. ზდანოვიჩის სიტყვა თარგმნილია ალექსანდრე მდივანის მიერ რუსული ტექსტთან, რომელიც დაბეჭდილია ლავროვის „Библиотека“-ის მეხუთე წიგნში 1877 წელს, ლონდონში. ქართულად მჭევრდება პირველად.



ბატონო მოსამართლენო, თქვენ მოისმინეთ პრალდება, მოისმინეთ დაცვა. მოუსმინეთ ახლა ერთ-ერთის იმთავანს, ვინც პრალდების მტკიცების მიხედვით გასაკიცხია, დასაგმობია, ზოლო დაცვის, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ დამცველმა მტკიცების მიხედვით სიბრალულის ღირსია. სიბრალულის მე არ ვიცო, გვიპრდება თუ არა ჩვენ, საერთოდ ყველა პრალდებულებს, რამეში შებრალდება, მაგრამ, რაც შემეხება მე პირადად, მე უფრო მაღე დაუთანამდებო, რომ მომეყრან გაიცხვით, ვიდრე სიბრალუდით. არ არის საჭირო სიბრალუდი, იგი შეურაცხველია. ერთი ძველი ფილოსოფოსი, თუ არ ვცდები, დემოკრიტე, ამბობდა: „დაპინეთ, მაგრამ ნუ შემიბრალდები!“

ჩემი დაცვა იქნება მოკლე, მე როდი ვიღაპარაკებ ბევრს, მე ხავსებით უყუვადებ საქმის ფაქტიურ მხარეს, თუმცა შემეძლო ზოგიერთი რამის თქმა ზემს სასარგებლოდ. შემეძლო, მაგალითად, მიმეცქა თქვენი ყურადღება იმ გა-

რემობაზე, რომ კიშინიოვში არც ერთ ხახტუმარში მე არ მცნეს, არ მცნო აგრეთვე არც წიწინავმა, არც მოლარემ კიშინიოვის სადგურზე და ღსბებენ, რომ ყოველთვის იცნობენ იმ პირს, ვინც აგზავნიდა წიგნებს. მაგრამ ამას ყველაფერს ვტოვებ, ვუფლი გვერდს.

შეიძლება დღეს, ჩემს სიცოცხლეში უკანასკნელად, მიხდება ღაპარაკი და ეს უფლებას მაძლევს იმედი ვიქონიო, რომ შექნება საშუალება რამდენიმე ზოგადი აზრი გამოეთქვა თანამედროვე მოძრაობის შესახებ.

შეტად ვაგრცხვლებულია ჩვენში აზრი, რომ რუსეთი მკვეთრად განსხვავდება დასავლეთ ევროპისაგან, რომ ჩვენ მივდივართ და უნდა ვიპრობო ხვეა, თავისებური გზით. ამ შეხედულებაში ბევრი სიმაართლა, მაგრამ მჭიერ სიბრალე ამ შეხედულებას ბოროტად იყენებენ. არ უნდა დავიფიწყოთ, რომ მეცნიერებამ არ იცის ნაციონალიზმა, რომ ცივილიზაცია და ადამიანთა იდეები საერთაშორისოა. რა თქმა უნდა, კაცობრიობის იდეალები ხალხთა ისტორიული ცხოვრების პირობებისა მიხედვით გადაუმუშავებთან ხოლმე, ასე რომ, რჩებიან რა არსებითად საერთო ყველა ხალხებისათვის, ისინი, ე. ი. იდე-

* ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა და წინასიტყუაობა დართო გაბრიელ მეგრელიშვილმა.

აღები, წერამანებში ეგუებთან ამა თუ იმ ქვეყნის პირობებს. მაგრამ ევროპული ცივილიზაციის შესწავლამ გვიჩვენა, რომ რუსეთისთვის სრულბოთაყ არ არის ხელსაყრელი გამოცდის ევროპის ხალხთა ოჯახს, რომ, პირაქით, იგი ვალდებულია დაუყავშიროს თავისი ბედო დასავლეთის ბედს და მისთან ერთად იზრომოს არსებობის უკეთესი პირობების მისაღწევად.

ხალხის ცხოვრების ეკონომიური საფუძვლები ყველგან ერთნაირია. როგორც იქ, დასავლეთში, ასევე რუსეთში. არსებობს, ერთი მხრით, მცირე, უმნიშვნელო ქვეყნო, დეარქეთი მის თუნდაც პრივილეგიურთა ქვეყნო, მეორე მხრით, მასა, უმრავლესობა, განწირულია გამოყვანილი ტანჯვისათვის.

არა ერთ დიდ გონებას, არა ერთ კეთილშობილ გულს უშუაშენია სოციალური საქათის გადასაწყვეტად. სოციალიზმი ისევე ძველია, როგორც თვით სამყარო. მხოლოდ საქათის გადაწყვეტის ფორმა და საშუალებები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში არ არის ერთნაირი. უკანასკნელ დროს, როდესაც ევროპულდებულში მოვლენათა ბუნებრივმა მსვლილობამ მიიღო სრული განვითარება, როდესაც თანამედროვე ცივილიზაციის ბნელმა მხარებმა თავისი სიტყვა თქვეს ნათლად, მკაფიოდ, სოციალიზმი დადგა პრაქტიკულ ნიადაგზე, შექმნა თავისი დამოუკიდებელი პარტია. დღითიდღე იზრდება სახალხო პარტიის ძალი; რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო საშინელი ხდება უფსკრული, რომელიც უპოვებს მარტარ. უსაქმო უმრავლესობას მშვიდი, გამარცხული უმრავლესობისაგან.

ევროპის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარე იმამო მდგომარეობს, რომ ხალხებმა შეიგნეს თავისი ინტერესების სოლიდარობა, თავისი მდგომარეობის ერთგვარობა და ხელი მისცეს ერთმანეთს საერთო ბრძოლისათვის, რომ სოციალური საქათის უახლესი დამტენება ცოცხლობისა ჰყოლოს არა ნაცვლად, არამედ შეიარაღებულად და შემეიარაღებულად; ადამიანთა საზოგადოებების დაჭკუებთათა საწარმ წარმოადგენს არა ტერატორია, არა ენა და ტომობრივი თვისებურებანი, არამედ ეკონომიური საწყობი, რომელიც საფუძვლად უდევს ხალხის ცხოვრებას.

ევროპიური წყობილება ყველგან ერთნაირია. მე თქვენ ვგებობებით, შეიძლება თუ არა ამ თვალსაზრისით გამოყვანო რუსეთი მუშათა მოძრაობიდან? ხომ არ შეიძლება ევროპის ხალხთა მოახლოებები წამოყვანოთ აქ ისეთივე უწყობითი, როგორც იქ? ანბათ. ვერაშენ ვერ ვახდევს იმის მტკიცებას, რომ შრომის პირობები რუსეთში მკვეთრად განსხვავდება შრომის პირობებისაგან დასავლეთში.

რა თქმა უნდა, ყოველ ქვეყანას გააჩნია თავისი თვისებურებანი, მაგრამ ეკონომიური საქათის მთავარი ძარღვი ყველგან ერთნაირია და

ამიტომაც შესაძლებელია ეკონომიური საქათის საერთო დაყენება ყველა ხალხისათვის, მით შრომის რუსეთისათვისაც. აი, რატომ ვებედავი ჩვენ, რომ სოციალიზმის, როგორც იდების, განვითარება რუსეთში მიმდინარეობს თითქმის პარალელურად დასავლეთში მის განვითარებასთან. საქმარისაა მკვეთრით ევროპაში ორმოციანი წლების დასასრულზე და ჩვენში სამოციანი წლებზე. დაბოლოს, საქათის თანამედროვე მდგომარეობაზე აქ და იქ, ამასთან რუსეთში სოციალური საქათის დაყენების სიმტკიცეს ხელს უწყობდა რუსი ხალხის ისტორიული ბედა. მე მინდა ვთქვა, რომ ხალხის ცხოვრების ელემენტები შეიცავდნენ ბევრ ისეთს, რაც თვორიული სოციალიზმის მსგავსია. ამიტომ იგი არ იყო ჩვენში რაღაც არსებული, შეუთანხმებელი რუსული ცხოვრების პირობებთან, პირაქით, არსებობდა, და ნაწილობრივ ახლაც არსებობს, აზრი, რომ სოციალიზმი დასავლეთში რეალურად იყო, ჩვენში კონსერვატიული. თუ საქათის უნდა გადაწყვედეს ძალით, ჩვენში იგი შეიძლება გადაწყვედეს მშვიდობიანი გზით. ამ თვალსაზრისზე დასაწყისში იდგნენ არა მხოლოდ ჩამორჩენილი პარტია, რუსეთის ახლავარდობა, რომელიც გამოამუშავა სოციალისტური მრწამსი, ბუნებრივია, უნდა გაეტარებია იგი ცხოვრებაში. პირველივე მისი ნაბიჯები ამ მიმართულებით საქათის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის მარცხით დასრულდა. ყოველ მის ცდას ზედმეტდნენ თუ მარტადი არა მტრულად, ყოველ შემთხვევაში, ეჭვის თვლით, უნდობლად. ეს უნდობლობა იქამდე მიდიოდა, რომ მოქმედი პირი ერთბაშად სადღაც ივარგებოდა, წამოწყებაში ჩაიფუშებოდნენ, საქმენი აიწურებოდნენ, ახლავარდობა ჩაუქრდა. რა ვეუბნოთ?

სანუკვარი მიზნისაგან მშვიდობიანი გზით სავსე შეუძლებელი ...ადმოჩნდა; გულზე ხელდაეჭრებოდა ქლომა და ზემოდან გადაწყვეტილების ღოღისი — ეს როდი ურიგდება რწენათა გულწრფელობასა და მიზნის სიდიადეს. ნუთუ შეუძრავდები იმას, რომ ბუნებრივი მიმდინარეობა გადაწყვეტს საქათს, რომ ჩვენს მოვლენათა მხოლოდ დატყვებას, ხალხის ცხოვრებას შესწავლა. ისტორიის კანონების გაცნობა, რომ კედელს შუბლით ვერ შეამტრებ და, რომ ამიტომ ჩვენი მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ არსებულ, ისტორიულად გამომუშავებულ, სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირობებს? მაგრამ ეს ხომ იმას... ნიშნავს, რომ ჩვენს ხელს ვართმევთ დოქტორს სანჯლოსს, სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ყველაფერი უკეთესობისაგან მიდის ამ ყველაზე საუკეთესო ქვეყანაში.

არა, ამგვარი ორქოდი ფილოსოფია შეუძლებელია მოსწონებოდა რუსეთის ახლავარდობას. ერთი მხრით, სოციალურ მოძღვრებათა პროგ-

რესმა დასავლეთში, მეორე მხრივ, რუსეთის შინაურმა პარტიზმა გადაამუშავეს რუსეთის ახალგაზრდობის სოციალიზმი, სოციალიზმი მშველლობით, სახელმწიფოებრივ-რევოლუციურ სოციალიზმად. მან, ახალგაზრდობამ, გადაწყვიტა, ყველა სიძნელის მიუხედავად, იარაღის მიზნისაკენ რევოლუციური გზით, — და თანამედროვე მოძრაობაც მტკიცედ სოციალურ-რევოლუციურია. იგი როდი წარმოადგენს შემთხვევით მოვლენას, გარდაამავალ მოვლენას, მან მოიცვა თითქმის მთელი ახალგაზრდობა, მთელი მიხი ცოცხალი ძალები. იგი არ შეიძლება არ შეხსენებოდა მტვ. მე წავიცი იმავე გზით, ვმუშაობდი შედეგებისდა გვიარად ხალხის განთავისუფლების დიდი მიზნისათვის და ვიმუშავებოდა იმკრძალს, რომ არ დავეპატიმრებოდა.

მაგრამ რა არის ხალხის განთავისუფლება, რაში მდგომარეობს იგი? იგი მდგომარეობს იმაში, რომ არ ხდებოდეს რამეგვიარად ხალხის შრომის ექსპლოატაცია, რომ არ ხდებოდეს ხალხის ცნობიერების გაზუნდოვანება, დაბნელება, უმეცრებობა, ცრურწმენით, ვამოუფალი სოციატის წარმოშობით და რომ ხალხის შრომალი არ დავცებს, რაც აუცილებელია ხალხის უსომოს სიღარიბის პირობებში. ამის მიღწევა შესაძლებელია თენთა სრული დამოუკიდებლობისა და ავტონომიის დროს, როცა თემები ფლობენ მიწებსა და წარმოების ყველა იარაღს თანაირად, როცა შრომა თავისუფალია და უფლები ინდივიდუალისათვის სავალდებულოა. აი ჩემი მისწრაფებანი. ჩემი აზრით, მათი მიღწევის საშუალებებია: ხალხში მიხი ინტერესების სოლიდარობის შეგნების შეტანა, ხალხის უკმაყოფილების გაზრება, დაქაქსული ძალების ვაერტონება და არსებობის უფრო სამართლიანი პირობების მოპოვება ერთიანი ძალით. რომ ხალხის მდგომარეობა აუტანელია, რომ მიხი უკმაყოფილება დიდია — ეს ფაქტია, ეს ემებს არ იწვევს. მაგრამ უნდა გამოავიყნოს ეს ფაქტი არა უშედეგო ცალკეული აფეთქებებსა და ამსოხებისათვის, არამედ საერთო უფრო სერტიოული და მტკიცე გადაწყვეტისათვის.

ასეთია ზოგადად ჩემი რწმენა და იგი მიატლებს ვთქვა რამდენიმე სიტყვა პარტიზანის შესახებ, რომელიც მე წამართვეს. უნდა ვამოტყუდ, რომ მასზე მრავალქერ მითითების შემდეგ როგორც ბრალმდებლის, ისე დაცვის მხრივ, მე უფრო მიზანშეწონილად მთხანია არც შევებო ამ საკითხს, მაგრამ არ შემიძლია გვერდა ავუარო ერთ ფაქტს. პარტიურრომა, რომელიც ახასიათებდა შემოხსენებულ მოძრაობას, უწოდა მას პოლიტიკური მოძრაობა და არა სოციალისტური, ხოლო ჩვენ გვიწოდა პოლიტიკური, რევოლუციონერები და არა სოციალისტური. იგი არ შეუშინდა იმასაც კი, რომ შეედარებინა თანამედროვე მოძრაობის პრინციპები ინტერნაციონალის პრინციპებისათვის. გულახ-

დილად რომ ელაბარაკო, მე არ შეხმის, რისთვის დასკრება მას ეს, მაგრამ ჩემთვის ამ შედეგებშიდან ნათელია ერთი რამ: ამ პარტიურრონი არასამარხისადა იცნობს სოციალურ: და მტკიცერივ მეცნიერებებს, ან იგი ხელმძღვანელობდა რალაც სხვა, ვარეშე მოსაზრებებით, რომლებსაც არსებითი კავშირი საქმესთან არა აქვთ. მაგრამ მე არ ვაგებამ ხაას ამ სავანზე, რადგანაც ეს მიძრულებდა შეეპრილოყუვი აქ. სასამართლოში უდავლო, შეუფერებელ წერილმანებში. მაგრამ მე მაინც ვთქვარბ, რომ თვით პარტიზანა უთითებს პარტიურროს მიხი შეხედულების მტდრობაზე, მან, ალბათ, არ მოხსურვა მისი ხათანადოდა გაგება. სხვათა შორის, მან მიაქცია განსაკუფრებელი ყურადღება ამ პარტიზანის ერთ წერილში. მე მსურს ელაბარაკო სწორედ ამ წაწილზე. მაგრამ, უპირველესად ყოვლისა, უნდა განვაცხადო, რომ ეს პარტიზანა არ ეცუთენის ჩემს კალამს, მე არა ვარ მისი ავტორი. მე ვამბობ უფელაფერს ამას, ასე ვთქვათ, არა იმიხათვის, რომ შევამხუბუქო ბრალდება მწიშენლობა — სძლიერებ, არამე ვცხადებ სოლიდარობას მის საერთო მიმართულებასთან, მაგრამ ჩემი რწმენა არ მაძლევს უფლებას დავეთამამო მის ზოგიერთ წაწილს. ასეთია, მაგალითად, წაწილი ეგრეთწოდებული სუთთა ავოტაციისა. ამავე წაწილზე მითითებებდა პარტიურრონიც და ცდლობდა მეცა ისეთი განმარტება, რომელსაც მიზნად აქვს დაამტკიცოს, რომ ჩვეულები იქმნებოდა ძარცვის მიზნით. თუ პარტიურრონი არ აყუთებდა ამგვარ პირდაპირ დასკვნას, უფელ შეხმხვევაში, ამას ვადაკრით ამბობდა. პარტიზანის მიხედვით ამ ჩვეულის მიზნს შეადგენს სახსრების მოვან-მოპოვება, მაგრამ იქ არ არის ნათქვამი, რა გზით მოულობენ ისინი ამ სახსრებს; ძარცვაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი. ამავე დროს ამავე პარტიზანაში არის პარტიზანი, რომელიც უკრძალავს ირვანიხაციის წევრებს, პარტიზანდისტებს მისდიონ მხოლოდ და მხოლოდ სახსრების მოპოვებას. აი, რა აზრი აქვს ამ საკითხს. მაგრამ, თუ გვერდს ავუღოთ საკითხის ამ წაწილს, ჩვეულების შესახებ პარტიკტის შექმნის თვით შესაძლებლობა საერთოდ აიხსნება არა სოციალური ბუნებრი საკითხის დასმით რუსეთში, არამედ იმ დენითა და შევიწროებით, რომლებიც მიმართულია რუსეთის ახალგაზრდობის წინააღმდეგ. უკიდურესობანი უფელთვის იწვევენ დაპირისპირებული თვისების უკიდურესობებს. დაწოდა უფელთვის წინააღმდეგობას იწვევს. ეს შექანისკი კანონია. მართლაც, მწილია დამშვიდებული ყოწნა, როდესაც ახალგაზრდობის დარწმუნების ერთადერთი საშუალებია — ცხები, ვადასახლება, კატორდა, რომდესაც უფელგვარ პატიოსან ცდას სპობენ უხეში ძალით. რამდენად ნაკლებ დამაჭრებელია ამგვარი საშუალებები, ეს კარგად ჩანს რუსეთის ახალგაზრდობის ისტორიიდან.

თითქმის ყოველ დღე კარგავს იგი რამდენიმე მეგობარს, ამხანაგს, ზოგს აცილებს კატორაღში, ზოგს, რომელმაც ვერ გაუძლო წამებას, სამარტში. მაგრამ მას არც ერთხელაც არ უღალატნია თავის მონებებისათვის, თავის რწმენისათვის. მხოლოდ უწინაარსი სახეაშვის გამო, შატროს მისამართდენონ, თავმოყვარეობის გულისხმების და, მით უმეტეს, კუჭუკიანი, ბინჭური შეგუღლიანების გამო ხალხი იშვიათად წირავს თავის თავს და მიდის ნებაყოფლობით წამებაზე. მხოლოდ ისეთი რწმენანი მიმართავენ ადამიანს საზოგადოებას საქმეებისაკენ, რომლებიც გადაიტყენ წინაგან მოთხოვნისებზედა. ახლადდელ დროში ახლგაზრდობას, ახლგაზრდა ძალას, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩაფლულა პრაქტიკულ ცხოვრების შლამში, აღარ ენბის, თუ როგორ შეიძლება არ იმუშაოს ადამიანმა ხალხის ინტერესებისათვის, თუ როგორ შეიძლება ვულგებლდუკრეფილი იქნეს, ანდა თავისი პატრიონანი მორწაფების ეშინოდეს. თავგანწირულება ჩვეულებრივ მოკლენად გადაიქცა, ასე ვთქვათ, სოციალისტური ატმოსფერო წარმოიშვა, სწორედ ისეთი პირობები, რომლებიც მოასწავებენ თანამედროვე მოძრაობის წარმატებას.

ზემოთაღნიშნულ მიზეზების გარეშე, ე. ი. იმის გარეშე, რომ რუს ხალხში არსებობს, ცხოვრობს, სოციალიზმის, თანასწორობის იდეა, რაც თემურ მიწათფლობელობაში გამოხატა, რუსეთის ახლგაზრდობის თავგანწირვისა და მის რწმენათათვის თავდადებას გარდა, ახლანდელი მოძრაობის მომავალი უზრუნველყოფილია კოდევ საერთო ისტორიული პირობებით.

რუსეთის ცხოვრების ელემენტების განვითარების ისტორია ბევრით განიარჩევა დასავლეთ ევროპის განვითარების ისტორიიდან. იქ ჩვენ ვხედავთ დიდად განვითარებულ პოლიტიკურ ცხოვრებას, მრავალ სხვადასხვა ელფერის პარტიას, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესთა ბრძოლას. არაფერი ამისდაგვარი რუსეთში არ არსებობს, და ამას თავისი ისტორიული მიზეზი აქვს. პარტიების წარმოშობა იქ აუცილებელი იყო; წარმოიშებოდნენ გარკვეული ინტერესები, იდებენ, რომლებიც დაქვემდებდნენ ხალხს ერთ ვიწრო ორგანიზებულ პარტიაში. ბრძოლა იქ დაიწყო უხსოვარი დროიდან და ბრძოლა მიმდინარეობდა ამგვარად: თავდაპირველად წარმოიშებოდნენ ინტერესები საზოგადოებრივი, წოდებრივი, მხოლოდ შემდგომ ჩამოყალიბდებოდნენ მწყობარ სისტემადა, გადაიქცეოდნენ თერორიად. ევროპის პარტიებიდან თვითთული თავის დროზე მოძრაობის წინ იყო წარმოადგენდა პროგრესულ ძალას, იყო მოწინავე აზრის მფლობელი, არც ერთს პარტიას არ შეუძლია ჰქონდეს მომავალი, თუ მას არ ძალუძს საერთო ინტერესებისათვის პიროვნებები მსხვერპლად შეაწიროს. არც ერთს პარტიას არ შეუძლია იყოს სიცოცხლისუნარიანი

ძლიერი პარტია, თუ მისი წევრები სულთით და გულოთ თავის საქმეს არ მიეცნენ. გარდა ამისა პარტია უფილა ძლიერი და მოწინავე იდეის წარმოადგენელი მანამ, სანამ თავის ინტერესებს ხალხის ინტერესებთან არ გამოყოფდა. რუსეთში კი არავითარი ცხოვრება არ არის, არავითარი ბრძოლა. როგორც ჩანს, რუსეთის ისტორიის დახაწყისი შეიცავდა პოლიტიკურ ცხოვრების ელემენტებს, მაგრამ დადგა თათართა ბატონობა, უველაფერი მიწუდა, მიყრუვდა. ამ სიჩუმეში, ხალხის ამ ძილის დროს მოქმედებდა მხოლოდ ერთი ძალა, ძალა მონარქიული-თათართა ბატონობის დამახობის შემდეგ. უველა ინტერესი განსახიერებელი იყო სახელმწიფოებრივ ზელისუფლებასში, უველას თვალი მისდამი იყო მისურობილი. თავდაჯანაურობა ჰეარგავს ყოველგვარ დაშოყიდებულ მნიშვნელობას. ამ წოდების წევრები მხოლოდ მეფის მსახურნი და უმები არიან. ბურჟუაზია არ არსებობს. სახალხო პარტია და ხალხის თავისუფლება, რომლებიც თათართა დაპრეყას გადაურჩნენ, მოსპობილი იქნა სახელმწიფო ზელისუფლების მიერ. დიდი ნოვგოროდი და ბეკოვი დაიციენ. პარტიების არსებობა შეუძლებელი იყო; სამღვდლოცნება რიდი წარმოადგენდა განცალკევებულ და მოუფილებელ კორპორაციას; ეს იყო სახელმწიფო უფლებებისადმი დამორჩილებული ორგანი. თავდაჯანაურობას რიდი ჰქონდა თავისი საყოთარი ცხოვრება. მას ჰავისი პირადი საყოთარებაც კი არ ჰქონდა, მიწაცა და ხალხიც ეკუთვნოდნენ მეფეს, და ამ უჯანასკნელობის ნება-სურვილზე დამოკიდებული იყო მისი დაქილდობა ანდა მთელი მისი ქონების ჩამორთმევა. არ არსებობენ თავდაჯანაურთა ინტერესები, არ არსებობს თავდაჯანაურობა, როგორც დაშოყიდებელი ორგანიზებული წოდება.

თბაქმჯღამბრამში, სენატორმა პეტერსმა შეაჩერა ზღანოვიჩი: ის, რასაც ამბობთ, საქმეს არ შეეხება.

ზღანოვიჩი: მე ვფიქრობ, რომ სწორედ შეეხება. მე წინდდა ისტორიულ ფაქტებზე მითითებით დადგენა იმ მდგომარეობისა, რომ რუსეთში შეუძლებელია პარტიების წარმოშობა, ასე ვთქვათ, პრივილეგიური, წოდებრივი პარტიებისა მათ ზელიდან გაუშვებს მოკრებულ ისტორიულ მომენტში. მე მინდოდა მიმეხითებინა სოციალ-რევოლუციური მოძრაობის სრულკანონზომიერებაზე და განსაკუთრებით იმაზე, რომ მხოლოდ სახალხო პარტიას აქვს მომავალი, იმიტომაც, რომ მხოლოდ ის დგას ჩენნი დროის მოწინავე იდეების განვითარების სიმაღლეზე. ის ძლიერია თავისი მთლიანობით; თავისი პრიციპები სიწმინდით, თავის წევრთა თავდადებულობით. მისი გამარჯვება უქვეყლია. პირველი მსხვერპლი, მრავალი მისი წევრის დაღუპვა უფრო მეტს ძალას და ზნეობრივ სისპეტაკეს აძლევს მას. მე ღრმად მწამს სოციალური რევოლუციის ხალხის გამარჯვება, ზემოთ.

დრო, დრო აღნიშნე!

ამ უკანასკნელი ათეული წლის ჩვენს პოეზიაში აშკარად შეინიშნება ახალგაზრდა პოეტების ლტოლვა ნოვატორობისაკენ. ეს ახალგაზრდობის თვისებაა საერთოდ და მისასაღმებელია, რომ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტები ასე ენერგიულად ეძებენ ახალ გზებს პოეზიაში. მაგრამ ახალგაზრდა პოეტების ერთ ნაწილს ნოვატორობა ისე წარმოუდგენია, თითქოს საამისოდ საჭიარისი იყოს ლექსის ვარგულ ფორმაზე იერიშის შიტიანი.

ნიჭიერი პოეტი გვიგეგმავს არ თამაშობს მეტრული საზომებით. მას ძირითადად მომარყვებელი აქვს ათმარცვლიანი ლექსი და სასიხარულოა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ის აღწევს თავისებურ რიტმსა და ინტონაციას.

მაგრამ თუ ჩვენ ამ წერილის შესავალში ზოგადად დაგვეჩივრა ამ საკითხს შევხებოდით, ეს იმიტომ, რომ მეტრული სისტემაში ასეთი პრინციპული პოეტიკი კი მოვხიბლავს ამ ცდუნებას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი ერთი საკმაოდ ვრცელი ლექსი „მზიანი დღე“, ახლანდამ ამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ ამავე სახელწოდების მისი ლექსების კრებულიდან.

ეს ლექსი ერთგვარი პიშია ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოზე, მის ღრუბლიან და მზიან დღეებზე. სამშობლოს უკვდავებისა და მარადისობის მოტივები არის პათოსი ამ ლექსისა. „იყო ტკივილი, იჭვი და რყევა ჩემი გარდაქმნა, გაზრდა და წინსვლა“, — ეს სტრაქონია ის ზერხემალი, რომელზეც ამ ლექსში არის ასხმული პოეტის პატრიოტული აღფრთოვანება, შთამბეჭობელი მხატვრული სახეები და მეტაფორები, ფრთიანი ფრაზები, ჟღერადი და მოულოდნელი რითმები ისე არიან დამუხტულნი შინაგანი ტუცხლით, რომ იქმნება ილუზია, თუ-

თქოს ისინი მართლაც მოძრაობენ და შეიძლება ითარევენ ამ მოძრაობაში.

ოღონდ ამ ენერგიულ რიტმს ხანდახან ანელებს ლექსის კომპოზიციური სივრცე. თუმცა ახალ-ახალი სახეებითა და მეტაფორებით, მაგრამ ალაგ-ალაგ ისტორიული ფრაგმენტები შეორდება და ამის გამო ლექსის დინამიკაც ნელდება. ასეთ ადგილებში მოხვედრალი მწვენიერი პოეტური საკაულები გენანება; თავისთავად მწვენიერი, ისინი ამ შემთხვევაში უძლურად ვეჩვენება. მაგალითად, მოტივი „მე მოვდიოდი და ქარი მშრიდა“ იგივე მოტივია, რაც „მე გზაზე ვიდექი გაჩენის დღიდან და დაბეველი მქონდა ქუსლები“. ეს ორი მოტივი ლექსში სხვადასხვა ადგილას არის, ისინი მოშორებულნი არიან ერთმანეთისაგან, და მეორე შემთხვევაში ეს მოტივი ზედმეტად მიგვაჩინია.

ლექსის ენერგიულ დინამიკას ზღვს უშლის აგრეთვე მისი ვარგულად ფორმის, თითქოს, ორიგინალურად დაწერა. ამ მხრივ ეს ლექსი გამონაკლისია გვიგეგმავს ამ პატარა კრებულში, მაგრამ ჩვენ მასზე იმდენი ვაკამახვილეთ ყურადღება, რომ მომავალში ორიგინალობის ძიების ამგვარმა ცდუნებამ არ გაიტაცოს პოეტი.

ლექსი დაწერილია ჩვეულებრივი ათმარცვლიანი ჯვარდინი რითმით გაწყობილი სტროფით, მაგრამ პოეტს სტროფის ორ-ორი სტრიქონი შეუერთებია და დაუწერია ოცმარცვლიან სტრაქონებად, ოღონდ ამ ოცმარცვლიანი სტრაქონის ბოლო ხელოვნური მუხლი გადმოფრტანია ცალკე სტრაქონად. გარეგნულად ლექსში მთლიან პროზაულ ნაწარმოებებს სახე, სადაც, თითქოს ყოველი წინადადება იწყება ახალი აზრით.

გარეგნულად შეიცვალა ჩვეულებრივი ათმარცვლიანი ჯვარდინი რითმით გაწყობილი სტროფი, მაგრამ ამ გარეგნულმა ცვლილებამ ვერ გამოიწვია ლექსის შინაგანი რიტმის საკეთილდღეო ცვლილება. პირიქით, უფრო შენედა ლექსის დინამიკა. ამიტომ ეს ლექსი გარეგნულად ხელოვნურად გაკეთებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

* გვიგეგმავს, „მზიანი დღე“, საქოთა საქართველო, 1963.

კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „სე-ზამ, გააღე!“, ახალგაზრდა პოეტი ამბობს:

მე მაქვს ჯერ ძლიერ უცნობი სახე
და ჩემნაირი ბევრი ირგევა,
მე არაფერი არა ვარ ახლა,
მხოლოდ და მხოლოდ ვარ დაპირება.

ეს ლექსი ახალი გზების ძიებაში გათვლილი ახალგაზრდა პოეტის ერთგვარი აღსარებაც არის და მხნე რწმენაც იმისა, რომ „ის დღე, რომელსაც ზემო ერწმევა, სადღაც კალენდრის ფურცლებზე მიცდის“. შინაარსის ვალმა დატყუებულა შინაირი ბავშვობის სახლები. „წინ სხვა გზებია“ და

...სულ ვიღაც უკრავს, სულ მუდამ უკრავს,
ძალიან შორს და ძალიან ახლოს.
...სულ ვიღაც უკრავს, იგი მამინაც
უკრავდა, როცა ვიყავი სუსტი.
ის ახლაც უკრავს, როცა ბავშვივით
შემოქმედების სიხარულს ეუცღა.

როგორც გრვიისა და ბრამსის მუსიკის აკორდები, მუდამ აწყდება ახალგაზრდა პოეტის ყურს მალაი პოეტიის გამოება, და თუმცა ჯერჯერობით მძლავრად ვერ დაუფლებია მათ, მაგრამ „მისთვის უცნობი“ სამყაროს შეცნობა მოუწოდებდა და ამაოდ ევედრება მუხას:

სეზამ გაიღე კლდეთა ხარხარით,
იგი მგზავრია შენთან მოსულთ,
გაუღე შენი დიდი სამყარო,
მისთვის უცნობი და გადოსნური.

როცა ამ პატარა კრებულს გადავიკითხავთ, ჩვენ ვეჭვრა ამ ლექსის პათოსისა. პოეტს უკვე აქვს საკმაოდ ძლიერი და მხველი გონების თვალი, საგანთა და მოვლენათა ხილვის თავისებური უნარი, მრავალფეროვანი, მხატვრული საშუალებანი და, რაც მთავარია, ფაქიზი ადამიანური იდეალები.

პოეტსა და ვარე სამყაროს შორის აღმართული უხილავი კვლევა. „ამ კვლევის იქით არის ცხოვრება, ჩემთვის უცნობი და იდუმალი“.

ამ კვლევის იქით ფრთხილად მალავენ ბედნიერებას ოჯახებს, ფარულს, მხოლოდ მე ვისმენ და სხვა არაფერი უხილავ სიმათა უნაზეს წყარუნს.

ოჯახის დედა ბავშვის აკვანთან ღამეებს ათეებს, ბავშვი ანახლობს და ტირის ხოლმე. ეს უმანკო ტირილი არ აძინებს ოჯახს და ლექსის ლირიკულ გმირს სიმღერასავით ესმის ჩვილის უმწურო ხმა.

„კვლევის მიღმა“ დიდი ცხოვრებაა. პოეტს დაძაბული და გამაბვილებელი აქვს სმენა და

გონებას თვალი, რათა შეიგნოს იმ ფარულ ბედნიერების საიდუმლო, რათა განიცადოს ბავშვის ხმაში უცუთესი მომავლის სიმღერა.

ერთი უსათაურო ლექსი ასე იწყება: „ო, თუმცა იგი არაფერი არ არის ზემო, მაგრამ ხელს მიქნევს მატარებლიდან და მიღის სადღაც...“ მოეშურება უცნობი კაცი შორეულ გზებზე და გზა-გზა რასაც კი ხედავს, აღფრთოვანებული ხელებს უქნევს, ესალმება და იმავე წუთს ემშვიდობება ყველაფერს ახალსა და მისთვის უცნობს, მაგრამ ამავე დროს ძვირფასსა და თითქმის დიდი ხნის ნაცნობს.

ის მიღის სადღაც და მიქნევს ხელებს,
მე მიხარია, რომ მიქნევს ხელებს,
და შენანება, რომ მიქნევს ხელებს,
ო, თუმცა იგი არაფერი არ არის ზემო.

ადამიანთა შორის ადამიანური საყვარულის უხილავი ძაღვებია ვამბული. ეს ძაღვები ყოველთვის ერთობამანეთისაყენ ეზიდება მათ. მერტრა, რომ ბევრი პირად აღ იცნოს ერთმანეთს, ისინი ადამიანება არიან და მათ ბევრი რამ აქვთ საერთო, მსგავსი ტკივილები და სიხარული, ისინი მატარებლებიდან, გემებიდან, ცის ლინტრებიდან ერთმანეთს ხელებს უქნევენ და უხარიათ, რომ ერთმანეთი დაინახეს, ენანებთ, რომ მამინევე ერთმანეთს შორდებიან.

ადამიანებისადმი საყვარული არის მთავარი მოტივი იგივე გემპქორის თითქმის ყველა ლექსისა. პოეტი იღვრის ჩიხედოს ადამიანის სულში და აღმოაჩინოს იქ „ხელუხლებელი გრძობებია“. ასეთა განზრახვით დაღ ქართულ პოეზიაში შემოსვლა, იმ პოეზიაში, რომლის ტრადიციულ ამგვარი აღმოჩენების ურიცხვი მარგალიტი ელვარებს, ახალგაზრდა პოეტისათვის მერტად გაბედული ნაბიჯია. თუმცა ის მოკრძალებით აღიარებს: „მე არაფერი არა ვარ ახლათ“. მაგრამ ამ პატარა კრებულის გადაკითხვის შემდეგ ჩვენ ვეჭვრა მისი დაპირებებსა.

იგივე გემპქორი არ არის მყვირალი ფრაზების პოეტი. ტენდენცია არ ყვირის მის ლექსში. ხშირ შემთხვევაში მისი ლექსი ფერწერული საღებავებით არის შესრულებული, მინიმუმ და ასოციაცია მთავარი პოეტური იარაღია გ. გემპქორისათვის. ამ მხრივ კრებულში ბევრი ლექსი იქცევა ყურადღებას. საიდუსტრაციოდ აქ მოლიანად მინდა მოვიყვანო ერთი მათგანი, რომლის სათაურია „აღმოსავლეთი“.

აღმოსავლეთით მიიწევს ჩრდილი,
ხეების,
სახლის,
წისკილის,
ქობის,
კვდაპრებილი ძაღლის და ძროხის,
ლობის,
სიმინდის,

გაფხორილ მიწის, საკეპურიდან წასული კვამლის, გაყვითლებული მინდვრის ბალახის, მინივალ მგზავრის და ყაბალახის, ქვებზე ჩამომსხდარ სოფლის ქალების, თვლემის, სიმშვიდის, იდუმალების მიიწვეს ჩრდილი აღმოსავლეთით.

მავრამ ზოგ შემთხვევაში პოეტი ზელოვნურად აბუნდოვანებს ფრაზას თუ მხატვრულ სახეს. მავალითად: „თოვლი, რომელმაც მიწის ნაოქვებს თითქოს საბურე გაუნახებრა“, და ჩემი ტყვისის ქსოვლებს არხებს მათი საუბრის რთული სინტაქსი“. ან და ასეთი ფრაზები: „თრთოლვა გიბერაეს ფერმკრთალ ნესტოებს“, „ბავშვობის დღეთა მღუმარებაში და ჩემს სიხმარებში შლიან იაღქნებს“.

გიუ გვიგეპკორი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც ომის შემდეგ მშვიდობიან გზაზე ჩვენს დიდ სამშობლოში სასწაულები მოახდინა. ამ თაობას პირობითად შეიძლება ეწოდოს „გაგარინის თაობა“. კაცობრიობისათვის დიდი სიღრმეობებით მოკულ კოსმოსის სიღრმეებში შეიჭრდა ამ თაობამ და ჩვენი მღელვარე ცხოვრების ყველა სფეროში ამ შესანიშნავი ახალგაზრდობის ყველა წარმომადგენელი უნდა ცდილობდეს ვაუსწორდეს ამ სიმაღლეებს.

პოეტისათვის, რა თქმა უნდა, ეს როდი ნიშ-

ნავს იმას, რომ ლექსები წეროს კოსმოსზე და გაგარინზე. „გაგარინის თაობის“ პოეტი კოსმონავტების ძლიერი ფრთებით უნდა მიისწვდეს თანამედროვე ადამიანის სულის სიღრმეებს, აღმოაჩინოს მასში ჯერ ხელუხლები მაღალი გრძობები. საამისოდ მას ფართო ასპარეზი აქვს ჩემს თანამედროვე სინამდვილეში.

„ჩვენ გვინდა გვთვოდინენ მხოლოდ გვირგვინად“-ო, ამბობს ერთ ლექსში გ. გვიგეპკორი. საამისოდ საკმაო მისამაძი მავალითებიც აქვს მის თაობას, სამშობლოსათვის თავგანწირული მამების სახით. მათი ლანდები ხშირად წამოდგებიან ხოლმე „ღეგენდებისათვის და ბავშვებისათვის“. ეს წმინდა ლანდები ხელებს იშვერენ შვილებისაყენ და კვლავ

ძირს ეცემიან, ფეხზე დგებიან და უთვალავჯერ კედებიან შერე ჩამოძონძილი დროშების ჩრდილში

სარეკენზიო კრებული გიუ გვიგეპკორის ლექსების პირველი კრებულია და ნიჭიერი პოეტი დიდი დაპირებებით წარსდგა მკითხველის წინაშე, ამ დაპირებებს შესასრულებლად ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს მუდამ უნდა ახსოვდეს გალაკტიონ ტაბიძის მხურვალე მოწოდება.

„დრო, დრო აღნიშნე“.

ლადო ხვალაბერიძე

ახალგაზრდა პოეტის ახალი წიგნი

„კარიელ აყვანს დახვდელ წუთით, ამომშრალ წყაროს ჰავადა აყვანი“ — უშუალო განცდით აღბეჭდილი ეს პოეტური ფრაზა მე მახსოვს ოთარ შალამბერიძის პირველ წიგნიდან — „ლირიკული აპრილი“. ასევე ჩემს მესხიერებაში არ წამიღია: „სიცილი, შენი ლაღი სიცილი ტოტიდან ტოტზე დაქონდა ჩიტები“.

დღეს ოთარ შალამბერიძე უკვე რამდენიმე წიგნის ავტორია. მათ შორის ყველაზე კარგ წიგნად მიიწე „ლირიკული აპრილი“ მიმაჩნია. მართალია, სხვა კრებულებშიც გვხვდება შთაგონებით დაწერილი სტრიქონები, მაგრამ პოეტური ზღუდის ის უნარი, რითაც დასახლებული კრებული ხასიათდება, შედარებით ნაკლებ დამახასიათებელია დანარჩენთათვის.

შემოქმედებით უშუალოდ, გამარჯვებულთან ერთად, ზოგჯერ მოსალოდნელია მარცხიც. ამას ვერაფერ ვერ უარყოფს. მავრამ მარცხიც არის და მარცხიც. თუ იგი გამოწვეულია უკეთესობისაკენ, უფრო სწორად, საბაღისაკენ ლტოლვით, საესებით ბუნებრივია.

ოთარ შალამბერიძე, „ჩემი ოცნების თანამგზავრი“, ლიტერატურა და ხელოვნება, 1963.

საბაღისაკენ სწრაფვით არის გამსჭვალული ლირიკული პოემა, რომლის სათაურიც, ამივე დროს, წიგნის საერთო სათაურსაც წარმოადგენს. „ჩემი ოცნების თანამგზავრი“ ნამდვილად შთაშვებდავი და ბევრის მოქმელი ნაწარმოებია, რაც არ ითქმის წიგნში მოთავსებული ლექსების უმეტესობაზე. არ ითქმის არა მარტო იმიტომ რომ მათთვის არაა დამახასიათებელი ის დამუშებარალი ლტოლვა და სწრაფვა, რაც პოემაშია მოცემული, არამედ იმიტომაც, რომ მათ სტრუქტურებში ჩვენ ვხვდებით ნაცნობ ინტონაციებს.

ეს — შენი გული გვედრება
უაღწავადებულ
(„როცა ჰყვებიან მიხაკები“).

გაუგლეჯია ცხენს მოსართავი,
მინდა უსიტყვოდ შენს წინ დავეცე.
(„განზორების დღე კიდევ შორს არი“).

მაღლი შრომისა ყველგან ტრიალებს,
არა აქვს მოკლა შემტარანს.
(„ფრთავაშლილია ხალხის ოცნება“),

კითხვობით სხვადასხვა ლექსებიდან ამოწერილ ამ სტრიქონებს და გახსენდებით ტიციან ტაბიძე. შეიძლება ყოველივე ეს სიტყვა-სიტყვით არ ემთხვეოდეს ტიციანისებულ სტრიქონებს, მაგრამ ხერხი პოეტური ფრაზის გამოთქმისა ერთი ორივე შემთხვევაში, ამას ემატება ფრაზის მუსიკალური მხარეც, რაც ინტონაციითა იგივეობას უფრო ნათესს ჰყენს.

მოდი, სიცოცხლე,

ათასჯერ მოდი

და სიყვარულზე მითხარი რამე...

(„გარბენილი ფირფიტები“).

ეს სტრიქონები კიდევ გიორგი ლეონიძის ინტონაციითაა დაღმარებული. „ლირიკული აპრილისა“ და „ჩემი ოცნების თანამგზავრის“ (იქ იგულისხმება მხოლოდ პოემა) ავტორს არ ემატება ასეთი უკონტროლო საკუთარი თავისადმი, განცხრომის, უღარდებლობისა და დარდმანდობის განწყობილებით არის აღბეჭდილი ლექსების მეორე წყება.

გადავალ ბაღში,

იქ ბევრია კაშა და ქინძი.

შუე იქნება ცხელი და ჩახჩახა.

შეიხსნი საყინძეს,

ჩრდილში წამოვწვები.

(შერე რა ჩრდილი იცის კობიტმა),

ნაიგი პიტნის სურნელს მოშობიანს,

ბაბუა — თუთუნს...

(„სოფელში“).

სოფლის ამ იდილიური სილამაზით მოხიბლული პოეტი არ იფიქრებს ქალაქში დარჩენილ შეგობარსაც:

შევალ ოთახში,

შეგობარს მიეწერ პატარა ბარათს,

სოფელი კარგია,

ჩამოდა ჩქარა!

ეს ყოველივე, ჩემი აზრით, ოთარ შალამბერიძეს ემართება მაშინ, როცა საკუთარი სათქმელი არ გააჩნია, ან როცა იგი სხვისი განწყობილებებით სუნთქავს და ცხოვრობს. საკმაოდ საინტერესო ლექსში — „ნუგეში“ პოეტი ამბობს:

თუ ყოველ სიტყვას ძალა აქვს ძელქვის,

ყოველი ძელქვა სიტყვის ძეგლია.

გულისთქვამ, შენ თუ არ დაამძევლდი,

ემებე, რაც სხვას არ უძებნია.

ეს უკვე შალამბერიძისებული სტრიქონებია,

მაგრამ მასში გამოთქმული დეკლარაცია დეკლარაციად არ უნდა დარჩეს. მეორე ლექსში თავის ლირიკულ გმირს, რომელსაც „სახელად შუაე“ პევი, პოეტი ასე მიმართავს:

შენს სახელს წვიმის სურნელი უდის,
სულში შხაუნობს შენი სახელი.

კარგია საერთოდ, ასეთი ორიგინალური და ემოციური სტრიქონებით უფრო ხშირად უნდა ამღიდრებდეს პოეტი თავის ნაწარმოებებს. სიტყვის ძალა იგრძნობა ზოგიერთ სხვა ლექსშიაც:

შენ ვერ გაიგე...

შენ იყავ ნორჩი,

დედამიწაზე ასედაც ხდებდა,

რომ სიყვარული შეკდარია ზოგჯერ,

როცა ვეზივობთ მის დაბადებას.

(„შორეული იმელი“).

კარგი მხატვრული შესრულებით კრებულში უზრდელმას იქცევენ ლექსები — „სპილოება“, „წერო“, „ის გაიხსენა“, „პატარა, ძველებურ სახლო“ და „ბაღადა ნიკო სულხანიშვილებე“. მაგრამ ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას მაინც ლირიკული პოემა — „ჩემი ოცნების თანამგზავრი“ სტოვებს, რომელშიაც პოეტი მართლაც პოეტურად მეტყველებს:

...და როგორც თევზი შვიან სილაზე,

ყელში ფართქალებს სათქმელი სიტყვა...

პოემის ლირიკული გმირი ჩქარა მატარებლით მიემგზავრება. გვერდით, კუპეში უღამაზესი უცნობი ქალია. ყოველ მის გამოჩენას პოეტი გადააყვას ამ შორეულ წლებში, როცა სწორედ ამისთანა ქალი ჰყავდა წარმოდგენილი ოცნებაში თავისი ცხოვრების თანამგზავრად. თითქოს, ის ოცნება სინამდვილედ იქცა მატარებელში. ამ ბედნიერ განცდას უფრო რომანტიკულ მიზიდველობას ანიჭებს ის გარემოება, რომ მატარებლის საბით მეთხველის ცნობიერებაში შემოღის თვითონ ცხოვრება, რომელიც შედამწინ მიიღტვის, წინ მისწრაფებს.

...და მიჭქრის ჩქარი მატარებელი

და ჩვენს ოცნებას იმედით რკალავს.

დედამიწა კი ტრიალებს ნელა,

ვეიბერთელა ფირფიტის დაბად.

ამ ფირფიტაზე რაც ცრემლი ეონავს,

საუცუნეთა მეწყერებს უდრის,

ამ ფირფიტაზე რკინიგზებს შორის

სწვრია ჩვენი კარგიც და ცუდაც.

ამ ფირფიტაზე ვიცინით, ვტირით,

ერთერთს ვხვდებით და

ერთერთს ვშორდებით;

ზოგჯერ — ვილადა არ გვაგონდება,

ზოგჯერ ვილადას არ ვაგონდებით...

აქ ნათლად იგრძნობა, რომ პოეტი კი არ ლაპარაკობს, კი არ ჰყვება რაიმე ვასართობ ზმბავს, არამედ მხატვრულად აზროვნებს და ჯანსაღ სიმბოლიკაში აყვავს ამ წუთისოფლის რთული და უაღრესად საინტერესო სინამდვილე. ყოველივე ამას უფრო მიმზიდველსა და სანდოშიანს ზღის ლირიკული გმირის ოცნების თანამგზავრი — უღამაზესი უცნობი ქალი:

ის გაღაეტონს კიბხულობს ახლა,
შორი ლაქვარდით სული ვესება...
მე დაყინებით ყურს ვუვადებ ტალღას
და ტალღა ჩემს სულს ვალერსება...

ეს უცნობი ქალი ერთ მშვენიერ დილას კუპესა სტოვებს. პოემის ლირიკული გმირი მართოდ რჩება... მაგრამ ცხოველმყოფელი ოცნება მას მართობის უფლებას არ აძლევს, ამიტომაც არის, რომ იგი მთელი სიყვარულით აბობას:

ერთი სოფლის სურათები

„სახბოთა საქართველომ“ წელს გამოსცა ოთარ ჩხეიძის წიგნი „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან“, რომელშიც სინამდვილიდან აღებული სურათები დამუშავებულია მწერლისათვის ჩვეული სტილით. კრებულის წაკითხვის შემდეგ მკითხველს არ რჩება ერთიანი დადებითი შთაბეჭდილება წიგნში შესულ ნაწარმოებებზე. ლირსებებთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ო. ჩხეიძის მხატვრული სტილი მანერტულია, რაც უკვლამსამსახურს უწევს მწერლის რეალურ შესაძლებლობებს. ორი რამ, ენის შესანიშნავი ცოდნა და ამავე დროს მისი თვითმიზნური გამოყენება, ერთმანეთის საწინააღმდეგო ემოციებს აღძრავენ მკითხველში. ო. ჩხეიძის სტილისათვის დამახასიათებელი ორივე თვისება გამოხატულია პირველივე მოთხრობაში: „შემოხამორება“.

„შემოხამორებაში“ ო. ჩხეიძე გვიამბობს მოხუც მასწავლებელზე, რომელიც მარტოღოლოდ ცხოვრობს სოფლის ვანაპირას. ჩვენი აზრით, ამ ნაწარმოების, შინაარსის ორიგინალობას არც ავტორი იტყვის. იგი ეტეობა ხატვისა და თხრობის ენაზე დააწერინა მწერალს.

ო. ჩხეიძე ჩვეულებრივ სალაპარაკო ენას, ჩვეულებრივ ქართულს კარგად იყენებს თავის ნაწარმოებებში, ქმნის ერთგვარ რიტმს და განიხილავს თხრობის ეფექტური მანერა. ილია ჭავჭავაძე, რომლის ენაც სამაგალითოა ჩვენთვის,

კვლავაც გრძელდება მგზავრობა ჩემი და გვერდში კვლავაც შენ მგველლები, თუმცა სულშიაც გახშირდა შტაბსი, სიჭაბუკეშიც კარი დარაზა; მაინც გიწამე და მუხლებს გაყრო ჩემი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრს...

პოემა „ჩემი ოცნების თანამგზავრი“ ოთარ შალამბერიძის სერიოზული შემოქმედებითი ნაბიჯია. კარგი იქნებოდა, კრებულში შემავალი ლექსების უმეტესობაც სათანადო მხატვრულ სიმძლავრეზე მდგარიყო, ამით არა მარტო პოემა, არამედ მთელი წიგნი, მართლაც ჩვენი ოცნების მუდმივი თანამგზავრი გახდებოდა, მაგრამ ოთარ შალამბერიძეს ჯერ კიდევ შემოქმედების გრძელი გზა აქვს გასაეღვლი და ზედმეტსა და უსარგებლო ტვირთს, თანდათანობით მოიცილებს იგი.

შალვა აბისულაშვილი

არასოდეს არ ეპყრობოდა მის მიერ დაგროვილ მდიდარ ლექსიკას თვითმიზნურად, არასოდეს არ ცდილა ლექსიკური ფეიერვერკების შექმნას და ხატვის დროს იყო ისეთი თხრობის მომხრე, რომელშიც სუბიექტური კაპრიზები არ იქნებოდა დაშვებული. მისხვედრია, რომ ამას ჩვენ ო. ჩხეიძის მისამართით ვამბობთ, თუმც მან შესანიშნავად იცის ქართული ხალხური სალაპარაკო ენა და ყოფა-ცხოვრებითი ელემენტები. აი ზემოთქმულის ილუსტრაცია: „საქონელი ფშვიანავს ბაყეში და სარქე ამოზურცული ზბო აქავებულ შებლს ახლის მარვილზე, ნაფაო გუხვი დამსკდარ ცერებლდან საითურებს იხსნის და თხის ქონს ისევას, წელზე ზელს ისევას, ამოიშვენს, დაწვება და ბაეშეს სახოვს, წელზე შემდექიო: მაშინლა იგრძნობს ნამდვილ დალილიობას, საბუშოოდან ზელს აღებისას ყოველთვის გულნაქული მაშინლა მიხედება, რომ ბევირ გაავეთა, და ილიმება კმაყოფრლებით. ბაეშეი მუხლებით ცურავს ბეშებზე, ის ილიმება და ილიმება“ (აღება“).

დაუბრუნდეთ ისევე „შემოხამორებას“, მოხუც მასწავლებელს არაიენა ჰყავს დამხმარე და მისი ბედი დამოკიდებულია თანასოფელელთა გუნება-განწყობაზე: ვის როდეს მოევა თავში აზრად, რომ მიეშველოს, შეშა მიუტანას, ჩხიშალი შეუგრტოს. მხხრობელიც მოვიდა ერთხელ ხასიათზე და კუნძებე მიუტანა სახლიდან, დაუჭრა, ცუცხლი დაუნძო, „ბუზარო ავბუზგუზზეთ, ოთხში ზამოთბა, სითრო იგრძნეს

ოთარ ჩხეიძე, „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან“; სახბოთა საქართველო, 1968

მოხუცის ძეგლმა, მგარამ მის თვალში იგივე სინაყლუე, იგივე ცივი ელფერი კრთოდა და მივხელი, რომ რეტილის კუნძულის ცეცხლი არ ეპაროდა იმის ვასათობად, მისი სულის ასაკი აღებლად, სულის, რომელიც ბებერ ძვლებზე უფრო სათეთი იყო. — დაახლოებით აშვეარად, ლაკონიურად ხსნის ხოლმე ო. ჩხვიძე გვირის ფსიქოლოგიას და თითქოს მისი, როგორც მწერლის, პალიტრა მეტრამეტე საუკუნისეული ფერებითაა შემოსაზღვრული. მწერალი თითქოს განგებ არიდებს თავს ახალ ფერების ძიებას, ერთდებდა ყოველგვარ მოდერნიზაციას, რაც სიყვება არ უნდა ჩუთვალათ. მოხუცი ქალის სული ნავლმოკიდებული ნაკვერჩხაღვითია, მას მოძრაობაში მოყვანა სჭირია, სულის შებერვა, და, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი არ სტრავებს მარტოდ დარჩენილ მასწავლებელს უნუგეშო მდგომარეობაში, იმის მიუხედავად, რომ მასთან ახალგაზრდები დაიწყებენ სიარულს ფრანგული ენის შესასწავლად, ნაწარმოები მკითხველს ამოიგების გრძნობას აღტრავს. სევდისმომგვრელია ეტიული „დედა“, მასში ბევრი ადამიანური სიმართლეა და შესანიშნავად არის დაწერილი.

პროზის ენა ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა უნდა იყოს, რადგანაც პროზის საგანი ცხოვრების სიმაართლის, სინამდვილის მხატვრული ასახვაა.

ო. ჩხვიძის ნაწარმოებების თითქმის ყველა სტრიქონს ერთგული, ქართული სურნელი აქვს გაჟღერაო. ამ მხრივ შესანიშნავია „ავჯანი“. სოფელში თავის ძველ სახლში, ჩამოღის მოხუცი აკადემიკოსი, ძალაგამოცლილი და განუტრუნებელი, — იქნებ მშობლიური მიწის, სახლ-კარის მადლმა უშველოს. აკადემიკოსი ათვალიერებს ოთახებს. „ისე იდგა წითელი ხის დიდი საწოლი, ისევე კრილგებდა წიბოხლართიანი თავბოლო საწოლისა, ლანდი კრთებოდა კრიალა ფერებში. წითელი ხისავე აკვანიც იქაც იდგა, აი, დედა ხელს გამოაწვედა, სახინდან გამოაყოფდა და გადაარწვედა იმ აკვანსა. ბავშვი იტრუნდა, გაინაბებოდა. დედა ისევე სახანს ამოიგებდა, ბავშვი ისევე აზმუქუნდებოდა. სახინდი ისევე გამოცოდებოდა ხელი. აი, აჰა, გამოცოდებდა... აკვანთან პატარა სკამიც იყო და იმ სკამზე ჩამოჯდა აკადემიკოსი. აკვანის კამარაზე გადასადო მკლავი, გახურებული ლოყა შეაბო ცეცხელსა, თვალნი მინაბ, დედამაც ასე იცოდა ხოლმე. ვინ იცის, რამდენჯერ შეხებია დედის ლოყა სწორედ იმ ადგილს, პო, ვინ იცის! ცოტადრო და ამავი ხომ არ უნდოდა შეიდი ვაჟიშვილის ფეხზე წამოყენებას! კამარას შეიდი მკრთალი ქვე აქდა. მეშვიდე ყველაზე უმცროსისა იყო, აკადემიკოსისა იყო“. ამ ნაწევრში იმდენია ჩვენი ქართული, ამდენიველი და

ნამდვილი, რომ გულგრილი ვერ დაჩქვება მკითხველი. სწორედ ასეთ მწერალს მოსთხოვ მერს, შეეკამათებ და გეწყინებ, თუ მის ნაწერში ხანდახან ხინჯი გამოჩნდება. აკადემიკოსთან ერთად მკითხველიც დღევანდს, როცა იგი თავისი სიყრმის მეგობარს შეხვდება. — გლეხკაცი ვერ კიდევ კარგად გრძნობს თავს, იმის რასალს ტუქში გაუჩენია და აკვანის შოფსა უნდა. საღადა უნდა წავიდეს, აქ არის აკვანი და აკადემიკოსმაც შესთავაზა. არკი ეთმობა, ემინია არაფერი აკვანს, არაფერი წაუხდინონ ამ რელივიას. მოხუცმა გლეხმა ვაიხარა, ხელი დაეგლო აკვანს და სიცილით ჩაატარა კიბეებზე. „თითქოს თვალთ დაუბნელდა აკადემიკოსს... ოთახი ხომ დაცარიელდა და დაცარიელდა, აცოვდა კიდევ, ზაფხული იყო და მაინც აცოვდა, რა იქნა ის სითხო, რა იქნა ის სისასვე? აკვანს თუ გააყვია! — პო, აკვანს გააყვია, მოიტა აკვანი, დააბრუნეთ!... დააბრუნეთ!“ აკადემიკოსი აივანზე გატუსტუსდა და ძველ მგობარს დაუმახა, მერე ისევე დაინჯდა და ისლა უთხრა ტუქისცალი ბიჭი ჩააწინეთ აკვანშიო. მოხუცი მიუხედა ყველაფერს, მგარამ მაინც წაიღო აკვანი, უარც რომ ეთქვა, აკადემიკოსი ძალით გაატანდა, ხოდა, წაიღო აკვანი მოხუცმა გლეხმა... აკადემიკოსი გამოფხინლდა და პირველად ექში ვაარჩია, ოთახში წამლების სუნი იდგა.

მოსარჩენად ჩამოვიდა სოფელში აკადემიკოსი, მგარამ აქ სულ სხვა ძალამ, შთამომავლობის ვაგრძელების მადლმა, ცხოვრების ცხოველყოფილობამ და ადგილის დედის სულმა დაჰაჯრა.

ფილოსოფიური ჩასათისაა მოთხრობა „მიწა“. მასში აზრი მშვენიერ ენობრივ საშოსელშია გახვეული. ო. ჩხვიძე სიტყვას მაქსიმალურსა მამუშაოს ასრულებინებს. შესისხლორცებული აქვს სიტყვის ძალა, მისი გამოშხატელობითი უნარი: „ცისმარე დღე, სამხრობის შემდეგ, როცა მზე დაიწვეს, ხილნარის ჩრდილი ჩამუქებს მობიზინე სამყურას და ლიახვის ნიავე საგანმონი ვახდება, პატარა ბილიკზე, რომელი ჩემი საკმლის წინ მოსრილგებს ვარდის ბეჩქთა შორის, ილიკო გამოჩნდება ბზის კომბლით ხელში. ყოველთვის მშიმე ნაბიჯთ შოდის ილიკო, ბზის კომბალს შოარაყუნებს, ხან თურაშაულის ფოთლებს ჩამოყენწლავს და თან მილილინებს ყოველთვის იგივეს, ისეთი მინაბუბული ხმითა, თითქოს სულიერთა ყურს არიდს სწორად. (ხეალ უსათუოდ“).

რა თქმა უნდა, სინატერესოა, თუ რა თემები აინტერესებს მწერალს, როგორია მისი პოზიციო, როგორ ხატებს სინამდვილეს, ებრძვის თუ არა უკეთურობას და, საერთოდ, რას აცსრებს თავის კალამს.

ო. ჩხვიძის წიგნის სათაური „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან“ უკვე იმახ ნიშნავს, რომ წიგ-

ნის თემატკა ერთგვარად შემოსაზღვრულია. მაგრამ მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის ნაწარმოებებში გამოყვანილი გმირები უაღრესად თანამედროვენი, ტიპიური და „ჩვენებურები“ არიან. უნდა ვთქვათ, რომ თემები, რომელთაც ო. ჩხეიძე ამუშავებს, შინა-ღამაინც სიახლეთ არ გამოირჩევიან, მაგრამ მწერალი ახერხებს მათ დაძლევის და სახეთა სრულყოფილად წარმოდგენას, რა თქმა უნდა, ამაში ავტორის ისევე და ისევე დიდად ეხმარება მის მიერ ქართული ენის შესანიშნავი ცოდნა. ეტიუდებში და წერილ-წერბო მოთხრობებში, შართალი შედარებით ძნელად, მაგრამ მაინც გამოიყვანება მწერლის პოზიცია. ო. ჩხეიძე აკვირდება სინამდვილეს, სწავლობს ცხოვრების სიბრძნეს და თავის წილს არ ეუარგავს სასაცილოს თუ სატირცლს. მწერალს ამორჩეული უნდა ჰქონდეს ადგილი, საიდანაც სინამდვილეს უყურებს, — რიყენაციის ეფექტურობისათვის. არის დიდი ნაწილი მწერლებისა რომლებიც სინამდვილეს მიუდგომლად ხატავენ — ასეთად გვეჩვენება ო. ჩხეიძის მწერლური პოზიცია. ო. ჩხეიძე შესანიშნავად არჩევს სასაცილოს, იგი არ აფარებს ხელს ცუდს და ცუდობას. მის დღის სინათლეზე გამოტანას მისი ენა იუმორისთვისაც და გროტესკისთვისაც საკმაოდ ფხიანია და ძარღვიანი. ამის დადასტურებაა მოთხრობა „იღუმალა“. იღუმალა სოფლის სახელია. ამ სოფელში თითქმის ყველაფერს „იღუმალა“ ჰქვია. იღუმალელი მასწავლებლები ჩაკირკიტებენ ამ დიდ ამოცანას. თავს შეგავჯარებენ იუმორისტული სახეები: გეოგრაფიის და ისტორიის მასწავლებლების, სკოლის დირექტორის. იღუმალელებს ერთი ჩვევა ჰქონდათ, შევიბრებას შართაუდენენ—ინ პირველი მიეა იღუმალიდან სოფელ საღუმა-

ლამდევ. უკანასკნელი შევიბრებებს დრის ორი ბიჭი დაკარგა, ძებნა დაუწყეს. ვერ პოულავენ, თუმცა მთა შემოიხრინეს და ზუნკე არ დატოვეს გაუჩხრავაი. ვილაკამ, შეწიხვე ვით თქვა მთაზე, „გავარდევო...“ — და რაღაც აწყრაილდა იღუმალაშეების წინაცრულ გონებაში. აწყრაილდა და მიჰქრა, ისევე აწყრაილდა, ალოლილდა იღუმალაანთ ასონაი, იქ კეთა მოიფხანა, აქეთ შუბლზე იტკიცა ხელი, თვალეზი მოჭუტა, გაიანაბა და როგორც იყო ამოღერდა შიშიმე-შიშიმეა:

— ევრე გამოიგონია... როგორღაც გამოიგონია. საღუმალაშიდა ვეირაბი ყოფილაო, სისხლის წვიმების ღრსაო“. — ამის გავონებაზე აწყრაილდა დირექტორი, სხეებიც აფორიაქა, გამოიწიეს სასულულოგები და მთაში შართლაც აღმოაჩინეს უშველებელი გვირაბი. გვირაბში დაკარგული ბიჭები მიეუნწულაყვენენ, ნაწარმოებში გამოყვანილი გმირები ცოტა უნილები, ცოტა მოუხერხებელ-მოუქნელი და მორჩინოვნიყონ არიან. — მათ არ მოაქვთ საზოგადოებისათვის რაიმე ვარკვეული ზიანი, მაგრამ ვერც სამსახურს ვაუწყვენ მას. მათ აკლიათ დამოუკიდებლობა, საზრიანობა.

მშვენიერა ეტიუდია „მწყერი“. „სიმინდში მიღვლიათ, მაგრამ თითქოს წვიმაში მიეტოვათ, ნაშით ავსებულა სიმინდი და, რომ ვებლებით, დის და დის ნაში წვიმასავით...“ — ასე მშვენიერღლად დახატულ სურათებს ხშირად შეხვდებით სხვა ეტიუდებშიც. რომლებიც ჩვენ ზემოთ არ დაველისებულა.

ო. ჩხეიძე მოვალეა ფართო ტილოების შექმნისა. საამისოდ მას, როგორც მხატვარს, ყოველგვარი შესაძლებლობა გააჩნია.

ხ. ჩიბაძე

პეტრე შალიკაშვილი

რეზო ჭიჭინაძის ნაშრომი „პეტრე შალიკაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოსცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ, მოგვითხრობს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ვარგად ცნობილი პეტრე-პროზაიკოსის და საზოგადო მოღვაწის პეტრე შალიკაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

პეტრე შალიკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა უმოთხარესად მოსკოვში მიმდინარეობ-

და. იგი მაშინდელი რუსეთის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. რუსული ლიტერატურის ისტორიაში პეტრე შალიკაშვილი ცნობილია, როგორც პოეტი. პროზაიკოსი, მთარგმნელი, კრიტიკოსი და ლიტერატურის მსტორიკოსი. საინტერესოა აგრეთვე მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი ეურნალისტური მოღვაწეობა.

პეტრე შალიკაშვილის პაპა თავადი დიმიტრი შალიკაშვილი 1724 წელს ვახტანგ VI აშალას ვაჟევა რუსეთში. პეტრეს მამა ივანე შალიკაშვილი ქართველ ჰესართა პოლკში მსახურობდა, ხოლო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ პოლ-

რეზო ჭიჭინაძე „პეტრე შალიკაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამომცემლობა, 1968.

ტავია გუბერნიის, დაბა სანდონარში დასახლებულა.

პეტრე შალიკაშვილიც ჯერ ჭარში მსახურობდა და პრემიერ მინისტრის წოდებამდე მიუღწევია. მან დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, სტუდენტობის დროს იგი ძალიან ბევრს წერდა და ვარჯიშობდა ლიტერატურის ყველა ჟანრში. პეტრე შალიკაშვილია ჯერ კიდევ 1798 წელს გამოაქვეყნა თავისი ლექსების პირველი კრებული სახელწოდებით „თავისუფალი შვიკანების ნაყოფი“, ხოლო 1802 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების ახალი კრებული „ვრჯაიის ყვავილები“. აღნიშნული კრებულით პ. შალიკაშვილი გვევლინება, როგორც რუსული სენტიმენტალისტური პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

1814 წელს პ. შალიკაშვილია გამოაქვეყნა წიგნი „კუნძული ელბა და ახალი სანქო-პანსო“.

პ. შალიკაშვილია ორჯერ იმოგზავრა უკრაინაში. ეს მოგზაურობა მან დაწერა ორ წიგნად — „მოგზაურობა შალკოროსიაში“ და გამოაქვეყნა 1803 წელს. „შალკოროსიაში მოგზაურობაში“ დიდი ხაზური გამოიწვია იმდროინდელ შერინალ-ვახუთეშში. თითქმის ყველა ეურნალმა დაბეჭდა რეცენზიები; აქედანვე შალიკაშვილის ნარკვევებს — მის ენას, სტილს, მხატვრულ გამოთქმებს, ფრაზათა უმაღლეს დახვეწილობას, ხალხური თქმების სიუბეჭეს, რიტორიულ მსჯელობებს, ახრთა საბამოვნო წყობას და სხვა.

1806 წელს შალიკაშვილია დაათვალიერა კრონშტადტი და გამოაქვეყნა ნარკვევი „მოგზაურობა კრონშტადტში“. აღნიშნულმა ნარკვევებმა თანამედროვეთა კარგი შეფასება დაიმსახურა. 1815 წელს შალიკაშვილია გამოსცა წიგნი „აზრები, ხასიათები და პორტრეტები“.

პეტრე შალიკაშვილის, როგორც სენტიმენტალისტ მწერალს, აღამიანში ყველაზე მეტად იტაცებდა მგრძობებლობა. აღამიანი, რომელიც მგრძობებლობის მოკლებულია, შალიკაშვილის აზრით მოკლებულია აღამიანობასაც. ეს თავისი შეხედულებები მწერალმა მხატვრულად გადმოსცა თავის ლექსებსა და მოთხრობებში.

1819 წელს გამოვიდა პ. შალიკაშვილის რჩეული თხზულებები ორ ნაწილად: მკითხველმა საზოგადოებამ გულთბილად მიიღო სენტიმენტალისტური მწერლის ახალი ნაწარმოებები.

„თავად შალიკოვის მოთხრობები და ლექსები, — წერდა ი. გრეზი „რუსული ლიტერატურის სახელმძღვანელოში“ 1822 წელს, — მოწონებას იმსახურებენ თავიანთი ღრმა გრძობებით და ფაქიზი ლიტერატურული გემოვნებით. ავტორი ახერხებს დაინტერესოს მკითხველი მშვენიერი ენა და მიწიხდევლი შინაარსი მხარ თხზულებების ღირსებას შეადგენენ“.

პეტრე შალიკაშვილის საბელი მთელ შამინდელ რუსეთში ჰქუხდა. თეთთან გოგოლი, რომ-

ლის ნიჭი ასე დიდი პოპულარობით სარგებლობდა, შალიკაშვილიან დამეგობრებას ნატრობდა.

შალიკაშვილის ლიტერატურულ სენტიმენტალისტურ მართლაც დიდი იყო. მისი სენტიმენტალური მოთხრობები და ლექსები მრავალიცხოვან მკითხველთა მოწონებას იმსახურებდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსული სენტიმენტალიზმი თავისი განვითარების ზენიტზე იდგა — მთადაში იყო კარამზინის „საბრალო ღიზა“ და მსგავსი სხვა მრავალი სენტიმენტალისტური ნაწარმოები.

დიდი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი თავის ნაწერებში ხშირად იხსენიებს შალიკაშვილს, ზოგჯერ დაუნდობლად, მაკარად, ზოგჯერ კი ლმობიერად, მაგრამ დიდი კრიტიკოსი მაინც სათანადოდ აფასებდა პეტრე შალიკაშვილის ღვაწლარუსული ლიტერატურის და განსაკუთრებით, რუსული ეურნალისტრიკის განვითარების საქმეში. ბელინსკი შალიკაშვილს „მგრძობობიერ მწერალს“ უწოდებდა, იწუნებდა მის ცრემლიან სენტიმენტალისტურ ნაწარმოებებს. „ეს კრემები, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, შტირალაში ხშირად აფუქებს მისი ბიოგრაფიის საუკეთესო ფურცლებს“ — ამბობდა დიდი კრიტიკოსი.

იმ ჭარბველ ემიგრანტთა შორის, რომელთაც ახლოს იცნობდა პუშკინი და რომლებთანაც მეგობრობდა დიდი პოეტი, პირველი და სასატიო ადგილი პეტრე შალიკაშვილს ეკუთვნოდა. შალიკაშვილი პუშკინის ბავშვობიდანვე იცნობდა და ახლოს იყო პუშკინის ოჯახთან.

პეტრე შალიკაშვილი პირველი მიესალმა პუშკინის ბრწყინვალე პოეტური ნიჭის გამოჩენას რუსულ პრესაში და აღფრთოვანება გამოთქვა ახალგაზრდა პოეტის „ღეთაებრივი“ ნიჭის გამო.

როდესაც 1825 წელს გამოქვეყნდა „ვეკენი ონგინის“ პირველი თავები, შალიკაშვილია თავისი „დამსკი ფურნალის“ ერთერთ ნომერში დაბეჭდა საკუთარი ვრცელი წერილი, სადაც ახლად გამოაქვეყნებული პოემის პირველი თავები „ღეთაებრივი ქმნილებად“ აღიარა.

ხოლო პუშკინი თავის მხრივ თავის წერილებში ხშირად იხსენიებდა შალიკაშვილს, როგორც „საუვარულო პოეტს“, „ნამდვილ პოეტს“, „პუშკინის ბელოვანს“, „აღდებულ აღამიანს“ და სხვ. ყველაფერი ეს სათანადო ფაქტობრივი სასაბუთო ილუსტრირებული სარეცენზიო წიგნში.

პეტრე შალიკაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე სამამულო ომის პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელ დენის დავილოვთან.

პეტრე შალიკაშვილი ეწეოდა აგრეთვე საყოფიერო მთარგმნელობით მუშაობას. 1816 წელს მან თარგმნა და გამოაქვეყნა შატობრიანის „მოგონებები იტალიაზე, ინგლისზე და ამერიკაზე“, 1817 წელს თარგმნა და გამოაქვეყნა ჟანლისის „პენრი დიდის ისტორია“. 1820 წელს გამოვიდა შალიკაშვილის მიერ ფრანგულიდან თარგმანილი

უცნობი ავტორის წიგნი „ლექციები, ანუ ადამიანი გენოსის შეილი“. ისე, როგორც შალიაშვილის ორიგინალური ნაწარმოებები თარგმანებით დიდი პოპულარობით და პატივისცემით სარგებლობდა.

პეტრე შალიაშვილის ლიტერატურული შემოქმედება და ეურნალისტური საქმიანობა შეტად მრავალფეროვანია. სახეცენზიის ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დამოუკიდებელი ავრეთვე, როგორც ეურნალის — რედაქტორის, გამომცემელ და საზოგადო მოღვაწის. პეტრე შალიაშვილი 25 წლის მანძილზე შეუცვლელად რედაქტორობდა იმდროინდელ რუსეთის ერთერთ სერიოზულ და ცენტრალურ პერიოდულ-ოფიციალურ ორგანოს — „მოსკოვსკიე ვედომოსტს“.

„მოსკოვსკიე ვედომოსტსა“ შალიაშვილის რედაქტორობის პერიოდში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსული საზოგადოებრივი აზროვნების და რუსული პროგრესული ეურნალიისტიკის განვითარების ისტორიაში. მასში იბეჭდებოდა განხილული პოლიტიკური და ლიტერატურული ხასიათის სტატიები, რაც თავის დროზე უფრადლებიდან არ გამოჩნდებოდა ქანდაკების და თავის საიდუმლო მიმოწერაში შალიაშვილის აცხადებდნენ, როგორც თამაში აზრებისა და თვითმპყრობელობისათვის საშიშ პიროვნებად.

პეტრე შალიაშვილი სცემდა და რედაქტორობდა აგრეთვე პოპულარულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ეურნალებს — „მოსკოვსკიე ზრიტელის“, „ავღლის“, „დამპი ეურნალს“. დაუღალავად მოღვაწეობდა იმდროინდელ რუსულ პრესაში, მონაწილეობას იღებდა ლიტერატურულ აღმანიშნებებში და სხვ.

შალიაშვილი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც კარგი ეურნალისტი და საერთაშორისო საქმის საუკეთესო მცოდნე. ყველა, ვინც კი საუკეთესო ეურნალის გამოცემას უაპირებდა, ჯერ შალიაშვილთან მიდიოდა ეურნალის გამოცემისა და ბეჭდვის ორგანიზაციის პრაქტიკული საკითხების შესასწავლად.

არა მარტო პეტრე შალიაშვილი, არამედ თელი მისი ოჯახი, იმდროისათვის საკმაოდ გ-

ნათლებული ყოფილა და ეწეოდა ლიტერატურულ-ეურნალისტურ მოღვაწეობას. მათად ცნობილი მწერალი, ეურნალისტი დ. ს. ხუბოვალი მოღვაწე იყო აგრეთვე პეტრე შალიაშვილის უმცროსი ქალიშვილი ნატალია. რუსული ეურნალისტიკის ისტორიაში იგი ითვლება პირველ რუს ეურნალისტ ქალად. ნატალია შალიაშვილის მოთხოვნებზე და რომანებზე იმდროინდელი სალიტერატურო კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დიდად განათლებული და საკმაოდ ნიჭიერი მწერალი იყო აგრეთვე პეტრე შალიაშვილის და ალექსანდრა შალიაშვილი. იგი რუსული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, როგორც კარგი მთარგმნელი. ალექსანდრა შალიაშვილი ფრანგულიდან თარგმნა მრავალი ლექსი და მოთხრობა, რომლებიც იბეჭდებოდა იმდროინდელ ეურნალ-გაზეთებში.

ნაშრომში მრავალი საინტერესო ადგილი მოტანილი პეტრე შალიაშვილის პიროვნების შესახებ.

თანამედროვეთა დახასიათებით პეტრე ივენსძე შალიაშვილი იყო უკეთესობობილი, უბატიონსენი ადამიანი, მეტისმეტად ამყოლი, გულუბრყვილი, მიმდნობი და დიდოს პოპულარობით სარგებლობდა მოსკოვის იმდროინდელ ბრწყინვალე საზოგადოებაში.

რეზო ქვიჩინაძის ნაშრომი „პეტრე შალიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ საინტერესოდ იკითხება, მასში მრავალი საინტერესო ხასიათის მასალა მოტანილი, რომლითაც ავტორი ცდილობს ქართველ მეტოხველ საზოგადოებას გააცნოს მე-19 საუკუნის პირველი ახვეურის რუსეთის გამოჩენილი ეურნალისტიკისა და მწერლის პეტრე შალიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ადრინდელი ნაშრომი კარგი შენაძენია რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შემკვიდრების შესწავლის დარგში.

მ. შავაშელაშვილი

საგავერო ლექსების კრებული

გამომცემლობა „ნაჯადუმა“ არა ერთხელ გაახარა პატარა მკითხველები შესანიშნავი წიგნებით. ამჟამადაც ჩემი ყურადღება მიიქცია ცინფურდანმა წიგნმა, რომლის ფონზე მოხატულია ცხოველები, და ბავშვის მონდომებულ ბელთ დამწერილი, „წია, წია-პაწია“. ეს მეც შემიძლია დავხატო, — წამოიძახა პატარა

თემურაზმა და მოვიდა თუ არა შინ, თავის სახატავ რეველში ცხოველების კონტურები მოხაზა. რა ვუყოთ, თუ ხასიათები ავტორიგად არ გამოუვიდა. თემურაზმა-მანაც კმაყოფილი დარჩა.

ავტორი ამ წიგნისა — გივი ქვიჩინაძე, დიდი ხანი არაა რაც ზადგა ქართველ საბავშვო მწერალთა რიგებში. მის ლექსებს ვკითხულობთ „პონერში“, „დილაში“, „საქართველოს ქალში“. უფრო დავიკრებოთ ჩვენ მის გაეყენით

გივი ქვიჩინაძე, „წია-წია, პაწია“, „ნაჯადუმა“ 1963.



კრებულში, სათაურით: „მეგობრები მოდიან“ („ნაჯადულს“ გამოცემა); სადაც მკითხველებმა, საბავშვო ლიტერატურის მოყვარულებმა მასში მომავალი კარგი მწერალი დაინახეს.

რა იზიდავს ამ ახალ კრებულში ბავშვებს:

ლექსები თავისუფლად, უშუალოდ შიღის პატარა ბავშვის აღქმადის, — ინტერესით უსმენენ და ადვილად იმასსივრებენ, არსად გვხვდებიან აქ მშრალი დიდაქტიკა, — ე. წ. დიდაქტიკური რიტორიკა. სურათებითა და სახეებით არის გადმოცემული საჭირო აზრი, იდეა; ამ წიგნში ვერ ნახავთ ასაკისათვის შეუფერებელ ლექსს. მასში ფსიქოლოგიური სიშართლე, მხატვრულობაა დაცული, თორემ ხდება ხოლმე ასეთი: პატარებს აწერენ დიდის თვისებებს და ეს მიზნით ბავშვის ქვეყისა და სიბრძნის გამოხატულებად; არსად გვხვდება ბუნების პლასტიკური მხარის აღწერები შალღფარდოვანი კოლო. — მხატვრული სისადავეა ამ ლექსების დამახასიათებელი.

საერთოდ ისიც ხდება, რომ პოეტი ლექსში ერთსა და იმავე ლირიულ მონახაზს იმეორებს სხვადასხვა ვარიაციებით. ხსენებულ წიგნში პატარა მოძულანის ლირიული ლექსებია შესული და ბავშვიც ადვილად ითვისებს მათ; პატარა პოემებს — „ძია ბეჭემოს“, „ქეტკალიას თავგადისაველს“, „წენია ნემსს“ ბგერების ისეთი წყობა აქვთ, რომ მოძრაობის რიტმს გამოხატავს. ხსენებულ წიგნში ლექსებს ყველგან ახასიათებს ენის სიწმინდე, სიტკბო, სიღბო, რაც ყველაზე მეტად სჭირდება საბავშვო მწერალს. მოზარდი იმთავითვე უნდა დაეწაფოს სწორ კართულს, შეიტკბოს და შეისისხლხორცოს იგი; გვიტკინადის ლექსებში არსად არ არის მიშველი ნატურით ცხოვრების უარყოფითი სახის ჩვენება, რაც ხშირად სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იღებს ხოლმე: პატარები ადვილად ბაძავენ მას.

საილუსტრაციოდ შევხებით ზოგიერთ ლექსს.

ლექსში „ქრისტინე ბებია“ აღწერილია მოხუცი ქალის გულბრუნელობა ხალხურ პოეტური მელოდებში აძლევს ამ ლექსს სისადავესა და უშუალობას, ამიტომაც მოხუცა პატარა თემურაშმა: კიდევ წამიყთხე — „ქრისტინე ბებიაო“, და მეც საიმოვნებით უმეორებდები:

„ღელღელ სიარულში
დავღამებიაო,
ცალი წულა დაგეარგავს,
ცალით მიდიხარო“...

ხალხური ლექსის არომატი იგრძნობა სხვა ლექსებშიც: „აღიასა, ბაღიასა“.

„ჩვენც გვიყიდეთ ბაფთები“ — ტყუილი ამეგებაა, — ყველა ერთნაირად მოითხოვს — მოუხდება თუ არ მოუხდება — აყიყინდნენ ბატებიც:

„ბაფთებს თუ არ გვიყიდით,
სახლში აღარ დაგვხვდებით,
ტყისკენ გავემართებით,
მეღობის გავხვდებით“.

მართო ღრუბრეა მიხვდა შეუსაბამობას:

არ მიწდაო ბაფთები,
ბაფთები რომ მიყიდოთ,
ლაფში ველარ ჩაეწები“ („ბაფთები“)

აგერ „ქირკიტელა კაკალი“ — თითქმის მაგარი, გაუტყუელი. ბავშვებმა მის გასატყუად მოიწყველეს კილი, ქვა, ფილაქვა, — ბოლოს — უროც. და აი, რა მოხდა:

„მოლად ფტერო გამოდგა
ქირკიტელა კაკალი“.

აგერ მწვანე ტანსაცემლიანმა ასენიკლით მბტუნავმა კეტკალიამ მოიპოვა დიდი ყანა — მარცვალ-მარცვალ გასაცელი“.

„ქეტკალია, კალია
როღი იყო ლაჩარი,
თავს ჩაქქანი დაეხურა
ფრთებსქვეშ ქონდა ხანჯალი“ და სხვ.

კალია ნასახლდა დიდ ყანაში, თავზე ოქროსთავიანი გვირგვინი დაიდგა, მთელი ყანა დაიმკვიდრა, მეფური ეტლში შესაბმელი ოთხი ცხენიც შეიძინა, მაგრამ აი, დადგა მუქთახორის აღსასრული და მოწაფეები, ყიყინით მოედღნენ ყანას:

დაიჭირეს, ვათოყეს,
მიუსაყეს საპყრობილე
და თამბაქოს ძველ კოლოფში
თავი ამოაყოფინეს.

წიგნის „წია წია, მაწია“ შინაარსს ავსებს და ამრავლფეროვნებს ასეთი ლექსები: „ტყუილი თუ მართალი“, „გამოიციან რა ჰქვია“, ეს ლექსები გონებისა და ენის კარგ საეარჯიშოდ შეიძლება მივიჩნიოთ.

გამოცანების შედგენა პატარებისათვის არც თუ ისე ადვილია, — საჭიროებს ბავშვის ბუნების ცოდნას, საგნებში, გარემოში გარკვევას.

ორი კარი გაუტყუეს
ერთ პატარა ბინას,
ერთი ზომის ცის ბინადრებს
ერთ საწოლში სძინავთ“.

ასეთი გამოცანები გონებას უფარჯიშებს ბავშვებს და უფითარებს მოსაზრების უნარს. მისასაღმებელია ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის ასეთი მოქნილი, სხარტი, სადა ენა და კოლო,

რაც საერთოდ ხალხურ გამოთქმებსა და, ერთ-
ძოდ, ანდაზა-გამოცანებს ახასიათებს:

წყალში გალობს
მგალობელი,
არაეინ უყავს
მადლობელი“.

პატრონს შემოქმედებითად დადიოქორეს ასეთი
გამოცანები. ასეთი გამოცანები კი ხეივანულ
წიგნში ოცდაცამეტია.
წიგნის მხატვრული გაფორმება (მხატვრული
მელქიშვილი) ორიგინალურად შეესაბამება
თვითველი მასალის თემას და შინაარსს.

ბაბო მადლობელი

საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები

ათეული წლების მანძილზე მღვიმეთა კვლევას
საქართველოში ცალკეული სამეცნიერო დაწე-
სებულენაი თავიანთი სპეციალური ინტერესე-
ბისა და მიხედვით აწარმოებდნენ; 1958 წ. კი სა-
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრე-
ზიდიუმთან ჩამოყალიბდა სპელეოლოგიური კო-
მისია, რომლის მეოხებით ეს ერთგვარად „პარ-
ტიზანული მეთოდი“ მალე გადალახულ იქნება
და ქართული მღვიმეთმცოდნეობა, უნდა ვიფიქ-
როთ, სხვა მოწინავე სამეცნიერო დარგებს შო-
რის თავის ღირსეულ ადგილს დაიკავოს. ამას
საწინდარია აღნიშნული კომისიის მიერ ფარ-
თოდ გამოცემული სამეცნიერო-ორგანიზაციული,
სამეცნიერო-კვლევითი, საკოორდინაციო და
პრაქტიკული მუშაობა და გამოშვებული კრე-
ბული „საქართველოს მღვიმეები და გამოქვა-
ბულები“.

კრებული იხსნება ლ. მარტაშვილის გამოკვ-
ლევით; დასავლეთ საქართველოს კარსტული
ზოლის გეოგრაფიული და სპელეოლოგიური
დახასიათების ცდა. ნაშრომში ავტორი საქარ-
თველოს შეიწყალისათვის გამოყოფს კარსტის
სამ ძირითად განსხვავებულ ტიპს: 1. სწრაფიზე-
ვებადი კარსტული მასივების კარსტი, 2. ნელ-
ზევებული კარსტული მასივების კარსტი, 3. კონ-
გლომერატების, ქვიშაქვებისა და ბრეჭილების
კარსტი (კლასტოკარსტი). ამ მორფოლოგიურ
ტიპებზე დაყრდნობით ავტორი იძლევა მთელ
დასს საქართველოს კარსტული ზოლის დაყო-
ფას ზონებად და რაიონებად. ყველა ეს რაი-
ონი განზღუდულია მათი გეოლოგიური აღნაგო-
ბის, მორფოლოგიის, ლანდშაფტისა და ჰიდრო-
ლოგიური პირობების თვალსაზრისით; მოცემუ-
ლია მათი სპელეოლოგიური შესწავლის მკლუ-
ბატორია და დასახელება მომავალი კვლევა-ძიე-
ბის ამოცანები ამ დარგში. ავტორი ვრცლად
განხილავს განსაკუთრებით საინტერესო კარს-
ტულ მღვიმეებს (მაგ., აბრსკიკლის მღვიმეს აფ-
ხაზეთში) და ხაზს უსვამს მათ შორის ისეთების
მნიშვნელობას, რომლებშიც პირველყოფილი

კულტურის ნაშთები იყო დადასტურებული (სა-
კაქია, დვეისხერცილი, საგვარჯალე, კელარო 1,
წონა და სხვ.).

შ. ყიფიანსა და ზ. ტინტილოზოვის მონოგრა-
ფიულად აქვთ აღწერილი საქვეყნოდ ცნო-
ბილი სათაფლიისა და აგრეთვე წყალტბოს
მიდამოების მღვიმეები (ავტორები მათ, ჩვენი
აზრით, უმართებულად, გამოქვაბულებს უწო-
დებენ). ამასთანავე მოცემულია ცდა ამ კარს-
ტულ სიღრუვეთა დაკავშირებისა მხარის მდინა-
რეულ ტერასებთან, რაც, ჩვენი შეხედულებით,
აღნიშნული კოლექტიური ნაშრომის არსებით
მომენტს წარმოადგენს. ზ. ტინტილოზოვის მი-
ხედვით იგივე არ შეიძლება ითქვას ვრუშულს
ხეობის კარსტული მღვიმეებისა და ყვირილს
და მისი შენაკადების ტერასების ურთიერთდა-
მოკიდებულების შესახებ, სადაც ანეთ კანონ-
ზომიერებას არ უნდა ჰქონოდა ადგილი აღმა-
ვალ ტექტონიკურ მოძრაობათა შორის მცირე
ხანდაზმულობის გამო.

დ. კობახიძე ნაშრომში: „საქართველოს
სსრ სპელეოლოგიის შესწავლის ზოგიერთი შე-
დეგი და ამოცანები“ აქამებს საქართველოში
მოპოვებულ საყმაოდ მდიდარ მღვიმურ ცხო-
ველთა შესწავლის შედეგებს, იძლევა მღვიმეში
ფაქტურად მოზინადრე ცხოველთა განვითარე-
ბის სურათს და ასვენის, რომ ჩვენში აღიარე-
ბულ სახეობათა უმრავლესობა აქაური „მღვიმე-
ების ენდემური ბინადრებია, ზოლო ნაწილი სამ-
ხრეთ ევროპის ქვეყნების სპელეოფუნის ანა-
ლოგს წარმოადგენს“ (გვ. 83). ეს ფაქტორული
დასკვნა უაღრესად საინტერესო ჩანს კულტუ-
რის ისტორიკოსებისათვისაც, რომელთა უმრავ-
ლესობას მიაჩნია, რომ საქართველო-ყვასიისა
და ხველთაშეზღუდვის აუზის ქვეყნების, მათ შო-
რის, სამხრეთ ევროპის პალეოლითური კულტუ-
რის ძველები აბლო ენათესაებებიან ერთმეო-
რეს.

თ. კიკნაძის ნარკვევში აღწერილია არა-
ბიკის კარსტულ მასივში მიკვლეული, ვახუშტი
ბაგრატიონისა და მარტელის სახელობის უფს-
კრულთა მგზობლად მდებარე, ავტორის მიერ
„ვიწრო მღვიმედ“ სახელდებული ქეზიანი
მღვიმე, რომელშიაც ავტორს თავის კვლევებ-
თან ერთად 1961 წ. ზაფხულს 100 მ სიღრმეზე

„საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემი-
ის სპელეოლოგიური კომისიის კრებული 1, სსრ
მეცნიერებათა აკადემია, 1963.

ჩაუღწევია, გამოქვეყნებია იგი 150 მ სიგრძეზე, ზოლი შემდგომი შესწავლა მომავლისათვის გადაუდგია. ახლავს სპეციალისტის ამ ნაშრომს გარკვეული წილი შეაქვს ვაგრის რაიონის, კერძოდ, არაბუჯის კირქველ მასივებში ვაგრცულბუბო კარსტული უცსკრულების შესწავლის საქმეში.

წიგნის ძირითადი განყოფილებების მეორე ნაწილი იწყება გ. ვაგრიანაშვილის საქმიანობის ვრცელი სტატიით „XI-XII სს. ანანურის კლდის სოფელი ვარძიის ქვაბთა ანამბლში“ ავტორის მიხედვით, ანანური ეწოდება ვარძიის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მოქცეულია სამარჯოსა და მისგან დასავლეთით გვირამში გამავალ სარწყავ არხს შორის. იგი დიუვრალეებით იხილავს ამ მონაკვეთზე არსებულ ქვაბსაცხოვრისებს სამშენებლო-ბუნებრივმოძღვრული თვალსაზრისით, უხვად იშუვლებს ეთნოგრაფიულ მარალეებს, წერილობით საბუთებს, კედლის მხატვრობისა და არქეოლოგიური ხასიათის მონაცემებს და ისტორიული რეალობის გათვალისწინებით ვარძიის ქვაბთა ანამბლში გამოიყოფს დანიშნულებითა და ხნოვანებით ერთმეორისაგან განსხვავებულ ორ ელემენტს: ა) ანანურის კლდოვან ნასოფლარს (რომელსაც ავტორი XI-XII სს ათარილებს) და ბ) მონასტრის (ვარძიას), რამდენადაც მოგვიანო ხანისას (XII-XIII სს.).

უნდა აღინიშნოს რომ განვითარებული პოლემიკური ტონი, რომლითაც იგი ზოგიერთ ზეგნს მკვლევარს სქოლოვებში ეკამათება და ამ უკანასკნელს დამახტურების ნეგატიური შეფასება ამ ნაშრომს არ შეეფერება.

ხელოვნურ ქვაბთა შესწავლისადმი მიძღვნილი დ. მისხელიშვილის სტატია „ქობთავის გამოქვაბულები“ აღნიშნული სახელწოდების გამოქვაბულთა (ძველქართული „ქვაბთა თვის“) კომპლექსი, რომელიც მდ. ივრის ზემო წელში, იალნოს ქედის ერთ-ერთი განშტოებას სამხრეთ ფერდზე, კონგლომერატის შვეულ ფლატინაში გამოკვეთილი, შედგება 20-ზე მეტი ძველისაწოდებლი გამოქვაბულისაგან. ამთაგან ერთ დიდ გამოქვაბულში მცირე სამლოცველო ეკლესია იყო გამართული, ყველა დანარჩენი სახიზრებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. 1957 წლის ექსპედიციის მუშაობის დროს სამლოცველოში ნაპოვნი იყო ხელნაწერთა ფრანგ-მენტები, რომლებიც სპეციალისტების დასკვნით, XII-XV სს. ეკუთვნის. მათ შორის ერთი, XII საუკუნით დათარიღებული ფრანგული, შეიცავს უცნობი წამებულის — ვინმე ნონიოსის — ცხოვრების ნაწყვეტს. აქვე აღმოჩენილი ხატების 12 საგონელი (საგანგებოდ შემზადებული მსტრია), რომელთაგან ხუთზე იდენტურად შემოჩენილია ხატის მომხარჩობელ ლათინზე გამოყვანილი უაღრესად ფაქიზი და რთული ორნამენტული სახეები, ეს მონაპოვარი, ავტორის დასკვნით, „მნიშვნელოვანდ ამდიდრებს

ჩვენს წარმოდგენას ე. წ. „კლასიკური ხანის“ ქართული ქედური ხელოვნების შესახებ. ასეთი მნიშვნელოვანი შედეგს ვაპირებთ ერთი კვირის მუშაობამ ქობთავის გამოქვაბულთაში, რომელთა შესახებ არავითარი წერილობითი საბუთი არ მოგვეპოვებოდა და თვით სახელოვნო ვეოგრაფისა და ისტორიკოსთა ვახუშტი ბგრატიონმაც არა იცოდა რა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ გვაძლებს მთელს გულისყურით მოვევილოთ ქობთავის მსგავს, სამეცნიერო ლიტერატურაში თუშეა დაუფიქსირებულს, მაგრამ პოტენციურად ჩვენი კვლევების ისეთი ძეგლების შემოკვლავ გამოქვაბულებს, როგორც აღმოჩნდა ლეონტი მროველის 1066 წლის სამშენებლო წინაწერის შემოკვლი თარგმნისა და ახლა კიდევ ქობთავის გამოქვაბულებზე.

გ. გრიგოლია და ა. ვეკუა სტატიაში „წოდების პალეოლითური სადგომი და მისი ფუნქციონირებად გადმოსცემენ სოფ. წოფში, სიღზლის მაგისტრის კარიერის მახლობლად (ბოლნისის რ.) აღმოჩენილი ნასადგომის თხარის შედეგებს. არქეოლოგის და პალეონტოლოგის შეწვობილ მუშაობის საუკეთესო ნიმუშია. იგი გვიჩვენებს, თუ რა არსებითი შედეგების მოტანა შეუძლია ისტორიკოსთა და ბუნებისმეტყველო შეთანხმებულ შრომას, განსაკუთრებით ისეთი შორეული წარსულის კვლევის საქმეში, როგორსაც წოფელი ადამიანი და მისი გარემო ეკუთვნის.

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე დ. თუშბარამიშვილის ნარკვევი „ჯუჯულას ზეობის გამოქვაბულები“ (გვ. 167-182). ამ ხეობაში და საერთოდ კიათურა-სამხრის რაიონებში სხვანაირი ავტორის მიერ ამ უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე მიკვლეული, ილრიცხული და ნაწილობრივ შესწავლილია ძველქვის ხანის 30-მდე საყურადღებო ძეგლი. ამთაგან ოცზე მეტი ილია ცისქველია სადგომების სახითაა წარმოდგენილი და ძალიან შორეულ წარსულს — ქვედაპალეოლითურ ხანას — განეკუთვნება (ქილოვანი, სკინდორი, პერევისა, კაცხი, ნაგარძეთი, გუნდაეთი, სარბუბი და სხვ.). დანარჩენი კი პირველყოფილი ადამიანის მიერ საცხოვრებლად გამოყენებული კარსტული მღვიმეებია, რომელთაგან ზოგი (მაგ, ჭრებულას მღვიმე) ქვედა პალეოლითის უკანასკნელი საფეხურით, ზოგი კი (სამერცხულ კლდე, სამედე კლდე და სხვ.) უნდა პალეოლითით თარიღდება.

ავტორი სპეციალურ გამოკვლევებზე დაყრდნობით იძლევა სტატიაში ხეობის მოკლე გეოლოგიურ-გეოგრაფიულ მიმოხილვას, ჩამოთვლის ხეობაში ფიქსირებულ კარსტულ მღვიმეებს, გამოიყვანს მათგან ერთ-ერთს, რომელსაც აღმოჩენის დღიდანვე „ჯუჯულას გამოქვაბული“ შეარქვეა და უკვე დაწვრილებით რეაღიარა მისი სტრატეგიაფიზიკი, მონაპოვარის ნახასიათებასა და დათარიღების საკითხებზე.

მანამდე წარმოებული კვლევა-ძიების მიხედ-

ვით ამ რაიონისათვის ზედა პალეოლითის უწინარესი კულტურის შესახებ თითქმის არა ვიცოდით რა. შემდგომში ძიებამ, მუსტეისდროინდელი ადამიანის, ე. წ. ნეანდერტალელის ძელოვანი ნაშთი მოგვცა. ეს არის კავკასიაში პირველი შემთხვევა პომინდლთა შორის ერთი ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენლის ნაშთის პოვნისა, რამაც სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღიარება პოვა.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია გ. ლომთათიძის „ქართულ ქვაბ-საცხოვროსთა საყურადღებო ძეგლი“, რომელიც წარმოადგენს რეცენზიას გ. ვაფრინდელის ნაშრომისა „კლდის სახლები ნასოფლარ ფაში (ქვაბთა საცხოვროსის ნიმუშები ფეოდალურ საქართველოში)“.

კრებულში შეიწმინდა ტერმინოლოგიური უზუსტობანი, ხშირად ერთსა და იმავე ტერმინს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ცნების აღნიშვნელად ხმარობს. მაგ., შ. ყიფიანი და ზ. ტონტილოზოვი ნაშრომში ბუნებრივ სიღრუვეს გამოკვებულს უწოდებენ; ჯრუჭელის ხეობის ასეთსავე სიღრუვეებს კი იგივე ზ. ტინტილოზოვი,

სრულიად მართებულად მღვიმეებს ეწოდებენ (გვ. 65), ხოლო დ. თუშაბრამიშვილი მათ გამოკვებულებად მოიხსენებს (გვ. 167). „სსსრ-ის კრებულში მართო ამ კრებულის შემოქმედსადაც, აქედან გამომდინარეობს ნიადაგსახმარ სამუშაო ტერმინთა და სახელწოდებათა უნიფიცირება, რაც ამჟამად ჩვენითვის საინტერესო დარგში, პირველ რიგში სპეციალურად კომისიამ უნდა იყოს. რაც შეეხება ამ კვრის შემთხვევას, იქნებ კარსტული წარმოშობის, მეტ-ნაკლებად პორფირული გავრცელების პირგახსნილ ღრმულს, მასში კულტურული ფენის არსებობის თუ არ არსებობის მიუხედავად, მღვიმე ვუწოდოთ, ხოლო ადამიანის ხელთ საგანგებოდ გამოკვეთილს კი — გამოკვებული (მღრ. ძეულქართული „ქვაბი“, „ქუბანი კვეთილი“). ამის შესაბამისად, კომისიის „დებულებაში“ ხმარებული გამოთქმა „ბუნებრივი და ხელოვნური გამოკვებული“, უმჯობესი იქნებოდა „შეგვეცალა გამოთქმით — მღვიმეები და გამოკვებული“, როგორც ეს უდაზგა აღნიშნული.

ალ. კალანდაძე

წიგნი ქართულ მრატორზე

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ წლებში საგანგებო ყურადღება მიექცა ჩვენი წარსულის კულტურული მემკვიდრეობის იმ ნაწილს, რომელიც თავის დროზე ზეპირი სიტყვის ფორმით გამოითქმოდა და მსშენელთა ფართო წრეებისათვის იყო განკუთვნილი. ამ ყურადღების ერთ საგულისხმო მემკვიდრულ ნაყოფს წარმოადგენს რვეზ ბარამიძის ახლახან გამოქვეყნებული მონოგრაფია „იოანე ბოლნელი“, რომელშიც მიმოხილულია ჩვენი ორატორული ხელოვნების ერთი შორეული წარმომადგენლის ცხოვრება და შემოქმედება. საკუთნობიო ნაშრომი საგრძნობლად აქებს იმ ბარვეზს, რაც დღემდე მე-10 საუკუნის დიდი ქართველი მჭადავების ი. ბოლნელის შესწავლის საქმეში არსებობდა.

მონოგრაფიის დასაწყისში ავტორი საკმაო სისრულით მიმოიხილავს ბოლნისის უძველეს ეპონომიურ პირობებს, საგანგებოდ ჩერდება მის არქაულ შებენურებულ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე და მათთან დაკავშირებით აღწერს ამ მხარის კულტურულ ვითარებას. ავტორის მართებული დასკვნით, ბოლნისი ადრეანტიკური დროიდანვე წარმოადგენდა ჩვენი

კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს, სადაც სხვადასხვა დროს ბევრი ქართველი მემკვიდრე, მწერალი და ხელოვანი მოღვაწეობდა — მათ შორის გამოჩენილი მკვერმეტყველი და საეკლესიო მოღვაწე ი. ბოლნელი.

ყოველივე ეს ავტორის მიერ ნაჩვენებია ქართული ჰისტორიული ცივილიზაციის პირველი პერიოდის მოკლე, მაგრამ სრულყოფილი ანალიზის ფონზე და ამით შემუშავებულია ნიადაგი ი. ბოლნელის ცხოვრებისა და შემოქმედების ვრცელი განხილვისათვის.

ამის შემდეგ, ი. ბოლნელის ორატორული ხელოვნების იდეურ-მხატვრული ანალიზის წინ, რ. ბარამიძე ვრცლად არკვევს სამქადაგებლო მკვერმეტყველების თეორიულ საფუძვლებსა და პრაქტიკულ მონაპოვარს ეს საკითხები სარეცენზიო წიგნში ვარკვეულია როგორც ქართული, ისე ბერძნული პომპლეტის მავალი-ობებზე.

ასეთი ვრცელი, შეიძლება ითქვას, რამდენადმე მოკარბებული, წინამძღვრების შემდეგ ავტორი დაწერილებით ჩერდება ი. ბოლნელის სამქადაგებლო მემკვიდრეობის განხილვაზე. ამ წარმოდგენილია ბოლნელის ორატორული შემოქმედების საფუძვლიანი შინაარსობლივი და მხატვრული ანალიზი. ავტორი არკვევს ორატორ-

რვეზ ბარამიძე, იოანე ბოლნელი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1968 წ.

რის პომილიების ლიტერატურულ წყაროებზე, გარობრივ მხარეებს, მხატვრულ ხერხებსა და ენობრივ საკითხებს. ამ მიზნით ის აწარმოებს სათანადო ტექსტოლოგიურ მეშაობას — ახდენს ტექსტების შეჯერებას, ადგენს მსგავსებებსა და სხვაობის ნიშნებს, ამოწმებს მათ სისწორესა და წარმომავლობას. განსაკუთრებული გულისხმობა არაკვევს ავტორი ჩატარებული ცოცხალი მეტყველების მხატვრულ ხერხებს. აქ ის ბევრ საყურადღებო დასკვნამდე მიდის. ასევე საგულისხმოა მისი დაკვირვებანი ბოლნელის მშვერვატყველების ლიტერატურული წყაროების შესახებ.

ასე, მაგალითად, ამ მიმართებით წარმოებულნი ძიებნისას, თუმცა ავტორი პიპოთხედ თვლის თავის მოახზრებას იმის თაობაზე, რომ ბოლნელის განკარგულებაში, ამჟამად ჩვენთვის უცნობი რედაქციის, ახალი აღთქმა უნდა ყოფილიყო, მაგრამ გულდასმითი ჩატარებული ტექსტუალური შედარების გზით დამაჩერებლად ვეინჯუნებს ამ დაკვირვების სისწორეს. ასეთ ჩვენებას ის მნიშვნელობა გაანინია, რომ ამით დასტურდება ჩვენამდე მოღწეული სახარებრის რედაქციებრაცან განსხვავებული ვარაანტას არსებობა ჩვენში, რაც ქართული ბიბლიოლოგიის საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

რ. ბარამიძის დამსახურებდად უნდა შევამჩნიოთ აგრეთვე ბოლნელის სახელით უცნობელი ტრითი პომილიის მიმართების შესწავლა. შორანე ოქროპირის ანალოგიურ ტექსტულ ტექსტებზე და ერთი, დღემდე უცნობი, სამქიდაგებლო ძეგლის გამოქვეყნება სინას მთის ხელნაწერის ფოტოპირიდან. ამ უბელოკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ორპირის დარიბად შემორჩენილი მეტყვიდრეობის შესავსებად.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ სარკვენითი წიგნის ავტორის დასკვნები, ჩვენი აზრით, თითქმის ყოველთვის მართებულია. მხოლოდ შთი უმნიშვნელო ნაწილი შეიძლება გაეხადოთ დავის საგნად და ისიც ავტორისეულ დამკვეების ფარგლებში. ასეთ დაეჭვებას ზოგჯერ სათანადო მსალის უქმარობა აწვევს, ხან-კეკლვის მიუღებელი გზა. ერთ ასეთ გზად მიგვანინია ჩვენ ქართული ტექსტებისა შედარება არა ბერძნულ ადვანთან, არამედ რუსულ თარგმანთან, რასაც ავტორი მიმართავს. სარკვენი წიგნის ავტორი აქა-იქ გვერდს უვლის დედნებს და შეჭრების ობიექტებად თარგმანებს იშველიებს, რაც ნაშრომის მეცნიერულ ნაკლად მიგვანინია.

ნიკოლოზ კანდელაკი

მაჟურიკლის შინიშვნები

გამოცემლობა „ხელოვნება“ გამოსცა შოთა ხალუქვაძის წიგნი „ვანიკო აბაშიძე“. მისასალმებელია, რომ რუსთაველის სახელობის თეატრის ძველი პლეადის ამ უპრეტენზიო და უნიჭიერესი მსახიობის შემოქმედებას სპეციალური მონოგრაფიული ნაშრომი მიეძღვნა. თეატრში სანდრო ამბეტელის მეშაობის პერიოდის მაჟურებელს არასოდეს დაეიწყებდა ვანიკო აბაშიძის შიერ ორიგინალურად შექმნილი სახეები.

კორპორაცია „დურუქის“ ჩამოყალიბებამ განმტკიცა თეატრის კოლექტივი, რომელსაც სათანადო რევისორი სანდრო ამბეტელი ჩაუდგა. მთავარი, რაც სანდრო ამბეტელის მიერ დადგმულ სპექტაკლებში შეინიშნებოდა, იყო როლების შესანიშნავად განაწილება. დიდი რევისორი ხშირად დიდი შემოქმედებითი პოტენციის მსახიობს პატარა, ეპიზოდურ როლს აძლევდა. ეს საჭირო იყო სპექტაკლის სრულყოფისათვის. ეს საჭირო იყო პარტნიორების გამარჯვებისათვის.

სანდრო ამბეტელი პიესის დიდი და პატარა როლის შესრულებას ერთნაირი მომთხოველობით გვიღებოდა. იგი თანმიმდევრულად ზრდა-

და და ამხანაგებდა ნიჭიერ მსახიობს ახალი „დილი“ როლისათვის. დიდი პოტენციის მსახიობებს მოთმინებით ზრდიდა და აყალიბებდა, დამაჯერებლად აწრთობდა და ფსიქოლოგიურად ამხანაგებდა. ვანიკო აბაშიძე — ერთ-ერთი უსაყვარლესი ადამიანი და მსახიობი იყო მიიღ კოლექტივში. მისი ხალასი ნიჭი ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ ვიდრე მას ამბეტელი რომელიმე პიესაში ასე ვთქვათ „წამყვან“ როლს მისცემდა, — მრავალჯერ ამოწმებდა „პატარა“ როლებში.

დასრულდა ეს პერიოდიც. ვანიკო აბაშიძემ 1930 წელს სანდრო ამბეტელის შიერ დადგმულ სპექტაკლ — „ლამარაში“ — თეატრიდან წასული უშანგი ჩიხიძე შესცვალა, — თორღვასი როლი ვანიკო იმისთვის დაიკავა, — როლში ვანიკოს თორღვაი — სრულებით არ ჰკავდა უშანგის განსახიერებულ თორღვაის. რაკივემ, — გმირის გარდასახვის ორიგინალური უნარი გამოვლინა. ამ პიესაში ყველა მონაწილე ბრწყინვალედ თამაშობდა, სანდრო ამბეტელი განსაკუთრებით აღტაცებული იყო ვანიკო აბაშიძის თამაშით...

რამ განაპირობა ვანიკოს შიერ თორღვის როლის ასე ორიგინალურად განსახიერება? რამ ააღინა მსახიობი მიმბაძველობას? უპირველეს ყოვლისა როლის ღრმა თავისებურება გაგებამ, გმირის სულში ჩაწედიობამ.

სარეცენზიო წიგნის ავტორს. რაც კი ჩვენი პერიოდული გამოცემების ფურცლებიდან ამოუვლითხავს და რაც კი ვაუგონია — ვარგად ვამოუვლენებია. მონოგრაფია დიდი სიყვარულით დაუწერია. ეს წიგნი მართალია ვანიკო აბაშიძეს შეეხება, მაგრამ ამავე დროს მოგვითხრობს თეატრის კოლექტივის დაუღალავ შრომასა და პედაგოგობაზე, აქტივობა, მხატვრობა, კომპოზიტორობა და სცენის უველა შემაის დამუხრობაზე შემოქმედებით ძიებისათვის გატეხილ უძილო ლამებზე.

ვანიკო აბაშიძე ფაქიზად, სიყვარულით და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობდა თავითვე უმცირეს რაოდენეც კი. ახლაც თვალწინ მიდგას სანდრო აბხეტელის მიერ დაღებული იანოკის „უამირი“. იგი კოლექტივიზაციის პერიოდში გამწვავებულ კლასთა ბრძოლის თემაზე იყო დაწერილი. ამ პიესაში ვანიკოს მუნიციპალიტეტის უსიტყვო როლი უნდა განეხილებინა... პიესა ორჯერ შეუთხოვია. შემდეგ კი ოცნებით ცხოვრების შუაგულში გადასულა. საერთოდაც მთელმხარე სიმონის მსგავს სახეებს ეძებდა მსახიობი. სწორედ ამავე მოგვითხრობს ავტორი.

სექტაკელში მუნიციპალიტეტის მოქმედება ვანიკო აბაშიძემ შინაგანი კეთილშობილებით გააიწყობინა. ამ წარმოდგენაში ცეცხლია თაყაიშვილისა და ვასო გომიშვილის ბრწყინვალე თამაშთან ერთად ვანიკოს მუნიციპალიტეტის მძლავრ მფეთქვე ძარღვად, ამოღულვებელ და უნაკლო სცენიურ სახედ გადაიქცა.

ასეთივე სეკულბტურული იყო სექტაკელ „ანზორში“. ვანიკო აბაშიძის განსაზღვრებით იბრაჰიმის ენზობდერი როლი, სოფელი ვადსწყევს თეთრებმა. ანზორს შეიღები დაუბოცეს. დიდი მწუხარების მიცნე მებადური იბრაჰიმი თავდაბრილი ზის რკინიგზის ხიდქვეშ და ისე ესაუბრება თავის მეგობარ მებადურს იუსტუსს (მიერ კობახიძეს). მისი ყოველი ფრაზა გულში ჩამწვდო-

მი იყო. ეძნელებოდა ანზორისათვის ეძნევა იმ დიდი უძნელებების ამბავი, რომელიც სოფელსა და ვერძოდ პარტიზანების ბელადის, მანჭარის ოჯახს დაატყდა.

ვანიკო აბაშიძემ წარუშლელი სახეები შექმნა აგრეთვე ლავრენციის „რტყევაში“ (მებღავური), — ალიო მანაშვილის „განგაშში“ (დიანოზა), პეტრე სამსონიძის „სალტეში“ (ზაფხილი) — „ინტერვენციაში“ (ფილია) და „ნაბიჯარში“ (მერაბინი). შეუძლებელია მათგანებელს დღესაც არ ახსოვდეს ვანიკოს მიერ „განგაშში“ განსაზღვრებული დიანოზის როლი, იმ დროს მათგანებელთა და აქტივობის სალაპარაკო მისი განუთმეორებელი სიცილი იყო. ვანიკოს დიანოზა და საერთოდ, მის მიერ შესრულებული როლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ვფიქრობთ სწორედ ამ თავისთავადობამ და ტიპის ვარდასახვის ორიგინალობამ მიყვანა დიანოზის სახე მალალ აქტივობულ დონემდე. ცალკე უნდა აღინიშნოს შილერის „ინტერანოსში“ ვანიკო აბაშიძის მიერ შესრულებული როლის როლი; ამ როლიც დიდი აქტივობული ადლო და შინაგანი ძალა გამოავლინა, ბრწყინვალედ განაახიქცა როლერი.

ვანიკო აბაშიძის ჰქონდა მსახიობის ინდივიდუალობა. „სცენიური ინდივიდუალობა კი, — როგორც ამას სტანისლავსკი ამბობს, — სულთნის ინდივიდუალობაა. ეს ხელოვანის თვალსაზრისია შემოქმედებაზე. ეს მხატვრული პრიზმაა. ის ხედავს სამყაროს, ადაბიანებსა და შემოქმედებს“.

მონოგრაფიის ავტორი შოთა სალუქვაძე ლამაზი, მხატვრული ენით აღწერს ვანიკო აბაშიძის შემოქმედებითი მუშაობით აღსავსე ცხოვრებას.

წიგნი დასურათებულია, გამოცემულია ლამაზად და ინტერესით იკითხება.

ზალვა ზაველაშვილი

სპარსული ქრესტომათია

პროფ. დ. კობახის მიერ შედგენილი სპარსული ქრესტომათია საგულისხმო მოვლენა ირანის რევოლუციისათა სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურაში. დიდი ხანია, რაც ჩვენში სპარსულია და ამ ენაზე შექმნილი მდიდარი მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებული პირები მწვავედ განიცდიდნენ ასეთი ნაშრომის უქონლობას; ძველად გამოცემული ქრესტომათიები (ა. ვ. ბოლდირევის, შ. ა. ვაფაროვისა და შრავალი სხვათა), ან სპარსული ენის გრამატიკები (ე. ზალემანისა და ვ. ქუკოსკის, იუსტ. ანულაძისა და სხვათა),

რომლებსაც დამატების სახით მიცემოდენი საკითხავი მასალაც ახლად, უკვე ბიბლიოგრაფიულ ინიციატივად იქცა და ამის გამო შეიქმნა ვითარება, როდესაც სპარსული ენის შესწავლენი ზელმოცარული აღმოჩნდნენ ასეთი სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოებით. მაგრამ მართო ამით არ განისაზღვრება სარეცენზიო წიგნის მნიშვნელობა; შემდგენლის სამართლიანი თქმით, მასში წარმოდგენილი მასალებს ვაცნობა-შესწავლა დაინტერესებულ პირებს დახმარებას გაუწიეს „არა მხოლოდ კლასიკური სპარსული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის თავისებურებათა შესწავლაში, არამედ კლასიკური ხანის ლიტერატურის წარმო-

დავით კობახი. სპარსული ქრესტომათია, „ცოდნა“. 1983.

მადგენელთა შემოქმედების ზოგადად ვაცნობის საქმეშიც". მართლაც, ქრესტომათიაში შერჩენილი ნიმუშებით მკითხველი ეცნობა კლასიკური პერიოდის მდიდარ და მრავალფეროვან სპარსულ ლიტერატურას.

ქრესტომათიის ავტორს საკითხავი მასალა წარმოდგენილი აქვს არა ეპიკებისა და ფორმების, არამედ ქრონოლოგიის მიხედვით — ეს გვაქვს ეპიკურად უპირატესია და გამართლებული. პირველი პრინციპით რომ ეხელმძღვანელება დ. კობიძეს, მაშინ, მავალითად, ყახალეში (ღირსი ბასიათის ლექსები), რუდაქის (X ს.), ფეროხის (XI ს.), საადის (XII-XIII ს. ს.), ჰაფხის (XIV ს.) და ჯამის (XV ს.) — წიგნის ერთ გარკვეულ ნაწილში უნდა მოეცეთ, რომანები (სარიომო ერთეულად დაკავშირებული ობსტრუქციონანი ლექსები) ომარ ხაიამის (XI-XII ს. ს.), და ხაყანის (XII ს.) — მეორე ნაწილში, დიდაქტიკური ეპიკის თხზულებანი ასევე სხვადასხვა დროის პოეტებისა კიდევ ცალკე ნაწილში და ა. შ. ახლა კი ამგვარად შედგენილი ქრესტომათიაში შემსწავლელს მწყობრი წარმოდგენა შეეძინება როგორც მთლიანად პოეტის შემოქმედებასა და კლასიკური ხანის სპარსული ლიტერატურის სრულ პროცესზე, ისე მოცემული მწერლის ენაზე, რაც ასე შეუწყობს ხელს საკუთრივ სპარსულის შესწავლის საქმეს. ლიტერატურული მასალის თუ ფაქტების კლასიფიკაცია და კვალიფიკაცია თავის ადგილას, რასაკვირველია, დიდი მეცნიერული მნიშვნელობის საქმეა. მაგრამ ქრესტომათიაში, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, სისწავლე მიზნებს ისახავს, ვფიქრობთ, რომ სწორედ წარმოდგენილი წესით უნდა განლაგებულიყო საკითხავი მასალა.

ქრესტომათიაში წარმოდგენილი ავტორები საკმაოდ დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის მქონე პოეტები არიან. როგორც ცნობილია, მართო ფირდოუსის „შაჰნამე“ შეიცავს სამოცი ათასამდე ბეითს (წყვილ სტრიქონს), ასევე ვრცელია ნიზამის, ხოსროვ დეკანუვის, ჯამისა და სხვათა შემოქმედება. ამიტომ პროფ. დ. კობიძეს უნდა გამოეთქვინა პრინციპი, რომლითაც შეირჩეოდა ქრესტომათიაში შესატანი მასალა. ამისათვის მას, როგორც ჩანს, მოცემული პოემებიდან აუღია სიუჟეტის გაწვრთვებისა და მისი მთლიანობისათვის საკვანძო ადგილები, მასთან უფრო ცნობილი და საინტერესო. აქედან გამომდინარე, მავალითად, „შაჰნამედან“ წიგნში შესულა ჟინშედის, ტირანი ზაჰაქის, შედგელი ჭავასა და ფერიდუნის ამბავთა შესახებ თავები — ამით კი მკითხველი ამ დიდი პოემის მითოლოგიურ ნაწილს ეცნობა. ამასთანავე ჭავას წარმოდგენით უკრძალდება მიქცეული ფირდოუსის დემოკრატიული ტენდენციებზე, რაც საგანგებოდაა ხაზგასმული სამჭკოთა აღმოსავლეთმცოდნეობაში. ამის შემდეგ წარმოდგენილია ზაალის გამგზავრების ამბავი ქაბულში

იჭაურ მეფესთან მერაბთან — ეს კი დასაწყისია „შაჰნამეში“ ზაალისა და რუდაქზე შესწავლადი სამიწერო ეპიზოდისა, რომელზეც ქრესტომათიაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილთაგანია ამ გრანდიოზული პოემის სიუჟეტურ განვითარებაში — ამ წყვილის ქორწინება დაავიწყდებოდა ირანული ეპოსის უდიდესი ფლავიის როსტომის დაბადებით... შემდეგ წარმოდგენილია როსტომის გამიწერების ისტორია და ზურაბის განგა, ანა მოსდგეს მამა-შვილის, როსტომისა და ზურაბის, ესოფრე ცნობილი და გავრცელებული შეკრების ამბავი, წარმოდგენილია აგრეთვე ბეჰანისა და შანიფეს ტრეფიანების მომთხრობი თავები, რომლებშიც თურანელთა ფალავანს, როსტომის სადარ აფრასობსაც ეცნობა მკითხველი... უკანასკნელ თავში მოცემულია მახლაის გამოჩენის ამბავი. ერთი სიტყვით, ამ ნაწილებში გადმოცემულია „შაჰნამეს“ სიუჟეტის ფრად მნიშვნელოვანი მომენტები. აღნიშნული პრინციპითაა შერჩეული ადგილები აგრეთვე ნიზამის, დეკანუვის, საადისა და სხვათა თხზულებებიდან.

ქრესტომათიაში წარმოდგენილი ნიმუშები ავტორს ამოღებული აქვს ცნობილი და დღეისათვის შედარებით სანდოდ აღგვიწილი ტექსტებიდან. ამავე დროს მივლ რაც შემთხვევაში მას თვითონვე ჩუქრატებია დიდი შრომა, რათა ხელნაწერებისა და გამოცემული ტექსტების შეჯერების საფუძველზე დაედგინა წიგნში წარმოსადგენი ნიმუშები. ასე რომ, ამ ქრესტომათიის შედგენას, ბუნებრივია, რომ თან ხლებია სერიოზული ტექსტოლოგიური მუშაობაც პირველ წყაროებზე.

რუდაქის პოეზიის ნიმუშები წარმოდგენილია ცნობილი ირანული მეცნიერის სიიდ ნაფისის 1940 წ. გამოცემის მიხედვით. ფირდოუსის „შაჰნამეს“ ეპიზოდები ამოღებულია თეირანის 1935 წლის საბუღალთო გამოცემიდან. საადის „ბუსთანიდან“, „გოლუსთანიდან“ ადგილები და მისივე ყახალეები ქრესტომათიაში შერჩენილია მოჰამედ ალი ფორუღის 1941 წლის გამოცემის მიხედვით, ხოლო ნიზამის პოემებიდან, გარდა „შარაფნამესი“, ეპიზოდები ამოღებულია 1935 წლის თეირანის გამოცემიდან. ომარ ხაიამის რომაიებისათვის პროფ. დ. კობიძეს დიდი არჩევანი ჰქონდა; მას უპირატესობა მიუცია ისევ ნიფისის გამოცემისათვის, რომელიც 1927 წელს გამოვიდა. ამის გამო შეენიშნავლით, რომ ხსენებული დროიდან საკმაო ხანი გავიდა, და ამიტომ იქნება უჭიკობესი ყოფილიყო ავტორის უფრო გვიანდელი გამოცემული ტექსტით ესარგებლა.

პირველი წყაროების გამოცემულ ტექსტებთან შედარებისა და ამ უკანასკნელის ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზეა ქრესტომათიაში წარმოდგენილი ნიმუშები ნასირ ხოსროვის „როლშან-ნამედან“ და „სიადთ-ნამედან“, ხაყა-

ნის ყასიდებთან და რომაელებთან, ყალბ ედ-
დინ რუმის „მესწევიდან“, ჟამის „იოსოფი ზო-
ლინიდან“ და სხვა.

მხოლოდ ხელნაწერების საფუძველზეა დად-
გენილი ქრესტომათიაში წარმოდგენილი ეპი-
ზოდი ხოსროვ დელევის „პაშთ ბეჟმედიან“
და აღსანიშნავია, რომ იგი საერთოდ პირველად
ქვეყნდება სარეცენზიო წიგნში. აქვე უნდა აღი-
ნიშნოს, რომ საერთოდ სპარსული ქრესტომა-
თიის შემდგენლის შრომას, როგორც პროფ.
დ. კობიძე სამართლიანად აღნიშნავს, ამჟამებს
ის ვერეშობა, რომ „სპარსული ტექსტების გა-
მოცემის საქმე საერთოდ არ დგას მაღალ დონე-
ზე“.

პროფ. დ. კობიძე, რამდენადაც საქმე გვაქვს
ძირითადად ლიტერატურული ხასიათის ქრეს-
ტომათიასთან, სწორად მოქცეულა, როდესაც
მისთვის დურთავს მოკლე ცნობები წარმოდგე-
ნილ ავტორთა შესახებ. ცნობარი კარგადაა შე-
დგენილი; მასში მოცემულია აუცილებელი მასა-
ლია ამა თუ იმ პოეტის შესახებ. ამასთან, ყურად-
ღებებს იქცევს ის ვარეშობა, რომ დახასიათე-
ბებში გვხვდება მეტად საგულისხმო შენიშვნები
და მოსაზრებანი ცალკეულ მწერართა შესახებ.
ასე, შავალითად, წინააღმდეგ დამკვიდრებული
დებულებასა, დ. კობიძე სამართლიანად აღნიშ-
ნავს, რომ „ჟამის დამოუკიდებელი პოეტური
ხმა აქვს. შეუთმობა მისი მიზნამდებლად აღიარე-
ბა“, ან ხოსროვ დელევის პოპულარობის შესა-
ხებ რომ წერს: „მე-16, მე-17, მე-18 საუკუნეებ-
ში მკითხველთა ფართო მასები მას ნიშანზე მა-
ლა აყენებდნენ. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, გან-
ჯელი პოეტის თხზულებებში იმდროინდელი
შეზარტული წრეების კრიტიკის არსებობა კი არ
ყოფილა, არამედ დემოკრატის ხსრობის სისადავე და
სიუფეტის დახვეწილობა. მის პოემებში ამბის
დენია მთავარი, პოეტს არ უყვარს რთული მე-
ტაფორების გამოყენების ხარჭზე ცალკეული
ეპიზოდების გაქანება“. ასევე მართებულა-
და ხაზგასმულია რეალისტური მძლავრი ნაყადის
არსებობა ნასერ ხოსროვის შემოქმედებაში
„განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს მის მოგ-
ზაურობის წიგნს“ („საფარნამე“), სადაც მთელი
თავისი საშინელებითაა ნაჩვენები იმდროინდელ-
ი აღმოსავლეთის სინამდვილე“. ხოლო რაც
შეეხება ომარ ხაიამს, განსვავებით პროფ. დ.
კობიძის აზრსა, რომ „შესაძლებელია ჩადრმა-
ვებულმა კლდეპიებამ საბოლოოდ დადასტუ-
როს (ხაზი ჩემია კ. ფ.). ის აზრი, რომ ხაიამის
სახელით ცნობილი „რომათიით“ წარმოადგენს
სხვადასხვა პოეტთა თხზულებებიდან შერჩევით
გამოკრეფილ ომსტრიქონიანი ლექსების (რო-
მათიების) კრებულს“, ჩვენ ვიტყვიდით, რომ შე-

საძლებელია ასეთმა კლდეპიებამ საბოლოოდ
დადასტუროს, რომ ხაიამის სახელით ცნობი-
ლი რომაითი ნამდვილად ხაიამის პოეტური
შემოქმედების ნაყოფია...

სარეცენზიო წიგნი, სპარსული ქრესტომათია,
სულ 485 გვერდს შეიცავს, აქედან 464 პირწინ-
დად სპარსული ტექსტია. ვისაც მოეხსენება სპა-
რსულ-არაბული შრიფტის აწყობის ტექნიკური
სირთულენი, მისთვის გასავები იქნება თუ რაო-
დენი სიფხილისა და ყურადღების გამოჩენა
დასჭირდებოდათ შემდგენელს პროფ. დ. კობი-
ძეს და რედაქტორს ფილ. მეცნ. კანდიდატს
ილ. გეგახაიას, რომ ტექსტებში შეცდომები არ
გაპარულყო. შეიძლება ითქვას, რომ ქრეს-
ტომათიას კორექტურული შეცდომები მინიმუ-
მამდგა დაუვანილი. გვეხდება მხოლოდ თითო-
ოროლა (9,21... გვ.) შეცდომა.

სარჩევში არ არის აღნიშნული საადის ყახა-
ლები; გაუგებარია, რად იყო საჭირო პუნქტური
იქვე პოეტთა დასახელების გასწერა; სარჩევში
ნიშანის პოემების ჩამოთვლაში ქრონოლოგიის
წყისა დაცულა, ხოლო წინასიტყვაობაში იგი
დარღვეულია-პირველ ადგილზე დასახელებუ-
ლია „ლეალი ვო მეჩენი“, ნაცვლად „ხოსროვო
შირინ“-ისა.

სასურველი იყო და, ვფიქრობთ, საჭიროც,
რომ ქრესტომათიაში მეტი ადგილი ჰქონოდა
დათმობილი პროზას. ეს სასარგებლო იქნებოდა
ენის შესწავლის თვალსაზრისით. ხომ ცნობი-
ლია, რომ მოცემული ენის მორფოლოგიური და
განსაკუთრებით სინტაქსური ნორმები და კატე-
გორიები თავისი ბუნებრივი დამახასიათებლო-
ბით სრულ სახეს უფრო პროზაში ინარჩუნებენ,
სადაც არ განიცდიან დეფორმაციას ლექსის
მოთხოვნილებათა გამო. ამიტომ წიგნი მოიგებ-
და, რომ მასში წარმოდგენილი ყოფილიყო, შავ-
ალითად, არუნი სამარყანდელისა და ნასერ ხოს-
როვის პრიზის ნიმუშები, თუნდა ამისათვის რამ-
დენადმე შევეცილიყო პოეტურ თხზულებათა
რამდენიმე ეპიზოდი და ნაწყვეტი.

პროფ. დ. კობიძის მიერ შედგენილი ეს ქრეს-
ტომათია დიდ შენამენია და ქართველი ირანი-
ტების სერიოზული და ნაყოფიერი მუშაობის
კიდევ ერთი დადასტურებაა. იგი დიდ სამსა-
ხურს გაუწევს ყველას, ვინც კი დაინტერესდება
სპარსული ენისა და ესოდენ მდიდარი კლასიკე-
რი სპარსული ლიტერატურის საფუძვლიანი შეს-
წავლით, ეს წიგნი ფრიალ საშურო იყო და ღირ-
სეულ ადგილსაც დაიჭერს საირანოლოგიის სას-
წავლო-სამეცნიერო ლიტერატურაში.

კონსტანტინე ფალავა.

შურნალ „მნათობის“ 1963 წლის ნომრების შინაარსი

დოკუმენტები, სარედაქციო წერილები

ბრუნოვი ნ. ს. — მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი ძალაა (სიტყვა, წარმოთქმული პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან 1963 წლის 8 მარტს) № 3.

ლენინის დროშით წინ — შემოქმედების იდეური და მხატვრული სრულყოფისაკენ. № 4.
მხატვრული შემოქმედების უპირველესი ამოცანა. № 6.

მოთხრობები, რომანები, ნაკვეთები, მოგონებები

- გამსახურდა კონსტანტინე — ლანდებთან ლაციცი. მოგონება. № 8, 9.
ვევეშიძე გურამი — შურისძიება. მოთხრობა № 11.
გვახალა მოსე — ბესიყე. მოთხრობა. № 11.
დოლიძე ნინო — მანანა. მოთხრობა. № 5.
დუბინსკი ილია — ჩვენი სერგო, ჩვენი კომისარი. ნარკვევი. № 2.
ვასაძე ა. — ორი მოთხრობა. № 9.
წედგინიძე ელიზბარი — ფანჯარა მესამე სართულზე. მოთხრობა. № 2.
კალანდაძე აღ. — მაკიზარებთან. მოგონება. № 10.
კახანაძე შოთა — მეგობრები. ნარკვევი. № 8.
კუმარაძე ო. — ლურჯი იუბის ზღაპარი. მოთხრობა. № 12.
კვლიაშვილი სერგო — სამი მოთხრობა. № 2; მოთხრობები. № 3; ფერფლი. რომანი. № 8, 9, 10.
ლიხაშვილი იაკინთე — ნანგრევებზე. რომანი. № 9, 10, 11, 12.
მაისურაძე ელიზბარი — ბატალიონი მიდის. მოთხრობა. № 1.
მალაფერაძე თეიმურაზი — უშმა. მოთხრობა. № 6.
მიწველაძე რევაზი — აკარმარაში. ნარკვევი. № 2.
მრულაშვილი ლადო — ყაბაბი. რომანი. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.
ნაგინი იური — ჩვენი ოთხი ვიყავით. მოთხრობა. თარგმ. მარტიმ ავაიშვილისა. № 2.
სამადაშვილი შაქრო — ცხოვრების გზაზე. მოთხრობა. № 3.
სოლუციციანი ალექსანდრე — ივან დენისოვიჩის ერთი დღე. მოთხრობა. თარგმ. რევაზ თვა-რაძისა. № 4, 5.
სტიწნბეკი ჭონი — ზამთარი ჩვენი მღელვარებისა. რომანი. თარგმ. ვახტანგ ჭელიძისა. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.
ჭარჩხაძე ქემალი — აბზიანიძეების ოჯახი. მოთხრობა. № 10.
უფიანი ედიშერი — ვინც ვარდა ჭვეუნად. მოთხრობა. № 1.
ჩიქოვანი გრიგოლი — ადამიანი მიდის წინ. ნარკვევი. № 1.
ჩიქაძე ოთარი — ადამიანები. მოთხრობა. № 7.
ჩხეიძე ოთარი — აზამბარი. ეტიუდი. № 2.
წულუისკირი ნოდარი — ჯადოსნური სიბნე—კაპოლექტაში. ნარკვევი. № 5.
ხაინდრაგა ლევანი — არსებითად არაფერი შეცვლილა. მოთხრობა. № 5.
ხალვაში ფრიდონი — საუვედური. რომანი. № 8, 9, 10, 11, 12.
ჩავაბიშვილი დავითი — ზღვა. მოთხრობა. № 9.

ლექსები და კომედიები

- აბაშიძე გრიგოლი — მისი ძახილი. ლექსი. № 6.
აბაშიძე ირაკლი — იწვის აბრილი. ლექსი. № 5; ერთი დღე ფიროსმანიშვილის დაკარგულ საფლავთან. ლექსი. № 6; ხმა თეთრ სენაკში. ლექსი. № 7.
ამაშუკელი რეზო — ვლადიმერ მაიაკოვსკის. ლექსი. № 7.
ამიხულაშვილი შალვა — ჩვენი მესაქე. ლექსი. № 4; ლექსები არქტიკაზე. № 9.
ამბაღულიანი ბელა — პატარა თვითმფრინავები. ლექსი. თარგმ. თამაზ ჩხენკელისა. № 2.

- ბერულავა ზუტა — ლენინი. ლექსი. № 4; უკვე მოგონება. ლექსი. № 8; უსათურო. ლექსი. № 9.
სამი ლექსი № 12.
- ბლოკი ალექსანდრე — ბელბულის ბაღი. პოემა. თარგმ. გურამ გოგიაშვილი. № 9.
ბობოხიძე კალე — ჩემი ქვეყანა. ლექსი. № 8.
- ვახტანგია ვიქტორია — ლექსები. № 2.
- ვაგუა ზუტა — დილა. ლექსი. № 4; ლექსები. № 11.
- ვეწაძე აკაკი — სიტყვის დუღაბი. ლექსი. № 8.
- ვაჟოვი ივანე — პასი. ლექსი. თარგმ. არჩილ სულაქაურისა. № 2.
- კალაძე კარლო — მელინაძი. აფხაზური პოემა. № 1, 2; ლექსები. № 5; როგორ იცვალა ფერა
სოფელმა. ლექსი. № 6; ვუმღეროთ თბილისს. ლექსი. № 11.
- კანდელაკი ო. — გაზაფხულია. ლექსი. № 5.
- კახიძე მიგუა — სავალობელი თეთრახვეას. ლექსი. № 5.
- კუბელი პოეტები — ლექსები თარგმ. რევაზ მარგვიანის. № 12.
- ლეონიძე გიორგი — ლექსები. № 1; ლექსები № 3.
- ლენინიძე მურმანი — ლექსები. № 3.
- მაიაკოვსკი ვლადიმერი — ლექსები. თარგმ. ტარიელ ქანტურიასი, გივი გავამ-
კორის და ემზარ კვიციანიშვილისა. № 7.
- მარგალიტა რევაზი — წლების სახსოვრად. ლექსი. № 5; მე ჭრჭერობით. ლექსი. № 10; ორი ლექ-
სი. № 11.
- მებურიშვილი ტაგუ — წვიმა ქალაქში. ლექსი. № 10.
- მირნელი მირიანი — ლექსები. № 10.
- ნადირაძე კოლაუ — „შენ ხარ ენახი“. ლექსი. № 2.
- ნიშინიძე შ. — ლექსები. № 1.
- სულაბერიძე ლადო — მარცხიანი დღე. პოემა. № 9.
- ტაბიძე ტიციანი — ლექსი. № 3
- უკრაინკა ლესია — ლექსები. თარგმ. ეთერ სახვეაძისა. № 6.
- ფოცხიშვილი მირისი — მარტოხელა ქალის ბალადა. ლექსი. № 10.
- შალამბერიძე ოთარი — ძახილი. ლექსი. № 5.
- შერაზადიშვილი ზ. — ლექსები. № 9.
- ჩარკვიანი ვანსული — სამი ლექსი. № 11.
- ჩანავა ნიკოლოზი — ლექსები. № 7.
- ცეცხლაძე გრიგოლი — წიგნიდან „პორტრეტები“. ლექსები. № 10.
- ქანტურია ტარიელი — ლტოლვა. პოემა. № 5.
- ქელიძე ოთარი — იისფერი ცეცხლის ბაღადა. ლექსი. № 2.
- ქილაძე თამაზი — ლექსები. № 3; ლექსები. № 10.
- ქილაძე ოთარი — ვალაქტონის ხსოვნას. ლექსი. № 1; ტყინის საწოლი. პოემა. № 12.
- ყავახაძე ვახტანგი — ლექსები. № 1.
- ყანგულაშვილი თეიმურაზი — ლექსები. № 4.

რუსთველოლოგია

ინგოროყვა პავლე — რუსთველიანას ეპილოგი. № 3, 4, 5, 6, 7.

არტიზანა, ლიტერატურათმცოდნეობა, კუბლიცისტიკა

- ასათიანი გურამი — მეტი სინათლე. № 5.
- აფხაძე შალვა — ანა კალანდაძე. № 2; ირაკლი აბაშიძის ახალი ლექსების გამო. № 7; სიცოც-
ხლის დაუღალავი მეზობლები. № 10.
- ბაქანიძე ოთარი — ალექსანდრე სერაფიმოვიჩი. № 2.
- ბუაჩიძე ვახტანგი — ჯან კოტე. № 12.
- გამახარაძია ზვიადი — რობერტ ფროსტი. № 4.
- გაჩეჩილაძე გიორგი — ვალაქტონ ტაბიძის ლირიკის ზოგიერთი მოტივი. № 9.
- გვერდულიძე გ. — საბჭოთა ლიტერატურის საფუძველთა საფუძველი. № 11, 12.
- გომიაშვილი ალექსანდრე — ბასილ მელიქიშვილი. № 4.
- გოგუაძე ვახტანგი — ლიტერატურული თეორიის საკითხებისათვის. № 7.
- ვარდოსანიძე ვიკი — სიმონ ჩიქოვანის პოეზია. № 7.
- წამბახიძე ვლადიმერი — მართალი გულის მწერალი. № 8.
- თევზაძე დავითი — „ეკლხეთის ცისკრის“ მხატვრული თავისებურებანი. № 9.
- თოფურია ა. — გიორგი ვიხლაძის „კრიტიკული ეტიუდები“ № 6.
- ენჭოშვილი ირაკლი — აკაკი გაწერელის ნოელები. № 1; მხატვრული შემოქმედება და ლი-
ტერატურული კრიტიკის საკითხები. № 11.



კემელაფა თენგიზი — სპარსული პროზის დიდოსტატი. № 3.

კემელაფა პლატონი — დიდი დასაწყისი. № 2.

კენჭილაშვილი ტ. — მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედებითი ლაბორატორიიდან. № 8.

კობიძე რამაზი — ხასიათები პოლიკარპე კაცაძის შემოქმედებაში. № 4.

კლდიაშვილი სერგო — ნათელი ტალანტი. № 5.

მახარაშვილი გიორგი — ქართული ზელოვნების ძეგლები ე. ლანსერეს სურათებსა და ეტი-
უდებში. № 12.

მალრამე ელგუჯა — მეველე. № 1, 2.

მაჭავარიანი ვლ. — რომანი და ცხოვრება. № 12.

ნატროშვილი გიორგი — ჯარისკაცის უკვდავება. № 5.

ნათაძე ნოდარი — ისტორია და შემოქმედება. № 6; გუშინდელი ნაწარმოები და დღევანდელი
მკითხველი. № 10.

ნუცუბიძე შალვა — ქართული ნაზრები ლათინურ კელტურაში. № 12.

ორლოვსკია ნ. — საქართველო დიდროს „ენციკლოპედიაში“. № 11.

ფლენტი გივი — „იკა აბაშიძე და მისი მსჯავრი ჩვენი ახალგაზრდობის შესახებ“. № 1.

სანადირამე ალექს — მხოლოდ ახალი, ისევე ახალი. № 6.

სურგულაძე რ. — ირ. ევლოშვილის უცნობი რეკონსტრუირებული ფელეტონი. № 6.

ტრაქუნოვი მარკი — დიპტრი ფერმანოვი. № 12.

ქარელიშვილი ერეკლე — იროდიონ ევლოშვილი. № 9.

ღამბაშიძე გივი — ინგლის-ამერიკის პოლიტიკა ამიერკავკასიაში, 1919 წელს. № 9, 10.

ყაუხჩიშვილი სიმონი — არქოპაგიტული წიგნების გარშემო. № 10.

ყიასაშვილი ნიკო — ჩარლზ პეტრის სწოვ. № 9.

ჩარკვიანი კ. — ი. ჭავჭავაძე და ნ. ნიკოლაძე ქართული ელემენტარული გეგმის სათავეებთან. № 8.

ჩხენკელი თამაზი — ანა კალანდაძის პოეტური გზა. № 8.

ციციშვილი სარგისი — გიორგი ლეონიძის შოთხრობები. № 3.

ციციაშვილი ფაშა — ნეკრასი მაჭავარიანის ახალი ლექსები. № 3.

ძინიფური შოთა — ილია ჭავჭავაძე და ქართული ლექსიკა. № 1.

წვერავა სიმონი — ივანე პაპასკირის შემოქმედება. № 2.

ჭანიშვილი მიხეილი — დიდი სახალხო პოეტი. № 4.

ჭილაია სერგი — მიგაეცილებს ლექსების ტაში. № 9.

ხარანაული ბესარიონი — ვეკა-ფშაველას შემოქმედების ხალხური საწყისები. № 1.

ხარატიშვილი ვ. — ილია ჭავჭავაძე და ყვარელი. № 1.

ხინთიბიძე აკაკი — ლექსის დამოუკიდებელი სახეობა. № 2.

ხუბაშვილი გიორგი — ძიებებსა და მიგნებებს გზით. № 4.

ჩაში ნიკოლოზი — თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის რეაქციული არსი. № 10.

ჩაბუტი ვლ. — საბავშვო ლექსის ოსტატი. № 11.

ჩვენი კალენდარი

ბადრიძე შოთა — დიდი მეცნიერი და მოღვაწე. № 1.

ურუშიძე ნათელა — თეატრის დიდი რეფორმატორი. № 1.

ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 70 წლისთავი

ფლენტი ბესარიონი — უანასკენელი შეხვედრები ვლადიმერ მაიაკოვსკისთან. № 7.

ესაია ლეო — ნაწევრები მოგონებებიდან. № 7.

წულუაძე ვანო — იდენტობისა და მხატვრობის უმაღლეს ორბიტზე. № 7.

საიათნოვას დაბადების 250 წლისთავი

ნატროშვილი გიორგი — მეგობრობისა და სიყვარულის მგოსანი. № 10.

სხვადასხვა

განჩილაძე გივი — შთაგრმნელთა საერთაშორისო ფედერაციის მეოთხე კონგრესზე. № 42.

გუნია ნინო — ზოგი რამ ელურნიან გუნია ცხოვრებიდან. № 12.

გიორგი ზდანოვიჩის სიტყვა „60-ის პროცესზე“. № 12.

ფანია ვახტანგი — ერთი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობიდან. № 10.

ფლენტი ნიკოლოზი — მოგონება ვლადიმერ მაიაკოვსკიზე. № 11.

შატბერაშვილი გიორგი — თვალდურთ ქართულის ქაშინია. № 8, 11.



შენგელაია დემნა — უშანგი... № 12.

ჩანბერიძე ნოდარი — ხელოვნებათა სინთეზის საკითხისათვის. № 8.

წარსულიდან

ჩიქვიშვილი ფ. — უბის წიგნით ნინოშვილის შეკითხვებთან. № 2.

გამოსათხოვარი

წულუკაძე ვანო — პედაგოგი, მკვლევარი, მოლაწე. № 6.

წიგნების მიმოხილვა

აბაშიძე ზურაბი — ვ. ბრედელის „შვილიშვილები“. № 6.

ამისულაშვილი შალვა — „მოკითხვამდე“. № 3; ახალგაზრდა პოეტის ახალი წიგნი. № 12.

არველაძე სიმონი — „ცა ქელად, მიწა ქალამანად“. № 10.

აფხაიძე შალვა — განცდილი და განცდილი. № 9.

ბათიაშვილი გურამი — ოთარ ჩიქავაძის „ეს ვალონის რეისი“. № 4.

ბორჩაძე ნაზი — „მეოცე საუკუნის ფრანგი მწერლები“. № 7.

ბერიძე ფილიპე — მარგალიტების მაძიებელი. № 4, „მიწა და ვარსკვლავები“ № 5.

გავაშვილაშვილი ვ. — პეტრე შალიკაშვილი №12.

გენაძე აკაკი — შორეული ზურჩულის ექო. № 10.

გოგოლაძე ვ. — ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან. № 10.

დავითაშვილი დ. — ნარკვევები კომუნისტური შრომის ისტორიიდან. № 7.

ჯამბაძე ვლადიმერი — გახსენება სახელოვანი წინაპრისა. № 7.

წარდალიშვილი გრ. — აღდგომის კენჭელის საიდუმლოება. № 2; „თერამეტი წელი აზიის ქვეყნებში“. № 11.

თუხარაძე დიმიტრი — რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. № 8.

იშნაშვილი გრ. — საინტერესო ნაშრომი ქართულ დიპლომატოლოგიაში. № 2.

კაკაბაძე ნოდარი — გოეთეს „ფაუსტის“ ახალი ქართული გამოცემა. № 8.

კაკაბაძე სარგისი — მითრიდატე პონტოელი. № 1.

კალანდაძე აღ. — საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები. № 12.

კანკავა გურამი — პირველი მოთხრობები. № 6.

კანდელი ნიკოლოზი — წიგნი ქართველ ორატორზე. № 12.

კარტოზია ბონდო — ნარკვევები საქართველოში იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიის საკითხებზე. № 6.

კეკელიძე მიხეილი — წარსულის სურნელება. № 11.

კენჭოშვილი ირაკლი — რიდის „ლეოპარდი“. № 3.

კვიციანიძე რეზო — პესიმისმისა და სასოწარკვეთილების ფილოსოფიური აპროლოგის წინააღმდეგ. № 9.

კვიციანიშვილი ე. — ფერებისა და სიცოცხლის შოშიერალი. № 2.

ლომიძე გიგა — ლექსები ბუნებასა და ადამიანებზე. № 11.

მესხია შოთა — ძველი ქართული მწერლობის კერები. № 9.

მშვილდაძე ნოდარი — ნიკოლას ვილიემის ლექსები ქართულად. № 1.

მჭედლიძე ბაბო — საბავშვო ლექსების კრებული. № 12.

ნადარეიშვილი გრ. — ს. მესხის წერილების კრებული. № 5.

ნათაძე მ. — სელინჯერის რომანი ქართულ ენაზე. № 10.

ფორდანი აპოლონი — მწერალი, ომი, ადამიანი. № 3; ახალგაზრდა მწერლის ჩვეულებრივი დღე. № 7.

რადიანი შალვა — კოლაუ ნადირაძის „რჩეულის“ გამოცემის გამო. № 1.

რუხაძე ნოდარი — „რუსული ლიტერატურის ისტორიის“ სამტომეული. № 10.

სანადირაძე აღ. — ახალი სათავგადასავლო მოთხრობა. № 4.

სიხარულიძე ქსენია — შრომა და ლექსი. № 3.

სულაბერიძე ლადო — დრო, დრო აღნიშნე. № 12.

ტყეშელაშვილი ნიკო — საინტერესო ნაშრომი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ფორმების შესახებ. № 9.

- ფაღავა კონსტანტინე — სპარსული ქრესტომათია. № 12.
- ქუმისიშვილი დ. — მოთხრობები ლიტერატურულ აღმოჩენებზე. № 4; ავკასიოს დაცვის მხატვრული მატინე. № 11.
- ღვინეფაძე ნანა — მონოგრაფია სახელოვან თანამედროვეზე. № 5.
- ღლონტი აღ — მონოგრაფია ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურის საკითხებზე. № 9.
- ღლონტი შალვა — კრებული რუსთველოლოგიის საკითხებზე. № 1.
- უიფიანი ი. — ქ. ქუჩუკაშვილის „თბილი პური“, № 9.
- შაველაშვილი შალვა — მაყურებლის შენიშვნები № 12.
- ჩიქობავა გიორგი — კოსმოსშიც თან წარსატანი წიგნი. № 11.
- ჩიტაური ხ. — ერთი სოფლის სურათები. № 12.
- ჩხეტია შ., ბენდიანიშვილი ა., მარგანი გ. — მონოგრაფია თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან. № 2.
- წიბახაშვილი გიორგი — ა. პ. ჩეხოვის სამტომეული ქართულად. № 2.
- წიკლაური ბესარიონი — „ცისფერი ნაპირები“ № 6.
- წულუკიძე ვანო — თანამედროვე ქართული ლექსი. № 5; მეტყველების მაღალი კულტურისათვის. № 11.
- კანიშვილი მიხეილი — პირველი მონოგრაფია რადიულ ერისთავზე. № 3.
- კუმბურიძე ზ. — ჩვენი სახელოვანი თანამედროვე. № 10.
- ხარანაული ბ. — „ვეთილი მაცნე“. № 8.

3360 80 333.



ИНДЕКС 4066020
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“